სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურის ბიბლიოთეკა

სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურის ბიბლიოთეკა

სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურის ბიბლიოთეკა

II

პროექტის ხელმძღვანელი და მთავარი რედაქტორი

ზურაბ გაიპარაშვილი

რედაქტორი და კომენტარების ავტორი

გიორგი ჯავახიშვილი

გამოცემაზე მუშაობდნენ:

თამარ გიორგაძე,

ნათია დვალი,

მარიამ ებრალიძე,

ქეთევან ქუსიკაშვილი,

თამარ ხეტაშვილი

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2022

© ფრიდრიხ ებერტის ფონდი

ISBN 978-9941-36-051-0 (ყველა წიგნის)

ISBN 978-9941-36-053-4 (II წიგნის)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურის ბიბლიოთეკა

II

უნივერსიტეტის
გამომცემლობა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

FRIEDRICH EBERT STIFTUNG

პროექტი განხორციელდა ფრიდრიხ ებერტის
ფონდის მხარდაჭერით

*პუბლიკაციაში წარმოდგენილია ავტორთა პირადი მოსაზრებები.
დაუშვებელია ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ გამოცემული
მასალების კომერციული მიზნით გამოყენება ფონდის თანხმობის გარეშე.*

შინაარსი

წინათქმა – ხარიტონ შავიშვილის ორი თხზულება
(გიორგი ჯავახიშვილი) 7

ხარიტონ შავიშვილი, სამშობლო, ციხეები, გადასახლება.
რუსი რევოლუციონერები ჟენევაში, 1908 წელი
(ფრანგულიდან თარგმნა ქეთევან ქუსიკაშვილმა) 9

ხარიტონ შავიშვილი, რუსი რევოლუციონერები ჟენევაში
1908 წელი (ფრანგულიდან თარგმნა თამარ ხეტაშვილმა) 275

ხარიტონ შავიშვილის ორი თხზულება

ხარიტონ შავიშვილის სახელი გასული საუკუნის დასაწყისში იცოდა რუსეთის იმპერიის ყველა სოციალისტმა, რევოლუციონერმა და ემიგრანტმა – თბილისიდან ციმბირამდე და ციმბირიდან ჟენევამდე. იშვიათია მოაზროვნე და პოლიტიკოსი, რომელიც თავის თავში აერთიანებს პოეტურ ბუნებასა და პოლიტიკური მრწამის ერთგულებას, მეგობრებისა და თანამებრძოლთა სიყვარულს, სამშობლოზე დარდსა და ისტორიიდან განდევნილი ადამიანების უფლებებისთვის ბრძოლის იდეალებს. თქვენ წინაშე წარმოდგენილია იმ ავტორის ორი მოგონება, რომელიც ჯერ კიდევ ბავშვობაში, რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილ საქართველოს ერთ-ერთ კუთხეში, გურიაში დგამს პირველ პოლიტიკურ ნაბიჯებს და პოლიტიკურ კარიერას ასრულებს სამშობლოდან შორს, შვეიცარიაში.

ხარიტონ შავიშვილი 1886 წელს დაიბადა გურიაში, სოფ. ქვედა ბახვში. ბავშვობიდანვე, უფროსი ძმის კვალდაკვალ, ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში, იყო დაპატიმრებული და გადასახლებული, თუმცა საბედნიეროდ 1908 წელს პატიმრობიდან გაქცევა მოახერხა და შვეიცარიაში ჩავიდა. 1918 წლის 26 მაისის შემდეგ, შავიშვილმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიურ მისიაში დაიწყო სამსახური. თავდაპირველად ბერნში საქართველოს საელჩოს მთავარი მრჩევლის რანგში შეუდგა მუშაობას. 1920 წლიდან ხარიტონ შავიშვილი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დავალებით, ჟენევაში გადავიდა და საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი გახდა ერთა ლიგაში, სადაც ასევე დააარსა საქართველოს პრესის ბიუროს. საბჭოთა ჯარის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, შავიშვილი ერთა ლიგაში ბრძოლას განაგრძობდა საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნის ლოზუნგით. ის აქტიურად აშუქებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის საკითხს საერთაშორისო პრესაში, იყენებდა საკუთარ პოლიტიკურ გავლენებს, რათა პოლიტიკური ველიდან არ გამქრალიყო საქართველოს დამოუკიდებლობის მნიშვნელობა. ხ. შავიშვილი 1934 წლამდე მოღვაწეობას აგრძელებდა ერთა ლიგაში, როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენელი. 1925 წელს შვეიცარიელ თანამოაზრე ჟან მარტენთან ერთად დაარსა საქართველოს დამხმარე ინტერნაციონალური კომიტეტი, რომლის მიზანი ბოლშევიკური პროპაგანდისა და საქართველოს შესახებ გავრცელებული ცრუ ინ-

ფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლა იყო. ემიგრაციის წლებში შავიშვილი ატარებდა საქართველოს შესახებ გაცნობით კვირეულებს, 1927 წელს, მისი თაოსნობით, ჟენევაში საქართველოს კვირეული ჩატარდა, რომელსაც ნოე ჟორდანია, შვეიცარიის მთავრობისა და 30 ქვეყნის დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, ჟენევისა და ლოზანის უნივერსიტეტის პროფესორები დაესწრნენ. მისივე ინიციატივით, 1937 წლის 4 ნოემბერს ჟენევის უნივერსიტეტში შოთა რუსთაველის საზეიმო იუბილე აღინიშნა. ხარიტონ შავილიშვილი 1975 წელს გარდაიცვალა შვეიცარიაში, ქალაქ ჟენევაში. ხარიტონ შავიშვილის მემუარები XX საუკუნის საქართველოსა და გლობალური ისტორიის გასაგებად საუკეთესო მეგზურია. ავტორი პირველ წიგნში საინტერესოდ ყვება იმ რთულ და ამაღელვებელ პერიოდს, რომელიც ქართველმა ხალხმა, სხვა ჩაგრულ ერებთან ერთად, გაიარა XX საუკუნის დასაწყისის პირველ ათწლეულში, როდესაც რუსეთის შიგნით გაჩაღდა ბრძოლა დემოკრატიული გარდაქნების დასაჩქარებლად, რაც, სამწუხაროდ, რუსეთის იმპერიის რეპრესიულმა სისტემამ ჩაახშო და მშვიდობიანი ლოზუნგების დევნით, სიკვდილით დასჯითა და გადასახლელებით უპასუხა. მეორე წიგნის მკითხველი იმოგზაურებს 1908 წლის ჟენევაში და აღმოაჩენს თუ როგორ მსჯელობდნენ, კამათობდნენ და იცავდნენ საკუთარ პოზიციებს რუსეთის იმპერიიდან განდევნილი სოციალ-დემოკრატები. პოლემიკა, რომელიც მენშევიკ-ბოლშევიკების ბრძოლის სახელით არის ცნობილი, ხარიტონ შავიშვილმა სიზუსტით, ლაკონურობითა და მწერლური ოსტატობით გადაგვიშალა თვალწინ.

თქვენ წინაშე არსებული გამოცემა აერთიანებს ორ ტექსტს – „საამშობლო, ციხეები, გადასახლება (1946) და „რუსი რევოლუციონერები ჟენევაში 1908 წელს“ (1974). მიუხედავად იმისა, რომ ხარიტონ შავიშვილი არ იყო განათლებით ისტორიკოსი, ის გულდასმით ჰყვება იმ ამბავს, რომელსაც თავად შეესწრო და ისტორიკოსის სიზუსტით დაალაგა ფაქტები, მათი ანალიზი და დასკვნა შემოგვთავაზა.

წარმოდგენილი მემუარები თავდაპირველად ფრანგულ ენაზე გამოიცა და პირველად ქვეყნდება ქართულ ენაზე გვჯერა, წარმოდგენილი გამოცემა ხელს შეუწყობს XX საუკუნის ისტორიის გადააზრებას, დემოკრატიული ღირებულებებისადმი რწმენის განმტკიცებას და კარგ მეგზურობას გაუწევს როგორც მეცნიერებს, ისე მკითხველთა ფართო წრეს.

გიორგი ჯავახიშვილი

ხარიტონ შავიშვილი

სამშობლო, ციხეები, გადასახლება[1]

რუსი რევოლუციონერები ჟენევაში

1908 წელი

წინათქმის ავტორი ალბერ მალში

(ფრანგულიდან თარგმნა ქეთევან ქუსიკაშვილმა)

[1] ფრანგული ენიდან თარგმანი შესრულებულია შემდეგი გამოცემის მიხედ-ვით: Khariton Chavichvily, Patrie, Prisons, Exil. Défense de la France, 1946.

სარჩევი

პირველი ნაწილი 17

თავი I. გამგზავრების სიმღერა 19

თავი II. ჩემი პირველი ნაბიჯები რევოლუციაში 30

თავი III. საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა 43

თავი IV. რუსეთ-იაპონიის ომი 55

მეორე ნაწილი 65

თავი I. მენშევიზმი თუ ბოლშევიზმი 67

თავი II. სომხებსა და თათრებს შორის სისხლისღვრა შევაჩერეთ 85

თავი III. ჭიათურის საბადოების ცენტრში სტუმრობა 91

თავი IV. წინააღმდეგობრივი თათბირები კობასთან (სტალინთან) 96

თავი V. როდესაც სტალინი იყო გულცივი კობა 105

თავი VI. ბოლშევიზმის ციხესიმაგრე 115

მესამე ნაწილი 119

თავი I. წყვდიადმა დაფარა ბათუმი 121

თავი II. სიხარული და შიშის ზარი ქუთაისში 125

თავი III. დაკითხვის მოლოდინში 139

თავი IV. ქუთაისის ციხეში 141

თავი V. მეტეხის ციხეში 158

თავი VI. ტფილისის დეპარტამენტის ციხეები 168

თავი VII. ციმბირისკენ 175

მეოთხე ნაწილი 185

თავი I. ტიუმენის ციხეში 187

თავი II. ტიუმენიდან ტარამდე 193

თავი III. ზედამხედველობითი თავისუფლება ტარაში 199

თავი IV. ისევ ციხეში 205

თავი V. „შეღერებულ ქალიშვილთა ჩრდილში“ 212

თავი VI. ტობოლსკი 217

თავი VII. თავზარდაცემათა ჯაჭვი 230

მეხუთე ნაწილი 243

თავი I. ჩავარდნილი გაქცევა 245

თავი II. აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ 250

თავი III. საზღვარი გადავკვეთე და ჟენევაში ჩავედი 267

ნაშრომი მხუჭვაღე გუღის ადამიანს ეკუთვნის. პატრიოტიზმმა, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, შეუქცევად რევოლუციურ მოძრაობაში ჩართო. გაითვალისწინეთ, ამას რევოლუციონერი არ გეუბნებათ.

ხარიტონ შავიშვილი ქართველია. მისი მშობლიური გუჩია ღირსებისა და სიმამაცის მიწაა. ეს თვისებები და ცარიზმთან დაპირისპირების ტრადიცია მოჰყვება ოჯახიდან, რომელიც ერთდროულად მიწათმოქმედიც იყო და პატრიარქალურიც. მთელი ქვეყანა იზიარებდა მოსაზრებას, რომ ღირსეული კაცის პირველი მოვალეობა ფეოდალური სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლა იყო, – ეს იყო უცხოური ბატონობა – მისი განადგურება და სოციალური დემოკრატიით ჩანაცვლება. ამ გადმოსახედიდან უნდა აღინიშნოს, რომ ტრეპოვების[1] და სტოლიპინების[2] ხეჟიმი, რასპუტინის[3] გაბრწყინებამდე, ამ ბრალდებას იმსახურებდა.

წიგნში თავმოყრილია 1903-1908 წლების პოლიტიკური ცხოვრება კავკასიაში. შევხვდებით სტალინს, კარიერის დასაწყისში; ნოლაური წკეპლით მიღებულ აჯანყებულთა კორტეჟებს. სამწუხაროდ, შავიშვილთან ერთად, შევიხედავთ ცარისტულ საპყრობილეებში და შუაგულ ციმბირში. ჩემი სიტყვა შთამბეჭდავი ფილმის კომენტარებას არ ისახავს მიზნად. მე მსურს, მომავალ მკითხველს წიგნის ავტორი წარვუდგინო.

გულწრფელად რომ ვთქვა, მისი სახელიც კი არ ვიცოდი, სანამ 1908 წლის აგვისტოში შვეიცარიაში არ ჩამოვიდა მას შემდეგ, რაც მთელი რუსეთი გადმოჭრა, ტობოლსკიდან პოლონეთამდე, ძალიან მოხერხებუ-

---

[1] ტრეპოვები – რუსეთის იმპერიაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და გავლენიანი ოჯახი. ფიოდორ ტრეპოვი (1809-1889) რუსი სამხედრო და სახელმწიფო მოხელე იყო. მისი სამხედრო კარიერა დაიწყო 1830-1831 წლების პოლონეთის მოვლენების დარბევით; მოგვიანებით მსახურობდა აღმოსავლეთ ევროპის მიმართულებაზე; 1873-1878 წლებში მსახურობდა სანკტ-პეტერბურგის ქალაქის თავად; ცნობილია 1878 წლის ტერაქტით, როდესაც ვერა ზასულიჩი თავს დაესხა და მისი მოკვლა სცადა. მისი ერთ-ერთი შვილი – დმიტრი ტრეპოვი (1855-1906) – მოსკოვის პოლიციის ხელმძღვანელისა და მოგვიანებით სანკტ-პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობას იკავებდა. დმიტრი ტრეპოვის სახელს უკავშირდება 1905 წლის რუსეთის რევოლუციის ჩახშობა და რეპრესიები. ტრეპოვების ოჯახიდან იყო ასევე ალექსანდრ ტრეპოვი (1862-1928), რუსეთის იმპერიის პრემიერ-მინისტრი 1916 წელს (რედ.).

[2] პიოტრ სტოლიპინი (1862-1911) – რუსი პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოხელე. რუსეთის მესამე პრემიერ-მინისტრი და შინაგან საქმეთა მინისტრი 1906-1911 წ.წ-ში (რედ.).

[3] გრიგორ რასპუტინი (1869-1916) – რუსი მისტიკოსი, ნათელმხილველი და თვითგამოცხადებული წმინდანი, იმპერატორ ნიკოლოზ II-ის კარზე მიღებული ფიგურა, რომელიც გავლენას ახდენდა პოლიტიკურ პროცესებზე (რედ.).

ღად ოჰგანიზებული გაქცევისას. სწორედ პოლიტიკური ნიშნით ღტოლვილ ადამიანს დავუმეგობრდი და ჩვენი მეგობრობა ახლა უკვე დიდი ხნისაა; თუმცა არასდროს მინახავს ჩემი მეგობარი, პოლიტიკურად დამარცხებული ადამიანი მეოცნებედ ქცეულიყოს ერთი წუთითაც კი კომპრომისზე წასულიყო ან ეწუწუნა მაინც. აი, უკვე ოთმოცი წელია ის ერთსულოვნად იტანს განსაცდელსა და გადასახლებას.

ხარიტონ შავიშვილი იცნობდა სტალინის საქმიანობის საწყის ეტაპებს, უპირისპირდებოდა ტროცკის, ცდილობდა, შეეჩერებინა ჩუსული ჩევოლუციის გავლენების დანერგვა; ჩვენთან, დასავლეთში კავშირში იყო პლეხანოვთან,[1] ლიბკნეხტთან,[2] ჟორესთან,[3] ალბერ ტომასთან[4]. ეს ადამიანები მას ემეგობრებოდნენ და მხარს უჭერდნენ სოციალისტურ თუ მარქსისტულ მოსაზრებებში. განა მისთვის პოლიტიკური დოგმები იყო მნიშვნელოვანი? ის სოციალისტურ და მარქსისტულ მოსაზრებებში დარწმუნებული იყო. მე მასში ყოველთვის ვხედავდი თავისუფლების დამცველს, მსხვერპლის მეგობარს, ბრუტალური ძალის მტერს, ერთი სიტყვით, ადამიანს, ყოველგვარი ეტიკეტის გარეშე, ვისთვისაც ადამიანური ღირებულებები ყველაფერზე მაღლა დგას.

ჩემი აზრით, შავიშვილში არსებობს თავგადასავლებისა და რისკის ინტერესი, რაც ადრე მისი რასის ადამიანებს უბიძგებდა ევროპის ყელის დაცვისკენ, რომელსაც მათი სამშობლო წარმოადგენდა. თამარ მეფეს ჯერ ისევ ჰყავს უშიშარი და შეუდრეკელი რაინდები. რატომაც არა? მაგალითი არც ისე გავრცელებული.ის მისაბაძია.

---

1 გიორგი პლეხანოვი (1856-1918) – რუსი მოაზროვნე, პოლიტიკოსი და რევოლუციონერი. რუსული სოციალ-დემოკრატიის გამორჩეული ლიდერი; რუსეთის სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი (რედ.).

2 კარლ ლიბკნეხტი (1871-1919) – გერმანელი სოციალ-დემოკრატი; გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის აქტიური წევრი და ერთ-ერთი გამორჩეული სახე; რაიხსტაგის წევრი 1912-1914 წ.წ-ში; 1919 წლის „გერმანიის რევოლუციური ზამთრის“ მონაწილე; გერმანიის პირველ მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ გამოირჩეოდა რადიკალური მოწოდებებითა და ლოზუნგებით, მოკლეს 1919 წლის 15 იანვარს ქალაქ ბერლინში სამხედრო შეტაკებისას (რედ.).

3 ჟან ჟორესი (1859-1914) – ფრანგი სოციალ-დემოკრატი, ჟურნალისტი, პოლიტიკოსი და პუბლიცისტი; ადრეული XX საუკუნის ფრანგული სოციალიზმის უპირობო ლიდერი. ცნობილია ანტიმილიტარისტული და ანტიკოლონიური რიტორიკითა და პროლეტარიატის დიქტატურის თეორიის კრიტიკით. მის პოლიტიკურ ინტერესებს წარმოადგენდა პატრიოტიზმი, ინტერნაციონალიზმი, კლასობრივი ბრძოლა და დემოკრატიზაცია (რედ.).

4 ალბერ ტომა (1878-1932) – ფრანგი სოციალისტი და სახელმწიფო მოხელე; 1920 წელს საქართველოში ჩამოსული ევროპული სოციალისტების დელეგაციის წევრი (რედ.).

ყველას ახ გააჩნია მსხვეჰპდშეწიჰვის თვისება. და მიუხედავად ამისა, თუ მსოფლიო კვლავაც დასახლებული იქნება, ეს მხოლოდ მათი დამსახუჰებით, ვისაც დათმობას შხამის მიღება უჰჩევნია; გამოჰჩეული პიჰების, ჰომელთაც მიაჩნიათ, ჰომ საკუთაჰი სიცოცხლე უფჰო სხვებს ეკუთვნით, ვიდჰე თავად მათ.

წაიკითხეთ ხაჰიტონ შავიშვილის მოგონებები და თავად განსაჯეთ, ეკუთვნის თუ აჰა სწოჰედ ამ ადამიანთა ჰიგებს.

ალბეჰ მალში[5]

ჟენევა, 20 თებეჰვალი, 1946

[5] ალბერ მალში (1876-1956) – შვეიცარიელი პედაგოგი და პოლიტიკოსი; შვეიცარიის თავისუფალ-დემოკრატიული პარტიის წევრი (რედ.).


OCÉAN GLACIAL ARCTIQUE
RUSSIE
SIBÉRIE
Obdorsk
Tobolsk
Irtych
Tara
Ekaterinburg
Tumen
Tchéliabinsk
Omsk
MOSCOU
Riajsk
Samara
Mer du Nord
Mer Baltique
Koenigsberg
Vilna
BERLIN
ALLEMAGNE
POLOGNE
Francfort
Bâle
Berne
Genève
Rostov
Volga
Oural
Mer Caspienne
Grozny
Koutais
Tiflis
Batoumo
Kura
Mer Noire
Trajet effectué par chemin de fer
Trajet effectué par bateau
0
500
1000 Km

პირველი ნაწილი



ქუთაისი. ბაზარი

თავი I

გამგზავრების სიმღერა

წარმოიდგინეთ ზაფხულის პირველი დღეების ერთი მშვენიერი დილა საქართველოში, ბუნება აყვავებულია. წარმოიდგინეთ ჩემი ბავშვობის უკიდეგანო ბაღი მზის ამოსვლისას, როდესაც ათასობით სახეობის მცენარე, ხეხილი და უთვალავი ყვავილი ოქროსფერი სინათლის შუქშია გახვეული.

იმ დილას, სიჭაბუკის ენთუზიაზმის ხიბლით გატაცებული, ბაღში დავრბოდი, აღტაცებული მაგიური სცენით, რომელსაც ედემის ფრინველთა გალობა, ბულბულთა ორკესტრის ბრწყინვალე სოლისტობით აცოცხლებდა და, აი, სწორედ ამ დროს რაღაც ხმა, რომელიც ჯერ შორეული იყო და კონცერტის ჟრეღადობაში ირეოდა, ნელ-ნელა უფრო გარკვევით გაისმა, უფრო გამოკვეთილი და უიმედო გახდა: „ხარიტონ!.. ხარიტონ!..“.

ეჭვგარეშეა, მეძახიან. თუმცა ჯერ სადილის დრო არ არის. დალახვროს ეშმაკმა, ვის შეეძლო ჩვენს ბაღში შემოღწევა და ჩემი ბედნიერებისთვის შფოთის მიყენება? რა უნდათ ჩემგან? ... მით უარესი მათთვის! აქ არ ვარ. დაე, სხვაგან მეძებონ. მაგრამ ხმა უკან არ იხევდა, აბეზარი; ყველა კუთხეში ძებნის შემდეგ, მომიახლოვდა. დამალვა არ გამიჭირდებოდა, მაგრამ მე და დამალვა?! ეს საერთოდ არ მხიბლავს. თექვსმეტი წლის ასაკში ყველას აქვს თავისი სიამაყე! კაცი ვიწრო ხეივანში მოაბიჯებდა, რა თქმა უნდა, ეს ხომ ყარამანია! ის უცხო არ არის ჩვენს სახლში. მის იერს ორიგინალურობა არ აკლია, – უზარმაზარი თავი მომცრო ტანზე, გრძელი და სქელი წვერი, რომელიც ქამრის ბალთამდე სწვდება.

– ჰეი, ჩემო პატარა ხარიტონ, გამარჯობა! ხმა ჩამეხლიჩა შენი ძახილით, შენ კი პასუხს არ მცემ!

ამ მისალმებაში საყვედური იგრძნობა, მაგრამ უეცრად ისევ სიტყვას აგრძელებს, თითქოს ეშინია, რომ ცუდად არ გაუგონ და ძალიან მშვიდად, სითბოთი აღსავსე ხმით აგრძელებს:

– იცი, ჩემო ძვირფასო, დიდი, ძალიან დიდი და შესანიშნავი მისია მაქვს შენ წინაშე, თუმცა მხოლოდ ერთი პირობით შემიძლია მისი შესრულება: შენ ეს არავის უნდა უთხრა, რადგან ეჭვი

არ მეპარება, შენი მშობლები აღტაცებულები არ დარჩებიან. მეტიც, მინდა, ეჭვიც არ შეეპაროთ, რომ მე მსტოვრის როლი ვიკისრე. მპირდები, რომ ჩუმად იქნები?

– რა კითხვაა, ყარამან?! – წამოვიყვირე და მიწას ფეხი დავარტყი.

– კარგი, სხვა პირობას არ გთხოვ. ვიცი, როგორი მამაცი ბიჭი ხარ და გენდობი...

– რა იცით ჩემ შესახებ, როცა ასე იშვიათად მხედავთ?

– ვანომ მითხრა და ეს საკმარისია.

ის ჩემს ძმას შეხვდა! ბათუმიდან მოდიოდა და ახალი ამბები მოჰქონდა ჩემთვის! ეს სულ სხვა ამბავი იყო!

– მას შეხვდით? როგორ არის?

– როგორც ყოველთვის, მხნედ, საოცრად. ყველა მმართველთან ისე იქცევა, როგორც თანასწორთან, როგორც მე შენთან.

– რა გითხრათ მან?

– ის შენობით მიმართავს კარლოს,[1] გრიგოლს[2]...

– მაგრამ რაკი თქვენ ის ნახეთ...

– დიახ, ვნახე! შესანიშნავო ბიჭუნავ! მეტიც, სწორედ მან მომცა კონფიდენციალური მისია შენთვის. ოჰ! მისი დარი არავინაა...

– რა მისია, ყარამან, რა მისია?

– არ ვიცი.

მოუთმენლობამ შემიპყრო. ის კი თავისი თეთრი აბრეშუმის ჟილეტის შიდა ჯიბეში იქექებოდა. იქ რაღაცას ეძებდა, აუჩქარებლად. ბოლოს ხუთი ბეჭდით დაბეჭდილი კონვერტი ამოიღო, რომელზეც ვანოს სახელი ეწერა.

– აი! მას ჩემთვის არაფერი უთქვამს. მხოლოდ ის ვიცი, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ვანო და ქართველი რევოლუციონერები ერთნი არიან.

---

[1] ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე (1864-1926) – ქართველი სოციალ-დემოკრატი, საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე 1919-1921 წლებში; 1907-1921 და 1912-1917 წლებში რუსეთის მე-3 და მე-4 სახელმწიფო სათათბიროების წევრი და სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარე; ერთ-ერთი პირველი მარქსისტი და ქართული სოციალ-დემოკრატიის გამორჩეული ფიგურა (რედ.)

[2] გრიგოლ ლორთქიფანიძე (1881-1937) – ქართველი სოციალ-დემოკრატი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო და განათლების მინისტრი, მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე; რუსეთის იმპერიის პერიოდში დააპატიმრეს მემარცხენე იდეებისა და რევოლუციური მოძრაობის მხარდაჭერის გამო (რედ.).

ყოველ ფრაზას იმავე რეფრენით ასრულებდა: „ოჰ, რა საოცარი ბიჭია“; გადაკეცილი ქაღალდი გამომიწოდა და სადღესასწაულო ხმით მამცნო: „ყველაფერი აქ არის ახსნილი“.

პირველად მოხდა, რომ ამგვარად დაბეჭდილი წერილი მივიღე, მისი გახსნისას ხელი მითრთოდა... სასწრაფოდ ვანოს უნდა შევხვედროდი ბათუმში. ის უნდა გამგზავრებულიყო და ჰქონდა საქმეები, რისი მინდობაც მხოლოდ ჩემთვის შეეძლო.

ამწამს, ჩემი მოზარდობის გარიჟრაჟზე, კაცის თვისებები შევიგრძენი. ღმერთო! რა ნდობაა! ოთხი წელი იყო ჩვენ შორის სხვაობა. უკვე თორმეტი თვე ხდებოდა, რაც ერთმანეთი არ გვენახა და, აი, საიდუმლო საქმის გასაგრძელებლად მიხმობდა. იმედოვნებდა, რომ –სარწმუნო მიზეზით – ჩემით მოვაგვარებდი მშობლებთან ბათუმში გამგზავრებისა და პასპორტის აღების საკითხს. პასპორტის მიღება! როგორ მოგონებებს აღძრავდა ეს მოზარდის ცინცხალ გონებაში!

* * *

თოთხმეტ წელზე ოდნავ მეტის ვიქნებოდი, ეს იყო 1901 წელი. ვანო ჩვენთან ერთად აღარ ცხოვრობდა, ის უკვე ბათუმში იყო. ერთ დღეს, მიხაკომ, ოჯახის შვიდ შვილს შორის უფროსმა (მიხაკო, იესე, ჩვენი და პოლაკრი, სევასტი, ვანო, ერემი და მე), მშობლებს უთხრა:

– ხარიტონი რომ წავიყვანო ბათუმში? სასიამოვნო სანახაობებს ვაჩვენებდი.

თანხმობა მალე მივიღეთ და მამა ჩემთვის აუცილებელი პასპორტის საკითხით დაკავდა.

ამაოდ! ორი დღის შემდეგ ზედა-ბახვიდან სამწუხარო ამბავი მივიღეთ, ზრდილობიანი, მაგრამ კატეგორიული უარი კანცელარიიდან: „ბავშვებს პასპორტს მხოლოდ მშობლებთან ერთად მოგზაურობის შემთხვევაში ვაძლევთ“. ახლაც თვალწინ მიდგას ვახშამი, რომლის დროსაც მამამ, თხუტმეტიოდე ადამიანის თანდასწრებით ეს პასუხი გაგვაცნო. გაშმაგებულმა, გადავწყვიტე პასპორტი მომეპოვებინა.

მეორე დღეს ორი ცხენი შევკაზმე და ბიძაშვილთან, ფოთელ გოგილოსთან ერთად გავემგზავრე.

კანცლერმა შესაბამისად მიგვიღო და განგვიცხადა, რომ წინა დღის უართან დაკავშირებით ვერაფერს შეცვლიდა. მე დაბეჯი-

თებით ვითხოვდი ცვლილებას. მაშინ მან მითხრა, რომ ხელახლა განიხილავდა საკითხს ოლქის უფროსთან, ბატონ *გაბიღთან*, რომელიც იერარქიულად მასზე მაღლა იდგა. ეს გადასახადების ამკრეფი რუსული ხელისუფლების მიერ იყო დანიშნული ხალხის მიერ არჩეული მმართველის, ინწკირველის ადგილზე.

– სად არის ახლა?

– შეხვედრაზეა და ვერ შევაწუხებ, მიპასუხა მოხელემ და კარზე მიმანიშნა.

– სთხოვეთ, მიმიღოს, გეთაყვა!

– აზრი არ აქვს, რადგან გუშინ მან თავად მიიღო გადაწყვეტილება თქვენს საქმეზე.

– საქმე მხოლოდ ეს არ არის.

საკონფერენციო დარბაზისკენ გავემართე და იქვე დავსძინე:

– ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი უნდა გავაცნო!

კანცელარიის მოხელე დაწინაურდა. კარი გახსნა და განაცხადა: „სასწრაფო საქმე!“ უფროსი გააოგნა ჩვენმა ასეთმა შეჭრამ. მაგიდის გარშემო მსხდომი ექვსი თუ შვიდი კაცი გაოგნებული გვიყურებდა. მე ავუხსენი, რომ სასწრაფოდ მჭირდებოდა პასპორტი. *გაბიღმა* მიპასუხა, რომ მხოლოდ მშობლების თანხლებით შემეძლო მოგზაურობა და საერთოდაც, არ მიცნობდა. სიტყვა მოვუჭერი და ამგვარად დავასრულე:

– იმ მეზეზით, რომ პატარა ვარ, უარს მეუბნებით ისეთ საქმეზე, რაც მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული და ასევე ამტკიცებთ, რომ არ მიცნობთ! თუმცა ძალიან კარგად მიცნობთ, რადგან ჩემი ოჯახი ხშირად გმასპინძლობთ, შემდეგ ჩვენი ბაღის ხილს აგემოვნებთ და ქებით მავსებთ!

ვხედავდი, როგორ წითლდებოდა უფროსი. მოგვიანებით ჩემმა ბიძაშვილმა მითხრა, რომ ბატონი *გაბიღი* ძალიან შეცბუნდა, იქ მსხდომნი კი თავის გადაქნევით ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ. ამით დავასრულე პრეტენზიული გამოსვლა, გოგილოს მოვკიდე ხელი და კარი გამოვიჯახუნე. ფარდა! დაჯდომა ძლივს მოვასწარით, რომ კანცელარიის მოხელემ დაგვიძახა და პასპორტი გადმომცა.

– გავიმარჯვეთ! – ყვიროდა ჩემი ბიძაშვილი და ხტოდა. – თუმცა ამას მას შემდეგ გავამხელთ, რაც ერთად შევიკრიბებით.

ამ უახლოეს წარსულსა და ჩემს გასაოცარ წარმატებაზე ვფიქრობდი. ჩემი მამაცი მსტოვარი ღობეზე აკრული მოიწევდა

წინ, თან ხილით იტკბარუნებდა პირს. როდესაც მომიახლოვდა, ჩვეული ალერსით შენიშნა: „დამძიმებული იერი უფრო გაქვს, ვიდრე გახარებული!“. შემდეგ ჩაახველა. არ ვიცი, პატივისცემის ნიშანი იყო თუ თანაგრძნობის, სასაცილოდ აათამაშა წვერი, იმის ნიშნად, რომ მადლობაც არ ვუთხარი!

– მაპატიეთ, ყარამან, ზრდილობიანად ვერ მიგიღეთ; სინამდვილეში ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენმა კეთილგანწყობამ.

წვერი ათრთოლდა. მან მხოლოდ ვალდებულება შეასრულა, მაგრამ, როგორც ბათუმის მერიის თანამშრომელს, სურდა რაც შეიძლება ცოტა ხნით გამოსთიშოდა თავის საქმეს და ამიტომ ღამით გაემგზავრა, რათა მეორე დღეს უკვე ადგილზე ყოფილიყო და ჩემი ძმა, ვანო ენახა: „ოჰ, რა ბიჭია!“.

ის ლაპარაკობდა, მე კი ჩემს ფიქრებში ჩავიძირე. რა კარგია, რომ დედა ცოტა ხნით ჩემს დასთან არის, თორემ ყველაფერს მიმიხვდებოდა. მაგრამ მამასაც როგორ მოვაჩვენო თავი მშვიდად, როდესაც ერთი ლუკმის გადაყლაპვაც არ შემიძლია? შუადღისას მოვიბოდიშებ და ძიმითში წავალ, დედის სანახავად, ასე დროს მოვიგებ.

ამ დროს საბედისწერო მსტოვარმა, რომელმაც, გაუცნობიერებლად, ჩემი ცხოვრება სხვანაირად აამოძრავა, წასვლა მოისურვა. ხელი ჩამოვართვი.

ძალიან გთხოვთ, ვანოს გადაეცით, რომ მის განკარგულებაში ვარ და რაც შეიძლება მალე ჩამოვალ.

ამ სიტყვებზე ყარამანი დამეძგერა და მთელი თავისი წვერით გადამკოცნა.

– მივემგზავრები, უკანა კარით გავალ, რომ მამაშენმა არ დამინახოს.

მას მივჩერებოდი. სანამ ამ ბანალურ სიტყვებს წარმოთქვამდა, უეცრად, როგორც რემინისცენციათა სიღრმეში, – სადაც ყველას ერთად მოეყარა თავი: ბათუმს, ჩვენს უმშვენიერეს ქვეყანას, ჩემს ძმებს, მოწყენილ და იმედით სავსე ხალხს – ეს ჩვეულებრივი კაცი უფრო მშვენიერი მომეჩვენა, ვიდრე სხვა დროს თავისი ფართო შუბლით, მდინარესავით წვერით და წინასწარმეტყველისა თუ წმინდანის იერით. ოჰ! როგორი მგრძნობიარეა მოზარდი შინაგანი სახე-ხატების მიმართ!

* * *

ვანო შავიშვილი (1882-1928) *ავტორის ძმა. ქართველი სოციალ-დემოკრატი.*

1905 წლის მოვლენების შემდეგ ემიგრანტი შვეიცარიაში.

როგორც კი ყარამანი თვალს მიეფარა, გიჟივით გავიქეცი მდელოზე და მეორე მხრიდან ჩემი საყვარელი ცხენი, ჯანა, გამოეშურა ჩემთან შესახვედრად. „ოჰ, ჯანა, შევძახე ემოციურად, რა ბედნიერებაა შენზე ამხედრება!“. მანაც მოკლე ჭიხვინით მიპასუხა და დიდგვაროვანი თავი დახარა. სამწუხაროდ, შვიდი თვის შემდეგ ავად გახდა და მხოლოდ სიკვდილის პირას ვნახე.

ძიმითამდე მისასვლელად მდინარე სუფსა უნდა გადაგეკვეთათ ბორნით. დასაკარგი დრო არ მქონდა, ამიტომ მდინარე ცურვით გადავიარე. ერთი საათის შემდეგ ჯანა ჩემი სიძის სახლის კარიბჭესთან ჭიხვინებდა. დედა ჩემკენ გამოიქცა და როდესაც მთლად სველი დამინახა, იფიქრა, რაღაც საშინელი ამბავი მივიტანე. სწრაფად ვიმოქმედე, რომ ყველა საპირისპიროში დამერწმუნებინა. მკითხეს, ნაჭამი ვიყავი თუ არა. მეც ვუპასუხე, რომ ნოყიერად ვისადილე.

აუცილებლად უნდა დამემალა ჩემი მღელვარება. ახლა როგორ მოვიქცე, ერთი სული მაქვს დედას როდის დაველაპარაკები, მაგრამ მეშინია, რაიმე დარდი არ შთავუნერგო. ამავდროულად, მან უნდა იკისროს მამაჩემის წინაშე პასუხისმგებლობა ჩემი სასწრაფოდ გამგზავრების შესახებ. დაბოლოს, კულმინაცია, მას არ უნდა ვუთხრა, რომ ვანო მიხმობს, სხვა მიზეზი უნდა მოვიფიქრო... მომეცა შემთხვევა. ხილის მოსაგროვებლად გავიდა. მეც ავდექი და მასთან ერთად წავედი, დედას ესიამოვნა. ძალიან ფრთხილად წარმოვთქვი სიტყვები, რომ მიმხვდარიყო, მასთან დიდი სათხოვარი მქონდა. ეს სიტყვები ისე ჩუმად წარმოვთქვი, რომ თავადაც ვერ გავიგე. მაგრამ დედის გუმანი სულ სხვაა! იმავე წამს სულის შემძვრელი რეაქცია ჰქონდა. ორივე ხელი შემომხვია და გულში ჩამიკრა თვალცრემლიანმა, ტკბილი ხმით მომმართა: „მითხარი!“. მისი თვალების მისტიკურმა დარდმა შიშის ზარი დამცა, არ ვიცოდი რა გამეკეთებინა. აჰ, ნეტა გამბრაზებოდა, დავეტუქსე, ასე

მეტ ენერგიასა და წინააღმდეგობას გამოვიჩენდი... პირიქით, მისი დედისეული სითბო უსაზღვრო იყო, კიდევ უფრო ნაზი ხმით განაგრძო: „ჩემო ძვირფასო ხარიტონ, ნუ მალოდინებ, მითხარი, გევედრები“. მთელი ძალა მოვიკრიბე და მოქნილი მოძრაობით დავუსხლტი: „მნიშვნელოვანი არაფერია. ჯერ საქმეში დაგეხმარები“.

– აი, მეც მოვედი, – ვუთხარი ცოტა ხნის შემდეგ და ხილით ხელში დავდექი მის წინ. გავაგრძელე საუბარი:

– იმის ნაცვლად, რომ ზაფხულში სახლში ჯდომაში დავკარგო დრო, ხომ არ აჯობებს, ძვირფასო დედილო, სიმწიფის ასაკისთვის მოვემზადო, შემოდგომისა და გაზაფხულისთვის?

– კი, მაგრამ შენს ასაკში მეჩვენება, რომ ეს გამორიცხულია. ამასთან, დაფიქრდი, ასე ხომ საერთოდ ვერ დაისვენებ ამ ზაფხულს.

– ეს შესაძლებელია, შესანიშნავი მიზეზი მაქვს. ამ დილით ყარამანი შემხვდა, ცოტა ხანს ვისაუბრეთ და ბათუმში გამგზავრება შემომთავაზა, რაც შეიძლება მალე. ეს შესაძლებლობა სახელოვანი პროფესორის, რამიშვილის[1] წყალობით მეძლევა. მე ის შარშან გავიცანი. გაითვალისწინე, რომ, როგორც ყარამანმა აღნიშნა, ეს შეთავაზება ვანომ მიიღო და ისიც დათანხმდა!

მიხაკო მუდამ ხოტბას ასხამდა რამიშვილს და დედაც მისი ნაამბობიდან იცნობდა პროფესორს. შარშანდელი მოგზაურობის შემდეგ ხშირად ვსაუბრობდით მის შესახებ.

– თუ ასეა, მაშინ საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, ჩემო ძვირფასო.

ჩვეული სიმშვიდით ფრაზა დასრულებულიც არ ჰქონდა, რომ საშინლად გაფითრდა და ცრემლნარევი ხმით ბუნდოვნად დაამატა:

– მაგრამ... არის რაღაც... რაც მაშფოთებს: კიდევ გნახავ?

ისეთი შეშფოთებული, დადარდიანებული იყო, რომ გულიდან სისხლი დამედინა... და დღემდე მდის...

დედის თანხმობის შემდეგ ზურგგამაგრებულს, მამასთან სირთულეები აღარ მქონია; ის პასპორტის საქმით არ დაკავებულა. რაკი წინა წელს თავად მოვახერხე პასპორტის აღება, არც ახლა დამჭირდებოდა მისი ჩარევა. როგორც კი ამ დაბრკოლებას გადავლახავდი, გამგზავრებისთვის მზად ვიქნებოდი. მაგრამ

---

[1] ისიდორე რამიშვილი (1859-1937) – ქართველი პოლიტიკოსი, პედაგოგი, ქართული სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი ლიდერი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი. მისი მოწაფეები იყვნენ ნოე ჟორდანია და ნოე რამიშვილი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეები. 1937 წელს დახვრიტეს ბოლშევიკებმა (რედ.).

უარი რომ მიმეღო? არა, ამაზე ფიქრიც არ მინდა, ეს საშინელება იქნება! ამასთან, შანსები მცირეა: *გაბიღი*, ეს ღვარძლიანი კაცი, ჩემთვის სამაგიეროს გადახდას მოისურვებს შარშანდელი დამცირების გამო. იმ ამბის შემდეგ ათასჯერ მოვიდა ჩვენთან ნადიმზე, თუმცა ყოველთვის ზურგს მაქცევდა, რათა არ დავენახე. ამას ჩემი მშობლები ამჩნევდნენ და იურისტის ბავშვურ საქციელზე ბევრს ხალისობდნენ.

ჩემი ცხენი კანცელარიასთან გაჩერდა. აივანზე კაცი შევნიშნე, რომელიც ჩვენი დანახვისთანავე შენობაში შევიდა. ჩემი ცხენი, პროტესტის ნიშნად, მოუსვენრობამ შეიპყრო.

– კანცელარიის მოხელესთან მსურს შეხვედრა, – ვუთხარი კარისკაცს.

– ახლახან გავიდა, – მიპასუხა მან.

– და მისი უფროსი?

– ახლავე ვიკითხავ.

ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა და მითხრა:

– ბატონი გაბილი ძალიან დაკავებულია და განკარგულება მომცა გავარკვიო, რა მოტივით ხართ მოსული.

– თქვენთვის გადმოსაცემი არანაირი ინფორმაცია არ მაქვს და სასწრაფოდ მსურს მასთან შეხვედრა...

სწორედ ამ დაძაბულ მომენტში კანცელარიის მოხელე გამოჩნდა. მან ვიზიტის მიზეზი მკითხა და რაპორტი მოამზადა. ერთი საათის შემდეგ დაბრუნდა და მითხრა, რომ *გაბიღს* ჩემი ნახვა აღარ სურდა... მე არ მოვეშვი. მოხელე უფროსთან სათათბიროდ გაბრუნდა და საბოლოოდ ჩემთვის სასურველი პასუხი მივიღე: „უფროსმა დამავალა, გამონაკლისის სახით, ამჯერადაც გადმოგცეთ თქვენი პასპორტი, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ ეს უკანასკნელია!“.

„გასაგებია!“, ვუპასუხე. სიხარულით აღვივსე, რომ ეს პრობლემა მოვაგვარე და ხვალვე შემეძლო გამგზავრება.

რამდენიმე საქმის მოსაგვარებლად, გვიან საღამოს გავემგზავრე წერეთში, დუაბზუში, ასკანაში. სახლში დაბრუნებისას მამაჩემისგან ავიღე ნებართვა. მეორე დღეს ადრე გამგზავრების გამო, თავის მხრივ, ისიც დასაძინებლად ემზადებოდა და ამიტომ მას მეორე დღეს აღარ ვუნახივარ.

* * *

ძალიან კმაყოფილს გამეღვიძა, ბედნიერი ვიყავი, რომ ამდენი საქმე ერთ დღეში მოვასწარი... მაგრამ, ჰოი, უბედურებავ! საღამოს ფულის გარეშე როგორ გავემგზავრო? ეს საკითხი მოუგვარებელი იყო. დედა ჩემს დასთან იყო, რომელიც ბოლო დროს ავადმყოფობდა, მას არაფრის გამო აღარ შევაწუხებდი. მამა დილით ადრე ჩემს საყვარელ ცხენთან ერთად გაემგზავრა. მეორე ცხენი კი არც ისე კეთილგანწყობილი ჩემ მიმართ, მრავალგზის დამანარცხებდა მიწაზე, სანამ დანიშნულების ადგილზე მივიდოდი. ამიტომ, გადავწყვიტე, ზედა ბახვში წავსულიყავი ფეხით. იქ მამიდა კესა ცხოვრობდა, მას ვესესხებოდი ფულს, ამაზე უარს არ მეტყოდა.

მისგან წამოსვლის შემდეგ მტკიცედ გადავწყვიტე, რაც შეიძლება სწრაფად დავბრუნებულიყავი, რათა საღამომდე დრო მქონოდა მოგზაურობის სრულად მოსამზადებლად. დავფიქრდი რა გავაკეთე და კიდევ რა მქონდა გასაკეთებელი ამ „სამყაროსთვის“, რადგან ისეთი შეგრძნება მქონდა, ერთი სიცოცხლე სრულდებოდა და მეორე იწყებოდა. „სხვა სამყაროსკენ“ მივდივარ, იქ კი რაღაც, ჯერ უცნობი მელოდება...

ოჰ, რა დიდია მიზიდულობა „შეუცნობლის“ მიმართ, განსაკუთრებით კონკრეტულ ასაკში. იმედით აღსავსეა თუ უიმედო, მაინც მისკენ ვისწრაფვით, სწორედ მისგან ველით დიდებას და გამარჯვებას. არასდროს ვართ საკმარისად კონსერვატორები ან საკმარისად ასაკოვანები, რომ მასზე უარი ვთქვათ. ჩვენთვის კი, რევოლუციონერებისთვის, ეს უმაღლესი იდეაა, ოცნება!..

ქუჩის აურზაურში უამრავი ადამიანი შემომხვდა. შეხვედრებმა უძვირფასესი დრო წამართვა. როდესაც ბოლო „ნახვამდის“ ვთქვი, იმ იმედით, რომ ეს უკვე იყო „მშვიდობით“, ჩამესმა ჩემთვის ყოველთვის სასიამოვნო ხმა: „ჰეი, ხარიტონ, მოიცადე!“.

„ეს ნესტორია“, წარმოვთქვი ხმამაღლა. ის უკვე ჩემკენ მოდიოდა, თანმხლებ პირთან ერთად, რომელიც მასზე ბევრად მაღალი იყო. ახოვანი, ტანწერწეტა, სწორედ მასზე იტყოდნენ, მშვენიერი კაციო. ჭკვიანი, მუდამ სერიოზული თანამოსაუბრე, სკოლის დირექტორი და ჩემი მასწავლებელი, გიგო შარაშიძე[1] – სასწავლო

[1] გიგო შარაშიძე (1848-1932) – ქართველი პედაგოგი, პოლიტიკური აქტივისტი და საზოგადო მოღვაწე. მუშაობდა გურიაში პედაგოგად, იკვლევდა გურიის ისტორიასა და კულტურას (რედ.).

პროცესისადმი გულმოდგინებითა და შესაძლებლობებით ყველასთვის სამაგალითო. მისი მეუღლე, ნინო ქიქოძე, კარგად აღზრდილი და შეიძლება განათლებით ქმარზე მაღლა მდგარი, ნიჭიერი პედაგოგი, ჩემი პირველი მასწავლებელი იყო. ოთხი შვილი ჰყავდათ, ორი ვაჟი და ორი ქალიშვილი. ნიჭი მშობლებისგან ერგოთ მემკვიდრეობით, ოთხივე ეროვნულ სამსახურში იყო ჩართული. უფროსი, შალვა, ქართულ ლიტერატურას სწავლობდა. ჯერ კიდევ სტუდენტობისას მიჰყო საქმეს ხელი და მალე გამორჩეულ იუმორისტ პოეტად ჩამოყალიბდა.[1] უმცროსი, დათიკო, ჩემი მეგობარი, ცოტა ჩემზე უფროსი, ჟენევაში სწავლის დასრულების შემდეგ, ბრწყინვალე ჟურნალისტი და პირველი რიგის პოლიტიკოსი დადგა.[2]

და ნესტორი? კალანდაძე,[3] აგრონომიის მასწავლებელი იყო სკოლაში, რომელსაც შარაშიძე მართავდა. მანაც მასწავლა რაღაც, მაგრამ მხოლოდ ამაში არ იყო მისი ღვაწლი. ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდამ (დაახლოებით ოცდაათი წლისამ), შეადგინა სამეცნიერო ნაშრომი ასტრონომიის შესახებ და უამრავი იუმორისტული ლექსი, რომელიც ინტელექტუალთა წრეებში და მოსწავლეებში ტრიალებდა. ჩემი გამგზავრებიდან ორი წლის შემდეგ მან დატოვა ზედა ბახვი და საცხოვრებლად ტფილისში გადავიდა, რათა პოეზიისთვის მიეძღვნა თავი. როგორც ორიგინალურმა პოეტმა, საკუთარი გაზეთი დააარსა, „ეშმაკის მათრახი“, თავად „ეშმაკის“ ფსევდონიმი აიღო და იშვიათი ღირებულების პოეზია შექმნა. პატარა ტანის პატრონი კონტრასტს ქმნიდა გიგანტი გიგოს ფონზე, საუბრის ლაკონიური მანერითაც კი. ყოველთვის ახერხებდა

---

[1] შავიშვილი გულისხმობს შალვა შარაშენიძეს (1882-1934), იმავე „თაგუნას“, რომელიც იყო ქართველი სოციალ-დემოკრატი, სატირიკოსი, მწერალი. შალვა 1911 წელს დააპატიმრეს პოლიტიკური მოტივით; 1918-1921 წლებში მუშაობდა სატირულ-იუმორისტულ ჟურნალ „ეშმაკის მათრახში“. 1924 წელს დააპატიმრეს აჯანყების მხარდაჭერის გამო, თუმცა მალევე შეიწყალეს (რედ.).

[2] დავით (დათიკო) შარაშიძე – ქართველი სოციალ-დემოკრატი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, რომანოვების იმპერიის დროს ორჯერ (1907 და 1912) დაპატიმრებული. რუსეთის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში, რედაქტორობდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალურ რუსულენოვან ორგანოს „Борьба“. 1921 წლის ოკუპაციის შემდეგ დატოვა საქართველო (რედ.).

[3] ნესტორ კალანდაძე (1874-1942) – ქართველი პუბლიცისტი, მწერალი, მხატვარ-კარიკატურისტი, „ეშმაკის მათრახის“ რედაქტორი. 1921 წლიდან ემიგრანტი, დაკრძალულია ლევილში (რედ.).

სხვების გაცინებას იმგვარად, რომ თავად მხოლოდ ირონიული ღიმილი დასთამაშებდა და არასდროს იცინოდა.

მცირე სახუმარო საუბრის შემდეგ გამოვემშვიდობე მათ და უცებ გამახსენდა, რომ წიგნები უნდა დამებრუნებინა ბიბლიოთეკაში. გავიქეცი. აღმოვაჩინე, რომ რამდენიმე ტომი უკვე წამიკითხავს, მაგრამ სხვადასხვა პასაჟის გადაკითხვა მსურს. სიურპრიზი! თითოეულ ტომში პროკლამაცია აღმოვაჩინე, რომელიც ამ სიტყვებით სრულდებოდა: „ძირს ცარისტული მთავრობა! გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!“, ბოლოში ბეჭდით: „ბათუმის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაცია“. ამ უკანასკნელმა კონსტატაციამ განსაკუთრებულად აღმაფრთოვანა.

სახლში დავბრუნდი. როგორი გადასხვაფერებული მომეჩვენა! მივირბინე და ჩემს უმცროს ძმას, ერემის გადავეხვიე, რომელიც შიდა ეზოში ცემენტის ქარხნის აწყობით ერთობოდა.

ჭიშკრიდან გამოსამშვიდობებელი სიტყვა მივაწვდინე ყველას და ყველაფერს. გამოსვლისას თვალი შევავლე ჯერ მარცხენა მხარეს, კოჯორას (ჩვენი მამულის გარე ნაწილს), ბორცვს, რომლიდანაც ულამაზესი ხედი იშლება ყველა მხარეს და რომელზეც ასე ხშირად ვთამაშობდი. შემდეგ მარჯვენა მხარე შევათვალიერე, აჭარა-გურიის ულამაზესი მთები, რომლის მწვერვალიც 4 000 მეტრს აღწევს. ამ მთებში ბევრჯერ საზაფხულო არდადეგები გამიტარებია. მშვიდობით ბავშვობავ! მსოფლიო მიხმობს. მივემგზავრები...

თავი II

ჩემი პირველი ნაბიჯები რევოლუციაში

აი, უკვე მეორედ ვარ ბათუმში. პირველი რეაქცია, გაოგნებაა. ჩემი ძმა გაახარა ამ ამბავმა. რაც შეეხება ჩვენს გულღია ყარამანს, ძალიან გამხიარულდა:

– ისეთი მოგზაურობა გამოგივიდა, რომელსაც დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა, როგორ მოახერხე ეს? გუშინწინ ქვედა ბახვში დაგტოვე დიდ გაურკვევლობაში და ამ დილით უკვე აქ ხარ, ბრავო!

ამ სიტყვებმა უახლოესი დღეები გამახსენა, რომელნიც შორეულ წარსულად ქცეულიყვნენ. მეჩვენება, თითქოს, ჩვენი ბაღში შეხვედრის დღიდან მრავალი თვე გავიდა. ამაყიც ვარ და დარცხვენილიც. ამაყი იმით, რომ ყველა დაბრკოლება გადავლახე და მოვახერხე მეთქვა ძმისთვის: „არ შემცდარხარ ნდობის გამოცხადებაში“. ამავდროულად დარცხვენილიც, რადგან დედისგან თნხმობა ისეთი ხერხებით მივიღე, რომელიც ყოველთვის მიუღებელი იქნება ჩემთვის. ახლაც თვალწინ მიდგას მისი მშვენიერი, მშვიდი, ხალისიანი თვალები, უსიტყვო მწუხარებას მოეცვა. მისი დარდი მხოლოდ მე უნდა ვატარო, მას ვანოს ვერ გავუზიარებ, რადგან გულს მოუკლავს, ისევე, როგორც – მე.[1]

– რა დაგემართა, ხარიტონ, რატომ გაფითრდი და მოიწყინე? – გადმომიჩურჩულა ყარამანმა.

ამ სიტყვებმა გამომაფხიზლა, გავიაზრე, რომ მარტო არ ვარ და ახლა ფიქრებს ვერ მივეცემი. შემეშინდა, ვანოს არ შეემჩნია ჩემი შფოთი.

– გაჩუმდი, ყარამან, გთხოვ, – ვუთხარი და ხელი მოვუჭირე. – პირველად მივმართე შენობით. არ ვიცი რატომ, მაგრამ ერთადერთი ქართველი იყო ამ წრეში, ვისაც თქვენობით მივმართავდი.

---

[1] 1926 წელს ბრიუსელის პარკში მე და ჩემი ძმა წარსულს ვიხსენებდით. მაშინ პირველად შევეხე ამ მოგონებას და ძალიან ვინანე, რადგან ჩემი ძმა ამ ამბავმა შეძრა (ხ. შავიშვილი).

– სადაც შუადღისას ვიკრიბებით (7:30 იყო) პავლესთან სადილისთვის, – მითხრა ვანომ.

აქ იყო ყარამანი და კაპიტონ ვაშალომივმართავდი.

ახლა ხარიტონს ფარცხანაყანევში წავიყვან, მიძე, მიხაკოს სიძე.

– გასაგებია, – უპასუხეს მათ.

ჩემმა ძმამ მანქანაში ჩამსვა.

ფარცხანაყანევში, ქალაქგარეთ, მუშათა დასახლებაა. ამ ნაწილს ქარხნები ესაზღვრება. პავლე ჩემი ძმის ნდობით აღჭურვილი პირია, რაიონში არსებული სამი ყველაზე ხალხმრავალი რესტორნიდან ერთ-ერთის მფლობელი. სწორედ მასთან იბარებდა *სოსო*[1] ბათუმის ავანგარდის მუშებს, მათთან ერთად სადილობდა სიღრმეში არსებულ დარბაზში, და რაკი საარსებო შემოსავალი არ ჰქონდა, ამხანაგების დაპატიჟებაზე უარს არ ამბობდა. თავდაპირველად ეს ახალგაზრდა კაცი ძალიან გამხდარი და ფერმკრთალი იყო, თუმცა ასეთი რეჟიმის მერე ფერი მიეცა.

– პავლე! – შესძახა ჩემმა ძმამ შესვლისას.

მასპინძელმა ხმა იცნო და ჩვენკენ გამოიქცა, ცალ ხელში ხელსახოცი ეჭირა, მეორეში – ფინჯანი, მოგვიბოდიშა, რადგან სწორედ ახლა საუზმობდა.

– წარმოგიდგენ უმცროს ძმას, ხარიტონს.

– მასზე მსმენია და მოხარული ვარ მისი პირადად გაცნობის. სამწუხაროა, შარშან რომ არ გამაცანი.

– საიდან იცი, რომ აქ იყო?

– ოჰ, მე მასზე ბევრი რამ ვიცი...

და დაჟინებით მომაშტერდა მეგობრული მზერით:

– რა შემოგთავაზოთ? უკვე ისაუზმეთ? ახლავე მოგართმევთ.

მაღალი კაცი იყო, ახოვანი, სიმპათიური, პატარა ულვაშითა და შავი წვერით, რომელიც კარგად ფარავდა მის სიყვითლეშეპარულ სახეს.

– არა, ზემოთ ოთახი მიეცი, სადაც შუადღემდე დაძინებას შეძლებს. უკანასკნელ დღეებში ბევრი იმოგზაურა, რასაც მთელი ღამის მგზავრობაც ემატება. შუადღის მერე ბევრი საქმე ექნება ჩემთან ერთად მოსაგვარებელი.

– მართლა? – წამოიძახა პავლემ.

---

[1] შავიშვილი გულისხმობს იოსებ სტალინს (რედ.).

მკლავი გამომდო ემოციურად, თითქოს მისი ძმა ვიყავი, რომელიც რამდენიმე წლის გაუჩინარების შემდეგ დაბრუნდა სახლში.

შევეცადე ცოტა დამესვენა, თუმცა თვალიც ვერ მოვხუჭე. ძალიან აღელვებული ვიყავი. მოუთმენლად ველოდი შეხვედრის საათს. ერთი სული მქონდა, როდის მოვუყვებოდი ვანოს, თუ რა განცხადებები ვიპოვე ბიბლიოთეკის წიგნებში და როდის გავიგებდი, რა საიდუმლო უნდა ეთქვა ჩემთვის ძმას. დრო როგორ სწრაფად გადის ხოლმე, ახლა კი საშინლად მიიზლაზნებოდა.

ადგილზე ველარ ვისვენებდი და ქვევით ჩამოვედი. თერთმეტი საათიც არ იყო, რესტორანში მხოლოდ მომსახურე ბიჭები იყვნენ, ქუჩაშიც არავინ მოძრაობდა. რამდენიმე საცხოვრებელი სახლი და ბარაკები შევნიშნე. გარეთ სრული სიჩუმე სუფევდა. ეს სიკვდილია. რა სამწუხაროა, როდესაც ერთ სულიერსაც ვერ ხედავ უბანში, არაფერი გესმის... ქარხნებიდან წამოსულმა სასიგნალო ხმებმა გამაწყვეტინა ფიქრი. უეცრად ქუჩები და რესტორნები მუშათა ჯგუფებით აივსო. სასწრაფოდ უკან დავბრუნდი. ჩემი ძმა უკვე იქ იყო. ცოტა ხანს ვერც მივუახლოვდი, რადგან თითოეულ მუშას რაღაც ჰქონდა მისთვის სათქმელი და მასთან მიდიოდა. და, აი, როგორც იქნა ერთი მაგიდის გარშემო აღმოვჩნდით ყველა. მეზობელ მაგიდებთან მსხდომნი ჩვენთვის ხელის ჩამოსართმევად მოდიოდნენ და თავის მაგიდასთან გვეპატიჟებოდნენ.

როგორი სიცოცხლისუნარიანები და ენთუზიაზმით აღსავსენი არიან, მხიარულები! გეგონებოდათ, სახალხო დღესასწაულს ესწრებოდით ან ფანტასტიკურ სპექტაკლს. მართლაც საოცრება იყო სადილზე ერთად შეკრებილი ამდენი მუშა, რომელთაგან ყველა პოლიტიკურ თუ სოციალურ თემას განიხილავდა ასე ანთებულად და სწორი განსჯით.[1]

– ესენი ყველანი შენიღბული სტუდენტები არიან, როგორც ისინი, შარშან რომ ვნახე ქალაქში? – გულუბრყვილოდ ვკითხე ჩემს ძმას.

– არა, ესენი ყველანი მუშები არიან, – მიპასუხა მან ღიმილით.

უმრავლესობას გურულებისთვის დამახასიათებელი, ჩემთვის ძალიან ახლობელი, სწრაფი საუბრის მანერა ჰქონდა. ყველანი ქართველები იყვნენ.

---

[1] ოციოდე წლის შემდეგ, ფრანგი სახელმწიფო მოხელეები, პარიზში იმიგრირებული მუშების გაცნობის შემდეგ, ხშირად გვისვამდნენ მე და ჩემს ქართველ მეგობრებს შეკითხვას: „თქვენთან ყველა მუშა მინისტრობის კანდიდატია?“ (ხ. შავიშვილი).

სადილის დასრულების შემდეგ ჩემმა ძმამ უცხო სახლში წამიყვანა. ადგილი, ერთი შეხედვით, მიტოვებულს ჰგავდა, თუმცა ასე არ იყო. სწორედ აქ მალავდა ვანო აკრძალულ ნივთებს, რომელსაც ასე ეძებდა ცარისტული პოლიცია. მან ყველაფერი მაჩვენა, რათა მცოდნოდა „საჭიროების შემთხვევაში“. შემდეგ მანქანა მოიხმო და ქალაქში წავედით. იქ ერთი ოთახი ჰქონდა, ერთ-ერთი ეზოს უკან. ისეთ რამეებს ინახავდა, რომლის გადატანაც იმ შემთხვევაში შეიძლებოდა, თუკი იქ არავინ იყო ან ყველას ეძინა: „რათა ავარიული შემთხვევა თავიდან ავიცილოთ“, მითხრა ღიმილით.

ვიზიტების დასრულების შემდეგ ჩემმა ძმამ გადმომცა გასაღებები და დამისახელა ადამიანები, რომელთაც უნდა დავკავშირებოდი საჭირო ინფორმაციისა და მასალის გადატანისას (როგორც ამას ეძახდნენ, გარემოებათა „მატერიალური მხარე“). დაბოლოს შევეხეთ მთავარ საქმეს, „იდეალურ მხარეს“. ეს კი ყველაზე მეტად მიტაცებდა.

* * *

– ყველაფერს მოგიყვები, რაც შენი წასვლის შემდეგ მოხდა, – მითხრა მან. – კარლოს მიერ წამოწყებული შეუდარებელი ბრძოლა ივანოვის წინააღმდეგ, – ივანოვი ხომ გახსოვს, რუსეთის მიერ წარდგენილი მერი – კარლოს გამარჯვებით დასრულდა. ახლა ქართველი მერი გვყავს, კანონიერი გზით არჩეული. ძალიან საინტერესო მოძრაობები განხორციელდა, რომლის შესახებაც ყარამანი მოგითხრობს. კანონის ძალით სურდათ ჩვენთან ბრძოლა, ამ კანონის დამახინჯების გზით, რაც არ უნდა არახელსაყრელი ყოფილიყო ჩვენთვის. კარლოს საქმიანობის მხარდამჭერი დემონსტრაციები გავმართეთ; ეს საჭირო იყო, მაგრამ, ვშიშობ, ძვირად დაგვიჯდა. საბოლოოდ, ჩვენი გამორჩეული მეთაურები დაიჭირეს და გადაასახლეს.

ამ დაკავებების გამო ჩვენმა საქმიანობამ კრიზისი განიცადა, რადგან საკმარისი პროპაგანდისტები არ გვყავს. მაგრამ ციმბირიდან გამოქცეული ამხანაგის სულ მცირეხნიანი გამოჩენაც კი საკმარისი იყო მუშათა მორალურად გამხნევებისთვის. ჩვენ ორი კვირის განმავლობაში ვახერხებდით მის გადამალვას. უფრო მეტი ხნით შეუძლებელი იყო, რადგან მას კარგად იცნობდნენ ხელისუფლებაში. გურიისთვის შევქმენით ორგანიზაცია და ჩვენი გამო-



ნოე ხომერიკი (1882-1924)

სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი მეთაური. საქართველოს დამოუკიდებელი მთავრობის (1918-1921) სოფლის მეურნეობის მინისტრი. ემიგრირებული საფრანგეთში. საქართველოში აჯანყების მომზადების მიზნით დაბრუნდა. 1924 წელს ბოლშევიკებმა დახვრიტეს.

რჩეული ხალხი მუშაობს იქ, ბენია (ჩხიკვიშვილი)[1] და ხუნხუზი (ნოე ხომერიკი).[2]

ბენია ჩხიკვიშვილი გამორჩეული ორატორია, მაღალი, ღია ფერის თმით, წვერ-ულვაშით, გამოკვეთილი არწივის ცხვირით, პირდაპირი და სწრაფი მზერით. მისი ძლიერი, ენერგიული ხმა და შეუპოვარი სიმამაცე აუცილებელი იყო დიდი მანიფესტაციებისთვის და იმ უთანასწორო თათბირებისთვის, სადაც კაზაკების მხრიდან გაჟლეტის საფრთხე ემუქრებოდათ.

ხუნხუზი, იგივე ნოე ხომერიკი, ასევე ტიპური ქართველი იყო, თუმცა შედარებით დაბალი ტანის, ჩამოსხმული, შავი თმითა და წვერით, გამჭოლი მზერითა და გამორჩეული მომხიბვლელობით. სიტყვა სწრაფი ჰქონდა, როგორც საქციელი. ისეთივე კარგი მჭევრმეტყველი არ იყო, არც ისეთივე ხმა ჰქონდა, როგორც ჩხიკვიშვილს, მაგრამ, დაბადებიდან ორგანიზატორი, ჩვენს წრეში ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანი იყო, ჩვენი პატივცემული წარმომადგენლისა და პარტიის ლიდერის,

---

[1] ბენია ჩხიკვიშვილი (1880-1924) – ქართველი პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატი, 1905 წლის გურიის რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. 1919 წლის თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ აირჩიეს თბილისის ქალაქის თავად. 1921 წლის ოკუპაციის შემდეგ დატოვა საქართველო, თუმცა 1924 წელს დაბრუნდა ანტისაბჭოთა აჯანყებაში მონაწილეობის მისაღებად. წარუმატებელი ამბოხის შემდგომ დააკავეს ბოლშევიკებმა და დახვრიტეს (რედ.).

[2] ნოე ხომერიკი (1883-1924) – ქართველი პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიწათმოქმედების მინისტრი, ქართული სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი ლიდერი; დახვრიტეს 1924 წელს ანტისაბჭოთა აჯანყებაში მონაწილეობის გამო (რედ.).

სილიბისტრო ჯიბლაძის[1] შემდეგ. ჯიბლაძემ მთელი ეს პერიოდი ციმბირში გაატარა, თუმცა იქიდანაც ახერხებდა ჩვენი საქმიანობისთვის სული შთაებერა. ეს ორი ადამიანი, ჩხიკვიშვილი და ჯიბლაძე, საოცრად ავსებდნენ ერთმანეთს და გურიაში ქართველი პოლიტიკოსის სახეს ქმნიდნენ (ორივე მათგანი 1924 წლის აჯანყებისას დახვრიტეს).[2]

ერთწლიანი შეუპოვარი ბრძოლა დასჭირდა ჩხეიძეს იმისთვის, რომ რუსული ავტოკრატია ეიძულებინა კანონს დამორჩილებოდნენ, ივანოვი უკან გაეწვიათ და მუნიციპალიტეტში ქართველი მერი, ანდრონიკაშვილი აერჩიათ. ჩხეიძემ ის თავად ჩამოიყვანა ტფილისიდან, ძალიან დრამატულ პირობებში.

მიუხედავად იმისა, რომ თითქოს რუსული ავტოკრატია ქედს იხრიდა კანონის წინაშე, მაინც ცდილობდა კანონის გაბათილებას. კანონის თანახმად, მერის მფლობელობაში უნდა ყოფილიყო საკუთრება და ამომრჩეველი, რომელიც, თავის მხრივ, საგადასახადო სისტემის გათვალისწინებით იქნებოდა არჩეული. გუბერნატორი, თავის სურვილისამებრ, აპროტესტებდა არჩევნების ლეგიტიმურობას იმ მიზეზით, რომ მერი დიდი მიწის მესაკუთრე არ იყო. ეს პროცესი წამოწყებული იყო ანდრონიკაშვილის წინააღმდეგ, მაგრამ მცდელობამ ფიასკო განიცადა ჩხეიძის დაუღალავი საქმიანობის წყალობით: ერთ მამულზე ინტერესები წარმოადგინეს და უკანასკნელ წუთს მეორე მიწაც მოუძიეს!

ეს მომენტი ყველასთვის ამაღელვებელი იყო, რუსებისთვისაც და ქართველებისთვისაც ერთნაირად: დეპუტატები საზეიმო სხდომაზე იყვნენ ივანოვის თავმჯდომარეობით და ახალ მერს უნდა მიეღო თავისი დადგენილება. თუ ახლად არჩეული შუაღამემდე არ ჩამოვიდოდა, ყოველ მიზეზგარეშე, პოსტზე ივანოვს დაამტკიცებდნენ. ქართველები ჩხეიძეზე ამყარებდნენ იმედს, ის სასწრაფო წესით გაემგზავრა ტფილისში ანდრონიკაშვილის ჩამოსაყვანად.

მათი მატარებელი სხდომის დაწყებისთვის უნდა ჩამომდგარიყო, 21:00 სთ-თვის. ასე არ მოხდა. ამ ფაქტმა ერთნი სიხარულით აავსო, მეორენი კი დაამწუხრა. მოლოდინის ციებ-ცხელებაში სხდომა 21:00-ზე დაიწყო და თითქმის შუაღამემდე გაგრძელდა. 12

---

[1] სილიბისტრო ჯიბლაძე (1859-1922) – ქართველი სოციალ-დემოკრატი, პუბლიცისტი, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ყველაზე მხცოვანი წევრი და ერთ-ერთი ლიდერი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი (რედ.)

[2] სილიბისტრო ჯიბლაძე გარდაიცვალა 1922 წელს, ხოლო ხომერიკი და ჩხიკვიშვილი მართლაც დახვრიტეს 1924 წელს (რედ.).

საათს 5 წუთი აკლდა, ფაქტობრივად, ყველა იმედი გადაწურული იყო. ივანოვი საზეიმოდ სწევს მერიის ორდენს (ერთგვარი კოლიეს ტიპის ჯაჭვი, რომელიც, წესით, ანდრონიკაშვილისთვის უნდა ჩამოეკიდებინათ).

კიდევ ერთი წუთი... და ივანოვი მას კისერზე ჩამოიკიდებდა, რითიც გამოუსწორებელ აქტს შეასრულებდა... კარი იხსნება: ჩხეიძე ტრიუმფალურად შემოდის ანდრონიკაშვილთან ერთად!

ცარიზმმა მას ეს საქციელი არ აპატია. სამაგიერო გადაუხადა, მისი მანდატის კანონიერება გააპროტესტა; ბათუმის მუნიციპალიტეტიდან დაითხოვა ქართველი დეპუტატები.

* * *

პოლიტიკური იარაღის გადაცემის შესახებ ჩემი ძმის მონათხრობის შემდეგ, ჩვენ ბევრი საიდუმლო თათბირი გვქონდა, რომელიც ასევე ფარული კრებით გაგრძელდა. კრება ისიდორე რამიშვილმა მოიწვია მისი მმართველობის ქვეშ მყოფ სკოლაში. პირველად იყო, რომ ასეთ მნიშვნელოვან შეხვედრაში ვიღებდი მონაწილეობას. დღის წესრიგში, სხვა საკითხებთან ერთად, იდგა ეროვნულობის საკითხი, მთელი თავისი სირთულეებით. ამ თემასთან დაკავშირებით პარტიის მიერ მიღებული უახლესი გადაწყვეტილებები არ გვქონდა, ამიტომ მისი განხილვა დროებით გადავდეთ გაუგებრობების თავიდან აცილების მიზნით.

თუმცა ძალიან მაინტერესებდა რას ფიქრობდნენ ამასთან დაკავშირებით კარლო და ისიდორე. მათი მსჯელობის მანერა დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ჩემზე.

შეხვედრა რამიშვილმა გახსნა, მისი სიტყვა მკაფიო იყო. განსაკუთრებულ დამაჯერებლობას ფლობს. მისი საუბრის მანერა მომაჯადოებელია, თბილი ხმით ლოგიკურად ავითარებს არგუმენტებს. თითოეული სიტყვა სრული სიზუსტითაა გათვლილი და რაც უფრო მეტად ანთებულად საუბრობს, მით უფრო მეტად მშვიდი აქვს თვალები.

ბოლო პერიოდში ჩავთვალეთ, – ამბობს ის, რომ ეს ტაქტიკის საქმე იყო. ახლა უნდა გადავწყვიტოთ, გვინდა თუ არა ჩვენი დამოკიდებულების შეცვლა.

ყველა ამხანაგი, ჩემი ძმის ჩათვლით, რიგრიგობით იღებს სიტყვას. მხოლოდ ჩხეიძეს არ უთქვამს არაფერი. ბოლოს ისიდორემ შესძახა:

– ამხანაგო კარლო, მოგეხსენებათ, მოუთმენლად ველით შენ გამოსვლას. ალბათ არ დაუშვებ, რომ შენი მოსაზრების გაგების სიამოვნება დაგვაკლო. ეს ხომ ინტერესს დაუკარგავს შეხვედრას, დიდი იმედგაცრუება იქნება.

– გარწმუნებ, არაფერს დაკარგავთ, – უპასუხა ჩხეიძემ ჩვეული თავმდაბლობით.

გასასვლელად მოემზადა, რადგან ჩათვალა, რომ სხდომა დასრულებული იყო. მთელმა დარბაზმა მისი სიტყვა მოითხოვა და მქუხარე, სითბოთი სავსე ტაშის ფონზე დააბრუნა ადგილზე.

ჩხეიძე ტანით რამიშვილზე სულ ცოტათი იყო დაბალი, წელში ოდნავ მოხრილი და ფერმკრთალი. რამიშვილი, ჭაღარა წვერითა და ფართო შუბლით მქადაგებელს ჩამოჰგავდა, ჩხეიძეს კი გამორჩეული ინტელექტუალის იერი ჰქონდა. დასაწყისში მის სიტყვას განსაკუთრებული არაფერი ეტყობოდა, მაგრამ საუბრისას მეტი სიღრმე მიეცა, ხმა უფრო ნათელი გაუხდა, აზრიც უფრო მარტივად გასაგები გახდა. სიმშვიდეს ინარჩუნებდა და, ამასთან, აუდიტორია მონუსხული, ჩართული და ოჯახურ გარემოში მოქცეული ჰყავდა. ისიდორემ ყველას სახელით მადლობა გადაუხადა. გასვლისას რამდენიმე ამხანაგმა ზრდილობიანად მკითხა შთაბეჭდილება კარლოს შესახებ. ჯერ კიდევ მისი გამოსვლით მონუსხულმა, წავჩურჩულე, „კაჟია“. ეს ზედმეტსახელი შერჩა კიდეც.

ამ სამახსოვრო შეხვედრის ერთადერთი ცოცხალი შემსწრე ვარ. თუ პატივცემული ისიდორე რამიშვილი ცოცხალია, შორს, გადასახლებაში მყოფი, ახლა 94 წლის იქნება. რაკი ჩემი მონათხრობის მოწინააღმდეგეს ვერსად ვნახავ, ამიტომ უმცირეს უზუსტობასაც არ დავუშვებ, რომ ამბის ჭეშმარიტება არ დავაზიანო. მახსოვს, ყველანი თანახმა ვიყავით მიგვეღო *ეროვნული რესპუბლიკა, ჭეშმარიტად დემოკრატიული,* როგორც ეროვნული თავისუფლების უფლებისა, ასევე სამოქალაქოსი.

თუმცა, ამის საწინააღმდეგოდ, ჩვენ უარს ვამბობდით კოლაბორაციის სხვა ფორმებზე („ფედერაცია“, „ავტონომია“, მათი არსის რუსული, ანუ შეზღუდული გაგებით), თუ დემოკრატიული რესპუბლიკის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა რუსებთან ერთად. მხოლოდ შეუზღუდავი უფლებების პირობით, მთავარი იდეის გარშემო შეკრებილი პარტიზანები ვიყავით: სრული დამოუკიდებლობა. რაც შეეხება ფინეთსა და პოლონეთს, მომხრეთა მოსაზრება ერთსულოვანი იყო, ყველა მათ დამოუკიდებლობას უჭერდა მხარს. ახლაც მახსოვს ჩხეიძის მიერ წარმოთქმული შეუვალი სიტყვა:

– ჩვენ ვიბრძვით ძალადობრივი და მჩაგვრელი რეჟიმების წინააღმდეგ, ეროვნული იქნება ეს თუ კოსმოპოლიტური. შევეწინააღმდეგებით ყველა მთავრობას, რომელიც ხალხს ვალდებულებებს მოუმატებს, რათა ეს უაზრო ბიუროკრატია გააძლიეროს, რომელიც უკვე ძალიან მოგვბეზრდა. ამ შემთხვევაში ჩვენ ვუპირისპირდებით ცარისტულ ავტოკრატიას, რომელიც ჩაგრავს ხალხს, მათ შორის რუსებსაც. რაც შეეხება ჩვენს კონკრეტულ მოთხოვნებს, – მოცემულ შემთხვევაში, ეროვნული კუთხით – ჩვენი დამოკიდებულება ნათლად განისაზღვრა 1893 წელს ჩვენი პროგრამის მეორე მუხლით: სრული ეროვნული თავისუფლება. მაგრამ, პირველ რიგში, ჩვენთვის ერთიანი ბრძოლაა საერთო მტრის წინააღმდეგ, მუშათა კლასის უფლებებისა და ყველა დაჩაგრული ხალხის უფლებების დაცვა. ამ საქმეში გამარჯვება განამტკიცებს ხალხთა თავისუფლებასა და უფლებებს.

ჯერ კიდევ კარგად არ მქონდა გაანალიზებული ეს შთაბეჭდილება, რომ ერთ თვეში მოვიდა სამთავრობო ბრძანება ისიდორეს თანამდებობიდან დათხოვნისა და გადასახლების შესახებ. რამიშვილი საიდუმლო თათბირზე გამოგვემშვიდობა. სათანადო პასუხს სცემდა მისი მისამართით წარმოთქმულ ხოტბას, ამბობდა: „ვიცი, როგორი ადამიანი უნდა უძღვებოდეს საქმეს, თუმცა ისიც ვიცი, რომ ეს ადამიანი მე არ ვარ“.

ამ ფაქტს სხვა ინტელექტუალთა გადასახლებაც მოჰყვა. მაგრამ ზოგიერთმა გადასახლებულმა გაქცევა მოახერხა და ჩვენ სანახავად მოდიოდნენ ფარულად. რა თქმა უნდა, ეს სახიფათო იყო, ამასთან, ძალიან საინტერესო. მათ შორის იყო ერთი სტუდენტი, რომელიც მუშის ფორმაში იმალებოდა. ამხანაგებს ის ძალიან უყვარდათ, რადგან სწორედ მან გაუწია *სოსოს* დახმარება ცნობილი გაფიცვის დროს. სტუდენტი ჩემმა ძმამ გამაცნო. ვანომ სხვა თანამებრძოლებთანაც დამაკავშირა. ბევრი ადამიანი იყო რევოლუციური მოძრაობის კულუარებში, რომელთა შორის ყველაზე საინტერესონი იყვნენ ალექსიევი და გერვასი, ორივე როტშილდის ქარხნის დირექციის წევრი. ალექსიევი მამით რუსი იყო, დედით – ოსი, კავკასიური იერის გახლდათ. სიმპათიურიც იყო და ნიჭიერიც. ურთიერთობდა ვანოსთან. რათა ქართველ მუშათა შორის ცუდი წარმოდგენა არ შეექმნა, ქართულად ლაპარაკსაც ცდილობდა და ძალიან სასაცილოდ „ვანო-ძმას“ მეძახდა.

გერვასი! ჩვენი კავშირი თითქოს „თანდაყოლილი“ იყო. ბათუმში მას შემდეგ გადმოასახლეს, რაც სასჯელი მიწისქვეშა საკა-

ნში მოიხადა, სადაც ხუთი წელი გაატარა ისე, რომ ერთხელაც არ უნახავს დღის შუქი. მთელი იმ პერიოდის განმავლობაში მის თმას, წვერს და ფრჩხილებს მაკრატელი ერთხელაც არ მიჰკარებია. ერთი ფოტო მაჩვენა, მართლაც შემაძრწუნებელი. ოცდახუთი წელია ბათუმში ცხოვრობდა და ჯერ კიდევ არ ჰქონდა ქალაქის დატოვების უფლება. გარეგნობითა და საუბრის მანერით, პატივისცემას იმსახურებდა; მაღალი ტანის, ჭკვიანი და კარგად აღზრდილი, უმაღლესი განათლების მიღება ვერ დაასრულა. სტუდენტობისას ძალიან აქტიური რევოლუციონერი იყო, ე.წ. *ნახოდნიკი*. კვლავაც ამ მოძველებულ კონცეფციასთან ასოცირდებოდა, თუმცა აქტიურად აღარ იყო პოლიტიკაში ჩართული, რადგან მას ეს ეკრძალებოდა.

* * *

ზაფხული იწურებოდა. ისე გაცხარებულად ვსაქმიანობდით, ვერც კი შევნიშნე, რაღაც უჩვეულო რომ ხდებოდა ჩემ ირგვლივ. ცოტა უცნაურად კი მეჩვენება, რომ იმ საქმეს ვაკეთებ, რაც წესით ჩემს ძმას უნდა მოეგვარებინა, მაგრამ თავს ვირწმუნებდი: „როგორ? ნერვები მღალატობს? ამაში არაფერია არანორმალური, ამასთან, ამ ყველაფერს ჩემი ნებით ვაკეთებ!“.

პარალელურად ახალ დავალებებს მაძლევდნენ. ორი წლის წინ ჩემმა ძმამ მონაწილეობა მიიღო ზედა-ბახვში გამართულ ქართულ, კლასიკურ სპექტაკლში. მას ძალიან უყვარდა თეატრი და ხშირად უბრუნდებოდა სქელტანიან ქართულ წიგნს: *თეატრი ცხოვრების სახკეა*. უკვე ორი კვირაა ამ წიგნს აღარ ეკარება. საზოგადოებაში ისევ ჩვეულ მხიარულებას ინარჩუნებს, მაგრამ ზოგჯერ ვამჩნევ, ცუდ ხასიათზეა, შეწუხებული, მოწყენილიც კი. ჩემი დარდი ორმაგდება, როდესაც ვამჩნევ, რომ ვანოს მეგობრები, ალისო, ერისტო და ტროფინი უფრო მეტ ყურადღებას მე მითმობენ, ვიდრე მას. ჩემ მიმართ უფრო და უფრო მეტ კეთილგანწყობას ამჟღავნებენ. ზოგჯერ მეჩვენება, რომ მაკვირდებიან კიდეც. ვანო ერთ-ერთ მოგზაურობაშია, რომელსაც ჩვეულებრივ ახორციელებს ხოლმე, მიმტკიცებს:

– როგორც იცი, ჩემო ძვირფასო ხარიტონ, ვანო გუშინ რამდენიმე ამხანაგს უნდა შეხვედროდა ქობულეთში და რაკი დღეს კიდევ სხვებიც უნდა ენახა, შეიძლება შემთხვევით ისარგებლა და სახლისკენ გაეშურა, რათა ეზოს ხილი ჩამოგვიტანოს და მშობლები მოინახულოს.

– მაგრამ მე რატომ არაფერი მითხრა! რაიმეს დავაბარებდი! იქნებ, თავადაც წავსულიყავი, მშობლებს ვნახავდი, მეტადრე დედას! ისე მოულოდნელად დავტოვე.

– ასეთი ვიზიტი შეუძლებელი იქნებოდა, – მპასუხობს ტროფინი, – ურთულესი. ორივემ ერთად რომ დატოვოთ ბათუმი, ეს ჩვენი საქმისთვის დამღუპველია!

მეორე დღეს, შუადღისას ამხანაგმა პატარა წერილი მომიტანა, რომელსაც მოუთმენლად ველოდი:

„ჩემო ძვირფასო ძმაო, ხარიტონ, მაპატიე, ამ საღამომდე ვერ გნახავ. ჩამოსვლისთანავე რამდენიმე ამხანაგმა წამიყვანა სასწრაფო საქმისთვის. შენი ვანო“.

ამ სიტყვების წაკითხვისთანავე ცივმა ოფლმა დამასხა. დავდუმდი. ალისომ მხარზე მორტყმით გამომაფხიზლა.

– როგორი ბრგე ხარ, მოდი, ვიჭიდაოთ! – მეუბნება ალისო, რომელიც ვერანაირ ფიზიკურ აქტივობას ვერ იტანს, ნებისმიერ შეხებას ყოველთვის ამ რეპლიკით აპროტესტებს: „ველური!“.

– ვიჭიდაოთ? – გაოცებულმა გავიმეორე, თითქოს ღრმა ძილიდან გამომაფხიზლეს.

კვლავ დავდუმდი. მაშინ ჩემთვის საინტერესო თემებზე წამოიწყო საუბარი, რათა მეც ავეყოლიებინე.

შუაღამეა. უეცრად ჩემი ძმა გაჩნდა ჩემ წინ, გადამეხვია და ძალიან ლაკონიურად, დეპეშის სტილში მითხრა:

– მოკითხვა შემოგითვალეს მშობლებმა, ძმებმა, დებმა, მამიდებმა, ბიძაშვილებმა, სიძეებმა.

ისე სწრაფად მიტრიალდა და გამშორდა, მისი თვალების დანახვაც ვერ მოვასწარი.

– დედა კარგად არის?

– ცოტა შეუძლოდაა, – შორიდან მომაძახა, არც კი მობრუნებულა.

ღამით სიცხე მქონდა. მოგვიანებით გავიგე სიმართლე. დედაჩემი ძალიან ჯანმრთელი ადამიანი იყო. მე რომ გამოვეთხოვე, არაფერს უჩიოდა, მაგრამ უეცრად ავად გახდა და ჩემი ნახვა მოისურვა. გადაწყვიტეს, სახლში ჩავეყვანე. მაგრამ გაირკვა, რომ ეს მოგზაურობა ჩემთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენდა, ამიტომ დედა წინ აღუდგა ამ განზრახვას, რადგან ჩემი დაკავების მიზეზი ვერ გახდებოდა. სულ რამდენიმე ხანში გარდაიცვალა, ისე, რომ მისი ნახვა ვერ მოვახერხე. ამაზე მეტი ინფორმაცია არ მქონდა მიხაკოს ბათუმში ჩამოსვლამდე. მან მომიყვა, რომ ჩემი გამგზა-

ვრებისთანავე ზედა-ბახვის ბიბლიოთეკაში ჩხრეკა ჩატარდა, პროკლამაციები ამოიღეს და ბიბლიოთეკა დაკეტეს. სხვა საკითხებთან ერთად, მოკვლევამ დაადგინა, რომ ცარიზმის წინააღმდეგ მიმართული პროკლამაციები იმ წიგნებში იყო, რომლითაც მე ხშირად ვსარგებლობდი, ამიტომ ძიებაში ჩამრთეს.

– შარშანდელმა ინციდენტმა ზიანი მოგაყენა, მითხრა მიხაკომ. იმ დროს, როდესაც გაბილს მიმართავდი, მის გარშემო იერარქიულად მასზე მაღლა მდგომი პირების გარემოცვაში იყო, რომელთაც აიძულეს, შენთვის პასპორტი მოეცა. ეს ბოღმა არ დავიწყებია და სამაგიეროს გადახდას ლამობს. ბოლოს პასპორტი მხოლოდ იმიტომ მოგცეს, რომ თავიდან მოეშორებინე. შენ გამო, ვანოსაც უარი ვუთხარით დაკრძალვაზე ჩამოსვლაზე.

* * *

1902 წლის დეკემბერი იდგა. ჩემს ორ ძმას გამოვუცხადე, რომ, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, დედის საფლავზე უნდა მივსულიყავი. მიხაკო თვლიდა, რომ დიდ საფრთხეში ვიგდებდი თავს, მაგრამ, მიუხედავად მისი წინააღმდეგობისა, შუადღის მატარებელში ჩავჯექი და ღამით დანიშნულების ადგილზე ვიყავი.

სასაფლაო ზედა-ბახვში მდებარეობდა. კანცელარიიდან სამასიოდე მეტრში. ღამის ძილს მოეცვა ყველაფერი. მხოლოდ მთვარე ანათებდა გარემოს, პეიზაჟს ეკლესიის თავზე აღმართული ჯვარი გადმოჰყურებდა სიამაყით. ძალიან შორიდან მოჩანდა მისგან არეკლილი სხივები. დაახლოებით ნახევარსაათიანი გზა დამრჩენოდა ფეხით სასიარულო და წყეული კანცელარიის წინ აღმოვჩნდი. სასაფლაოზე ქურდივით შევიპარე.

ფეხის ხმა შემომესმა... თავს უნდა ვუშველო!

ერთი საათის შემდეგ ჩემს ბაღთან ვიდექი, ბორცვზე. ჭიშკარი გავაღე. ძაღლი შემომეგება, მიცნო და შემომახტა. ხმაურზე მამაჩემს გამოეღვიძა და თვალცრემლიანმა შემიყვანა სახლში. ვთხოვე, ზედმეტად არ შეწუხებულიყო, რადგან ნახევარ საათში უნდა წავსულიყავი. გამოსვლამდე ჯანა მოვიკითხე, მიხაკომ მითხრა, ავად არისო. დობირას ველზე ყოფილა (ფეხით თხუთმეტი წუთის სავალზე). ჩემი მშვენიერი ცხენი ძალიან ააღელვა ჩემმა დანახვამ, თავი ასწია და უზარმაზარი ცრემლები გადმოუგორდა, ისე, როგორც ადამიანს, რომელიც დიდი ხნის დაკარგულ მეგობარს შეხვდება. გრძნობების ასეთმა გამოხატვამ ძალიან შემძრა, მით უფრო, რომ სიცოცხლის რამდენიმე დღე დარჩენოდა. რამხელა

კეთილშობილებაა ამ ცხოველის ქცევაში! რა ბედნიერება იქნება ყველა ადამიანს მსგავსი რამ შეეძლოს! მოვეხვიე! დავემშვიდობე. ბაღის ნაწილი უკან გადავიარე, ეზო გადავჭერი, რათა კიდევ ერთხელ მომევლო თვალი იქაურობისთვის და ჭიშკრიდან გამოვედი. ყველაფერს ღრმა ძილით ეძინა. მხოლოდ შორიდან ისმოდა რამდენიმე ძაღლის ყეფა, ერთმანეთს ეპასუხებოდნენ. კიდევ ერთხელ დავემშვიდობე მშობლიურ სახლს და გავშორდი მას იმგვარად, თითქოს მე კი არა, ის მიდიოდა და თან დედის სიტყვებს ვჩურჩულებდი: „კიდევ გნახავ?“.

უკანასკნელ ძალებს ვიკრებდი, ღონემიხდილს გათენებამდე ოზურგეთის მატარებლისთვის უნდა მიმესწრო, სხვა შემთხვევაში ჩემი საქმე წასული იყო.

რა გავაკეთე? ქურდი ხომ არ ვარ, ბანდიტი, ასეთ იღბალს რატომ ვიმსახურებ? ღამით შევიპარო დედის საფლავზე, მშობლიური სახლი მალულად მოვინახულო და ყველაფერი ეს ჩემს ქვეყანაში, ისიც იმიტომ, რომ მე ის მიყვარს...

მხოლოდ მთვარე მიწვდიდა დახმარების ხელს და გზას მინათებდა...

თავი III

საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა

პოღიციისგან დევნიღი ჩემი ძმა გახბის

ჩემი ბათუმში დაბრუნებისას მიხაკომ შვებით ამოისუნთქა: „მადლობა ღმერთს, მეშინოდა, რომ ვეღარ გნახავდი!“

მამაცი ტემპერამენტის ვანო ნაკლებად ღელავდა. პირიქით, თვლიდა, რომ რისკი აუცილებელი იყო დამწყები რევოლუციონერისათვის, მხოლოდ ამ სიტყვებით შემოიფარგლა: „ყოჩაღ, ხარიტონ! ეჭვიც არ მეპარებოდა, შესანიშნავი გამოცდა ჩააბარე“.

სამუშაო გაგრძელდა. ჩვენი რევოლუციური საქმიანობა „ჩვეულ“ კალაპოტს დაუბრუნდა და, მოძრაობის ზრდასთან ერთად, უფრო ინტენსიური ხდებოდა. ნუთუ, მართლა ეს ზრდა იყო მიზეზი? მისი აჩქარებული რიტმი ჩვენც ყოველთვის გვიყოლიებდა. ჩვენი ძალისხმევა რეალურ შესაძლებლობებს აღემატებოდა; ეს შესაძლებლობები კი იმაზე ნაკლებიც იყო, ვიდრე ჩვენი მორალური გავლენა ხალხზე.

რას გულისხმობდა ჩვენი საქმიანობა? ცოტა რთულია მისი აღწერა მისი სირთულის, სამუშაოს ჭეშმარიტებისა და პოლიციური სირთულეების ფონზე. შევეცდები ძირითადი გადმოგცეთ რამდენიმე სიტყვით: დიდი პროპაგანდისტული წრე გვყავდა მუშებს, მოვაჭრეებს, სამეურნეო მუშებს, სასტუმროსა და რესტორნების, რკინიგზის, მერიის ოფისებისა თუ სხვადასხვა საჯარო დაწესებულის თანამშრომლებს შორის. პორტის თანამშრომლების მუდმივი ცვლა გარკვეულ პრობლემებს გვიქმნიდა, დიდ ყურადღებას ვუთმობდით ქართველ მუსულმან ძმებს; იმ სახის პროპაგანდა, რომელსაც კულტურული და ენობრივი ბარიერი ეღობება, უფრო რთულად გადასალახია, ვიდრე რელიგიური. ჩვენი საქმის სირთულეები ზოგჯერ განუზომლად იზრდებოდა და ზოგჯერ გადაულახავადაც კი ჩანდა. ბათუმი, ჩვენი ცენტრალური ქალაქი, რომელსაც პორტი აქვს, ამიერკავკასიის ხალხების და სპარსეთის შეკრების ადგილიცაა დასავლეთთან საკომუნიკაციოდ. ასევე, იზიდავს ჩვე-

ბათუმის ხედი



ნიკოღოზ ჩხეიძე (1864-1926)

მესამე (1908) და მეოთხე (1912) მოწვევის დუმის წევრი.
1917 წლის თებერვლიდან პეტროგრადის ეპოებითი სათათბიროს პრეზიდენტი,
1917 წლის ზაფხულში ეპოებითი პარლამენტის თავმჯდომარე.
ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ამიერკავკასიის სეიმის თავმჯდომარე, მოგვიანებით საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.
1918 წლის 26 მაისს. 1921 წლის 20 მარტს დატოვა საქართველო.
1926 წლის 11 ივნისს თავი მოიკლა.

ნი ქვეყნის მრეწველებსა და მუშებს. ჩვენ გვჭირდებოდა ისეთი ადამიანები, რომელნიც ამ მრავალფეროვან წრეებში შეაღწევ-დნენ. ქართულ ენაზე ყველა არ საუბრობდა (გარდა სომხებისა და ბერძნებისა, რომელნიც თითქმის ჩვენსავით ფლობდნენ მას), აუცილებელი იყო აუდიტორიისთვის მათ მშობლიურ ენაზე მიგვე-მართა. თუმცა ყველაზე რთული და სახიფათო რუსულ ჯგუფებთან მუშაობა იყო, რომლებსაც რუსული ცარიზმის წინაშე ერთგულების ფიცი ჰქონდათ დადებული. რუსული ენისა და ჩვენი საქმის უბა-დლო ცოდნა, ორატორული ნიჭი, უკულტურო ჯარისკაცებისთვის მიმართვის საჭირო ფორმა არ კმაროდა.

ქართველი შეიძლება მისთვის დამახასიათებელმა აქცენტმა გასცეს. ასეთ შემთხვევაში საქმე წაგებულია. ჩვენს რიგებს შორის ცოტა გვყავდა ისეთი ლიდერი, ვისაც ამ საქმის გაკეთება შეეძლო. საკითხის მოსაწესრიგებლად მუდამ რუსი რევოლუციონერების ძიებაში ვიყავით.

ერთ დღეს, ჩვენმა ამხანაგებმა, მუშებმა გვითხრეს, რომ მათ რიგებში არის ერთი რუსი, სტუდენტის უნიფორმით, რომელიც საინტერესოდ საუბრობს. ის უეჭველად სოციალისტი უნდა იყოს, რაკი ასე უშიშრად საუბრობს სოციალიზმზე და, ამასთან, ცარიზ-მის გადაგდების მიზანიც უნდა ჰქონდეს. ჩვენთან მოვაყვანინეთ. კარგად წარადგინა თავი, აზრსაც ნათლად გამოხატავდა, საქმეს საკმარისად იცნობდა, ამასთან, კარგად იყო განწყობილი. მისი გვარი იყო პეტროვი, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გახ-ლდათ. „აი, ადამიანი, რომელიც გვჭირდება“, განაცხადეს ჩვენმა კომპეტენტურმა ამხანაგებმა. ჩვენმა ორგანიზაციამ საქმეში ჩა-რთო და მას მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი მიანდო. გაურკვე-ველი მიზეზით, მასზე შთაბეჭდილება ჯერ არ შემქმნოდა. გაცნო-ბიერებულად არ შემეძლო ჩემი განწყობა გამომეხატა; ამგვარად, ეს მხოლოდ ჩხეიძეს გავანდე.[1]

ჩემო პატარა, მითხრა მან, პეტროვი კარგ შთაბეჭდილებას ახ-დენს ყველაზე; შენ ერთადერთი ხარ, ვინც გაურკვევლად განეწყო მის მიმართ. მის შესახებ უნდობლობა რომც გამოხატო, ყველა გკითხავს მიზეზს, რომელიც არ გაქვს. შენი ცუდი წინათგრძნობა შეიძლება იმით არის განპირობებული, რომ საკმაოდ კარგად არ იცნობ რუსებს.

---

[1] თხრობის ამ ნაწილში, თითქოს, ქრონოლოგიური წესრიგი დარღვეუ-ლია (მთარგმ. შენიშვნა).

ძირითადად თვითშემეცნებით ვიყავით დაკავებულები, რაც საკმარისი არ იყო. საქმე გვქონდა ერთმანეთისგან ძალიან განსხვავებულ წრეებთან, თუმცა, ზოგადად, კულტურის თვალსაზრისით, ზედა საფეხურზე მდგომნი იყვნენ. ამ წრეებში ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და ისტორიული თეორიები მუდმივად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. ჩვენ მზად უნდა ვყოფილიყავით აუდიტორიის შეკითხვებისთვის პასუხი გაგვეცა, რაც გვაიძულებდა გავცნობოდით წიგნებს, რომელშიც ზემოაღნიშნულ საკითხებზე იყო საუბარი. ეს დიდ სიამოვნებას გვანიჭებდა.

პროპაგანდისტისთვის სამი ვრცელი სასწავლო პროგრამა არსებობდა, რომელიც სხვადასხვა საფეხურს მოიცავდა. რა თქმა უნდა, მათ შორის ფანტასტიკური სფეროც იკვეთებოდა, თუმცა იყო მყარი რეალობებიც. პროგრამებს შორის ყველაზე უფრო ვრცელი მოიცავდა მსოფლიოს სერიოზულ წიგნებს. სამივე პროგრამის ფარგლებში აუცილებლად ისწავლებოდა: ბელტოვი, ვოლგინი (აქ იყო რუსული სოციალ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებლისა და თეორეტიკოსის გვარიც, პლეხანოვი), სტრიუვე, ბერდიაევი, ტ. ბარანოვსკი, ილინი (ლენინი), ჟელეზნოვი, ჩუპროვი, მარქსი, ენგელსი, კაუცკი, ჰ. სპენსერი, ოლარი და სხვ.

ბუნებრივია, ჩვენი უდიდესი ძალისხმევა მიმართული იყო დიდი ფრანგული რევოლუციისა და მისი იდეების შესწავლაზე.

ასევე, ქართულ ენაზე არსებობდა ჩხეიძის ნათარგმნი „ინგლისის ისტორია“. ეს ხელს უწყობდა ინგლისის ლიბერალური ინსტიტუციების პოპულარიზაციას. ყველაზე უფრო მოკრძალებულ პროპაგანდისტსაც კი უნდა შესძლებოდა, აუდიტორიისათვის აეხსნა ვისი სოციალისტური და ფილოსოფიური თეორიების წარდგენა ევალებოდა. რა თქმა უნდა, აუცილებელი იყო ქართული ნაწარმოებების ცოდნა, მათ შორის „ვეფხისტყაოსნის“, რომელიც ზეპირად ვიცოდით. ყველა წრეში, იქნებოდა ეს მუშათა თუ ინტელექტუალთა, აუცილებელ პირობად ითვლებოდა ჟურნალ „კვალის“ ბოლო ხუთი წლის გამოცემების გაცნობა. ის ყველას ჰქონდა წაკითხულიც და გადაკითხულიც. ამ პერიოდული გამოცემის რედაქტორი, ნოე ჟორდანია,[1] ძალიან დახვეწილად წარმოადგენდა

[1] ნოე ჟორდანია (1868-1953) – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთი დამაარსებელი, სოციალ-დემოკრატი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე (1918-1921), პუბლიცისტი, ქართველი სოციალ-დემოკრატების ლიდერი, პოლიტიკის თეორეტიკოსი და XX საუკუნის ქართული პოლიტიკური იდეების ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელი (რედ.).

ყველა პრობლემას და პასუხს სცემდა პერიოდის საჭირბოროტო საკითხებს, რაც ასე აინტერესებდა ჩვენს ხალხს. ჟურნალი ტფილისში იბეჭდებოდა და ცოტა ხნის წინ დაეხურა ცარისტულ ხელისუფლებას, ნოე ჟორდანია კი, რომელიც უკვე საკმაოდ ცნობილი იყო, დაჭერას გადაურჩა და უცხოეთს (ჟენევას) შეაფარა თავი.

* * *

დაჭერა და გადასახლება ნელ-ნელა უფრო გახშირდა. პოლიციას ჰყავდა დამსმენები. ჩვენი ორგანიზატორები და პროპაგანდისტები მუდამ მათგან თავის დაღწევას ცდილობდნენ. ჩვენ ვახერხებდით, სხვადასხვანაირად შეგვეფუთა ჩვენი შეხვედრები, რათა საიდუმლოება არ გამჟღავნებულიყო და დაჭერას ავცდენოდით. შეხვედრის ადგილები მუდმივად უნდა შეცვლილიყო. სიტუაციას კიდევ უფრო ართულებდა ის ფაქტი, რომ ცარისტულმა მთავრობამ მიზანში ამოიღო ეროვნულ-შოვინისტური მოედანი, ერთი მხრივ იმისათვის, რომ ჩვენ წინააღმდეგ განეწყო „არამკვიდრი“ მოსახლეობა, ყველა რუსი; მეორე მხრივ კი, შური დაეთესათ სხვადასხვა ეროვნების ხალხებს შორის, ერთმანეთისთვის დაეპირისპირებინათ და ხოცვა-ჟლეტა გამოეწვიათ. ჩვენი რუსი ამხანაგები რუსეთში ბევრად უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ, ჩვენს მდგომარეობას არ იცნობდნენ და ამ სიძნელეების წარმოდგენაც არ შეეძლოთ.

აღნიშნულ დაბრკოლებას ყოველდღიური მატერიალური პრობლემებიც ემატებოდა: ჩვენი სამუშაო დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. სხვადასხვა წრე თავის ორგანიზაციებს მხარდაჭერას უცხადებდა მათი საწევროს გადახდით, თუმცა ეს საკმარისი არ იყო. პროპაგანდისტები თავის ძალებს იდეალებში ხარჯავდნენ და მუდამ შიმშილობის მოლოდინში იყვნენ. ამ შემთხვევაშიც რუსები პრივილეგირებულები იყვნენ. როდესაც ჩვენთან ერთად მუშაობა უწევდათ, ჩვენ იმდენად კმაყოფილები ვიყავით თანამშრომლობით, ყველაფერს ვაკეთებდით, რათა ჩვენს „სტუმრებს“ არაფერი დაკლებოდათ. ასე მაგალითად, ჩხეიძე სტუდენტ პეტროვს მუდმივ ხელფასს უხდიდა, იმ მიზეზით, რომ ის რუსულს ასწავლიდა მის ვაჟს, რაც სიმართლეს არ შეესაბამებოდა.

ბევრი ჩვენგანი შეხვედრას, რესტორნებისა და ფარცხანაყანევის გარდა, ქალაქშიც ვნიშნავდით, ვარლამ რუხაძესთან,[1] ქართველ პოეტთან, რომელიც ღვინით ვაჭრობით იყო დაკავებული. მისი სიძის მფლობელობაში არსებული დაწესებულების დირექტორი იყო. იმ პერიოდის ბევრი ამხანაგის გვარი წაიშალა ჩემი მეხსიერებიდან. მხოლოდ ნოე ხომერიკი, ბენია ჩხიკვიშვილი, რაფიელ ჩიხლაძე,[2] გ. ერაძე,[3] ალ. დგებუაძე,[4] ლადო ჯიბლაძე,[5] კონსტანტინე კანდელაკი[6] მახსოვს. უკანასკნელი ოთხი გვარი მუშათა გამორჩეული ლიდერებისაა. სწორედ ამ ბანაკში განვიხილავდით ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს, ცოტას ვერთობოდით კიდეც, ვსარგებლობდით ხელგაშლილი პოეტის სტუმართმოყვარეობით.

---

1 ვარლამ რუხაძე (1874-1935) – ქართველი მწერალი და მთარგმნელი. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე რუხაძე თანამშრომლობდა სხვადასხვა ქართულ გამოცემასთან („კვალი“, „მოამბე“ და სხვ.). მის ლექსებს 1902 წელს რუსულმა ბიუროკრატიამ ცენზურა დაადო. 1918 წლის 26 მაისის შემდეგ აქტიურად ეწეოდა ლიტერატურულ საქმიანობას (რედ.).

2 რაფიელ ჩიხლაძე (1877-1919) – ქართველი სოციალ-დემოკრატი. 1917 წელს აირჩიეს საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად, 1918 წელს იყო ამიერკავკასიის სეიმის წევრი, 1919 წლის არჩევნების შემდეგ გახდა საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი (რედ.).

3 გიორგი ერაძე (1882-1971) – ქართველი სოციალ-დემოკრატი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი. 1918-1919 წლებში იკავებდა შრომის მინისტრის მოადგილის პოსტს, 1919 წლიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შრომისა და მომარაგების მინისტრი. 1921 წლის ოკუპაციის შემდეგ წავიდა ემიგრაციაში. ემიგრაციის პერიოდში იყო ლევილის ქართული მამულის საზოგადოების მმართველი. მის სახელს უკავშირდება დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის არქივის შენახვა-გადარჩენა. გარდაიცვალა პარიზში 1971 წელს (რედ.).

4 ალექსანდრე დგებუაძე (1882-1937) – ქართველი სოციალ-დემოკრატი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის შტაბის წევრი. 1921 წლის შემდეგ მონაწილეობდა ანტისაბჭოთა აჯანყებებში. დახვრიტეს 1937 წელს (რედ.).

5 ვლადიმერ (ლადო) ჯიბლაძე (1879-1938) – ქართველი სოციალ-დემოკრატი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი. დახვრიტეს დიდი ტერორის დროს 1938 წელს (რედ.).

6 კონსტანტინე კანდელაკი (1883-1958) – ქართველი პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატი; 1919 წელს აირჩიეს საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრად; 1919 წლიდან იკავებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის პოსტს. 1921 წლის ოკუპაციის შემდეგ წავიდა ემიგრაციაში. გარდაიცვალა 1958 წელს ლოზანაში (რედ.).

* * *

1903 წელი, ზაფხულის დასაწყისი. უკვე ერთი წელია, რაც ბათუმში ვარ. ვანო მეხუმრება, რომ აუცილებლად საზეიმოდ უნდა აღვნიშნოთ ერთი წლის იუბილე. მისი რამდენიმე მეგობარი, რომელნიც უკვე ჩემი მეგობრებიც იყვნენ, მისი წამბაძველობით, ამ „დიდი დღესასწაულის“ თემაზე ბევრს ხალისობდნენ. აი, ერთი ასეთი ხუმრობა: ამ დღისთვის მეტი სერიოზულობის მისანიჭებლად, გეგმა ფურცელზე ჩამოწერეს:

„დღესასწაული გაიმართება მერიის დიდ დარბაზში, სადაც მუნიციპალიტეტი მართავს თათბირებს (ეს შენობა ახალი აშენებულია და დარბაზი ბათუმში ყველაზე დიდია). მთავარი ორგანიზატორები: ჩვენი პატივცემული ისიდორე (რამიშვილი) და კარლო (ჩხეიძე). ისიდორემ უკვე მიიღო ბათუმში დაბრუნებისა და საღამოს წაძღოლის ნებართვა. ბათუმის ოლქის გუბერნატორი მას სადგურზე დახვდება და საკუთარი მანქანით მოიყვანს. ყარამანი პროტოკოლის უფროსია. კარლოს კი – რამდენიმე ხანია, მას რუსულად გამოსვლის შესაძლებლობა აღარ აქვს (მუნიციპალიტეტის დეპუტატი აღარ არის, ხელისუფლებამ გაათავისუფლა) – საშუალება მიეცემა ერთ-ერთი შესანიშნავი სიტყვა წარმოთქვას. გუბერნატორი, თანმხლებ პირებთან, ივანოვთან და პალმთან (რუსი შოვინისტები) ერთად, ისიდორეს სიტყვით გამოსვლისას შემოვლენ, რათა ქართული ენის ჟღერადობის სიამოვნებას არ დააკლდნენ“.

– და რაკი ხარიტონი ქალთმოძულეა, ამ დღისთვის მას ბერის სამოსი უნდა ჩავაცვათ, – თქვა ალისომ.

– თავზე მეტის ქუდს დავახურავთ, ასე უფრო სერიოზული და მშვენიერი იერი ექნება, – დაამატა ერისტომ.

ეს იუმორი ჩემი ძმის გემოვნებაში იყო, ამიტომ ბევრს იცინოდა. თუმცა მე ეს არ მომწონდა. ტროფინე ჩაერთო:

– მხიარული იერიც უნდა მივცეთ, სხვა შემთხვევაში ძალიან პირქუში იქნება ასეთი საზეიმო დღისთვის.

– რას გვთავაზობ? – იკითხა ალისომ.

– ხარიტონი მოვათავსოთ სამი მეტრის სიმაღლის სკამზე, რომელიც შევუკვეთეთ და ტრიბუნაზე ავიყვანოთ. მიბმული იქნება, რომ არ ჩამოვარდეს. შეკითხვებსაც იქიდან უპასუხებს.

ტროფინე აღტკინებულად და თეატრალურად საუბრობდა, ვერავინ, მათ შორის ვერც მე, სიცილს ვეღარ იკავებდა. უნდა ვაღიაროთ, კარგი მსახიობი იყო, კომიკურიც და დრამატულიც.

ტროფინე ალისოსა და ერისტოსგან გამოირჩეოდა, წარმოსადეგი, მშვენიერი, წაბლისფერი თმით, აპრეხილი ულვაშითა და სერიოზული გამომეტყველებით. როდესაც ჩვენთან საუბრობდა, მისი ფიზიონომია სრულად იცვლებოდა. ერთადერთი გახლდათ, ვინც პოლიტიკური საქმიანობით არ იყო დაკავებული. ძალიან დამწუხრებული იყო, რადგან სამხედრო ვალის მოხდა მაინც უწევდა, მიუხედავად ბევრჯერ გადავადებისა.

იმ დროს ამიერკავკასიაში ყველაზე მნიშვნელოვანი რამ ხდებოდა: საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა მთელ რეგიონში, რომელიც დეკრეტით დაამტკიცა ჩვენმა ცენტრალურმა კომიტეტმა (ტფილისში). პარტიას სურდა თავისი რეალური შესაძლებლობები ენახა. შედეგი დამაჯერებელი იყო: მატარებელთა და მანქანათა მოძრაობა სრულად შეჩერდა; ქარხნები, ფაბრიკები, სავაჭრო სახლები, კერძო ბიუროები და საჯარო დაწესებულებები დაცარიელდა. არც გაზმომარაგება, არც ელექტრომომარაგება, არც საგზაო მომსახურება. ყველა ქალაქი სიბნელემ მოიცვა, სრული უძრაობა. მხოლოდ ასეული კაზაკი შეინიშნებოდა ცხენით, სასროლად შემართული იარაღით ხელში.

საბჭოს ინსტრუქციის თანახმად, წესრიგი არსად დარღვეულა. გეგმის თანახმად, გაფიცვა სამ დღეს გაგრძელდა. მეთაურები სხვადასხვა ადგილზე კრებდნენ ხალხს და გეგმას აცნობდნენ. დაშლას ისე ახერხებდნენ, რომ მათთვის არც კაზაკებს მიესწროთ და არც რეგულარულ ჯარს. სწორედ ამ ფორმით, ბათუმში, თითქმის შუაგულ ქალაქში, რ. ჩიხლაძემ, თავისი მაღალი ხმით, სიტყვით მიმართა ხალხს, თუმცა სიტყვის დასრულებისთანავე ისე გაიფანტნენ, სისხლისღვრა აიცილეს თავიდან.

გაფიცვას ტრაგიკომიკური სიტუაციაც ახლდა. ჩვენი ახალგაზრდები ტელეგრაფების ხაზებზე კიდებდნენ წარწერებს: „ძირს ნიკოლოზ II! ძირს ცარისტული ავტოკრატია! გაუმარჯოს სრულიად რუსეთის დემოკრატიულ რესპუბლიკას!“. როგორც კი კაზაკები შენიშნავდნენ წარწერებს, მაშინვე ჩამოხევდნენ და ჩვენს ახალგაზრდებს დასდევდნენ, სამი მათგანი მოკლეს კიდეც. თუმცა უკან მიბრუნებულებს წარწერები ისევ ადგილზე ხვდებოდათ.

ერთხელ კაზაკებმა ტელეგრაფის ბოძზე შენიშნეს კაცი და მიზანში ამოიღეს. მან რუსულად ჩამოსძახა: „ჯერ გაიგეთ ვინ ვარ!“. მეთაურმა იარაღის დაშვების განკარგულება გასცა და იკითხა: „ვინ ხართ?“. კაცმა წარბშეუხრელად უპასუხა: „ნიკოლოზი“. მეთაურმა დაბლა ჩამოსვლა უბრძანა და რაკი შენიშნა, კაცი ჩამოსვლას არ აპირებდა, გაბრაზებულმა შესძახა: „ძირს ნიკოლოზ!“. მა-

შინ, კმაყოფილმა იმ ფაქტით, რომ კაზაკებს იგივე გაამეორებინა, რაც ტელეგრაფის ხაზებზე ეწერა, კაცი ნელ-ნელა ჩამოვიდა.

* * *

ჩიხლაძე, ჩემი ძმა და კიდევ მათი რამდენიმე მეგობარი ძებნილები იყვნენ, ამიტომ იძულებულები გახდნენ, პოლიციას გაქცეოდნენ და გაუჩინარებულიყვნენ. ნებისმიერი მოგზაურობა სარისკო იყო, ამიტომ თავდაპირველად ბათუმის შემოგარენში იმალებოდნენ. სამი კვირის განმავლობაში ვანოს რეგიონის ტყეებში ვმალავდი. ყოველ ღამე იცვლიდა სამალავს იმ დღემდე, სანამ მის ბაქოში გამგზავრებას არ გავუწიე ორგანიზება.

ჩემი ძმა იპარებოდა, რადგან მისი და ასევე, ჩიხლაძის თავები ხელისუფლებამ ძვირად შეაფასა. მარტო დამტოვა, დადარდიანებული. კიდევ ერთხელ თუ მომეცემოდა მისი ხილვის საშუალება?!

დამატებით განსაცდელი ნამდვილად აღარ მჭირდებოდა. ჩემი ძმის გამგზავრება დიდი კაეშანი იყო ჩემთვის. ის ჩემი მორალური და მატერიალური საყრდენი იყო. დღეიდან როლები შეიცვალა. მე მას უნდა დავხმარებოდი და თავიც გამეტანა. გერვასის სანახავად წავედი. იქნებ, რაიმე შემოსავალი მოეფიქრებინა ჩემთვის. მან ზედამხედველის პოსტი შემომთავაზა როტშილდის ქარხნის ხის დეპოს განყოფილებაში, რომლის დირექტორიც თავად იყო. ხის მასალა გამოიყენებოდა კონტეინერის ფაბრიკაციისთვის, რომელსაც ორი 16-ლიტრიანი ნავთობის ბიდონი უნდა დაეტია.

– ეს სამუშაო მარტივი არ არის, ყოველ შემთხვევაში, საწყის ეტაპზე, რადგან განსხვავებულ კომპეტენციებს მოითხოვს. მაგრამ არ იდარდოთ, შეუმჩნევლად დაგეხმარებით.

– არ შეწუხდეთ, – ვუპასუხე, – მალე შევეგუები. უფრო მეტად ის მაწუხებს, რომ ეს სამუშაო მთელ ჩემს დროს წაიღებს...

– მაშინ როგორ მოვიქცეთ? გინდათ, თქვენ ნაცვლად ვიმუშაო? – გამეხუმრა.

მადლობის თქმას და გამოსვლას ვაპირებდი, მაგრამ ის მიხვდა განზრახვას, გზა გადამიღობა და მითხრა:

– მისმინე, ჩვენ ხომ მეგობრები ვართ. სერიოზულად ნუ მიიღებ ჩემს ნათქვამს.

– მაგრამ თქვენი შეხედულება ზუსტია.

– ჯერ ერთი, თქვენობით აღარ უნდა მომმართო. მეორეც, შენთვის რა მნიშვნელობა აქვს, ზუსტია ის თუ არა. მთავარია, რომ მე

მოვახერხებ ისე, რომ გექნება დრო, რომელიც მნიშ-ვნე-ლო-ვა-ნი საქმისთვის გჭირდება.

– პირველ საკითხზე გეთანხმებით, მაგრამ...

– მეთანხმები, მაგრამ არც ასრულებ, რადგან ისევ თქვენობით მელაპარაკები. ახლა წადი, ჩემო ძვირფასო, და თვის ბოლოს მოდი. შენი კოლეგა საქმის კურსში ჩაგაყენებს.

ამ სიტყვებით დავტოვე ჩემი მეგობარი. ამ დღის მერე სულ ასე მომმართავდა. სიმართლე გითხრათ, გაკვირვებული ვიყავი და ვერ ვიგებდი რისი თქმა უნდოდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ მისი შემოთავაზება ხელს არაფერში მიშლიდა და მხოლოდ სარგებელი მოჰქონდა: მთელი დღითაც შეეძლო შევეცვალე ყოველ ჯერზე, როცა ეს მჭირდებოდა. დილით და შუადღისასაც შემეძლო დრო მქონოდა სამუშაოს დაწყებასა და დასრულებას შორის. ამასთან, ჩემი კვალიფიკაცია საშუალებას მაძლევდა სხვადასხვა ქარხანაში მემოძრავა და ორგანიზაციების წარმომადგენლებთან კავშირები გამება.

* * *

შემოდგომაზე ჩემი ძმა სევასტი მეწვია, ის ვანოზე უფროსი იყო. ოდესაში სამხედრო სამსახური დაასრულა, მას შემდეგ, რაც მონაწილეობა მიიღო კოალიციური ძალების ჩინეთის წინააღმდეგ ომში. ბაქოს გავლით ჩამოვიდა და ვანოს ამბებიც ჩამოიტანა. სახლში ჩასვლამდე, შემოვლითი გზა აირჩია ჩემ სანახავად. სტუმრობა ძალიან ხანმოკლე იყო. შენიშნა, რომ კარგად არ ვიყავი. გარეთ გამოვედი მის გასაცილებლად. თავი შეუძლოდ ვიგრძენი და ეს რომ დამემალა, დავეყრდენი. არ მახსოვს როგორ აღმოვჩნდი მის მხარზე. უეცრად მივხვდი, რომ ჩემი მოღალატე ფეხები მის ოქროს მედალზე იყო ჩამოკიდებული, რომლითაც ახლახან დაეჯილდოებინათ.

რა თქმა უნდა, ჩემმა ასეთმა უეცარმა გაუჩინარებამ, თან სამხედროს მხარზე მისვენებულის სცენამ, ხალხს აფიქრებინა, რომ დამიჭირეს.

უამრავმა დავალებამ, მრავალმა ემოციამ, მათ შორის ძალადობრივმა, მთელი ჩემი ენერგია წაიღო. ექიმებმა სასწრაფოდ საავადმყოფოში დამაწვინეს და ეს ყველაფერი მხოლოდ ორი კვირის შემდეგ გავიგე, როდესაც გონზე მოვედი.

* * *

გამოჯანმრთელების პროცესში ყოფნისას სამჯერ მეწვია ჩხეიძე. ერთხელ წიგნები მომიტანა თავისი ბიბლიოთეკიდან და როდესაც ნახა, საფრანგეთის რევოლუციის ისტორიას ვკითხულობდი, მითხრა:

– ჩემო პატარა, ეს ჯერ ძალიან ადრეა შენთვის.

ეს ეპითეტი საწყენი იყო: „ჩემმა საქმიანობამ და საქმისადმი ერთგულებამ მის თვალში იმ სიმაღლემდე არ ამიყვანა, რომ „ამხანაგო“ მიწოდოს?“ – ვეკითხებოდი თავს.

ბოლოს იმ დასკვნამდე მივედი, რომ ჩხეიძე სიტყვა „ამხანაგს“ მხოლოდ გარდაუვალი აუცილებლობისას იყენებდა. ამ ფაქტმა ხასიათზე მომიყვანა და ჩვენი ურთიერთობა მეგობრული გახადა.

საავადმყოფოში მოსულ მნახველთა შორის აუცილებლად უნდა ვახსენო ჩემი ერთ-ერთი ბავშვობის მეგობარი, სემინარიელი სტეპკო ინწკირველი, რომელიც მოგვიანებით, ბოლშევიკების პერიოდში, *კობას*[1] თავდადებული ლეიტენანტი გახდა.

წლის ბოლოს, ძლივს გამოჯანმრთელებული, საქმეს დავუბრუნდი. სევასტიმ ორი თვე სახლში გაატარა და ბათუმში დაბრუნდა, ჩემთან ერთად საცხოვრებლად. საინტერესოა, რომ შეცვლილი მეჩვენებოდა, ვაკვირდებოდი ისე, რომ არ შეემჩნია. მასაც გადასხვაფერებული ვეჩვენებოდი, მაგრამ, როგორც უფროსი ძმა, ამის თქმას არ მორიდებია. მისმა ფიცმა ცარიზმის წინაშე, ოთხწლიანმა სამსახურმა, გარემომ, სადაც ეს დრო გაატარა, პოლიტიკური თვალსაზრისით მასში ისეთი პიროვნება ჩამოაყალიბა, რომელიც შორს იყო იმ პერიოდის გარემოსგან, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით. ძილის წინ, დილით, სადილის წინ და შემდეგ ყოველთვის ლოცულობდა. მე ეს ბუნებრივად მეჩვენებოდა, თუმცა ჩვენი რევოლუციონერები ასე არ ფიქრობდნენ. ალისო დროებით ჩემთან ცხოვრობდა. ერთხელ თავს უფლება მისცა, მისთვის შენიშვნა მიეცა ამ თემაზე. მე შევევედრე, მეორედ ამ თემას აღარ შეხებოდა. მაგრამ, როდესაც ჩემმა ძმამ მოითხოვა მისი იდეების მოზიარენი გავმხდარიყავით, სიტუაცია, როგორც ხვდებით, დაიძაბა. მეტიც, ერთ დღეს თითქმის დამემუქრა:

– რევოლუციურ საქმიანობას თუ არ მიატოვებ, პოლიციაში დაგასმენ.

---

[1] კობა – ამ სახელით იხსენიებდნენ ახალგაზრდა სტალინს (რედ.).

– ამ სიტყვების გაგონებაზე ალისო კინაღამ თავს დაესხა. მე ის შევაჩერე და ჩემს ძმას ვუთხარი:

– არა, შენ ამას არ იზამ.

– რატომ გგონია? და რომ გავაკეთო?

– არა, დარწმუნებული ვარ.

ამ ინციდენტის შემდეგ ჩემს ამხანაგებს ვთხოვე, არასდროს შესულიყვნენ მასთან კონფლიქტში, რაც არ უნდა ეთქვა. ამასთან, დავარწმუნე, რომ არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენდა. მე კი მტკიცედ გავაგრძელე ჩემი საქმე და თავისუფლება მივეცი, ჩემთვის თვალყური ედევნებინა.

შედეგი მოულოდნელი იყო: ორი თვის შემდეგ ახალმა ტალღამ იფეთქა მასში, სრულიად უცხომ. სურვილი წვავდა, ჩვენთვის სასიკეთო საქმე გაეკეთებინა; გვთხოვა, ჩვენს რიგებში გაგვეწევრიანებინა. არალეგალური ლიტერატურის გავრცელებით დაკავდა და ცოტა ხანში პროფესიონალი რევოლუციონერი გახდა. მოგვიანებით ბაქოში გამოსცა სოციალ-დემოკრატიული გაზეთი რუსულ ენაზე „Бакинский гудок“. ჩემი უცხოეთში ემიგრაციისას მთხოვდა, მისთვის სტატიები მიმეწოდებინა ევროპაში მიმდინარე პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ, მეტადრე საფრანგეთში. ამ თემებზე 1911-1913 წლებში წერდა. მოგვიანებით ტრიბუნალის წინაშე წარსდგა და ერთი წლით პატიმრობა მიუსაჯეს ამ საქმიანობისთვის და შემდეგ... ისტორია იგივე იყო. მიუხედავად ძიებისა, მასზე აღარაფერი მსმენია...

როგორც ვხედავთ, ორი თვის ჩვენს წრეში გატარება საკმარისი აღმოჩნდა, რომ ოთხწლიანი, სასტიკი რუსული სამხედრო სამსახურის ნაკვალევი სრულად განადგურებულიყო და კვლავაც ძველი, ქართველი სევასტი დაბრუნებულიყო.

თავი IV

რუსეთ-იაპონიის ომი

ამბოხი-სასაკღაო

1904 წლის დასაწყისია. ჩვენ ვაგრძელებთ საქმიანობას შიდა და გარე სფეროებში, ვინიშნავთ მოსაზრებებს, ვისმენთ ყველაფერს, საიდანაც რაიმე რეალობის გამოდნობა შეიძლება. მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი, რევოლუციური მიმდინარეობისთვის სასარგებლო არაფერი გამოგვრჩეს, რათა გავათავისუფლოთ დაჩაგრული ხალხი და მუშები.

რა თქმა უნდა, არც ერთ შანსს არ ვტოვებდით, რომ ადგილობრივი პოლიციის სისასტიკე და ადმინისტრაციის თვითნებობა არ გაგვეპროტესტებინა. ჩვენი ბრძოლა უმეტესწილად მიმართული იყო დევნისკენ, რისი მსხვერპლიც სომხები გამხდარიყვნენ.[1] ხმას ვიმაღლებდით ამ სისხლიანი რეპრესიების წინააღმდეგ, რომელთაც ეწირებოდნენ: პოლონელები, უკრაინელები, ლიეტუველები, ლატვიელები და ესტონელები. ჩვენი პარტია უყურადღებოდ არ ტოვებდა ასევე პოგრომებს ებრაელთა წინააღმდეგ, რომელსაც ცარისტული ხელისუფლების აგენტები ახორციელებდნენ. ამგვარად, ჩვენ ვიყენებდით ყველა შეცდომას, რომელსაც სანკტ-პეტერბურგის მთავრობა უშვებდა.

ძირითადი საბრძოლო საშუალებები შემდეგი იყო:

1. საიდუმლოდ დაბეჭდილი ცნობის ფურცლების გავრცელება ყველგან. ყოველგვარი ეჭვის გასაქარვებლად, ჩვენ პრიმიტიულ საბეჭდ მოწყობილობებს სხვადასხვა ადგილას ვამონტაჟებდით, პოლიციის უფროსის ან მთავრობის წარმომადგენლის სახლში. ამ ფურცლებს „პროკლამაციებს“ ვუწოდებდით.
2. დღის წესრიგზე ისეთ ხალხთან ვსაუბრობდით, ვისაც საზოგადოების სხვადასხვა წრესთან ჰქონდა ურთიერთობა, ამიტომ

[1] მათი დევნა იმდენად სასტიკი იყო, რომ სომხები უიმედოდ რეაგირებდნენ. სწორედ მათი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით მოეწყო თავდასხმა კავკასიის მთავარმართებლის, გოლიცინის წინააღმდეგ 1904 წელს, ტფილისში (ხ. შავიშვილი).

კონკრეტული თემა ძალიან სწრაფად ვრცელდებოდა. საზოგადოებრივ აზრს ჩვენ ვაძლევდით მიმართულებას.

3. მანიფესტაციების გამართვა ქუჩებში და მოედნებზე. ასეთ ადგილებში, ბუნებრივია, სიცოცხლით ვრისკავდით, რადგან, ბრძანების თანახმად, მანიფესტანტისთვის სროლა ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე შეიძლებოდა. ამიტომ ამ საშუალებას უკიდურესი აუცილებლობისას მივმართავდით.

სხვა ერების სოციალისტური პარტიებისგან განსხვავებით, რომელთაც რუსული იმპერიალიზმი ჩაგრავდა, ჩვენი საქმიანობის ამ პერიოდში ეროვნული ნიადაგის პრეტენზიები არ წამოგვიწევია და წინა პლანზე ვაყენებდით ჩაგრულ ხალხთა სოლიდარობას. მოვითხოვდით უფლებების დაცვას და თავისუფლებას ყველასთვის, მათ შორის რუსებისთვის. და თუ ჩვენი ამხანაგები ან რუსი ლიბერალები ვერ ახერხებდნენ იმავე საქმის კეთებას, ის ფაქტი გვაკმაყოფილებდა, რომ ისინიც ჩვენნაირად ფიქრობდნენ.

იმ დროს საგარეო საქმეებიდან ყველაზე მეტად შორეული აღმოსავლეთის საკითხი გვაღელვებდა. ჯერ კიდევ 1903 წლის საყოველთაო გაფიცვისას ერთ-ერთი ჩვენი პროკლამაცია ამ საკითხს აფასებდა, როგორც „ძალიან სერიოზულს“, რომელიც შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზრდებოდა. გეოგრაფიული მდებარეობიდან და მსოფლიოს საუკეთესო ჯარის არსებობის ფაქტორიდან გამომდინარე, რუსეთმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა კოალიციური ძალების ომში ამომავალი მზის იმპერიის წინააღმდეგ. ომმა ჩინეთიც გაანადგურა, ნაწილებად დაშალა, რაშიც ლომის წილი რუსეთს მიუძღოდა. უდიდესი მანჯურია ანექსირებულია. ხალხის უფლება მხოლოდ ფორმალურად იქნა დაცული, რადგან ერთი ტრაქტატი ხელმოწერილი იყო ამომავალი მზის იმპერიის მიერ, დანარჩენი კი გამარჯვებულებმა წარადგინეს. თუმცა ძალიან მალე, საერთაშორისო კონვენციების საწინააღმდეგოდ, რუსეთმა ლიუიშუნი მიიტაცა. იაპონელებმა მიიჩნიეს, რომ საფრთხის წინაშე იყვნენ და სანკტ-პეტერბურგს მოლაპარაკებები მოსთხოვეს. ნიპონის[1] პირველმა ცდამ კრახი განიცადა. თუმცა აღმოსავლური მოთმინებით, ყველაფერი იმ დღემდე გრძელდებოდა, სანამ იაპონიის საელჩოს დაჟინებულ მოთხოვნას მოლაპარაკებების თაობაზე, ნიკოლოზ II-ის მრჩევლებმა 21 იანვარს არ უპასუხეს, რომ მოლაპარაკებებისთვის შეუსაბამო დრო იყო, რადგან „დედოფალს ყური სტკიოდა“! ამჯერად ნიპონის საპასუხო შეტევამ არ დააყოვნა

[1] იგულისხმება იაპონიის იაპონური სახელწოდება (რედ.).

და, ომის გამოუცხადებლად, ლიუიშუნში რუსული საბრძოლო გემები ჩაძირა.

ომი მეორე მხარემ გამოაცხადა და ძლიერი კამპანია დაიწყო.

იმპერიული პროკლამაციები განსაკუთრებულ საზეიმო ფონზე უნდა გავრცელებულიყო ბათუმში, ომის პორტში, ოსმალეთის იმპერიის მეზობლად. ეს უკანასკნელნი რუსეთის მოწინააღმდეგენი იყვნენ და ბათუმი ადრე მათ ეკავათ. მოგვიანებით ეს ქალაქი რევოლუციონერთა კერად გადაიქცა, რომელთაც ექვსი თვის წინ უპატიებელი რამ ჩაიდინეს, საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა მოაწყვეს.

25 იანვარი სადღესასწაულო დღედ უნდა ქცეულიყო, რომელიც მეფის იდეოლოგიის ქვეშ გააერთიანებდა ყველას, რუსული პატრიოტიზმით დამუხტავდა და ომის ენთუზიაზმის ცეცხლში გაახვევდა. ეს კი რევოლუციის განადგურების პროლოგი იქნებოდა!

ამგვარად, რუსი ხელისუფლების წარმომადგენელნი თუ სამოქალაქო პირნი ძალიან აქტიურები იყვნენ ბათუმში. ისინი ემზადებოდნენ... ჩვენც!

* * *

მშვენიერი დილა იდგა. ამომავალი მზე დიდებულად ანათებდა ლამაზ პარკს, სადაც სხვადასხვა სახეობის პალმები საოცარ ბულვარს ქმნიდნენ ზღვის ნაპირზე. აღმოსავლეთით, არც ისე შორს, მოჩანდა რუსული კათედრალი, რომელიც ახლახან აშენდა ცარისტული იმპერიის ბრძანებით. დღეს ოფიციალური პროკლამაცია სწორედ იქ შედგება.

რუსული ქვედანაყოფები ყველა მხრიდან მოიჩქაროდნენ შესანიშნავ მწყობრში. ჯარისკაცები ციცაბო ფერდობებიდან ეშვებოდნენ, ციხეებიდან, რომელიც გარს აკრავს ბათუმს; იარაღი მხარზე ჰქონდათ გადაკიდებული, ხიშტები მზეზე ბრწყინავდა. მათ შემდეგ გამოჩნდა კაზაკების პოლკი და ჟანდარმერია (პოლიტიკური პოლიცია). გუბერნატორი, ციხეების გენერალ-მეთაურები, უმაღლესი ოფიცრები, ყველა ეკლესიაში იკრიბებოდა და პირველ რიგებში თავსდებოდა ჯარისკაცებით, კაზაკებითა და ჟანდარმერიით გარშემორტყმულნი. დანარჩენი, 4 თუ 5 ათასი ჯარისკაცი ეკლესიის გარშემო იდგა. ისინი ისე იყვნენ შეიარაღებულნი, თითქოს საბრძოლო ველს უახლოვდებოდნენ, ძალიან შთამბეჭდავი იყო.

ბევრი სამოქალაქო პირიც მოსულიყო. მიუხედავად სუსხიანი დილისა, მაინც ხალვათად ვიყავით ჩაცმულები. დაახლოებით ათნი, სათავეში ბენია და ხუნხუზი (ნოე ხომერიკი) გვყავდა, ორივე მათგანი გამორჩეული სიმამაცითა და მახვილგონიერებით. ცალ-ცალკე შევედით, რომელიმეს დაჭერის შემთხვევაში, ყველა ერთად არ ჩავცვენილიყავით. რა თქმა უნდა, სამოქალაქოებს შევერიეთ. საბოლოოდ ერთმანეთის შორიახლოს უნდა განვლაგებულიყავით ისე, რომ ჯგუფურად მაინც არ ვმდგარიყავით. თითოეულს საკუთარი რევოლვერი გვედო ჯიბეში.

ლოცვას ბოლო არ უჩანდა... როგორც იქნა! ვიღაცამ ომის გამოცხადების ბრძანების კითხვა დაიწყო. სწორედ იმ დროს, იარაღი ჰაერში გავცალეთ და დავიძახეთ: „ძირს ომი! ძირს ავტოკრატიული ცარიზმი! გაუმარჯოს სრულიად რუსეთის დემოკრატიულ რესპუბლიკას!“.

ხალხი ენით გამოუთქმელმა პანიკამ მოიცვა. საყოველთაო არეულობა დაიწყო. ხელისუფლების წარმომადგენელნი ჯარისკაცებში გაერივნენ, ისინი კი მხოლოდ აქედან თავის დაღწევაზე ოცნებობდნენ. ამ აყალმაყალში ომი აღარავის ახსოვდა.

საოცნებო მდგომარეობაში არ ვიყავით, შემოსვლა ადვილი არ იყო, თუმცა გასასვლელისკენ გზის გაკვალვა წარმოუდგენლად გვეჩვენებოდა. ბევრი ფიქრის დრო არ გვქონდა, ჩვენი სამოქმედო გეგმა ისედაც გადაწყვეტილი იყო. როგორც კი იარაღები ვისროლეთ, ისინი დაბლა დავყარეთ ისე, რომ არავის შევენიშნეთ და რევოლვერებს აღარ გავკარებივართ.

ერთ წუთს ბენია და ხუნხუზი შევნიშნე კართან, რაც იმის ნიშანი არ იყო, რომ გასვლას მოახერხებდნენ, თუმცა მალევე გაქრნენ ჩემი მზერიდან. მას შემდეგ, რაც დაკისრებულ მისიას შევასრულებდით, თითოეულ ჩვენგანს თავის თავზე უნდა ეზრუნა. ეს ერთადერთი მითითება იყო, რაც ამგვარ ვითარებაში მოქმედებდა.

აი, მოვახერხე გარეთ გამოსვლა! ჯარისკაცები ერთმანეთთან და სამოქალაქო პირებთან ძალიან ახლოს განლაგდნენ. სამხედროები, კაზაკები და ჟანდარმერია ერთმანეთში ირეოდა. გარშემო მხოლოდ საბრძოლო ხიშტები ჩანდა. უეცრად გაისმა სტვენა, გუგუნი, რაღაც კონფლიქტში მოვყევი. მერე აღარაფერი...

მოგვიანებით გავიგე, რომ ვიღაცამ გამომიყვანა. თუმცა ამ უცნობმა გამჟღავნება აღარ ისურვა. ასევე მითხრეს, რომ სამხედროებმა ხალხის მიმართულებით ისროლეს, 15 ადამიანი მოკლეს და უამრავი დაიჭრა. რა თქმა უნდა, მათ შორის არ იყვნენ ისინი, ვინც დარეგისტრირება არ ისურვა რეპრესიების შიშით. ძალიან

მაინტერესებდა რა დაემართა ჩვენს გუნდს, განსაკუთრებით კი მამაცი ბენიასა და ხუნხუზის ბედი მაღელვებდა. მაგრამ აუცილებელი იყო წინდახედულობა, არავის უნდა შევხვედროდით, არცერთ ამხანაგს. ქალაქი ალყაში იყო. განრისხებულები ეძებდნენ დღესასწაულის ჩამშლელებს. ასეულობით კაზაკი განუწყვეტლივ დადიოდა ქუჩებში.

მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ შევიტყვე, რომ ბენია, ხუნხუზი და კიდევ ერთი ახალგაზრდა მუშა, რომელიც ყველაზე მოხერხებული იყო, იმავე დღეს გაემგზავრნენ ბათუმიდან, ცოცხლები და საღსალამათები. ბენია ერთი წლის მერე ვნახე, როდესაც ბათუმში ჩამოვიდა, ომის გამოცხადების ერთი წლისთავზე. ჩვენს ორგანიზაციას ორატორი სჭირდებოდა, რათა ხალხი მოეზიდა მანიფესტაციაზე. ხუნხუზს კი შორაპანში შევხვდი, 1905 წლის დეკემბერში, ჩვენს უბანში, სადაც ის გურიის წითელი არმიის სათავეში მოდიოდა.

ჩვენი ჯგუფის დანარჩენი წევრები კი, რომელნიც მუშებს შორის შევარჩიეთ, უკლებლივ დაიღუპნენ მანიფესტაციისას. მე მათ არ ვიცნობდი, ისინი სწორედ იმ დღეს ვნახე პირველად და უკანასკნელად.

ეს გამორჩეული მოვლენა იყო ომის ისტორიაში და გადამწყვეტი როლი შეასრულა რუსეთ-იაპონიის ომში. ამბავი მთელ იმპერიაში გავრცელდა და რუსული ჯარის დემორალიზება გამოიწვია. ექვსი თვის თავზე, 1904 წლის ივლისი-აგვისტოს თვეებში კავკასიაში მდგარი რუსეთის ჯარი მანჯურიისკენ გაგზავნეს, ისინი კი ურალთან მისვლამდე ამბოხდნენ. მათი უკან გამობრუნების აუცილებლობა დადგა. მოგვიანებით, ამბოხი და აჯანყება უფრო ხშირი გახდა ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში. 1905 წლის 5 იანვარს რუსეთის დედაქალაქში, სანკტ-პეტერბურგში, ყველაზე უფრო სასტიკი და სისხლიანი დემონსტრაცია ჩატარდა. მანიფესტაციას მართავდა მნიშვნელოვანი დაწესებულება, პუტილოვის ქარხანა, რომელიც საბრძოლო იარაღს ამზადებდა. ეს იყო უზარმაზარი ოდენობის ხალხი, რომელთაც სათავეში მღვდელი გრიგორი გაპონი[1] ედგა. ხალხი სასახლისკენ დაიძრა და მეფის ნახვას მოითხოვდა. ხელისუფლება იძულებული იყო მათ წინააღმდეგ ჯარი გამოეყვანა. ჯარისკაცები იარაღითა და ტყვიამფრქვევებით აღჭურვეს, თითქოს

[1] შავიშვილი გულისხმობს მღვდელ გიორგი გაპონს. გიორგი გაპონი (1870-1906) – რუსი მართლმადიდებელი მღვდელი და რუსეთის მუშათა მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. 1905 წლის რუსეთის რევოლუციის უპირობო ლიდერი (რედ.).

ფრონტის ხაზზე აგზავნიდნენ. ხალხის მიმართულებით ნასროლ ტყვიებს უამრავი მსხვერპლი მოჰყვა. ამგვარ ხოცვა-ჟლეტას ისეთი გამოძახილი ჰქონდა მთელ რუსეთში, რომ სწორედ ამას შეიძლება ვუწოდოთ „1905 წლის რევოლუციის“ დასაწყისი.

ამგვარად, საქვეყნოდ ცნობილი მოსაზრება, რომ 1905 წლის რევოლუციის მიზეზად რუსეთის მიერ მანჯურიაში განცდილი მარცხი იქცა, ყავლგასულია. პირიქით, სწორედ ის მარცხი იყო რევოლუციური მოძრაობის შედეგი. მიზეზები შედეგებში არ უნდა აგვერიოს.

რევოლუციური მოძრაობა, რომელიც თანმიმდევრულად ვითარდებოდა და იზრდებოდა, ამ მოვლენებამდე თითქმის ოცი წლით ადრე უკვე აწუხებდა ცარისტულ მთავრობას. 1900 წლიდან ყველაფერი დაჩქარებული ტემპით ვითარდებოდა: გაფიცვები და სტუდენტთა მანიფესტაციები, სისხლიანი შეხლა-შემოხლები, უნივერსიტეტების დახურვა, მმართველების დაჭერები და გადასახლებები, არეულობები ინდუსტრიულ ცენტრებში, ქარხნების მუშათა გააფთრებული გაფიცვები პოლიტიკური მოთხოვნებით – ასეთი იყო რევოლუციური მოძრაობის ბუნებრივი მოცემულობა რუსეთ-იაპონიის ომამდე ოთხი წლით ადრე.

ამ პერიოდის განმავლობაში არა მხოლოდ რევოლუციური პარტიები – სოციალ-დემოკრატიული, სოციალ-რევოლუციური – ეწეოდნენ ფარულ, გაშმაგებულ პროპაგანდულ საქმიანობას, აკრძალული ლიტერატურის გავრცელებას, არამედ, რუსი ლიბერალებიც, რომელშიც ინტელექტუალური წრეები, მაღალი საზოგადოების ნაწილი, მეტიც, სახელმწიფო მოხელეების და ოფიცრების ნაწილიც კი ერთიანდებოდა. რევოლუციონერების მსგავსად, მათი ხელმძღვანელიც, პეტრე სტრუვე, უცხოეთში გამოსცემდა გაზეთს „*Освобождение*“. მან გაბედა და ერთ-ერთ სტატიას დაარქვა *„სისხლს მოწყურებული მეფე, ნიკოლოზ II“*; სათაური მართლაც სახასიათოა. სტატია 1905 წლის 5 იანვრის მანიფესტაციისა და მუშათა სისხლისღვრის შემდეგ მომხდარ არეულობას ეძღვნებოდა. ცხადია, ისეთი პატრიოტების მხრიდან, როგორიც რუსი ლიბერალები იყვნენ, ამგვარი რეაქცია ომის პერიოდში წარმოუდგენელი იქნებოდა, რომ არა პრევენციული მიდგომა ომის წინააღმდეგ და რუსეთ-იაპონიის ომამდე პერიოდის მოქმედებები.

მტრული დამოკიდებულება კულისებში მიმდინარე რეალობითაც აიხსნებოდა. ისინი მჭიდრო ურთიერთობაში იყვნენ იმპერიალური კარის ზოგიერთ მაღალჩინოსანთან, დიდ ჰერცოგთან და

ერთ-ერთ მინისტრთანაც კი; ეს უკანასკნელი სიმპათიას იჩენდა რევოლუციური მოძრაობის მიმართ; მათ არ მოსწონდათ მთავრობის პოლიტიკა და მეგობარ ლიბერალებს ინფორმაციას აწვდიდნენ. დემორალიზებამ ჯერ კიდევ ომამდე შეაღწია რუსეთის იმპერიის მმართველთა რიგებში, რასაც ხელი უნდა შეეწყო რუსეთ-იაპონიისა და შემდეგ 1914-1918 წლის ომების წაგებისთვის, ისევე, როგორც რომანოვების დინასტიის დამხობისთვის.

ისტორია სავსეა ანალოგიებით: სხვადასხვა დინასტიის დაცემას, რეჟიმის ჩამოშლასა და ომის წაგებას სახელმწიფოს მხრიდან ყოველთვის წინ უძღოდა კორუფციის ტალღა და დემორალიზაცია.

* * *

დავუბრუნდეთ სამხედრო და პოლიტიკურ საქმეს:

1905 წლის ზაფხულის დასაწყისში რევოლუციური მოძრაობისგან შერყეული ცარისტული ხელისუფლება გადაუჭრელი სირთულის წინაშე აღმოჩნდა, საფრთხე შეექმნა თვით აბსოლუტური რეჟიმის არსებობასაც კი. ერთადერთი ალტერნატივა არსებობდა: რევოლუციის ჩახშობა ან გაქრობა. შიდა პრობლემებს ამძიმებდა ფინანსური კრიზისი, რომელიც შეუძლებელს ხდიდა იაპონიის წინააღმდეგ ომის გაგრძელებას, ეს კი ზარალს აყენებდა რუსულ ჯარს და ისიც მარცხს მარცხზე განიცდიდა. სანამ ფინანსური პრობლემა და ომის ბედი არ მოგვარდებოდა, რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლა თავიდანვე განწირული იყო. თუმცა ამ საკითხების მოგვარება ფაქტობრივად შეუძლებელი იყო.

სწორედ ახლაა ხელსაყრელი დრო ჩვენი მოთხოვნების წამოსაყენებლად: სახალხო თავისუფლება და ომის სასწრაფო შეწყვეტა. ამგვარად, მთავრობას გამოუვალ მდგომარეობაში ვაგდებდით და განსაკუთრებული დაჟინებით ვუსვამდით ხაზს უმნიშვნელოვანეს საკითხს: ცარისტული ავტოკრატიის გაუქმება და დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა; ამასთან, ფართო ავტონომიის მიცემა იმპერიის ყველა ხალხისთვის. პასუხად ცარისტული ხელისუფლებისგან მივიღეთ რეპრესიები, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა მოსახლეობის უკმაყოფილება და ძალა შემატა რევოლუციურ მოძრაობას.

რუსეთის პრემიერმინისტრი ვიტე[1] მახეში არ გაება: თავიდან აიცილა შეტაკება, ჩახშობის ნაცვლად შეიწყნარა თავისუფლების მოპოვებისთვის გამართული მანიფესტაცია და შექმნა შთაბეჭდილება, თითქოს აბსოლუტიზმის კონსტიტუციურ მონარქიად ტრანსფორმაცია სურდა.

კეთილი ნების დასამტკიცებლად კომიტეტს საკითხის შესწავლა დაავალა: შედგა ე.წ. „ბულიგინის კომისია“ და ლიბერალური პრესა დამშვიდდა. კლასიკური მეთოდი: საზოგადოების დამშვიდება, რაც მთავრობას უცხოეთიდან სესხის აღების საშუალებას მისცემდა და ამგვარად, წინ აღუდგებოდა ცარისტული ფინანსური სისტემის გაკოტრებას და განამტკიცებდა გამარჯვებულთა მშვიდობას. მინისტრმა საჯაროდ განაცხადა, რომ რუსეთის ფინანსური მდგომარეობა ისეთი კარგია, რომ საშუალებას იძლევა ომი გააგრძელონ მთელი წლის განმავლობაში. სინამდვილეში კი ხაზინა ცარიელი იყო. მან მოახერხა და სესხი აიღო შეერთებული შტატებისგან. ვიტეს განცხადებამ ძალიან შეაწუხა იაპონია, თავის მხრივ, მათაც ჰქონდათ ფინანსური პრობლემები.

სწორედ ამგვარი ხელსაყრელი პირობების ფონზე, აგვისტოს თვეში, ვიტემ მოლაპარაკებები წამოიწყო ტოკიოსთან. ცდილობდა რაც შეიძლება სწრაფად მოეგვარებინა მათთან საკითხი, რათა ქვეყნის შიდა საქმეებისთვის მოეცალა. სექტემბერში სამშვიდობო ზავს მიაღწია.

აღსანიშნავია, რომ ნიპონმა გამარჯვების შესაბამისი მოგება ვერ ნახა.

რუსეთის იმპერატორმა მადლობის ნიშნად ვიტეს გრაფის წოდება უბოძა. ამ უეცარი დარტყმის ავტორი მომავალში იტრაბახებდა, თუ როგორ მოატყუა იაპონელები და რუსეთის მიერ წინააღმდეგობრივი ბრძოლის გაწევის შესაძლებლობაში როგორ დაარწმუნა. მოჩვენებითი დამთმობი პოლიტიკით, გრაფმა ვიტემ ასევე შეაცდინა ლიბერალები და ამგვარად, გადაარჩინა ნიკოლოზ II-ის ტახტი. მის მიერ გაბითურებული ადამიანები ქება-დიდებას ასხამდნენ; როგორც ვალდებულება მოითხოვდა, მან 17 ოქტომბრის მანიფესტზე მოაწერა ხელი, რის შემდეგაც რუსეთის იმპერატორი უნდობლად განეწყო თავისი მინისტრის მიმართ.

---

[1] სერგეი ვიტე (1849-1915) – რუსი სახელმწიფო მოხელე, რუსეთის პირველი პრემიერმინისტრი. მის სახელს უკავშირდება რუსეთის აღმავალი ინდუსტრიალიზაცია და ეკონომიკური რეფორმები (რედ.).

როგორც ვნახეთ, ნიკოლოზ II-მ ვიტე დააჯილდოვა განხორციელებული ოპერაციის პირველი, კონტრრევოლუციური ნაწილისთვის, ხოლო მეორე ნაწილზე, რამაც სიცოცხლე და ტახტი შეუნარჩუნა, გულისწყრომით უპასუხა. 1917 წლის თებერვალში ნიკოლოზ II-ს უნდა ენანა ვიტესეული მრჩევლის გარეშე ყოფნა, მაგრამ ისტორიისგან განწირული ყველა რეჟიმი მსგავსი შეცდომებით ხასიათდება: ჩამოიშორებს იმ ადამიანებს, რომელთაც კარგი მსახურება შეუძლიათ და მიმართავს მათ, ვისაც დამხობისკენ მიჰყავთ.

მეორე ნაწილი



ჭიათუხის მანგანუმის მაღაროები

თავი I

მენშევიზმი თუ ბოლშევიზმი

ჰამიშვიდი-ჯულაშვიდის (სტალინის) დუელი

გარკვეული თვალსაზრისით, ომის პირველი თვეები, შეიძლება ითქვას, ერთი წელიც კი იმპერიული რუსეთის მთავრობის გათვლებს ხელს უწყობდა: „სამშობლოს საფრთხეში ყოფნის“ მიზეზით რუსი პატრიოტები იმპერიული პოლიტიკის გარშემო გაერთიანდნენ. ისინი გამარჯვებაშიც დარწმუნებულები იყვნენ და აღნიშნული გაერთიანება რევოლუციური მოძრაობის გაქრობასაც მოასწავებდა. ამ მანევრს იმპერია წარმატებით განახორციელებდა, იაპონელების წინააღმდეგ წარმატება რომ მოეპოვებინა. შორეულ აღმოსავლეთში განცდილმა მარცხმა, რომელმაც მთელი მსოფლიო გააოცა და ჩვენ „მოკავშირე“ ლიბერალ რუსებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, მთავრობა აიძულა სასწრაფოდ უარი ეთქვა თავის ტაქტიკაზე, წაგებას შეგუებოდა და ხმამაღლა გამოეცხადებინა ე.წ. „ყვითელი საფრთხე“.

საზოგადოებრივი მღელვარების ტალღა, რომელსაც მანამდე არასდროს შეუწყვეტია მატება მთელ იმპერიაში, ახლა პირველად დაეცა; ვეღარ გაიგებდით საუბარს საყოველთაო გაფიცვაზე, სისხლიან მანიფესტაციებზე. რუსი ლიბერალების უმრავლესობამ რევოლუციური მოძრაობები დატოვა. სწორედ ამიტომ, ჩვენმა პარტიამ გადაწყვიტა 1905 წელს, რუსეთ-იაპონიის ომის გამოცხადების ერთი წლის იუბილეზე, მოეწყო მიტინგი. ჩვენი ორატორები გააკრიტიკებდნენ „მოკავშირეთა“ ღალატს.

უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი ბათუმის ბაზართან, ნორიაში, მერიასთან ახლოს. გლეხის სამოსში გადაცმულმა ჩვენმა მამაცმა ბენიამ, რომელიც ერთი წელია არსად გვენახა, გაკიცხა რუსი ლიბერალების დამოკიდებულება. „ისინი შთაგონების წყაროს საფრანგეთის ისტორიაში ეძებდნენ და ამით ცარისტულ მთავრობას ბაძავდნენ“, ამბობდა ბენია. სახალხო შეკრებამ ხელისუფლება გააკვირვა. მას შემდეგ, რაც მანიფესტანტებს დაშლისკენ მოვუწო-

დეთ, მათი დისციპლინა კი შეუდარებელი იყო, კაზაკებმა ქუჩებში ჩვენი დევნა დაიწყეს, კეტებით შეიარაღებულები შიშს თესავდნენ გამვლელებში.

ამ დღის შემდეგ მსგავსი შეკრებები ამიერკავკასიის ყველა მნიშვნელოვან ქალაქში გაიმართა და ჩვენმა მოძრაობამ თავისი წინანდელი რევოლუციური აღმავლობა დაიბრუნა. პარტია ერთგვარ სახელმწიფოს წარმოადგენდა სახელმწიფოში და იმდენად კარგად ფუნქციონირებდა, რომ სასამართლო და პოლიცია შიშობდა, უსამსახუროდ არ დარჩენილიყო, რადგან ხალხი სადავო საკითხებს მეგობრულად აგვარებდა და რჩევისთვის პარტიის კომიტეტს მიმართავდა.

მხოლოდ სამი ოფიციალური ინსტიტუცია მტკიცედ იკავებდა პოსტს, ესენი იყვნენ: პოლიტიკური პოლიცია, ანუ „ჟანდარმერია“, კაზაკების ჯგუფები და ჯარი. ჩვენს მანიფესტაციებს რუსული ხელისუფლება სხვადასხვა ერს შორის ინტრიგების ხლართვით პასუხობდა, უამრავ აგენტ-პროვოკატორს აგზავნიდა ხოცვა-ჟლეტის გამოსაწვევად. ჩვენი სუსტი წერტილი მუსულმანი და ქრისტიანი ხალხით დასახლებული ადგილები იყო. თებერვლის ბოლოს ბაქოში სომხებსა და თათრებს შორის მკვლელობების სერია დაიწყო; შეიარაღება პოლიციისგან ჰქონდათ. ორმხრივი დაპირისპირების საზარელი ტრაგედია რამდენიმე კვირა გაგრძელდა. პოლიცია და სამხედრო ხელისუფლება სპექტაკლს შორიდან ადევნებდა თვალს და მის შესაჩერებლად არაფერს აკეთებდა.

სწორედ ამ მოვლენებთან დაკავშირებით, ბაქოს ორგანიზაციის დელეგატი, რუსი სტუდენტი, ბაბუშკინი ბათუმში ჩამოვიდა, რათა შექმნილი ვითარება გაეცნო ჩვენთვის და ჩემი ძმის, ვანოს ამბავიც გადმოეცა. მან პატარა წერილი მომაწოდა. ვანო მთხოვდა სტუდენტს დავხმარებოდი. მასზე დაკისრებული მისიის გამო უცხოეთში უნდა გაპარულიყო. ამის გაკეთება კი მხოლოდ ბათუმის გავლით შეეძლო, რა თქმა უნდა, ჩემი შუამავლობით. ესღა მაკლდა, თავადაც, როგორც „ეჭვმიტანილს“, ხშირად მიწევდა საცხოვრებლის გამოცვლა.

რაიმე გეგმა გაქვთ? – ვკითხე.

არანაირი. თუმცა თქვენმა ძმამ მითხრა, რომ თქვენ შეძლებთ დახმარებას ჩემი როტშილდის გემებზე მუშად გაფორმების გზით; პირველივე უცხოური პორტის სანაპიროზე გემიდან გავიპარები!

– ღმერთმანი, მშვენიერი იდეაა! ჩემს ძმას დიდი გამოცდილება აქვს, მე კი – არანაირი. თუ გაქცევის საკითხს მოვაგვარებ, სახარჯო ფული გაქვთ? რაიმეს მოელით?

– საერთოდ არაფერს, ამხანაგო. პირველ თვეებში მხოლოდ თქვენს იმედად ვარ. მოგვიანებით კი რაღაც საშუალებას ვიპოვი, რომ სწავლა გავაგრძელო ბერლინის ან პარიზის უნივერსიტეტში.

საქმეს უნდა შევდგომოდი. ხის საამქროს ზედამხედველის პოზიცია გარკვეულ უფლებებს მანიჭებდა. წავედი კაპიტანი ნოდიას სანახავად. ის თავად არ მოგზაურობს, თუმცა როტშილდის ქარხნის პორტს განაგებს. ეს უკანასკნელი კი მთელი სავაჭრო ფლოტის მფლობელია. ნოდიამ მოსალოდნელი საფრთხეები გამაცნო: პოლიცია აკონტროლებს ეკიპაჟს; კაპიტანი, ქარხნის დირექტორთან ერთად, პასუხისმგებელია ამ ადამიანებზე. მიუხედავად ყველაფრისა, დაჟინებით მოვითხოვდი დახმარებას, ამიტომ ნოდია დამპირდა, რომ პირადად მიადევნებდა ამ საქმეს თვალყურს, მაგრამ ყველაფერი მაინც გარემოებებზე იყო დამოკიდებული. ყოველდღე ან ყოველკვირა ხომ არ ხდება მსგავსი შემთხვევა! მე „მოგზაურობას“ ვამზადებ, თუმცა „გარემოებები“ ჯერ არსად ჩანდა. მანამდე კი ეს ადამიანი უნდა დამემალა და მერჩინა.

მამაცი ამხანაგი ბაბუშკინი! ასკეტური ადამიანი. ჩემთან ერთად რესტორანში სადილობისას ძალიან მოეწონა ჩვენი ღვინის გემო, იმდენად, რომ ჩემ გარეშეც სვამდა. ხუთი კვირა გავიდა. ბოლოს, გერვასის ჩარევის წყალობით, რომელსაც ჩემზე მეტად გაუმართლა, ბაბუშკინი გემზე დასაქმდა, როგორც „მექანიკოსის დამხმარე“. რა თქმა უნდა, ამ საქმეში გამოცდილება არ ჰქონდა. ამგვარად, გაემგზავრა. რაკი არანაირი საბუთი არ ჰქონდა, დიდი საფრთხის წინაშე იდგა. თუმცა ისტორია აქ არ სრულდება: ერთი თვის შემდეგ, გემი თავისი „ტექნიკოსის“ გარეშე დაბრუნდა, ხელისუფლებამ აღნიშნულ თანამდებობაზე გაფორმებული ადამიანის ჩაბარება მომთხოვა. მან კი, სავარაუდოდ, ალექსანდრიაში დატოვა გემი.

* * *

ამ პერიოდში ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი რამ მოხდა: ამხანაგი ნოე ჟორდანია ფარულად ჩამოვიდა ბათუმში ჟენევიდან. უკვე ძალიან დიდი ხანია, რაც ჟენევა ყველა სახის რევოლუციონერის თავშესაფრად ქცეულიყო, ამიტომ დიდი მოწიწებით წარმოვ-

თქვამდით მის სახელს. ზემოაღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მცირერიცხოვანი თათბირი ჩატარდა სანდო პირთა შორის. პირველად სწორედ იმ საღამოს გავიგეთ ამხანაგი ჟორდანიასგან, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში აზრთა სხვადასხვაობაა, რაც პარტიას ორ ფრაქციად ყოფს: მენშევიკებად და ბოლშევიკებად.

ჟორდანია მონაწილეობდა ლონდონის კონგრესში,[1] სადაც ეს განხეთქილება წარმოიშვა და „კასტროვის“ ფსევდონიმით, ერთ-ერთი პირველი დაუპირისპირდა ლენინის[2] სახიფათო წამოწყებას. აღსანიშნავია, რომ ამ დროს პარტიის დამაარსებელი და სულის ჩამდგმელი, დიდი თეორეტიკოსი, პლეხანოვი, ლენინს უჭერდა მხარს. თუმცა მოგვიანებით ჩამოშორდა მას, რათა მარტოვის[3] მენშევიზმს დაკავშირებოდა. მაგრამ ბოროტება უკვე ჩადენილი იყო. კონგრესზე ლენინმა ხმათა უმრავლესობა მოიპოვა, რაც საკმარისი იყო მისი რეზოლუციის მისაღებად, რაც, თავის მხრივ, პარტიის ბერკეტებს მის ხელში აქცევდა, რითიც ისარგებლა და დიქტატურა დაამყარა რუსეთის მიწისქვეშა პარტიაზე. ამის საპირისპიროდ, ცენტრალური ორგანო „ისკრა“ უცხოეთში მენშევიკების ხელში რჩებოდა, მაგრამ ეს გამოცემები რუსეთამდე არ აღწევდა. ლენინმა მისი გავრცელების აკრძალვით ხელში ჩაიგდო გაზეთიც. ამგვარად, გარე სამყაროს მოწყვეტილები იყვნენ. შერჩეული კომიტეტები პარტიის „დისციპლინას“ ემორჩილებოდნენ.

მე უკვე ვიცოდი ლონდონში მომხდარი ამბები: ჩემი ერთი მეგობარი ჟენევაში იყო და მან გამომიგზავნა მთელი ლიტერატურა, რაც კონგრესს ეხებოდა. სპეციალურ თხელ ქაღალდზე იყო დაბეჭდილი და, როგორც ყოველთვის, თან ახლდა ფურცელი, სადაც მსხვილი ასოებით ეწერა: „ბატონო, თქვენი მისამართი შემთხვევით მოხვდა ჩვენთან, თავს უფლებას ვაძლევთ ჩვენი გამოცემები გამოგიგზავნოთ“. ეს იმ შემთხვევისთვის, თუ გზავნილი პოლიციას ჩაუვარდებოდა ხელთ.

---

[1] 1905 წლის აპრილ-მაისში ლონდონში გაიმართა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის რიგით მესამე კონფერენცია (რედ.).

[2] ვლადიმერ ლენინი (1870-1924) – რუსი კომუნისტი, მარქსიზმის თეორეტიკოსი, რუსეთის კომუნისტური პარტიის დამფუძნებელი, 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების ლიდერი, საბჭოთა რუსეთისა და საბჭოთა კავშირის ლიდერი (რედ.).

[3] იული მარტოვი (1873-1923) – რუსი რევოლუციონერი და მენშევიკების ლიდერი, რუსული სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა (რედ.).

ინფორმაცია მქონდა, მაგრამ ჟორდანიას მხოლოდ ფოტოთი ვიცნობდი, რომელიც ქართულ კალენდარში მქონდა ნანახი, ოთხი წლის წინ. ის იძულებული იყო ქვეყანა დაეტოვებინა, რათა ხელისუფლების დევნისთვის თავი დაეღწია. მაღალი და ფართო შუბლი, შავი თმა და წვერი – ასე გამოიყურებოდა ფოტოზე, მაგრამ ახლა იერი შეეცვალა, რათა პოლიციას არ ეცნო. ამ საქმეს მისი წვერი შეეწირა. ვიცოდით, რომ ჟორდანიას სიტყვა მკაფიო არ ჰქონდა, მაგრამ ნათელი გონებისა და საღი აზრის მატარებელი იყო. იფიქრებდით, თითქოს, განზრახ ბორძიკობდა საუბრისას პერიოდულად, რათა აუდიტორიას უკეთ გაეაზრებინა იდეა, რომელსაც ავტორი მნიშვნელობას ანიჭებდა. გამოსვლა ცხადი და ობიექტური იყო, ჟორდანია გვეუბნებოდა, რომ პარტია სრულად უნდა გადაწყობილიყო და ამხანაგებს დაავალა ეს საქმე. ზოგიერთი ჩვენგანი შეეცადა შეწინააღმდეგებოდა, მაგრამ მას იმდენად ძლიერი არგუმენტები ჰქონდა, რომ ყველაზე მჭევრმეტყველებმაც ვერაფერი გააწყვეს ჩვენი ნოეს წინაშე.

* * *

ვიფიქრე, აღნიშნული ვიზიტის შემდეგ, პარტიის ორგანიზაციაში, რომელიც ყოველთვის უცნაურად მეჩვენებოდა, აუცილებელი ცვლილებები შევიდოდა. ლენინის ხელდასმით, ორი თუ სამი ამხანაგი უსაზღვრო შესაძლებლობებს ფლობდა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების საკითხში; მათ რევოლუციურ მოძრაობასთან პირდაპირი შეხება არც კი ჰქონდათ, შეიძლება ითქვას, არც რეალურ ცხოვრებასთან, რადგან მუდამ დამალულები იყვნენ და არ მონაწილეობდნენ არცერთ ჩვენს სახიფათო საქმეში, ამგვარად, არც არაფრით რისკავდნენ. მათ კი, ვისაც, სიცოცხლის ფასად, მათი გადაწყვეტილებები სისრულეში მოჰყავდა, ვინც თავს სწირავდა, ხმის უფლება არ ჰქონდა, აზრსაც კი არ ეკითხებოდნენ. ჩემი აზრით, მმართველი კომიტეტის ეს სამი ადამიანი დაცული იყო ყოველგვარი რისკისგან, ისე, როგორც ჩვენი ერთსულოვანი გადაწყვეტილებით ვიცავდით ჩხეიძეს და უკანონო საქმიანობაში არ ვრევდით, რადგან მისი დაცულობა ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩვენი განსაკუთრებული საქმისთვის. ძალიან კარგად გვესმოდა, რომ ე.წ. „ბნელი“ ამხანაგები გვჭირდებოდა ფარული საქმიანობისთვის, ყველაზე კარგად გადაცმულები, რომელნიც საფრთხეს თავს დააღწევდნენ. როდესაც რომელიმე მათგანი ჩავარდებოდა, ეს ჩვენთვის ძალიან მტკივნეული იყო,

მაგრამ მათი ჩანაცვლება ხერხდებოდა და საქმეც გრძელდებოდა. თუმცა საზოგადოებრივი საქმიანობისთვის განსაკუთრებული ადამიანები იყვნენ საჭირონი, მით უფრო იმ პერიოდში.

ჩხეიძის პიროვნებაში ერთიანდებოდა გონიერება და ქართული ტრადიციები, გამორჩეული ნიჭის ადამიანი, რომელიც უამრავ ინფორმაციას ფლობდა. ერთადერთი იყო თავის სფეროში და კომიტეტი ყველა მნიშვნელოვან საკითხზე მისგან იღებდა რჩევას, ისევე როგორც ჩვენ. თუკი რჩევაზე უარს ამბობდა, ეს მხოლოდ თავისი მოვალეობისა და პასუხისმგებლობის წინაშე არსებული სინდისიერებით აიხსნებოდა, რაც ნაკლადაც შეიძლება ჩაითვალოს. ეს ალბათ, მისი ერთადერთი ნაკლია. სწორედ ამ მახასიათებელმა მოიტანა შედეგად შემდეგი: 1917 წლის რევოლუციისას თავმჯდომარე ჩხეიძე რუსეთის სათავეში იყო, თავდაპირველად აირჩიეს პეტროგრადის საბჭოში და შემდეგ მთლიანად რუსეთის. მან, დიდი სინდისიერებით, უარი თქვა ხელისუფლების სადავეების აღებაზე და დროებითი მთავრობის ვიცეპრეზიდენტის პოსტი კერენსკის[1] გადასცა.

დავუბრუნდეთ ბათუმის ამბებს. როგორც მახსოვს, ჩხეიძე არ ესწრებოდა შეხვედრას, რომელზეც ჟორდანიამ სიტყვით მოგვმართა. ეს ორი მეგობარი სხვა ადგილას შეხვდა ერთმანეთს სასა-



გიორგი ჩიქოვანი
(1856-1918)

რუსეთის
სოციალ-დემოკრატიული
პარტიის დამაარსებელი. მწერალი,
პოლიტიკოსი და ფილოსოფოსი.
საერთაშორისო
სოციალიზმის უდიდესი
თეორეტიკოსი.

[1] ალექსანდრ კერენსკი (1881-1970) – რუსი რევოლუციონერი, რუსეთის დროებითი მთავრობის თავმჯდომარე 1917 წლის ივლისიდან 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალებამდე (რედ.).

უბროდ. რამდენიმე კვირა გავიდა და, ჩემდა გასაოცრად, ცვლილებები, რომელიც ჩვენი პარტიის აქამდე არსებულ ორგანიზაციულ საკითხებს (რომელიც ქართული ადათისთვის უცხო იყო) უნდა შეხებოდა, არ ხორციელდებოდა. ლონდონის კონგრესზე ლენინის მიერ ხმათა უმრავლესობით გამოთქმული იდეის თანახმად, პარტია კომიტეტებამდე უნდა დასულიყო და თითოეულ კომიტეტში მხოლოდ სამი „ინტელექტუალი მმართველი“ უნდა ყოფილიყო.

თუმცა სანამ ლონდონის კონგრესის შედეგებს გავიგებდი, ჯერ კიდევ ბათუმის საყოველთაო გაფიცვისას ვიგემე ამ სისტემის არსი: ყველანი საბრძოლო მდგომარეობაში ვიყავით, სიცოცხლით ვრისკავდით და ამ დროს ჩვენმა ერთ-ერთმა „ინტელექტუალმა მმართველმა“ გადაწყვიტა არდადეგები აეღო და ბახმაროში გამგზავრებულიყო. ყველაზე უფრო სახიფათო მომენტში მიგვატოვა. ეს პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა ჩვენს ტრადიციებს! ქართველი უფროსები არასდროს იქცეოდნენ ასე. მაგრამ ლენინის აზრით, კომიტეტის წევრების საქციელის გაკრიტიკება პარტიის „დისციპლინის შეურაცხყოფა იყო“ და სანქცირებულ ქმედებად ითვლებოდა.

* * *

1905 წლის მარტის დასაწყისში ამხანაგებს ვესაუბრე იმ დასკვნების შესახებ, რაც ჟორდანიას საუბრიდან გამოიტანეს. ძალიან გავოცდი, როდესაც ამხანაგმა ანდრომ მითხრა, რომ თათბირი „არალეგალური“ იყო. ვიფიქრე, ცარისტულ კანონთან მიმართებას გულისხმობდა და ვუპასუხე:

– ბუნებრივია, მაგრამ ამას რა კავშირი აქვს ჩვენს გადაწყვეტილებებთან? ეს თათბირიც უკანონოა, რადგან მთელი ჩვენი საქმიანობა დაწესებულ კანონს ეწინააღმდეგება და ფარულია.

– არა, პოლიციაზე არ ვსაუბრობ, მხედველობაში მაქვს ჩვენი პარტია. თათბირი არალეგალურად ჩვენმა კომიტეტმა ცნო.

– ჩვენმა კომიტეტმა?... ორმაგად უკანონო თათბირი? მეხუმრები?

– არა, რა თქმა უნდა. სიმართლეს გეუბნები. საქმე ისეთ მნიშვნელოვან პირს რომ არ ეხებოდეს, როგორიც ნოეა, პარტიიდან გარიცხავდნენ და ჩვენს კი, როგორც მსმენელებს, მართალია, ვერ გაგვრიცხავდნენ, მაგრამ დისციპლინური სასჯელი არ აგვცდებოდა.

– ჩვენი გარიცხვა რატომ არ შეუძლიათ?

– რადგან, სტატუსების ახალი ინტერპრეტირების თანახმად, ყველანი ჩვენ, ვინც პარტიისთვის ვმუშაობთ, მხოლოდ დამატებით პირებად განვიხილებით და არა როგორც პარტიის წევრებად. ეს პრეროგატივა მხოლოდ კომიტეტის წევრებს ეკუთვნით. განაწყენებისთვის მიზეზი არ გაქვს. კარლოც კი პარტიის კადრს გარეთ დარჩა (ჩხეიძეს გულისხმობდა, მას კარლოს ვეძახდით).

– არც კარლო? და ნოე რატომ დატოვეს?

– როგორც იცი, პარტიის ყველაზე კარგი თეორეტიკოსია, ამ სტატუსით ის წევრია სარედაქციო საბჭოსი, რომელიც საფეხურეობრივად კომიტეტს უთანაბრდება.

– და ჩვენ, ჩვენს სისხლს არ ვღვრით ცარისტული აბსოლუტიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში? ჩვენ არ ვიბრძვით თავისუფლებისა და უფლებებისათვის და ჩვენი მმართველები კი ორივეს გვართმევენ. ამ რეალობის წინაშე ასეთი ალტერნატივა გვაქვს: ან უარს ვიტყვით ასეთ ქმედებაზე, ან ამჟამინდელ კონცეფციას დავამხობთ.

– მისმინე, ყურში მეუბნება ამხანაგი, ვიზიარებ შენს აზრს, მაგრამ სხვაგან არ თქვა, გაიგე?
ეს მითხრა და საუბარი ისევ ხმამაღლა განაგრძო:

– და მაინც, განსხვავებაა ცარისტულ ჩაგვრასა და პარტიულ დისციპლინას შორის.

– რა თქმა უნდა, განსხვავება ნამდვილად არის. ერთი თავისუფლების მტრის, ცარიზმის წისქვილზე ასხამს წყალს, სამწუხაროდ, და ლოგიკურია ჩვენი ბრძოლა მისი განადგურების მიზნით. ასეა და რაკი მთხოვე, ამაზე არავისთან არაფერს ვიტყვი.

ხუთი დღის შემდეგ იგივე ამხანაგი მოვიდა და „საიდუმლოდ“ მამცნო, რომ, ნოეს მოხსენების შემდეგ, რაც რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მდგომარეობასა და ლონდონის კონგრესზე წარმოქმნილ უთანხმოებას შეეხებოდა, კავკასიის რეგიონულმა კომიტეტმა (რომელიც ტფილისში მდებარეობდა) ბათუმში ორი მომხსენებელი გამოგზავნა, ერთი ჟორდანიას მოსაზრებას დაიცავდა, მეორე კი – ლენინის. ჩვენ ვიცნობდით მათ სახელებს, ესენი იყვნენ ამხანაგი პეტრე და კობა. შეხვედრის დღე და ადგილი ჯერ ჩანიშნული არ იყო. „პარტიული დისციპლინის“ მხრივ საეჭვო არაფერი იყო, რადგან შეხვედრას ტფილისის უმაღლესი ინსტანციიდან ნიშნავდნენ, რომლის წინაშეც ჩვენი კომიტეტი ქედს იხრიდა. სხვა საფრთხე არსებობდა, რომელიც უნდა აგვეცილებინა: უმძიმესი საფრთხე, ცარისტული პოლიციისგან თავის დაძვრენა.

შესაძლო დაბრკოლებების გადასალახად საჭირო ზომები მიღებული გვქონდა: გათვალისწინებული იყო ამოცნობისა და ზედამხედველობის სერვისი, ხოლო ჟანდარმების შემოჭრის შემთხვევაში, საქმეში ჩაერთვებოდა შეიარაღებული ძალა.

ერთ საღამოს საკმაოდ ადრე შევიკრიბეთ ფარცხანაყანევში, ივანე მგელაძის სახლში. ივანე ერთ-ერთი იმ „დაწინაურებულ მუშათაგანი“ იყო, რომელსაც სირთულის გარეშე შეეძლო ესაუბრა ყველანაირ საკითხზე, ფილოსოფიურზე, სოციოლოგიურზე, ეკონომიკურსა თუ პოლიტიკურზე, ასევე, იცნობდა დასავლეთ ქვეყნების ისტორიას. ეს სწორედ ის პროგრესული მუშები იყვნენ, სამი წლის წინ „გადაცმული სტუდენტები“ რომ მეგონა და ამ შეცდომისთვის ჩემი ძმის, ვანოსგან შემწყნარებლური შენიშვნაც მივიღე. ოდნავ ირონიული ღიმილი, რომელიც მაშინ სახეზე გამოესახა, სამუდამოდ აღიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში. უკვე სამი წელია ამ ადამიანებს ვაკვირდები, მათთან ხშირი ურთიერთობა მაქვს. ჩემი ცოდნა ამ საკითხში უსაზღვროდ გაიზარდა: ჩემი პირველი შთაბეჭდილება არ შეცვლილა, ნამდვილი სტუდენტები არიან, გონებრივად კიდევ უფრო გაზრდილან, რიცხობრივადაც მომატებულან.

ორი, ერთმანეთში გამავალი დარბაზი პირველ სართულზე მდებარეობდა. აქ თავი მოეყარათ ბათუმში არსებულ ყველა ორგანიზაციის წარმომადგენლებსა და „პროფესიონალ რევოლუციონერთა“ პროპაგანდისტებს. მხოლოდ კომიტეტი აკლდა შეხვედრას, თავისი მთავარი ინსპირატორით: გრიშა [სოღარაშვილის] წარმომადგენლობით. შეხვედრას არც კარლო (ჩხეიძე) ესწრებოდა: ხელისუფლებისთვის იმდენად ნაცნობი, რომ მისი უბანში გამოჩენა ყველას საფრთეს შეგვიქმნიდა. დარბაზი იმდენად აჟიტირებული იყო, დღესასწაული გეგონებოდათ. გარკვეული მოუთმენლობით ველოდით მომხსენებლებს. ისინი ზუსტად დანიშნულ დროს გამოჩნდნენ.

ამხანაგი პეტრე (ნოე რამიშვილი[1]) პირველი შემოვიდა, მას ჩვენი ნდობით აღჭურვილი ერთ-ერთი პირი ახლდა. რამდენიმე ჯგუფი ძალიან თბილად მიესალმა. ზოგიერთნი გადაეხვივნენ

---

[1] ნოე რამიშვილი (1881-1930) – ქართველი პოლიტიკოსი, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერთაგანი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთი დამაარსებელი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე (1918), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან და სამხედრო საქმეთა მინისტრი (რედ.).

კიდეც და მისალმების სცენა ამით დასრულდა. შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ჩვენი ჩემპიონი ნაკლებ ცნობილი იყო ამ წრეში. ის დაახლოებით ოცდახუთი წლის იქნებოდა, უფრო მაღალი ეთქმოდა, თხელი, თვალები ოდნავ უღიმოდა, ხმა – ენერგიული, საუბრის მანერა – კატეგორიული და თავდაჯერებული.

სამი-ოთხი წუთის შემდეგ გამოჩნდა ამხანაგი კობა (იოსებ ჯუღაშვილი). ჯერ კიდევ გუშინ „სოსოს“ ვეძახდით, მომავალში კი „სტალინი“ გახდა. საიდან მოსდიოდა ამდენი სახელი? „სოსო“ იოსების შემოკლებული ფორმაა და მხოლოდ ბავშვობის მოგონებად დარჩა; სახელი „კობა“ ყაზბეგის შემოქმედების ერთ-ერთი გმირისგან ისესხა; მოგვიანებით კი თავისი ფოლადისებური მისწრაფებები კარგად გამოხატა სახელში „სტალინი“, რომელიც თავად შეირჩია რუსეთის დიქტატორობისთვის. დარბაზში შემოსვლისას ყველა მხრიდან გაისმა „სოსოს“ შეძახილები; ბევრი მუშა მისკენ დაიძრა, რომ რიგრიგობით მისალმებოდნენ.

ნოე ჩამიშვილი (1882-1930) *– სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრი (1918-1921). მოკლეს პარიზში 1930 წლის ზაფხულში.*

ამგვარმა შეხვედრამ ცოტა შეაწუხა ამხანაგი პეტრე, რადგან ამგვარად ახლად მოსულისთვის ხელსაყრელი გარემო იქმნებოდა. კობამ ფამილარული და, ამასთან, ავტორიტარული ხმით „კმარაც!“ შესძახა. ერთი შეხედვით, თითქოს კობას ვიცნობდი, თუმცა ეს აბსურდულად მომეჩვენა და ეს ფიქრიც გვერდზე გადავდე, მაგრამ მისმა შემოხედვამ და ხელის ჩამორთმევის მანერამ დამარწმუნა პირველ მოსაზრებაში. მე მას ბათუმის ერთ-ერთ საიდუმლო თათბირზე შევხვდი. რაკი მაშინ არანაირი „სტატუსი“ არ მქონდა, არ გამანდეს, რომ ეს ის ცნობილი „სოსო“ იყო.

კობა პეტრეზე ოდნავ დაბალი იყო, ისეთივე გამხდარი, ნაკლებ მკვირცხლი, მაგრამ ღრმა მზერით, თუმცა მისი სახის ნაკვთები უბრალო იყო; შეიძლება, კანის დაავადების ნაკვალევი ჯერ სრულად არ წაშლილიყო. თვალების განსხვავებული ხამხამი და მისი ირონიული ღიმილი შეძენილ ჩვევად არ მეჩვენებოდა, ეს მასში ბუნებრივად არსებობდა.

რა თქმა უნდა, კობა ქართველია. ის ჰგავს ქართველებს, განსაკუთრებით კი ქვეყნის აღმოსავლეთის ნაწილის ხალხს. მისი მანერები, სახასიათო ჟესტები, ფამილარული მეტყველება ქართული იყო. მიუხედავად ამისა, არის მასში რაღაც ასპექტი, რაც თანამემამულეებისგან გამოარჩევს, რაღაც მოუხელთებელი, ერთდროულად ლომისებრიც და კატისებრიც.

პეტრე უფრო მეტად გამოირჩევა. ინტელექტუალია, არისტოკრატსაც იტყოდით. მის საპირწონედ, კობას არაფრით გამორჩეული იერი აქვს, თუმცა ორივე გლეხის ოჯახიდანაა. ეს ახოვანი, სიცოცხლით სავსე მუშები, არწივის ცხვირებითა და ცეცხლანთებული თვალებით, რომელნიც მათ გარშემო იდგნენ, ასევე კავკასიის მიწის შვილები იყვნენ.

ნელ-ნელა სიმშვიდემ დაისადგურა. გაკვირვებას იწვევდა ჩვენში ფაქტი, რომ კობა პეტრესთან შეჯიბრებას ბედავდა. ეს შთაბეჭდილება ძალიან მალე გაქრა: ძალიან მარტივი გამომეტყველებით, ჩვენ წინაშე გამორჩეული ადამიანი იდგა. გარემომ ჩაგვაფიქრა: თვრამეტი წლის ასაკში მყოფი, ამბოხებული სემინარიელი არ შეიძლებოდა ისეთი გულუბრყვილო ყოფილიყო, რომ თავი სატანჯველში ჩაეგდო სიმშვიდისა და ნუგეშის მოლოდინში. მან სკოლიდან გამოარიცხვინა თავი, კარიერა გაინადგურა, რათა პროპაგანდისტული მიზნით ტფილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის წევრი გამხდარიყო. რისი იმედი უნდა ჰქონოდა სანაცვლოდ? – ყველა სახის შეზღუდვა და მუდმივი საფრთხე. ამტანი ხასიათის წყალობით, ეს ახალგაზრდა კაცი, მომავალი ლიდერი,

უკვე წარმოაჩენდა განსხვავებულ სახასიათო შტრიხებს: ყველა გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად იღებდა, იმ ფონზე, რომ არანაირი მომზადება, არც გამოცდილება არ ჰქონდა. ის უარს ამბობდა მეთოდს მიჰყოლოდა, რომელსაც მისი მეტრები, დიდი კულტურისა და ნიჭის რევოლუციონერები ადგენდნენ. მოგვიანებით, როდესაც ოცი წლის ასაკში ყველა სოციალისტური ორგანიზაციიდან გარიცხეს, კიდევ ჰყოფნიდა გამბედაობა ბათუმისკენ წამოსულიყო, ქალაქში, რომელიც ყველაზე დიდ ინდუსტრიულ სივრცედ მოიაზრებოდა იმ პერიოდში და გარკვეული სახის დოქტრინები გაეცნო იქ მყოფი მუშებისთვის, რომელნიც, თავის მხრივ, მუდმივ კონტაქტში იყვნენ მაღალი ღირებულებების მქონე ინტელექტუალებთან. ამხანაგი სოსო უკან არ იხევდა მისთვის გამანადგურებელი მოგონების წინაშეც კი, რომლის გახსენებაც სიამაყით აღავსებდა მუშებს. საქმე ეხებოდა ცნობილ მწერალს, ნინოშვილს, რომელსაც ისე უნდოდა მათთან ცხოვრება, რომ მუშის ფორმა მოირგო.

„გუშინ გამომცხვარი“ ახალგაზრდა კაცი, რომელსაც იერზე ეტყობა, არც მორალური და არც მატერიალური საყრდენი არ აქვს, როგორ ახერხებს ადამიანების ნდობის მოპოვებას, – ვეკითხებოდი საკუთარ თავს. ამ ადამიანებს გაფიცვისკენ, აჯანყებისკენ და ციხეზე შეტევისკენ უბიძგებს, დატყვევებული ამხანაგების გათავისუფლების მიზნით. მის გადაწყვეტილებებს შედეგად სისხლისღვრა მოჰყვებოდა ხოლმე, თუმცა ამ ხალხის სიყვარულს მაინც იმსახურებდა.

მათი საქმისადმი ერთგულება სულ რამდენიმე წუთში წარმოჩინდა. „მენშევიზმი“ თუ „ბოლშევიზმი“?, ჟორდანია თუ ლენინი?, ყველაფერი მუშების არჩევანზე იყო დამოკიდებული. ამ საკითხს ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იწყება დებატები, რომელსაც მოუთმენლად ველოდი. დრო აღარ მაქვს ერთამენთის საპირისპირო მოსაზრებები დავალაგო, რომელიც თავში მიდუღს. აუდიტორიას შეწუხებული და, ამავდროულად, იმედიანი თვალით ვუყურებ. კიდევ ერთხელ გადავხედე მომხსენებლებს... დუელი დაიწყო!

ცეცხლი პეტრემ აანთო: „ამხანაგებო, კავკასიის რეგიონულმა კომიტეტმა შეისწავლა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მდგომარეობა, ორად გახლეჩილი მოსაზრებები და მე გამომგზავნა, რათა თქვენ წარმოგიდგინოთ კომიტეტის მოსაზრება...

– მენშევიკების მოსაზრება, – შეაწყვეტინა კობამ.

– კომიტეტის მოსაზრება, – ხაზი გაუსვა პეტრემ, – და ამხანაგი კობა კი – ბოლშევიკების მიდგომების წარმოსადგენად.

ორატორის მიმართვა დაახლოებით სამსაათ-ნახევარი გაგრძელდა, მხოლოდ ფაქტებსა და ციტატებს ეყრდნობოდა, ანტაგონისტურ მოსაზრებებს იდეოლოგიისა და სოციალისტური წყობის შესახებ. შეძლებს კი მუშათა კლასი სოციალიზმისკენ სვლას ინტელექტუალების მართვის გარეშე? ლენინს ამაში ეჭვი ეპარება, მისი პასუხია: *აჰა*. მის თვალში მუშათა კლასი „გაუცნობიერებლად სოციალისტია“; სრულად გასაცნობიერებლად კი აუცილებელია ის „ინტელექტუალებმა მართონ“. თუმცა რუსი მენშევიკების ლიდერის, მარტოვის აზრით, ინტელექტუალთა როლი „მეორეულია“; მენშევიკები პარტიის წევრად აღიარებენ ყველას, ვინც მის პროგრამას იზიარებს, იხდის შესაწირს და პარტიის ერთ-ერთ სექციაში ყოფნის სურვილს გამოთქვამს. ლენინი *ეჭვის თვალით უყურებს მუშათა კლასს*.

კობამ გააპროტესტა: „მოვინიშნოთ ეს სიტყვა!“ – შესძახა მან.

პეტრემ ანთებული თვალებით გადახედა აუდიტორიას და სამჯერ გაიმეორა: „დიახ! მოვინიშნოთ ათასგზის!“. კობა ხშირად აწყვეტინებდა პეტრეს სიტყვას და ყველა ჯერზე პეტრე ახერხებდა, გამარჯვებული რეპლიკა თავად ეთქვა.

ბუნებრივი დამოკიდებულება, აუდიტორიაზე დაკვირვების მანერა და საპასუხო შეტევა თითოეულ რეპლიკაზე, რამიშვილისგან შემდგარი ორატორის სახეს ქმნიდა. ზოგჯერ რისხვა ერევა, თუმცა ითვალისწინებს დარბაზის მიერ კობას გულთბილ მიღებას და გამონათქვამებში ზომიერების შენარჩუნებას არჩევს. რამდენიმე გარღვევას თუ არ ჩავთვლით, რომელიც კობას მოხერხებულმა ჩარევამ გამოიწვია, პეტრეს სიტყვა იყო დოკუმენტირებული და მყარი. შთაბეჭდილება შეგვექმნა, რომ საკითხი ამოიწურა და შეგვეძლო კენჭისყრის პროცესზე გადავსულიყავით ამავე ღამით. გამარჯვებაში დარწმუნებული პეტრე ხელახლა წამოდგა და აუდიტორიის სიცილს ოდნავ ეშმაკურად უპასუხა: „თუ რამე გამომრჩა, ამხანაგი კობა დაამატებს“.

ამხანაგი კობა ამას არ ელოდა, მაგრამ ძალიან არ შეწუხებულა. მშვიდად წამოდგა, არანაკლები ეშმაკური მზერით, თითქოს ამ დარბაზში არც არაფერი მომხდარიყოს, თითქოს მას უნდა გაეხსნა შეხვედრა. მანაც მიმართვა ასე დაიწყო: „ამხანაგებო“, თუმცა ეს მხოლოდ მიმართვა იყო და არა მოხმობა. ცბიერი და ჭკვიანი თვალებით მხოლოდ მაშინ უყურებდა ამხანაგებს, როდესაც პოზიციის შეცვლა სურდა ან შეკითხვას პასუხობდა. მისი ქცევით თუ

ვიმსჯელებდით, სხვებს საერთოდ არ უსმენდა, თუმცა ყველაფერს იმახსოვრებდა და საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებდა.

ორატორის თვისებები საერთოდ არ ჰქონდა. არც საზოგადოებაში თავის დაჭერას აქცევდა ყურადღებას, არც ჟესტებს, არც მსმენელებს. თუმცა მისი სიტყვა იყო ლაკონიური, ნათელი, აქცენტებს სწორად სვამდა და გარმოჩეული მეხსიერება ჰქონდა, ძალიან დამაჯერებელიც გახლდათ. საუბრისას ოდნავ წაბორძიკებას კი ორმაგი დატვირთვა ჰქონდა, აზრის უკეთ ჩამოყალიბებისა და აუდიტორიასთან სიტყვის უკეთ მიტანის. პატარა თვალებს ბოლომდე არასდროს ახელდა და ეს იმიტომ, რომ უკეთ დაენახა. ასე გამოიყურებოდა ახალგაზრდა კაცი, რომელიც ბოლშევიკურ თეზისებს წარმოადგენდა ამ საღამოს.

მოსმენა შუაღამის მერეც გაგრძელდა. კობა სამ საათზე მეტხანს საუბრობდა და ამ პერიოდში ერთნაირად მოხიბლა მოწინააღმდეგეებიც და თავისი პარტიზანებიც სოციოლოგიური მეცნიერებების, ეკონომიკისა და პოლიტიკის ცოდნით. მოსაზრებებს ამყარებდა კარლ მარქსის, ენგელსის, ლასალის, კაუცკის ციტირებით, უყურადღებოდ არ დატოვა არც პლეხანოვის, აქსელროდის, მარტოვის და მარტინოვის წიგნები, რომელსაც ლენინის მოსაზრებებთან აპირისპირებდა. „ლენინი ამბობს“, იმეორებდა მთელი ძალით, „ლენინი გვეძახის, გვიხმობს!“. სწორედ იმ ლენინზე იყო საუბარი, ამხანაგი პეტრეს მტკიცებით, მუშათა კლასის შესაძლებლობებში ეჭვი რომ ეპარებოდა. ლენინს სოციალიზმის წინაშე ცოდვა არ მიუძღოდა, მან მხოლოდ ისტორიული ფაქტი მოიყვანა, რომ „უტოპიური სოციალიზმის“ პირველი სამი მეტრი – სენ-სიმონი, ფურიე და რობერ ოუვენი – ინტელექტუალები იყვნენ და არა მუშები; ამასთან, უტოპიური სოციალიზმი სამეცნიერო ჭრილში გადმოიყვანეს მისმა მამამთავრებმა: კარლ მარქსმა და ენგელსმა, ორივე მათგანი კი ინტელექტუალი იყო.

ახლა კი კობა უნდა შეხებოდა ყველაზე მტკივნეულ საკითხს, პარტიის ორგანიზების თემას. პარტიის წევრების რიცხვი მცირე უნდა იყოს წინდახედულობისა და სიფრთხილის მიზნით, ამბობდა ის. ცარისტული ხელისუფლება ძალ-ღონეს არ იშურებს, რათა რაც შეიძლება მეტი პროვოკატორი აგენტი შემოგზავნოს ჩვენს რიგებში, რათა შიგნიდან გაგვთიშონ. უმჯობესია – და აქ ლენინის ფორმულირება გაიმეორა – „გარეთ დავტოვოთ ამხანაგები, ვიდრე პარტიაში შემოსულ ყოველ ათ ამხანაგზე ერთი პროვოკატორი აგენტი შემოგვეპაროს“.

კობა გაჩერდა. დაღლილობის არცერთი ნიშანი არ შეინიშნებოდა. უფრო მხიარულიც კი ჩანდა, ვიდრე შემოსვლისას, ისეთივე მხნე, როგორც შვიდი საათის წინ. მისი მზერა აღარ იყო გაყინული, ახლა მსმენელების სახეებს აკვირდებოდა, ალბათ, თავისი სიტყვის ეფექტის შესამოწმებლად. ასამბლეას ჰკითხა, გაეგრძელებინა თუ პეტრეს საპასუხო გამოსვლას უნდა დალოდებოდნენ. დილის ხუთის ნახევარი იყო, კობას სურდა სასწრაფოდ მიეღო პასუხი პეტრესგან. თუმცა პეტრე, კობას სიტყვით გამოსვლისას, მთელი სამსაათ-ნახევარი, ყველა დეტალს გულდასმით ინიშნავდა და ორატორს ხშირადაც აწყვეტინებდა სიტყვას, ახლა კი არ სურდა კობასთვის დაეთმო და ენერგიულად განაცხადა: „დებატების ამ დილით დასრულება შეუძლებელია. საჭიროა შევწყვიტოთ. მაგრამ თათბირს სხვა დღეს ვერ გადავიტანთ, რადგან საფრთხე იქმნება, რომ პოლიცია დაგვიჭერს, ამასთან, მომხსენებლების საბუთები მოუწესრიგებელია და მათთვის სარისკოა ბათუმში დიდი ხნით დარჩენა. ერთადერთი გამოსავალია, საღამოს უნდა შევიკრიბოთ“. კობა დებატების გაგრძელებას მოითხოვდა. საკითხს კენჭი უყარეს და ხმათა უმრავლესობით თათბირი საღამოსთვის გადაიდო.

დილის ხუთი საათია. სიფრთხილის მიზნით, პატარა ჯგუფებად გამოვდივართ. პირველი პეტრე გადის, რამდენიმე მეგობართან ერთად, რომელთაც მეც გამოვემშვიდობე და დავცილდი. შემდეგ საუბარში შევყოვნდი იმდენ ხანს, რომ თითქმის ყველა გავიდა. ბოლოს ოთახის კუთხისკენ წავედი, რათა ამხანაგ კობას გამოვმშვიდობებოდი. გარს ერთგული ხალხი ეხვია, საღამოს მძიმე შეხვედრისთვის თავის პოზიციებს ამზადებდა. „დაუღალავი!“, გავიფიქრე. ღამის განმავლობაში უამრავი ენერგია დახარჯა და გამთენიიდან უკვე ახალი ბრძოლისთვის ემზადება, რომელიც საღამოს უნდა გაიმართოს. როგორც გამჭრიახმა ფსიქოლოგმა, კობამ ნამდვილად იგრძნო ჩემი უნებლიე აღტაცება მისი ამტანობის მიმართ და მითხრა: „გმადლობთ!“. განზრახ ავირიდე მისთვის სიტყვა „გამარჯობის“ თქმა, რადგან ის გამარჯვებას უკავშირდება და მდგომარეობიდან გამოვედი უჩვეულოდ, ვუთხარი „ნახვამდის“.

შევნიშნე, მსუბუქად შეფიქრიანებულიყო. უფრო ყურადღებით დავაკვირდი და გამაოცა მისმა ხელოვნებამ, თუ როგორ შეეძლო საიდუმლო ფიქრების დამალვა და თავის კონტროლი.

* * *

საღამოს, მას შემდეგ, რაც ჩვენმა „პატრულმა“ და „დაცვამ“ მისასვლელი გზები და გასასვლელები შეამოწმა, ასამბლეა ხელახლა შეიკრიბა. გამოვარჩიე პეტრე, ცოტა ხნის წინ კობას გამოსვლით დაბნეული, ახლა უკვე ამაყი იერით, რომელიც სიტუაციის ფლობაზე მიანიშნებდა. კობას სახე კი პირიქით, წინასწარ ვერაფერს გაფიქრებინებდათ. ჩვეული ნაკვთები, მსუბუქი ღიმილი პირზე, მეგობრულ დამოკიდებულებას მზერით ავლენდა, რომელსაც ხან ერთ მოსაუბრეზე შეაჩერებდა, ხან მეორეზე, რათა უკეთ შეესწავლა ისინი. უეცრად სიჩუმემ დაისადგურა. თათბირის დაწყებამ შეწყვიტა ცოცხლად და საინტერესოდ მიმდინარე ყველანაირი საუბარი, რაც დიდად ართობდა მათ, ვისაც შეეძლო რამდენიმესთვის ერთად ესმინა.

თანაგამომსვლელის მიმართ ოდნავ გამომწვევი ტონით პეტრემ განაცხადა, რომ დიდი მუშაობა დასჭირდა გაუგებრობების გასაფანტად, რომელიც კობას გამოსვლამ შექმნა. ეს სიტყვები, გარკვეული თვალსაზრისით, წინასწარ იყო გათვლილი. მას უნდა გაემართლებინა ახალი გამოსვლა, რომელსაც ახლა მოვისმენდით. „ამხანაგმა კობამ, ჩვეულებისამებრ, ყველაფერი ჩიხში შეიყვანა!“ და იქვე დაამატა: *„გახწმუნებთ,* ამის ნიჭი აქვს!“. ამ სიტყვებმა საყოველთაო ჟრიამული გამოიწვია. პეტრე ამ გამოთქმას ხშირად იყენებდა.

რამიშვილის ახალმა, ნათელმა, ზუსტმა, დამაჯერებელმა მოხსენებამ სრულიად განსხვავებული ატმოსფერო შექმნა. ნუთუ კობა ამ არახელსაყრელ პირობებში გამოსვლას გარისკავს მეთქი, ვფიქრობდი. თუმცა სითამამე და თავდაჭერილობა შეინარჩუნა და ახალ დებატებში ჩაერთო. უამრავი მახვილგონივრული არგუმენტით მოახერხა და დინების საწინააღმდეგოდაც კი წავიდა ნელ-ნელა. მიუხედავად ყველაფრისა, რთული ამოცანა ჰქონდა: მის წინაშე შეუპოვარი მოწინააღმდეგე იყო, რომელიც სიტყვას ხშირად აწყვეტინებდა და მთელი შემართებით იწყებდა გამოსვლას, როდესაც მისი ჯერი დგებოდა.

უკვე მეორე ღამე გავიდა გააფთრებულ დისკუსიებში და მესამეც წინ გვქონდა, როდესაც ემოციებმა კულმინაციურ წერტილს მიაღწია.

* * *

რამ გამოიწვია ორ ბანაკს შორის ასეთი დაპირისპირება? რა სიღრმისეული განხეთქილებაა მათ შორის? უპირველესად მენტალური წინააღმდეგობა, რაც ისტორიული და გეოგრაფიული ნიშნების შედეგია.

რაც შეეხება ისტორიას: საუკუნეების განმავლობაში საქართველო დასავლეთთან იყო დაკავშირებული ფილოსოფიური და ლიტერატურული კუთხით, ინტელექტუალური მისწრაფებებით, დიპლომატიური კავშირებით; მიუხედავად ერთსაუკუნოვანი ცარისტული ტყვეობისა, მისი ხალხი, თავისი არსით, დასავლეთს ეკუთვნოდა. რუსეთი, პირიქით, ყველა თავისი კონცეფციით აღმოსავლურ ქვეყნად რჩებოდა, მიუხედავად პეტრე დიდის მცდელობებისა სამეფო სხვა გზაზე დაეყენებინა.

როგორც აღვნიშნეთ, მენტალურ განსხვავებას გეოგრაფიაც ქმნიდა: გვავიწყდება ის განსხვავება, რაც პატარა ხალხის კონკრეტულ აზროვნებასა და მრავალრიცხოვანი ერის აბსტრაქტულ აზროვნებას შორის არსებობს; პირველი მათგანი მთის ცხოვრებით ცხოვრობს, მოქმედების, ინდივიდუალური ინიციატივებისა და თავისუფლების ხალხია; ხოლო მეორე, რუსები, გაჟღენთილნი არიან უსასრულო სტეპების ცხოვრებით, რომელნიც ოცნებებისკენ და მორჩილებისკენ უბიძგებენ მათ, უარს ათქმევინებენ წინააღმდეგობის გაწევაზე.



სიღიბისტჩო ჯიბღაძე (1858-1922)

სოციალ-დემოკრატიული პარტიის დამაარსებელი და მისი ეროვნული მეთაური

პარტიის ორ ტენდენციას შორის განსხვავება ძირეული და შეუქცევადი ჩანდა, რაც თავს იჩენდა პრინციპებში, პროგრამაში, ორგანიზაციასა და ტაქტიკაში.

რა თქმა უნდა, პოლიტიკურ პარტიას მორალურობის ინსტიტუციის ჭრილში არ აღვიქვამდით, მაგრამ ლენინის მოსაზრება, რომელსაც ამხანაგი კობა წარმოადგენდა – „მი-

ზანი ამართლებს საშუალებებს“ – ჩვენთვის მიუღებელი იყო. ის წინააღმდეგობაში მოდიოდა არა მხოლოდ იმ პოლიტიკურ განათლებასთან, რომელიც ჩვენი პარტიის ფუძემდებელმა, სილიბისტრო ჯიბლაძემ (ყველაზე მაღალი მორალის მატარებელი ადამიანი. მიუხედავად ციმბირში გადასახლებისა, მაინც პარტიის ტვინად და ცნობიერებად რჩებოდა) მისცა მუშებს, არამედ, უპირველესად, სრულიად შეუსაბამო იყო ქართველი ხალხის მენტალობასა და ტრადიციებთან. ჩვენ მხოლოდ ერთი პოლიტიკური კონცეფცია გაგვაჩნდა: *ყველაფერი ხალხისთვის და ხალხის მიერ!* ვიბრძოდით, რათა ამ იდეალის განხორციელებისთის ყველა პირობა შეგვექმნა. ვერანაირი ძალაუფლება, მორალური თუ სხვა, ვერ მოახერხებდა ჩვენი მუშებისთვის თავს მოეხვია რაიმე საწინააღმდეგო, უცხო კონცეფცია ან დიქტატურისკენ მიმავალი ტენდენცია.

სწორედ ამიტომ, როდესაც მესამე ღამეც დასრულდა, კენჭისყრის დროს, ასამბლეა თითქმის ერთხმად გამოვიდა ლენინის წინააღმდეგ და ჟორდანიას კონცეფციას დაუჭირა მხარი; იქვე დანიშნა სხდომა, რათა აერჩიათ ამხანაგები, რომელნიც კომიტეტისგან გამოითხოვდნენ პარტიის დოკუმენტებს და წევრების კოლექტიური გადადგომის საბუთებს. ეს ყველაფერი კომიტეტის შემდგომი კომისიის ხელში აღმოჩნდებოდა.

დილა დაუვიწყარი სცენით დასრულდა: მუშები, რომელთაც თავის „სოსოსგან“, ახლანდელ „კობასგან“ და მომავალში „სტალინისგან“ განდგომის გადაწყვეტილება მიიღეს, რიგრიგობით მიდიოდნენ მასთან, ცრემლიანი თვალებით ეხვეოდნენ და ემშვიდობებოდნენ.

თავი II

სომხებსა და თათრებს შორის სისხლისღვრა შევაჩერეთ

ამხანაგები, რომელთაც პარტიის რეორგანიზება დაევალათ, მეორე დღესვე შეუდგნენ ინსტრუქციების შესრულებას, თუმცა ისინი სხვადასხვა სახის დაბრკოლებას შეეჩეხნენ. თავისი პირველადი გადაწყვეტილების მიუხედავად, ამხანაგმა კობამ ბათუმი არ დატოვა. მე ის რამდენჯერმე შევნიშნე და მივხვდი, რომ დანებებას არ აპირებდა. წინააღმდეგობისკენ მოუწოდებდა ყველას, ვისზეც ჯერ კიდევ შერჩენოდა გარკვეული გავლენა, უპირველესად კი კომიტეტს, რომელიც წინააღმდეგი იყო ჩვენი დელეგატებისთვის გადაეცათ პარტიის სიმბოლიკა და დოკუმენტაცია.

შექმნილი გარემოებების გათვალისწინებით, ამხანაგი კობას პარტიზანების საქმიანობა პირდაპირ ჩვენ წინააღმდეგ იყო მიმართული, იმ დროს, როდესაც მთელი რევოლუციური საქმიანობის სიმძიმე ჩვენს მხრებზე იდგა. ამასთან, ჩვენ უნდა გვებრძოლა რუსული პან-სლავიზმის ორი მნიშვნელოვანი აგენტის, რომელთაც მთავრობა უმაგრებდა ზურგს, პალმის და ივანოვის წინააღმდეგ.

როდესაც ცარისტული მთავრობა ქართველებს მშობლიურ ენაზე გაზეთის გამოცემას უკრძალავდა ბათუმში, პარალელურად, მის ნაცვლად რუსულ გამოცემას აფუძნებდა, მაგალითად „Черноморский Вестник“,[1] რომლის სათავეში ჩასადგომად სპეციალურად სანკტ-პეტერბურგიდან პროვოკატორი პალმი გამოგზავნა. მთავრობამ ის ბათუმის მუნიციპალიტეტშიც კი წარადგინა. ეს საბჭოს უბრალო მრჩეველი, რომელსაც ქართველები „ივანოვის დამცველ ძაღლს“ უწოდებნენ, თავისი უფლებებისთვის იბრძოდა, ხან საჯაროდ, ხან კი პოლიციასთან საიდუმლო შეთანხმებების გზით. საბჭოს ქართველ წევრებს სიტყვით გამოსვლისას ხელს უშლიდა. ყარამანს ამ თემასთან დაკავშირებით უამრავი სახალისო ისტორია ჰქონდა. მათ შორის ყველაზე ბანალურს მოგიყვებით,

[1] Черноморский Вестник – ყოველკვირეული ლიტერატურულ-პოლიტიკური გაზეთი, რომელიც გამოდიოდა ქ. ბათუმში 1895-1909 წლებში (რედ.).

მაგალითად, პალმს გასხივოსნებულ საქციელად მიაჩნდა ჩხეიძის სიტყვით გამოსვლისას, მისთვის დაბრკოლების შექმნის მიზნით, გაუთავებელი ყვირილი: „კარლ მარქსი, კარლ კაუცკი, კარლ[1] ბათუმსკი!“.

დაუნდობელი ბრძოლის ფასად, ჩვენმა ტიპოგრაფიულმა ორგანიზაციებმა „Черноморский Вестник“-ის გამოცემა შეაჩერეს. პირველ ეტაპზე ბათუმის გამომცემლობებისგან მიიღეს პირობა, რომ ამ გაზეთს არ დაბეჭდავდნენ; შემდეგ მუშების დასაქმება შეწყვიტეს სამთავრობო სტამბებში; დაბოლოს, პალმი, თავის თანამშრომლებთან და მატერიალურ რესურსთან ერთად, რომელიც რუსეთიდან ჩამოიტანეს, აიძულეს ქვეყანა დაეტოვებინა.

ამ პერიოდში როტშილდის ქარხნის მუშები გაიფიცნენ ხელფასის მომატების მოთხოვნით. დირექცია მზად იყო დათმობაზე წასულიყო, რათა პრობლემა არ შექმნოდა ნავთობის ექსპორტს. მაგრამ უეცრად ცარისტული ხელისუფლება წინ აღუდგა ამ საქმეს და კატეგორიული ვეტო დაადო; ქარხნები დაიკეტა, მუშები გაიფანტნენ, მდგომარეობით ისარგებლეს ცარისტულმა აგენტებმა და შეტაკებების წაქეზება დაიწყეს ქრისტიანებსა და მუსულმანებს შორის.

ბაქოს სისხლიანი შეტაკებები ჯერ კიდევ მოუშუშებელი იყო და ამიტომ სომხები გულგრილები ვერ დარჩნენ აჟიოტაჟის მიმართ, რომელსაც პროვოკატორი აგენტები აღვივებდნენ. ისინი ძალიან ადვილად შეშფოთდნენ. არც მუსულმანებში სუფევდა სიმშვიდე. ხელისუფლებამ, დიდი ალბათობით, ვერ გაითვალისწინა, რომ ქართველი ქრისტიანები ჩაერთვებოდნენ მიმდინარე მოვლენებში. ბათუმის ქართველი მოსახლეობის დიდი ნაწილი ისლამურია, ისინი ემეზობლებიან თათარ, ირანელ, თურქ და ჩრდილო კავკასიის მუსულმანებს.

ერთ ღამეს მოკლეს მოხუცი მუსულმანი ქართველი, რომელსაც დიდ პატივს სცემდნენ აჭარლები და მუსულმანები. მეორე დილით ხმა გავრცელდა, რომ მკვლელობა სომხური ორგანიზაციის, დაშნაკცუთუნის[2] დაკვეთით შესრულდა. ამბობდნენ, მკვლელი სომეხი იყო და ის უკვე დაეჭირათ და მის თანამზრახველთა კვალზეც იდგნენ. სომხები პანიკას მოეცვა და ვერ ბედავდნენ ხელისუფლე-

---

[1] ალუზია ჩხეიძის საომარ სახელთან, კარლოსთან (ხ.შავიშვილი).

[2] დაშნაკცუთუნი – 1890 წელს თბილისში დაფუძნებული სომხური სოციალისტური პარტია; პოპულარულ ენაზე ეძახდნენ ასევე „დაშნაკებს“ (რედ.).

ბისთვის ამ ფაქტის სინამდვილის გადამოწმება მოეთხოვათ. ქართველებს კი საქმეში ჩარევის არანაირი უფლება არ ჰქონდათ. ასეთ ვითარებაში, ჩხეიძემ ერთ მამაც, ქართველ მუსულმანს, ასლან ბეი აბაშიძეს, დაავალა საკითხის შესწავლა.

მეორე დღეს, გამთენიისას პანიკა დაიწყო: ყველა სახლზე გამოჩნდა ჯვრის ნიშანი. თეთრი ჯვრები – ქრისტიანების სახლებზე, ხოლო შავები – მუსულმანების სახლებზე. საზარელი მკვლელობების დაწყების მოლოდინი სუფევდა. ჩვენს ორგანიზაციებს უკვე ხელთ ჰქონდათ მნიშვნელოვანი სამხილები, თუმცა ჯერ არ ვიცოდით, როგორ გამოგვეყენებინა.

ღამით ჩვენმა „პატრულებმა“ პოლიციის რამდენიმე პროვოკატორი აგენტი გააოცეს, როდესაც სახლებზე ჯვრების დასმაში გამოიჭირეს. მაგრამ ეს მტკიცებულებები ვისთვის უნდა მიგვეწოდებინა, ან რა გზით? მეორე მხრივ, სანდო წყაროსგან გავიგეთ, რომ რამდენიმე მუსულმანი სომხების მკვლელობისკენ წააქეზა. როგორ გაგვესაჯაროებინა ეს ამბავი? საბოლოოდ, ასეთი რამ მოხდა: გულადმა ასლან ბეიმ პოლიციის ორ აგენტს დანაშაულზე წაასწრო. ჩვენ ასლან ბეის[1] გამოჩენა არ გვინდოდა, რადგან მისი სიცოცხლე ისედაც საფრთხეში იყო, არისტოკრატი და თან პოპულარული, ეს ხომ უკვე დანაშაულია!

საბედნიეროდ, ბათუმში იმყოფებოდა ტფილისის ცენტრალური კომიტეტის საგანგებო პირი, მისი ერთ-ერთი საუკეთესო მმართველი, ამხანაგი ა., მაღალი ტანის, ღრმა და ჭკვიანი თვალებით, შავი წვერით შემოსილი მოგრძო სახით. გონებაგახსნილი, დახელოვნებული ტაქტიკოსი, უამრავი წამოწყების ავტორი, რომელიც მუდამ სწრაფ გადაწყვეტილებებს იღებდა. ის ახლახან დაბრუნდა უცხოეთიდან და სწრაფად მოიპოვა შეუდარებელი ავტორიტეტი ამხანაგებს შორის. მისი ნამდვილი სახელია არჩილ ჯაფარიძე.[2]

---

[1] ავტორი გულისხმობს ასლანბეგ აბაშიძეს (1877-1924). ასლანბეგ აბაშიძე 1905 წლის რევოლუციის მონაწილე იყო, იბრძოდა რუსული იმპერიალიზმის წინააღმდეგ, თუმცა 1905 წლის მოვლენებიდან მალევე ემიგრაციაში წავიდა. 1917 წლის რუსეთის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში, მონაწილეობას იღებდა ქართული ეროვნული არმიის ჩამოყალიბებაში. მისი ძმა იყო მემედ აბაშიძე. აბაშიძე მონაწილეობდა 1924 წლის აჯანყების ორგანიზებაში. 1924 წელს სტამბულში მოწამლეს, დიდი ალბათობით – ბოლშევიკებმა (რედ.).

[2] 1907 წელს სანკტ-პეტერბურგში ქართული დეპუტაციის ლიდერად აირჩიეს; იქ, მეორე მოწვევის დუმაში, სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფს უძღვებოდა ცნობილ ორატორთან, წერეთელთან ერთად. მისი გავლენებით შეშინებულმა ცარისტულმა ხელისუფლებამ მთელი ჯგუფი დააკავა. ჯაფარიძე და წერეთელი სიის თავში იყვნენ, როგორც ლი-

რაკი „Черноморский Вестник“ ლიკვიდირებული იყო და მისი დირექტორიც – ქვეყნიდან გაძევებული, ცეცხლზე ნავთის დამსხმელი ორგანიზაციაც აღარ არსებობდა, რაც კიდევ ერთ წარმატებად გვეთვლებოდა. თუმცა სიტუაცია ჯერ ისევ ძალიან მძიმე იყო, კრიზისი ყოველ წუთს შეიძლებოდა აფეთქებულიყო. სწორედ მაშინ, ჩვენი დახელოვნებული ტაქტიკოსი, ჯაფარიძე, შეხვდა ჩხეიძეს, რომელიც იმ დროს ქალაქის მერის, თავადი ანდრონიკაშვილის თავმჯდომარეობით, დელეგაციას ქმნიდა. თუმცა რა უნდა გაეკეთებინა ამ დელეგაციას? ყოველგვარი ყოყმანის გარეშე, დელეგაცია მთავრობის წინაშე გამოცხადდა, რათა მისი ყურადღება გაემახვილებინა იმ მძიმე პასუხისმგებლობაზე, რაც მთავრობას დაეკისრებოდა, თუ კატასტროფის შესაჩერებლად არაფერს მოიმოქმედებდნენ. დელეგაცია დაჟინებით მოითხოვდა უსაფრთხოების ზომების მიღებას. რაკი ჯაფარიძემ მთავრობის უარი წინასწარ გათვალა, დელეგაციამ მოითხოვა, ამ „უმადური საქმის“ შესრულება მუნიციპალიტეტისთვის დაევალებინათ და დასძინა, რომ საქმის ეფექტურად შესრულებისთვის ქალაქის მმართველობას დასჭირდებოდა *მოქმედების მაქსიმალური თავისუფლება, ხათა ყველა წჩესთან ხაც შეიძლება სწჩაფი წვდომა ჰქონოდა*. უფრო კონკრეტულად კი, საჭირო იყო საჯარო შეხვედრების გამართვა, საიდანაც ხალხს სიმშვიდისკენ მოუწოდებდნენ.

მიღება საკმაოდ გულცივი აღმოჩნდა, საუბარი კი – დრამატული. თუმცა ჯაფარიძემ ზუსტად გათვალა, რაკი მთავრობას არ ხელეწიფებოდა შესაბამისი ზომების მიღება და პრობლემის მოგვარება, ეს საქმე ქალაქის მმართველობას გადააბარა და ქალაქის მერს, ანდრონიკაშილს პასუხისმგებლობის აღებაზე დაეთანხმა. ეს ტრიუმფად ითვლებოდა!

პირველი სხდომა ძალიან სწრაფად გაიმართა რკინის თეატრში (იმ დროს ის ბათუმის ერთადერთი თეატრი იყო). საოცარი სურათი იყო, ერთმანეთისგან განსხვავებული და აღელვებული ხალხი ავსებდა თეატრის დარბაზსა და ეზოს. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად იყო ორგანიზებული!

სხდომა გახსნილად გამოცხადდა და ასამბლეას პრეზიდენტის არჩევა დაევალა. „ნიკოლოზ ჩხეიძე!“, ვყვიროდით დარბაზის კუთხიდან. შეკრებილთაგან ექოდ დაგვიბრუნდა: „ჩხეიძე! ჩხეიძე!“.

დერები და იძულებითი შრომა მიუსაჯეს. ციმბირში ჩასვლამდე, გზად, ერთ-ერთ ციხეში, ჯაფარიძემ მეგობრის, წერეთლის ხელში დალია სული (ხ. შავიშვილი).

ჩხეიძე საპრეზიდენტო სავარძელში განთავსდა და ასამბლეას სამი ვიცეპრეზიდენტი აარჩევინა: სომეხი (დრ. ვართანოვი), მუსულმანი და რუსი (ერთ-ერთი ჩვენი პროპაგანდისტი) და მდივანი. შემდეგ ენერგიული სიტყვა წარმოთქვა, რომელშიც პატივცემული მუსულმანის მკვლელობის საკითხს ხაზგასმით შეეხო, ხალხს საღი აზროვნებისკენ მოუწოდა და ორატორებს მისცა სიტყვა.

დრ. ვართანოვი, მაღალი ტანის, წარმოსადეგი და ისეთი ბრგე, რომ სომეხს არც ჰგავდა; მისი წარსული რევოლუციური იყო, რუს „ნაროდნიკებს“ უკავშირდებოდა. სიტყვა უნაკლო რუსულით წარმოთქვა, დახვეწილი ხმით. მიუხედავად იმისა, რომ სომხური პარტიის წევრი არ იყო, თავს უფლებამოსილად აცხადებდა სომეხი ხალხის სახელით ელაპარაკა და მთელი ძალით გაეპროტესტებინა საშინელი ცილისწამება, რომელიც მისი ხალხისკენ იყო მიმართული. მან თავის ხალხს მოუწოდა ქედი მოეხარათ პატივსაცემი მუსულმანის ხსოვნის წინაშე; ის შეეწირა პროვოკატორებს, რომელთაც ბათუმში ძმათა შორის იმგვარი ომის წამოწყება სურდათ, როგორიც ბაქოში. „მაგრამ ისინი ამას ვერ მიაღწევენ. ჩვენმა მუსულმანმა ძმებმა იციან, თუ რატომ უნდათ შავ ძალებს ერთმანეთი დაგვახოცინონ“ – თქვა მან.

შემდეგ წამოდგა მეორე ვიცეპრეზიდენტი, გამბედავი იერით, ტრადიციულ, აჭარულ სამოსში გამოწყობილი, მას პასუხი უნდა გაეცა წარმოთქმულ სიტყვაზე. მიუხედავად იმისა, რომ ქართველი იყო, თავაზიანობის კარნახით, დარბაზს რუსულად მიმართა. ის ამბობდა, რომ მისი რელიგიის წარმომადგენლებს, მუსულმანებს, არანაირი მიზეზი არ აქვთ იმისთვის, რომ ერთ-ერთი მათგანის მკვლელობა სომხებს დააბრალონ. სინამდვილეში, მათ იციან, რომ ამ საკითხში სისხლის დაღვრის ინტერესი დევს; მან დააფიცა მუსულმანებს, შეცდომაში არ შესულიყვნენ.

სიტყვის დაწყება გარდაცვლილის მიმართ პატივის მიგებით და სიტყვის დასრულება ძმობისკენ მოწოდებით სხვა ორატორებმაც წესად აქციეს. თუმცა თითოეულ გამომსვლელს თავისი მისია ჰქონდა, რაც ყველამ უნაკლოდ შეასრულა.

გამომსვლელთა შორის უნდა გამოვყოთ ბენია ჩხიკვიშვილი, რომელსაც უკვე ვიცნობდით; რ. არსენიძე,[1] ახალგაზრდა, საშუალო სიმაღლის, სტუდენტი, მჭევრმეტყველი; ხმის ტემბრი თითქოს

[1] მოგვიანებით არსენიძე ნიჭიერ ჟურნალისტად ჩამოყალიბდა და საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში იუსტიციის მინისტრი იყო (ხ. შავიშვილი).

ცოტა მსტვინავი ჰქონდა, მაგრამ საუბარი ერთნაირი სიმსუბუქით შეეძლო რუსულად და ქართულად.

ხალხის დიდი ნაკადის მიზეზით შემდეგი შეხვედრები ღია ცის ქვეშ გაიმართა, მერიის ბაღში. ჩვენი საქმიანობის ეს ახალი ფორმა ექვსი კვირა გაგრძელდა, სანამ ბათუმის გუბერნატორი სანკტ-პეტერბურგიდან არ გაიკიცხა „რევოლუციური საქმიანობის ლეგალიზაციისთვის“. ამის შემდეგ თათბირები აგვიკრძალეს. მეტიც, მოკვლევა დაიწყო, საქმე გაიხსნა, თუმცა ის დასაწყისშივე განწირული იყო: ასამბლეის პრეზიდენტს, ჩხეიძეს, შეეძლო ეთქვა ქალაქის მერისთვის, ანდრონიკაშვილისთვის,[1] რომ მის მიერ დაშვებული თათბირების თავმჯდომარეობისას მას არანაირი ინფორმაცია არ ჰქონდა დამსწრე რევოლუციონერთა შესახებ; ამგვარად, ჩხეიძეს ზურგს მერი უმაგრებდა. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, დაკისრებული ვალდებულების შესრულებით კმაყოფილი იყო, რადგან მან თავიდან აიცილა სისხლისღვრა და კანონიც არ დარღვეულა. რაში ხედავდნენ სამართალდარღვევას? მიუხედავად ყველაფრისა, ორი ვიცეპრეზიდენტი, სომეხი და მუსულმანი, მაინც დააკავეს; მათ შორის მამაცი დრ. ვართანოვი, რომელმაც მოგვიანებით დატოვა ბათუმი. პოლიციამ ვერ შეძლო დაეკავებინა რუსი ჩვენი ორგანიზაციიდან.

---

[1] ივანე ანდრონიკაშვილი (1862-1947) – ქართველი აგრონომი და საზოგადო მოღვაწე, 1902-1916 წლებში ქალაქ ბათუმის თავი (რედ.).

თავი III

ჭიათურის საბადოების ცენტრში სტუმრობა

– იცი, ამჯერად როგორ აღვნიშნავთ შენს დაბადების დღეს? – მეკითხება ალისო, – ამხანაგო ხარიტონ, შენ გელაპარაკები.

– ალისო, გულწრფელად, იმდენად სულელი არ ხარ, რომ არ გესმოდეს, ადრინდელი ხუმრობების გამეორების დრო არ არის, მოვლენები ძალიან მძიმე ფორმებით ვითარდება.

– სულაც არა! პირიქით, ვფიქრობ, ყველაფერი ძალიან კარგად მიდის.

– აშკარად გინდა გამაბრაზო. დაფიქრდი, შეკრების აკრძალვა, ამხანაგების გაფანტვა, დაჭერები, ეს ყველაფერი კარგია? ამასთან, ჩემი ძმისგან, ვანოსგან, აღარაფერი მსმენია უკვე ექვსი კვირაა. უეჭველად, ბაქოში ერთ თვის წინ დაკავებულთა რიგებშია. და ნეტავ, ამაზე უარესიც არ იყოს კიდევ...

– კიდევ რა?

– როტშილდის ქარხნების დაკეტვა, ქუჩაში დარჩენილი ამდენი საუკეთესო მუშა! რამდენიმე კვირაა უმუშევრად არიან, უკანასკნელ ძალებს ღაფავენ და ნელ-ნელა ქვეყნის სხვადასხვა მხარეს იფანტებიან.

– იფანტებიან? სწორედ ეს მიმაჩნია საუკეთესო მოვლენად. ვეთანხმები ამხანაგ სოსოს. პირველი გაფიცვისას საიდუმლოდ გვეუბნებოდა, რომ ქარხნების დაკეტვა ძალიან კარგ შედეგს მოიტანდა; მუშები ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში გადავიდოდნენ და პროპაგანდისტული მანქანებით, რევოლუციისთვის ნიადაგს შეამზადებდნენ.

– ასეც რომ იყოს, ეს საკითხი მაინც დიდ უბედურებად მესახება. თუმცა, რასაც ამხანაგი სოსო სამი წლის წინ ამბობდა და რასაც დღეს ამხანაგი კობა ამბობს, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულია. ვფიქრობ, ამ საკითხზე ვერ შეჯერდებიან.

– შენ არც კი იცი, რომ სოსო და კობა ერთი და იგივე პიროვნებაა!

– ვიცი. მაგრამ დღევანდელი კობა ბოლშევიზმის დაბადებამდე არსებული სოსო აღარ არის. მაშინ ის მხოლოდ რევოლუციაზე ფიქრობდა. ახლა კი ბოლშევიზმის ბედი უფრო ადარდებს. მან იცის, რომ ეს მუშები ანტიბოლშევიკები არიან.

რამდენიმე დღის შემდეგ ტფილისიდან ფარულად ჩამოსულმა ისიდორე რამიშვილმა კავკასიაში ჩვენი პარტიის შესახებ დეტალური ანგარიში გაგვაცნო: „ბათუმში, როგორც საქართველოს ყველა ქალაქში, ბოლშევიკურ კომიტეტებს უარი ეთქვათ, პარტიას აკლია ინტელექტუალები ორგანიზაციებში მათ ჩასანაცვლებლად. ბათუმის მუშები, რომელნიც აქ აღარაფერს აკეთებენ, დიდ სამსახურს გაგვიწევენ, თუ რეგიონებში წავლენ“. რამიშვილმა ყურადღება გაგვამახვილებინა საქართველოს სხვა ინდუსტრიულ ცენტრზე, ჭიათურაზე, სადაც ყველა ქალაქის ბოლშევიკები შეკრებილიყვნენ, ამხანაგი კობას თაოსნობით. ეს პროპაგანდისტები ძლიერ ძალას წარმოადგენდნენ და აქ მოქმედი ჩვენი ორგანიზაციები კი ძალიან სუსტი იყო მათთვის სერიოზული წინააღმდეგობის გაწევისათვის. მაშინ ამხანაგმა ჯაფარიძემ მთხოვა, ხელი შემეშველებინა ამ ორგანიზაციისთვის. შემდეგ რამიშვილმა მთხოვა, ჭიათურაში წავსულიყავი, რათა „ბოლშევიკები განმედევნა უკანასკნელი თავშესაფრიდან, რომელიც ციხესიმაგრედ ექციათ და შიგნით გამაგრებულიყვნენ“.

მუშათა ავანგარდმა დიდი ენთუზიაზმით უპასუხა რამიშვილის შეთავაზებას; მატარებლებში ჩასხდნენ, ქალაქებისა და სოფლებისკენ აიღეს გეზი. მათ ყველგან თბილად ხვდებოდნენ. მუშათა ავტორიტეტულმა საუბრებმა ჩვენს ამხანაგებს ძლიერი მხარდაჭერა მოუტანა.

* * *

ორი დღის შემდეგ ჭიათურისკენ გავეშურე. იმდენად ცოტა დრო მქონდა, ყველა მეგობარს ვერც კი დავემშვიდობე, თუმცა არც მიფიქრია, რომ მათ ვეღარ შევხვდებოდი.

სამტრედიაში ჩავედი და იქ ისიდორე რამიშვილთან შეხვედრის ბედნიერება მხვდა წილად. ის კონფერენციისთვის ქუთაისში მიდიოდა, შემდეგ ტიფლისში და იქიდან ბაქოსკენ ჰქონდა გეზი. ჩვენი გზები იყოფოდა, მხიარულად და იმედიანად გამოვემშვიდობეთ ერთმანეთს. მატარებელში ჩემი ადგილი დავიკავე, ფანჯრიდან დავინახე, გაზეთს კითხულობდა ცრემლიანი თვალებით.

შეძრწუნებულმა დავუძახე, მიზეზი ვკითხე. „ჩემი ძმიშვილი...“ დამიძახა. ჩამოსვლა მინდოდა, მაგრამ ვერ მოვახერხე, მატარებელი უკვე დაძრული იყო. ვერ გავარკვიე, საქმე მამაც „პეტრეს“, ბათუმში ბოლშევიზმის დამმარცხებელს ხომ არ ეხებოდა.

ჭიათურის სადგურში რამდენიმე ამხანაგი მელოდებოდა. საიდან გაიგეს ჩემი ჩამოსვლის შესახებ? სწორედ აქ ვნახე პირველად „შავი ქართველები“; დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, ყველანი მანგანუმისგან იყვნენ გაშავებულნი. მას სალაპარაკო ენაში „შავ ქვას“ უწოდებდნენ.

ინჟინერი ჭოჭუას ოჯახმა ღვთისნიერი და კეთილი განწყობით მიმიღო, როგორზე ოცნებაც მხოლოდ დაკარგულ და ახლახან ნაპოვნ ნათესავს შეეძლო. ინტელექტუალთა ოჯახი იყო. ლადო მანგანუმის საზოგადოების ინჟინერთა უფროსი იყო, მშვენიერი ახალგაზრდა კაცი, დაახლოებით 35 წლის, საშუალო სიმაღლის, წვერით. მისი მეუღლე მასზე ახალგაზრდა იქნებოდა, ძალიან ლამაზი, გრაციოზული; მათი სამი შვილი კი ნამდვილი მარგალიტები იყვნენ. წარმოიდგინეთ, მოგზაურის გრძნობები, რომელმაც უკვე სამი წელია არც დასვენება იცის, არც ოჯახი, ბათუმის კოსმოპოლიტთა ცენტრიდან მოდის, ცხოვრება კი მუდმივად აფორიაქებული აქვს; უეცრად კი ასეთ მომხიბვლელ ოჯახში ხვდება, რომელსაც უნდა ასიამოვნოს, მასზე იზრუნოს და სათანადოდ მოასვენოს.

დასვენება! მიუხედავად ჩემი ფერმკრთალობისა და სიგამხდრისა, დასვენება მკრეხელობად მიმაჩნდა. ჩემი გრძნობები ამხანაგებს გავანდე და მოკრძალებით ვუსაყვედურე, ასეთ უხერხულ სიტუაციაში ჩაყენებისთვის. „ასეთი პატრიოტი ქართველი ოჯახი რას უნდა ელოდეს ჩვენნაირი სოციალისტებისგან?“ – ვუთხარი მათ.

„ძველმა მარქსისტებმა“ ეშმაკური ღიმილით მომისმინეს და მიპასუხეს, რომ, თუ ყველა „ამხანაგი“ ისეთი მგრძნობიარე იქნებოდა, როგორიც მე ვიყავი, ვერანაირი სამუშაო ვერ შესრულდებოდა, რადგან ორგანიზაციას ფული არ ჰქონდა, ჩვენს მებრძოლებს კი უნდა ეცხოვრათ! მეტიც, ჭეშმარიტ ქართველ პატრიოტებს ჩვენი მხარდაჭერა შეუძლიათ, რადგან ჩვენ ქართველი ხალხის თავისუფლებისათვის ვიბრძვით; უკვე გრძნობენ, რომ ჩვენ ეროვნული საქმის პიონერები ვართ. და დასძინეს, რომ ლადოს კარგად ესმის, თუ რა საფრთხეს წარმოადგენს ანტიეროვნული ბოლშევიზმი და ბედნიერია ჩემი ჭიათურაში ჩამოსვლით.

ასე აფასებდნენ შექმნილ ვითარებას ძველი თაობის „ქართველი მარქსისტები“.

ტერენტი წერეთელი და სამსონ კილაძე, ორი დახვეწილი, ინტელექტუალი და სასიამოვნო კაცი, აპოლიტიკურნიც, რომელთაც ცოტა ენერგია და საორგანიზაციო ნიჭი აკლდათ, მაგრამ მათი ყოფნა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მუდამ დადებითი განწყობით შეიძლებოდა მათგან რჩევის მიღება.

მათი სახელები ჩემთვის უკვე ცნობილი იყო; სამსონი მაღალი, ბრგე, ჭაღარა და თეთრწვეროსანი იყო; ტერენტი, პირიქით, დაბალი, მელოტი, ასევე წვეროსანი. ყველაფერზე მსგავსი მოსაზრება ჰქონდათ, საუბრის ტემბრიც იგივე, ოდნავ მელანქოლიური. პატივისცემის ნიშნად გამოველაპარაკე, თუმცა არ ვნანობდი.

* * *

კონკრეტული საქმიანობის დაწყებამდე საორგანიზაციო საკითხებში უნდა გავრკვეულიყავი, რომელსაც ორი ამხანაგი განაგებდა: ნესტორ ჩხიკვაძე და ზ. გურული.[1] ნესტორი მაღალი კაცი იყო, წაბლისფერი თმითა და წვერით, ოდნავ გაჭაღარავებული, გამჭრიახი, არწივისებრი მზერით; გურული უფრო ახალგაზრდა იყო, საშუალო სიმაღლის, შავგვრემანი, ასევე წვერით, დაბადებიდან ორატორი. ორივე მათგანი ნიჭიერი, მკვირცხლი გონების პატრონები, რაც მათ გაუნათლებლობას აბალანსებდა.

ნესტორი ჭიათურის მდგომარეობას მაცნობდა, გურული კმაყოფილებით შესცქეროდა, პირდაღებული და მხოლოდ მაშინ საუბრობდა, როცა რამეში უნდა დათანხმებოდა.

„ადგილზე მანგანუმის თორმეტი შახტაა, დაახლოებით, 15 000 მუშა. ჩვენს ხელში ორი შახტაა, დანარჩენი ბოლშევიკებს უკავიათ. მათ ძლიერი ორგანიზაცია აქვთ. თითოეულ შახტაში უამრავი პირველი რიგის პროპაგანდისტია განთავსებული მუდმივად, რომ ჩვენ იქ ვერ შევაღწიოთ. მათთან მიმართებით სუსტები ვართ არა მხოლოდ რაოდენობრივად, არამედ ხარისხითაც. ჩვენ იმდენი პროპაგანდისტი საერთოდ არ გვყავს, რაც მათ ჰყავთ ერთ შახტაში. ავლაბრელი „კინტო“ მართავს სიტუაციას.

---

[1] ზაქარია გურული (1878-1937) – ქართველი პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატი, 1905 წლის რევოლუციის მონაწილე; 1921 წლის ოკუპაციის შემდეგ დარჩა საქართველოში და ებრძოდა რეჟიმს. 1937 წელს ბოლშევიკებმა დახვრიტეს (რედ.).

– კინტო ვინ არის? ვიკითხე, თითქოს ვერ ვხვდებოდი; დამცირების ნიშნად გამოყენებული ეს სიტყვა არ მომწონდა.

– როგორ, არ იცნობ მას, ბათუმში რომ დამარცხდა, კობაზე გელაპარაკები... აქ ის მასზე ორჯერ მეტად დახვეწილ და ასაკიან ადამიანთა გარემოცვაშია და რკინის დისციპლინა შექმნა. ყველა ერთხმად ემორჩილება მის მთავარსარდლობას. ძალიან სწრაფად უნდა ვიმოქმედოთ ამ ... წინააღმდეგ. არა, ისინი ჩვენი ამხანაგები აღარ არიან, რადგან ყველანი გარიცხულნი არიან პარტიიდან. ყველგან დამარცხდნენ და ახლა ამ მთის წიაღში ეძებენ სანგრებს, სურთ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია შექმნან. თუმცა, სინამდვილეში, მხოლოდ ბანდაა... სამწუხაროდ, მუშათა ცხრა მეათედი მათ უბამს მხარს და სწორედ ესაა პრობლემა, აუცილებელია მუშებს ავუხსნათ, რას წარმოადგენს ეს ხალხი...

ამგვარი ლოგიკა ჭკვიანური იყო, მეც დავემოწმე. გადავწყვიტეთ, ბოლშევიკური ორგანიზაციები „გაგვეთიშა“, იქ ნელ-ნელა შეგვეღწია.

თავი IV

წინააღმდეგობრივი თათბირები კობასთან (სტალინთან)



სტალინი, ჯუღაშვილი (სოსო),

იგივე კობა, იგივე სტალინი

მთელი დღე და უფრო მეტად კი მთელი საღამო ვბჭობდით, ჯგუფთან ერთად, რათა ნიადაგი მოგვემზადებინა. თუმცა „კობას უმაღლეს სარდლობას“ ყოველთვის ჩამოვრჩებოდით, რადგან მათ მუდამ სტრატეგიული პოზიციები ეკავათ. „მხარდამჭერები“ შემოგვიერთდნენ ქუთაისიდან და ბათუმიდან: ორი სტუდენტი კოლეჯიდან და სამი მუშა! მათ შემოემატა ორი სემინარიელი; გამოვარჩევდი შალვა აბდუშელიშვილს,[1] რომელსაც მოგვიანებით საქართველოს მუშათა პროფესიულ ორგანიზაციებში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა. მიუხედავად ყველაფრისა, კომიკური სიტუაციებიც ვითარდებოდა. ერთ დღეს, ჩვენი ამხანაგი კეთილსინდისიერი და გააზრებული სიტყვით მიმართავდა მუშებს და მენშევიკების მოსაზრებას აცნობდა. ამ დროს, ერთ-ერთი ბოლშევიკი, ტურია (ქემალი), ნამდვილი სახელით – კოტე ცინცაძე, – ტრაგიკული ხმით ჩაერთო:

– ამხანაგებო, სთხოვეთ, აგვიხსნას, რას წერს კარლ მარქსი მენშევიკების შესახებ „კაპიტალის“ პირველი ტომის 126-141 გვე-

[1] შალვა აბდუშელიშვილი (აბდუშელი) (1889-1966) – ქართველი პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს პროფესიული კავშირების ცენტრალური საბჭოს მდივანი და ჟურნალ „მუშათა ცხოვრების“ რედაქტორი. 1921 წლის ოკუპაციის შემდეგ გაასახლეს საზღვარგარეთ. დაკრძალულია ლევილში (რედ.).

რდებზე! სთხოვეთ, განგვიმარტოს მარქსის მოსაზრება ბურჟუაზიის დამქაშებზე, რომელნიც ჩვენი თავისუფლებისა და რევოლუციის წინააღმდეგნი არიან!

ამგვარი დემაგოგიური გამოსვლა საკმარისი გახდა, რათა ჩვენ წაგებულ მდგომარეობაში აღმოვჩენილიყავით. ჩვენს ამხანაგს დასახელებული წიგნი წაკითხული არ ჰქონდა, რამაც დააბრკოლა ეპასუხა მოწინააღმდეგისთვის, რომ კარლ მარქსი მენშევიზმის დაბადებამდე დაახლოებით ორმოცი წლით ადრე გარდაიცვალა. არც ჩვენს ჩამორჩენილ აუდიტორიას უფიქრია ამ საკითხზე. ამჯერადაც მათ კენჭი უყარეს სტატუსკვოს, ანუ ბოლშევიკებს დაუჭირეს მხარი.

სხვა დღეს ერთ-ერთი სემინარიელის გამოსვლამ განგვაცდევინა მარცხი. ბოლშევიკი ორატორი ლენინს ხოტბას ასხამდა და მისი ბროშურიდან, „რა უნდა გავაკეთოთ?“, ციტირებდა. ჩვენმა სემინარიელმა გადაწყვიტა, მომხსენებელი გამოუვალ მდგომარეობაში ჩაეგდო და დაიძახა: ამხანაგებო, აი, სად არის ძაღლის თავი დამარხული! ბოლშევიკმა ეს სიტყვები სასაცილოდ აიგდო, მენშევიკებს რევოლუციისთვის „ძაღლის თავი“ სჭირდებათო. ისეთ ამაღლებულ ნოტაზე წარმოთქვა დამცინავი სიტყვები, რომ დამსწრეები ძალიან გაართო და კენჭისყრაც ბოლშევიკთა თეზისების სასარგებლოდ დასრულდა. ეს მოხერხებული ორატორი თავად ამხანაგი კობა გახლდათ; ამჯერად გამარჯვება მარტივად მოიპოვა.

ჭიათურაში პირველი ნაცნობი ადამიანი სწორედ ამხანაგი კობა იყო, რომელიც სადგურშივე შემხვდა. ორმაგად გაკვირვებული დავრჩი; არ მეგონა ასე უცებ თუ მომეცემოდა მასთან შეხვედრის საშუალება. ამასთან, მისმა მეგობრულმა შეხვედრამ საგონებელში ჩამაგდო, მე ხომ სტატუსი არ მქონდა. სადგურში ჩავდიოდი, ბარგის მოსაძებნად, რომელიც ჩემი ყურადღებიანი მასპინძლის, ლადოს მოთხოვნით, უკვე სახლისკენ გაეშვათ. იქ მისაბრუნებლად მოკლე გზა ავირჩიე და უცებ ვიღაცის ხმა შემომესმა, მე მეძახდა, ეს კობა იყო. ის-ის იყო თავის პროპაგანდისტებს დაშორებოდა, რომელთაც გარკვეული მითითებები მისცა და მაღაროებისკენ გაუშვა. მისმა მეგობრულმა სალამმა და ჩემდამი გამოჩენილმა ინტერესმა მაფიქრებინა, რომ ჩემი მისიის შესახებ არაფერი იცოდა. თუმცა, წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როდესაც საუბრისას აღმოვაჩინე, რომ სწორედაც ძალიან კარგად იყო ინფორმირებული. უნდა ვაღიარო, თუკი ჩვენი შემდეგი შეხვედრები

კვლავაც მეგობრულ ხასიათს ატარებდა, ეს მხოლოდ მისი დამსახურება იყო.

დაახლოებით ორკვირიანი საგულდაგულო პროპაგანდისტული სამუშაოების შემდეგ, კობასთან შეთანხმებით, რცხმელურის მაღაროში დაინიშნა შეხვედრა მენშევიზმსა და ბოლშევიზმზე სასაუბროდ. ერთ მშვენიერ საღამოს მუშები ღია ცის ქვეშ, სოფლის ეკლესიასთან ახლოს შეკრებილიყვნენ.

აი, დებატების დასაწყისი. ამხანაგებს შევთავაზე, კობასთვის დაგვეთმო სიტყვა. დამეთანხმნენ. თუმცა კობამ, როგორც ტაქტიკოსმა, რა თქმა უნდა, არჩია ყველაზე ბოლოს ესაუბრა და მოახერხა სიტყვა მოწინააღმდეგისთვის მიეცათ, ჩვენები არ შეეწინააღმდეგნენ.

სამწუხაროდ! მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ორატორი ნათელი, მკაფიო ენით საუბრობდა და აუდიტორია ჩვენ მიმართ დადებითად განეწყო, მუშებმა მაინც არ მოინდომეს ბოლშევიკებისთვის ზურგის შექცევა, რადგან კობამ კარგად შეისწავლა თითოეულის რეაქცია ჩვენი ორატორის მოსმენისას და მაქსიმალურად გამოიყენა ეს რეაქციები. რაკი დებატების ხელახლა გახსნის უფლება არ გვქონდა, უმრავლესობამ, კობას სურვილითა და რეკომენდაციებით, კვლავ ბოლშევიკებს დაუჭირა მხარი.

ვერც ამჯერად მოვახერხეთ ბოლშევიკების ციხესიმაგრის აღება, დადებითი გარემოებების მიუხედავად. ჩვენმა ორგანიზატორებმა მარცხის მიზეზად ჩვენი ორატორის არასაკმარისი მზადყოფნა დაასახელეს და აღფრთოვანებით გადაწყვიტეს კობასთვის მომავალ კვირას აეღოთ რევანში ნასაკირალის მაღაროში. დაგეგმეს მისთვის ამხანაგი მოხევე დათიკო დაეპირისპირებინათ, ძველი მებრძოლი, პოპულარული ორატორი; ძლიერ პროპაგანდისტად მიიჩნეოდა, „კობაზე უფრო ძლიერად“.

მე ამ აზრს არ ვიზიარებდი, რადგან მას ბათუმიდან ვიცნობდი, იქაურ თათბირებზე რამდენჯერმე ვუსმინე. მართალია, მას ჰქონდა დადებითი თვისებები: მკაფიო სიტყვა, ძლიერი და სასიამოვნო ხმა, თუმცა ის მაინც არ იყო პირველი ხარისხის ორატორი. თავის თვისებებზე გადამეტებული წარმოდგენა ჰქონდა და საუბრისას დეტალებში იძირებოდა. არ მსურდა ჩემი პესიმიზმით იმედი გამეცრუებინა ორგანიზატორებისთვის, ამიტომ თავს ძალა დავატანე ცუდზე არ მეფიქრა; ვცდილობდი დათიკო დამერწმუნებინა, არასდროს აეღო სიტყვა პირველს ისეთი საეჭვო მოწინააღმდეგის წინაშე, როგორიც კობა იყო.

მომდევნო შაბათს, დათიკოს მოსვლის შემდეგ, ნასაკირალისკენ ავიღეთ გეზი, სადაც, კობასთან შეთანხმებით, ზოგად დისკუსიებს ვმართავდით. ყველაფერი კარგად იყო მომზადებული: მეთაურები ჩვენ მხარეს იყვნენ. მათ გულითადად და გონივრულად იმუშავეს და მუშები მენშევიკური კონცეფციის სასარგებლოდ განაწყეს. მეორე მხრივ, დათიკო ჩემ მიერ მიცემულ ყველა რჩევას იზიარებდა. ჩვენი გუნდის წევრები სიხარულით ივსებოდნენ დათიკოს მოსმენისას და დარწმუნებულები იყვნენ, რომ ამ პარტიას მოიგებდნენ, რადგან დათიკო ღრმად იყო დარწმუნებული საკუთარ უპირატესობაში და კობა „არარად“ მიაჩნდა.

დრო მოვიდა. შემაღლებულზე ავედით, საიდანაც დავინახე, როგორ მოდიოდა კობა თავის ერთგულ ხალხთან ერთად. ერთმანეთს მივესალმეთ, შემთხვევით ვისარგებლეთ და რამდენიმე სასიამოვნო სიტყვაც ვუთხარით ერთმანეთს. დათიკოს ყურში გადავუჩურჩულე, არ დავიწყებოდა პირობა და სიტყვა პირველს არ აეღო; ნესტორის ყურადღებაც ამ ფაქტის მნიშვნელობაზე გავამახვილებინე და გავერიდე მათ, რათა კობას და სხვა ამხანაგების შეკითხვებზე მეპასუხა.

კრება გაიხსნა. დათიკომ, ძლიერი და მტკიცე ხმით, სიტყვა კობას შესთავაზა, რაზეც მან მიუგო:

– ამხანაგო დათიკო, შენ რატომ არ ხსნი დებატებს, რატომ ყოყმანობ? ხომ არ გეშინია, რომ ასეთი შეუდარებელი ორატორი და მამაცი ადამიანი დამარცხდები?

ამ სიტყვებზე დათიკო სიამაყით აინთო და აუდიტორიას მიმართა ვრცლად და მჭევრმეტყველურად, მაგრამ ის ძალიან დამღლელი აღმოჩნდა მუშებისთვის, რომელნიც მთელი დღე მაღაროში მუშაობდნენ და, საბოლოოდ, იძულებულები გახდნენ, მომხსენებლისთვის სიტყვის შემოკლება ეთხოვათ. ამგვარად, დათიკოს სხვა გზა არ დარჩა, საუბარი შეწყვიტა ისე, რომ სათქმელი ვერ დაასრულა.

მაშინ „ამხანაგ მუშებს“ კობამ მიმართა და უთხრა, იმისთვის რომ არ გადაგღალოთ, გამოსვლაზე უარს ვამბობო. რამდენიმე მუშამ სთხოვა ეს არ გაეკეთებინა (სცენა ნამდვილად მისი დადგმული იყო). ისიც დასთანხმდა. „ძვირფას ამხანაგებს“ დაჰპირდა, თხუთმეტ წუთზე მეტს არ გააგრძელებდა საუბარს. სწორედ ამ დროში შეუძლია ჩამოაყალიბოს თავისი სათქმელის არსებითი ნაწილი. ასეთი პირობა მუშებს აწყობდათ, მათ ხელის აწევით უყარეს კენჭი – იმ მოსაზრების საწინააღმდეგო თეზისს, რომელსაც

თათბირის დასაწყისში ემხრობოდნენ – „რევოლუციის ბოლშევიკურ ტაქტიკას!“.

არავის მოუვიდოდა აზრად, კობას აშკარა სიმარტივეში რაიმე სახის უხეშობა დაენახა. ისინი ვერ ხედავდნენ მისი ქცევის ძლივსშესამჩნევ დახვეწილობას.

ღამდებოდა. სანამ გარემოს წყვდიადი შთანთქავდა თავისი უზარმაზარი მკლავებით, კობამ, თითქოს შემთხვევით, ჩემ ახლოს ჩაიარა, გაჩერდა და მითხრა:

– დიდი ორატორია, არა?

ალუზია დათიკოზე ჰქონდა.

– შენ სხვაზე უკეთ იცი, ვინც არის, მე რატომ მეკითხები? – მივუგე.

– შენი რჩევით არ გამოუყენებიათ მძიმე არტილერია, რადგან შენ კარგად იცი, რომ ის არაფრად ვარგა მოკლე მანძილზე სროლისთვის, – მიპასუხა ნუგეშისმცემელი და ირონიული ტონით.

კობას ჭეშმარიტ ბუნებას, რომელიც ასეთი შეფუთულია, ნელ-ნელა უფრო მკვეთრად ვარჩევდი. ყოველთვის თავს აჩვენებს, თითქოს ვერაფერს ხედავს, ვერაფერს ამჩნევს, მაგრამ ყველაფერს აკვირდებოდა საუბრისას; კარგად დაინახა, სადაც ვიყავი და ჩემი უკმაყოფილებაც შენიშნა. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა ჩემთან მოსულიყო და ნიადაგი მოესინჯა, რათა გაეგო, მენშევიკური ნაგებობა ჩამოშლის პირას ხომ არ იყო.

ამ სცენის შემდეგ დავუცადე ჩვენს მთავარ ორგანიზატორს, ნესტორს, რათა მასთან სამომავლო ნაბიჯებზე მესაუბრა და დათიკოს, რათა მისთვის მეთქვა ყველაფერი, რაც გულში მქონდა. ამ უკანასკნელს დისკუსიებში აღარასდროს უნდა მიეღო მონაწილეობა, ყოველ შემთხვევაში, მაშინ მაინც, როდესაც გამოსვლის დრო შეზღუდული იყო. მან უნდა გაიგოს, რომ ისეთი ძლიერი მოწინააღმდეგის წინ, როგორიც კობაა, წინასწარ კარგად განსაზღვრული ტაქტიკა უნდა ჰქონდეს და ბრძოლა ენერგიულად უნდა წარმართოს. ამ საკითხებზე ვსაუბრობდით ერთი საათის გზაზე, რაც ჭიათურამდე გვქონდა.

იქ კი, სისტემური და ეფექტური სამუშაოების წყალობით, მუშათა დიდი ნაწილი ჩვენ მხარეს იყო. თუმცა დამაკმაყოფილებელ შედეგს ვერ ვიღებდით ზოგადი დისკუსიებისას, კობას მანევრები ყოველთვის ჩრდილავდა ჩვენს ძალისხმევას. ნესტორს ვუთხარი, რომ წარმოუდგენელი იყო მოვლენების ამგვარი განლაგება.

– სრულიად გეთანხმები. მაგრამ რა უნდა გავაკეთოთ? რას მთავაზობ? ის ცოტას საუბრობს, გარშემომყოფთა აზრის დაჭერა შეუძლია და პირდაპირ მოქმედებაზე გადადის. ორი სიტყვით იძულებულს მხდის გეგმა წარვადგინო და ამგვარად, შედეგებზე პასუხისმგებლობაც ავიღო. ის ასევე კარგი პოლიტიკური სტრატეგია: თუ სვლას განვაგრძობ, მას პასუხისმგებლობისგან გავათავისუფლებ, ამასთან, სავარაუდო წარმატებასაც ვუმზადებ; თუ პასუხს თავს ავარიდებდი, მაშინ ჩემი კრიტიკაც აღარ სჭირდება!

საკმაოდ დიდი ხნის დუმილის შემდეგ ნესტორმა მკითხა, თუ რატომ არ ვპასუხობდი:

– რადგან შენი შეკითხვა საკმაოდ რთულია ასეთი სწრაფი პასუხისთვის. თუმცა თავდაპირველად, თუ ნებას მომცემ, გეტყვი, რისი გაკეთება არ ღირს. რაც ამ საღამოს მოხდა, აღარ უნდა განმეორდეს.

„მარცხის გმირი“, დათიკო გვისმენდა და დავამატე:

– ყოველთვის არ უნდა დავმარცხდეთ, მაგრამ ჯერ ნათლად არ მაქვს ჩამოყალიბებული, რა უნდა გავაკეთოთ ამისთვის, ამიტომ ხვალ ვისაუბროთ.

მეორე დღე გათენდა და ჩვენ კვლავ შევეხეთ ამ მწვავე საკითხს.

– ვილაპარაკოთ ცოტა და კარგად! – შემახსენა ნესტორმა.

– რაც შეიძლება ცოტა და კარგად, როგორც შენ გსურს. კობასთან დაპირისპირების შეხვედრებზე დათიკო არასდროს აღარ უნდა გამოვიდეს. მართალია მჭევრმეტყველება არ აკლია და ხმაც კარგი აქვს, მაგრამ ის არის ორატორი, რომელმაც არ იცის, როგორ აარიდოს თავი დეტალებს მთავარი სათქმელის სასარგებლოდ. მსმენელს სიტყვების ნაკადში ძირავს, ისეთ მდინარეში, საიდანაც საბრალო მუშებს მთავარი აზრი ვეღარ გამოაქვთ. გუშინ კარგად გამოჩნდა, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, დათიკო კობას დონის არ არის. არ მინდოდა შენთვის სასოწარკვეთა შთამეგონებინა, როდესაც ამ ორი კვირის წინ, ენთუზიაზმით აღსავსე, მესაუბრებოდი დათიკოს შესახებ. ახლა კი ფაქტი სახეზეა და მწვავე რეალობის დასაფიქსირებლად არანაირი ეჭვი აღარ მაქვს.

– კი, გეთანხმები, მართალი ხარ, მაგრამ ეს ძალიან უარყოფითია. არაფერია დადებითი. შენ არ მეუბნები, როგორ ვუთხრა უარი ჩვენს ამხანაგს კობას წინააღმდეგ სიტყვის აღებაზე, როდესაც ის აქ სპეციალურად ამ საქმისთვის მოვიწვიეთ? შენ არაფერს მთავაზობ, რომელი ამხანაგი დავუპირისპირო კობას? და როგორ უნდა ჩავრთოთ ის საქმეში?

– სწორია, შენთვის არაფერი შემომითავაზებია. თუმცა შენ იცი, რომ უარყოფით საკითხებზე მსჯელობით, კონსტრუქციულ შეთანხმებამდე მივდივართ. გარწმუნებ, რომ გამოსავალს ვიპოვით. ერთი სიტყვით, ასე შეგვიძლია საქმის მოგვარება: ისეთი ფართო გაქანების ადამიანი, როგორიც დათიკოა, ცენტრში უფრო საჭიროა, ტფილისში, ვიდრე ისეთ მიყრუებულ ადგილას, როგორიც ჭიათურაა. ამ შეთავაზებით ძალიან კმაყოფილი იქნება და საქმეც შეგვიმსუბუქდება.

– მხოლოდ შენ შეგეძლო მსგავსი კომბინაციის მოფიქრება...

– გთხოვ, დამასრულებინე. მხოლოდ ტფილისში, პარტიის ლიდერებს ან ახალგაზრდა მებრძოლებს შორის, როგორიც პეტრეა,[1] შეგვიძლია მოვძებნოთ ადამიანი, რომელიც სათანადოდ დაუპირისპირდებოდა კობას დისკუსიებში. მაგრამ, სამწუხაროდ, ჭიათურის მდგომარეობა ბათუმისას და ქუთაისისას არ ჰგავს, სადაც გადაწყვეტილების მიღება ერთი შეკრებისას შეიძლება. მაღაროები გაფანტულია, ერთმანეთისგან დაშორებული, მუშების საყოველთაო თათბირზე დაბარება წარმოუდგენელია. კრება თითოეულ მაღაროში ცალ-ცალკე უნდა ჩატარდეს, ტფილისიდან კი ვერცერთი ლიდერი ვერ მოახერხებს რამდენიმე კვირით წამოსვლას, ხოლო მანძილი ტფილისსა და ჭიათურას შორის იმის საშუალებას არ მოგვცემს, რომ თითოეულ კრებაზე დავიბაროთ ვინმე. ამგვარად, მხოლოდ ქუთაისის ვარიანტი გვრჩება, იქიდან შეიძლება ჩამოვიდეს ჩვენი ამხანაგი სწორედ დისკუსიების საღამოსთვის, მეორე დღეს კი უკან გაემგზავროს. მგზავრობა ორსაათ-ნახევარი თუ სამი საათი გრძელდება.

– კარგი იდეაა. კონკრეტულად ვის გულისხმობ? ყველაზე უკეთ ვინ შეგვესაბამება?

– ქუთაისში დიდი არჩევანი არ გვაქვს. მხოლოდ გრიშა ლორთქიფანიძე[2] გვაწყობს იმ მახასიათებლებით, რაც მის შესახებ ბათუმში მომაწოდეს. თუმცა, რაკი შეხვედრა უკვე მომავალ შაბათსაა ჩანიშნული, ამიტომ ამ დღისთვის გრიშასთან უნდა მოვაგვაროთ საქმე.

– გასაგებია. ყველა საჭირო ზომას მივიღებ.

---

[1] იგულისხმება ნოე რამიშვილი (რედ.).

[2] გრიგოლ ლორთქიფანიძე (1881-1937) – ქართველი პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატი, 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო და განათლების მინისტრი. 1921 წლის ოკუპაციის შემდეგ დარჩა საქართველოში; დახვრიტეს 1937 წელს (რედ.).

* * *

დათიკო ტფილისში გაემგზავრა. შაბათს გრიშა ჩამოვიდა და საღამოს კობასთან შეთანხმებულ ადგილისკენ გავეშურეთ.

გრიშა რამდენიმე კვირის წინ დაბრუნდა ოდესიდან; იქ ორი წლის განმავლობაში სტუდენტთა მოძრაობას ედგა სათავეში. რუსეთში ხშირად უძღვებოდა დიდ ყრილობებს. კარგი გამოცდილება აქვს და მასების ფსიქოლოგიასაც იცნობს. მას ჯერ არ დაუსრულებია სწავლა უნივერსიტეტში, მაგრამ ძალიან დახვეწილი და განათლებული, უკვე პოლიტიკოსია. მაღალი შუბლი, ნათელი სახე, პირდაპირი მზერა, ღია ფერის თმა და დაბალი წვერი, თითქმის ისეთივე ფერმკრთალი, როგორიც კობა, ოდნავ მასზე ახალგაზრდა. ნამდვილად დიდსულოვანი ადამიანი. ერთი უცნაურობა: მიუხედავად ამ ორ ადამიანს შორის არსებული დიდი განსხვავებისა, მათ რაღაც საერთო ჰქონდათ. ორივე მათგანში იყო მაღალი მოწოდების სახელმწიფო მოხელე.

მათი შეხვედრის პირველი შემთხვევა იყო, თუმცა ერთმანეთს ხელი ისე გაუწოდეს, როგორც ძველმა ნაცნობებმა. კობამ შესთავაზა სიტყვა პირველს მას აეღო. გრიშამ დიდებულად თქვა უარი ამ პატივზე ზრდილობის კანონების მიზეზით, რომელთა თანახმადაც, პირველობა უფროსს ეკუთვნის. მან შეკრებილთა თანდასწრებით განსაზღვრა დისკუსიების ჩარჩო და დრო თითოეული მოხსენებისთვის. გრიშამ ნახევარი საათი შესთავაზა, რაზეც კობას წინააღმდეგობა არ გაუწევია და დარბაზიც დაეთანხმა.

პირველად კობამ ისაუბრა, შემდეგ – გრიშამ. ორივე ორატორს ძალიან მკაფიო და ზუსტი გამოსვლა ჰქონდა, ერთმანეთის მიმართაც პატივისცემით იქცეოდნენ. რთულია იმის თქმა, რომელი უფრო ძლიერი იყო. მიუკერძოებელი თვალსაზრისით, თითქოს, უპირატესობა კობას მხარეს იყო, იმდენად გაბედულად და უნაკლოდ გამოიყურებოდა ბოლშევიკური თეზისების სასარგებლო არგუმენტების წარდგენისას. მაგრამ, როგორც ნესტორს დავპირდი, ამ შემთხვევაში წარმატებას ვერ მიაღწია. დიდი უმრავლესობით მენშევიკური ტაქტიკის დღის წესრიგს დაუჭირეს მხარი. გადაწყვეტილებამ ორგანიზაციის დირექციის დაუყოვნებლად შეცვლა გამოიწვია და მუშები ახალი წევრების არჩევნებში ჩაერთვნენ.

პირველად მოხდა, რომ დისკუსია ჩვენთვის სასარგებლო შედეგით დამთავრდა და ჩვენი ყოველდღიური საქმიანობის შედეგი ვიხილეთ, რაც ურთულეს ბრძოლაში გამოიხატებოდა. ფანჯარა

გაჭრილი იყო ბოლშევიკურ ციტადელში. არცერთი ფრონტი აღარ რჩებოდა უმოძრაოდ. მომდევნო მსგავს კრებებზე ბოლშევიკები გამაგრებულ პოზიციებს დაკარგავენ. ყოველდღიური თუ პერიოდული დისკუსიები უფრო და უფრო გაშმაგებული ხდებოდა. უკანასკნელი კი სამწუხარო ინციდენტით დასრულდა.

თავი V

როდესაც სტალინი იყო გულცივი კობა

ჭიათურის შემოგარენი ისევე, როგორც რკინის საბადოს სხვა რეგიონები, ძირითდად, მთიანი ტერიტორიაა. თავად ქალაქი ორი ფერდობის შუაშია მოქცეული, შორაპნიდან ორმოცდაათიოდე კილომეტრში – სადაც გადის ტფილისი-ბათუმის დამაკავშირებელი მთავარი სარკინიგზო ხაზი – ხოლო საჩხერიდან კი ოცდაათ კილომეტრშია, მდინარე ყვირილას მარჯვენა სანაპიროზე. მანგანუმის აღმოჩენამდე საჩხერე პატარა, არისტოკრატული დასახლება იყო, რომელიც რეგიონის დიდგვაროვანთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობდა, აქ ცხოვრობდნენ თავადი წერეთლები და ციციშვილები. XIX საუკუნის დიდი პოეტი, თავადი აკაკი წერეთელი სწორედ აქ დაიბადა.

დღეს ყვირილას სანაპიროზე, მცირე ზეგანზე, ჭიათურა საბადოების ცენტრად იქცა. მარცხენა სანაპიროზე, აღმართის თავზე, შენიშნავთ მანგანუმის დეპოებს და მადანის გასარეცხ მოწყობილობებს. იქვეა ადმინისტრაციული ნაწილი და ფოსტა, სადგური კი, მოპირდაპირე მხარეს, უფრო ქვემოთ მდებარეობს.

სწორედ ამ მთიან ადგილებში მოიწყო კობამ სამმართველო შტაბი, ათი წუთის სავალზე სახლიდან, სადაც მე ვცხოვრობდი. ყოველთვის, როდესაც დეპოებისკენ მივდიოდი, აუცილებლად ვხვდებოდით ერთმანეთს.

ამგვარად, შეხვედრის შესაძლებლობები არ გვაკლდა. შეხვედრისას მუდამ დადებით განწყობას იჩენდა და ამხანაგურად გამომელაპარაკებოდა ხოლმე. ჩემთვისაც სასიამოვნო იყო მასთან იდეების გაცვლა. ძალიან ბევრს მუშაობდა და მხოლოდ საჭირო დროს გამოდიოდა.

ერთ დილას, ჭიათურისკენ მიმავალ გზაზე შევნიშნე, რომ სამუშაოები შეჩერებული იყო. მუშებს სამუშაო ადგილები მიეტოვებინათ და გაფიცვას მხოლოდ ხელფასის მომატების შემდეგ შეწყვეტდნენ. მეპატრონეთა რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, მათ ექსპორტზე გამტანთათვის განსაზღვრულ ვადაში უნდა ჩაებარებინათ პროდუქტი. ზეგანზე შეკრებილი მეპატრონეები ბჭობდნენ.

მსურდა, უკეთ გავრკვეულიყავი სიტუაციაში და მათკენ გავეშურე. მათ შორის შევნიშნე კობა. აქ რას აკეთებდა? როგორც კი დამინახა, ჩემკენ წამოვიდა. შეკითხვა დავუსვი, რაზეც კითხვითვე მიპასუხა:

– იცი, რას მეუბნებიან? ამხანაგო, მუშები ჩვენს ექსპლუატაციას ეწევიან!

– კობა, შენ აუცილებლად ყველა სიტუაციიდან მონახავ გამოსავალს! – მივუგე.

რამდენიმე ხნის შემდეგ გავიგე, რომ ბოლშევიკური ორგანიზაციები ფინანსური პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ და მატერიალურ მხარდაჭერას საბადოების უფროსებისგან ელოდნენ. მუშები ნელ-ნელა ტოვებდნენ ბოლშევიკებს, რამაც აღნიშნული პრობლემა გამოიწვია. ამხანაგი კობა არაამქვეყნიური გამოწვევის წინაშე იდგა: როგორ უნდა გამოეკვება ათეულობით პროპაგანდისტი, რომელთაც უკვე „უიარაღო გენერლებად“ მოიხსენიებდნენ? გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი, ყველა ღონეს ხმარობდა თავისი „შტაბის“ შესანარჩუნებლად, რისთვისაც დამსაქმებლებსაც დაუკავშირდა.

სხვა წყაროებსაც მიმართავდნენ, მათ შორის, პროპაგანდასაც. ბოლშევიკებმა ხელოვნებისადმი მიძღვნილი საღამოც გამართეს, პირველი ხარისხის მსახიობისა და ნიჭიერი მოყვარულის კონკურსით. საღამოს პროგრამით გათვალისწინებული ქართული, პატრიოტული სიმღერები შესანიშნავ შედეგებს უქადდათ. დაახლოებით ორიკვირიანი მომზადების შემდეგ წარმოდგენა გადაჭედილ დარბაზში დაიწყო. უეცრად, სპექტაკლის მსვლელობისას, დარბაზში ოდესის ტრაგიკული ამბები გავრცელდა: ქალაქი საშინელი დარბევების სცენად ქცეულიყო. რაზმებში მყოფი ქართველი სტუდენტები ჯალათების წინააღმდეგ იბრძოდნენ, „პოტიომკინის“ მეზღვაურები პირდაპირ ქალაქის მიმართულებით ისროდნენ აჯანყებულთა მხარდასაჭერად. ამაოდ! ხელისუფლებამ სიტუაციაზე კონტროლი აიღო და წინააღმდეგობრივი გამოსვლები სისხლში ჩაახშო, „პოტიომკინი“ იძულებული გახდა, რუმინეთის წყლებში მოეძებნა თავშესაფარი.

წარმოდგენა ბათუმელმა მუშამ, პროკოფი დოლიძემ, შეწყვიტა, რათა ახალი ამბავი ეცნობებინა. დღესასწაულის ორგანიზატორებს მიმართა: „არ გრცხვენიათ, აქ რომ ერთობით, მაშინ, როდესაც სისხლის მდინარეები დგას ოდესაში!“ დარბაზი შეშფოთდა, ყველა მხრივ კრულვის ხმა ისმოდა, საღამო ჩაიშალა!

მეორე დღიდან ბოლშევიკები საპასუხო შეტევაზე გადავიდნენ. გაავრცელეს კობას მიერ შედგენილი ტექსტი: „ჩვენ და გოდება?“, რათა პროტესტი გამოეხატათ „მენშევიკი რეაქციონერი ამხანაგების“ მიმართ. ამოსავალი იდეა იყო, რომ რევოლუციონერებმა საკუთარი თავის დაძლევის უფლება არავის უნდა მისცენ. ეს პამფლეტი ცინიზმშიც კი გადადიოდა განცხადებით, თითქოს, რევოლუციონერებს, საბრძოლო საშუალებების შერჩევისას, უფლება არ აქვთ საკუთარ ეჭვებს მოუსმინონ. ამგვარი კონცეფცია ჩვენთვის მუდამ მიუღებელი იყო.

* * *

იმ პერიოდში ქართველი სოციალ-დემოკრატების მიერ მართული რევოლუციური მოძრაობა აღმასვლას განიცდიდა კავკასიის ხელისუფლებაში, რამაც ბოლო მოუღო ერის შევიწროვებას და სომხებს დაუბრუნა ერთი წლით ადრე ეკლესიებიდან კონფისკებული ქონება. სრული პოლიტიკური თავისუფლება იდგა, დიდი ქალაქების გარდა, იკრიბებოდნენ სადაც მოისურვებდნენ და რა ფორმითაც მოისურვებდნენ. ჩვენც ვისარგებლეთ შექმნილი მდგომარეობით, რომელიც ხალხს ეროვნულობის იდეის დაცვისკენ უბიძგებდა.

ჩამოყალიბდა ყველანაირი პოლიტიკური ჯგუფი: ეროვნული, ავტონომიური, ფედერალისტური, სოციალ-რევოლუციური, ანარქისტულიც კი. ეს უკანასკნელნი, ევროპის ქვეყნებიდან დაბრუნებულნი, ვარაუდობდნენ, რომ სხვაგან არსად არსებობდა ასეთი სრულფასოვანი თავისუფლება. მთავრობებს ყველგან ბოროტი განზრახვა ამოძრავებდათ და სოციალ-დემოკრატები მოუწოდებდნენ კიდეც ჩვენს ხალხს, იარაღით ხელში დაპირისპირებოდნენ არსებულ ხელისუფლებას. შეიძლება ითქვას, რომ ქართველი ხალხი სოციალ-დემოკრატების მიერ მართულ ძლიერ მიმდინარეობაში იყო ჩართული.

უმრავლესობა სოციალიზმს ეროვნული თავისუფლებისა და სამშობლოსთვის ბრძოლის ახალ ფორმად მიიჩნევდა. სხვა პარტიების დაფანტული ჯგუფები მყარად ვერ იკიდებდნენ ფეხს. თუმცა, ყველა საერთო მტრის წინააღმდეგ ერთიანდება. სტრატეგიული კანონზომიერების გათვალისწინებით, ისინი სუსტ წერტილს ეძებენ, მთელ ძალას აერთიანებენ და მოქმედებენ.

ერთ დღეს პარტიზანების მთელი მატარებელი ჩამოვიდა ჭიათურაში. ჩვენც გვქონდა ტაქტიკა: ჩვენი აზრით, მოსახლეობისთვის პოლიტიკური განათლების მიცემის საუკეთესო გზა მისი დისკუსიებში ჩართვა იყო.

როგორც კი საშუალება მოგვეცემოდა, ხალხს ვრთავდით ღია ცის ქვეშ მოწყობილ კრებებში. უამრავი ადამიანი იყრიდა თავს ჩვენს მოწოდებაზე. სივრცე ტყის პირამდე ივსებოდა, იძულებულები ვხდებოდით, ათამდე ჯგუფად დაგვეყო აუდიტორია და ორატორები თითოეულ ჯგუფში გამოცხადებულიყვნენ. ძალიან ანთებული, ზუსტი და საგულდაგულო დებატები იმართბოდა. სწორედ ამ პერიოდში აღმოვაჩინე სსრკ-ის მომავალი დიქტატორის ახალი სახე.

ერთი ჯგუფიდან მეორეში გადავდიოდი, სადაც სოციალისტ-რევოლუციონერი ანარქისტთან გაერთიანებულიყო, რათა ჩვენზე იერიში მოეტანა, მათ კობა პასუხობდა. რას ამბობს ის? ორივე მოწინააღმდეგე სოციალ-დემოკრატიას რევოლუციისა და თავისუფლების ღალატში სდებდა ბრალს. კობა უკვე გარიცხული იყო პარტიიდან, მაგრამ მაინც პარტიის მხარე დაიჭირა და უდრეკად გააბათილა წარმოთქმული მოსაზრებები. მისი სიტყვა ლიტერატურისა და ზედმეტი სიტყვებისგან დაცლილი იყო, მხოლოდ მოქმედების შედეგები იკვეთებოდა. როდესაც გარშემო ყველა ანთებული, აღტყინებული ხმამაღლა საუბრობდა, ის მაინც ინარჩუნებდა გამაოგნებელ სიმშვიდეს და ცივ გონებას.

„თქვენ, ანარქისტები, საუბრობთ დასავლეთსა და მის რეჟიმებზე. ამბობთ, რომ ამ დემოკრატიულ ქვეყნებში თავისუფლება არ არის. თავად კი, ყველაზე უფრო დიდ პატივს მიაგებთ თავისუფლებას, რომელიც ახლა ჩვენთან დისკუსიის საშუალებას გაძლევთ და პარალელურად, სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ღალატში სდებთ ბრალს პარტიას, რომელმაც თქვენი და ჩვენი თავისუფლება მოიპოვა და დღესაც აგრძელებს შეუწყნარებელ ბრძოლას. ორმაგი გაუგებრობაა, თქვენ შეცდომას უშვებთ დემოკრატიული ქვეყნების წყობისა და თავისუფლების არმქონე, დესპოტური ქვეყნების ერთმანეთში არევით. თქვენ ხალხისგან მოითხოვთ, დაუპირისპირდნენ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას და სახელმწიფო წყობას. თუმცა თავისუფლება, რომელიც თქვენ გსურთ, მხოლოდ მაშინ შენარჩუნდება, თუ მისი მომპოვებელი პარტია საჭირო ორგანიზაციას შექმნის. დამიჯერეთ, ხალხი ძალიან

ჭკვიანია იმისთვის, რომ თქვენ რჩევას მიჰყვეს, რაც რევოლუციური მონაპოვარის დაკარგვამდე მიიყვანს“, – ამბობდა კობა.

ამ სიტყვებზე ორატორი სოციალისტ-რევოლუციონერებისკენ მიბრუნდა და ამგვარად მიმართა: „არა რევოლუციონერების სტატუსმა ან სიტყვებმა, არამედ ქმედებამ მოგვცა თავისუფლება; ეს ქმედება კი მხოლოდ სოციალ-დემოკრატებმა განახორციელეს. სად იყავით გმირული ბრძოლის პერიოდში, რომელსაც ისინი უძღვებოდნენ ცარიზმის ჩაგვრის წინააღმდეგ და დემოკრატიული და სოციალისტური იდეალების განსახორციელებლად? სოციალ-დემოკრატიულ პარტიას კრიტიკის არ ეშინია, ძალიან სასარგებლოდაც კი მიაჩნია ის. თქვენი საუბრები ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის არსებული უთანხმოების შესახებ ყველანაირ საფუძველს მოკლებულია, რადგან ეს გაყოფა სისუსტე არ არის, არამედ ჩვენი პარტიის ძალაა. ის ძლიერი და შეძლებულია „რაოდენობრივად და ხარისხით“, მას შეუძლია შიდა მრავალფეროვნების ფუფუნების უფლება მისცეს თავს. თქვენ კი რა გაქვთ საერთო ნაციონალისტებთან და ანარქისტებთან, თუ არა სისუსტე?“

ამ დღეს კობას სრულიად განსხვავებული საუბრის მანერა ჰქონდა, ეს ჩვეულებრივ კრებებზე წარმოთქმულ სიტყვებს არ ჰგავდა. მართალია, ჩვეულ შეუვალობასა და სიმტკიცეს ინარჩუნებდა, თუმც, მეტად ყურადღებით იყო. როგორც ჩანს, სიყვარულით მიმართავდა ახალგაზრდა სტუდენტებს, რომელნიც ახალი გაწევრიანებულები იყვნენ ჯგუფში. ყოველგვარ აგრესიულობას მოკლებული, ცდილობდა გულწრფელი და მშვიდი სიტყვა შეენარჩუნებინა. მისი გამოსვლა იმდაგვარი იყო, ვერაფერს დავამატებდი; უკეთესად არც კი შეიძლებოდა ჩემი პარტიის წარმოჩენა, ბევრი ჩვენგანი შუა საუბრისას სხვა წრეებში გადავდიოდით.

* * *

რამდენიმე ხნის შემდეგ კიდევ ერთი შეხვედრა შედგა. ამჯერად კობა მშვენიერ სტუდენტ გოგონას ეპაექრებოდა, ლამაზად ჩაცმულსა და მჭევრმეტყველს. გოგონა, წარმოსადეგი ჟურნალისტისა და კიდევ ერთი ყმაწვილი სტუდენტის თანხლებით, თავის ფედერალისტურ მოსაზრებას იცავდა, არგუმენტირებულად და საქმის სიღრმისეულად ცოდნით. ნათელი იყო, გოგონა კარგად იცნობდა საკითხს, ხოლო კობასთვის, შესაძლოა, ეს სიახლეც კი ყოფილიყო. უნდა აღინიშნოს, რომ კობა საკმაოდ კარგად იწყებდა

და პოზიციას სოციალ-დემოკრატიული იდეებით იცავდა; თუმცა, როდესაც გამოსვლის თეორიულ ნაწილში გადავიდა, ფედერალიზმის ყოველგვარი წარმოჩინება უარყო და ის შეაფასა, როგორც „ბურჟუაზიული წარმონაქმნი“, რამაც მისი კრიტიკა ზედაპირული გახადა. ნაციონალისტებმა და ავტონომისტებმა ეს მაშინვე შენიშნეს, იმ წამსვე შეუტიეს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ეროვნული საკითხის უგულებელყოფისა და პატრიოტული გრძნობების დანაკლისის ბრალდებით, ისინი მათ ქართული საქმის ღალატსა და რუსიფიკაციის პოლიტიკის გატარებაში ადანაშაულებდნენ. იმდენად მძიმე შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ რამდნიმე ამახანაგმა მთხოვა, ჩავრეულიყავი. ერთ-ერთი მათგანი კობას გამოსვლაში პროვოკაციას ხედავდა: „მან მხოლოდ ჩვენი კომპრომეტირებისთვის ისაუბრა!“ თუმცა, როგორ უნდა წამომეწყო მასთან პოლემიკა, როდესაც ჩვენი სამშობლოს დამცველად წარმოჩინდა! დაველოდოთ მის რეაქციას! ჩურჩული ისმის. ბრბო მღელვარებამ მოიცვა. იმედგაცრუებულთა ნაწილი წასვლას ლამობდა, ნაწილი კი აღშფოთებას ვერ მალავდა: „რას აკეთებს კობა? რას იტყვის?“ ყველა მას შესცქეროდა. კობას სახე ისე უბრწყინავდა, როგორც არასდროს, ისე გამოიყურებოდა, თითქოს მზად იყო, ყველაზე საშინელი ეჭვებიც კი გაეფანტა. მის პატარა, დახრილ თვალებში მხოლოდ ეშმაკობა იხატებოდა. ვიღაცამ რაღაც დაიძახა, მაგრამ არავის გაუგია საერთო აურზაურში. ჩვენებმა, საზრიანებმა და მარჯვეებმა, სიწყნარისკენ მოუწოდეს ყველას.

კობა წინ წამოიწია. რაღაც სულიერი სარკაზმი სდევდა მის ქმედებას, ერთი ხელის მოსმით ისეთი განწყობა შექმნა, თითქოს მანამდე გამომსვლელი ორატორები სულელები იყვნენ და მისი სიტყვების ვერაფერი გაიგეს. ეს როგორ? ნუთუ წარმოუდგენიათ, რომ სოციალ-დემოკრატული პარტია მოკვდა და ჩვენ მის დაკრძალვაზე გვიხმობენ? პირიქით, ძალიან ცოცხალია და ვითარდება! თვალსაჩინო მაგალითებით, აუდიტორიამ დაამოწმა, რომ სოციალ-დემოკრატია, რომელშიც ხალხის მასებია ჩართული და რომელმაც შეუდარებელი გამარჯვებები მოიპოვა, ყველაზე მყარი გარანტია ხალხის თავისუფლებისათვის: „მთელი საუკუნეა, ამბობს ის, ქართველი ხალხი არ ყოფილა ასე ერთიანი, როგორც დღეს, ის ერთიანია ჩვენს მოძრაობასთან, რომელიც, მიუხედავად თავდასხმებისა, მუდმივად იზრდება და ძლიერდება. საქართველოს ეროვნული კულტურაც სოციალ-დემოკრატული გაძლიერების კვალდაკვალ ვითარდება. გაზეთების, წიგნებისა და ბროშურების ქა-

რთულ ენაზე გამოცემამ იმატა, ცარისტული ხელისუფლება ვეღარ ბედავს, როგორც ადრე, თავს დაესხას ქართულ ენას. სახალხო ზეწოლის ფონზე, იძულებულები გახდნენ, სომხური ეკლესიისთვის კონფისკებული ქონება დაებრუნებინა და წერტილი დაესვა დევნისთვის. ქართველი გლეხები და პროლეტარიატი აღიარებს სოციალ-დემოკრატიული პარტიის დამსახურებას; სწორედ მათ წამოიწყეს პროგრესის გზა და მომავალშიც გაყვებიან მას. სწორედ ამისთვის ენდობიან პარტიას“.

კობამ შუბლი ასწია. ბრძოლა მოგებულია. მის სიტყვებს მძვინვარე აპლოდისმენტები შეაგება აუდიტორიამ, რომელსაც ის ცოტა სძულდა კიდეც. ამჯერად მან საერთო საქმე დაიცვა.

აღსანიშნავია, რომ უკვე ამ ეპოქიდან კობას ჩვევად ჰქონდა საუბრისას სამხედრო ტერმინები გამოეყენებინა – სექტორი, ფრონტი, ბრძოლა: რა თქმა უნდა, ამ ლექსიკამ ყოველდღიურობის სახე მიიღო სსრკ-ში და ეს სტალინის დამსახურება იყო.

ვნახოთ დაბრკოლებები, რომელთა განჭვრეტაც აუცილებელი იყო:

ბოლშევიკების მხარდამჭერმა ათასობით მუშამ, დატოვა მათი რიგები. დარკვეთის თორმეტი მაღაროდან მხოლოდ ერთი დარჩა მათი ერთგული. გრიშას სიტყვით გამოსვლის დროც დადგა, ყველამ ვიცოდით, რომ დისკუსია ამაო იყო. გრიშა ქუთაისიდან ჩამოვიდა, შაბათს, შუადღისას გამომიარა, მხოლოდ მე ვახლდი. დარკვეთში ჩასვლისას ვნახეთ, რომ კობა შეხვედრაზე იყო და რამდენიმე სტუდენტი ახლდა. მას გამბედავი იერი ჰქონდა, რაც ენიგმატურად მეჩვენა. მის დახვედრას სიმშვიდე აკლდა, რაც უცხო იყო მისთვის, აშკარად რაღაც საეჭვო ხდებოდა მის თავს.

მუშები უკვე შეკრებილიყვნენ და გასაუბრების დრო არ გვქონდა. კობას თხოვნით, პირველი გრიშა გამოვიდა სიტყვით. ჩვეულებისამებრ, კარგად ისაუბრა. გამოსვლა ნახევარ საათში დაასრულა. გრიშას მოსმენის პარალელურად კობას ვაკვირდებოდი, უჩვეულო მოძრაობები შევნიშნე, ისიც კი ვიფიქრე, რომ ავად იყო, რაღაც აწუხებდა. თუმცა, როგორც კი პასუხის გასაცემად გაეშურა, თავი ხელში აიყვანა, პრეამბულა ჩვეული სიმშვიდით დაიწყო. პატარა თვალებს დამახასიათებელი ღიმილით არ ახამხამებდა, უშუალობაც სადღაც გამქრალიყო, ძალიან დამძიმებული იყო.

საუბარი დაიწყო. რას ამბობს? ბოლშევიკური თეზისის დაცვისა და მენშევიკურის კრიტიკის შემდეგ დროებით მთავრობაში ჩა-

რთვის საკითხს შეეხო. ეს ძალიან მწვავე თემა იყო, ბოლშევიკები, მენშევიკების საწინააღმდეგოდ, იმ მოსაზრებას ემხრობოდნენ, რომელსაც მომავალი საბჭოთა დიქტატორი იზოლირებული პოზიციით ამყარებდა: ის უარს ამბობდა რაღაც დოზით მაინც დათანხმებოდა ბურჟუების მთავრობაში ყოფნას ნებისმიერი ფორმით. ამასთან, ხაზს უსვამდა, რომ რევოლუციის სწორი მიმართულებით წარმართვა მხოლოდ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას შეეძლო და მხოლოდ ლენინის მეთაურობით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მთავრობაში მოსული ბურჟუები უღალატებენ რევოლუციის პრინციპებს და მას სისხლში ჩაახშობენ.

ამ გესლიანი სიტყვის მოსმენამ მუშები სასტიკად აღაშფოთა ბოლშევიკების წინააღმდეგ: „ჩვენ გვსურს, მუშებს თავიდან ავარიდოთ მსხვერპლი, რასაც რევოლუცია ითხოვს, ამასთან, მაქსიმალურად ვასარგებლოთ რევოლუციური მონაპოვრით. როგორც ამხანაგმა გრიშამ განგვიმარტა, მენშევიკებს არ სურთ, რომ ჩვენ დროებით რევოლუციურ მთავრობაში შევიდეთ, რომლის მმართველობასაც ბურჟუებს უთმობენ. ამგვარად, მათ სურთ, ბურჟუების სასარგებლოდ, პროლეტარიატის სისხლის მდინარეები დააყენონ. ჩვენ კი, პირიქით, ბურჟუალიზული სისხლის დაღვრა გვსურს, პროლეტარიატის სასარგებლოდ!“

რეალობის ასეთი მოხერხებული შენიღბვით აღტყინებული მუშები გრიშას წინააღმდეგ დაიძრნენ, მისი ლინჩის წესით გასამართლებას აპირებდნენ, დიდი ძალისხმევა დამჭირდა, რომ მხოლოდ მცირე დაზიანებებით გამომერიდებინა იმ სივრციდან. მთელი ამ სცენის მიმდინარეობისას კობა ჩვეულ უემოციო მდგომარეობას, ოლიმპიურ სიმშვიდეს ინარჩუნებდა. როდესაც გრიშა დარბაზიდან გამყავდა, მაშინ ხელახლა მიმართა აუდიტორიას. უკანასკნელი სიტყვები, რასაც ყური მოვკარი, თითქოს ჩვენი ამხანაგის მიმართ გამოჩენილ ძალადობას ამართლებდა, „მუშები, რომელნიც ტოლერანტობას არ აღიარებენ...“

გრიშა მაშინვე ქუთაისს გაემგზავრა, მე კი მისიით წავედი მთაში რამდენიმე დღით.

მცირე დაჯგუფებამ პროვოკაციულად, ძალადობრივად და ცუდად ორგანიზებულად იმოქმედა. რაც შეეხება კობას, დიდხანს აღარ დარჩენილა, მიზანმიმართულად დატოვა ჭიათურა. მოტივი ჩემთვის უცნობია, თუმცა გარკვეული ვარაუდების დაშვება შესაძლებელია. ერთი რამ ცხადია, კობას გაუმართლა, რომ ტფილისში

შეხვდა ლენინის სპეციალურ კორესპონდენტს, კამენევს[1], თუ ლიადოვს, ასევე რუს მენშევიკებს, რომელნიც ჩვენს მეთაურებთან აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს პარტიის გაერთიანებასათან დაკავშირებით. მსგავსი თანხმობა რუსეთში მიღწეული იყო და ქართველებს სთხოვდნენ, დაბრკოლება არ შეექმნათ.

საქმის მოგვარებას შემდეგნაირად სახავდნენ: პარტიიდან გარიცხულთა დაბრუნება. რაკი კობაც გარიცხული იყო, ეს საკითხი ხელს უმართავდა, რადგან სწორედ ის განაგებდა ყველაფერს კულისებიდან.

ცოტა ხნის შემდეგ ჩვენც დავეთანხმეთ რეინტეგრაციის იდეას, თუმცა არა გარდაუვალს და უპირობოს.

---

[1] ლევ კამენევი (1883-1936) – რუსი კომუნისტი და რევოლუციონერი, ლენინის თანამოაზრე; 1917-1923 წლების რუსეთის სამოქალაქო ომის დროს ბოლშევიკთა ერთ-ერთი ლიდერი. დიდი სტალინური ტერორის დროს დახვრიტეს (რედ.).

ტფილისი - მეტეხის ციხე

თავი VI

ბოლშევიზმის ციხესიმაგრე

გავლენებისთვის მძვინვარე უდრეკი ბრძოლის შემდეგ საქართველოს ყველა ქალაქსა თუ სოფელში ლენინის მიმდევრები პოლიტიკურ დებატებში დამარცხდნენ, ამიტომ ჭიათურა დატოვეს, თუმცა სამხედრო სტრატეგიის წესები არ დაივიწყეს. წაგებული ომის შემდეგ თავშესაფრისთვის ნამდვილი ანგარი შექმნეს. აღნიშნულ რეგიონში ჩვენც ძალიან აქტიურები ვიყავით, მოსახლეობას აშკარა სიმპათიები ჰქონდა ჩვენ მიმართ, ისინი კი, ცდილობდნენ, ცალკე მდგომი სამყარო შეექმნათ, რასაც ირონიულად, „მფრინავ ციხესიმაგრეს“ უწოდებდნენ. სახელი ბოლშევიკების სწრაფ გადაადგილებასა და სპონტანურ, გაუთვლელ გადაწყვეტილებებს უკავშირდებოდა.

ბოლშევიკური დაჯგუფებების ჩამოყალიბების საწყის ეტაპზეც კი, მასში შეუპოვარ ახალგაზრდებს არჩევდნენ. ხალხში არ ერეოდნენ, მაგრამ მუდამ ჯგუფებად მოძრაობდნენ. მხოლოდ საჭიროებისამებრ იცვლიდნენ ადგილს, კრებებზე გამოსვლის მიზნით, მხოლოდ ერთ მოსაზრებას იცავდნენ, რომელიც მათ ბატონს, ლენინს ეკუთვნოდა. ყველა ერთ მანერას, ერთი და იმავე არგუმენტებს იყენებდა, ყოველთვის ძალიან კონცენტრირებულები იყვნენ. ყველაზე ასაკიანები ამ წესებს არ გადადიოდნენ. მხოლოდ ამხანაგი კობა აძლევდა თავს უფლებას სურვილისამებრ წარმოეჩინა მოსაზრებები, თუ არგუმენტები. ყველა დანარჩენისთვის კი, ცხადი იყო, საჭირო ტექსტი ზეპირად უნდა ესწავლათ. ამ ფაქტს ადასტურებდა ჩვენ ხელთ ჩავარდნილი რვეული სათაურით „ზოგიერთი რამ პარტიაში წარმოშობილ დავაზე“. ყველას ერთად მხოლოდ ერთი იდეა დაგვებადა, „ლენინის მიერ შექმნილი კატეხიზმო!“ ხელნაწერი ქართულ ენაზე იყო შესრულებული, კობას სტილში. ვივარაუდეთ, რომ ეს რუსული ტექსტის თარგმანი იყო. თუმცა, ერთი კითხვა მაინც რჩებოდა, როგორ ახერხებდა კობა თავისუფლების შენარჩუნებასა და ლენინის კატეხიზმოდან გადახვევას?

მხოლოდ ეს საკითხი არ იყო ბურუსით მოცული. ასევე გვაინტერესებდა, რა როლი ჰქონდა ქარფო მოდებაძეს ბოლშევიკების წრეში: მაღალი ტანის, გამჭოლი და სიმპათიური მზერა, ფართო შუბლი, ვერცხლისფერი წვერი, უნაკლო, ყველასთან კარგ დამოკიდებულებაში მყოფი. მიახლოვებაც კი საკმარისი იყო მის მოსაწონებლად. მიუხედავად იმისა, რომ ჭიათურის ეკონომიკის სისტემაში მნიშვნელოვანი პოსტი ეკავა, პოლიტიკური ამბიციები არ ჰქონდა. თითქოს, ბოლშევიკთა წრის გარეთ იყო, თუმცა ისინი ზოგჯერ სტუმრობდნენ მოდებაძეს. ერთ დღეს ბოლშევიკთა სახელით შესრულებული განცხადების შემდეგ, კიდვ უფრო იმატა ჩვენმა ინტერესმა.

კიდევ ერთი საკვირველი საკითხი. მწვავე პოლიტიკური დისკუსიების ფონზე, ბოლშევიკები პირად ურთიერთობებში, ერთმანეთთან, თუ გარე სამყაროსთან, ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდნენ, რომ არაფერი ადამიანური არ აინტერესებდათ, აბსრაქტულები, გაუცხოებულები იყვნენ. რას ნიშნავდა ეს?

ბოლშევიკთა წრეებში ბავშვობის მეგობარი მყავდა, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და აღიარებული, მას უნდა მოეცა ამ ენიგმების გასაღები. ლამაზი ყმაწვილი, საშუალო ტანის, მეტყველი თვალებით, კისერზე ოპერაციის შემდგომი იარა ჰქონდა, რაც მის ფიზიონომიას აუშნოებდა. ეს სწორედ ის სტეპკო ინწკირველი იყო, რომელიც 1903 წლის შემოდგომაზე ჩემ სანახავად მოვიდა ბათუმის საავადმყოფოში.

რა თქმა უნდა, ჭეშმარიტი ბოლშევიკი იყო. გულწრფელობა და მგრძნობიარობა მისი კოდექსის შემადგენლ ნაწილს არ წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, მუდამ მეგობრულ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა ჩემ მიმართ. აღსანიშნავია, რომ შუაგულ ქალაქში და დღის სინათლეზე არასდროს ვხვდებოდით ერთმანეთს, რადგან ეს მისიანების მიმართ უპატივცემულობად ჩაეთვლებოდა. ამიტომ მთაში დაბურული ადგილი შევარჩიეთ, სადაც ღამით ვხვდებოდით.

მთვარის შუქზე, ვარსკვლავებიანი ცის ქვეშ, ტყეში, სადაც ფოცხვერები და დათვები ბინადრობენ, ყველაზე უფრო საიდუმლო გულიც კი იხსნება და თავისუფლად საუბრობს. ვერავითარი დოქტრინა წინ ვერ აღუდგება ინტიმურ გარემოსა და ბუნების ძალას. სტეპკო ყოველთვის ამბობდა, რომ მისი წრის ხალხზე არაფერს გამანდობდა, მაგრამ ამგვარი მაგიის წინაშე დათმობაზე წავიდა. სწორედ ასე შევიტყვე, რომ ხელნაწერი „კატეხიზმოს“ ავტორი არა ლენინი, არამედ კობა იყო. ასევე გავიგე, რომ კობას მატე-

რიალურად ქარფო მოდებაძე უზრუნველყოფდა, ფულს მის გარშემომყოფთაც აძლევდა სესხად. ქარფო იგივე იყო კობასთვის, რაც კრასინი ლენინისთვის, რაკი ის მას აფინანსებდა. სტეპკომ ასევე გამანდო ბოლშვიკური ციხესიმაგრის საიდუმლო ცხოვრება. ის ჩვეულებრივი იყო, უბრალოდ თანხმობაში ვერ მოდიოდა მაცდურ ფასადთან. ბოლშევიკები დიდი შემართებით აცოცხლებდნენ საკუთარ თავში იდეალიზმსა და ასკეტიზმს. საბოლოოდ კი, ისინიც ადამიანები იყვნენ, ბუნების წარმონაქმნები. კობა, წმინდათა წმინდაა მიმდევართა თვალში, ქარხნების ქრისტე, რომელიც მიწიერ ცდუნებებს არ სცნობდა. კობა სიძულვილს არ განიცდიდა ქალების მიმართ, ხოლო ბოლშევიზმი ქალების გარეშე არსებული მილიცია არ იყო.

სტეპკოს ისტორია ამ თემის ირგვლივ შემეცნებითი აღმოჩნდა. ორ ახალგაზრდა ქალს, ფაციას და ანეტს, უსაზღვროდ შეუყვარდათ კოტე ცინცაძე. ახლაც თვალწინ მიდგას ორი ქართველი გოგონას ანთებული სახეები, შავგვრემნები, ჩამოსხმულები, შავი, მეტყველი თვალებით. ბოლშევიკთა რიგებში მხოლოდ იმიტომ ჩაეწერნენ, რომ მეგობრებთან თავი მოეწონებინათ, ყველაზე უფრო გაბედულ კაცებსაც არ უდებდნენ ტოლს, აქტიურად ერთვებოდნენ გამოცემებისა, თუ ასაფეთქებლების ფარულად გადატანის პროცესში, მზად იყვნენ, ცეცხლშიც ჩავარდნილიყვნენ, კობას და საყვარელი ლეიტენანტების გამო.

1907 წლის 26 ივნისს კობას მიერ ორგანიზებულ სახელმწიფო ქონების მითვისების ცნობილ ოპერაციაში ფაცია და ანეტი აქტიურად იყვნენ ჩართულნი სტეპკოსთან ერთად; ხოლო კოტე იმ დროს ციხეში იყო. ტფილისში, ფაქტობრივად, საომარი მდგომარეობა შეიქმნა, 14 გარდაცვლილი და 50 დაჭრილი. მრავალი ანალოგიური შემთხვევა იყო რუსეთში – 372, მათ შორის პილსუცკისა და ბეზდანის ძარცვები 1908 წლის 27 სექტემბერს, თუმცა, ყველაზე მასშტაბური და ცნობილი, თავისი დრამტულობითა და შესრულების ხარისხით, ტფილისის ძარცვაა.

ერთხელ, ჩვენი ღამის საუბრებისას სტეპკომ მითხრა:

– კობას კარგად რომ იცნობდე და იცოდე, როგორ პატივს გცემს, მენშევიკებთან აღარ დარჩებოდი; ჩვენ გვერდით იქნებოდი და თავგანწირვის მზადყოფნაც გექნებოდა, თუ მეთაური ამის აუცილებლობას დაინახავდა!

ჩემმა პასუხმა არ დააყოვნა. მეგობარს ამ თემაზე საუბარი ავუკრძალე. ჩვენი პოლიტიკური გზები ძლიერ განსხვავდებოდა.

მესამე ნაწილი



ტფილისი, ბოტანიკური ბაღი და ნახიყადა

თავი I

წყვდიადმა დაფარა ბათუმი

ჭიათურის წითლების რაზმებს კოწია ჭოჭუა ხელმძღვანელობდა. მაღალი, შავგვრემანი, ენერგიული, ლიდერობა უყვარდა, ძლიერ განსხვავდებოდა უფროსი ძმისგან, ლადოსგან. ბოლო ექვსი კვირის განმავლობაში სწორედ კოწია იყო დაკავებული ახალწვეულთა გაწვრთნით, დღე და ღამე მუშაობდა. ჩვენ შორის ერთ-ერთი უიშვიათესი ადამიანი იყო, ვინც საბრძოლო ხელოვნებას იცნობდა, ახალი მიღებული ჰქონდა ჯილდო ცარისტული არმიის სამსახურისთვის. თითქმის პირველები ჩავედით შორაპანში. მოგვიანებით წითლების რაზმები მოვიდნენ იმერეთის სხვადასხვა კუთხიდან, სამეგრელოდან, აფხაზეთიდან დაბოლოს, გურიიდან. ბუნებრივია, ამდენი რაზმის ერთ ადგილას შეგროვება მეთაურებს აიძულებდა წესრიგსა და საკვებით მომარაგებაზე ეზრუნათ.

გურიის რაზმების სათავეში ნოე ხომერიკი იყო. ჩვენი მეგობარი ბენია ჩხიკვიშვილი კი, გურიაში დარჩა, როგორც გურიის ახალგაზრდა რესპუბლიკის თავმჯდომარე.

ხომერიკმა მითხრა, რომ ბათუმში სისხლიანი სცენები ვითარდებოდა, ჯერ კიდევ უცნობი მიზეზით, მოსახლეობა ნაადრევად აჯანყდა. ქუჩები სავსეა ბარიკადებით, შეუწყნარებელი ბრძოლა მიმდინარეობს. მიტრალიეზებითა[1] და ქვემეხებით აღჭურვილი რუსული ჯარი დიდ წინააღმდეგობას არ ელოდა შეუიარაღებელი მოსახლეობისგან. ამბოხს კარლო ხელმძღვანელობდა და ქუთაისამდე მოსვლა შეძლეს. ამ ამბის შემდეგ აღარაფერი შეგვიტყვია. ბათუმი დანარჩენი ქვეყნისგან გამოყოფილი დარჩა, მის შესახებ ინფორმაციას ვეღარ ვიღებდით.

ხომერიკმა ბათუმში წასვლა და სიტუაციის შესწავლა მთხოვა. ამასთან, ინფორმაცია უნდა მიმეწოდებინა ჩხეიძისთვის, რომელიც გრიშა ლორთქიფანიძესთან ერთად ადგილზე უძღვებოდა მოძრაობას. თავად კი ტფილისში წავიდოდა, როგორც კი ბანაკე-

[1] ძველებური მრავალლულიანი იარაღი (რედ.).

ბის ორგანიზება დასრულდებოდა და გურიის რაზმების მეთაურობას ყოფილ სამხედროს გადააბარებდა.

– თუ ბათუმში ვერავინ შეაღწია, მე როგორ უნდა ჩავიდე? – ვუპასუხე მე.

– აქამდე ეს ვერავინ შეძლო, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ვერასდროს მოხერხდება ბათუმში შესვლა. შენ კარგად იცნობ ბათუმს და მის შემოგარენს. თავს გაართმევ. მაგრამ ეს ყველაფერი არ არის, უკან გამოსვლაც უნდა შეძლო. დემარკაციის ხაზი ჩაქვშია[1]. შენი იმედი გვაქვს!

იმევე დღეს გამომიყვეს „დელეგატების მატარებელი“[2] ჩაქვში ჩასასვლელად. მაგრამ აქ არაფერი ხდებოდა, ყველა მცდელობა მარცხისთვის იყო განწირული. ამგვარად, „საზღვარი“ მთიდან გადავჭერი, ციხესიმაგრის მხრიდან გავიარე; სწორედ იმ მწვერვალებიდან, საიდანაც ყველაზე ნაკლებ მელოდნენ. სრული ერთი დღე და ღამე ტყეში და გზებზე გავატარე. მხოლოდ მეორე დღის საღამოს მივაღწიე ბათუმში. მარტივი საქმე არ იყო!

შვიდი თვის წინ ბათუმი წარმატებული ქალაქი იყო, სიცოცხლით სავსე, ქუჩაში უამრავ სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე დადიოდა. ახლა კი, ქალაქი უფერული, ყრუ და დამუნჯებული მეჩვენა. ქუჩები უკაცრიელი, ტროტუარები დანგრეული, სახლები გადამწვარი, სასტუმროები ქვემეხებს დაენგრია, ან სხვა ნანგრევებით იყო დაზიანებული. მწუხარე, აოხრებული ბათუმი იშლებოდა ჩემ წინ, ყველგან სიკვდილი სუფევდა, ყველაფერი წყვდიადს დაეფარა.

თუმცა, დაკვირვება არ შედიოდა ჩემს მისიაში. ღამის ქალაქში გატარება საშიში იყო ჩემთვის. მეორე დღეს რამდენიმე ადგილი უნდა მომენახულებინა, უკვე ღამდებოდა. დაღლილობამ შემიპყრო. ჩემთვის ნაცნობი სასტუმროსკენ გავემართე, დაკეტილია; მეორესკენ – ისიც დაკეტილია! ისეთ ადგილას წავიდე, სადაც არ მიცნობენ? მაშინ უნდა დამარეგისტრირონ და ეს საქმეს გააფუჭებს. ის ფაქტიც მაოგნებს, რომ არავინ მხვდება. უეცრად, ჩემი მზერა აფიშამ მიიპყრო. დიდი ხანია მსგავსი რამ არ მინახავს! ვკითხულობ შემდეგს: „სასტიკად აკრძალულია 20:00-ის შემდეგ სახლიდან გამოსვლა... აკრძალვის დამრღვევნი ... უმაღლესი სასჯელი...“ ეშმაკმა დალახვროს! საგანგებო მდგომარეობა ყოფილა. ახლა 22:00-ია და მე ისევ ქუჩაში დავიარები! უეცრად კაზაკების

---

[1] ჩაქვი ბათუმიდან დაახლ. 30 კმ-შია (ხ.შავიშვილი).

[2] ასე ეძახდნენ ვაგონს, რომელიც ლოკომოტივს ებმოდა და მნიშვნელოვანი გზავნილის გადასაცემად გამოიყენებოდა. ტრანსპორტის ყველა სხვა საშუალებას რევოლუციონერები კრძალავდნენ (ხ.შავიშვილი).

ცხენების ხმა შემომესმა. თავის დაღწევის მიზნით, პირველივე საცხოვრებლის ეზოში უჩუმრად გადავხტი. კონსიერჟის ყურადღება არ უნდა მიმექცია, რომელსაც უცხო პირის გამოჩენის ანგარიშგება ევალება პოლიციის წინაშე.

კარის ხმა შემომესმა. ვიღაც გამოდის ბინიდან, წასულია ჩემი საქმე. „მით უარესი ჩემთვის“, – გავიფიქრე. გაისმა ხმა: „რას აკეთებ აქ?“ არ ვპასუხობ იმ იმედით, რომ დამეხსნება. „ხარიტონი ხარ, არა? – რა თქმა უნდა!“ და აქვე დაამატა, „სწრაფად, მოდი, სწრაფად! სახიფათოა! შეიძლება, კონსიერჟი გამოვიდეს მაცხოვრებელთა კონტროლის მიზნით!“ ძალა მოვიკრიბე, რამდენიმე საფეხურზე ავხტი და ჩემი ნათესავისის, პუპიეს ბინაში შევედი. სწორედ მისმა მეუღლემ, ალექსანდრე ჩხარტიშვილმა მიცნო.

ჩვენი შეკითხვები ერთმანეთს ეკვეთებოდა: „სად არის ჩემი პუპიე?“ – „საიდან ჩამოხვედი?“ – „სახლი რატომ შეიცვალეთ?“ – მართლა საოცრება არ არის, რომ სწორედ ასეთ დროს გამოვედი და გადაგარჩინე? კიდევ კარგი, კონსიერჟს ქართული არ ესმის, თორემ მოვიდოდა და გიპოვიდა![1]“

პუპიე საავადმყოფოში ყოფილა. ისინი სხვა უბანში ცხოვრობდნენ, მაგრამ მათი სახლი დაზიანდა და ახლა ამ ბინაში გადმოსულან. ამ საღამოს მეზობლებთან შესულა შეთხვევით, რაკი მათთან არასდროს შედიოდა და სწორედ იმ წამს გამოვიდა, როცა კიბის უჯრედს შევაფარე თავი.

ხარიტონ, სხვა შემთხვევაში არაფრის გამო არ დაგტოვებდი გარეთ, მაგრამ ხელისუფლება ძალიან მკაცრად იქცევა, ორივეს სიკვდილით დაგვსჯიან. მაგრამ არ შეგეშინდეს, ხვალ ერთ სასტუმროში წაგიყვან, სადაც ერთი, ან ორი ღამით შეგიფარებენ.

ჩემი არც ერთი ნაცნობი აღარ ცხოვრობდა ბათუმში. მიუხედავად ამისა, ხუთ დღეში შევაგროვე საჭირო ინფორმაცია. ერთადერთი პრობლემა მრჩებოდა მოსაგვარებელი, ჩაქვში „საზღვარზე“ ისე უნდა გადავსულიყავი, რომ სამხედროებს ხელში არ ჩავვარდნოდი, ორასკილომეტრიანი გზა ქუთაისამდე მშვიდობით უნდა გამევლო. დიდ სირთულეს წარმოადგენდა ტრანსპორტის შოვნა. სამტრედიამდე მივაღწიე.

იქ უნდა შევხვედროდი გრიგოლ ვოლსკის[2], ბათუმის მერის შემცვლელს. ტფილისიდან ახალი ჩამოსული იყო ქუთაისის მერთან,

---

1 საქართველოში მყოფი ყველა კონსიერჟი რუსი იყო (ხ.შავიშვილი).

2 გრიგოლ ვოლსკი (1860-1909) – პოლონური წარმოშობის ქართველი ექიმი, მწერალი და პუბლიცისტი. მოღვაწეობდა ქალაქ ბათუმში. ეწეოდა სამედიცინო და საგანმანათლებლო საქმიანობას (რედ.).

კანდელაკთან ერთად. მომიყვა მეფისნაცვალ გრაფ ვორონცო-ვ-დაშკოვთან საქმიანი შეხვედრის შესახებ, რომელიც ბათუმის საზარელ სიტუაციას შეეხებოდა. ცბიერმა დაშკოვმა დელეგაციას უპასუხა, რომ მას „არანაირი გავლენა არ ჰქონდა ბათუმის სამხე-დრო ხელისუფლებაზე“. ვოლსკიმ ბათუმისკენ გააგრძელა გზა, მე და კანდელაკი კი, ქუთაისისკენ წავედით.

ხარიტონ შავიშვილი და ღეონ ჟუო

თავი II

სიხარული და შიშის ზარი ქუთაისში

დაკავება

ქუთაისში ჩასვლისას მე და კანდელაკი გავიყავით, ის მერიაში წავიდა, მე კი – ამხანაგების სანახავად. კოლხეთის ძველი დედაქალაქი, ბათუმისგან განსხვავებით, სიცოცხლით იყო სავსე, ეროვნული დღესასწაულის აღნიშვნის შთაბეჭდილებას ტოვებდა, ქუჩებში სიმღერები ისმოდა. ქალაქი, რომელიც ჩვენს ერამდე ბევრად ადრე აშენდა რიონის ნაპირზე და, რომელიც დავით აღმაშენებელმა XI საუკუნეში განაახლა, ანტიკური ეპოქის ღირშესანიშნავი ელემენტებითა და დახურული ქვის, ერთმეტრიანი სისქის ტერასებით მხიარულად და ბედნიერად გამოიყურებოდა.

მეორე დღეს ჩხეიძესა და გრიშა ლორთქიფანიძეს წითელი რაზმების მთავარ უბანში ანგარიში წარვუდგინე ბათუმის მდგომარეობის შესახებ. თუმცა მთელი ჩვენი ყურადღება მოსკოვიდან მოსულმა ამბავმა მიიპყრო: მოსკოვში მოწყობილ ამბოხს რეპრესიები და სანკტ-პეტერბურგში საბჭოს თავმჯდომარისა და მუშათა დაკავება მოჰყვა. დაკავებულთა რიგებში იყვნენ: ხრუსტალევ-ნოსარი, ავქსენტიევი, ტროცკი. ამ ფაქტმა ბედის ბორბალი ცარიზმის სასიკეთოდ დაატრიალა. გრაფი ვიტე, ნიკოლოზ II-ის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე, მოხერხებულ პოლიტიკას იყენებდა: რადიკალური რეფორმების დაპირებას გასცემდა (17 ოქტომბრის მანიფესტი ხომ რეალური დაპირება იყო?), რათა ოპორტუნისტი ელემენტები ჩამოეშორებინა რევოლუციური მოძრაობისთვის; ეს უკანასკნელი კი, საკმაოდ დიდ მხარდაჭერას წარმოადგენდა რევოლუციისთვის. მათი დამოკიდებულება ყველგან მსგავსი იყო: *ბევრის მოთხოვნა და ცოტათი დაკმაყოფილება*. ექსტრემისტებს სათავეში ბოლშევიკები ედგნენ, ეს უკანასკნელნი კი, რუს მენშევიკებსაც რთავდნენ საქმეში და სრულიად საპირისპირო პოზიციაზე იდგნენ: *ყველაფერი ან არაფერი*. სახასიათოა, რომ 1905 წლის

ოქტომბერ-ნოემბერში მენშევიკების გაზეთი *„Начало“*[1] პოლიტიკური რევოლუციით (რომელიც მაქსიმალურ გამარჯვებად ითვლებოდა) კმაყოფილდებოდა, მაგრამ პარალელურად „მუდმივ რევოლუციას“ ქადაგებდა. ამგვარად, სამოქალაქო ომი გრძელდებოდა[2]. ამ პირობებში გრაფი ვიტეს პოლიტიკას არეულობის მომწყობი ექსტრემისტების განადგურების შესახებ წარმატებისთვის უნდა მიეღწია.

„სრულიად რუსეთში“ რევოლუცია უკვე სისხლში ჩაახშვეს ბალტიისპირეთში, უკრაინაში, პოლონეთში, ციმბირშიც კი. სამხედრო-საველე სასამართლო უწყვეტად მუშაობდა, განაჩენი მუდმივად სიკვდილით დასჯა იყო. თეთრი ტერორი გამეფდა მთელ იმპერიაში... გარდა კავკასიისა. მთელ ტრანსკავკასიაში, ბათუმის ცარისტული პლაცდარმის გარდა, თავისუფლება და წესრიგი შენარჩუნებული იყო. მეფისნაცვალი კავკასიაში, ვორონცოვ-დაშკოვი, იძულებულია ისიდორე რამიშვილს სთხოვოს დახმარება ტფილისში სომხებისა და თათრების მკვლელობის შეჩერების საკითხში, რისთვისაც ათასი სამხედრო მუშკეტი გადასცა. რამიშვილს განუცხადა, „ჩვენ არ გვყავს ისეთი სანდო რაზმები, რომ მკვლელობები შევაჩეროთ“; ამავდროულად, ცარისტული აგენტები შორეულ პროვინციებში თათარ მოსახლეობას მტრულ გაწყობას უქმნიდნენ, იარაღს ურიგებდნენ და ტფილისში სომხების დასახოცად აგზავნიდნენ; აქ კი, იმავე აგენტების მიერ წაქეზებული სომეხი მოსახლეობაც იარაღით ხელში იბრძოდა.

ჩვენი პარტია ეფექტურად ჩაერთო. შეაჩერა სისხლისღვრა და წესრიგი დაამყარა თავისუფლების გზით. თუმცა ჩვენი მხრიდან ამ საქმეს დიდი მსხვერპლი მოჰყვა; ჩვენი ახალგაზრდები, იარაღით ხელში ჩადგნენ სომხებსა და თათრებს შორის, ამგვარად, ტყვიებს ორივე მხრიდან იღებდნენ. ჩემი სკოლის ამხანაგების დიდი ნაწილი გარდაიცვალა ამ ოპერციისას, მათ შორის, ყველაზე გამორჩეულები ხარსუმ ჭანუკვაძე, სეილამ ჭეიშვილი.

ახალი რაზმების მოლოდინში, მეფისნაცვალი ჩუმად ადევნებდა თვალს თავისი სასახლის ფანჯრიდან, თუ როგორ აკვლევინებდა ქუჩაში თავისუფლებას.

---

[1] მენშევიკური ფრაქციის, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყოველდღიური გაზეთი. იბეჭდებოდა სანკტ-პეტერბურგში (ხ. შავიშვილი).

[2] ამ აბსურდული ფორმულის ავტორები, პარვუსი და ტროცკი *„Начало“*-ს გავლენიანი რედაქტორები იყვნენ (ხ. შავიშვილი).

* * *

რუსეთიდან უწყვეტად ვიღებდით ცუდ ამბებს. მარყუჟი უფრო და უფრო მეტად ვიწროვდებოდა. საშინელი რეპრესიები მზადდებოდა კავკასიის წინააღმდეგ. სწორედ ამ მოლოდინის პერიოდში გამანდო ჩხეიძემ პესიმისტური მოსაზრება. მე მას ვუამბე ქიათურის სადგურში გაგებული ახალი ამბის შესახებ, რომელიც მეორე საყოველთაო გაფიცვას ეხებოდა, ვუამბე, თუ როგორი სიხარულით შეხვდნენ ამხანაგები სიახლეს და როგორი დარდი დამეუფლა ამის შემყურეს.

– არ ინერვიულო, მართალი იყავი, – მითხრა ჩვეული იუმორით.

შემდეგ განაგრძო:

– მეც შენ აზრზე ვარ, მაგრამ მაინც ცდები...

– ვერ გავიგე, როგორ შეიძლება, თან მართალი ვიყო და თან ვცდებოდე? – მორცხვად შევნიშნე.

– ძალიან მარტივია. როგორიც არ უნდა საუკეთესო იყოს იდეა, არაფრად ღირს, თუ მას ვერ გაიგებენ. ამგვარად, უმჯობესი იქნება, თუკი არც გაჟღერდება. რატომ ვიგლოვოთ, თუ ყველა ხარობს? სიხარულში სიკვდილის უფლება დაუტოვე...

– დაჟინებით მომაცქერდა, რათა თავისი სიტყვების შედეგი ეხილა.

– ხარიტონ, მე არ მითქვამს, რომ შეცდი, როდესაც ის აზრი გაგიჩნდა, არამედ შეცდომა მაშინ დაუშვი, როდესაც ეს აზრი ხმამაღლა გააჟღერე. რევოლუციის დასაწყისშიც და ახლაც, როდესაც ის თითქმის ბოლომდეა მისული, უმრავლესობა რეაქციონერად შეგრაცხავდა. შენ არ იცი, რომ საყოველთაო გაფიცვის მეთაურების დაკავება წარმატებაა, მოსკოვის აჯანყების ჩახშობა რევოლუციის გამარჯვებაა... კარგ იუმორსაც კი არ აქვს ფასი, თუ მისი გაგება შეუძლებელია...

ახლა ჩემ წინაშე პედაგოგი იყო, რომელიც ფსიქოლოგიას მიხსნიდა. ბოლოს ვუთხარი, რომ ყველაფერი გავიგე.

– ხარიტონ, სანუგეშოდ გეტყვი, – თქვა და ტონი შეიცვალა, – არა მხოლოდ მე ვიზიარებ შენ აზრს, არამედ ყველაზე დიდი რუსი თეორეტიკოსი, გიორგი პლეხანოვიც იმავე აზრზეა.

– კარლო, თავაზიანი საქციელი არაა ჩემი დაცინვა, – ვუთხარი, სანამ ჯიბეში რაღაცას ეძებდა.

ჯიბიდან რუსული გაზეთი ამოიღო, რომელიც ოდესაში იბეჭდებოდა – *„Южный Курьер“*[1].

– ნახე, რა მივიღე! პლეხანოვის სტატია წაიკითხე!

პირველ გვერდზე დიდი სტატია იყო, სან-რემოდან გამოგზავნილი. ავტორი რუსეთის მოვლენებს აანალიზებს და ხისტად აკრიტიკებს რევოლუციონერების მეთაურების ტაქტიკას 17 ოქტომბრის შემდეგ. ავტორი მტკიცედ ეყრდნობა მოსაზრებას, რომლის თანახმადაც, ახალ ოპერაციებს არ იწყებენ, სანამ მიღებული პოზიციები არ გამყარდება. მეფის 17 ოქტომბრის მანიფესტი დიდი წარმატებაა, მაგრამ რევოლუციის სრულყოფილ გამარჯვებად არ ითვლება. ამასთან, მხარდამჭერთა უმრავლესობის დაკმაყოფილების მიზნით, მათ რეაქციული პლატფორმის გაფართოების ხარჯზე შეამცირეს რევოლუციური პლატფორმა. ამ პირობებში მეორე საყოველთაო გაფიცვა, უპირობო დათმობების მოთხოვნებით, ნამდვილი სიგიჟეა. სტატიამ დიდად გამაოცა. კიდევ ერთხელ გადავიკითხე, სანამ ჩხეიძე მაკვირდებოდა და თან თავის საქმეს განაგრძობდა.

– მან ეს იდეები ჩემზე უკეთ ჩამოაყალიბა, ვუთხარი ჩხეიძეს. სრული ჭეშმარიტებაა.

სწორედ ამ დროს, მხიარული ბუდუ მდივანი[2] ქარიშხალივით შემოვარდა. ის ქართველი ბოლშევიკი-ლიდერი იყო, კარგი ორატორი, ძლიერი ხმით, ჩინებული თანამოსაუბრე, საზოგადოებას ყოველთვის ამხიარულებდა სხვადასხვა მახვილგონივრული ამბით. სტალინზე შვიდი, თუ რვა წლით უფროსი იყო, ყოველთვის აძლევდა მას თავშესაფარს ხონში და ყველანაირ საქმეში ეხმარებოდა. კარგი მეგობრები გახდნენ.

ბუდუ მოწიწებით მიესალმა „ამხანაგ კარლოს“. შემდეგ მე მომიბრუნდა, ხელი გამომიწოდა და გამაყრუებელი ხმით წარმოთქვა:

– ამხანაგო ხარიტონ, აქ რას აკეთებ? საერთო საჯარისო შტაბში ხარ?

(მართლაც, წითლების რაზმების მთავარ სამმართველოში ვიყავით; ის შტაბის წევრი იყო, მე – არა.)

გაზეთი ხელიდან გამომგლიჯა. ჩხეიძემ ღიმილით მომიგო:

– აჰ, ხომ გითხარი, ასეთი გაზეთის ამ ადგილას გამოჩენა წინდაუხედაობაა. მაგრამ ნახავ, როგორ გაგეცინება ბუდუს რეაქციაზე.

---

[1] ყოველდღიური გაზეთი, გამოდიოდა 1906 წ. (რედ.).

[2] ბუდუ მდივანი(1877-1937) – ქართველი ბოლშევიკი, რევოლუციონერი, 1921 წლის საქართველოს ოკუპაციის ერთ-ერთი ინიციატორი და ლიდერი. 1937 წელს დახვრიტეს თავად ბოლშევიკებმა (რედ.).

ბუდუმ ყურადღებით დაიწყო პლეხანოვის სტატიის კითხვა. აშკარად, დიდი შთაბეჭდილების ქვეშ იყო. გადაიკითხა კიდეც. თუმცა, ჭეშმარიტი ბოლშევიკი არ აღიარებს საკუთარი ფრაქციის (ლენინის) შეცდომებს, ამიტომ ბუდუმ აღშფოთება გაზეთის ძირს დაგდებით გამოხატა და წამოიძახა:

– რეაქციონერი გახდა და სულ გასულელდა ეს თქვენი პლეხანოვი. რევოლუციას დასრულებულად და დამარცხებულად აცხადებს მაშინ, როდესაც ის ახლა იწყება.

– ჩხეიძემ გააწყვეტინა და ირონიულად მიუგო:

– ბუდუ, უნდა აირჩიო, სულელი, თუ რეაქციონერი. ორივე ერთად არა, გეთაყვა!

– მაგრამ ბუდუ აღარ უსმენდა და მე მომმართავდა:

– შენც პლეხანოვივით რეაქციონერი გამხდარხარ, რაკი ასეთ გაზეთებს იღებ და მის სტატიას კითხულობ...

– ბუდუ, აჭარბებ, – მიუგო კარლომ. – პირველ რიგში, გაზეთი მე მივიღე, ამასთან, სად ხედავ დანაშაულს? პლეხანოვს უკეთესი არ სურს, ვიდრე შენ ლენინს? ის ხომ უფრო განათლებულია, უფრო ჭკვიანი და სიღრმისეულად აღიქვამს მოვლენებს. შენ და ლენინი ხომ სწორედ მასთან ეწაფებოდით სოციალისტური იდეების წყაროს?

– კი, მართალი ხარ, – პასუხობს ბუდუ, – მაგრამ მისი პოლიტიკა არაფრად ღირს.

ჩხეიძემ სქელტანიანი გამოცემა აიღო და კითხვაში ჩაიძირა, ჩვენ კი, საუბარი განვაგრძეთ. ბუდუს ვუთხარი, რომ მისი მეგობარი კობა ჭკუით ვერასდროს აჯობებდა პლეხანოვს. ამაზე მომიგო, რომ სინამდვილეში, ამხანაგი კობა, მიუხედავად პლეხანოვის დიდი დაფასებისა, ლენინთან შედარებას არასდროს დაეთანხმებოდა. შემდეგ ბათუმის მდგომარეობის შესახებ გამომკითხა დიდი ინტერესით.

ჩვენი საუბარი შეწყვიტა რევოლუციური სამხედრო ქვედანაყოფის სარდლის გამოჩენამ. აღნიშნული ქვედანაყოფი ზუსტად რუსული გარნიზონის პირისპირ იდგა. შეშფოთებული მივიდა ჩხეიძესთან ანგარიშის წარსადგენად. კარლომ კითხვა შეწყვიტა და ყურადღებით უსმენდა. ბოლოს ურჩია სიფრთხილე გამოეჩინა. სარდალი სირბილით გავიდა. როგორც აღმოჩნდა, ქართულ და რუსულ დანაყოფებს შორის დაპირისპირება მომხდარა. ქართველებს სათანადო შეიარაღება არ ჰქონდათ; რუსების დანაყოფი კი, რეგულარულ ჯარს წარმოადგენდა, შესაბამისად, საომარი აღჭუ-

რვის პრობლემა არ იდგა. საფრთხე ნათელი იყო მტერთან პირდაპირი დაპირისპირების შემთხვევაში, შესაბამისად, ჩხეიძის რჩევაც გასაგები იყო.

იმ დროს, როდესაც ორმოცდაათამდე ადამიანი მოუთმენლად მორბოდა გენერალურ შტაბში იარაღის მოსაძიებლად, ჩხეიძე სრული სიმშვიდით განაგრძობდა კითხვას. მისი შფოთის ერთადერთი გამოხატულება სიგარეტის მოქაჩვის მანერაში გამოიხატებოდა. მისი რჩევის თანახმად, წითლების რაზმმა ცეცხლი არ გახსნა, ხოლო რუსულმა არმიამ ბრძოლის წამოწყების ინიციატივა არ აიღო, ამგვარად, ინციდენტი სისხლისღვრის გარეშე დასრულდა.

* * *

ჩხეიძეს გამოვემშვიდობე. იქიდან (ერთ-ერთი საუკეთესო სასტუმრო იყო იმ ადგილებში) გამოსული სამ ახალგაზრდა ამხანაგს შევხვდი. ისინი ჩემs საძებნელად იყვნენ მოსულნი, თავისთან უნდა წავეყვანე. თხუთმეტიოდე ნაბიჯის გადადგმა მოვასწარით, რომ საოცარმა სცენამ მიიპყრო ჩემი ყურადღება: ასამდე ძაღლი, თითქოს რაღაც ძალით შეპყრობილები, გარკვეული წესრიგით განლაგებულნი, კონკრეტული მიმართულებით მთავარ ქუჩაზე მორბოდნენ. ყოველ წუთს კიდევ ახალი ძაღლი ჩნდებოდა, ისიც ჯგუფს უერთდებოდა. ჩემი მეგობრები გაკვირვებულები არ ჩანდნენ. ამბით დავინტერესდი. ყოველ შეკითხვაზე ერთხმად წამოიყვირებდნენ ხოლმე: „ეჰეი, ღადომ ჩამოიარა!“ და თავადაც სირბილს იწყებდნენ, მეც იმავესკენ მომიწოდებდნენ. სუნთქვაშეკრულებმა მივირბინეთ სკვერის კარამდე, მთავარი შესასვლელიდან, ეკლესიის მხრიდან შევედით. რა სანახაობაა! ყველა ძაღლი იქ იჯდა, თავები წინ ჰქონდათ წაწეული და პატარა ტანის კაცს მისჩერებოდნენ, რომელიც მათ შუაში იდგა პატარა სკამზე. ჩვენs ორატორებს ბაძავდა ჟესტებით. დაიწყო: „ამხანაგებო და მოქალაქეებო!“ ძაღლები სულგანაბულები უსმენდნენ.

– ინგლისის მეფემ ტელეგრამა გაუგზავნა იაპონიის მეფეს, სადაც სწერს: „როგორ არის თქვენი აღმატებულება?“ მაგრამ ის არ კითხულობს, „როგორ ხარ, ღადო?[1]“

უკანასკნელ სიტყვებზე ძაღლები ერთიანად აყეფდნენ. დამსწრეები იცინიან, ის კი, სახეს მალავს, რომ ღიმილი არ შეამჩნი-

[1] ზედმეტსახელი (ხ.შავიშვილი).

ონ. შემდეგ ისევ სერიოზულ სახეს იღებს და აგრძელებს. საზეიმო გამოსვლის შემდეგ ძაღლები მოწესრიგებულად დაიშალნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ იმავე ადგილას შევნიშნე, იმავე სიტყვით გამოდიოდა. თუმცა ამჯერად მთელი ქალაქის კატები იყვნენ შეკრებილნი და საოცრად დისციპლინირებულად კნაოდნენ.

ამ კაცს მისტიკური გავლენა ჰქონდა ცხოველებზე და „გიჟად“ მოიხსენიებდნენ...

* * *

კავკასიიდან გამოქცეულები თავშესაფარს ეძებდნენ და ქუთაისს აფარებდნენ თავს. ძირითადად, რუსი სამხედროები, ოფიცრები, ჯარისკაცები ბაქოდან, რომელთაც რევოლუციონერებს იარაღი მიაწოდეს. მათ გულთბილად ვიღებდით და დახმარებას ვუწევდით. თუმცა სამოქალაქო პირებს შორის ისეთებიც იყვნენ, ვინც ნდობას არ იმსახურებდა. ჩვენი კომიტეტი ვალდებული იყო სახიფათო სიტუაცია კარგად შეესწავლა. როგორც კი კვალზე გავიდოდით, ინფორმატორს, ან პროვოკატორს გამოვააშკარავებდით, ის ამხანაგ „ჟელეზნისთან“ მიგვყავდა, ეს რუსული ზედმეტსახელი იმიტომ უწოდეს, რომ ის „რკინას“ ნიშნავს. მაღალი, ახოვანი, შავგვრემანი, გაბედული, ბოლშევიკი, ჩვენი კობას დიდი მოყვარული, მუდამ მოქმდებისთვის იყო მზად, ემოციები ვერ ერეოდა. საბედნიეროდ, მხოლოდ ხუთი ადამიანი ჩაუვარდა დაუნდობელ ხელებში. რაც შეეხება მეექვსე ადამიანს, ფაქტობრივად, ხელიდან გამოვგლიჯე როდესაც განაჩენის აღსრულების ადგილისკენ მიჰყავდა, რადგან მისი დანაშაული საეჭვოდ ჩანდა. ეს ახალგაზრდა კაცი ბაქოდან იყო, ისე იქცეოდა, რომ მართლაც გააჩინა ეჭვები. თუმცა, მისი ნათქვამის გადამოწმების საშუალება მქონდა. ბოლო მომენტში ჩავერიე და კონტრ-მტკიცებულებები მოვიპოვე. ცნობებზე დაყრდნობით, რომელიც მან მომაწოდა (სხვათა შორის, ისე, რომ არც იცოდა ვინ ვიყავი, ჩემი ძმის, ვანოს წერილიც მაჩვენა), მისი უდანაშაულობა დამტკიცდა. საბრალო ბიჭი! არ იცოდა, რა „გასეირნებაზე“ (ასე უწოდებდნენ სასჯელის აღსრულების ადგილამდე მისვლას) ვათქმევინე უარი და მოეჩვენა, რომ რაღაც „სასიამოვნოს“ გაკეთების საშუალება არ მივეცი.

მრავალფეროვანი და მძიმე დღეები გვიახლოვდებოდა: თავბრუდამხვევი სიხარული, რევოლუციური ტალღის მატებით, რომელიც თავისუფლებამდე მიდიოდა. მართალია, თავისუფლება სრუ-

ლად ჩაკლული იყო რუსული გავლენით, მაგრამ ქართველი ხალხი შეუპოვრად მოქმედებდა ამგვარი ყოფის წინააღმდეგ. ნაბიჯ-ნაბიჯ აღდგენილ თავისუფლებას ხელახლა ეჩვეოდა. მრავალი თვის განმავლობაში, გახარებული ხალხი ქუჩებში, კონცერტებსა და თეატრებში იყო მოფენილი.

ეიფორია მეფობდა ყველაგან. გარშემო სიმღერების ხმა ისმოდა, ხანში შესული მოსახლეობა ახალგაზრდებთან ერთად ცეკვავდა. ხალხი პატარა ბავშვს დაემსგავსა, მცირედიც საკმარისი გახდა მათ გასაცინებლად. შემთხვევას არავინ ტოვებდა, დადებითი განწყობა არ გამოეხატა: ქუჩაში ცნობილ მსახიობს რომ დაინახავდნენ, გარს შემოეხვეოდნენ და, ქალების თაოსნობით, ყვავილებს ჩუქნიდნენ შეძახილებით: „მესხიშვილს გაუმარჯოს!“ მომღერლისა, თუ მუსიკოსის დანახვაზეც ასე იქცეოდნენ.

ასეთივე სიხარულით ხვდებოდნენ პოლიტიკოსებსაც. ყველას სურდა მათი სახლში მიპატიჟება, დიდი კონკურენცია იყო შექმნილი, ვინ მიიპატიჟებდა მათ პირველად და ვინ შესთავაზებდა საუკეთესო ვახშამს. ვახშამზე ხშირ შემთხვევაში ერთმანეთთან დაპირისპირებული პარტიები იკრიბებოდნენ და გაცეცხლებული კამათი იმართებოდა ხოლმე. სიმღერით და ცეკვით მთელ ღამეს მაგიდასთან ატარებდნენ. დები მეძმარიაშვილების მიერ გამართულ საახალწლო ნაძვის ხეზე ათასამდე ადამიანმა მოიყარა თავი. მუდამქმნადობისკენ მისწრაფება, ეროვნული ცეკვა, ამ ყველაფერმა გაშმაგებული სახე მიიღო. საღამო დამსწრეთა შორის გამართული სილამაზის კონკურსით დასრულდა. კოლეჯის სამმა სტუდენტმა – ვარდომ, აგნესამ და ტასიამ – ყველაზე მეტი ხმა მოაგროვეს; ქუთაისის მეფუნთუშეებმაც არ დააყოვნეს, მეორე დღიდან შექმენს ნამცხვრები მათი სახელებით.

მეორე დღეს ქალბატონმა მეძმარიაშვილმა გალა საღამოზე მიგვიწვია. სწორედ აქ გავიცანი თავადი ლევან დადეშქელიანი,[1] რომელსაც ახალგაზრდა, წვეროსანი, ლამაზი ვარცხნილობით, ხავერდის პიჯაკში გამოწყობილი კაცი ახლდა, სოსიპატრე ასათიანი[2]. რაც შეეხება თავად დადეშქელიანს, ისიც ახალგაზრდა, 24 წლის იქნებოდა. თითქმის ორმეტრიანი ყმაწვილი. ყველა მხრივ გამორჩეული აღნაგობის, რევოლუციური პათოსით.

---

[1] ლევან დადეშქელიანი (1873-1918) – ქართველი პუბლიცისტი და პოლიტიკური მოღვაწე, წერდა სტატიებს ქართული პრესისთვის, აქტიურად მონაწილეობდა 1905 წლის რევოლუციაში. 1918 წელს ლეჩხუმის აჯანყების დროს მოკლეს ბოლშევიკებმა (რედ.).

[2] სოსიპატრე ასათიანი(1872-1971) – ქართველი პოლიტიკოსი და დიპ-

ამგვარი გართობისა და ბავშვურობის შემყურე, იფიქრებდით, რომ ამ ხალხის იდეალური ყოფა დროის უსარგებლო ხარჯვა იყო, თუმცა სინამდვილე სრულიად სხვა გახლდათ: აქ მყოფი მუშები იმაზე მეტს შრომობდნენ, ვიდრე ოდესმე. ინდუსტრია, მაგალითად, მიტროფანე ლაღიძის საქმე, საოცარი სისწრაფით ვითარდებოდა. ცხოვრება ინტენსიური იყო.

* * *

რას აკეთებს ცარისტული ხელისუფლება ამ დროს? ჟანდარმები, პოლიციელები, მათი მეთაურები, ან მთავრობა? თუ მათი ბატონობის ხანაში გარეთ მხოლოდ ესკორტით გამოდიოდნენ, ახლა თავისუფლად გადაადგილდებოდნენ ქუჩებში, რადგან თავისუფლების პერიოდში არ დაფიქსირებულა კრიმინალი, თავდასხმა. სტუდენტი სულაქველიძის მიერ ორგანიზებული სახალხო მილიცია უზრუნველყოფდა წესრიგს. ის, ვისაც ქუთაისი ამ პერიოდში არ უნახავს, ვერასდროს შეიცნობს მას.

სიკეთის მიჩვევა ადვილია, გადაჩვევა – რთული და მტკივნეული. მოპოვებული წარმატებით ვხარობდით და იმავდროულად გვაწუხებდა უსამართლობა, რომელიც, კავკასიის გარდა, მთელ იმპერიაში გამეფებულიყო. ეს ტანჯვა სულიერად ანადგურებდა ადამიანურობას, ფიზიკური ტკივილი კი, ისე აწრთობდა, როგორც ცეცხლი – თიხას.

სწორედ ამაში იხატება იზოლირებული ადამიანის ნააზრევი, რაც არაფერს ცვლის მიმდინარე მოვლენებში. მხიარული ხალხი ცეკვას და სიმღერას აგრძელებს. თუმცა საგანთა ევოლუცია რთულ სახეს იღებს. მარყუჟი ვიწროვდება. რუსი კონტრრევოლუციონერები უდიდეს ინდუსტრიულ ქალაქს, ბაქოს დაეპატრონნენ. მის შემდეგ კი, კავკასიის სხვა ქალაქებიც მათ ნადავლად იქცა. საქართველოს ჯერიც დამდგარიყო, მაგრამ აგვიანებდა ამ წრეში მოხვედრას. ტფილისი, ჩვენი მშვენიერი დედაქალაქი მძვინვარე, ნახევრად გიჟი გენერლის, გრიაზნოვის ხელში ჩავარდა. მისი სისასტიკე და შეუბრალებლობა უსაზღვრო იყო. ამაყი და აქამდე თავისუფალი ხალხი ვეღარ იტანდა მას, რამაც სოციალ-დემოკ-

---

ლომატი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. 1919 წლიდან პარიზში მყოფი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის წევრი, 1921 წლის თებერვალში ასათიანი იკავებდა საფრანგეთში საქართველოს საელჩოს პირველი მდივნის თანამდებობას (რედ.).

რატიულ პარტიას მოქმედებისკენ უბიძგა. მიუხედავად იმისა, რომ პრინციპულად ეწინააღმდეგებოდნენ ტერორს, გადაწყვიტეს, ქალაქი შეურაცხადისგან გაეთავისუფლებინათ. ახალგაზრდა მუშამ, ჯორჯიაშვილმა, იკისრა ეს მოვალეობა. მან ყუმბარა ესროლა გრიაზნოვის ეტლს და მტვრად აქცია იგი. თავდასხმის ავტორი შეიპყრეს და ჩამოახრჩეს. თუმცა ის ეროვნულ გმირად იქცა. მთელი რიგი ლექსები მიეძღვნა მის გმირობას, რაც სიმღერით უკვდავყვეს.[1] ერთ დღეს მადლიერმა ხალხმა ძეგლი დაუდგა აფეთქების ადგილზე.

* * *

ჩაქვში გამართული „საზღვარი“ რუსი და ქართველი მეთაურების მეთვალყურეობით სტაბილურად არსებობას განაგრძობდა. მას შემდეგ, რაც რუსმა სამხედროებმა აღმოსავლეთი გარანტირებულად ჩათვალეს, ქუთაისისკენ დაიძრნენ. გზა ორ კვირას გაგრძელდა. ჩვენმა ორგანიზაციამ კლუბში თათბირი მოიწვია, რომელსაც ბოლშევიკებიც ესწრებოდნენ. ჩხეიძე და გრიშა არ იყვნენ, ამიტომ კრებას ექიმი ჭიჭინაძე თავმჯდომარეობდა.

დღის წესრიგის ყველაზე მძიმე საკითხი კარს მომდგარი საფრთხე იყო. გაშმაგებული დისკუსიები გაიმართა. უამრავმა ადამიანმა წარმოთქვა სიტყვა. ორატორთა უმრავლესობა მიიჩნევდა, რომ რევოლუცია ჯერ ბოლომდე არ იყო მიყვანილი და სამხედრო შენაერთებისა და თავდაცვის რეჟიმის შენარჩუნებას გვირჩევდა. ამ მოსაზრებას განსაკუთრებით იცავდა სამი ბოლშევიკი სტუდენტი: კოლია ქარცივაძე[2], პეტია და სერგო ქავთარაძეები. სამივე მჭევრმეტყველი ყვაწვილი გახლდათ და თავგამოდებით იცავდა ერ-

---

[1] სიმღერაში ჯორჯიაშვილი მშობლებს მოუწოდებს, არ იტირონ, რაკი მას მუდამ უყვარდა ვაშლებით (ალუზიაა ყუმბარასთან) თამაში, რაც უფრო საშიში იყო, ვიდრე ქალაქის ნაგვისგან გათავისუფლება (ხ. შავიშვილი).

[2] ქარცივაძე დაჭერას გადაურჩა და თავი ჟენევას შეაფარა, სადაც სწავლა განაგრძო ჟენევის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. შემდეგ საქართველოში დაბრუნდა და მენშევიკებთან გაერთიანდა, პოლიტიკურ ასპარეზზე ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეკავა დამოუკიდებლობის პერიოდში. საბჭოთა პერიოდში ეროვნული მოძრაობის მეთაურობა წაუყენეს ბრალად და სიკვდილით დასაჯეს (ხ. შავიშვილი).

ნიკოლოზ ქარცივაძე (1884-1937) – ქართველი სოციალ-დემოკრატი და დიპლომატი. 1904 წლიდან სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი (1917-1918), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი აზერბაიჯანის დემოკრატიულ

თსა და იმავე იდეებს. მე ამ პოზიციას არ ვეთანხმებოდი და ვთავაზობდი, ან შეტევაზე გადავსულიყავით, ან აღნიშნული რაზმები დაგვეშალა, რათა მათი წევრები გაფანტულიყვნენ. თავმჯდომარე ამ მოსაზრებას იზიარებდა, მიუხედავად იმისა, რომ ამხანაგები „ლიბერალად“ შერაცხავდნენ. იასონ ნიკოლაიშვილი, მოციქულის იერით, ურყევად უჭერდა მას მხარს. თუმცა გარემო ძალიან დაძაბული იყო იმისთვის, რომ ცივი გონებით აზროვნება შეგვძლებოდა. ამიტომ გადაწყდა, „თავდაცვის პოზიცია“ უნდა გვქონოდა. ამასთან, ათი დღის შემდეგ, როდესაც რუსული ჯარი ორმოცდაათიოდე კილომეტრში იყო, მიღებული გადაწყვეტილების საპირისპიროდ, მაინც გაიშალნენ, ხოლო ყველაზე გამორჩეული ლიდერები იძულებულები გახდნენ, დამალულიყვნენ.

აღსანიშნავია სირთულეები, რომლებიც თათბირზე მიღებული გადაწყვეტილებების შემდეგ წითლების რაზმების სვანურ შენაერთებთან გაჩნდა. ყველამ ვიცით, რომ სვანებმა დღემდე შეინარჩუნეს შუასაუკუნოებრივი რაინდობა, ჯვაროსნულ ომებში მონაწილეობის სამოსიც კი. როდესაც ეს დიადი მთის ხალხი შემოგვიერთდა, მაშინვე მოისურვეს ბრძოლაში ჩართვა, შეძახილებით: „გვაჩვენეთ მტერი!“ დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა მათ დროებით შესაკავებლად. თუმცა, როდესაც გაიგეს, შეტევას არ ვაპირებდით, გააპროტესტეს, „უკან ბრძოლის გარეშე და შერცხვენილები ვერ დავბრუნდებით. რას იტყვიან ჩვენი ცოლები ჩვენს დანახვაზე?“ მათი მეთაურის, ლევან დადეშქელიანის, ავტორიტეტის ჩართვა დაგვჭირდა მათ დასამშვიდებლად.

ყველაზე უფრო თავლშისაცემი პირები ტოვებდნენ ქუთაისს, ბუდუ მდივანის გარდა, რომელიც ავად იყო და თოფურიას კლინიკაში რჩებოდა. ერთ დღეს ბუდუმ დაჩაქრებულად მიხმო თავისთან. აინტერესებდა, მის მდგომარეობაში, როგორ მოახერხებდა ქალაქის დატოვებას. მიუხედავად იმისა, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობა საკმაოდ მძიმე ჰქონდა, მაინც არ კარგავდა ჩვეულ იუმორს, კალამბურებით, ხუმრობებით. მაგიდაზე ნინოშვილის შემოქმედების სრული კრებული ედო. გამოცემას შესავალში სილიბისტრო ჯიბლაძის სიტყვა ერთვოდა, რომელიც 1894 წელს, მწერლის დასაფლავებაზე წარმოთქვა ეროვნული ელიტის წინაშე. ლიტერატურის ისტორიის მიმოხილვის მიზეზით, სილიბისტრო ჯიბლაძემ ტანჯვა-წამებაზე ისაუბრა, რომელსაც ჩვენი ერი უცხო-

---

რესპუბლიკაში. 1921 წლის ოკუპაციის შემდეგ მონაწილეობდა ანტისაბჭოთა საქმიანობაში. ბოლშევიკებმა არაერთხელ დააპატიმრეს, საბოლოოდ კი 1937 წელს დიდი ტერორის დროს დახვრიტეს (რედ.).

ური ზეწოლის ქვეშ განიცდიდა. აქვე განმათავისუფლებელ ძალად სოციალ-დემოკრატთა ფარულ საქმიანობას სახავდა. ჯიბლაძე ვარაუდობდა, რომ ცხოვრების ევროპული კონცეფცია ყველაზე მეტად შეესაბამებოდა ქართველ ხალხს.

სწორედ ამიტომ ნინოშვილის ხედვა დასავლეთისკენ იყო მიპყრობილი, – ამბობდა ის.

დიდი გაოცება გამოიწვია ჩემში ფაქტმა, თუ როგორ სრულყოფილად ჩამოაყალიბა ჭეშმარიტება ბოლშევიკმა. ამ წუთიდან პირადი სიმპათიები გამიჩნდა ბუდუ მდივანის მიმართ.

* * *

რამდენიმე ჩვენგანი, რომელიც ნაკლებ ცნობილად ითვლებოდა, ქუთაისში დავრჩით. ჩვენ დაგვევალა ორგანიზაციების მოვლა-პატრონობა, რაკი ისინი, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ფარული გახდა. ამასთან, ახალ ყოფას უნდა შევგუებოდით, რაც დიდ ძალისხმევას ითხოვდა. დღისა და ღამის განმავლობაში კრებებს ვმართავდით, ვხვდებოდით ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას, რომ აგვეხსნა არსებული კატასტროფული მდგომარეობა და გაგვემხნევებინა. ამისთვის კი, სულ რამდენიმე დღე გვქონდა, სანამ რუსული ჯარი მოგვადგებოდა.

1906 წლის ინავრის დასაწყისი იდგა. იმ დროს ცაბაძის მამულში ვცხოვრობდი. სახლის გასაღები მე გადმომცა და თავად, ცოლთან ერთად, სოფელში წავიდა. სახლი ქუთაისის მთავარ უბანში მდებარეობდა და მთელ ქალაქს გადმოჰყურებდა. ჩემმა მეგობრებმა განზრახ შეარჩიეს, რადგან საფრთხის შემთხვევაში, თუ გაქცევა დამჭირდებოდა, აქედან ყველაზე მარტივი იქნებოდა სოფელში წასვლა. თავიდან კოლია ჭუმბურიძესთან ერთად ვცხოვრობდი. მას შემდეგ, რაც ტყიბულში გადავიდა, მარტო დავრჩი ცაბაძის ცოლის ძმასთან ერთად.

დამღლელი თათბირის შემდეგ თითქმის ჩაძინებული ვიყავი, როდესაც შუაღამისას იარაღის ხმა შემომესმა. ამას ყოველ დღე ველოდით. „აი, ალიხანოვის არმიის ტრიუმფალური შემოსვლა ქალაქში“, ვუთხარი ამხანაგს და საწოლიდან გადმოვხტი, რათა ჩამეცვა და მენახა, რა ხდებოდა.

გარეთ გასვლისას გავიგეთ უიმედო ყვირილი, აფეთქებების ხმა, ცას თითქოს, ცეცხლი ეკიდა. სხვა არაფერი. ქალაქის ცენტრ-

ში ეზო-ეზო გადავედით, რომ ქუჩაში კაზაკები არ გადაგვყროდნენ. ქალაქში ყველაფერი ცეცხლის ალში იყო გახვეული. შემაძრწუნებელი სცენა დაგვხვდა.

უკან იმავე გზით დავბრუნდით. ცხენების ხმაზე მიწაზე ვწვებოდით. ორი საათის შემდეგ სახლამდე მივაღწიეთ და ისევ დავწექით. ასიას მაშინვე დაეძინა. თავს საფრთხეში ვგრძნობდი. ავდექი და შევეცადე, ასია გამეღვიძებინა, მაგრამ ამაოდ. ჩავიცვი და კიდევ ერთხელ ვცადე, ისიც გარეთ გამეყოლებინა. მიუხედავად მცდელობებისა, არაფერი გამომივიდა. სახლს ცოტათი მოვშორდი, მაგრამ უკან მივბრუნდი. ვცადე, ზურგზე მომეკიდებინა. ასია გამიბრაზდა და მთხოვა, მარტო წავსულიყავი. მას არაფრის ეშინოდა, რაკი თავის სახლში იყო. გადაბრუნდა და ძილი გააგრძელა.

მხოლოდ ბაღში გადახტომა მოვასწარი, რომ ჭიშკარს ორმოცდაათამდე კაზაკი მიუახლოვდა. ცოცვით გავაგრძელე გზა. მეორე ბაღში გადავძვერი. იქიდან კი, სოფლისკენ გავეშურე. დილის ხუთის ნახევარი იყო. ინტერესი მკლავდა გამეგო, წავიდნენ, თუ არა კაზაკები. გაფიქრებაც არ მინდოდა, რა დაემართებოდა ასიას. შვიდ საათზე სახლთან მივედი, თვალდახუჭული ვუახლოვდებოდი და მეგონა, მის ადგილზე მხოლოდ ნანგრევები დამხვდებოდა. თუმცა, სახლი ადგილზე იყო. ყველა კარი ღია. შიგნით რამდენიმე კაზაკი შევნიშნე. უეცრად ჩემი მზერა მიიპყრო სახლის გვერდით მდგარმა ხემ, რომელზეც თოკით ჩამოკიდებული ახალგაზრდა კაცი ირხეოდა. უფრო მეტად ვეღარ მივუახლოვდი...

იმ დღეს ბევრი ჩემი ამხანაგი ემსხვერპლა ტყვიებს. მომდევნო დღეებში სისხლისღვრამ იმატა. პროცედურა მარტივი იყო, ქუჩაში გამვლელს აჩერებდნენ, წინ წაწევას სთხოვდნენ და ზურგში ესროდნენ. ამგვარად მოკლეს რიჟანაშვილი, ზუალიშვილი და ვინ იცის კიდევ რამდენი!

ჩემს საქმეს ვაგრძელებდი. ორი კვირის შემდეგ ქუჩაში პოლიციელს გადავაწყდი. სპეციალურად ჩემს დასაჭერად იყო გამოგზავნილი. ხელში რევოლვერი ეკავა. მიბრძანა, მის წინ მევლო. გადაწყვეტილი მქონდა, ზურგში სროლით არ მოვმკვდარიყავი, ამიტომ არ დავმორჩილდი. იარაღი დამიმიზნა. მაგრამ სწორედ იმ მომენტში, როცა უნდა ესროლა, ძლიერად დავარტყი მარჯვენა მკლავში. ტკივილით აღსავსე ხმა აღმოხდა. გინებით დაიხია უკან და კვლავ მიზანში ამომიღო. თუმცა სანამ ისროდა, გაისმა ხმა: „სდექ!“

ქუთაისის პოლიციის უფროსი მოგვიახლოვდა, ცხენზე ამხედრებული, თან ათამდე პოლიციელი და კაზაკების რაზმი ახლდა. ჩემი აყვანის ბრძანება გასცა. მათ ხელში დავრჩებოდი, სანამ პირადად არ დაჰკითხავდა „ძებნაში მყოფს“.

ხახიტონ შავიშვიღი და პიეხ ხენოდეღი

თავი III

დაკითხვის მოლოდინში

გამთენიისას პოლიციაში მიმიყვანეს და მიწისქვეშა დილეგში ჩამკეტეს. მთელმა დღემ დაკითხვის მოლოდინში გაიარა. მომდევნო ღამე და დღეც უსაგნოდ გავიდა.

რატომ არ მკითხავენ? რამდენი ხანი დავრჩები აქ? რა მელის? სიკვდილით დასჯა სულ არ მაშინებდა, ეს აზრი მიზიდავდა კიდეც; პოლიციის უფროსზე ვბრაზობდი კიდეც, რაკი თავის თანამშრომელს ჩემი მოკვლის უფლება არ მისცა. რა თქმა უნდა, ჩემი შეცდომაც იყო, მისთვის რომ არ დამერტყა, სროლასაც შეძლებდა. ჩემი ცოცხლად აყვანა იმიტომ მოისურვეს, რომ ინფორმაციები მიეღოთ. მაგრამ, შეუძლიათ, დარწმუნებულები იყვნენ, ჩემგან ვერაფერს შეიტყობენ!

საღამოს დილეგიდან გამომიყვანეს. ნუთუ დაკითხვაზე მივდივართ, რომელსაც ასე ესწრაფვოდა პოლიციის უფროსი? არა. ეზოში გავჩერდით, იქიდან კი, სხვაგან გადამიყვანეს. ამ დროს გარს შემომეხვია თხუთმეტამდე შეარაღებული პოლიციელი, ალყაში მომაქციეს.

ჩემი ინტერესი „რა მელის?“, შეიცვალა კითხვით – „როდის შეასრულებენ საქმეს?“ რაღაცას ელოდნენ, მეც გაუნძრევლად ვიდექი... დრო გაიწელა. არც კი ვიცი, რამდენი ხანი ვიდექით ასე. უეცრად ბრძანება გაბათილდა და ისევ დილეგში დამაბრუნეს. თან მხოლოდ რამდენიმე ქაღალდი მქონდა და იმისი განადგურებაც შეუმჩნევლად შევძელი. პირველადი მოხმარების ნივთებიც კი არ გამაჩნდა. ღამით ვფიქრობდი, რა უცნაურად ამიყვანეს, შეიძლება, არც კი იცოდნენ, ვინ ვიყავი. არც ახლა მეკითხებოდნენ ვინაობას, ან ამ ქალაქში რას ვაკეთებდი, როდიდან ვცხოვრობდი აქ. ეს სამი საკითხი ხელმძღვანელობას უნდა აინტერესებდეს!

ამ მოსაზრებებმა ერთ იდეამდე მიმიყვანა: რაკი გადაწყვეტილი მქონდა, არანაირი ცნობა არ მიმეწოდებინა, ვინაობის შესახებ ჩემებურად მივაწვდიდი ინფორმაციას.

1) პირადობის დამადასტურებელი არანაირი საბუთი არ აქვთ. გვარს დავასახელებ, თუმცა სხვადასხვა დანაშაულებისთვის ალიბის მიზნით, ჩემი უმცროსი ძმის სახელს გამოვიყენებ, რაკი მთელი ამ პერიოდის განმავლობაში მას მამისეული სახლი არ დაუტოვებია. ეშმაკსაც წაუღია „ხარიტონი!“ ნებისმიერ საქმეში შეეძლო მონაწილეობის მიღება, მე კი, არაფერ შუაში ვიყავი.
2) აქ ჩემი ნათესავის, თავად წულუკიძის მეუღლის, ქრისტინეს მოსანახულებლად ვიყავი.
3) რამდენიმე დღეა, რაც გურიიდან ქუთაისში ჩამოვედი.

ეს ისეთი ფაქტებია, რომლის საწინააღმდეგოსაც ვერაფერს დამიმტკიცებდნენ. ამგვარად ყველა ბრალდებას ავიცილებდი, რაც „ხარიტონს“ ძალიან გაუჭირდებოდა.

დილით პოლიციელმა სამხედრო პირთან ერთად დილეგიდან გამიყვანა და შენობის პირველ სართულზე ავედით, პოლიციის უფროსის კაბინეტში. ამ უკანასკნელმა ძლიერი ხმით მკითხა:

– გვარი?
– შავიშვილი.
– სახელი?
– ერემი მქვია.
– როდიდან?
– ყოველთვის.
– სხვა სახელი არ გაქვთ?
– არა.

მაშინ უმკაცრესი მზერით გადმომხედა და შემდეგი ბრძანება გასცა: „სამხედროებთან ჩააყენეთ“ და ციხეში წაიყვანეთ“.[1]

[1] მოგვიანებით გავიგე, რომ „სამხედროებს შორის ჩააყენეთ“ ნიშნავდა, რომ გზაში არ უნდა მოვეკალი (ხ. შავიშვილი).

თავი IV

ქუთაისის ციხეში

ჩემი კახიეჩა იწყება

ქუთაისის ციხის უფროსი რუსი მოხელე იყო. შენობის პირველ სართულზე, დიდი დარბაზის ცენტრში იჯდა. სამუშაო მაგიდასთან უნიფორმაში მჯდომი კუბივით გამოიყურებოდა, რომელსაც თავზე წრე ედგა. მის სახეზე მხოლოდ თვალები და პირი ჰგავდა ადამიანურ ელემენტებს.

ზურგს მოადგილე, გვარდიის სარდალი და რამდენიმე ზედამხედველი უმაგრებდნენ. ამ გეომეტრიულმა ფიგურამ მიმიღო, დაითხოვა ისინი, ვინც იქ მიმიყვანა, მე კი, მთავარ მეციხოვნესთან, მეორე რუსთან გამგზავნა; ამ უკანასკნელს ნორმალური ფორმა ჰქონდა. პირველი სართულის საკანში მიმიყვანეს. საკანი ერთადგილიანი იყო, მაგრამ იქ უკვე სამი ადამიანი დამხვდა. როდესაც სამივე დავწვებოდით, იატაკზე ადგილი აღარ რჩებოდა. ვაგლახ, ციხეში უამრავი ადამიანი ეტევა! შენობა სამასამდე პატიმარზე იყო გათვლილი, ახლა კი, 16 ათასამდე ვიყავით.

საკანში შევხვდი რუს პროპაგანდისტს, რომელიც დეკემბერში, ბაქოს დაცემის შემდეგ ჩამოვიდა და ჩვენ ქუთაისში შევიფარეთ. მისი სიცოცხლე საფრთხის ქვეშ იყო. პატარა ტანის სტუდენტი, ბავშვური სახითა და ეშმაკური გამოხედვით, თვალებში არასდროს გიყურებდათ. გაუგონარ ისტორიებში ეხვეოდა. ჩვენი შეხვედრა ძალიან გამომადგა, მისგან გარკვეული ინფორმაციები მივიღე ამ „სამეფოს“ შესახებ. მთელი ქართული ინტელქტუალური კლასი, ყოველ შემთხვევაში ისინი, ვინც აყვანისას დახვრეტას გადაურჩა, ციხეში იყო, მწერლები, ადვოკატები, ექიმები, პროფესორ-მასწავლებლები... ისიც გავიგე, თუ რა ბედნიერება მხვდა წილად. როგორც მითხრეს, ქუთაისის ციხეში ვინც ხვდება, მისი სიცოცხლე გადარჩენილია... სასჯელის გამოტანამდე. სეირნობებისას ამხანაგები გულწრფელად მილოცავდნენ ამ „სამოთხეში“ მოხვედრას.

ორი დღის შემდეგ, როდესაც მეგონა, რომ ჩემი პატიმრობის ამბავი არავინ იცოდა, ჩემმა ნათესავმა, თავად წულუკიძის მეუღ-

ლემ, ქრისტინემ[1] მომაკითხა. მათი ოჯახი იმერეთის უკანასკნელ მეფეს, სოლომონის შტოს ენათესავებოდა. ქრისტინემ დააზუსტა, რისი გაკეთება შეეძლო ჩემთვის. „საერთოდ არაფრის“, – ვეუბნებოდი მე. შემდეგ თავდაცვის გეგმა გავუზიარე. ძალიან მომიწონა.

ჩემმა უფროსმა მეგობრებმა ციხის შიგნით ცხოვრების საორგანიზაციო საკითხები და მის გარეთ კავშირების დამყარება მომანდეს. ასობით პატიმარს სიკვდილი ელოდა, თუ სასწრაფოდ კარგ ალიბის არ მოგვაწვდიდნენ მათი წარმოშობის ადგილიდან. დატყვევებულს როგორ უნდა მომეძებნა პარტნიორები, როგორ დავკავშირებოდი შორეულ რეგიონებს?

შიდა სივრცეში ყველაფერი კარგად იყო. ჩემმა ამხანაგებმა დამაკავშირეს პატიმრებთან, რომელთაც მორალური ძალაუფლება მომანიჭეს ერთგვარ ანარქიულ სიტუაციაში წესრიგი დამემყარებინა. რაც შეეხება გარე სივრცეს, მაღალი საზოგადოების ქალბატონებმა ფეხზე დააყენეს „წითელი ჯვრის კომიტეტში“ არსებული საიდუმლო ორგანიზაცია. სწორედ ეს გუნდი დამეხმარებოდა ფარულ დაჯგუფებებთან დაკავშირებასა და მსჯავრდადებულთა დასახმარებლად მოწმეების მოძებნაში. ჩვენი გამარჯვება უნდა გადამერჩინა, ნებისმიერ ფასად. აუცილებელი იყო საქმეების სიღრმისეული შესწავლა, გამოსავლისა და წყაროების მოძებნა, ან შექმნა, არარსებობის შემთხვევაში. მცირე შეცდომაც შეიძლება ფატალური შედეგით დასრულებულიყო.

ათასი მიზეზი მჭირდებოდა, რომ ციხის შიგნით ტერიტორიაზე გადაადგილება შემძლებოდა, ოთახებში, საკნებში, აფთიაქში, სამედიცინო პუნქტში. ადმინისტრაციამ მომცა ამის უფლება, ინტელექტუალური ვიზიტების მიზეზით.

რაკი ამას მივაღწიეთ, გადავწყვიტეთ, რომ ჩემი საკნის ხმაური ხელს მიშლიდა მუშაობაში. ამიტომ ჩვენმა დელეგაციამ, მწერალი იასონ ნიკოლაიშვილის მეთაურობით, მოახერხა და სხვა საკანში გადამიყვანეს, მოპირდაპირე ფლიგელში. საოცნებო ადგილი იყო ჩემი ღამის საქმიანობებისთვის. საკანში ორი განათლებული ამხანაგი ცხოვრობდა. ღამით მშვიდი ძილით ეძინათ. საწოლთან იატაკზე დამაგრებული მაგიდა იყო.[2] ამგვარად, ახლა შემეძლო ჩემ

---

[1] პუპიეს და. პუპიეს მეუღლემ ბათუმში სიცოცხლე გადამირჩინა (ხ. შავიშვილი).

[2] ამ საკანსა და მაგიდას თავისი ისტორია ჰქონდა. ეს ციხის ერთადერთი მაგიდა იყო.

1904 წელს პირადი ხასიათის დანაშაული მოხდა. მის ჩამდენს, ქონიშვილს ერთწლიანი პატიმრობა მიესაჯა, რადგან ის ხანჯლით დაესხა თავს რუს მოწინააღმდეგეს, რომელმაც ქონიშვილის შეყვარებულის

მიერ მომზადებული უდიდესი წერილები დანიშნულების ადგილამდე მიმეწოდებინა. ღმერთო, ახლა რომ ჩავიჭრა, ცხოვრება გაფლანგულად ჩაითვლება!

* * *

პირველი სართულის დერეფანში სეირნობისას მოპირდაპირე სახლის ეზოში ლამაზი ქალბატონი შევნიშნე, რომელიც, თითქოს, თანაგრძნობით იყურებოდა ჩემკენ. ჩემთან ერთად მყოფი პატიმრები, ღლონტი და სარაძე, ამის გამო მეხუმრებოდნენ, ამბობდნენ, რომ იმ ბაღში ორი ფერია ცხოვრობს და მე მხოლოდ ერთს

მიმართ ძალადობრივი ქმედების განახორციელება სცადა. დანაშაულის ყველა ფაქტი ქონიშვილის სასარგებლოდ მეტყველებდა, მაგრამ... აღსანიშნავია, რომ ამ ფაქტმა მის მიმართ დიდი სიმპათიები გააჩინა. სწორედ ამიტომ, გამონაკლისის სახით, ხელისუფლებამ მის საკანში მაგიდა განათავსა. მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის, მაგიდა იატაკში ჩაამაგრეს, როგორც საწოლები. ასეთივე გამონაკლისი იყო ქონიშვილის შეყვარებულის ვიზიტები საკანში დაბოლოს, საკანში შემდგარი ჯვრისწერა.

მოგვიანებით ამ საკანში ცნობილი ადვოკატი, გელაზარიშვილი „ცხოვრობდა“. მისი რევოლუციაში მონაწილეობა ვერ დამტკიცდა, ამიტომ დაახლოებით, ოცი დღის შემდეგ გაათავისუფლეს. მის შემდეგ საკანი დაეთმო ლიტერატურული ნიჭის ახალგაზრდა კაცს, ღონონაშვილს, რომელმაც ხელისუფლება შეაშფოთა ხელნაწერებით, „ციხის გაზეთი“. ტექსტებს იუმორისტული სტილით ადგენდა.

ორი დღის წინ ამ გაზეთის მეხუთე ნომრის შედგენაში ჩამრთო. ბრალად ედებოდა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოხატული აგრესია. მისი შემთხვევა მძიმე იყო, რადგან არავითარი მოწმე არ არსებობდა, რომელიც საწინააღმდეგოს დაამტკიცებდა. დიდად უიმედოდ გრძნობდა თავს. თუმცა, წინა დღეს უეცრად გაათავისუფლეს. რა საოცარია! მისტიკური გზებით, ამხანაგმა ოკუჯავამ შეძლო მისი დახსნა.

ოკუჯავა ჩვენი პარტიის ბოლშევიკური ფრთის წარმომადგენელი იყო. დაახლოებით, ოცი წლის ახალგაზრდა კაცი ერთადერთი ბოლშევიკი ჩვენ რიგებში, კობას მიმართ დიდ სიმპათიებს განიცდიდა. დიდი სიამაყით მიყვებოდა, რომ მისი კერპიც იჯდა ამ საკანში. ამ ამბის სისწორეს ვერ დავადასტურებ, თუმცა ცნობილია, რომ სტალინი მრავალჯერ მოხვდა ქუთაისის ციხეში 1902, თუ 1903 წლის დასაწყისში. ბათუმში ორგანიზებული მუშათა გაფიცვისთვის დაიჭირეს, ჯერ ქუთაისის ციხეში გადაიყვანეს, შემდეგ – ციმბრიში. ბოლშევიკებმა ღონონაშვილისთვის ასეთი ძალისხმევა იმიტომ გამოიჩინეს, რომ გაბედული ნაბიჯისთვის სჭირდებოდათ, შეიარაღებული ჯგუფისთვის ფული უნდა წაერთმია, რასაც თავად კონფისკაციას უწოდებდნენ. გათავისუფლებიდან დაახლოებით ერთ თვეში მისი ტრაგიკული სიკვდილის ამბავი შევიტყეთ (ხ. შავიშვილი).

ვხედავ. ერთ-ერთს სულიკოს ეძახდნენ, აკაკი წერეთლის ლექსის ალუზიით. სწორედ სულიკო გაუძღვებოდა მეორე ფერიას და ერთ ღამეს რკინის გისოსებს მიღმა გამიყვანდა. თავად კი სილფიდებს შეებრძოლებოდნენ.

ნაკლებ ფანტასტიკური იყო ექიმ ჯაფარიძესთან დამეგობრება. ის ყოველ დილას მოდიოდა საავადმყოფოში. თავდაპირველად დიდი სიმპათიები არ მქონდა ამ მშვენიერი გარეგნობის კაცთან, მისი კარგად მოვლილი წვერი და ელეგანტურობა მაშფოთებდა. შევცდი, მერე მივხვდი, რომ ჭკვიანი და მამაცი იყო. გარკვეულ რისკზე წავედი და პირდაპირ ვკითხე, აიღებდა თუ არა წერილების გატანისა და შემოტანის პასუხისმგებლობას. გაკვირვება იმ საფრთხეების ახსნით გამოხატა, რაც ორივეს გვემუქრებოდა იმ შემთხვევაში, თუ ჩხრეკისას წერილებს აღმოაჩენდნენ. პასუხად პატიმართა ტრაგიკული განაჩენის შესახებ მოვუყევი, რამაც აშკარად შეაცვლევინა აზრი.

– დიდი გამბედაობა გაქვთ, ექიმს ამგვარ საქმეში რომ რთავთ; ასე იყოს, ვიღებ გამოწვევას.

როგორი ემოციური იყო! მაგრამ ეს ყველაფერი არაა. სანამ წერილებს ჩექმაში დამალავდა, ავუხსენი, რომ ციხესთან ახლოს მჭირდება ადამიანი, რომელსაც მარტივად დავეკონტაქტები მის მოსვლამდე, თუ რაიმე სასწრაფო საქმე აღმოჩნდა. ექიმმა გამაწყვეტინა.

– რა? მეტისმეტს ნუ მომთხოვთ! სხვას ვერაფერს დაგპირდებით!

– მოითმინეთ, ექიმო! მხოლოდ ერთ რამეს გთხოვთ, გასვლისას მარჯვნივ გახვევის ნაცვლად, მარცხნივ წადით და პირველივე სახლის ბაღში შედით. ბაღში ქალბატონი დაგხვდებათ, სთხოვეთ, დღეს, შუა დღის მერე, ნახვის საათებისას მოვიდეს.

გაოგნებულმა შემომხედა:

– როგორ, თქვენ ქალბატონ ფანცხავას იცნობთ?

– არა! მისი გვარი ფანცხავაა? კარგი. გადაეცით, რომ ეს მნიშვნელოვანია და აუცილებლად მოვა.

– სწორედ ამ დროს ოთახში ბადრაგი შემოვიდა ორ ჯარისკაცთან ერთად. ექიმს უკვე თავი ჰქონდა მოდებული და ფილტვებს ისმენდა, მთხოვდა, დამეხველებინა. ოფიცერის ზედამხედველობით, ექიმმა რეცეპტი დამიწერა და მას გაჰყვა.

ვიზიტები 14 სთ-ზე იწყებოდა. ბევრ ხალხში ერთი შევნიშნე, რომელიც ბრბოში წინ მოიწევდა, შორიდან ვერ შევიცანი, უეცრად მომიახლოვდა და რუსულად მითხრა:

– გამარჯობა, როგორ ხარ?

როგორი ჭკვიანურია, ასეთი მომართვით ყველა ეჭვს გაფანტავდა. ჩასუქებული დირექტორი მოგვიახლოვდა და ბუტბუტით დაგვშორდა. ამის შემდეგ უკვე დაბალ ხმაზე, ქართულად გავაგრძელეთ საუბარი.

– ვიცოდი, რომ რამით დახმარებას შევძლებდი, არ ვიცი როგორ, მაგრამ მზად ვარ.

ახალგაზრდა ქალი ძალიან ლამაზი იყო, დახვეწილად ჩაცმული, გამორჩეული შესახედაობის. მაგრამ მისი დამსახურებები სხვა რამეში გამოიხატებოდა, სიკეთე და დიდსულოვნება გამეფებულიყო მის საოცნებო თვალებში.

– ნუ გეშინია, – ვუთხარი, – შეუძლებელს არაფერს გთხოვ.

– არ მეშინია, შეუძლებელსაც შევძლებ.

მაშინ ავუხსენი, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო აქ „მაცხოვრებელთათვის“ მისი სახლის სიახლოვე. ნახევარი სიტყვით მიმიხვდა სათქმელს:

– გამოიყენე ჩემი სახლი!

სწორედ ეს იყო ჩემი გეგმის ნაწილი. ყველაზე გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი პატიმრებისთვის გვირაბი უნდა გაგვეთხარა ფანცხავას სახლამდე, საიდანაც ისინი გაქცევას შეძლებდნენ.[1]

– კიდევ რისი გაკეთება შემიძლია?

– თუ წერილებს შენ ბაღში გადმოვაგდებ, დანიშნულების ადგილზე მიიტან?

– რა თქმა უნდა, სიამოვნებით. სწორედ აქედან უნდა დაგეწყო.

კავშირების დამყარების საკითხი მოგვარებულად ჩავთვალე, მაგრამ არ შემეძლო საოცარი თანამოაზრე მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ არ გამეფრთხილებინა. მისმა პასუხმა არ დააყოვნა:

– ასეთ სიტუაციაში საფრთხე არ ითვლება!

ამგვარად, შეთანხმება შედგა.

ამ დღის შემდეგ, ყოველ დღე, საღამოს ოთხი საათის შემდეგ, ქალბატონ ფანცხავას ბაღში პურის ბურთულებს ვაგდებდი, რომელიც პატარა წერილებს შეიცავდა. ხან ჩვენი მშვენიერი მეზობელი და ხანაც – ტასიკო, ამ ტექსტებს აგროვებდნენ ყვავილების კრე-

[1] გეგმა მომავალში განვახორციელეთ და 25-მა პატიმარმა შეძლო ცხიდან გაქცევა. მათგან ორმა, ასათიანმა და სულიაშვილმა ჟენევას შეაფარეს თავი და უნივერსიტეტში ჩაირიცხნენ (ხ. შავიშვილი).

ფისას. უფრო დიდი, მნიშვნელოვანი, წერილები და გეგმები ექიმს მიჰქონდა.

საქმის ამგვარი განაწილება რამდენიმე კვირა გრძელდებოდა. ერთ დილას შეხვედრების დარბაზში დამიბარეს. გავოცდი, არც ვიზიტების საათი იყო და არც – დღე. დარბაზში ქალბატონი ფანცხავა მელოდა, ძალიან აფორიაქებული ჩანდა. საბრალო ქალი! გასვლისას ექიმი გაჩხრიკეს და 46 წერილი უპოვეს. ექიმმა მოახერხა ჩვენი თანამოაზრისთვის მიეწოდებინა ეს ინფორმაცია იმ იმედით, რომ კატასტროფის თავიდან აცილებას შევძლებდი. მაგრამ რა უნდა გავაკეთო? საიდან დავიწყო? ექიმს სასამართლოზე გაიყვანდნენ. ყველა, ვისი გვარებიც ამ ფურცლებზე იყო, ჩავარდებიან. რა პასუხი გავცე ღვთიურ ქმნილებას, რომელიც თავს სწირავს? ვთხოვე, ერთ საათში ბაღში გამოსულიყო და პურის ბურთულები შეეგროვებინა.

ალტერნატივა ასეთი იყო: ან საქმიანობა უნდა შემეჩერებინა, ან თავი მომეკლა. ეს ძალიან მარტივია, რადგან არც ერთი შემეძლო და არც მეორე. გამოსავალი უნდა მომეძებნა. საკანში ჩამოვჯექი. დავფიქრდი. იმგვარად ვიმოქმედო, რომ უფროსი ვაიძულო, წერილები დამიბრუნოს. თუ ეს არ გამოვა, სასწრაფოდ მოვითხოვო ადვოკატები, რომელნიც მოსამართლეს, ან მთავარ პროკურორს სთხოვენ, საქმეს მსვლელობა არ მისცენ და შეაფასონ, როგორც უბედური შემთხვევა. სხვა თუ არაფერი, ყველაზე მაკომპრომატებელი წერილები მაინც ამოიღონ საქმიდან. დაახლოებით, ამ შინაარსის შეტყობინებები მოვამზადე ჩვენი მეგობრისთვის. კანცელარიაში გავიარე დეტალური ინფორმაციისთვის. სამართლის აღსრულების საქმე უკვე დაწყებულიყო და წერილები დღესვე გადაიგზავნებოდა. ეს ინფორმაცია სასწრაფოდ უნდა ჩამემატებინა შეტყობინებებში, წერილები აუცილებლად უნდა განადგურებულიყო. პურის ნაჭრები ბაღში გადავყარე, მამაცი ქალბატონი მათ შესაგროვებლად გამოეშურა. უეცრად გაისმა ყვირილი, იარაღის ხმა და ჯარისკაცებმა ალყაში მოაქციეს ბაღი. მე დავიმალე, ვეღარაფერს ვხედავ, არაფერი ვიცი.

სიმამაცის გამოჩენის გარდა აღარაფერი დამრჩენოდა. ორი წარმოსადეგი ამხანაგი გავიყოლე, ნესტორ წერეთელი ეროვნული სამოსით გამოირჩეოდა. ციხის უფროსის წინაშე წარვსდექით. მას დილით ჩამორთმეული ყველა წერილი მოვთხოვე. მიპასუხა, რომ ეს საქმე მე არ მეხებოდა და წერილები უკვე გამოძიებას გადასცა. გავცოფდი, ვურჩიე, გამოუსწორებელი შეცდომის ჩადენამდე სა-

დაზღვეო ზომები მიეღო. პასუხად ღრიალი დაიწყო, ათამდე ჯარისკაცი იხმო. ალყაში მომაქციეს და იარაღი დამიმიზნეს. უცნაურია, ამ ფაქტმა უფრო დამამშვიდა და კმაყოფილებაც მომგვარა, სადღაც მიღმიერში ვიგრძენი თავი, ამხანაგები გაოგნებულები მიყურებდნენ. იგივე განცხადება მეტი სიცხადით გავიმეორე.

რეაქცია საზარელი და ამავდროულად, გროტესკული იყო. ერთი მხრიდან რევოლვერი, მეორე მხრიდან ხმალი, ჩემ გარშემო შეკრებილი მასა ხმაურობდა, ირხეოდა, მუქარების შეძახილები ისმოდა.

– ახლავე სამუდამოდ კარცერში [1] ჩაგსვამთ. აჰ, ჩემი სიკვდილი გინდათ? ახლა ნახავთ!

გავაპროტესტე და ვუთხარი, რომ კი არ ვემუქრებოდი, ეს მხოლოდ მისთვის სასარგებლო გაფრთხილება იყო.[2] ვამჩნევდი, ნელ-ნელა მშვიდდებოდა.

ხმაც დაუწყნარდა და ბადრაგს უბრძანა, ოთახი დაეტოვებინათ.

– ამაზე კიდევ ვისაუბრებთ.

მე არ გავნძრეულვარ. ამ სავსე კაცმა ჩემ მეგობრებს ანიშნა, ოთახი დაეტოვებინათ. როდესაც მარტო დავრჩით, მითხრა:

– ყველა წერილს ვერ მოგცემთ, რადგან გამოძიება უკვე საქმის კურსშია. მხოლოდ იმას დაგიბრუნებთ, რაც ყველაზე მნიშვნელოვნად გესახებათ. თანახმა ხართ?

– თუ ამ პრობლემის მშვიდობიანი გზით მოგვარება გინდათ, თანახმა ვარ, იმ პირობით, რომ ამ საქმეს უსიამოვნო შედეგები არ მოჰყვება, არავინ დაზარალდება, განსაკუთრებით კი, ექიმი. მან არ უნდა ზღოს ჩვენ გამო.

– ანგარიში უკვე შედგენილია და არაფერი შემიძლია. თუმცა, ყველაფერს გავაკეთებ, რომ საქმე მსხვერპლის გარეშე დასრულდეს.

საუბრისას თან წერილებს ვარჩევდი, იმასაც მივაღწიე, რომ მეციხოვნეს ანგარიშის ტექსტში ოდნავი ცვლილებები შეეტანა. ბევრი ყოყმანის შემდეგ ორი კონვერტი შევარჩიე, სადაც ასიოდე პატიმრის დაცვის გეგმა იყო შედგენილი, ასევე სხვა ოთხი წერილი, რომელიც მონიშნული მქონდა, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი. უჰ, შორიდან დავბრუნდი!

---

[1] ძალიან ვიწრო დილეგი, სადაც პატიმარი იძულებულია, სულ ფეხზე იდგეს (ხ. შავიშვილი).

[2] სანამ ციხეში ვიყავი, თავისუფლად გადაადგილდებოდა. მოგვიანებით ესკორტით იწყო სიარული. ქალაქში საომარი მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ ქუჩაში მოკლეს (ხ.შავიშვილი).

საკანში დაბრუნებისას, დერეფანს გავდიოდი და ბაღს გადავხედე. თავში შემოვირტყვი, მამაცი ფანცხავა?! როგორც მითხრეს, ჯარისკაცებს ციხეში გადაუყვანიათ. გაცეცხლებული თავს დავესხი ციხის უფროსს, გაშმაგებული ვყვიროდი, რომ შეთანხმება დაარღვია და ახლა პასუხისმგებლობა მას ეკისრება. საუბარი იყო მრისხანე. როგორც გაირკვა, დაპატიმრებული ჯერ დაკითხვაზე არ იყო გაყვანილი, ხელთ არანაირი მტკიცებულება არ ჰქონდათ, ამიტომ მისი გათავისუფლება ახლავე შეიძლებოდა.

ისეთმა სიხარულმა მომიცვა, რომ ამ მონსტრს გადავეხვიე!

მინოტავრმა არიანეს უხმო, რომელიც დიდებულად შემოვიდა, ღვთაების იერით. მის ბრწყინვალე სახეზე არავითარი საყვედური ან შიში არ იხატებოდა. ციხიდან ისე გამოვიდა, როგორც სასახლიდან. მოგვიანებით შევიტყვე, რომ როდესაც ჯარისკაცები თავს დაესხნენ, პურის ნაჭერი დაღეჭა და გადაყლაპა, რათა დაემტკიცებინა, რომ შიგნით არაფერი იყო.

აღვნიშნავ, რომ ამ საგანგებო მდგომარეობას მისი ენთუზიაზმი არ ჩაუკლავს. ორი საათიც არ იყო გასული, რომ ახალი ინსტრუქციები გადავუყარე ფანჯრიდან. ქალბატონმა ფანცხავამ ის დანიშნულების ადგილზე წაიღო.

* * *

მთელი ამ დროის განმავლობაში რას წარმოადგენდა დატყვევებული ხალხი, რომელიც ინტენსიურ საქმიანობას იყო მიჩვეული? მოქმედებისთვის მზადყოფნაში, ცეცხლოვანი რაზმი: მამები, ქმრები, შვილები და საქმროები, მოწყვეტილნი შვილებს, ცოლებს, მშობლებს, შეყვარებულებს; თავისუფლებაზე გასვლის სურვილი წვავდა ყველას. დუმადან სიახლეებს ვიღებდით, დეპუტატები მთავრობისგან პოლიტიკურ ამნისტიას ითხოვდნენ. ეს ამბავი რამდენიმე კვირა გრძელდებოდა და მოლოდინის დაძაბულობა ნერვულ სახეს იღებდა. დრო, თითქოს, არ გადიოდა. დებატები სხვას ვერაფერს აღწევდა, თუ არა პატიმართა დასტრესვას.

ციხის რუტინა გრძელდებოდა ადგილისთვის ჩვეული ელემენტებით, გაუგებრობებითა, თუ სასაცილო ამბებით. ნებისმიერ პატარა ამბავზე წარმოსახვა ერთვებოდა, ეს კი, მხოლოდ დროის გაყვანის მიზნით. ყველაზე გამაოგნებელ მთხრობელად რუსი სტუდენტი, პეტროვი ითვლებოდა. ეს ის პეტროვი იყო, რომელსაც

ბათუმში შევხვდი და სწორედ მასთან შეხვედრამ შთამინერგა შფოთი. მთავრობის წევრების ქალიშვილებს თავის საცოლეებად წარმოგვიგდენდა ხოლმე, ხან ერთს, ხან – მეორეს. მსმენელებს ძალიან ართობდა მხიარული ამბებით. ზოგიერთს სიმპათიას უღვივებდა, ზოგსაც – პატივისცემას. უზომოდ დაგვადარდიანა მისი ტფილისში გადაყვანის ამბავმა. მისი სიცოცხლე სერიოზული საფრთხის ქვეშ იყო. „მამაცი პეტროვი, გულმხურვალე სოციალისტი, თავდაჯერებული მებრძოლი, ნუთუ ცარისტული აბსოლუტიზმი მას მსხვერპლად შეიწირავს?“

ჩემი თავდაპირველი ანტიპათია უფრო დამძიმდა. თუმცა, სიტუაციის ტრაგიკულობამ მაინც იმოქმედა. გულგრილად ვერ ჩავატარე საერთო თანაგრძნობა, რომელსაც ყველა პატიმარი გამოხატავდა პეტროვის ციხიდან გაყვანის დროს. სად მიდიოდა? ნუთუ, ვეღარასდროს ვნახავდი ამ უცნაურ სახეს?

* * *

ღამე იყო მღელვარე. რევოლუციის დროს შექმნილი გურიის რესპუბლიკის პრეზიდენტი და მოადგილე, ბენია ჩხიკვიშვილი და ერქომაიშვილი[1] შემოიყვანეს. რუსული არმია თავს დაესხა გურიას, გადაწვა სახლები, დახოცა მოსახლეობა და დაიჭირა რესპუბლიკის ორი მეთაური. დღეს ისინი ოზურგეთიდან ქუთაისს ციხეში გადმოიყვანეს, რათა არ გაქცეულყვნენ. ერთი თვის თავზე, ერთ საღამოს ციხის ზედამხედველმა, რომელიც მანამდეც დამეხმარა, კარზე მსუბუქად მოაბრახუნა და წერილი გადმომცა. წერილში ეწერა: „ძვირფასო ძმაო, ხარიტონ, შუაღამემდე აქედან გაგვიყვანენ, იმ მიზეზით, რომ სამხედრო ციხეში უნდა გადაგვიყვანონ. სინამდვილეში, სიკვდილით დასასჯელად მივყავართ. რამე იღონე ჩვენს გადასარჩენად. გემშვიდობებით. გულთბილი სალამი, შენი ბენია“.

თავზარი დამეცა. რა გავაკეთო? შემოწმების შემდეგ საკნიდან გასვლა არ შეიძლება. მეგობრების გასაფრთხილებლად ფანჯრიდან წერილის გადაგდება შეუძლებელია. ციხეში მყოფ მეგობრებთან კონსულტაციაც კი ვერ მოხერხდება. ბადრაგმა ნახევარ საათში ჩამოიარა. სრულიად დაბნეულმა, ფურცელზე მივაჯღაბნე:

---

[1] ალექსანდრე ერქომაიშვილი(1887-1937) – ქართველი სოციალ-დემოკრატი, რევოლუციონერი, დამოუკიდებლობის წლებში მუშაობდა თბილისში, 1921 წლის შემდეგ მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე. 1937 წელს დახვრიტეს (რედ.).

„ძვირფასო ძმაო, ბენია, საზარელი ამბავი შემატყობინე. როგორ მინდა შენ ადგილას ვიყო, შენ კი – ჩემს ადგილას. შეგიძლია მენდო, მართლაც ასეა. შენი ერთგული ხარიტონი.“ თუმცა ეს პასუხი არ იყო. როდესაც ბადრაგმა მომაკითხა, პატარა წერილი გავუწოდე, თუმცა უკან გამოვართვი. ვთხოვე, უფროსისთვის დაეძახა, ეს შეტყობინება ჩხიკვიშვილისთვის გადაეცა და ორ საათში დაბრუნებულიყო. ფურცელზე მივამატე: „მივიღე შენი წერილი. ორ საათში გიპასუხებ.“

ბადრაგის უფროსი მოვიდა. მას ვთხოვე ციხის უფროსთან მივეყვანე. მან კანონი შემახსენა, რომლის მიხედვითაც, შემოწმების მერე ციხეში გადაადგილებები იკრძალებოდა. მე უკან არ ვიხევდი. უეცრად თავად ციხის უფროსი მოუახლოვდა ჩემს კარს. დრამატული ვაჭრობა! ისინი ხომ სწორედ ორი პატიმრის გადაყვანისთვის იყვნენ შეკრებილნი. იარაღის დამიზნების გარეშე უფრო თავისუფლად ვისაუბრეთ. ჩემი თანამოსაუბრე დამპირდა, რომ ამხანაგების სიცოცხლეს საფრთხე არ დაემუქრებოდა.

– შემიძლია თქვენი იმედი მქონდეს?

– სრულებით. მეტი დამაჯრებლობისთვის თავად გავყვები მათ და თქვენი მეგობრისგან წერილსაც მოგიტანთ.

რა წერილს დაწერდა ჩხიკვიშვილი, რა მდგომარეობაში იქნებოდა, იმედიანად, თუ ეჭვებში! მე მას დავუდასტურე, რომ უსაფრთხოდ იყო. ვიყავი კი თავად ამაში დარწმუნებული!

შუაღამე დადგა. მეც შფოთვა დამეწყო. პირველი საათი გახდა. ორ საათამდე დრო ძალიან გაიწელა. ყველანაირი იმედი გადამეწურა, როდესაც მძიმე ნაბიჯების ხმა შემომესმა, ჩვენი კარის სარკმელი გაიღო და უფროსმა ჩემი მეგობრების წერილი შემომაწოდა. წერილში ეწერა, რომ ეს ადამიანი რომ არ დახმარებოდათ, გზაში მოკლავდნენ, როგორც ყველა დანარჩენი, რომელიც ასეთ ხელსაყრელ დროს გადაჰყავთ. ახლა ისინი სამხედრო ციხეში იყვნენ უსაფრთხოდ.

მეორე დღეს ჩვენი ორგანიზაციები გავაფრთხილე, ფანჯრიდან გადაგდებული წერილით მივაწოდე მათ ჩვენი ორი გურულის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაცია. ძალიან გახარებულები ვიყავით, თუმცა, როგორც კი ერთი სირთულეს გადავლახავდით, მეორე იჩენდა თავს.

* * *

ამჯერად ციხიდან გაქცევისა და მკვლელობის ამბავია.

ქალბატონი ფანცხავასა და ექიმის შეუფასებელი სამსახურის წყალობით, მიზანს მივაღწიეთ, პატიმართა უმრავლესობის წინააღმდეგ ხელისუფლება დანაშაულის დამამტკიცებელ ფაქტებს ვერ აგროვებდა. თუმცა ეს ხელს არ უშლიდათ, პატიმართა დიდი ნაწილი ადმინისტრაციული გზით გადაესახლებინათ და ციხე კვლავ ზეშევსებული ყოფილიყო. ახალშემოსულთა რიცხვი ციმბირში გადასახლებულთა რაოდენობაზე ბევრად მეტი იყო. ეს განუწყვეტელი მოძრაობა საქმეს მირთულებდა. მით უფრო, რომ ახალშემოსულთა შორის მრავლად იყო პროვოკატორი და დამსმენი. გაქცევის გეგმა ყოველთვის უსაფრთხოდ არ გამოიყურებოდა.

ასევე ვმუშაობდი ფანცხავას სახლიდან გასვლის გეგმაზეც. ყველა ეს გეგმა სრული საიდუმლო უნდა ყოფილიყო. მაგრამ როგორ უნდა შემეშალა ხელი ჩემთან შეუთანხმებელი გეგმებისთვის?

რამდენიმე კვირით ადრე შევიტყვე, რომ ჰიგიენური მოტივებით, ადმინისტრაცია აპირებს, ოთახები და საკნები ღია დატოვოს მთელი დღით. ძალიან კარგი, მაშინაც კი, როდესაც კარი ჩაკეტილი იყო, პატიმარი ბადრაგს სთხოვდა, მისთვის კარი გაეღო, რათა ამხანაგთან სასაუბროდ გასულიყო რამდენიმე საათით. პატიმრები გადიოდნენ და ნამდვილი პოლიტიკური შეხვედრები იმართებოდა. პატიმრები თავისუფლად გამოხატავდნენ აზრებს, გაქცევაზეც საუბრობდნენ და წუხდნენ, რომ აქამდე არც ერთი მნიშვნელოვანი, თუ ნაკლებ მნიშვნელოვანი გაქცევა არ შემდგარა. რამდენჯერმე ჩავერიე კიდეც, არ მინდოდა ამ უკმაყოფილებას საერთო სახე მიეღო. ვუხსნიდი, რომ ასეთი მცდელობა არასასიამოვნო შედეგებით დასრულდებოდა, ყველანაირად უარვყოფდი რაიმე გეგმის არსებობას.

სწორედ ამ დროს შევიტყვე, რომ გარკვეული ჯგუფი გაქცევისთვის ემზადებოდა ფარულად. მით უკეთესი, ჩემი გეგმა საიდუმლო დარჩება. ვამჩნევდი, რომ უამრავი ჩვენგანი რამდენიმე საათით გვტოვებდა და დაღლილი ბრუნდებოდა. სამი კვირის შემდეგ შეთქმულებმა მითხრეს, რომ მზად იყვნენ. რამდენიმე პატიმარი, იძულებითი სამუშაოებისთვის, საკნიდან N5 დარბაზში გაჰყავდათ და მათ ჩასანაცვლებლად სხვა პატიმრები შემოჰყავდათ, ფეხებზე ჯაჭვებით. თავის დაძვრომა შესაძლებელი იყო, რადგან შემოწმებისას, კარის სარკმლიდან ჯაჭვით დაბმულ ადამიანებს ითვლიდნენ, იდენტიფიცირების გარეშე.

დარბაზი N5 სამოცამდე პატიმარს იტევდა, დეპოს ტიპის სივრცის თავზე მდებაორეობდა. გათხრა სწორედ იქიდან მიმდენარეობდა, უკვე გალავნის იმ ნაწილს გასცდნენ, სადაც შეშა ინახებოდა. მოთხრილ მიწას ჩანთებში ყრიდნენ და ერთმანეთზე ალაგებდნენ.

ასეთი ფართო სამუშაოები სარისკოდ მეჩვენებოდა, მის შემოქმედთ ვთხოვდი, უარი ეთქვათ გეგმაზე. წარმატებაში დარწუნებულები იყვნენ და საქმეს აგრძელებდნენ. გაქცევის საღამო ახლოვდებოდა. ზოგიერთი მემშვიდობებოდა, ზოგიც, სამახსოვროდ მიგზავნიდა რაიმეს. სრულიად უშედეგოდ ვუხსნიდი მათ ყველაფერს. მხოლოდ ლოდინი დამრჩენოდა. საათები მიედინებოდა, არც მუშაობა შემეძლო, არც ძილი. შუა ღამეს გადასცდა. დღის სინათლე შეაყოვნებდა გეგმას? საზარელმა ხმაურმა გამომაღვიძა. ანგარიდან უიმედო ყვირილი ისმოდა. რუსულ ენაზე ღრიალი გავიგე: „მამა ტიხონ, გვიშველე!“ ერთ-ერთი გაქცეული საშველად ტიხონს ეძახდა. ტიხონი დაცვის უფროსი იყო, რომელთან თითქმის დამეგობრებულებიც კი იყვნენ. გაქცეულებს გვარდია და ჯარისკაცები დაესხნენ თავს და სასტიკად უსწორდებოდნენ ცივი იარაღით. აშკარად, ჩასაფრებულები იყვნენ; ვინ იცის, კონსპირატორებს შორის მოღალატეებიც ჰყავდათ?! ამხანაგების გადარჩენა მინდოდა, კარზე ძლიერად მივაბრახუნე, სხვა რა უნდა მექნა? სისხლი ამიდუღდა, სხვა საკნებსაც მოვუწოდებდი, იგივე გაეკეთებინათ. ყველა ასე მოიქცა, ჩვენი ხმაური ექოდ გავრცელდა. ბადრაგი შეშინდა, იფიქრეს, რომ შეიძლება, აჯანყება ყოფილიყო და სადმე იარაღიც გვქონოდა დამალული. იატაკის ქვეშ შემზარავი შეტაკება შეწყდა. თითოეული საკნის წინ თითო ჯარისკაცი დააყენეს და უბრძანეს, ესროლათ, თუ რომელიმე ჩვენგანი კვლავ დააბრახუნებდა.

გათენდა. მინდოდა ინფორმაცია მქონოდა. თითოეული მკაცრად ვიყავით გამოკეტილი. მოგვიანებით სამედიცინო პუნქტში ჩასვლის ნებართვა მივიღე. ღმერთო! რა საბრალონი იყვნენ! გუშინ ჯერ კიდევ მშვენიერი და ახლაგაზრდა ხალხი, სიცოცხლით აღსავსენი, დღეს ნაკუწებად ქცეულნი, თავგატეხილები, მხარმოჭრილები, აგონიაში მყოფნი იწვნენ.

რა თქმა უნდა, ჯარების გაყვანის შემდეგაც შენარჩუნდა სასტიკი რეჟიმი. ძლივს მოპოვებული პრივილეგიები მოგონებად დარჩა. სწორედ მათი გაქრობის შემდეგ დავაფასეთ და გავიაზრეთ ძველი ყოფა.

* * *

ამ ურთულეს პერიოდში გამორიცხული იყო ექიმისთვის დახმარების თხოვნა. მიუხედავად იმისა, რომ ერთგული ფანცხავა ხშირად ჩნდებოდა ბაღში, ძალიან დიდ სიფრთხილეს ვიჩენდი მისთვის წერილის მიწოდების საქმეში. რამდენჯერმე ვცადე საუბარი გამება რკინით ჩასისხლიანებულ, ჩასუქებულ კაცთან, მან წამოიყვირა: „თქვენ ზურგს გვიმაგრებთ, მაგრამ ეს საქმეს არ შველის. მორალური თვალსაზრისით, სიტუაცია დღითი დღე უარესდება. ჩვენ შორის საუკეთესოთა დიდი ნაწილი ბნელმა იდეებმა მოიცვა“. თუმცა ყველას გვაქვს იმდენი ენერგია, რომ არ დავნებდეთ. ნელ-ნელა ყველა დარწმუნდება, რომ მოლაპარაკებებში განცდილი მარცხის შემდეგ, ისღა დაგვრჩენია, ღია ბრძოლაზე გადავიდეთ. თუმცა, როგორ? ალტერნატივა შემდეგი გვაქვს – ან ელემენტარული, ასატანი პირობები უნდა შეიქმნას ან სიკვდილი. ამგვარად, შიმშილობაზე გადავდივართ.

ქალბატონ ფანცხავას პატარა წერილი მივაწოდე, რათა ჩვენი ფარული ორგანიზაციები და ადვოკატები საქმის კურსში ჩაეყენებინა. მან იმავე დღეს მოახერხა შეხვედრა და უმნიშნელოვანეს ამბებთან ერთად მაცნობა, რეაქციები, რომელიც ჩვენმა ქმედებამ გამოიწვია.

ჩვენი მოთხოვნების თორმეტ პუნქტად ჩამოწერა დამევალა. ვითხოვდით შემდეგს: საკვების რაოდენობისა და ხარისხის გაზრდას, საკნების გახსნასა და პატიმართა თავისუფლად გადაადგილებას, თავხედი ზედამხედველების გახმობას, რომელნიც შეურაცხყოფას აყენებდნენ პატიმრებს, ეზოში სანაგვე ორმოს გაუქმებას, რომელიც ჰაერს აბინძურებდა, გაზეთების მიღების უფლებას; სხვადასხვა მოთხოვნას ხელს აწერდა გაფიცვის კომიტეტის ყველა პატიმარი.

როდესაც ადმინისტრაცია საქმეში გაერკვა, გადაწყვიტა, მოღალატეობრივი პროვოკაციები გამოეწვია და პატიმრებს საკნებში მიაწოდა საკვები. გავაპროტესტე და დამემუქრნენ. მაშინ ტელეგრამა გავუგზავნე სანკტ-პეტერბურგში დუმის დეპუტატს, ისიდორე რამიშვილს. მას სასწრაფო წესით მთავრობის საქმეში ჩართვას ვთხოვდი. თუმცა, ადმინისტრაციამ უარი მითხრა დეპეშის გაგზავნაზე. გადავწყვიტე, სხვა ხერხისთვის მიმემართა და წერილი, შემოვლითი გზით, ქუთაისის ფოსტით გამეგზავნა. ხელისუფლებამ წერილი აღმოაჩინა და გამოძიება დაიწყო. სრულიად შემთხვევით,

ჩემმა მეგობრებმა წერილის ასლის ტფილისიდან გაგზავნა მოახერხეს. ამაოდ! როდესაც ამ უძვირფასესმა ფურცელმა თავრიდის სასახლეში მიაღწია, დუმა დათხოვნილი იყო სტოლიპინის მიერ.

ქუთაისში ჩვენი გაფიცვის ამბავმა ყველგან მიაღწია. ნამდვილი შიმშილი? ვისაც შიმშილი არ განუცდია, ამას ვერასდროს მიხვდება.

პირველმა დღემ მშვიდად ჩაიარა. მეორე დღიდან გარკვეული შემთხვევების რიცხვმა იმატა. ადმინისტრაციამ რეპრესიების გზა გამოიყენა. პატიმრები ბადრაგის მხრიდან დამცირებას უპასუხოდ არ ტოვებდნენ; ამისთვის კი, კარცერში გადაყვანით ისჯებოდნენ. რადაც არ უნდა დაგვჯდომოდა, სტოიციზმი უნდა გაგვეორმაგებინა, რათა შიმშილით უკვე დაუძლურებული ხალხი გადაგვერჩინა.

ავადმყოფთა რიცხვი ყოველდღე იზრდებოდა. თვალყურს ვადევნებდი, რომ ისინი სხვა ოთახში გადაეყვანათ და საჭმელი მიეწოდებინათ, რათა არ დახოცილიყვნენ. ჩვენი მცდელობები ხელისუფლების დამოკიდებულებასთან წინააღმდეგობაში მოდიოდა, ყოველ დღე გვიმეორებდნენ მეფის მინისტრის ფრაზას, რომ „ციხე სასტუმრო არ არის!“ ადმინისტრაცია ამბობდა:

– საკვებზე უარს ამბობენ? მით უარესი მათთვის, მოკვდნენ შიმშილით!

თუმცა მათ მკაცრ დამოკიდებულებაში ბზარებიც ჩანდა. ჩვენგან სრულ კაპიტულაციას მოითხოვდნენ, მაგრამ, ცხარე კამათის შემდეგ, მცირე დათმობებზე მიდიოდნენ, რაც დასუსტებული პატიმრების მოვლაში გამოიხატებოდა. ამგვარად, მიწევდა დაუსრულებელ დაპირპისპირებაში ვყოფილიყავი გენერალურ პროკურორთან, მოსამართლესთან, სამოქალაქო და სამხედრო გუბერნატორებთან და კიდევ სხვა ბევრთან! დღე სრულდებოდა. იწყებოდა ღამის სამუშაოები. შიმშილობის მეთოთხმეტე დღე იყო.

მეხუთე დღეს მომეჩვენა, რომ რეპრესიებს მოლაპარაკებები ჩაანაცვლებდა. ხელისუფლება დათანხმდა საკვების გაუმჯობესებასა და ეზოში არსებული სანაგვე ორმოს გაუქმებას. თუმცა ისინი უარს ამბობდნენ საკნების გახსნასა და ჩვენთვის გადაადგილების თავისუფლების მოცემაზე, რადგან მათი აზრით, სწორედ ამ თავისუფლების შედეგი იყო გაქცევა.

მეექვსე დღეს ცხარე კამათი გაიმართა ოდიოზური ზედამხედველების გაწვევის შესახებ. ადმინისტრაცია დათმობაზე არ მოდიოდა და ყველანაირად ცდილობდა მათი დაქვემდებარებულების დაცვას. ადამიანურმა ღირსებამ გვაიძულა, მოლაპარაკებებზე

უარი გვეთქვა. ეს საბოლოო განხეთქილებაა, მოხდეს, რაც მოსახდენია. ბედს მივენდობით.

ყველანაირი იმედი დაკარგული იყო, როდესაც, შუა დღისას კანცელარიაში დამიბარეს. ძალები მღალატობდა, თუმცა მაინც ვცდილობდი სიარულს. გაფიცვის დელეგაციის წევრებიც მოვიხმე. ხუთი წევრიდან, მხოლოდ ორს შეეძლო მოძრაობა. მათი მდგომარეობაც რთული იყო, საღად განსჯაც უჭირდათ. ჩაგვიყვანეს დარბაზში, სადაც ყველა მაღალი მოხელე შეკრებილიყო. კრებას გენპროკურორი თავმჯდომარეობდა. ის ყველას სახელით საუბრობდა. წამოყენებული მოთხოვნები იმდენად ფართო იყო, რომ საჭიროდ მიიჩნია, პასუხისმგებელი სამსახურები მოეხმო, რათა გამოსავალი მოგვეძებნა. ჩვენი უკმაყოფილების საკითხები ჩამოთვალა და განაცხადა, რომ ათივე საჩივარი დაგვიკმაყოფილეს, ამიტომ შიმშილობა უნდა შეგვწყვიტა.

– ორი სხვა საკითხი? – ვიკითხე.

– ჩვენ არ გვაქვს უფლება პატიმრებს გაზეთების მიღების უფლება მივცეთ. ეს კანონით იკრძალება და მას კონსტიტუცია განკარგავს. მიუხედავად ყველაფრისა, ამ საკითხზეც კი, დათმობაზე წავედით და ფარულად მიღებულ გაზეთებზე თვალს ვხუჭავთ. გამოდის, ამ მოთხოვნაზეც სანახევრო თანხმობა გაქვთ იმ პირობით, თუ ხვალიდან შიმშილობას შეწყვეტთ. ამ საღამოს უკვე ძალიან გვიანია საკვების მოწოდებისთვის.

მის სიტყვებს დუმილით შევხვდით. პროკურორმა გვკითხა:

– არ გვპასუხობთ. თანახმა ხართ? თუ არა, მაშინ ისე მოვიქცევით, როგორც მოგვესურვება.

ძალები მოვიკრიბე:

– არაფრის პასუხი არ შეგვიძლია.

– რატომ?

– რაკი არაფერი გითქვამთ მთავარ საკითხთან დაკავშირებით.

– რომელ მთავარ საკითხზე, ყველა მოთხოვნა დაგიკმაყოფილეთ, ისეთიც კი, რომლის უფლებაც არ გვქონდა, გაზეთების ფარულად კითხვის ნება დაგრთეთ!

– ვერ დავუშვებთ, რომ ბადრაგი პოლიტიკურ პატიმრებს ავიწროვებდეს, ამიტომ შიმშლობას განვაგრძობთ სიკვდილამდე.

ამ სიტყვების წარმოთქმისას უკანასკნელი ძალები გამოვიყენე ფეხზე წამოდგომისთვის. პროკურორს დავეყრდენი. მან განაცხადა, რომ ბადრაგის დათხოვნა არ შეუძლია, რადგან ისინი მოვალე-

ობას ასრულებდნენ. თუმცა ყველაფერს გააკეთებდა შესაძლებლობის ფარგლებში. დაბალ ხმაზე პატარა კონსულტაცია გაიარა კოლეგებთან და ციხის უფროსთან. რის შემდეგაც საბოლოო გადაწყვეტილება გაგვაცნო:

– მაქსიმუმი რაც შეგვიძლია, ბადრაგს ვუბრძანოთ კორექტულები და ზრდილობიანები იყვნენ პოლიტპატიმრების მიმართ.

ამგვარად, სრული წარმატება გვქონდა ათ მოთხოვნაზე და სანახევრო – ორ დანარჩენზე. დავეთანხმე, მეტი აღარ შემეძლო.

მეორე დილას დიდი მონდომებით დაიწყეს პატიმართა გამოკვება. 16 000 პატიმრიდან თითქმის ორასი მძიმედ დაავადდა. შეგვეძლო გაგვეხარა გამარჯვებით, მაგრამ ამ გზაზე მიღებული დარტყმების მოსაშუშებლად დიდი დრო გვჭირდებოდა იმდენად ვიყავით დაღლილები და დასუსტებულები. ჩემთვის ყველაზე რთული პირველი ორი დღე იყო, შემდეგ დაჭიმული ნერვული სისტემის წყალობით, ბოლომდე აქტიურად ვმუშაობდი. თან ვკვდებოდი და ამავდროულად, ჩემი სიკვდილის მაყურებელიც ვიყავი. ჩვენ შორის ყველაზე ნაკლებად ის ამხანაგები დაშავდნენ, ვინც შიმშილობას უძრაობაში ატარებდა.

* * *

რაც შეეხება ჩემს კერძო შემთხვევას. პირველ თვეებში, როდესაც ჩემი ნათესავის ქრისტინეს მოწონებული გეგმა განვახორციელე და დაკითხვისას კონკრეტული ცნობები მივაწოდე გამომძიებელს, გადავწყვიტე, სიჩუმე შემენარჩუნებინა, რათა „გამოძებისთვის ხელი არ შემეშალა“. ქრისტინე კი, ყველაფერს აკეთებდა, რაც ჩემი უმცროსი ძმისთვის იყო აუცილებელი. მოსალოდნელი შედეგების მიღების შემდეგ სასამართლოზე გასვლა მოვინდომე, თავისუფლებაზე გასვლის მიზნით. ამგვარი ტაქტიკა საუკეთესო საშუალება იყო წარმატებისთვის. თუმცა, ერთი უხერხულობა არსებობდა, ჩემი აქტივობების ყველანაირ მტკიცებულებას ვერ გავაქრობდით. ამიტომ ხელისუფლება მუდმივ ძიებაში იყო. მოსამართლე გენერალურ პროკურორს გადასცემდა ჩემს საქმეებს, ის გუბერნატორს აყენებდა საქმის კურსში. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, საქმის შესწავლისა და გაგრძელების ბრძანებას იძლეოდა და კვლავ მოსამართლესთან ბრუნდებოდა.

უკვე ექვსი თვე იყო, რაც ციხეში ვიყავი. გამოკვეთილი მიზეზი არ ჩანდა, რისთვისაც გამათავისუფლებდნენ. ერთ საღამოს მამ-

ცნეს, რომ ტფილისში გადაყვანისთვის უნდა მოვმზადებულიყავი. დილით ადრე, ისე, რომ გმირ ფანცხავას გამოსამშვიდობებელი წერილიც კი ვერ მივაწოდე, საკნიდან გამიყვანეს.

ესკორტად ჯარისკაცთა დიდი რაოდენობა მახლდა. მიმიყვანეს ქუთაისის სადგურში და სპეციალურ ვაგონში ჩამსვეს. საღამომდე იქ ვრჩებოდი. ამგვარი მოგზაურობა სხვა ამხანაგებს არ ჰქონიათ. როგორც წესი, ბაღში გადაგდებული პატარა წერილის წყალობით, ყველას ჰქონდა მცირედი საგზალი და ცოტაოდენი ფული. მე ამ ყველაფერს მოკლებული აღმოვჩნდი. ვცდილობდი, მივმხვდარიყავი ჩემი ასეთი სწრაფი გადაყვანის მიზეზს, მაგრამ ამაოდ. ერთადერთი ირონიული პასუხი მიტრიალებდა თავში, რომელიც ღიმილს მგვრიდა: „უეჭველი, შეწუხდნენ ჩემი ჯანმრთელობის გაუარესებული მდგომარეობით, რაც ქუთაისის ციხეში განხორციელებულმა სამუშაოებმა გამოიწვია.“

უეცრად ჩემი ძმა, სევასტი შევნიშნე, ყველა ღონეს ხმარობდა, რომ მცველებს ჩემთან შემოსვლის ნება მიეცათ. როგორც ჩანს, ამ პატივზე უარს ეუბნებოდნენ. იმედგაცრუებულმა, სცადა სივრცე გამოერღვია. ვაგონისკენ გამოიქცა. სამხედროები გარს შემოეხვივნენ. გაისმა ბრძანება და იარაღი შემართეს. ერთი წამიც და ყველაფერი დასრულდება. სწორედ ამ წამს ოფიცერმა მის მკერდზე მბზინავი ოქროს მედალი შენიშნა, რომელიც ბოლო ომის შემდეგ ჰქონდა მიღებული. ჯარისკაცი ჯარისკაცის პირისპირ. მეთაურმა იარაღის დაშვების ბრძანება გასცა და სევასტი იქაურობას გაშორდა.

უდიდეს უიმედობაში მყოფმა, ბედნიერება ვიგრძენი. სევასტი ცოცხალია, გადარჩა.

ჩემი საბრალო ძმა. მოგვიანებით შევიტყვე, რომ ბათუმის გაზეთში ამოუკითხავს ცნობა ჩემი დეპორტაციის შესახებ. იმ დილით, ქუთაისში ჩამოვიდა, რომ თავად წულუკიძისთვის ჩემი ამბავი ეკითხა. ჩემი ადგილსამყოფელიც შემთხვევით შეიტყო.

სადგურში ის უკანასკნელად ვნახე ჩემი ვაგონის კარის პატარა ღიობიდან. მისი ხმაც კი ვერ გავიგონე.

თავი V

მეტეხის ციხეში

გვიან ღამით ჩემი ვაგონი მატარებელში ჩააბეს, ჩემი „ბანაკის გვარდიაც“ თან მახლდა. გამთენიისას ტფილისის სადგურში შევედით, აქ კი, მეტი თავდაცვისთვის, ცხენებზე ამხედრებული ათამდე კაზაკი დაგვხვდა. ევროპაში ამგვარი დახვედრა რომ დამემსახურებინა, მეფე ან რესპუბლიკის პრეზიდენტი უნდა ვყოფილიყავი.

კორტეჟი გარს მეხვეოდა. შუაში მომიქციეს. ციხის კედლებში გატარებული შვიდი თვის შემდეგ ჩემ თვალწინ მიმდინარე სპექტაკლით აღტაცებული ვიყავი. საქართველოს დედაქალაქს დილის მზის სხივი ანათებდა და გამჭვირვალობას მატებდა, განსაკუთრებულად დიდებული ატმოსფერო სუფევდა. ჰარმონიული სურათი იხატებოდა. ვეღარც ქუჩებს ვცნობდი, ვერც სახლებს, ვერც მბრწყინავ შუქს. რიტმულად ვმოძრაობდი, ხან – აღამრთზე, ხან – დაღმართზე. თვალებს ხან მარჯვნივ ვაცეცებდი, ხან – მარცხნივ. განსაკუთრებით წინ ვიყურებოდი, რომ ჩემი „საყვარელი მცველები“ არ შემეშფოთებინა. ცვალებადი სურათები მავიწყებდა ჩემი გარემოცვის არსებობას და ზოგჯერ, საკუთარ არსებობასაც კი. ჩემი წარმოსახვა დახეტიალობდა, გული კი, გამალებით მიცემდა. თვალებით საოცარ ყვავილებს ვკრეფდი... სამწუხაროდ, ილუზია დიდხანს არ გაგრძელებულა. ბოლო საფეხურებს ავდიოდით, რამდენიმე წამში ციხეში ვიქნებოდი.

ნუთუ სამუდამოდ დავემშვიდობები ტფილისს, ჩემი ქვეყნის სიამაყეს? ტფილისი, ჩემი საყვარელი ტფილისი, დაე, ყველა დამპყრობლის თარეში ისეთივე ხანმოკლე იყოს, როგორც ჩემი აქ ყოფნა!

როგორი კონტრასტია! ციხის კანცელარიაში მიმიყვანეს. ამაოდ ვეძებდი რაიმე მსგავსებას ქუთაისის ციხესთან. მსუქანი ციხის უფროსის ნაცვლად, აქ ჩონჩხივით კაცი დამხვდა. მისი სახის ძვლები ისე იყო ამოშვერილი, როგორც მუზეუმებში. ტუჩები ისეთი თხელი ჰქონდა, მის მიღმა კბილები უჩანდა, მზერა კი – უძრავი. მიუხედავად ყველაფრისა, მოძრაობს და საუბრობს კიდეც, თუმცა მისი ხმა მეტალისებურია. ეს გახლდათ რუსი ბორისოვსკი.

საკანი N8, თქვა მან და თავის მოადგილეს გადამაბარა.

ეს უკანასკნელი ბადრაგის უფროსად ითვლებოდა. მან ციხის პირველ სართულზე მიმაცილა. ცრუმორწმუნე არ ვიყავი, მაგრამ მაინც ყურადღება მივაქციე ამ უცნაურ დამთხვევას. „იღბალია, თუ ფატალური ნიშანი?“ ქუთაისის ციხეშიც პირველ სართულზე ვიყავი, N8 საკანში, ექვს თვეზე მეტხანს.

* * *

ამხანაგებმა გულთბილი დახვედრა მომიწყვეს. მათ შორის ბევრი ნაცნობი იყო, რამდენიმე მეგობარიც. თუმცა, თითქოს, ყველა პოლიტმატიმარს ვიცნობდი. ისინი ინტლექტუალურ და მუშათა წრის ელიტას წარმოადგენდნენ. მრავალი მენშევიკის გვერდით იყო ერთადერთი ბოლშევიკი, ოთაროვი, ნამდვილი გვარით – ბოჭორიშვილი. ოთაროვი ყალბი პასპორტის მონაცემებიდან შერჩა. ჩვენი გაცნობისას ჯერ კიდევ ჰქონდა გაქცევის მცდელობისას მიღებული იარები.

თავადები კოტე ანდრონიკაშვილი[1] და მაჩაბელი[2] გამორჩეული ინტელექტისა და შარმის ადამიანები იყვნენ. მაჩაბელი იყო შავგვრემანი, არც ისე ახოვანი, თუმცა, ძალიან ძლიერი, საოცარი ფიზიკური ძალა ჰქონდა (პატიმართა მრავალრიცხოვანი ჯგუფი ერთიანი ძალებით ცდილობდა მასთან დაჭიდებას, თუმცა ადგლიდანაც ვერ ძრავდნენ). ანდრონიკაშვილი საშუალოზე ოდნავ მაღალი იყო, ფერმკრთალი და გამხდარი, ინტელექტუალი, განათლებული, ასევე, კარგი ტაქტიკოსი. ორი წლის შემდეგ ციმბირში გადაასახლეს, უვადოდ, ყველა უფლების ჩამორთმევით. 1913 წელს გაქცევა მოახერხა და 1916 წ. ბერნში შევხვდი, მის გრაციოზულ მეუღლესთან ერთად. 1917 წლის რევოლუციისას საქართველოში დაბრუნდა და დამოუკიდებლობის პერიოდში მნიშვნელოვან როლს

---

[1] კონსტანტინე ანდრონიკაშვილი (1876-?) – ქართველი პოლიტიკოსი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, 1921 წლის ოკუპაციის შემდგომ საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრი (რედ.).

[2] გიორგი მაჩაბელი (1879-1918) – ქართველი სოციალ-დემოკრატი და რევოლუციონერი, მონაწილეობდა 1905 წლის რევოლუციაში, 1917 წლის შემდეგ მაჩაბელი აქტიურად ჩაება ქართულ პოლიტიკაში. 1918 წლის მარტში გორის მაზრაში ბოლშევიკური აჯანყების დროს, მაჩაბელი შუამავლობდა მოლაპარაკებას ბოლშევიკებსა და ქართველ სოციალ-დემოკრატებს შორის, თუმცა უშედეგოდ, რადგან ბოლშევიკებმა მოკლეს (რედ.).

ასრულებდა. 1924 წლის აჯანყებისას ანდრონიკაშვილი მოძრაობის სათავეში იყო. ის „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ (რომელსაც მეთაურობდა) სხვა წევრებთან ერთად შეიპყრეს. 1925 წელს სასამართლოს წინაშე წარსდგა. ჩვენების მიცემისას ეროვნული აჯანყების შემაძრწუნებელი მიზეზები აღწერა, რასაც ოკუპანტების ზეწოლა და სისხლისმღვრელი შევიწროვება იწვევდა. „ფიზიკურად გვაჯობეთ, მაგრამ მორალურად ჩვენ ვართ გამარჯვებულები!“ – განაცხადა სასამართლოზე.

გამოჩენილმა ღირსებამ და სიმამაცემ შთაბეჭდილება მოახდინა მოსამართლეებზე და სიკვდილით დასჯა არ მიუსაჯეს.

მესამე გამორჩეული პირი იყო ლადო დარჩიაშვილი,[1] ქართველი პუბლიცისტი, ევროპული კულტურის მატარებელი. კიდევ გამოვარჩევდი ერთ სომეხს და სამ რუსს: მასალკინი, ბრეხნიჩევი, სუვაროვა და ქარაჯიანი. პირველი მათგანი ცნობილი იურისტი იყო, სოციალ-დემოკრატი, ჩვენი პარტიის წევრი. მეორე – ახალგაზრდა მღვდელი, ერუდირებული, კარგად აღზრდილი, დახვეწილი (რაც დიდი იშვიათობა იყო რუსულ ეკლესიაში). მღვდლის ჭილობს ელეგანტურად ატარებდა, კისერზე დიდი ჯვარი ეკიდა, მაღალი, შავგვრემანი, მოწესრიგებული, შავი წვერით, გამოკვეთილი, მოციმციმე თვალებით. ბრეხნიჩევი ენაწყლიანი ადამიანი იყო. თუმცა ხელისუფლების თვალში სწორედ ეს იყო მისი დიდი ნაკლი. როგორც რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენლის მხრიდან, მისი „დანაშაული“ იყო ქართველ მართლმადიდებლებთან კარგი ურთიერთობის დამყარება. მისი წინამორბედები მკაცრად იცავდნენ ცარისტული პოლიციის მითითებას, სიძულვილი გაეღვივებინათ ადგილობრივ და მათთვის უცხო ხალხს შორის, შეექმნათ დამსმენელთა ჯგუფი, მათი საქმიანობისთვის თვალყური ედევნებინათ.

ქალბატონი სუვაროვა რუსი გენერლის, სუვაროვის შვილთაშვილი იყო. საშუალო ტანის, ძალიან გამხდარი, ქერა, სწრაფი და მშრალი საუბარი იცოდა, რუსეთის სოციალ-რევოლუციონერთა პარტიის წევრი გახლდათ. ჩვენგან განსხვავებით, მხარს უჭერდა „პირდაპირ ქმედებებს“ (ტერორის გზას) ცარისტული მოხელეების მიმართ. ჩვენ ამაოდ ვსაუბრობდით მასთან და ვცდილობდით,

---

[1] ვლადიმერ დარჩიაშვილი (1872-1916) – ქართველი სოციალ-დემოკრატი, პუბლიცისტი და მემარცხენე მოაზროვნე, აქტიურად თანამშრომლობდა გაზეთ „კვალთან“. მისი ხედვები ნაციონალურ საკითხთან დაკავშირებით ხშირ შემთხვევაში არ ემთხვეოდა პარტიის ოფიციალურ პოზიციას (რედ.).

მისი პარტიის არასწორი ხედვის ახსნას. დასახელებული მეოთხე პირი სომხეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის (ჩვენთან აფილირებული) წევრი იყო; დაბალი ტანის, მრგვალი სახის, პატარა, აპრეხილი ცხვირით, მშვიდი იერის ადამიანი; ნელა საუბრობდა. განათლება ჟენევაში მიიღო. დაკავებისას ტფილისში არსებული სომხური ბანკის დირექტორის პოსტი ეკავა.

მასალკინმა, როგორც კარგმა ადვოკატმა, თავი გაითავისუფლა. ბრეხნიჩევი სამარაში გადაასახლეს, იქ კი კვლავ იყო ხელისუფლების სასტიკი რეპრესიების სამიზნე. საბოლოოდ თვითმკვლელობამდე მიიყვანეს, თავი ვოლგაში დაიხრჩო. ქ-ნი სუვაროვა ციმბირში გადაასახლეს. ჩვენ ერთმანეთს ტარაში შევხვდით; იქიდან სამი კვირის თავზე გაიქცა, რათა რუსეთში საქმიანობას დაბრუნებოდა. სამშობლოში ჩამოახრჩეს. ქარაჯიანსაც ციმბირში გადასახლება მიუსაჯეს, თუმცა მოახერხა და უცხოეთში გადასახლების მოთხოვნა დააკმაყოფილებინა. 1917 წლის რევოლუციამდე ჟენევაში ცხოვრობდა, შემდეგ კი ტფილისში დაბრუნდა[1].

პოლიტმატიმართა შორის დიდი სიხარული გამოიწვია ანდრონიკაშვილისა და მაჩაბელის მიერ მოპოვებულმა სიახლეებმა, რომლის თანახმადაც, კავკასიაში წარმოდგენილი რუსული ხელისუფლება, განსაკუთრებით კი, გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი ძალიან შეწუხებულები იყვნენ, ფაქტით, რომ სანქტ-პეტერბურგში დუმის დაშლას ყველა კავკასიელი წევრი ეწინააღმდეგებოდა[2]. რა თქმა უნდა, სწორედ ჩვენმა დეპუტაციამ შესთავაზა დუმას ვიბორგში წასვლა. ჟორდანიამ, მილუკოვთან (ის ჯერ არ იყო დეპუტატი, ის გახლდათ პარტიის უმცროსი წევრი, რომელიც დიდი უპირატესობით შევიდა პირველ რუსულ პარლამენტში) ერთად, შეადგინა მიმართვა მეფის ქმედებების საპროტესტოდ განწყობილ რუსი ხალხისთვის. ისინი მოუწოდებდნენ მოსახლეობას, უარი ეთქვათ გადასახადების გადახდაზე. აღნიშნული მიმართვის (ცნობილი, როგორც „ვიბურგის მანიფესტი“) ხელმომწერი ყველა დეპუტატი, მურუმცევის თავმჯდომარეობით, შეიპყრეს, მიესაჯათ ხუთთვიანი იზოლაცია, ყველა სამოქალაქო უფლების ჩამორთმევით. მათ შორის იყო რამიშვილიც. მხოლოდ ჟორდანიამ შეძლო თავის გადა-

---

[1] ჟენევაში ქარაჯანიანმა 1909 და 1916 წლებში ორი წიგნი გამოაქვეყნა, „რევოლუციური მოძრაობა კავკასიაში“ და „მსოფლიო ომი“ (ხ.შავიშვილი).

[2] პირველი დუმის არჩევნები თანადროული არ იყო. კავკასიასა და ციმბირში არჩევნები დუმის გახსნიდან სამი თვის შემდეგ გაიმართა. ადვილი მისახვედრია, თუ რა დიდი გაოცება გამოიწვია დუმის წევრთა მიერ ამ რამდენიმე კვირაში მოპოვებულმა გავლენებმა (ხ.შავიშვილი).

რჩენა და წელიწადნახევარი ფარულად აგრძელებდა საქმიანობას. მისი პროცესი ცალკე გაიმართა, 1908 წელს.

* * *

მეტეხი ციხესიმაგრე გახლდათ. შუა საუკუნეებში აშენდა საქართველოს მეფეთათვის. მიუხდავად თანამედროვე ჩარევებისა, მაინც ინარჩეუნებს გამორჩეულ სტილს. დღესაც „მეტეხის ციხეს“ უწოდებენ. წარსულის დიდების ნაკვალევი ჯერაც არ გამქრალა მისი კედლებიდან, თუ ეზოდან. მდებარეობს მტკვრის ნაპირზე, შემაღლებულ ადგილზე და ზოგჯერ ჩვენი საკნებიდან მდინარეში მობანავე ხალხს ვხედავდით. ციხესიმაგრის ეზო არასდროს ყოფილა გათვილილი საპყრობილესთვის, მაგრამ დამპყრობლებმა ქვეყნის წაბილწვისთვის ეს ადგილი განზრახ აირჩიეს. ძველი, ლამაზი ბაღის ნაცვლად აფთიაქი და სამედიცინო პუნქტი ააშენეს, შესასვლელში კი ციხესიმაგრემდე მისასვლელის ნაცვლად, ე.წ. ახალი შენობა დადგეს. სწორედ ეს შენობა ფარავს ციხესიმაგრის ყოფილ შესასვლელსა და ფასადს.

ეს სამი ნაწილი (ძველი ციხესიმაგრე, საავადმყოფო და „ახალი შენობა“) ერთმანეთისგან შესასვლელებით გამოიყოფოდა, თითოეულს თავისი ზედამხედველი აკონტროლებდა. პოლიტპატიმრებს ზოგჯერ აღნიშნულ შენობებში გადაადგილების ინდივიდუალური უფლება ეძლეოდათ. საპყრობილის მეოთხე ნაწილი საერთო უფლებების პატიმრებს ეთმობოდა. მათთან საზიაროდ გვქონდა ეზო. მათი შენობა სამ, თუ ოთხსართულიანი იყო, კანცელარიის თავზე, ზუსტად ჩვენი შენობის მოპირდაპირედ.

იქ კრიმინალური სამყარო იმყოფებოდა. მათ განსაკუთრებული, ოკულტური წესრიგი, საკუთარი მორალი და დისციპლინა ჰქონდათ დამყარებული, ჰყავდათ ერთი მთავარი, რომელსაც ყველა ემორჩილებოდა. აღნიშნული სტატუსი კი მას ენიჭებოდა, ვისაც უფრო მეტი და სასტიკი დანაშაული ჰქონდა ჩადენილი. ამ კრიმინალთა უმეტესობა რუსი იყო, ისინი მთელი იმპერიის ტერიტორიაზე იყვნენ მიმოფანტულნი.

მათ ძალიან დიდი გამოციდლება ჰქონდათ. ადამიანურ ბუნებასაც კარგად იცნობდნენ. მათი მოსმენისას გვეგონა, დოსტოევსკის ვუსმენდით (აღსანიშნავია, რომ მანაც სწორედ ციხეში, კრიმინალებთან გატარებული ბევრი წლის შემდეგ შეიცნო მათი ფსიქოლოგია).

გვერდით შენობაში მყოფი დამნაშავეები დიდ პატივს გვცემდნენ და დარწმუნებულები იყვნენ, არ ვუღალატებდით, ამიტომ იმდენად გვენდობოდნენ, ყველაფერს გვიზიარებდნენ, ერთგვარ „აღსარებასაც“ კი გვაბარებდნენ. ზოგიერთი ამბის მოსმენაც კი არ შემეძლო, იმდენად შემზარავი იყო, თუმცა ამხანაგები მაინც მაცნობდნენ მათ.

მათი უფროსი, დაბადებით მკვლელი იყო, თუ შეიძლება ასე ითქვას. მის ანგარიშზე არსებულ უამრავ მძიმე მკვლელობას 23 ისეთი შემთხვევაც ემატებოდა, რომელიც 10 კაპიკისთვის შეასრულა და მათი დამტკიცება საბოლოოდ მაინც ვერ შეძლეს. თვეების განმავლობაში ღამით დიდ ოპერაციას ასრულებდა, მესამე სართულის სარკმლიდან ძვრებოდა, მეორე სართულის კარს აღებდა, იქიდან კანცელარიის დარბაზში ჩადიოდა, სალაროს ხსნიდა და იქ შენახული 150-200 რუბლიდან 10-20 რუბლს იღებდა, შემდეგ უკან ბრუნდებოდა. არასდროს ჩავარდნია ხელში ზედამხედველებს. კითხვაზე, თუ რატომ არ წამოიღო თანხა სრულად, პასუხობდა: „სრულად რომ ამეღო, თანხა აღარ დარჩებოდა და შემოსავლის წყაროს დავკარგავდი“.

ერთ დღეს სამედიცინო პუნქტში წასვლის უფლება მოვიპოვე. ანდრონიკაშვილმა მთხოვა, ათ-ათი რუბლი დამერიგებინა ცხრა ამხანაგისთვის. რაკი ეს მისია დამეკისრა, საქმე ისე უნდა გამეკეთებინა, რომ ბადრაგის ყურადღება არ მიმექცია. წინასწარ მოვემზადე, ფული წვრილად დავახვიე, სიგარეტებივით და ისე ჩავილაგე ჯიბეში, რომ დანიშნულ დროს სწრაფად გადამეცა კონკრეტული პირისთვის. ორი ამხანაგი საავადმყოფოს სივრცეში არ დამხვდა, ამიტომ მათი წილი თანხა დამრჩა. უკან დაბრუნებულმა აღმოვაჩინე, რომ ეს თანხა ჯიბეში აღარ მედო. ძალიან შევწუხდი და ეს ამბავი რამდენიმე ამხანაგს მოვუყევი.

ორი კვირის შემდეგ იგივე მისია დამეკისრა. მაშინ თანხა სრულად დავარიგე. როდესაც საკანში დავბრუნდი, ვნახე, რომ წინა ჯერზე დაკარგული 20 რუბლი ადგილზე იყო. როგორც შევიტყვე, თანხა კრიმინალების „უფროსის“ ბრძანებით დააბრუნეს.

* * *

ციხეში ჩემი მისვლის შემდეგ პოლიტმატიმრებსა და ადმინისტრაციას შორის დაპირისპირება გამწვავდა. სიტუაცია უფრო გართულდა მას შემდეგ, რაც საკვებში მატლები აღმოაჩინეს. ან-

დრონიკაშვილმა სათათბიროდ მიგვიწვია N5 ოთახში (ყველაზე დიდი სივრცე იყო ციხესიმაგრეში). კრება გახსნა იმ ინფორმაციით, რომ მე იქ ვიმყოფებოდი, დიდი გამოცდილება მქონდა და ამით უნდა ესარგებლათ. კრების თავმჯდომარეს ვთხოვე, ჯერ სხვებისთვის მიეცა აზრის გამოთქმის საშუალება. გაირკვა, რომ მათი იდეები საქმეს ვერ მოაგვარებდა. თავმჯდომარემ კვლავ მე მომმართა. როგორც კი საუბარი დავიწყე, სიჩუმემ მოიცვა დარბაზი. ეს კატასტროფა იყო... ფსიქოლოგიურად მაინც რთული იყო ისეთი ადამიანისთვის, ვინც განუზომელ უბედურებას განიცდის. ეს გრძნობა შეიძლება შევადარო უნივერსიტეტის გამოცდაზე გასული ადამიანის მდგომარეობას, რომელიც უეცრად გრძნობს, რომ სულ მარტო დატოვეს.

პირველი შოკი მაშინ დამეუფლა, როდესაც ვიგრძენი, რომ ისეთივე დიდი ინტერსით აღარ მისმენდნენ. თავზარს მცემდა იმის გააზრება, რომ ჩემი სიტყვები ლოგიკურ ბმაში არ იყო. ეს აზრები კი კიდევ უფრო მირევდა გონებას. ეჭვგარეშეა, ეს შიმშილობის შედეგი იყო. მეორე დღეს ექიმმა დამამშვიდებლები გამომიწერა.

კრების შედეგად გადაწყდა ბრძოლა და შემუშავდა მოთხოვნები, რომელზეც ადმინისტრაციამ უარი განაცხადა. ჩვენ ისინი აუცილებლად უნდა დაგვეთანხმებინა, მაგრამ ამისთვის შიმშილობა არ გამოგვიყენებია, როგორც ქუთაისში, აქ საშუალება გვქონდა, ციხესიმაგრის მდებარეობით გვესარგებლა. საკნების სარკმლების რკინებზე ბრახუნით ისეთ ექოს გამოვიწვევდით, რომ მთელი ქალაქი გაიგებდა. ასევე, ზოგი სარკმელებიდან იყვირებდა კიდეც. ჩვენს გასაჩუმებლად ეზოში რაზმებს გამოიძახებდნენ და ციხის მიმართულებით სროლას უბრძანებდნენ, რის შედეგადაც იქნებოდნენ გარდაცვლილებიც და დაშავებულებიც. შემდეგ კი ჯარისკაცებს ჩააყენებდნენ დერეფნებში...

და მიუხედავად ამისა, ხელისუფლება იძულებული იქნებოდა მოთხოვნებს დათანხმებოდა. განსაკუთრებით კი, სამზარეულოს კონტროლის უფლებას მოგვცემდა. ჩვენი მზარეული გვეყოლებოდა და სადილს სურვლისამებრ შევუკვეთავდით.

ამგვარად, ორი მძიმე კვირა გავიდა. შემდეგ უეცრად შევიტყვეთ, რომ რამდენიმე საუკეთესო ამხანაგი, მათ შორის, თავადი ანდრონიკაშვილი და მაჩაბელი ციხიდან გაიყვანეს, მაგრამ რა ბედი ეწიათ, არ ვიცოდით.

ამ პერიოდში მკურნალობის კურსს გავდიოდი. ერთ დღეს ჩემი ექიმის ნაცვლად, ექიმი მიხაილოვსკი მოვიდა. პირველი, რამაც

გამაკვირვა ის იყო, რომ საკანში მომაკითხა. ეს არასდროს მომ-ხდარა. დიდხანს მსინჯავდა, გადაწყვიტა, რომ ნერვები ძალიან ცუდ მდგომარეობაში მაქვს და დიდი დოზის დამამშვიდებელი გა-მომიწერა. ამის შემდეგ ხშირად მოდიოდა. ყოველ მოსვლაზე დო-ზას უმატებდა და სამი კვირის თავზე დღეში თორმეტ ფლაკონზე ავიდა. მაქსიმალური დოზის შემდეგ, ძალიან „თავაზიანად“ გამო-ცხადდა და მის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ნახა, რომ პაციენტი ცოცხალიც იყო და მეტიც, მის ნერვულ სისტემასაც არაფერი დაშავებია ამ „სანუკვარი სითხის“ ამგვარი დოზების გა-მოწერის შემდეგ. საბრალო ნარკოტიკის დამრიგებელი, ვერ გათ-ვალა, რომ ცხენის წყალთან მიყვანა შეიძლება, მაგრამ დალევას ვერ აიძულებ![1]

კიდევ ერთხელ გამომიკვლია და კანცელარიას განუცხადა, რომ მკურნალობა დაასრულა.

იმავე დღეს, 15:00-ზე (ეს ვიზიტების დრო იყო) ბადრაგმა დაიძა-ხა: „შავიშვილი, ვიზიტების დარბაზში!“ არც გავნძრეულვარ, რაკი არავისი მესმოდა. მაშინ საკანში შემოცვივდნენ, მითხრეს, რომ „მართლაც“ მოსულები არიან ჩემს სანახავად. ეზოში ჩავედი და მარცხნივ, შეხვედრების ოთახისკენ გავემართე. გზა გადამიღო-ბეს და მარჯვნივ მიბიძგეს, სადაც სამასამდე პატიმარი იყო თა-ვმოყრილი ეშელონით დეპორტაციისთვის იყვნენ გამზადებულნი. გარს შემოჯარვოდათ დაცვა, რომელთაც უნდა წაეყვანათ.

იქ მიმიყვანეს და მითხრეს, რომ მეც უნდა წავსულიყავი. პი-რადი ნივთები გამოეტანათ საკნიდან (ფეხსაცმლიც კი არ მეცვა, ფაჩუჩებში ვიყავი). ექიმი მიხაილოვსკის ქცევით აღშფოთებული, ამ ხრიკების წინაშე ავმბოხდი და უარი ვთქვი დამორჩილებაზე. ბადრაგმა ხელი მკრა, მიწაზე დავეცი. ჯარისკაცებმა ჩემი შეპყრო-ბის ბრძანება მიიღეს. ცდილობენ, წამომაყენონ, მაგრამ მე არ ვი-ნძრევი. მომიახლოვდნენ და იარაღით დამემუქრნენ. მცველების მეთაურმა მოთმინება დაკარგა. იმის შიშით, რომ სადგურში არ და-გვიანებოდათ, ჩემი სიიდან ამოღების ბრძანება გასცა.

ჩემ გარეშე გაემგზავრნენ. ავდექი და საკანში დავბრუნდი, ჩემი ნივთები უყურადღებოდ დავტოვე. ერთადერთი კითხვა მაწუხებ-და, ახლა რა გამოიგონეს?

---

[1] როგორც კი მივხვდი ექიმი მიხაილოვსკის ჩანაფიქრს, ყოველ საათში ვღვრიდი გამოწერილ დოზას. ციმბირში ყოფნისას გავიგე, რომ 1907 წელს მოკლეს, როდესაც საავადმყოფოში პაციენტთა „გამოჯანმრთე-ლებით“ იყო დაკავებული (ხ.შავიშვილი).

რკინის საწოლზე დავწექი და ჭერს ვუყურებდი. საწოლი საკნის ბოლოში იდგა. საკანი სამჯერ უფრო დიდი იყო, ვიდრე ქუთაისში. იქ სამნი ვიყავით, აქ კი მარტო ვარ. გადავწყვიტე, დამესვენა. ერთი საათი გავიდა. დერეფნიდან ნაბიჯების ხმა მომესმა და ჩემს საკანთან გაჩერდა. ამხანაგები არ იყვნენ, ისინი პირდაპირ შემოვიდოდნენ, ესენი კი კართან გაჩერდნენ და რუსულად ლაპარაკობდნენ. ბევრნი იყვნენ. ვინ უნდა იყვნენ? თუ ჩემს საძებნელად იყვნენ, რატომ არ შემოდიან? თუ არა, მაშინ აქ რა უნდათ? კარი იხსნება. ციხის უფროსის მოადგილე შემოდის, თან ახლავს ოთხი ჯარისკაცი, თოფებითა და ხიშტებით. ოთახი გადმოჭრეს, მომიახლოვდნენ და ადგომა და მათთან ერთად წასვლა მიბრძანეს. არც გავნძრეულვარ, ვკითხე, სად აპირებდნენ ჩემს წაყვანას. ციხის უფროსის მოადგილემ მიპასუხა, რომ არ იცოდა. მაშინ ბრძანებას არ დავემორჩილე. მომიახლოვდა, ჯარისკაცებიც მოყვნენ, დაიხარა და დაჟინებით მთხოვა, ავმდგარიყავი, თან დააყოლა „ჩემო ძვირაფასო“.

ციხის ზედამხედველისგან ასეთი სიტყვებით შეურაცხყოფილი წამოვხტი და მარჯვენა ხელი ავწიე, მისთვის უნდა გამერტყა. მან ხელი წამოავლო ხმალს და უკან დაიხია ისე სწრაფად, რომ ხელი ვერ მივაწვდინე. მისკენ გავიწიე, მაგრამ უკან-უკან იხევდა და ჯარისკაცებიც მიჰყვებოდნენ. მეც ფეხდაფეხ მივსდევდი. უკვე ზღურბლზე იდგა და როდესაც ვიფიქრე, რომ ახლა კი ნამდვილად მივწვდებოდი, დაიყვირა, „აი, თქვენი მეტრიც მოვიდა!“ პატივისცემით მიესალმა. ვიფიქრე, ეს თეატრალური ჟესტი რაღაც ფარსი იყო და კიდევ უფრო გავცოფდი. თუმცა ინსტიქტურად, მეც მივიხედე და დავინახე, ორ მცველს ახალი პატიმარი მოჰყავდა ჩემი საკნისკენ. სილიბისტრო ჯიბლაძე, საუკეთესო ორატორი, რევოლუციის პერიოდში გამორჩეული პიროვნება, რომლის მოსასმენადაც ტფილისში მყოფი რუსი მოხელეები, გადაცმულები, მოდიოდნენ. ციხის უფროსის მოადგილე ნამდვილად ერთ-ერთი მათგანი იქნებოდა.

სილიბისტროს მეგობრულად სილიას ვეძახდით. საშუალოზე მაღალი იყო, ლამაზად მოვლილი, ჭაღარაშეპარული შავი წვერით, ფართო შუბლით. სასიამოვნო ხმა მეტ დამაჯრებლობას ანიჭებდა მის სიტყვებს. თვალები ექსპრესიული და მშვიდი ჰქონდა, მისგან იდეალიზმის ერთგულება გამოსჭვიოდა.

მზერა ჩემკენ ჰქონდა მოპყრობილი. სირცხვილით დავიწვი, ასეთმა პატივცემულმა ადამიანმა ამ მდგომარეობაში რომ მიხილა. შეძრწუნებულმა სილიამ შთამბეჭდავი სიტყვებით მომმართა,

მათ საოცარი გავლენა მოახდინეს ჩემზე და ზედამხედველზეც, რომელსაც ქართული არ ესმოდა. ისე დამელაპარაკა, როგორც დედა დაელაპარაკებოდა პატარა შვილს, რომელიც ფაიფურის ნივთის დამტვრევას აპირებს. მომიწოდა, ძალები შემომენახა, „რაც ძალიან დაგვჭირდებოდა“.

მისგან კარგი რჩევების მოსმენის შემდეგ, ცოტა ხნით დავეთხოვე, მამასავით გადამეხვია. საკანი დავუთმე და ციხის უფროსის მოადგილესა და ოთხ ჯარისკაცს გავყევი უცნობი მიმართულებით.



მეტეხის ციხე

თავი VI

ტფილისის დეპარტამენტის ციხეები

ციხის უფროსი ბორისოვსკი ეზოში, ფურგონთან ახლოს იდგა, როდესაც გამიყვანეს. მისი მოადგილე სწრაფად გაგვშორდა. ზიზღნარევი ჟესტით ითხოვა ჩემი დოსიე. შემდეგ თავისი გამყინავი ხმით უბრძანა ბადრაგის უფროსს: „წაიყვანეთ!“ ჩაბნლებულ ფურგონში ჩამსვეს, ოთხი ჯარისკაცის ესკორტითა და უნტერ-ოფიცრის მეთაურობით.

ბუნდოვნად მესმოდა რამდენიმე ადამიანის ხმა. მანქანა დაიძარა, მე კი თვალიც ვერ შევავლე ეზოს, რომელიც ასე ახლობელი გახდა ჩემთვის. ვტოვებდი ამხანაგებს, ძვირფას მეგობრებს, რომელნიც ასე გულთბილად მეპყრობოდნენ. ისე წამიყვანეს, ვერც კი დავემშვიდობე, ვერ ვუთხარი ქართული, ტრადიციული „გამარჯვებით!“ ან „ნახვამდის!“, მომავალი შეხვედრის იმედით.

ციხესიმაგრის დატოვებისას დაღმართს შევავლე თვალი. შემდეგ ისე გვარხევდა მანქანა, ხან ერთ მხარეს მახეთქებდა, ხან – მეორე. ვერ ვხვდებოდი, ასეთი ცუდი გზა რატომ შეარჩიეს. დიდი გზა იყო და ჩემი წარმოსახვა მუშაობდა. უეცრად შევჩერდით. გასაღებების ხმა შემომესმა. ისევ დავიძარით, ისეთივე რხევით. საბოლოოდ გავჩერდით და გადმომიყვანეს. ჯარისკაცებს დერეფანი შეექმნათ. მათ შორის გავიარე და პატარა სახლის ბიუროში შევედი. თავად სახლსაც მაღალი გალავანი ერტყა. ციხეს არ ჰგავდა, სად განმამწესებენ? რა მელის? ბიუროში ყველა ფეხზე იდგა, მკაცრი და საქმიანი სახეები ჰქონდათ, თუმცა, სინამდვილეში, უსაქმოდ იყვნენ. აქაურობა არაფრით ჰგავდა მეტეხის ან ქუთაისის ციხის კანცელარიებს. უამრავი ადამიანი იყო. დიდი ალბათობით, რუსულ ავტოკრატიას თავისი ადმინისტრაციული ხელოვნების წარმოდგენა სურდა. მეც ფეხზე ვიყავი, გარს მეხვივნენ ჩემი ჯარისკაცები. ვუყურებდი და ვფიქრობდი: „საწყალი ხალხი, როგორი დაღლილი სახეები აქვთ, არავინ შემხვდა, თან ჩემი დატოვებაც არ შეეძლოთ!“

უეცრად გაისმა ხმა: „შავიშვილი!“ ყველანი სწრაფად გაიწივნენ. მაგიდასთან სამხედრო ფორმასა და დეკორაციაში გამოწყობილი კაცი იჯდა, სამი ადიუტანტით. სათვალე გაისწორა და ჩემი განადგურების სურვილით შეპყრობილი მზერით შემომხედა. „თქვენი გვარი? – თქვენ ის ახლახანს წარმოთქვით“. ამ პასუხმა გააბრაზა. ასისტენტებს მიმართა: „პასუხის გაცემა არ შეუძლია!“ შემდეგ გაგრძელა ჩემი გამოკითხვა: „ვინ არის მამათქვენი?“ პასუხი არ გავეცი. გაცოფდა და გააგრძელა კითხვების სერია, მეკითხებოდა, რა ერქვა დედას, რომელ წელს დაიბადა და ა.შ. რაკი ვერანაირი პასუხი ვერ მიიღო, შეურაცხმყოფელი რეპლიკები ისროლა და დაცვას უბრძანა, ციხეში წავეყვანე, „საკანი N9!“ სამი შეიარაღებული ტიპი დამესხა თავს. იქ მყოფი ხალხი კი გაიფანტა.

ეზო ფერდობზე იყო შეფენილი. ასვლისას ერთ კარიბჭესთან შევჩერდით, რომელსაც ორი ჯარისკაცი იცავდა. სამჯერ მკვეთრად დარეკეს ზარი და კარი გაიხსნა. მეორე ეზოში შევედით. გალავანი სახლზე მაღალი იყო. ამჯერად ციხეში მოვედით. ჩემს ახალ „საცხოვრებელს“ უცნაური იერი ჰქონდა, პირველი სართული მიწიდან შემაღლებულზე იყო და შესვლისას რამდენიმე საფეხურით ჩავედით. მთელ შენობაში მხოლოდ ორი დიდი ოთახი იყო, სავსე პოლიტმატიმრებით. როგორც კი ბადრაგი გავიდა და კარი გადაკეტა, ყველანი შემომეხვივნენ და კითხვებით მომმართეს. როცა გაიგეს, რომ აქამდე არაფერი მქონდა ნაჭამი (სადილის დროც კი გადასული იყო, როდესაც ბიუროში ჩემი შეხვედრა და დაკითხვა დაიწყეს), თითოეული საკვების მარაგებისკენ გაიქცა. თუმცა იმდენად დაღლილი ვიყავი, ყველაფერზე უარი ვუთხარი.

ჩემთვის უცნობი ამხანაგების მხრიდან ასეთმა თბილმა დახვედრამ ძალები შემმატა. ღამე დადებითად დაიწყო.

* * *

შეხვედრის ეიფორიამ გადაიარა. ერთი ასაკოვანი კაცი, შესახედად ძლიერი, მელოტი, კოჭლი, გამორჩეული ნაკვთებით, ულვაშითა და თეთრი წვერით, ეროვნულ სამოსში გამოწყობილი, მომიახლოვდა:

– ხარიტონი არ ხარ, როსტომ შავიშვილის შვილი?

– დიახ, მაგრამ...

– ვერ მიცანი? შენი მეზობელი ვარ, თავადი სამუელ ნაკაშიძე, მამაშენის მეგობარი! კარგი, არ აქვს მნიშვნელობა. ალბათ, ვერც

მე გიცნობდი, შენი მეგობრებისა და ძმისგან შენ საქმიანობაზე ინ-ფორმაციები რომ არ მქონოდა. მას მერე, რაც შენი გვარი გავიგე, მოუთმენლად გელი. გულში ჩამწვდომი ამბავია, მით უფრო ისეთი დამთხვევების გამო, რაც სპექტაკლივით აწყობილი ჩანდა.

უეცრად გაჩუმდა. ერთი სული მქონდა გამეგო, რა „გულში ჩა-მწვდომ ამბებს“ გულისხმობდა, რომელ მეგობრებზე საუბრობდა, მე ხომ აქ მეგობრები არ მყავდა. ჩემს ძმას აქ რა უნდოდა? რაღაც საეჭვოდ გამოიყურებოდა. იქნებ, ის თავად იყო „სპექტაკლში“, რომელზეც საუბრობდა? და მაინც...

ფიქრებმა მოიცვა ჩემი ისედაც გადაღლილი გონება. ამოცანის ამოხსნის თავი არ მქონდა. სავარაუდოდ, საუბარი იმიტომ შეწყვი-ტა, რომ ბადრაგის ხმა გაიგო. ამ დროს პატიმრებს უნდა დაეძი-ნათ, ან ყოველ შემთხვევაში, ჩუმად ყოფილიყვნენ. გადავწყვიტე, მასთან ახლოს შემერჩია საწოლი, სადაც ისედაც დაკავებული ჰქონდა ჩემთვის ადგილი. სხვებმაც შემომთავაზეს ადგილები, მა-გრამ რაკი მოხუცს ყველა პატივს სცემდა, მას დაუთმეს. დამპირ-და, რომ „ძალიან საინტერესო“ ამბებს მომიყვებოდა და ბადრაგის თვალის ასახვევად, თავი მოიმძინარა, მეც იგივე მირჩია.

სიტუაციამ ძალიან ამაღელვა, სრულად დაცლილი ვიყავი ენე-რგიისგან, თორემ, ალბათ, დავარტყამდი კიდეც. რა კარგად მო-ვიქეცი, რომ მოვითმინე. რამდენიმე წუთში ბადრაგმა ჩამოიარა, კარის სარკმლიდან შეამოწმა, რომ გვეძინა და წავიდა. გვერდით მყოფს შევეხე, რათა გამეგო, ეძინა, თუ არა. ჩემკენ მოიწია და ჩა-მჩურჩულა: „მოიცადე, ჯერ ისევ კართან არიან. სარკმლის დახუ-რვის შემდეგ ცოტა ხანს ყოვნდებიან, თავს გვაჩვენებენ, რომ წა-ვიდნენ, რათა მოსაუბრეები გამოიჭირონ“.

იმედი დავკარგე, მეგონა, ეს მოლოდინი აღარასდროს დასრუ-ლებოდა. სწორედ ამ დროს, სამუელმა გადმომილაპარაკა:

– იცი, შენი ძმა აქ იყო?

მომეჩვენა, რომ ეს სიტყვები ძილში ჩამესმა და სამუელს კი-თხვები დავაყარე: „რომელი? როდის? სად?“ სევასტიზე გავიფიქრე, რაკი ქუთაისის სადგურში ჩემს სანახავად მოვიდა და კინაღამ მო-კლეს. იქნებ დაიჭირეს ჩემ გამო?

– შენი ძმა, ვანო ორ თვის წინ ბაქოში დაიჭირეს. დამატები-თი დაკითხვისთვის ოზურგეთში გაგზავნეს. აქ კი გუშინ დილით ჩამოიყვანეს, სწორედ ამ ადგილას გაატარა ღამე, სადაც ახლა შენ წეხარ. წესით, ამ ღამესაც აქ უნდა ყოფილიყო და ხვალ გაეყ-ვანათ. თუმცა მის ადგილას შენ ხარ. რა უცნაურია, არა? ეს გაუგე-

ბარი ამბავი შენი შემოსვლის მერე გავიაზრე. შენ შემოსვლამდე ზუსტად ერთი საათით ადრე გაიყვანეს.

– ამგვარად, ოზურგეთში წაიყვანეს?

– არა, ჩემო კარგო, მას ხვალ დილამდე არსად წაიყვანენ. ახლა ის აქვეა, N7 ციხეში, თუმცა მაინც ვერ შეხვდები. მართლაც საწყენია. მთელი ღამე ვსაუბრობდით. ოზურგეთის ციხიდან გაქცევის გეგმა აქვს. დასახმარებლად პატარა წერილი მივეცი ჩემი მეგობარი ერისთავისთვის, გურიის თავად-აზნაურთა წარმომადგენელია და მის დასახმარებლად ყველაფერს გააკეთებს. ციხიდან გაქცევის შემდეგ ცოტა ხანს მიმალვაში იქნება, შემდეგ კი უცხოეთში წასვლამდე, მეტეხის ციხეში მივა, შენ სანახავად. მაგრამ შენ იქ აღარ იქნები!

– საიდან იცოდა, რომ მეტეხის ციხეში ვიყავი?

– არ იცოდა. მე ვუთხარი. ეს კიდევ სხვა ამბავია, ისიც გაგაოცებს და იმედია, სასიამოვნოდ. ვანომ იცოდა, რომ ქუთაისის ციხეში იყავი და გაქცევის შემდეგ, იქ აპირებდა მოსვლას. თუმცა ახლა ძალიან დაღლილი ხარ ყველა ამ ამბის მოსასმენად, მე კი მათ მოსაყოლად. ამ ღამით ცოტა უნდა დაისვენო და დაიძინო.

– სამუელ, აღმომხდა უიმედოდ, არ ვიცი შევძლებდი თუ არა დაძინებას, ჩემს ძმაზე რომ არაფერი გეთქვა, მაგრამ ახლა ნამდვილად ვერ დავიძინებ. ხვალ რასაც მეტყვი, იმას გავაკეთებ, მაგრამ ახლა, გემუდარები, მითხარი, როგორ გაიგე, რომ მეტეხის ციხეში ვიყავი?

– ამ ისტორიის ხვალისთვის გადადება იმიტომ მინდოდა, რომ ზედმეტი ემოციებისგან დამეცავი. ვაღიარებ, ცოტა ეგოისტური მიზეზიც მქონდა. ყველაფერს ახლავე მოგიყვები, მაგრამ ერთი პირობით, დამპირდი, რომ სამი დღე არ დამტოვებ.

– სად უნდა წავიდე? განა ეს ჩემზეა დამოკიდებული – ვკითხე გაოგნებულმა.

მან მომიგო:

– შენი გაოცება გასაგებია. მართლაც, სად უნდა წავიდეთ, როცა ცოცხლად ვართ ამ ციხეში დამარხულები. თუმცა, არის რაღაც, რაც არ იცი. უამრავი რამ მაქვს შენთვის სათქმელი. ეს სამი დღე მართლაც მჭირდება. მაგრამ, როგორც კი შენი მეგობრები გაიგებენ, რომ აქ ხარ, მაშინვე შენ გადაყვანას მოითხოვენ N10 ციხეში, სადაც თავად იმყოფებიან და რაკი ძალიან გავლენიანები არიან, უარს ვერ ეტყვიან.

პირობა დავდე, რომ არსად წავიდოდი. სამუელმა თხრობა დაიწყო. პირველი ისტორია პოლიტიკურ პროცესს შეეხებოდა, რომელსაც შარშან დაესწრო ტფილისში.

„უმძიმესი საქმე იყო. ყველა იურისტის აზრით, მსჯავრდადებულს ან სიკვდილით დასჯას შეუფარდებდნენ, ან სამუდამო იძულებით სამუშაოებს. დამნაშავის წინააღმდეგ ათობით მოწმეს უნდა მიეცა ჩვენება. თავმჯდომარემ ისინი ერთმანეთის მიყოლებით გამოიძახა, თუმცა არც ერთი არ გამოეპასუხა. ის საშინლად განრისხდა და განაცხადა, რომ მოწმეები დამნაშავემ დააშინა, რაც კიდევ უფრო ამძიმებდა მის ისედაც რთულ მდგომარეობას. მაშინ, დარბაზიდან ვიღაც წამოდგა და დაიყვირა: „ბატონო თავმჯდომარევ, თქვენ სიცოცხლე გარანტირებული გაქვთ?“

„სხდომა მაშინვე შეწყდა და სასამართლო დარბაზში მხოლოდ იმისთვის დაბრუნდა, რომ საქმის დახურვის განაჩენი წაეკითხათ. დამნაშავე გახლდათ თავადი მაჩაბელი. როდესაც ვიზიტების დარბაზში მიხმეს, იქ თავად ანდრონიკაშვილს შევხვდი, თქვენ მეგობარს; სწორედ მისგან შევიტყვე თქვენი მეტეხის ციხეში ყოფნის ამბავი“.

* * *

ამგვარად, ანდრონიკაშვილი, მაჩაბელი და მეტეხის ციხიდან მათთან ერთად გამოყვანილები ცოცხლები იყვნენ და მეტიც, ჩემ ახლოს ყოფილან, შეიძლება, შევხვდე კიდეც! ამ სიახლემ სიხარული მომგვარა.

ორი დღის შემდეგ, სეირნობისთვის გამოყოფილი საათისას სადღაც ზეციდან სამჯერ მომესმა ჩემი გვარი, რომელსაც ძალით ამახინჯებდა მაჩაბელი: „შავიშვილია!“ ეს სწორედ მისი სტილი იყო, რომლითაც საიდუმლოდ მაფრთხილებდა ხოლმე. მესამე დღეს, როგორც სამუელმა მიწინასწარმეტყველა, N10 ციხეში გადამიყვანეს, საიდანაც მაჩაბელი მეძახდა. მასზე ამბობდნენ, ჩიტივით ხმა ამოსდისო. როგორც კი გაიგო, რომ იქ ვიყავი, ანდრონიკაშვილმა მაშინვე ითხოვე ჩემი მათთან გადაყვანა.

ეს ციხე ინტელექტუალებს ეთმობოდა. ის უფრო პატარა ჩანდა, ვიდრე ცხრა დანარჩენი. მაგრამ ისეთივე დაბალი იყო, როგორც წინა. მასშიც წყვდიადი და ნესტი სახლობდა. მიუხედავად ყველაფრისა, თავს ბედნიერად ვგრძნობდი მეგობრების წრეში, სადაც უმცროსებს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობათ. ასეთი გარემო ამშვიდებს.

სამწუხაროდ, ბედნიერება არ გრძელდება. მეტეხის ციხიდან მის გადაყვანამდე რამდენიმე დღით ადრე, დის დახმარებით, ბიძაშვილს, ლუარსაბ ანდრონიკაშვილს, სანკტ-პეტერბურგის შვიდი გამორჩეული ადვოკატიდან ერთ-ერთს, გაუგზავნა დეპეშა, სადაც სთხოვდა, სასწრაფოდ გადაედგა ნაბიჯები ჩემს სასიკეთოდ სტოლიპინის წინაშე. მან გამოსცა პრემიერ-მინისტრის ცირკულარი, რომლის თანახმადაც, ახალგაზრდა პატიმრები, რომელთა წინააღმდეგ სარჩელი არ არსებობდა, უცხოეთში გაეგზავნათ სწავლის გასაგრძელებლად. სტოლიპინის ამგვარი ლიბერალობა ორ მიზანს ემსახურებოდა: ერთი მხრივ, ზეგადატვირთული ციხეების სიტუაცია შემსუბუქდებოდა და მეორე მხრივ, სახელმწიფო ბიუჯეტიც ნაკლებ ხარჯს გაიღებდა, ახალგაზრდები კი სწავლას დაასრულებდნენ. ამგვარად, ეს იქნებოდა ერთგვარი „გასახლება“ (ორი, სამი ან ოთხი წლით) და არა, ციმბრიში გადასახლება. ასეთი შემწყნარებლური პოლიტიკის გამოცდილება არსებობდა, თუმცა განსაკუთრებულ შემთხვევებში. მე ამაზე უარი მეთქვა ქუთაისშიც და ტფილისშიც. ამიტომაც გაჩნდა იდეა გავლენიანი ადვოკატი ჩარეულიყო პირდაპირ სტოლიპინთან.

მეგობრები შედეგში დარწმუნებულები იყვნენ. მათ განწყობას აძლიერებდა მეტეხის ციხიდან ციმბირში ჩემს გადასახლებაზე საბოლოო უარი. წინა დღითაც ანდრონიკაშვილმა კიდევ ერთხელ სთხოვა დას, ბიძაშვილისთვის საქმე შეეხსენებინა და ეთხოვა, უფრო გაეაქტიურებინა სტოლიპინის მიმართ პროცედურები. ხოლო დილით დიდმა უიმედობამ მოგვიცვა, როდესაც ერთ-ერთმა ჩვენმა მეგობარმა გაიგო, რომ შუადღის შემდეგ „ეტაპით“ წამიყვანდნენ.

ანდრონიკაშვილმა გადაწყვიტა, შეუძლებელი მოეხერხებინა. ზედამხედველს სთხოვა, ციხის უფროსთან მიეყვანა, რათა მას ჩემი გადაყვანის თარიღი გადაეწია. სწორედ ამ დროს, უფროსიც გამოჩნდა. „შავიშვილი, მოემზადეთ, ხვალ მიემგზავრებით.“ ანდრონიკაშვილი ჩაერთო. გადაჭრით გამოაცხადა: „ჩვენ სტოლიპინის პასუხის მოლოდინში ვართ, ცოტა დროს ვითხოვთ.“ კატეგორიული უარი მივიღეთ, დირექტორს არაფერის შეცვლა არ შეეძლო, უმაღლესმა ხელისუფლებამ გასცა ბრძანება, ის კი მხოლოდ შემსრულებელი იყო.

საერთოდ არ ვიყავი მზად ნოემბრის ბოლოს ასეთი მგზავრობისთვის. დაახლოებით, ერთი დღე დაგვჭირდებოდა ჩრდილოეთ კავკასიაში გადასასვლელად, სადაც ძლიერი სიცივე დაგვხვდებო-

და. ხოლო რუსეთში კიდევ უარესი იქნებოდა. აღარაფერს ვამბობ ციმბირის საშინელ ყინვაზე. ამიტომ ზოგმა ფეხსაცმელი მომცა, ზოგმა – თბილი საცვალი და სამოსი. თუმცა თბილი მოსაცმელი არ მქონდა. სანამ გავიდოდი, ერთ-ერთმა ამხანაგმა მატყლის მანტო მომადო მხრებზე. საერთოდ, ისიც ჩემთან ერთად უნდა წამოსულიყო, მაგრამ მისი გვარი გამორჩათ. საუბრის დრო არ იყო, ბადრაგი მაჩქარებდა და ხელით მიბიძგებდა დერეფანში, სადაც ათიოდე დღის წინ შემოვედი. ეზოში ორასამდე პატიმარი გამოეყვანათ, ყველა გასამგზავრებლად მოემზადებინათ. ციხის უფროსი, მისი მოადგილე და ოფიცრებიც ეზოში იყვნენ. წინ და უკან დადიოდნენ. ჯგუფი მხოლოდ მე მელოდა, მეც რიგში ჩავდექი. ახლა, როდესაც ბედს შევეგუე, ერთი რამ მაწუხებდა, ახალგაზრდა ამხანაგის მანტო. მისი მშობლები ღარიბები იყვნენ, ყველაფერი გაიღეს, რომ შვილისთვის თბილი მოსასხამი მოეტანათ, რათა სიცივისთვის გაეძლო. მას რამდენიმე დღეში წამოიყვანდნენ ციმბირში, მე კი არ შემეძლო მანტო ვინმესთვის გადამეცა, რომ მისთვის დაებრუნებინათ.

ფიქრები გამაწყვეტინა ჩემი მისამართით წამოსროლილმა საყვედურებმა რუსულ ენაზე, რომელსაც გინებაც ახლდა. ჩვენ დედის შეურაცხყოფას არავის ვპატიობთ. ყველაფერი იმწამს ხდებოდა, როდესაც ბრძანებას დავმორჩილდი და რიგში ვდგებოდი, მათ კი დაგვიანების გამო ბრაზი გამოხატეს და დედაჩემი შეურაცხყვეს!

ამის ატანა არ შემეძლო. მინდოდა მეყვირა, მაგრამ ბრაზისგან ყელში ბურთი მეჩხირებოდა. ჩემი რისხვა ბოლომდე უნდა გამომეხატა და მეიძულებინა, მოვეკალი.

ჩემი რეაქცია გამოვხატე, როგორც შემეძლო. რაკი ჯაჭვით ვიყავი მიბმული, რიგიდან გამოვედი და დაღმართზე, მიწაზე დავეცი. საერთო არეულობა გამოვიწვიე. მეთაურმა მოირბინა და წესრიგის დამყარების ბრძანება გასცა. ჯარისკაცები ჩემკენ დაიძრნენ, ხიშტები შემართეს. ძალები მოვიკრიბე და მეთაურს დავუძახე რუსულად: „კნიაზ, უბრძანეთ, მესროლონ!“

თავზარდაცემულმა მეთაურმა ჯარისკაცებს უკან დახევა უბრძანა.

სრული სიჩუმე გამეფდა. შეიძლება, ეფიქრათ, რომ მოვკვდი. რამდენიმე ხნის შემდეგ მოძრაობა განახლდა. გადასახლებისთვის მომზადებულნი კარიბჭისკენ დაიძრნენ, ისინი ციხის უფროსმა გააცილა. მე კი მიწაზე გაუნძრევლად ვიწექი.

თავი VII

ციმბირისკენ

პატიმართა და ბადრაგთა ჯგუფი დაიძრა, რკინის კარი დაიკეტა. ეზოში მოძრაობამ იმატა, ფურცლის ჭიები ოფისებისკენ მიიჩქაროდნენ. ადგილზე რამდენიმე ჯარისკაცი და ზედამხედველი დარჩა. მე კვლავ მიწაზე ვიყავი, დაღმართზე ვეგდე, არავის აწუხებდა ჩემი მდგომარეობა, რომელიც თითქმის ორი საათი გაგრძელდა. შემდეგ ვიღაც გამოვიდა კანცელარიიდან და ზედამხედველებს ბრძანება მისცა. რამდენიმე წუთში გარს შემომეხვივნენ, წამომაყენეს და ჩემი ნივთებიც წამოკრიფეს. N10 საკანში წამიყვანეს.

როგორც კი საკანში შევედი, პირველ რიგში მანტო დავუბრუნე ჩემს ხელგაშლილ ამხანაგს, რომელიც სამ დღეში ჩემთან ერთად უნდა წამოსულიყო ციმბირისკენ. ჩემს დანახვაზე მეგობრები გახარებულებიც იყვნენ და გაოცებულებიც, ასეთ რამეს არ ელოდნენ. მაბედნიერებდა მათი ემოციები. გაურკვევლობა და გაოცება დიდხანს არ გაგრძელებულა, ანდრონიკაშვილი და მაჩაბელი კანცელარიაში დაიბარეს. ციხის უფროსმა გამოუცხადა, რომ ისინი მოითხოვდნენ ჩემს სასწავლებლად გაგზავნას და ამიტომ, სწორედ ისინი იყვნენ პასუხისმგებელნი ჩემს საქციელზე. მომავალში რაიმე სახით დაუმორჩილებლობას თუ გამოვხატავდი, N10 ციხის ყველა პატიმარი სასტიკად დაისჯებოდა.

ამ საკითხთან დაკავშირებით ხმაურიანი საუბარი გავმართეთ. ჩემი მეგობრები ყველაფრისთვის მზად იყვნენ, მთავარი იყო, ჩემი ინტერესები და სურვილები დაეცვათ. მე არ მსურდა მთელი ჯგუფის გაწირვა რეპრესიებისთვის, ამიტომ მათ შეთავაზებებზე უარს ვამბობდი. ანდრონიკაშვილმა გამიგო და დააფასა ჩემი მიდგომა. საღამოს გაფრთხილება მივიღე, რომ ორ დღეში გასამგზავრებლად უნდა მოვმზადებულიყავი. მაჩაბელმა ცალკე გამიხმო:

გაითვალისწინე, რაკი ორჯერ მოხერხდა, მესამედაც გამოვა. კოტე და მე ყველა შესაძლებლობას გამოვიყენებთ, რომ სტოლიპინის პასუხის მოსვლამდე აქ დაგტოვოთ.

ვუპასუხე, რომ ზოგიერთი რამის გამეორება შეუძლებელია. სიგიჟე იქნებოდა, კიდევ ერთხელ მეცადა ბედი. მეტიც, ამხანაგებს განსაცდელში არ ჩავაგდებდი. მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, არაფერს დაველოდებოდი და გავემგზავრებოდი. ზუსტად ჩემი გამგზავრების დროს სანკტ-პეტერბურგიდან პასუხი მოვიდა, უარყოფითი პასუხი!

კოკისპირულად წვიმდა. ჩემს ძვირფას მეგობრებს ვემშვიდობებოდი. ადმინისტრაციამ უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მიიღო, რაკი ჩემგან უჩვეულო შემთხვევებს ელოდნენ, თუმცა ყველაფერმა ექსცესების გარეშე ჩაიარა.

საბედისწერო წამი იდგა. სამასამდე ადამიანი ვიყავით, კაცებიც და ქალებიც, ყველა ასაკის. ტფილისის სადგურამდე ფეხით უნდა მივსულიყავით, ჯარისკაცების ესკორტით. ჩვენი ჩავლისთვის ქუჩები დაცარიელებული იყო, ერთი ადამიანიც არ დამინახავს. მთელი ჯგუფი მხოლოდ ქართველებისგან შედგებოდა. ჩვენთან ერთად ერთადერთი რუსი უნდა წამოსულიყო, თუმცა მძიმედ ავად იყო (განზრახ შეჭამა ერთი შეკვრა ჩაი და მაღალი სიცხე ჰქონდა) და ციხეში დატოვეს. თუმცა მას მოგვიანებით ციმბირში შევხვდები.

ყოველ დიდ სადგურზე ჩვენს მატარებელს გადასახლებისთვის მომზადებული პატიმრებით სავსე ვაგონი ემატებოდა. ბილიჯარში შემოგვიერთდნენ ბაქოს, გროზნოს და ზოგადად, ჩრდილოეთ კავკასიის პატიმრები, განსაკუთრებით, ვლადიკავკაზიდან. ამგვარად, როდესაც დონის როსტოვში ჩავედით, უკვე 500-ამდე ვიყავით. რამდენიმე დღით როსტოვის ციხეში გამოგვკეტეს.

ხოსტოვის ციხე

როსტოვის ციხეს ტყუილად არ ეძახდნენ კავკასიელების „განსაწმენდელს“ ციმბირის გზაზე. მათი სიამაყის გასატეხად, დასამცირებლად და „დისციპლინირებისთვის“ უამრავ მოხელეს იყენებდნენ. მათი მხრიდან ნებისმიერი ლიბერალური დამოკიდებულება, ოდნავი „სისუსტე“, თუ მცირედი ადამიანური დამოკიდებულება პატიმართა მიმართ სასტიკად ისჯებოდა. აქ ზედამხედველის პოსტზე მოსახვედრად სისასტიკე და ცნობილი დანაშაულებრივი წარსული იყო საჭირო, ყველანაირი ზღვარგადასულობა მოეთხოვებოდათ. მეტი სისასტიკისთვის პოლიტმატიმრების საკანში აუცილებლად უშვებდნენ კრიმინალებს, რომელთაც ევალებოდათ

პოლიტმატიმრის გაქურდვა. იპარავდნენ ყველაფერს, ფეხსაცმელს, თეთრეულს, ტანსაცმელს, განსაკუთრებით კი, მატყლის ნივთებს. თუ საკანში ვერ ახერხებდნენ ძარცვას, მაშინ ტუალეტში უდარაჯდებოდნენ და თეთრეულში გადახვეული ტუალეტის ქვის ჩარტყმით უსწორდებოდნენ. ნადავლის დიდი ნაწილი ციხის ადმინისტრაციაში მიდიოდა. თუ ვინმე ჩივილს გაბედავდა, კიდევ უფრო სასტიკად უსწორდებოდნენ!

ჩვენ ჩამოსვლამდე სამი დღით ადრე ჩემს ქართველ მეზობელს სწორედ ამგვარად დაესხნენ თავს. თუმცა, საკმაოდ დიდი ძალის პატრონი იყო, ამიტომ ქურდებისგან თავის დაცვა შეძლო. მაშინ ადმინისტრაციამ ჯარისკაცები შემოგზვნა, რომ ადგილზე ეცემათ. ამხანაგები, ვინც ეს ფაქტი გააპროტესტეს, მკაცრად დასაჯეს. იმპერიის არც ერთ ციხეში ასე არ უსწორდებოდნენ ადამიანურობის გამოვლინებას, როგორც როსტოვში.

ერთ მაგალითს მოვიყვან, ჩემი იქ ყოფნის ხანმოკლე პერიოდში ასეთ ისტორიას შევესწარი, ბადრაგების თვალწინ საეკლესიო პირი მორალური წამების მსხვერპლი გახდა. ერთ-ერთმა კრიმინალმა მღვდელი სასაუბროდ ოთახის შუაგულში გაიყვანა. იქვე მყოფმა მეორე კრიმინალმა თითქოს გონება დაკარგა, იატაკზე დავარდა და პირიდან დუჟს უშვებდა დროდადრო. თანაგრძნობის ნიშნად, მღვდელი მის დახმარებას შეეცადა. თუმცა „ავადმყოფი“ უეცრად წამოხტა, დანა ამოიღო (იარაღი მკაცრად იკრძალებოდა), ხან ვისკენ იწევდა ცივი იარაღით, ხან – ვისკენ. ყველა ცდილობდა თავის დაღწევას. საბრალო მღვდელს ამ სცენამ ჭკუა დააკარგვინა, რის შემდეგაც აიძულეს, ისეთი დანაშაულები ეღიარებინა, რომლის წარმოდგენაც კი დამამცირებელია[1]. სწორედ ამ გზებით მოიპოვებდნენ ხოლმე კრიმინალები „აღსარებას“ უდანაშაულოთაგან.

აღნიშნული ფაქტის ერთ-ერთმა მოწმემ გაბედა და ადმინისტრაციაში იჩივლა, რის შემდეგაც ბადრაგმა გაჩხრიკა და სამი კვირით კარცერში გადაიყვანა.

დავუბრუნდეთ როსტოვში ჩასვლის დღეს. თითოეულისთვის წინასწარ ჰქონდათ მომზადებული „სამაჯური“. მატარებლიდან „უნაკლო წესრიგით“ ჩამოვედით, სიცივე ძვალ-რბილში ატანდა; მრავალი ქუჩა გადავჭერით, ყველა ერთმანეთს ჰგავდა, ცივი და არარეალური იერი ჰქონდა; ბოლოს შთამბეჭდავი ჭიშკრით ისე-

[1] ამ აღიარების საფუძველზე მღვდელი დამნაშავედ გამოაცხადეს და ჩამოახრჩვეს (ხ.შავიშვილი).

თივე გაყინულ შენობაში შევედით, როგორიც ამინდი იყო.

„საზეიმო“ მიღებებისთვის განკუთვნილ დარბაზში აღმოვჩნდით. გვაჩვენეს, როგორია მიღება. სინამდვილეში, მიღება ისეთივე მკაცრი იყო, როგორც ახლახან გადმოკვეთლი რკინის ჭიშკარი. დარბაზში რამდენიმე გრძელი მაგიდა იდგა. ციხის ადმინისტრაციის ყველაზე რეპრეზენტაბელური, დაახლოებით, ათამდე თანამშრომელი იჯდა. ყველანი უნიფორმებში იყვნენ გამოწყობილნი და შეიარაღებულნი: საომარი მდგომარეობაა. ამ სახლის დამქაშებს უკან ჯარისკაცები ჩამწკრივებულიყვნენ ხიშტიანი ცეცხლსასროლი იარაღითა და დამატებითი ტყვია-წამლით.

ჩვენი ესკორტის მეთაური ადიუტანტთან ერთად მაგიდას მიუახლოვდა. მაგიდაზე აკინძული დოსიეების უზარმაზარი შეკვრა დადო და ციხის უფროსს პატიმართა სია გადასცა, ასლი კი დაიტოვა. სიის კითხვა დაიწყეს. თითოეული ჩვენგანი უნდა წარმდგარიყო მკაცრი დამკვირვებლის წინ. ცერემონია ზედმიწევნით ზუსტად ტარდებოდა. პატიმრები ნამდვილ დაკითხვაზე იყვნენ.

რამდენიმე ათეული კოლეგა გავიდა ჩემ წინ, ამ დროს მე ვესაუბრებოდი ეკატერინედარის, გროზნოს, ვლადიკვკაზის რუსული კომიტეტების უფროსებს. გაირკვა, რომ მათი ორგანიზაციები საბოლოოდ დაშლილა; აინტერესებდათ, ჩვენი პარტიის მდგომარეობა. განსაკუთრებით აინტერესებდათ დუმაში მყოფი დეპუტატების – რამიშვილის, გომართელის, ჟორდანიას – ბედი. ისინი ხომ განსაკუთრებულად იცავდნენ ყველას თავისუფლებას. ამხანაგებს რუსეთში არსებული მდგომარეობაც გავაცანი, რადგან უკვე რამდენიმე თვე იყო, რაც გაზეთები არ წაეკითხათ. მათ შორის ერთ-ერთი, ინტელექტუალი, მაღალი, ძლიერი, უხეში ნაკვთებითა და პენსნეთი, განსაკუთრებულად საინტერესოდ გამოიყურებოდა.

უეცრად, ციხის უფროსმა სიას გადაუხვია და ჩემი გვარი გააჟღერა, რომელიც ბადრაგმაც გაიმეორა. მის წინაშე წარვსდექი. უფროსმა გვარი მკითხა; ვუპასუხე; სახელიც დავურთე. ყველა კანონიერ კითხვაზე ვუბრუნებდი პასუხს, მაგრამ როგორც კი ისეთ შეკითვებზე გადავიდა, რაც ჩემი აზრით, მას არ ეხებოდა, დამოკიდებულება შევცვალე. როდესაც მკითხა, თუ რას ვაკეთებდი, ვუპასუხე: „არაფერს!“ ამაზე გაბრაზდა;

– მაშინ აქ რა მიზეზით ხართ?
– არაფრისთვის.
– კიდევ უფრო გამწარდა:
– დები გყავთ?

– არა.

– ძმები?

– არა.

– რა ჰქვიათ?

– არაფერი.

– დედას რა ჰქვია?

ჩუმად ვიდექი.

– მამა ვინ არის.

კვლავ დუმილი. გაცოფდა და ყვირილი დამიწყო:

– გაიძულებთ, მიპასუხოთ! გეკითხებით, ვინ არის მამათქვენი?

– დოსიეში ნახეთ!

გაცეცხლებულმა შემომხედა და შენიშნა, რომ მასთან საუბრისას ქუდი არ მომიხდია. ბადრაგს გაუბრაზდა. ისინი მეცნენ და ქუდი მომხადეს. წყობიდან გამოსულმა უფროსმა მითხრა, რომ მიწისქვეშა კარცერში ჩამაგდებდა ერთი კვირით. მე მივუგე, რომ შეეძლო იქამდე დავეტოვებინე იქ, სანამ ჩემი ესკორტი არ დატოვებდა როსტოვს, მერე კი უნდა გავეშვი. ჩემი შეპყრობის მომენტში თეატრალური სცენა გათამაშდა. ციხის უფროსი სხვა პატიმარზე გაბრაზდა და ყურადღება გადაიტანა. საშუალება მომეცა, გვერდით გავსულიყავი, სანამ ახალ მსხვერპლს წარუდგენდნენ. რა იყო ამ საბრალოს დანაშაული? ამბოხი ციხის უფროსის მიმართ და ჩემი საქციელის მოწონება. ეს ყველაფერი თავისი პენსნედან გამოხედვის მანერით დააფიქსირა. ეს კი საკმარისი აღმოჩნდა ციხის უფროსის გასაბრაზებლად. რატომ ეშინოდა ასე ამ კაცის? რაკი მას ტერორისტული ორგანიზაციების მეთაურად მიიჩნევდა, ეს გამოხედვა კი ბოროტი განზრახვების მომასწავებელი იყო, მისი აზრით. როგორც ხვდებით, პატიმარი სწორედ ის ინტელექტუალი იყო, ცოტა ხნის წინ რომ ვესაუბრებოდი და, რომელიც ამ სიტუაციაში განტევების ვაცად იქცა.

მიღების დასრულების შემდეგ საკნებში უნდა გავენაწილებინეთ კრიმინალებთან ერთად. ამხანაგები ამის შესახებ გავაფრთხილე და დაუმორჩილებლობისკენ მოვუწოდე. დამეთანხმნენ. გადაწყდა, რომ პოლიტპატიმრებისთვის ცალკე ოთახებს მოვითხოვდით. ბადრაგი კარცერით დაგვემუქრა. მე კი ქართულად მივმართე (რაკი რუსებს ქართული არ ესმოდათ) თანამემამულეებს და ავუხსენი, რომ ამდენი კარცერი არ ექნებოდათ, ამიტომ საშიში

არაფერი იყო. საბოლოოდ, კავკასიიდან ჩასულ პოლიტპატიმრებს ორი ცალკე ოთახი გამოგვიყვეს.

ფართო ოთახში პირველი შევედი. მშვენიერი, მაღალი, ლამაზი, შავი წვერ-ულვაშით კაცი ქართულად მომესალმა. არ ველოდი. უკვე სამი კვირაა აქ ყოფილა. ყველაფერში ერკვეოდა და მეც გამათვიცნობიერა. შემდეგ გულითადად გამომკითხა. ექიმი გახლდათ, ამიტომ გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობდა, რითაც მეც მასარგებლა.

ექიმი მამია ორახელაშვილი[1] სტალინს ტფილისის სემინარიიდან იცნობდა და მისი პოლიტიკური მეგობარი გახლდათ. ისე, სოსოდ მოიხსენიებდა და არა – კობად. მის მიმართ დიდ პატივცემას გამოხატავდა. გამორჩეულად საინტერესო უამრავი ისტორია მომიყვა სსრკ-ის მომავალ დიქტატორზე. ამხანაგი ორახელაშვილი სანკტ-პეტერბურგის სამხედრო სამედიცინო აკადემიაში სწავლობდა. ის იქ დაიჭირეს და ტფილისში გამოგზავნეს, სადაც სასამართლო პროცესი უნდა შემდგარიყო. ბრალად ედებოდა საიდუმლო გაზეთთან, „პროლეტარიატის ბრძოლასთან“, თანამშრომლობა. გაზეთს მოუხელთებელი სტალინი რედაქტორობდა. ტფილისის პოლიციამ ორახელაშვილის სტატიის ხელნაწერი აღმოაჩინა. ექიმთან შეხვედრა ძვირფასი იყო ჩემთვის, რადგან მან სრულად გადმომცა პირველი დუმის პერიოდი. ესწრებოდა სხდომებს, რომელსაც ჩვენი დეპუტატები, ჟორდანია და რამიშვილი უძღვებოდნენ; ხოლო რუსული სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერები, მარტოვი, ლენინი და სხვები, მხოლოდ საკონსულტაციოდ იყვნენ მიწვეულნი.

შემოწმების დრო მოვიდა. ყველანი იატაკზე დავწექით. ბადრაგთან ერთად ციხის უფროსი შემოვიდა. ფეხზე უნდა წამოვმდგარიყავით. ამხანაგი ორახელაშვილი ადგა, როგორც ყველა სხვა. მე ისევ იატაკზე ვრჩებოდი. ორახელაშვილი დაიხარა და ჩამჩურჩულა, რომ უნდა ავმდგარიყავი. უარი ვთქვი. ციხის უფროსმა შემნიშნა და იყვირა: „ადექი!“ არ გავინძერი. მჭექარე ხმით, მე და ყველა ამხანაგს მუქარა გამოგვიცხადა. სხვები შეწუხდნენ. უფროსმა ბრძანება გასცა, მთელი ღამის განმავლობაში არავინ გაეშვათ ტუალეტში და ოთახებში გეჯა დაედგათ. ამგვარად, გაბრაზებულ-

[1] მამია ორახელაშვილი (1881-1937) – ქართველი ბოლშევიკი და საბჭოთა პარტიული მოღვაწე. 1921 წლის ანექსიის ერთ-ერთი ინიციატორი. მიუხედავად მისი ბოლშევიკური მრწამსისა 1937 წელს, დიდი ტერორის დროს, დახვრიტეს (რედ.).

მა ციხის უფროსმა საჩვენო გადაწყვეტილება მიიღო, ფაქტობრივად, თავიდან აგვაცილა გაყინულ დერეფანში სიარული და იქ კრიმინალებთან შეხვედრის საფრთხე.

მამია ორახელაშვილი კობას ერთგული დარჩა საბჭოეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგაც და ამგვარად, იმ ქვეყნისა და ტრანსკავკასიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების [1] ბოლშევიკური მთავრობების თავმჯდომარეც გახდა.

* * *

სოციოლოგიური, ფილოსოფიური, ეკონომიკური და პოლიტიკური წიგნების პატარა კოლექცია მქონდა. ვიფიქრე, რომ ციმბირში ძალიან გამომადგებოდა, ამიტომ ტფილისიდან წამოვიღე. როსტოვის ციხეში შემოსვლისას ადმინისტრაციამ ჩამომართვა და მითხრა, რომ გასვლისას დამიბრუნებდა. თუმცა, წასვლის დრო რომ დადგა, უარი მითხრეს.

გამგზავრებისას ისევე ყინავდა, როგორც ჩამოსვლისას. ჩვენს ჯგუფს კიდევ ასამდე პატიმარი შეემატა. ჩემ გვერდით 15 წლის რუსი გოგონა აღმოჩნდა, ტენტანიკოვა. ქკვიანი იყო, მაგრამ მხოლოდ როსტოვს იცნობდა, იქ იყო დაბადებული. შორეულ რუსეთში გადასახლების მიზეზად პოლიტიკური აქტივობა სახელდებოდა, რაზეც წარმოდგენაც არ ჰქონდა. ჩემთან ერთად იყო ასევე, ქ-ნი ელიავა, რომელსაც გოგონაზე მზრუნველობა ვთხოვე. ელიავა ახალგაზრდა სტუდენტი გახლდათ ტფილისიდან, ლამაზი და კარგად აღზრდილი. სიამოვნებით დამთანხმდა და რუს გოგონას ისეთი ენთუზიაზმით აუხსნა რევოლუციური მოძრაობის პოლიტიკური და სოციალური კონცეფცია, რომ შუადღის შემდეგ გოგონა უკვე რევოლუციური სიმღერების სწავლას გვთხოვდა.

– ხშირად გვედება ბრალად იდეები, რომელიც აზრადაც არ მოგვსვლია, – ვუთხარი ელიავას.

ამ ქეშმარიტების დასამტკიცებლად ელიავა თავის ისტორიას მიყვება, მეც ჩემი ამბავი მახსენდება. ჩვენი მატარებელი თვალუწვდენელ მინდვრებზე მიდიოდა. ახალგაზრდა რუსი გოგონა, ფანჯარას დაყრდნობოდა, არემარეს გაჰყურებდა და მელანქოლიურად მღეროდა:

„ხუსეთო, ხუსეთო, მეცოდები.
ხამდენად საბხაღო და მწახეა შენი ხვედხი“.

[1] აღნიშნული გაერთიანება 1936 წ. გაუქმდა (ხ.შავიშვილი).

მატარებელი გზას აგრძელებდა ციმბირისკენ.

რიაჟაკის ციხეში მივედით. ეს დეპორტირებულთა დიდი გადაკვეთის წერტილი იყო. მსჯავრდადებულები მოსკოვიდან, კიევიდან, რიგადან, ვარშავიდან, რომ აღარაფერი ვთქვა ტფილისზე, ყველა აქ ჩამოყავდათ, 1905 წლის რევოლუციური მოძრაობის ელიტა. მიუხედავად ხანგრძლივი ტანჯვისა, რაც ამ წელს შეხვდათ, მაინც არ გადაუხვევიათ იდეალისგან.

ციხეში შევხვდი ესტონელებს, პოლონელებს, ებრაელებს, „ბუნდისტებს“,[1] ლატვიელებს, უკრაინელებს, ლიეტუელებს. რუსებიც იყვნენ, მაგრამ ცოტანი. ერთმანეთს ისე თბილად და ძმურად შევხვდით თითქოს, ყველაფერი წინასწარ იყო შეთანხმებული.

ერთმა პოლონელმა მითხრა: „თქვენ, ქართველებმა რევოლუციური მოძრაობის ღირსება გადაარჩინეთ, როდესაც დუმაში წარგზავნეთ ამხანაგები რამიშვილი და ჟორდანია.“

ამხანაგებმა რიგადან მითხრეს: „თქვენი დეპუტატები ჩვენი ყველას დეპუტატები არიან, მათ ყველას ინტერესები დაიცვეს, ჩვენიც და რუსი ამხანაგებისაც; მამაცურად აღუდგნენ წინ ყოველგვარ უსამართლობასა და ძალმომრეობას.“

ამ წუთიდან ვგრძნობდი ხელსაყრელ მდგომარეობას, რაც ჩვენი დეპუტატების რეპუტაციას მოჰყვებოდა, მათ ბრძოლას ყველას თავისუფლებისათვის.

უამრავი შეკითხვა დაისვა. ბოლოს, ყველამ ერთად მკითხა, „ამხანაგო „კნიაზ“, შეგიძლიათ გვითხრათ, ვის გაგზავნით მეორე დუმაში? ჟორდანიას და რამიშვილის მსგავსი ხალხი გყავთ? სამწუხაროა, რომ მათი ხელახლა არჩევა შეუძლებელია.“

„კნიაზ!“ – რა გავაკეთე ისეთი, რომ თავადის წოდება მომცეს? არაფერი. ასეთი პატივი ალბათ, იმას უნდა მივაწეროთ, რომ სურდათ უმცროსი ამხანაგისთვის სუპერ-ამხანაგის სტატუსი მიეცათ, რაც ჩემი თანამემამულეების პრესტიჟს უკავშირდებოდა. დეპორტირებულთა თვალში ყველა ქართველი ამხანაგი-თავადი იყო! ქართველი რევოლუციონერი „თავადი“, რომელიც ყველანაირი პრივილეგიის წინააღმდეგ იბრძვის, ნამდვილად სასაცილო ამბავია, ჩემი პრინციპების აბუჩად აგდება.

თუმცა, „თავადი“ ვიყავი, თუ არა, შეკითვაზე პასუხი უნდა გამეცა. ჯაფარიძე და წერეთელი დავასახელე. კიდევ რამდენიმე სხვა

---

[1] ბუნდი – რუსეთის იმპერიის ფარგლებში მცხოვრებ ებრალეთა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა, რომელიც არსებობდა 1897-1921 წ.წ-ში. (რედ.).

გვარიც. მსგავსი წინასწარმეტყველური საუბრის შემდეგ კიდევ უფრო ავმაღლდი მათ თვალში.

როგორი განსხვავება იყო რიაჟსკის და როსტოვის ციხეებს შორის. ციხის უფროსიდან დაწყებული, რიგითი ბადრაგით დამთავრებული კარგად აღზრდილი ადამიანები იყვნენ. ჩემი აქ ყოფნა დიდხანს არ გაგრძელებულა, ორი დღის შემდეგ დავტოვეთ რიაჟსკის ციხე.

* * *

როგორც ვოლგას შენაკადები, ისე უერთდებოდნენ ჩვენს ჯგუფს ახალი პატიმრები; მატარებელი უსასრულობაში მიდიოდა. სამარას ციხისკენ მივემართებოდით, სარატოვის ციხემ გამოგზავნა რუსი პატიმრები. პოლიტმატიმრები სიმპათიური ხალხი ჩანდა, მაგრამ მათთან ერთად მყოფმა კრიმინალებმა როსტოვის კოშმარი გამახსენა. მატარებელში დამატებითი ვაგონების ჩაბმა უკვე შეუძლებელი იყო, ამიტომ ისინი არსებულ ვაგონებში გადაანაწილეს. ჩვენი ვაგონი ისედაც სავსე იყო, თუმცა, თავისი წილი მაინც დაიმატა. რიაჟსკის ციხიდან წამოსულები დღე და ღამე ვმოძრაობდით, ჩამოსაჯდომი ადგილიც კი არ იყო, რომ ცოტა დაგვესვენა.

დულია (ასე ჰქვია მანტოიან ბიჭს ტფილისის ციხიდან) წრფელი გულის ბიჭია, თუმცა მორცხვი, ათლეტური აღნაგობის მიუხედავად – გაუბედავი. ამასთან, რუსული არ იცის. ამიტომ ყურადღებას ვაქცევ და ვიცავ კიდეც. ჩემ წინ იჯდა. ცოტა ხანში ახალმოსულებს დაუთმო ადგილი და თავად ფეხზე დარჩა. არ მინდა, მისი ალტრუიზმი დავთრგუნო, ამიტომ ვდგები და ადგილს ვუთმობ, რომ ცოტა დასვენება შეძლოს.

დღემ ჩაიარა, საღამო ახლოვდება. ჩემი მეგობრის ადგილს წყვილი იკავებდა, მათი საუბრიდან და საშინელი სუნიდან გამომდინარე, ყველაზე საზარელი კრიმინალები უნდა ყოფილიყვნენ. რამდენიმე ხანში ქალი სხვა ჯგუფში გადაიყვანეს, კაციც წამოდგა და კარამდე მიაცილა. დულიას ვუთხარი, ისევ თავისი ადგილი დაეკავებინა. ძალიან დაღლილი იყო, ჩამოჯდა და დაეძინა. კრიმინალი დაბრუნდა, მას ხელი ჰკრა და აიძულა, ამდგარიყო, რადგან დაწოლა უნდოდა. დულიას ნახევრად ეძინა და ინსტიქტურად წამოდგა. მას ქართულად ვუთხარი, რომ ეს სკამები მხოლოდ დასაჯდომადაა და თუ თავისუფალი ადგილები იქნება, მხოლოდ მაშინ შეიძლება დაწოლა. დულია ისევ ჩამოჯდა. მადლობა ღმერთს, ბიჭს მისი მეზობლის ენა არ ესმოდა. ისევ ჩაეძინა და კრიმინალ-

მა ისევ ძლიერად უბიძგა. კვლავ ჩავერიე და დულია უკან დავსვი. დაახლოებით, 15 წუთის განმავლობაში კრიმინალი თავისი ნაგვის ფრქვევას აგრძელებდა. ზრდილობიანად ვთხოვე, შეეწყვიტა. უეცრად წამოხდა, ჩემს მეგობარს ისევ ხელი ჰკრა და მე შეურაცხმყოფელი სიტყვებით მომმართა. უკანასკნელად ვუბრძანე, დამშიდებულიყო. ჩემკენ მობრუნდა და ხელი შემართა, მე დავარტყი, დაეცა. ჯარისკაცები მოცვივდნენ, იარაღი ჩემკენ ჰქონდათ მომართული. პატიმრები დარწმუნებულები იყვნენ, რომ ისროდნენ და უკან დაიხიეს. უნტეროფიცერი მოვიდა და ჯარისკაცებს უბრძანა, ჩემთვის ბორკილები დაედოთ. განვაცხადე, რომ სანამ ცოცხალი ვარ, ამას ვერ გააკეთებენ. ნახევარი საათი გავიდა ამ დრამატულ დაძაბულობაში. იმ დროს, როდესაც ჯარისკაცებმა ჩემი აყვანის ბრძანება მიიღეს, შუაღამემ ჩამოჰკრა.

მატარებლის მთავარმა ოფიცერმა მოირბინა, უნტეროფიცერს უხეშად მიმართა: „საქმე მანამდე უნდა მოგვარებულიყო, სანამ საათი თორმეტჯერ ჩამოჰკრავდა და შობას გვამცნობდა!“ შემდეგ მე მომიბრუნდა და მითხრა, „სიცოცხლე გმართებთ!“

სიცოცხლე ჩემს საშობაო საჩუქრად იქცა.

მეოთხე ნაწილი

თავი I

ტიუმენის ციხეში

პირველი შეხვედრა ტროცკისთან

სამარას [1] შესახებ მხოლოდ რამდენიმე სიტყვით ვიტყვი, რომელიც ჩემს დღიურში მქონდა ჩაწერილი. მოგვიანებით დღიური დავკარგე და მხოლოდ რამდენიმე გვერდი შემომრჩა: „ეს ციხე სხვა დანარჩენისგან სისუფთავით გამოირჩევა. შენობა ახალი და მყარია, მოხელეები – მკაცრები, მაგრამ სამართლიანები. მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, მაინც შეიქმნა გაუგებრობა, ვერაფრით ავხსენი, რატომ გამიყვანეს ცალკე საკანში, როცა ჩემი ამხანაგები ათობით და ასობით ისხდნენ ერთ სივრცეში და კომუნიკაციის საშუალება ჰქონდათ“.

მხოლოდ იქიდან გამგზავრებისას შევხვდი ამხანაგებს. შეურაცხყოფილები იყვნენ ჩემდამი დამოკიდებულებითა და ჩემი იზოლაციით. პატარა ქერა გოგონამ, ტენტენიკოვამ ჩემი დანახვით გამოწვეული სიხარული შეძახილებით გამოხატა; დაკარგული ვეგონე. საბოლოოდ, ყველამ ერთად განვაგრძეთ მგზავრობა ციმბირისკენ.

არასდროს დამავიწყდება ლამაზ რუს გოგონასთან გამომშვიდობების სცენა; ის ჩელიაბინსკში პატიმართა სხვა ჯგუფს უნდა შეერთებოდა, ჩვენ კი ეკატერინბურგის გავლით ტიუმენის ციხისკენ მივდიოდით, სადაც თერთმეტი წლის შემდეგ მეფე და მისი ოჯახი დახოცეს. გოგონა ჩემ გვერდით იდგა და როდესაც უნტერ-ოფიცერი გვარების ამოსაკითხად გამოცხადდა, მისი გვარის წარმოთქმისას ბევრჯერ წაბორძიკდა, მხოლოდ პირველ მარცვალს იმეორებდა: „ტენ... ტენ...“

თავდაპირველად, გოგონას გაეცინა, შემდეგ კი იყვირა: „ტენტენიკოვა!“ სწორედ მაშინ დავიმახსოვრე მისი გვარი. ძალიან მკვეთრად გამოთქვა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ბგერას

[1] ახლანდელი კუიბჩევი, კომისარის გვარის პატივსაცემად (ხ.შავიშვილი).

კარგად ვერ ამბობდა. „რუსეთის“ ნაცვლად „ლუსეთს“ ამბობდა. თუმცა მსგავსი საუბარი უფრო მეტ მომხიბვლელობას აძლევდა.

მახსენდება ასევე, ქალბატონი ელიავა, საქართველოში ცნობილ ინტელექტუალთა ოჯახიდან; მისი ორივე ძმა რევოლუციურ მოძრაობაში იყვნენ ჩართულნი. უფროსი, ნიკოლოზი, გამორჩეული ჟურნალისტი გახლდათ, გამოსცემდა ჟურნალს „მოგზაური“. უმცროსი, შალვა თვალსაჩინო ბოლშევიკი ლიდერი რამდენჯერმე იყო საბჭოთა საქართველოს მთავრობის სათავეში. ქალბატონ ელიავას სამარასკენ წამოსვლამდე რამდენიმე ხნით ადრე უკვე ვეღარ ვხვდებოდი, რაკი ის ტურუხანსკის ოლქში გაგზავნეს. გამომშვიდობებამდე შევთანხმდით, კონტაქტი არ დაგვეკარგა; ერთმანეთის ბედი გვადარდებდა. თუმცა სამომავლო მისამართები არ ვიცოდით, ამიტომ ძალიან გაგვიჭირდებოდა დაკავშირება.

სამი წლის შემდეგ შევიტყვე, რომ 1908 წელს გადასახლებაში გარდაცვლილა.

* * *

სამარას შემდეგ მრავალი ჯგუფი გამოგვეყო, თუმცა იმდენივე გვემატებოდა. კვლავ მრავალრიცხოვანი ჯგუფი ვიყავით, როდესაც ტიუმენის ციხემდე მივაღწიეთ. ადგილზე დიდხანს დაგვჭირდა ლოდინი, სანამ ადგილობრივი ხელისუფლება ჩვენი დეპორტაციის ადგილს განსაზღვრავდა.

ტიუმენი ტობოლსკის დეპარტამენტის პირველი დიდი ქალაქია, რომელზეც ტრანს-ციმბირული რკინიგზა გადიოდა. გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ეს ცენტრალური ადგილი იყო, საიდანაც ციმბირის სხვადასხვა ადგილას ანაწილებდნენ პატიმრებს. არ დაგვავიწყდეს, რომ ეს ქვეყანა ევროპაზე ოთხჯერ დიდია.

მეტ-ნაკლებად თავისუფლად გვამყოფებდნენ, ოთახები მხოლოდ ღამით იკეტებოდა, ერთმანეთს საკნებში ვსტუმრობდით პირადი, თუ ჯგუფური საუბრებისთვის, საქმიანად, ან თავშესაქცევად. ეზოში გასეირნება დღეში ორჯერ იყო ნებადართული. თუმცა ისეთი მკაცრ კლიმატში (-30° / -35°) ღია ცის ქვეშ ნახევარი საათი სეირნობის ბევრი მოყვარული არ მოიძებნებოდა ხოლმე.

იქ ყველა სოციალურ ფენას ნახავდით, რა თქმა უნდა, დომინანტი პროფესიებიც არსებობდა: მწერლები, ადვოკატები, პროფესორები, სტუდენტები. ჩვენი მომხსენებლები ამ ინტელექტუალთა წრიდან იყვნენ. რაკი პოლიტიკური პრობლემები ყველას ყურა-

დღების საგნად ქცეულიყო, „მოწინავე“ მუშები და სხვა თვითნასწავლი ადამიანები საკუთარ წვლილს არ აკლებდნენ დებატებს. აქ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ რაც უფრო მეტად არ იცნობდნენ თვითნასწავლები კამათის საგანს, მით მეტი ამბიციითა და კატეგორიულობით ცდილობდნენ ამ საკითხის სხვებისთვის ახსნას.

მეტეხის ციხეში მიღებული უსიამოვნო გამოცდილება მაიძულებდა, სიჩუმე შემენარჩუნებინა. რამდენიმე დღის შემდეგ მეგობრების მხრიდან ძალდატანებას ვეღარ გავუძელი და დავთანხმდი; სიტყვა ისეთი კატასტროფული არ იყო, როგორც ტფილისში, მაგრამ, სამწუხაროდ, მაინც არეულად ვსაუბრობდი. თუმცა ჩემს გამოსვლას მაინც კარგი რეპუტაცია ჰქონდა.

მინინი, ასე ვეძახდი ხუმრობით რუს ამხანაგს (მოსკოვური ამბების გმირს) პოჟარსკის. მაღალი, წარმოსადეგი, ოქროსფერი თმითა და ღია ფერის წვერით, მელანქოლიური, ოდნავ მომღიმარი თვალებით, ინტელექტუალი, კარგად აღზრდილი, ამასთან პოჟარსკის სასიამოვნო და ძლიერი ხმა ჰქონდა. მან რუსული სოციალ-რევოლუციური პარტიის პოლიტიკურ-აგრარული პროგრამა გაგვაცნო.

მინინი სარატოვოდან იყო, იქ პარტიას ედგა სათავეში. სარატოვო-სამარას მატარებელში გავიცანი 25 დეკემბრის ღამეს, როდესაც ცნობილი ინციდენტის მერე მომიახლოვდა და ხელი ჩამომართვა. ახალგაზრდა, დახვეწილი კაცი, 25 წლის უნდა ყოფილიყო, რუსეთის ისტორიაში მნიშვნელოვანი როლის შემსრულებლად მომეჩვენა. ტარას ციხიდან 1907 წლის გაზაფხულზე გაიპარა ისე, რომ კვალიც არ დაუტოვებია...

* * *

ასეთ დიდ აგლომერაციაში ვიღაც აუცილებლად ხდება ავად. ექიმიც შემოივლიდა ხოლმე. ხშირ შემთხვევაში წინა დღეს ვეწერებოდით, რომ მეორე დღეს ციხის ეზოში არსებულ დაწესებულებაში კონსულტაციაზე გასვლის უფლება გვქონოდა.

ერთ დღეს თავი შეუძლოდ ვიგრძენი. ბადრაგმა შესვლის უფლება მომცა. მოსაცდელში უამრავი პაციენტი იცდიდა. ექიმმა შეგვათვალიერა და მერე სათითაოდ იძახებდა მომლოდინეთ. მე ბოლოს დავრჩი. ექიმმა საეჭვო მზერით შემომხედა, მითხრა, რომ არაფერი მჭირდა, კონსულტაცია საჭირო არ იყო და კარი ცხვირ-

წინ მომიხურა. გავბრაზდი, გავაპროტესტე, ვუთხარი, რომ მართლა ავად ვიყავი და უნდა გავესინჯე. ჩემმა ქცევამ გააღიზიანა. გამომიცხადა, რომ მშვენივრად გამოვიყურებოდი, ავადმყოფობის არაფერი მემჩნეოდა. გადაწყვიტა, ბადრაგისთვის დაეძახა და გავეგდე. წინ წავიწიე, რათა მისთვის გასასვლელი გადამეკეტა, კარის გაღების საშუალება არ მივეცი. როდესაც ხელით შევეხე, სავარაუდოდ, ჩემი სიმხურვალე იგრძნო და ოდნავ მშვიდი და მაინც მკაცრი ხმით მითხრა;

– ვნახავ, მართლა ავად ხართ თუ არა!

სიცხე გამიზომა. თერმომეტრმა 39.7 აჩვენა. რამდენიმე წუთის წინ ასე გაცეცხლებული ექიმი ბოდიშს მიხდიდა. როგორც ამიხსნა, ასეთი პაციენტი არასდროს უნახავს, ეს ალბათ იმით აიხსნებოდა, რომ სამხრეთიდან ვიყავი. ამის შემდეგ მეგობრულად ვურთიერთობდით.

* * *

ორი კვირის თავზე ისევ მოლოდინის რეჟიმში ვიყავით. რამდენიმე ათეული პატიმარი, ბადრაგის თანხლებით გაუშვეს დანიშნულების ადგილას. ციხე ახალი პატიმრებით ივსებოდა. სანქტ-პეტერბუგიდან ჯგუფი ჩამოვიდა, რომელშიც „მუშათა დელეგატთა საბჭოს“ ოცამდე წევრიც იყო. სწორედ მათ მოაწყეს სრულიად რუსეთში საერთო გაფიცვა; თუმცა მისი კარგად მართვა ვერ შეძლეს. თავმჯდომარე, ხრუსტალევ-ნოსარი[1] გაფიცვის გამოცხადებიდან რამდენიმე დღეში დაიჭირეს, მას მიჰყვა ტროცკიც[2]; თავმჯდომარის პოსტი ავქსენტიევმა[3] დაიკავა და იგივე ბედი გაიზიარა. ეს ამბები 1905 წლის ნოემბერში ხდებოდა. სასამართლოს წინაშე 1906 წელს წარსდგნენ, მათ ყოველგვარი სამოქალაქო უფლება ჩამოერთვათ და ციმბირში სამუდამო გადასახლება მიესაჯათ. ისინი

[1] გიორგი ხრუსტალევ-ნოსარი (1877-1919) – რუსი პოლიტიკოსი, იურისტი და სზოგადო მოღვაწე. 1905 წლის ოქტომბრიდან ნოემბრამდე ხელმძღვანელობდა სანკტ-პეტერბურგის მუშათა საბჭოს (რედ.).

[2] ლევ ტროცკი (1879-1940) – რუსი მარქსისტი, მარქსიზმის თეორეტიკოსი, პოლიტიკოსი, წითელი არმიის დამაარსებელი, საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა და სამხედრო საქმეთა კომისარი. 1929 წელს სტალინის ბრძანებით გაასახლეს სსრკ-ის საზღვრებიდან. 1940 წელს მოკლეს მექსიკაში სტალინის დაკვეთით (რედ.).

[3] ნიკოლაი ავქსენტიევი (1878-1943) – რუსი პოლიტიკოსი, რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი (რედ.).

ტობოლსკის დეპარტამენტის ორ ოლქში გადაანაწილეს, ობდორსკი და ბერეზევსკი.

მათმა ჩამოსვლამ ჩვენი მონოტონური ლოდინი შეამსუბუქა. ლევ ტროცკის, ნამდვილი გვარით ბრონშტეინს, მხოლოდ მისი ბროშურით – *„ჩვენი პოლიტიკური საქმე“* – ვიცნობდი. ეს ნაწარმოები ორი წლით ადრე გამოაქვეყნა და ფარულ ლიტერატურათა რიცხვს მიეკუთვნებოდა. მისი გვარი, ისევე როგორ სხვების, ჩემთვის ძალიან ახლობელი გახდა რევოლუციის განმავლობაში.

პირველი შეხვედრისას ვისაუბრეთ. შთამბეჭდავი სიტყვებისა, თუ ჟესტების მიუხედავად, მაინც გამიცრუა იმედი. მის მჭევრმეტყველებას დამაჯერებლობა აკლდა. უდიდეს ინფორმაციას ფლობდა, რომელსაც ზეპირსიტყვიერებასა და ნაწერებში იყენებდა. მაღალი, წარმოსადეგი, გამბედავი და ძლიერი. სახასიათო ბლანჟეს ატარებდა, რომელიც წინააღმდეგობაში მოდიოდა მის ჩავარდნილ პირთან. გაუცნობიერებლად, თხაზე გეფიქრებოდათ. ცოცხალი თვალები ჰქონდა, მიუხედავად ყალბი გამოხედვისა, ხმა – ძლიერი, ენაწყლიანი საუბარი კი მისგან საშიშ აგიტატორს აყალიბებდა... რომელსაც მხოლოდ სულსწრაფების წაქეზება შეეძლო.

მოგვიანებით, ტროცკის ხშირად ვხვდებოდი უცხოეთში, უფრო ახლოსაც გავიცანი და უკეთ შევაფასე მისი ღირსებები: ტროცკის, როგორც დიდი კულტურის მატარებელს, ძალიან სწრაფად შეეძლო საქმეზე კონცენტრირება, საკითხების გაანალიზება, ათვისება, დედუქციის გზით, დაუჯერებელი სისწრაფით, დასკვნის გამოტანა. მისი მჭევრმეტყველება შეუდარებელი იყო. თითქოს, საკუთარი ამბიციის დასაკმაყოფილებლად ყველა საჭირო ინფორმაციას აგროვებდა. გასაოცარია, როდესაც გარემო პირობები შეიქმნა, სიმაღლეებისკენ არ წასულა და დაბლა დარჩა. რატომ? რადგან მის გონს აკლდა შემოქმედებითობა და კეთილშობილება.

ტროცკის მიერ წითელი არმიის „შექმნა“ ლეგენდაა,[1] მას ორგანიზატორული ნიჭი არ ჰქონდა, სწორედ ამიტომ პოლიტიკურად მალე განადგურდა.

რუსეთის სოცალ-დემოკრატიულ ორივე მიმდინარეობაზე მაღლა ეჭირა თავი, ცდილობდა, გაეერთიანებინა და სათავეში ჩასდგომოდა. მიზანს ვერ მიაღწია და თითქმის თხუთმეტი წელი ირხეოდა მენშევიკურ და ბოლშევიკურ იდეებს შორის. სინამდვი-

---

[1] შეცდომით, ყველამ ტროცკის მიაწერა წითელი არმიის „შექმნა“ (ხ. შავიშვილი).

ლში ერთი მიმდინარეობის მოსაზრებებს იზიარებდა, მაგრამ მეორეს დაუდგა გვერდში, როდესაც მათ გაიმარჯვეს. თუმცა ამ ნაბიჯმა ხელი ვერ შეუშალა მის ვარდნას. ტროცკი გონებრივად ბევრს მუშაობდა, თუმცა მისი დახასიათება მისივე ფრაზით შეიძლებოდა, რომელსაც სტალინის მისამართით ხშირად იყენებდა: „გიგანტური სიმდარე."

ახალმოსულები ციხის სხვა ნაწილში გაანაწილეს. შესასვლელიც ცალკე ჰქონდათ და ეზოშიც სხვა დროს გამოჰყავდათ. თუმცა, რამდენიმე ოთახის ფანჯარა ეზოში გადმოდიოდა და როდესაც გარეთ ვიყავით, ჩვენი დანახვა შეეძლოთ.

შემთხვევით ვსარგებლობდით და მათი ფანჯრის ქვეშ ვიკრიბებოდით. ტროცკი პირველი თავმჯდომარის, ხრუსტალევ-ნოსარის სახელით ბოდიშს გვიხდიდა, რაკი ყელი ცუდ მდგომარეობაში ჰქონდა და თავად გვესაუბრებოდა თავისი ძლიერი ხმით. სიტყვაში მთელ თავის პროპაგანდისტულ ხელოვნებას დებდა. რეალობის შეგრძნება მისთვის ყოველთვის გამოწვევად რჩებოდა. დიდი პათოსით განგვიცხადა, რომ „რევოლუციური სხივი ჯერ არ ჩამქრალა" და მეტიც, „რევოლუცია ახლა იწყებოდა" და ა.შ. სინამდვილეში კი უკვე ერთი წელი იყო, რაც რევოლუციური ტალღა უკვე გატეხილიყო, ხოლო რეაქციული მოძრაობა აღმასვლას განიცდიდა.

შემდეგ ტროცკიმ წარგვიდგინა ხრუსტალევ-ნოსარი, კუნიანცი და ავქსენტიევი.

ხრუსტალევ-ნოსარი მაღალი და წაბლისფერთმიანი გახლდათ, კუნიანცი – უფრო შავგვრემანი, ხოლო ავქსენტიევი – ქერა. ისინი დარწმუნებულები იყვნენ, რომ მთავრობას სათავეში ჩაუდგებოდნენ რევოლუციის ტრიუმფის პირობებში.

ისინი მარხილებით ტობოლსკისკენ წაიყვანეს, ობდორსკისა და ბერეზევსკის მიმართულებით. ჩვენ კი გზა გვქონდა ეკატერინბურგსა და ჩელიაბინსკზე, შემდეგ ომსკისა და ტარასკენ (ტობოლსკის დეპარტამენტი).

თავი II

ტიუმენიდან ტარამდე

სპეციაღისტი ყაღბი საბუთებით

საბოლოოდ განსაზღვრეს ჩვენი დეპორტაციის ადგილი: ტარა, ტობოლსკის ოლქი. ამ სეზონზე ტარაში მოსახვედრად მხოლოდ რკინიგზის გამოყენება შეიძლებოდა, ამისთვის კი რამდენიმე ასეული კილომეტრი უკან უნდა გაგვევლო, ტიუმენში დავბრუნებულიყავით და იქიდან წავსულიყავით შემდეგი მარშრუტით: ეკატერინბურგი – ჩელიაბინსკი – კურგანი – პეტროპავლოვსკი – ომსკი. მოგზაურობას ხუთი დღე და ღამე დასჭირდა, ეს დრო უსასრულოდ მეჩვენებოდა. მივაღწიეთ ომსკში. მოგვიანებით ომსკი ცნობილი გახდა, რადგან სამოქალაქო ომის დროს იქ იყო კოლჩაკის მთავრობის ადმინისტრაციული შენობა. ყველაფერი თოვლსა და ყინვაში გახვეულიყო. მიღების ცერემონიის ხელახალი რუტინა უნდა გაგვევლო.

საინტერესო დეტალი: ციხის ყოფილი უფროსიც დააკავეს გაქცევის წახალისების მიზეზით. უფლებაჩამორთმეულ ერთ-ერთ დამნაშავეს ხშირად სტუმრობდა თავადი. ამ ფაქტმა ციხის უფროსის დადებითი განაწყობა გამოიწვია პატიმრის მიმართ. როგორც პრივილეგირებულს, თავადის პასუხისმგებლობით, მთელი საღამო შეეძლო ციხის დატოვება. მსგავსი ნდობა ათჯერ გამართლდა, მაგრამ მეთერთმეტედ პატიმარი გაიქცა. ყველა პატიმარი დიდი ენთუზიაზმითა და სიმპათიით საუბრობდა გაქცეულზე, თავადსა და პატიმარს გმირებად მოიხსენიებდნენ.

ისტორიამ ჩემი ცნობისმოყვარეობა გააღვივა და უფრო მეტი დეტალის გაგება გადავწყვიტე. როგორც გაირკვა, გაქცეულები ქართველები იყვნენ. თავადის შესახებ სამუელიც მესაუბრა, თავად მელქისედ მახარაძეს მეც ვიცნობდი, საქართველოში ჩემი მეზობელი იყო. მისი გარეგნობა და საუბრის მანერა იმდენად დახვეწილი იყო, რომ ყველას პატივისცემას იმსახურებდა. მაღალი, წარმოსადეგი, თავისი რასის კარგი წარმომადგენელი, მსმენელს ყოველთვის ხიბლავდა. მეორეს, „დიდ ბატონს“, მახარაძის პრო-

ტეჟეს, აშორდიას არ ვიცნობდი, მაგრამ მისი გვარი გაგებული მქონდა. ვის არ სმენია მასზე?

* * *

აშორდიას[1] უმაღლესი განათლება არ ჰქონდა, მაგრამ ქუთაისის გუბერნატორთან მისმა შეხვედრამ შედეგი გამოიღო და კანცელარიის მდივნად დანიშნეს. გონიერებისა და განსაცვიფრებელი შესაძლებლობების წყალობით გუბერნატორი ნდობით განაწყო და იმედიც არ გაუცრუებია. თუმცა, რამდენიმე წლის შემდეგ გუბერნატორი შეცვალეს და ახალმა გუბერნატორმა მისი ერთგული რამდენიმე რუსი მოხელე მოიყვანა. დასაწყისში აშორდია პოსტზე რჩებოდა, თუმცა მის წინააღმდეგ ინტრიგებმა იმატა. შურით აღვსილმა მისმა ახალმა კოლეგებმა სხვადასხვა დანაშაული მიაწერეს. ცილისწამებამ რუსი ბიუროკრატის, გუბერნატორის ყურამდეც მიაღწია. აშორდია თავს კარგად იცავდა, ამიტომ მისი დათხოვნა ვერ მოახერხეს. საუბედუროდ, მსგავსმა მძიმე ატმოსფერომ მის ირგვლივ, თვითშეფასებაზე იმოქმედა, მისი შესაძლებლობებისთვის ეს დიდი გამოცდა იყო. მაშინ, აშორდიამ უფროსის ხელმოწერის გაყალბება სცადა და იმიტაცია შესანიშნავად გამოუვიდა. კოლეგებისგან შევიწროვებულმა, გადაწყვიტა, სამაგიერო გადაეხადა და მაკომპრომატებელ საბუთებს ამზადებდა. მიზანს მიაღწია, მასთან დაპირისპირებულები დაითხოვეს.

წარმატებამ ამ გზით ფულის შოვნის იდეა გაუჩინა. ყველანაირ საბუთს ამზადებდა, მყიდველსაც შოულობდა. წლების განმავლობაში ამ „ინდუსტრიაში“ იყო ჩართული. მისი მდგომარეობა იმდენად კარგი იყო, რომ სხვებისთვისაც შესამჩნევი გახდა და ყურადღება მიიპყრო.

ყველაფერი ცუდად დამთავრდა: ერთ დღეს გამოიჭირეს. მძიმე შემთხვევა იყო. სასამართლო პროცესის წინა დღეს ციხის უფროსმა მისი სასწრაფოდ გათავისუფლების ბრძანება მიიღო. საბუთი ფალსიფიცირებული იყო, მაგრამ მიზანი – მიღწეული. აშორდია გაიქცა.

რამდენიმე წლის შემდეგ მსგავს დანაშაულზე ბაქოში ერთი პირი დააკავეს. გამოძიების თანახმად ეს აშორდია იყო, ყალბი პასპორტით ცხოვრობდა იქ. ახალი დანაშაული ძველსას დაემატა და შემთხვევა კიდევ უფრო დამძიმდა. რაკი მას უკვე იცნობდნენ,

[1] იგულისმხება სოლომონ აშორდია (რედ.).

ყველა გაფრთხილებული იყო და უსაფრთხოების ზომები მიღებული ჰქონდათ.

მიუხედავად ყველაფრისა, აშორდიამ მოახერხა და გენერალური პროკურორის ბრძანება გააყალბა. საბუთი ბაქოს ციხის უფროსს წარუდგინეს და აშორდიამ კვლავ შეძლო თავის დაღწევა. ხუთი დღის შემდეგ პოლიციამ მისი სამოსი, ფეხსაცმელი და ქუდი შავი ზღვის სანაპიროზე, ბათუმში იპოვა. პრესამ შემთხვევა 1903 წლის გაზაფხულზე დააფიქსირა.

1906 წლის ზაფხულში მელქისედ მახარაძემ მანჯურიაში იმოგზაურა. იქ შეხვდა მდიდარ, ხელგაშლილ, სტუმართმოყვარე ქართველს. ისინი დამეგობრდნენ. მახარაძის თანამემამულე ყველაზე მსხვილ მილიონერად ითვლებოდა, ყოველ დღე დღესასწაულებს მართავდა, ყველას ეხმარებოდა: ეს აშორდია იყო!

შემოდგომაზე აშორდიამ მელქისედს რუსეთში მოგზაურობა შესთავაზა, ყველა ხარჯს თავად გაიღებდა. მეგობრები გაემგზავრნენ. აშორდია ციმბირის ყველა დიდ ქალაქში გაჩერდა, ჩეკებს ანაღდებდა და დიდ თანხებს ხსნიდა. ჩელიაბინსკის სახელმწიფო ბანკში 300 000 რუბლის ჩეკი წარადგინა. თანხა იმდენად დიდი იყო, რომ ბანკის მმართველმა ჩეკი გამოართვა, მოუბოდიშა და სთხოვა, მეორე დღემდე მოეცადა.

როდესაც აშორდია მეორედ გამოცხადდა ბანკში, მმართველი პოლიციასთან ერთად დახვდა, ის დაიჭირეს და ომსკის ციხეში წაიყვანეს. იქ კი გენერალური პროკურორის ნებართვით, მელქისედი აშორდიას სანახავად შევიდა. აშორდია მეგობარს გადაეხვია სიტყვებით: „ჩემო ძვირფასო მეგობარო!“ ამგვარმა შეხვედრამ ციხის უფროსზე შთაბეჭდილება მოახდინა და ცივი გონებით განსჯის საშუალება დააკარგვინა. მახარაძემ გადაკვრით მიანიშნა, რომ მის მეგობარს განსაკუთრებული კვება სჭირდებოდა, რის გამოც გარედან უნდა შემოეტანა საჭმელი და ამასთან, მასთან ერთად უნდა ეჭამა. „თავადო, უარს ვერაფერზე გეტყვით“ – ჩაიბურყტუნა ციხის უფროსმა. სახელმწიფო მოხელემ საკუთარი კაბინეტი დაუთმო შეხვედრებისთვის, თავადაც მიპატიჟებული იყო ხოლმე სადილებზე, სადაც შამპანურებიც კი იხსნებოდა.

ციხის უფროსთან ურთიერთობამ შინაურული სახე მიიღო. ბოლოს მელქისედმა ჰკითხა, ომსკში თეატრი თუ არსებობდა. დადებითი პასუხის მიღების შემდეგ კი ციხის უფროსს განუცხადა, რომ მის მეგობარს სპექტაკლებზე სიარულის ტრადიცია ჰქონდა, ამიტომ სასურველი იქნებოდა, თუ დროდადრო თეატრში გასვლის უფლებას მისცემდნენ. ციხის უფროსი დაეთანხმა. ამის შემდეგ კი

მომზადებული სცენარი განვითარდა: აშორდია საღამოს რვა საათისთვის გადიოდა და შუაღამემდე ბრუნდებოდა ციხეში, მაგრამ ერთ მშვენიერ საღამოს ჩიტი ბუდიდან გაფრინდა.

* * *

ერთ დილას ციხიდან გამოგვიყვანეს, ჯარისკაცთა გაძლიერებული ესკორტით ფეხით უნდა წავსულიყავით ტარაში, დაახლოებით, 1000 კმ. უნდა გაგვევლო. მსვლელობა ოცდახუთი დღე გაგრძელდებოდა. ჩვენი ნივთები მარხილით წავიდოდა.

ჯგუფი ოცდახუთამდე პოლიტიკურ პატიმარს ითვლიდა. მათ შორის იყო ამხანაგი, რომელიც რიაჟსკის ციხეში გავიცანი. უმრავლესობა მოსკოვიდან და სანკტ-პეტერბურგიდან იყვნენ, ასევე იყვნენ საზოგადო უფლებაჩამორთმეული პირებიც, რომელთაც ჩვენს კონცეფციებს თავს ვერ მოვახვევდით.

საშინელი განსაცდელის წინაშე აღმოვჩნდით: -35 გრადუსში, ძლიერ ქარში დღეში 30-40 კმ. უნდა გაგვევლო ფეხით. როგორ დავძლევდით ამ პირობებს? თუნდაც ძალიან ელემენტარული, მაგრამ კვება და თავშესაფარი უნდა გვქონოდა, რათა ღამით დაგვესვენა, ამ საკითხის მოგვარება სასიცოცხლოდ მნიშნელოვანი იყო, სხვაგვარად, დასუსტებულები და გაყინულები ვერ გავუძლებდით მოგზაურობას.

ჩვენი პრინციპების ერთგულების სახელით, ერთგვარი თემობრივი გაერთიანებები შევქმენით. ასეთ დიდ ჯგუფში დისციპლინის შენარჩუნებაზე ვღელავდი, თუმცა ამის შესახებ მხოლოდ მინინს გავენდე.

პირველი სამი დღე ჩვენი „კომუნა“ შესანიშნავად ფუნქციონირებდა. რის გამოც ამხანაგი ირონიულად იხსენებდა ჩემს ღელვას და „სკეპტიკოს სოციალ-დემოკრატს“ მიწოდებდა.

როგორც კი სპეციალურ თავშესაფარში მივედით, ფუნქციები განვსაზღვრეთ: ზოგს რძის საკითხი დაევალა, ზოგს – პურის, ხორცის, საკვები უნდა მომზადებულიყო. მე და მინინმა გადავწყვიტეთ, თავშესაფრის ნაწილებში პატიმრები ისე გადაგვენაწილებინა, რომ პოლიტპატიმრები ცალკე ყოფილიყვნენ, ამგვარად, ღამით კრმინალებთან არეულობას ავიცილებდით.

თითოეული ყურადღებით ასრულებდა დაკისრებულ დავალებას. ყველა თავშეკავებული იყო, როგორც ეს მაღალი იდეალებისთვის მებრძოლ პოლიტიკოსებს შეეფერებოდა.

პირველი ეტაპი ჩემს პესიმიზმს აქარწყლებდა, მაგრამ ნელ-ნელა მორალურმა რღვევამ იჩინა თავი, განსაკუთრებით კი ღამით, სოფლებში. ჩემთვის და მინინისთვის ეს ამბავი შეუმჩნეველი დარჩა.

სვლას დილის რვა საათზე ვიწყებდით და სამ საათზე ადგილზე ვიყავით ხოლმე. ამტანობისა და თმენის საზღვარი მიღწეული იყო; ამ დროს დაღლილობა პიკს აღწევდა და პატიმრებს ვნებების დაკმაყოფილების სურვილი უჩნდებოდათ. ზოგიერთი „პოლიტიკოსი“ სკანდალურად იქცეოდა ქალების დანახვაზე.

ჩემი მამაცი ამხანაგი მინინი, ჩემსავით აღშფოთებული იყო მომხდარით, აღიარებდა, რომ ჩემს პესიმიზმს რეალობამ გადააჭარბა. ამაოდ ცდილობდა სიტუაცია მოეწესრიგებინა.

„კომუნა“ დაიშალა. ზოგიერთი ამხანაგის ქცევა მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით კი ქალებისთვის აუტანელი ხდებოდა. პატიმრებთან ერთად სმისა და მიუღებელი ქცევის თანამონაწილენი იყვნენ ჩვენი ესკორტის ჯარისკაცებიც.

სანკტ-პეტერბურგელი მუსიკოსის, ბოგდანოვის აგრესიული ქცევა ინტელექტუალებისა და ებრაელების წინააღმდეგ ყოველგვარ ზღვარს აჭარბებდა, ის მათ რუსეთის ყველა უბედურების საბაბად მიიჩნევდა. მისი დამოკიდებულებები განსაკუთრებით შემაშფოთებელი ხდებოდა.

ერთ საღამოს მინინი ტიუმენის ციხეში წარმოთქმულ სიტყვას აწესრიგებდა. ოთახის ბოლოში, მეორე ოთახის შესასვლელის მოპირდაპირედ იჯდა, იქიდან კი პირდაპირ შეიძლებოდა გასვლა მესამე ოთახში, სადაც ჩვენი ესკორტი განთავსებულიყო. მეც მინინის მარჯვნივ ვიჯექი. რკინიგზის ყოფილი მოხელე, კოვალენკო, რომელიც 1905 წელს მოსკოვის აჯანყებაში იყო ჩართული, რის გამოც თხუთმეტი წლით მიესაჯა ციმბრიში გადასახლება, თითქმის ორსაათიანი სეირნობის შემდეგ დაბრუნდა, პირდაპირ მინინისკენ აიღო გეზი და შეურაცხყოფა მიაყენა. მინინი არ გაბრაზებულა და მისთვის ჩვეული, უფრო დამცინავი პასუხი გასცა. კოვალენკო არ გაჩერდა, მიუხედავად ჩვენი საყვედურებისა. მე გაჩუმება მოვთხოვე. მან ჩემზე მუქარის ხელი აღმართა. ჯარისკაცები არც განძრეულან, რაც საეჭვოდ მეჩვენა. მეც ადგილზე ვრჩებოდი. როდესაც კოვალენკო ჩემთვის ხელის დასარტყმელად დაიძრა, ავდექი და წიხლი ჩავარტყი მუცელში. კოვალენკო ძირს დაეხეთქა. მე ადგილს დავუბრუნდი, ის კი წამოდგა და ანგარიშის გასასწორებლად გამოემართა. ჯარისკაცები იარაღებით გამოიქცნენ „წესრი-

გის დამყარების“ მიზნითა და ერთ-ერთის დანაშაულის პროცესში გამოჭერის სურვილით. განსხვავებული სურათი დახვდათ, ამიტომ კოვალენკოს აყვანის ბრძანება მიიღეს. მე და მინინი კოვალენკოს სასარგებლოდ ჩავერიეთ. უნტეროფიცერმა დაგვითმო და გაათავისუფლა კოვალენკო, თუმცა ინცინდენტი ყველასთვის ცუდად დამთავრდა, შუაღამისას ჩვენი სამყოფელი დაგვატოვებინეს და საერთო ოთახში გადაგვიყვანეს, სადაც მთელი ღამე ფეხზე გავატარეთ, საზარელ, ბინძურ კრიმინალებთან.

თავი III

ზედამხედველობითი თავისუფლება ტარაში

(ციმბირი)

ტარამდე ჯგუფის ნახევარმა მივაღწიეთ, გაყინულები და დაქანცულები ვიყავით. დასვენებას ვერ ვახერხებდით, საკმარისი ადგილი არ იყო, რომ დავწოლილიყავით. ხელისუფლება მარხილებს აგზავნიდა მათთვის, ვისაც სიარული აღარ შეეძლო.

დანიშნულების ადგილზე მისვლისას, ჯერ ფორმალური მხარე მოაგვარეს, ერთ დიდ ოთახში შეგვკრიბეს. ბრძანებებს მსუქანი, წვერიანი და მკაცრი კაცი გასცემდა, პოლიციის თანამშრომლებსაც ეშინოდათ მისი. ეს გახლდათ ე.წ. „ისპრავნიკი“, დანაყოფის უფროსი. აღნიშნული ცერემონიის დასრულების შემდეგ გადასახლებაში მყოფმა პოლიტმატიმრებმა მიგვიღეს.

დამხვდურებს გამოეყო ერთი ახალგაზრდა ქალი, ლამაზი, მუქი ფერის თმით, უკან მოჰყვა მისივე ასაკის კაცი, გრძელი ულვაშით. ქალმა მომმართა: „ამხანაგო *კნიაზ*!“ მე მივუგე: „ამხანაგო!“ ცოტა დაიბნა, მითხრა, რომ ის და მისი მეუღლე „ამხანაგ კნიაზს“ ეძებდნენ, რათა თავისთან მიეპატიჟებინათ ვახშამზე და ღამის გასათევად, სანამ შესაბამის ოთახს მოუძებნიდნენ. სანამ მეუღლეს გამაცნობდა, მივხვდი, ვინც იყვნენ, ევგენი პისარევსკი, ფილოლოგი, რუსეთის ისტორიის სპეციალისტი; ჩემი ახალი მეგობარი, გამორჩეულ გაკვეთილებს ატარებდა. არსებულ ისტორიას ფალსიფიცირებულად აფასებდა და გაკევთილის ჩატარების საკუთარი მეთოდები ჰქონდა, მისი ცნობები პოკროვსკის მასალას ეყრდნობოდა. მეუღლე ევგენიაც უნივერსიტეტელი იყო. ორივე პოლონელი გახლდათ, ვარშავიდან.

ქალბატონმა პისარევსკაიამ კვლავ თხოვნით მომმართა. ვუპასუხე, რომ იძულებული ვიყავი მიპატიჟებაზე უარი მეთქვა, რადგან მარტო არ ვიყავი, უკვე სამი კვირაა ერთ ამხანაგს ვეხმარები, რომელსაც პირველადი საჭიროების ნივთების ყიდვის საშუალებაც

არ აქვს, ამიტომ გადამწყვეტ მომენტში ვერ დავტოვებდი. პისარავსკებმა შემომთავაზეს, ამხანაგიც მათთან წამეყვანა.

ახალგაზრდა ცოლ-ქმარს ანოსოვი გავაცანი. 22 წლის ყმაწვილი, ქერა, საშუალო სიმაღლის, ოვალური სახით, მაღალი შუბლით, ნაცრისფერი თვალებით, მისი მზერა ჭეშმარიტებასა და იდეალების ცეცხლს ასხივებდა. ჩვენმა მასპინძლებმა პოლიციას უთხრეს, რომ ჩვენზე ყოველგვარ პასუხისმგებლობას იღებდნენ და თავისთან წაგვიყვანდნენ.

* * *

პისარევსკები მოაზროვნე და მოსიყვარულე წყვილი გახლდათ. მსგავსი ოჯახური გარემო დიდი ხანია აღარ გვენახა. ცალკე საძინებელიც გამოგვიყვეს. ბოლო ერთი წლის განმავლობაში პირველად მეძინა კარგად. გაღვიძებისას ეს პერიოდი შევაფასე: თებერვალია, ამგვარად, ცამეტი თვეა, რაც დამიჭირეს. ახლა კი, თავისუფალი ვარ, მართალია, თავისუფლება სრულფასოვანი არ არის, ზედამხედველობის ქვეშ ვარ, მაგრამ მაინც თავისუფალი!

მეორე დღეს ძლიერი დაღლილობა ვიგრძენი. გონება მოვიკრიბე, ავდექი და მასპინძლებთან გავედი, რომელნიც უკვე ორი საათი გველოდნენ სადილისთვის. პისარევსკი ჩემი საცხოვრებლის მოსაძებნად აპირებდა გასვლას. მან დაითანხმა „ისპრავნიკი“ ჩემი ტარაში დატოვების საკითხზე. ასე გადავურჩი აქედან დაახლოებით სამას კილომეტრში გამგზავრებასა და ოლქიდან მოშორებით ყოფნას.

ჩემი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად პისარევსკიმ ერთი ამბავი მომიყვა: როდესაც შეიტყვეს, რომ მთავრობამ სწორედ ამ ოლქში გადასახლება მომისაჯა, ჩემი ამხანაგები ტობოლსკიდან დაუკავშირდნენ გუბერნატორ განდატის, რომელსაც „კოლექტიური პასუხისმგებლობის“ შეთანხმება ჰქონდა მათთან და მოსთხოვეს, დეპარტამენტის ყველაზე სამხრეთ ნაწილში გავენაწილებინე. განდატიმ თანხმობა მისცა და ამის შემდეგ ამხანაგებმა პისარევსკის მიაწოდეს ცნობა. „ეს ყველაფერი უკავშირდებოდა ორი თვის წინ მატარებელში მომხდარ *კნიაზისა* და ჯარისკაცების საოცარ ამბავს“, დაამატა ჩემმა თანამოსაუბრემ – „ციმბირის სხვადასხვა მხარეში გადანაწილებულმა გადასახლებულებმა ყველგან გაავრცელეს ეს ამბავი, ირკუცკში, სახალინზე, ენისეისკსა, თუ ტო-

ბოლსკში.“ შემდეგ საუბარი დავიწყეთ მეორე დუმის არჩევნებზე, როდესაც ჯაფარიძის[1], წერეთლისა[2] და მახარაძის [3] გვარები ვახსენე, სკეპტიკური იერი მიიღო, თუმცა ორი კვირის შემდეგ სწორედ ამ ახალი გვარების გამარჯვებას იუწყებოდა დეპეშები. სულ ცოტა ხანში ყველა რუსისთვის ძალიან ახლობელი გახდა მათი გვარები.

სანამ ანოსოვს ღრმა ძილით ეძინა, პისარევსკიმ, მეუღლესთან ერთად, ჩემი ოთახის სანახავად წამიყვანა. ადგილზე პოლიციელიც დაგვხვდა. თანამედროვედ მოწყობილი ოთახი იყო სახლის მეორე სართულზე, ფართო, კარგი ავეჯით, დამოუკიდებელი კიბით. საცხოვრებლის დანარჩენ ნაწილში კი, მეპატრონე, კუსკოვი ცხოვრობდა. პირველ სართულზე მათი სასურსათო მაღაზია მდებარეობდა. ოჯახი ხუთი წევრისგან შედგებოდა – მისი ზორბა, სიმპათიური ცოლი და სამი ქალიშვილი. ყველაზე პატარა ცამეტი წლის იყო და დაწყებით სკოლაში სწავლობდა. უფროსი ავადმყოფობდა და დედას ეხმარებოდა საოჯახო საქმეებში. შუათანა ქკვიანი და ლამაზი გოგონა იყო, თვრამეტი წლის ასაკში დაწყებითი სკოლის მასწავლებლის გამოცდას ამზადებდა. ხშირად მოდიოდა ჩემთან რჩევების მისაღებად; ბავშვურად ეცინებოდა, როდესაც ჩემი პასუხი ეუცხოებოდა. წვეროსანი კუსკოვი პირქუში კაცი იყო, თუმცა ციმბირელის პირობებზე, საკმაოდ სტუმართმოყვარე.

შევთანხმდით, ოთახისთვის თვეში 7 რუბლს გადავუხდიდი. შუადღისას მარხილი დავიქირავეთ, ანოსოვიც აქ უნდა გადმომეყვანა, სანამ რაიმე თანხას მიიღებდა.

---

[1] სერგო ჯაფარიძე (1871-1937) – ქართველი სოციალ-დემოკრატი, იურისტი, საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, რუსეთის პირველი სათათბიროს წევრი (1906), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის მოადგილე (რედ.).

[2] ირაკლი (კაკი) წერეთელი (1881-1959) – ქართველი პოლიტიკოსი, პუბლიცისტი, ქართული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი გამოკვეთილი ლიდერი, საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი (რედ.).

[3] გერასიმე მახარაძე (1881-1937) – ქართველი პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, მონაწილეობდა 1905 წლის რევოლუციასა და გურიის რესპუბლიკის პოლიტიკურ საქმიანობაში. 1917 წელს აირჩიეს საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად, 1919 წლიდან საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი. 1937 წლის დიდი ტერორის დროს მენშევიკობის ბრალდებით გაასამართლეს და დახვრიტეს (რედ.).

* * *

თავისუფალი ვიყავი, თუმცა ყოველ დილას და საღამოს პოლიციელი მოდიოდა, საკმაოდ თავშეკავებული ვიზიტით, მეპატრონეებისგან ჩემი დღის რეჟიმის შესახებ დამატებით ინფორმაციას იღებდა.

ტარა პატარა ქალაქია, პოლიტმატიმრების რიცხვი კი ისეთი დიდი იყო, პირველივე დღეებიდან შეიქმნა რევოლუციური სულისკვეთების ორგანიზაციები. ყველაფერი პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა, ბიბლიოთეკა, საფუნთუშე, საკონდიტრო, სასურსათო, რესტორანი!

გამოკვეთილ ფიგურებს შორის იყვნენ იურისტი ლიბერმანი და პოლკოვნიკი მაქსიმოვსკი, აღარაფერს ვამბობ ჩვენთვის უკვე ცნობილ პისარევსკების წყვილსა და სოციალისტ-რევოლუციონერ სოლოვეიჩიკზე. ლიბერმანი და მაქსიმოვსკი ჭკვიანი და სიმპათიური ადამიანები იყვნენ. პირველი მათგანი ახალგაზრდა მენშევიკი გახლდათ, გამორჩეული ორატორი; ხოლო მეორე, უკვე ასაკოვანი, აქ განცალკევებით მოქმედების ბრალდებით იყო, თუმცა მამაცი: პირველი დუმის დაშლას აპროტესტებდა. მათი მეუღლეები რევოლუციონერი აქტივისტები არ იყვნენ, როგორც ქ-ნი პისარევსკაია, თუმცა საკუთარი სურვილისამებრ გამოჰყვნენ ქმრებს გადასახლებაში.

ბიბლიოთეკა და რესტორანი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. ინტელექტუალები ბიბლიოთეკის საქმიანობით იყვნენ დაკავებულნი, ეს ხელს არ უშლიდათ თავის რჩენაში. რესტორნის მართვა უფრო სტრატეგიულ უნარ-ჩვევებს ითხოვდა. გენერლის არყოფნაში საქმიანობა პოლკოვნიკ მაქსიმოვსკის ებარა. ორად გაყოფილი წვერით, ფართო ღიმილითა და მშვიდი მზერით, დიპლომატიური მანერებით ყველას ხიბლავდა, განურჩევლად პარტიისა. სოციალ-დემოკრატებს, სოციალ-რევოლუციონერებს, თუ ანარქისტებს, ყველას კარგი კვება სჭირდებოდა. პოლკოვნიკი საქმეს წარმატებით ართემვდა თავს.

კარგი ურთიერთობა გვქონდა ხალხთან, განსაკუთრებით კი, ინტელექტუალებთან, მათ მეტრებად მივაჩნდით. ტარას უმაღლესი სასამართლოც, გარდა „ისპრავნიკისა“, მათ შორის, გენერალური პროკურორიც კი, ძალიან ხშირად სტუმრობდნენ ჩვენს შეკრებებს ხან რესტორანში, ხანაც – სამკითხველო დარბაზში, რომელსაც პროკურორის ჩარევით გვითმობდნენ. მოსამართლე

დაახლოებით ისეთივე რევოლუციონერი იყო, როგორც ჩვენ. სწორედ მისგან მივიღეთ ტელეგრაფით გამოგზავნილი წერეთლის ცნობილი გამოსვლის ანგარიში, რომელიც ჯერ პრესას არ ჰქონდა გაშუქებული. პირველები ვეცნობოდით სიახლეებს!

წერეთლის სიტყვაში ერთად იხარშებოდა ერთწლიანი რეპრესიებისას დაგროვებული ტანჯვა და აღშფოთება, რამაც ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, როგორც დეპორტირებულებზე, ასევე მთელი რუსეთის მოსახლეობაზე. დუმაში ეს ერთადერთი პასუხი იყო სტოლიპინის მიერ წაკითხული იმპერიალისტური მთავრობის დეკლარაციაზე. წერეთლის პასუხმა ცარისტულ მთავრობაში მორალური რღვევა გამოიწვია. ქართული დეპუტაცია კი, კიდევ ერთხელ მოექცა რუსული ოპოზიციის სათავეში, რამაც გადასახლებულთა რიგებში ენთუზიაზმი გააღვივა. უამრავი შეხვედრა, დისკუსია, თუ კონსულტაცია გაიმართა ბოლშევიზმსა და მენშევიზმზე, პარლამენტის ტაქტიკაზე, ლენინის დამოკიდებულებებზე, თუ როგორ არ უცხადებდა ბოიკოტს მეორე დუმას, პირველისგან განსხვავებით. მას ეყო გამბედაობა ტაქტიკური შეცდომა ეღიარებინა და შეუპოვრად დამდგარიყო. თუმცა საკუთარი პარტიზანების დიდმა ნაწილმა მხარი არ დაუჭირა და ბოლშევიკების არყოფნისას მათ შეხედულებებს მენშევიკი კლიმოვი იცავდა.

* * *

ერთ დღეს მოსკოვიდან მხატვარი ალტუხოვი მეწვია, მინინისა და ქ-ნი პისარევსკაიას რეკომენდაციით. ჩემი პორტრეტის ხატვას შეუდგა. პროცესი ათი დღე გაგრძელდა.

სწორედ ამ პერიოდში სამწუხარო ამბავი მოხდა, ჩვენი ერთ-ერთი ამხანაგი გარდაიცვალა. რაკი ეს პირველი ფაქტი იყო, გადავწყვიტეთ, გამორჩეული ცერემონია მოგვეწყო. მოსამართლეთა მხარდაჭერაც გვქონდა. თავად „ისპრავნიკიც“ კი საღამოობით გადასახლებულებთან ერთად ატარებდა დროს, ბანქოს თამაშობდა. პროკურორს უთხრა, რომ ჩვენი გადაწყვეტილება სავსებით ბუნებრივად მიაჩნდა და დაბრკოლებას არ შეგვიქმნიდა.

ბოლო დეტალებს ვაგვარებდით, როდესაც, ჩვენდა გასაოცრად, „ისპრავნიკმა“ დაკრძალვის ღონისძიებებში ჩარევა და მონაწილეობა აგვიკრძალა და კრება დაშლილად გამოაცხადა! ხელახლა ვიმსჯელეთ და გადავწყვიტეთ, უარი არ გვეთქვა ჩანაფიქრზე.

მეორე დღეს, სამ საათზე ქალაქის ცენტრში, საავადმყოფოს წინ შევიკრიბეთ, საიდანაც სამგლოვიარო პროცესია უნდა დაძრულიყო. უამრავი ხალხი შეიკრიბა ჩვენ მხარდასაჭერად. რაკი „ისპრავნიკმა“ ცერემონიაში მონაწილეობა აგვიკრძალა, იძულებულები გავხდით, ბრძანებას არ დავმორჩილებოდით. კორტეჟი შეირხა, დროშა გაიშალა და სამგლოვიარო, რევოლუციური სიმღერა გაისმა: „თქვენ მსხვერპლად შეეწირეთ...“ „ისპრავნიკმა“ ძალაუფლება პოლკოვნიკ მედვედიევს, ქვეითი პოლკის მეთაურს, გადააბარა. ამ უკანასკნელმა გზა გადაგვიღობა. დროშების ირგვლივ შეხლა-შემოხლა დაიწყო. ჯარისკაცებმა მოახერხეს ჩვენი ალყაში მოქცევა და პოლკოვნიკი მედვედიევის ბრძანებით, ასე მიგვაცილეს სასაფლაოზე. საფლავთან სოლოვეიჩიკმა, გარდაცვლილი ამხანაგის პატივსაცემად გაბედული პოლიტიკური სიტყვა წარმოთქვა.

ამგვარად, საკადრისი პატივი მივაგეთ გადასახლებულთა კოლონიის პირველ გარდაცვლილს.

თავი IV

ისევ ციხეში

დიდი ჩრდილოეთისკენ

ემოციური დღის შემდეგ დასვენება უფრო გვინდოდა, თუ ხელისუფლების მხრიდან უეცრად დამოკიდებულების შეცვლის საკითხის განხილვა?

პისარევსკის მოწოდებით, მდინარე ირტიშის სანაპიროზე, ბუჩქნარში შევიკრიბეთ. რამდენიმე ვიყავით, პისარევსკების წყვილი, ლიბერმანი, მაქსიმოვსკი. ყველა ანთებული იყო მიმდინარე მოვლენებითა და საუბრით. შენატანების უფროსი კონტროლიორი, დზიუბინსკი აღშფოთებული იყო და ღიად ადანაშაულებდა ხელისუფლებას; პროკურორი კი, პირიქით, გვეწინააღმდეგებოდა და რაზმების გამოსვლას ამართლებდა. ქალაქის მოსახლეობა ჩვენს მხარეს იყო, ვერ ხვდებოდნენ, რაში დასჭირდა ხელისუფლებას რეპრესიული ზომების მიღება. პროკურორი მკაცრად გაკიცხეს.

ნელ-ნელა მსმენელები გვემატებოდნენ. სასიამოვნო საღამო გამოვიდა. ზაფხულის ცხელი დღის დასასრული გრილ ადგილას, მთვარის შუქზე. ქალაქის მაღაზიის მფლობელი, გრაბოვსკიც გამოჩნდა. ის ალექსანდრე II-ის[1] მეფობისას გადასახლებული პოლონელის შთამომავალი იყო. არ ვიცოდი, თუ ცუდი ამბის მაცნედ მოდიოდა, ამიტომ როგორც კი მოგვიახლოვდა, შევეგებე და მის ცხენზე დავჯექი. სანამ ჩვენს ჯგუფს მიუახლოვდებოდა, ადგილიდან მოვწყდი და უკვე ჰორიზონტზეც აღარ ვჩანდი.

მდინარის ნაპირს მივუყვებოდი, შესანიშნავ, ახალგაზრდა და ძლიერ ცხენზე ამხედრებული. საათნახევრის შემდეგ დავბრუნდი, მხიარული ჭენებით. მეგობრები ჩემკენ გამორბოდნენ; შუბლზე დარდი აღბეჭვდოდათ.

მომხიბვლელი ქ-ნი პისარევსკაია დაწინაურდა, რათა ჩემთვის ახალი ამბავი ეცნობებინა. მეორე დუმა დაიშალა, ჯაფარიძე

---

[1] ალექსანდრე II (1818-1881) – რუსეთის იმპერატორი, ნიკოლოზ I-ის მემკვიდრე, მის სახელს უკავშირდება რუსეთის იმპერიის ფარგლებში ბატონყმობის გაუქმება და მრავალი მნიშვნელოვანი რეფორმა (რედ.).

და წერეთელი, ასევე, პარტიის წევრები, დრამატულ პირობებში აიყვანეს.

მთავრობამ მათ საპარლამენტო იმუნიტეტის მოხსნა მოსთხოვა. მიზეზი ნათელი იყო, მათ დაჭერას აპირებდნენ. დუმა ღირსების დაკარგვასა და დაშლას შორის ორჭოფობდა. წერეთელი ტრიბუნაზე ავიდა, მაგრამ თავმჯდომარემ სიტყვის უფლება არ მისცა. წერეთელი ჩამოსვლას აპირებდა, როდესაც ჯაფარიძე წამოდგა და დაიძახა: „მოტივი, მოტივი!“ წერეთელიც მიჰყვა ამ მუხტს და გაბედული, ძლიერი სიტყვა წარმოთქვა, რამაც დუმის წევრებს გადაწყვეტილება მიაღებინა, მთავრობას უარი უთხრეს. წერეთელი 25 წლისაც არ იყო, როდესაც პირველმა წარმოთქვა სიტყვა თავრიდის სასახლეში და ახლა მისი სიტყვა ბოლო იყო. გამონათქვამი „მოტივი“ მომავალი დუმის და რუსთის ყველა ასამბლეის რეგლამენტში შევიდა. მთავრობამ დუმა დაშლილად გამოაცხადა და მისი წევრები დაიჭირა, უპირველესად კი, ჯაფარიძე და წერეთელი.

ტარას პროკურორმა დუმის დათხოვნის შესახებ დეპეშა მიიღო, რამაც „ისპრავნიკში“ სისასტიკის ენთუზიაზმი მყისიერად გააღვივა.

* * *

ჩვენთვის მოვლენები დაჩქარდა: გამთენიისას, 4 საათზე კუსკოვის სახლი ჯარისკაცებმა ალყაში მოაქციეს, პოლიციელები ჩემს ოთახში შემოვიდნენ და გამაღვიძეს, მიბრძანეს, მათ გავყოლოდი.

დავემორჩილე. ანოსოვი, რომელიც პოლიციელებს წინააღმდეგობას უწევდა, დავამშვიდე. ტარას ციხეში გადამიყვანეს, დაახლ. 500 მეტრში. 9 საათისთვის ანოსოვი და კიდევ ოცდაათამდე პირიც მოიყვანეს. შუადღისას უკვე 150 ვიყავით. ქალბატონები პისარევსკაია და ფრიაუ იქვე, ციხის საავადმყოფოს ეზოში, მიიყვანეს.

პისარევსკის, რაბინოვიჩს და ლიბერმანს შევთავაზე, ციხის უფროსისთვის მოგვეთხოვა, პროკურორთან და „ისპრავნიკთან“ შეხვედრა, რათა ჩვენი ბრალეულობა აეხსნათ. ამხანაგებმა საჭირო ზომები მიიღეს და მე დამევალა სახელმწიფო მოხელეებთან საუბარი.

შეხვედრა ციხის ეზოში შედგა და მას ყველა პატიმარი, პოლიციელი და ციხის უფროსი ესწრებოდა. აქ სიტყვის სრული თავისუფლება გვქონდა, ზრდილობის განსაკუთრებული ნორმების დაცვა არ გვჭირდებოდა, როგორც მაშინ, როდესაც მოხელეები მე-

გობრულ დამოკიდებულებას ამჟღავნებდნენ ჩვენ მიმართ. ყველა საკითხში ერთიანი და მყარი პოზიცია გვქონდა. მაგრამ რა უნდა მეთქვა მათთვის? ჯმუხი, წვერებიანი „ისპრავნიკი“ ღირსებას ინარჩუნებდა, როგორც ეს პოლიციის უფროსს შეეფერებოდა: შორიდან მოგვესალმა მკაცრი იერით. პროკურორი კი მოღიმარი სახით ყველას ხელს ართმევდა, ვისაც ახლობლად თვლიდა. სწორედ ამ უკანასკნელს მივმართე:

„ბატონო, თქვენი მისალმების მანერა ხაზს უსვამს თქვენ მეგობრულ დამოკიდებულებას გადასახლებაში მყოფი ელიტის მიმართ. თქვენ ჩვენს შეკრებებს ესწრებოდით, სიტყვითაც გამოდიოდით, ერთვებოდით პოლიტიკურ დისკუსიებში, ზოგიერთ ჩვენგანზე უფრო მემარცხენე პოზიციას იჭერდით, თქვენ თანამესაუბრეზე უფრო მემარცხენესაც კი. ეს ბატონიც (და თითით „ისპრავნიკზე“ მივუთითე) საკმაოდ კარგ ურთიერთობაში იყო ზოგიერთ ჩვენგანთან, მათ ბანქოს ეთამაშებოდა, თუმცა მას ცალსახად პოლიციელის როლი აქვს. გუშინ გამოჩენილმა შეუბრალებლობამ ხელი არ შეუშალა, საღამოს იმავე ადამიანებთან ეთამაშა ბანქო.

ჩემი კითხვა შემდეგია: როგორც სახელმწიფოს წარმომადგენელსა და კანონდამცველს, დუმის გახსნის სეანსზე წერეთლის წარმოთქმული სიტყვის ანგარიში რა მისიით დაგქონდათ კარდაკარ დაახლოებით სამი თვის წინ, ხოლო გუშინწინ თქვენ მეგობრებად წოდებულ ხალხს წერეთლის მიერ დუმის დათხოვნისას წარმოთქმული ბოლო სიტყვა დაუმალეთ, რატომ?“

სამარისებური სიჩუმე იდგა, ყველა მისმენდა, თუმცა, როგორც კი პროკურორმა პასუხის გაცემა დაიწყო და თავის გასასამართლებლად „პროკურორის მოვალეობები“ ახსენა, ხმაური ატყდა, პატიმრები ბრაზსა და შეშფოთებას მოურიდებლად გამოხატავდნენ.

ამ ხმაურისა და ალიაქოთის ფონზე ველოდით, რას გვიმზადებდნენ და ამისთვის ვემზადებოდით. თავდაპირველად შევქმენით „თავსუფალი რესპუბლიკა“. მხოლოდ ღამით გვკეტავდნენ ოთახებში, დღის განმავლობაში კი სურვილისამებრ ვმოძრაობდით შენობასა, თუ ეზოში, არც საკითხავი მასალა გვაკლდა და არც განსახილველი თემები. ჩვენს ეზოსა და საავადმყოფოს შორის არსებულ პატარა სახლში სამზარეულო იყო განთავსებული. ჩვენი „შეფ-მზარეული“სასურველ სადილებს გვიმზადებდა. სწორედ ამ გამყოფ ზოლზე, რკინის მესერის მიღმა ვესაუბრებოდით ხოლმე ქალბატონებს პისარევსკაიასა და ფრიაუს.

ღამე ვახსენე, მაგრამ სინამდვილეში, ამ სეზონზე ციმბირში ღამე არ არსებობს. შუაღამისასაც კი განათების გარეშე შეგვეძლო

გაზეთების კითხვა. ამ პოლარულ ზონაში ზაფხული ისეთი ცხელია, ტემპერატურა 50^0-ზე ადის, ზამთარში კი ძლიერი ყინვაა, -40^0. ეზო, სადაც ზაფხულის ხვატს ვერსად შევეფარებოდით, სულს გვიხუთავდა, ამიტომ დღის განმავლობაში საკნებში ვისხედით.

სამი კვირა ისეთი აუტანელი სიცხე იყო, ადმინისტრაცია საკნების კარებს აღარ კეტავდა ღამითაც კი. კვლავ არ ვიცოდით, რა გველოდა. „ისპრავნიკი“ და პროკურორი ჩვენს შეკითხვებზე გაურკვევლად პასუხობდნენ და ამბობდნენ, რომ არაფერი იცოდნენ. ამ პერიოდში ბევრი პატიმარი გაათავისუფლეს, მათ შორის, პისარევსკების წყვილი, პოლკოვნიკი მაქსიმოვსკი, ლიბერმანი. მინინი გაქცეული იყო, სოლოვეიჩიკი სემიპალატინსკში იყო წასული ჩვენი დაკავების დღეს. ამგვარად, ტარას ციხეში საყურადღებო ფიგურათა შორის მხოლოდ რაბინოვიჩი მრჩებოდა.

უმაღლეს სასამართლოში დზიუბინსკი ერთადერთი იყო, ვინც ბოლომდე უერთგულა გადასახლებულთა მეგობრობას. სოლიდარობის ნიშნად, ხშირად გვსტუმრობდა. რაც შეეხება პროკურორს, მან პირველი დღიდან მტრული პოზიცია აირჩია; თუმცა, ორივე მათგანის კარიერაზე დადებითი გავლენა მოვახდინეთ, ჩვენთან მეგობრობის გამო დზიუბინკის ადგილობრივმა მოსახლეობამ მხარი დაუჭირა და მესამე დუმაში ტარას წარმომადგენლად აირჩიეს, „ტრუდოვიკის“ გუნდის თავმჯდომარე გახდა. პროკურორიც დაწინაურდა და დიდ ქალაქში გადაიყვანეს.

ხშირად, ერთის უბედურება სხვის ბედნიერებას ქმნის, მაგრამ იშვიათობაა, რომ წარმატება ერთნაირად მოუტანოს მსხვერპლის მეგობარსაც და მტერსაც!

* * *

ორი თვის შემდეგ ყველა პატიმარი გაუშვეს ციხიდან და საცხოვრებლებს დაუბრუნეს, ხუთი ადამიანის გარდა: ორი სოციალ-რევოლუციონერი, გუსიევი და ანოსოვი, ერთი ანარქისტი, ქ-ნი ფრიაუ, რაბინოვიჩი და მე. მესამე თვის ბოლოს სანკტ-პეტერბურგიდან წერილი მოვიდა, რომელიც ჩვენს ობდორსკში დეპორტაციის ბრძანებას იძლეოდა. ობდორსკი ტობოლსკის ჩრდილოეთს წარმოადგენდა, ჩრდილოეთის ოკეანესთან მდებარეობდა. ზამთარი იქ ბევრად მკაცრი იყო, ვიდრე ტარაში. მდინარე ირტიში ცხრა თვის განმავლობაში გაყინულია, შესაბამისად, მოსახლეობა სრულ იზოლაციაშია.

იქამდე ჩასვლა კი, ურთულესი საქმეა. ტარადან 3000 კმ. უნდა გაგვევლო ფეხით. მსგავს სამთვიან მოგზაურობას გავუძლებდით? ჩვენი მეგობრები საქმეში ჩაერთნენ. ცდილობდნენ, გუბერნატორი ეიძულებინათ, ჩვენთვის გემით მგზავრობის ნებართვა მოეცა, ასეთ შემთხვევაში 1 კვირა, ან 10 დღე დაგვჭირდებოდა დანიშნულების ადგილზე მისასვლელად. ზუსტი მითითებების მოლოდინში, „ისპრავნიკმა“ მოისურვა, ორი დღით გადაედო ჩვენი გამგზავრება, თუმცა, კატეგორიული უარი მიიღო. არჩევანი აღარ გვქონდა, ბრძანებას უნდა დავმორჩილებოდით.

ციხის უფროსმა გამგზავრების ზუსტი დრო გვამცნო. ჩვენთან ერთად ათიოდე პატიმარიც წამოვიდოდა კონკრეტულ პუნქტამდე.

გამგზავრების საათი მოახლოვდა. მეგობრებს ვუთხარი, რომ არ გავინძრეოდი, რაკი გზაში სიკვდილს აქ სიკვდილი მერჩივნა. ისინი შეშფოთდნენ. თავშესაფარში დავბრუნდი, ისე ვიქცეოდი, რომ ადმინისტრაციას წინასწარ არ გაეგო ჩემი ჩანაფიქრი. თუმცა, ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. ესკორტმა მალე მომაკითხა. მე არ გამოვდიოდი. ციხის უფროსმა ბადრაგი გამოგზავნა. ვერც მათ დამარწმუნეს. გარედან პანიკური ტირილის ხმა შემოდიოდა (ქ-ნი ფრიაუს ხმა იყო). ნაბიჯების ხმა გავიგე, ჯარისკაცები შემოვიდნენ, გასვლა მიბრძანეს. ნახევარი საათის შემდეგ ციხის უფროსი შემოვიდა და მთხოვა, ჩემი ნებით ავმდგარიყავი და გავყოლოდი ესკორტს. ვუპასუხე, რომ მე არ ვიყავი ვალდებული გადაწყვეტილება შემეცვალა.

– აბა, რას მთავაზობთ? ხვდებით, რა მდგომარეობაში გვაგდებთ, ჯგუფი უნდა გავიდეს და თქვენც მათთან ერთად. მხოლოდ თქვენ გელოდებიან, მე უფლება არ მაქვს, თქვენ ამოგაგდოთ ჯგუფიდან, ეს ბრძანებაა, ვერ გადავუხვევ. რის იმედად ამბობთ უარს გამგზავრებაზე?

– არაფრის იმედი არ მაქვს. უფრო სწორად, ამის იმედად ვარ, – ვუპასუხე და ჩემი მიმართულებით შემართულ იარაღზე მივანიშნე.

ამ ფრაზამ ჯარისკაცებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. უფროსიც მოლბა.

– ალბათ ხვდებით, რომ ეს არაა გამოსავალი. მითხარით, რა გზას ხედავთ და მზად ვარ, მოგისმინოთ; სხვაგვარად, მე რა პასუხი უნდა გავცე ჩემს ზემდგომს?

– მოიხმეთ ის, მივუგე, – მე გავესაუბრები მას.

– ბ-ნი „ისპრავნიკი“ განრისხებულია, ვერ გავბედავ მის შეწუხებას. ამასთან, მას ეშინია პროკურორის, რომელიც ახლახანს დაანინაურეს. ის რომ არ ყოფილიყო ...

და უეცრად გაჩუმდა პასუხის მოლოდინში:

– დეპეშა გაუგზავნეთ მის აღმატებულება გუბერნატორს, სთხოვეთ, ობდორსკში გემით გამგზავრების ნება დაგვრთოს, ჩვენი ხარჯით.

– ეს უკვე გამოსავალია. თუმცა, სამწუხაროდ, მე არ მაქვს ამის უფლება. ამის გაკეთება პროკურორს შეუძლია, რომელიც არასდროს დაგვთანხმდება. ამასთან, ეს იდეა უარყოფილი იყო მისი აღმატებულების დეპეშაში.

– მაშინ, ან ახლავე მესვრით, ან ჩემი პასუხისმგებლობითა და ხელმოწერით გაგზავნით დეპეშას.

მან მეორე ვარიანტი აირჩია. მე კი ტობოლსკის გუბერნატორის სახელზე დეპეშა მოვამზადე;

გთხოვთ, პიჰადი მიზეზით, ტობოლსკში გემით გამგზავჰების უფლება მოგვცეთ. ხაჰჯებს ჩვენ დავფაჰავთ.

შავიშვიდი

უფროსმა სასწრაფოდ გამომგლიჯა დეპეშა, ჯარისკაცები გვერდზე გასწია და ფოსტაში გაიქცა. საქმის ამგვარმა მობრუნებამ ყველას შეუცვალა განწყობა; ჩემი ოთხი ამხანაგი, ისევე როგორც უფროსი, გუბერნატორის პასუხის მოლოდინში იყო.

ორი დღის შემდეგ „ისპრავნიკი“ ეზოში შემოვიდა პროკურორთან და ციხის უფროსთან ერთად. საზეიმო იერით მომმართა:

– ახლახან მივიღე მისი აღმატებულება, ბატონი გუბერნატორის ბრძანება, რომლის თანახმადაც, ტობოლსკში გემით ჩასვლის უფლება გეძლევათ. თქვენივე ხარჯით, გამოგყვებათ ხუთი ბადრაგი. ოფიციალურად გევალებათ, მისი აღმატებულების წინაშე წარმოადგინოთ „პირადი მიზეზი“, რის შემდეგაც გზას განაგრძობთ ობდორსკისკენ.

„პირადმა მიზეზმა“, რომელიც საკმაოდ მისტიური გამონათქვამია რუსულ ენაში, ჩვენი ბედი გადაწყვიტა.

„ისპრავნიკი“ ჩვეულ დამოკიდებულებას ინარჩუნებდა. პროკურორი უფრო თავშეკავებული და პირქუში იყო, ხოლო ციხის უფროსს სახეზე გამოჰხატვოდა კმაყოფილება. „ისპრავნიკი“ და პროკურორი თეატრალურად გავიდნენ ეზოდან. ციხის უფროსი მომიახლოვდა და მომილოცა, მითხრა: „გადავრჩით!“

იმავე დღეს ციხიდან გასვლის ნება დაგვრთეს, რათა ნივთები შეგვეგროვებინა და ომსკიდან მომავალ გემს დავლოდებოდით.

ციხიდან გამოსვლისას მომხიბვლელი პოლკოვნიკი მაქსიმოვსკი დავინახე. საჩუქრად გადმომცა თავისი შესანიშნავი ხელჯოხი: მასიური, მსხვილი, ვერცხლის დაბოლოებით. ჩემი ციხეში გადაყვანის პერიოდში საცხოვრებლის ლიკვიდაცია განუხორციელებიათ, წაუღიათ ჩემი დაუსრულებელი პორტრეტი, რომელიც ახლა რესტორანში ეკიდა, ყველაზე შეუმჩნეველ ადგილას.

დიდი სირთულე შეგვექმნა, რომელზეც არც კი გვიფიქრია, გემის ბილეთებისთვის საკმარისი თანხა არ გვქონდა. თითქმის არაფერი გაგვაჩნდა და ჩვენი ხუთი ადგილის გარდა, ბადრაგის ბილეთებზეც უნდა გვეზრუნა. გემი იმავე დღეს ჩამოდგებოდა და თუ ჩვენ გარეშე წავიდოდა, ისევ ციხეში მოგვიწევდა დაბრუნება.

სწორედ ამ დროს, სასწაულმა გამომაფხიზლა პესიმისტური მედიტაციიდან: ციმბირის მდინარეთა ნავიგაციის კომპანიის წარმომადგენელი, ნამდვილი უფრთო ანგელოზი, მესტუმრა. მითხრა, რომ კომპანიამ შეიტყო ჩვენი გემით მგზავრობის ამბავი და გადაწყვიტა, მგზავრობის სასიამოვნო პირობები შემოეთავაზებინა. მიუხედავად იმისა, რომ არ იცოდნენ ჩვენი გასაჭირის შესახებ, თავაზიანად შემომთავაზა ხუთი ადგილი პირველ კლასში ჩვენთვის, ხუთი კი მესამე კლასში – ესკორტისთვის.

ამ მშვენიერ დღეს გემზე ავდიოდით, მას შემდეგ, რაც პლატფორმაზე მეგობრებს დავემშვიდობეთ ერთდროულად მოწყენილებიც ვიყავით და მხიარულებიც.

თავი V

„შეღერებულ ქალიშვილთა ჩრდილში“

კაპიტანი შეგვხვდა გემბანზე. საშუალო ტანის, ქერა წვერით, ქუდითა და მომხიბლავი ღიმილით. ყველა იღიმოდა, მგზავრები, მეზღვაურები, ჩვენი ბადრაგიც კი. კაპიტანმა გემი დაგვათვალიერებინა და პირველ კლასში გაგვაცილა. სასიამოვნო გარემო იყო. გვითხრა, რომ ყველგან შეგვეძლო სეირნობა. განსაკუთრებულად დაგვემშვიდობა და დაგვტოვა.

დიდი გემი იყო. მასზე ათასამდე მგზავრი ვიყავით და ყველა გაჩერებაზე გვემატებოდა ხალხი. უმრავლესობა ახალგაზრდა და კარგად გამოწყობილი. ძირითადად, ინტელექტუალები იყვნენ, რომელნიც არდადეგებიდან ბრუნდებოდნენ. ახალგაზრდა და ლამაზი მასწავლებლები თავის საქმროებს, ან კოლეგებს ესაუბრებოდნენ; უფრო ასაკიანი მასწავლებლები კი მეუღლეებსა და ბავშვებთან ატარებდნენ დროს. სხვადასხვა საფეხურის სტუდენტები მხიარულად ლაპარაკობდნენ. ყველა მხიარულობდა, მოძრაობდა, ერთობოდა, მხოლოდ ჩვენ ვრჩებოდით თავშეკავებულად. თუმცა ჩვენც მალე შევუერთდით საერთო განწყობას. როგორი კონტრასტი იყო ციხის გარემოსთან: ლაჟვარდისფერი მდინარე, თვალწარმტაცი სანაპირო.

ახალგაზრდა ელეგანტურმა ქალბატონმა ბავშვები ძიძას მიაბარა და მეგობრებთან ერთად ჩვენი მიმართულებით დაიძრა. მოგვიახლოვდა და კითხვები დაგვისვა სხვადასხვა თემაზე; შემდეგ შემოგვთავაზა მათთან ერთად გვეთამაშა. მე მოვუბოდიშე და ჩემმა მეგობრებმა ჩათვალეს, რომ ჩემს მაგალითს უნდა მიჰყოლოდნენ.

– არ თქვათ უარი, ითამაშეთ, – ვუთხარი მათ.

ჩემს მეგობრებს გაეცინათ და დასთანხმდნენ. ქალბატონებმა გადაწყვიტეს, ჩემი უარის მისტიკური მიზეზი მოეძებნათ. თუმცა, მიზეზი ძალიან მარტივი იყო, მათ მიერ შემოთავაზებულ თამაშს არ ვიცნობდი.

კიდევ ერთი მშვენიერი, ქერა მასწავლებელი მომიახლოვდა და თამაშზე მიმიწვია. ამაოდ, ისიც უარით გავისტუმრე. დეფილე გრძელდებოდა: ახლა სანკტ-პეტერბურგელი ფილოლოგიის სტუდენტი მომიახლოვდა და საუბარი წამოიწყო:

– თქვენ ჩვევებს არ ვიცნობ და არ ვიცი, რატომ არ დათანხმდით ჩემი მეგობრების შემოთავაზებებს, შენიშნა ღიმილით, მაგრამ მე სამი შემოთავაზება მაქვს, რომელთაც აუცილებლად დათანხმდებით. მამაჩემმა თქვა, რაკი თამაშებზე უარი თქვით, ე.ი. მათ პირობები არ გაწყობდათ. მე გთავაზობთ, ჩემი მშობლების გაცნობას.

– სხვა ორი შეთავაზება რას ეხება?

– დანარჩენი ორი ამ პირველშია ჩართული, ისეთი დიდებულებით მომიგო, რომ მაშინვე გავყევი.

სტუდენტი გოგონა გახლდათ ოლგა. მისი მამა, ნიკოლაი ივანეს ძე ნიკოლსკი თითქმის ოცი წელია ტობოლსკში ცხოვრობდა. ლათინურის შესანიშნავი სპეციალისტი, ამასთან, გიმნაზიის დირექტორი იყო და იქვე რუსულსა და ზუსტ მეცნიერებებს ასწავლიდა. განათლება მოსკოვის უნივერსიტეტში ჰქონდა მიღებული. ამ პოსტს კონკრეტული უპირატესობების გამო დასთანხმდა: ორმაგი ხელფასი, საპენსიო ასაკი კი განახევრებული.

ნიკოლაი წარმოსადეგი კაცი გახლდათ, გრძელი, თეთრი წვერით. მის მეუღლეს გულის მძიმე დაავადება აწუხებდა, ამიტომ ყველა დიდ ყურადღებას აქცევდა. ნიკოლსკებს ოთხი შვილი ჰყავდათ. ვაჟი, პაველი მათემატიკის მასწავლებელი იყო, დედას ჰგავდა, დაბალი ტანის და ავადმყოფური იერით. სამი ქალიშვილი, უფროსი – ოლგა, ვერა და უმცროსი მარუსია საოცარ ტრიოს ქმნიდნენ. ოლგას ღია წაბლისფრი თმა ჰქონდა, მას უკვე ვიცნობთ. ვერა 17 წლის იყო, მაღალი, წაბლისფერი თმით, შავი თვალებით, საოცრად მშვიდი და მელანქოლიური; საკუთარი აზრი გააჩნდა, თუმცა ცოტას ლაპარაკობდა, ისმენდა და აკვირდებოდა. მარუსია ქერა იყო, ცოცხალი, მხიარული თვალებით, ენაწყლიანი, მოაზროვნე. მიუხედავად ასაკისა, საკმაოდ გააზრებული საუბარი ჰქონდა.

ერთი სიამოვნება იყო ინტელექტუალთა წრეში ყოფნა. აღფრთოვანებით ვპასუხობდი მათ კითხვებს. შემდეგ გადავწყვიტე, მეხუმრა და შევახსენე:

– ოლგა, დანარჩენი ორი შეთავაზება სად არის?

შესანიშნავმა მარუსიამ მიპასუხა:

– როგორი სულსწრაფი ხართ! კიდევ ორი დღის მოგზაურობა გვაქვს წინ!

ოჯახი უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო გოგონას რეპლიკამ. დედამ ძალიან მშვიდად, ჩურჩულით უსაყვედურა. მე მარუსია დავიცავი.

– ქალბატონო, ნუთუ უარს ეტყვით თქვენ ქალიშვილს განებივრებული ბავშვის პრივილეგიაზე, რაც თავში გაუელვებს, ის თქვას? მით უფრო, რომ მისი შენიშვნა სამართლიანია, მართლაც, რატომ ვჩქარობ?

ოლგამ კეკლუცად მომიგო:

– კნიაზ, ჩვენ გაცნობასა და ჩვენთან საუბარს რომ დათანხმდით, ეს არ ნიშნავს, რომ რომელიმე შეთავაზება მიიღეთ. როგორც ვხვდები, დროს სასიამოვნოდ ატარებთ. ჩემი შეთავაზებების რიცხვი ისევ სამია – ოლგამ თითებზე გადათვალა: პირველი – ჩვენთან სადილი, მეორე – შემდეგ გაჩერებაზე ჩვენთან ერთად სეირნობა. აქ პატარა ტყეა, რომლის ჩვენებაც გვინდა; და მესამე – მამაჩემი ვარაუდობს, რომ ქადრაკის თამაში იცით. რამდენიმე პარტიას ეთამაშებით... რას იტყვით?! ჩემი წინადადებები იმგვარადაა აწყობილი, ან ყველას უნდა დათანხმდეთ, ან ყველაზე ერთად თქვათ უარი.

ეს თქვა და ღიმილიანი სახით მაგიდაზე, რომელზეც ჩაი მოგვართვეს, პატარა მუშტი დაარტყა.

– ოლგა, მე აქ მემარჯვენე დიქტატურის წინააღმდეგ შეუბრალებელი ბრძოლის საწარმოებლად ვარ. მემარცხენეთა დიქტატურას უკვე შევუტიე. საიდან უნდა მქონდეს ძალა, ახლა თქვენ დიქტატურას ვებრძოლო? ეს ტირანია ისეთი მშვიდია, რომ გატაცებით დავემორჩილები.

სწორედ ამ დროს გემი გაჩერდა. ჩაი დავტოვეთ და გასასვლელად მოვემზადეთ. მეგობრებსაც დავუძახე, მაგრამ გემიდან ჩამოსვლისგან თავი შეიკავეს, ნამდვილად, ჩვენი ბადრაგის მიზეზით, არ უნდოდათ კონფლიქტური სიტუაცია შექმნილიყო. მე კი ბადრაგის არსებობა დამვიწყებოდა კიდეც. პატარა ტყე გემბანიდანაც ჩანდა, შემაღლებულზე, ნაძვებით დაფარული. დაახლოებით, ნახევარსაათი ვიარეთ, საკმაოდ სწრაფი ნაბიჯით. შესანიშნავი ხედი იშლებოდა. უეცრად შევწუხდი, „გემზე დაბრუნება ხომ არ დაგვაგვიანდება?“ მარუსიამ მიპასუხა: „გავიქცევით, თქვენთვის კი სირბილი სასარგებლო იქნება!“

ნიკოლსკების მამამ დაბალი, ავტორიტეტული ხმით მიპასუხა:

– კნიაზ, არ იღელვოთ, გემი თქვენ გარეშე არ დაიძვრება, ეს ერთგვარი გარანტიაა ჩემთვის, რადგან ჩემი შვილებივით და თქვენსავით სწრაფად ვერ ვირბენ.

მართლაც, კაპიტანი თითქმის ოცი წუთი გველოდებოდა. სასიამოვნოდ მოგვესალმა და მადლობა გადაგვიხადა, რომ უფრო დიდხანს არ ვალოდინეთ, ამის შემდეგ კი დაძვრის ბრძანება გასცა.

კაპიტანმა ჩვენი ბადრაგიც დაარწმუნა, რომ არანაირი პრობლემა არ შეიქმნებოდა. ჩემი მეგობრებიც ღელავდნენ. ჩვენმა დაბრუნებამ ყველა დაამშვიდა. როდესაც ტობოლსკს მივუახლოვდით, მეგობრებმა მკითხეს, თუ რა უნდა გვეთქვა, რა „პირადი მიზეზი“ უნდა წარგვედგინა გუბერნატორისთვის.

მე საერთო ეიფორიაში ვიყავი და ეს კითხვა დიდად არ მაწუხებდა.

– მოდი ამ სასიამოვნო წუთებს ნუ გავფლანგავთ, დავტკბეთ მშვენიერი ხედებით; დანარჩენს ადგილზე ვნახავთ.

მდინარე ირტიშში მივცურავდით, ის უფრო ღრმაა, ვიდრე ვოლგა. კალაპოტი უფრო ვიწრო აქვს, ამიტომ უფრო მეტი ტალღაა, 3500 მეტრზეა სანაოსნოდ ვარგისი და უამრავი მსხვერპლი ჰყავს. სწორედ ამაზე გვიყვება ადგილობრივი სიმღერები, ყველაზე ცნობილი კი ერმაკს[1], ციმბირის დამპყრობელს ეძღვნება. ეს ტერიტორია XVI საუკუნეში თათრულ სახანოს წარმოადგენდა, მისი მმართველი იყო ყუჩუმ ხანი. 1528 წელს ივანე მრისხანემ, კაზაკი ატამანის, ერმაკის მეთაურობით ჯარი გაგზავნა და ციმბირი აიღეს, თუმცა თავად ერმაკი მდინარე ირტიშმა „დაამარცხა“. ხალხური სიმღერა ქებას ასხამს ერმაკის ტალღებთან მებრძოლ „ძლიერ მკლავს“. ერმაკი მღერის და ნიჩბებს ძლიერად უსვამს, მაგრამ ნელ-ნელა ძალას კარგავს და მისი გემი ფსკერისკენ მიდის.

ეს სიმღერა ყველგან გვესმოდა. ბავშვები წკრიალა ხმით მღეროდნენ სანაპიროებზე.

სამწუხაროდ, მივედით დანიშნულების ადგილას. გემბანიდან მშვენიერი ქალაქი მოჩანდა. სხვადასხვა შენობა, ორი დიდი სახლი ბორცვზე, მათგან ერთი გუბერნატორის სახლია, მეორე კი – იძულებით სამუშაო მისჯილთა სამყოფელი. ორი, თუ სამი ეკლესიაც იკვეთებოდა. მთავარი ქუჩა სანაპიროდან იწყებოდა, კვეთდა ქალაქის ცენტრს, გადიოდა ერმაკის ძეგლთან და ბორცვზე ადიოდა.

ტობოლსკის ფართობმა და განშლამ პოლიტიკური დარდი გაგვიღვივა, სანაპიროზე ამსვლელი ხალხი სისხლიან შეტაკებაზე

[1] ერმაკი ტიმოფეევიჩი (1542-1585) – კაზაკთა ატამანი, რუსული ფოლკლორისა და მითოლოგიის პერსონაჟი, მოღვაწეობდა ივანე IV მრისხანის დროს. ერმაკის სახელს უკავშირდება ციმბირის დაპყრობა (რედ.).

საუბრობდა, რომელიც ჯარისკაცებსა და პატიმრებს შორის მოხდა მეორე დუმის დათხოვნის შემდეგ. გარდაცვლილები თხრილში ჩაყარეს, ხოლო მძიმედ დაჭრილებს ნამდვილად სიკვდილი მიუსაჯა ირკუცკიდან მოსულმა სამხედრო სასამართლომ. მთავარი დამნაშავე ოდესელი სტუდენტი, ტაგჩოგლო იყო. უცნაური დამთხვევაა, როდესაც კავკასიის რეგიონს ვტოვებდი, კონკრეტული მისია დამეკისრა მის მიმართ.

ეჰ, პოლიტიკა! ნუთუ, დამავიწყებ „შეღერებულ ქალიშვილებს“?

თავი VI

ტობოლსკი

სამხედრო სასამართლოს ოფისი

სამდღიანი კომფორტული მოგზაურობა, სასიამოვნო ექსკურსია, მომხიბლავი საზოგადოება, სიზმარი იყო, თუ რეალობა? გვიჭირდა დაჯერება, რომ ეს ყველაფერი მართლა მოხდა.

მხოლოდ მესამე დღეს გაგვახსენდა, რომ ბადრაგიც გვახლდა, როდესაც გასასვლელთან კორიდორი შექმნეს. კაპიტანი ჩვეული გალანტურობით გვემშვიდობებოდა. ნიკოლსკების ოჯახიც მოგვიახლოვდა ჩურჩულით, თუმცა მათი თავშეკავებულობა მარუსიას შეძახილმა დაარღვია: „კნიაზი ჩვენ სანახავად მოვა!“ მშვენიერი ვერა, იმის შიშით, რომ ჩასვლის აურზაურში ერთმანეთს დავკარგავდით და ვეღარ დაგვემშვიდობებოდა, მოგვიახლოვდა. ბატონ ნიკოლსკის კი ოლგამ უბიძგა, მანაც ჩვეული სერიოზულობით მომმართა:

– არ გემშვიდობებით, სამწუხარო იქნება, თუ სასიამოვნოდ გატარებული დღეების შემდეგ ვეღარ შევხვდებით. გვეწვიეთ შაბათს საღამოს ვახშამზე, შემდეგ ჭადრაკი ვითამაშოთ.

მეორე ქალიშვილზე ხელი ეკიდა, ოდნავ წინ უბიძგა და დაამატა:

– ჩემს საყვარელ ვერას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი ოჯახის სახელით.

ვერამ თავისი მშვენიერი, თბილი ხმითა და ლამაზი დიქციით, თითქოს ენის გაკვეთილს ატარებდა, წარმოთქვა:

– კვირას მთავარანგელოზის ხეივანში ვგეგმავთ ექსკურსიას. ბედნიერები ვიქნებით, თუ თქვენც შემოგვიაერთდებით. თქვენ მეგობრებსაც ვიწვევთ კნიაზ, თავი უხერხულად არ იგრძნოთ.

შემდეგ მამას გადახედა სიყვარულით სავსე თვალებით და დაამატა:

– საკვების საკითხს მამა მოაგვარებს, თავი არ შეიწუხოთ.

– რა თქმა უნდა, ძვირფასო ვერა, – უპასუხა ნიკოლაი ნიკოლსკიმ.

ძალიან შთამბეჭდავი სცენა იყო, წარმოსადეგი მასწავლებელი თავზე ხელს უსვამდა შვილს, გოგონას თვალები კი ღიმილს ასხივებდა.

* * *

ჩვენს გემს პლატფორმაზე უამრავი ხალხი ელოდა, მათ შორის ჩვენი მეგობრები, პოლიტპატიმრები. მათ გვერდით გველოდნენ პოლიციის წარმომადგენელნიც. საბედნიეროდ, გემმა ხუთი საათით დაიგვიანა, ამიტომ პირდაპირ გუბერნატორთან მისვლას გადავრჩით. ამ საღამოს საქმე არ გვქონდა. რაკი ჩვენ კოლექტიური კონტრაქტით ვსარგებლობდით, რომლის თანახმადაც „თავდებობის ვალდებულება“ გვეკისრებოდა, ჩვენი ჩაკეტვა საჭირო აღარ იყო.

პოლიციამ ტარას ბადრაგი მოვალეობისგან გაათავისუფლა და ჩვენ სანაპიროდან გადაგვაბარა გადასახლებულ მეგობრებს, ექიმ რენოსა და ბ-ნ პუჟაის. პუჟაი სოციალ-რევოლუციონერი იყო, მათემატიკის მიმართულების სტუდენტი, მაღალი, ქერა, ლამაზი წვერით, შუბლი და მზერა მტკიცე და მშვიდი. სწორი ცხვირი ჰქონდა, რაც მის უკრაინულ ფესვებთან წინააღმდეგობაში მოდიოდა. ამხანაგთან ცხოვრობდა, რომელმაც ვახშამზე დაგვპატიჟა.

ექიმი რენო ნაპოლეონის არმიის ჯარისკაცის შთამომავალი იყო, ისიც სოციალ-რევოლუციონერი, მოსკოვიდან. დაბალი ტანის, კარგად გაპარსული პირისახით, ცოტას საუბრობდა, მაგრამ ყველაფრით ინტერესდებოდა. კარგი რეპუტაციის ექიმი იყო, ყველას პატივისცემას იმსახურებდა. მეუღლე საშუალოზე მაღალი ტანის იყო, წაბლისფერთმიანი. ბერძნული ცხვირითა და შავი თვალებით კლასიკურ მშვენიერებას წარმოადგენდა. ცხრა წლის შვილი ჰყავდათ, ძალიან ჭკვიანი.

ადგილზე დაგვხვდნენ ასევე, მეგობრები პისარევსკების წყვილი და ლიბერმანი, მათ თავშესაფარში წაგვიყვანეს (ყველა, ქ-ნი ფრიაუს გარდა).

ტობოლსკში 5000-მდე პოლიტიკურად დევნილი იმყოფებოდა. ამ პატარა ქალაქში, რომელიც 25000 მოსახლეს ითვლიდა, ასეთი რაოდენობა საცხოვრებლის პრობლემას ქმნიდა. თავშესაფრები ძალიან გადატვირთული იყო.

მხოლოდ ერთი ოთახი დაგვხვდა, სადაც იატაკზე რიგებად იყო გაშლილი ლოგინი და 30, თუ 40 ადამიანს ეძინა. რამდენიმე მა-

თგანს გაეღვიძა კიდეც, ზოგმა უკმაყოფილოდ, ზოგმა კი ინტერესით შემოგვხედა. ძლივს მოხერხდა სადღაც კუთხეში ჩვენთვის ადგილის მონახვა. ახალგაზრდა პოლონელი სტუდენტის გვერდით მოვხვდი. რუსულად ცუდად საუბრობდა. იმდენად სასიამოვნო ადამიანი იყო, რომ მეზობელი მისწია გვერდით, რათა ჩემთვის დისკომფორტი არ შეექმნა.

ამგვარად, ჩვენი სიზმრებიდან გამოვფხიზლდით და რეალობას დავუბრუნდით: ტობოლსკში დარჩენის უფლებას მოგვცემენ? ეს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო ჩვენთვის, რომ კითხვის დასმასაც ვერავინ ვბდავდით. გაღვიძებისთანავე გუბერნატორთან შეხვედრაზე ვფიქრობდით, სადაც ახსნა-განმარტებები უნდა წარგვედგინა. მასთან შეხვედრის არანაირი სურვილი აღარ მქონდა. მეგობრებმა შემახსენეს, რომ შეხვედრა გარდაუვალი იყო. კონსილიუმი მოვაწყეთ. რაბინოვიჩი გუსევისა და ანოსოვის მოსაზრებებს გადმოსცემდა, ისინი ფიქრობდნენ, რომ აუცილებლად უნდა მოგვემზადებინა სიტყვა, რადგან ეს ჩვენთვის „სიკვდილ-სიცოცხლის საქმე იყო“. სწორედ ამ საუბარში ვიყავით, როდესაც შევიტყვეთ, რომ კვირაობით გუბერნატორი არავის იღებდა, ამგვარად, მეტი დრო გვქონდა მოსამზადებლად. მთელი დღე წინ იყო პოლიტიკური ელიტის გასაცნობად, ქალაქის დასათვალიერებლად და მთელი ღამე – სიტყვის მოსამზადებლად. ორშაბათიც მოვიდა! „ანრი, – ვუთხარი რაბინოვიჩს, – გულწრფელად რომ ვთქვათ, ამ მოგზაურობისას აქამდე არაფერ დაგვიკარგავს. მე არაფერი მაქვს გუბერნატორისთვის სათქმელი, გარდა იმისა, რომ ფეხით მოგზაურობა ავიცილეთ თავიდან. გზის დიდი ნაწილი სასიამოვნოდ გამოვიარეთ, უარესი, რაც შეიძლება შეგვემთხვას, გზის დარჩენილი ნაწილის არასასიამოვნოდ დაფარვაა. გუბერნატორი ჩვენთან საუბარს თუ მოისურვებს, პოლიციას გამოგვიგზავნის, ჩვენც ვისარგებლებთ შემთხვევით და ან აქ დარჩენას ვთხოვთ, ან ობდორსკამდე გზის ისევ გემით გაგრძელებას. ისე მოიქცევა, როგორც საჭიროდ ჩათვლის.“

რაბინოვიჩი დაეთანხმა იდეას, ისევე როგორც დანარჩენები, მათ შორის ქ-ნი ფრიაუ.

ახალგაზრდა პოლონელმა ახალი ოთახის ძებნა დაიწყო, რათა ამ ბინძური სამყოფელიდან გავეყვანე. დიდი ოთახი იპოვა, საკმაოდ კარგი. მადლობის ნიშნად ჩემთან ერთად გადასვლა შევთავაზე, რაზეც სიხარულით დამთანხმდა.

ციმბირში სახლების უმრავლესობა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ხისაა. თუმცა კედლები ისეთი თხელი არაა, როგორც სამ-

ხრეთის ქვეყნებში. ისინი თითქმის ერთი მეტრია და მათში პატარა ფანჯრებია გამოჭრილი სიცივის გამო. ადგილობრივებს მცენარეების კულტი აქვთ შექმნილი, სახლებში უამრავი მცენარე აქვთ, რითიც ავეჯის ნაკლებობას ფარავენ.

ორკვირიანი დასვენების შემდეგ გამოგვიძახეს. რაბინოვიჩს ჩვენი სახელით საუბარი ევალებოდა. თუმცა გუბერნატორმა მასთან შეხვედრა არ მოისურვა და პირადად გამომიძახა. ეს ცნობა პოლიციამ ჩვეული მუქარით გვამცნო.

მიღების საათი იყო. უზარმაზარი დარბაზი სავსე იყო, სამასი, თუ ოთხასი ადამიანი ელოდებოდა მის ბრწყინვალებასთან შეხვედრას. ვფიქრობდი, რომ აქ მთელი დღე მომიწევდა ჯდომა და შეიძლება, დღეს არც კი მიმიღოს მეთქი.

ამ დროს კარი გაიღო. საშუალო ტანის კაცი გამოვიდა, შავგვრემანი, მოკლე, ჭაღარაშერეული თმით, პატარა ულვაშით. არავინ ახლდა. მანდატური უნდა ყოფილიყო. ერთი რამ იყო უცნაური, მთავარი მოსამართლის ფორმა ეცვა. უამრავი ადამიანი შემოეხვია, ყველა ერთად ახალი კრედიტის დამტკიცებას სთხოვდა, რაკი მთავრობის მიერ გამოყოფილი თანხა საკმარისი არ აღმოჩნდა მიწების მოსაწესრიგებლად და დასამუშავებლად. საქმე ეხებოდა ათასობით ადამიანს, რომელნიც არც ისე დიდი ხანია, რაც ციმბირში გადმოასახლეს კოლონიზაციისთვის.

სწრაფი პასუხი მომესმა: „რის გაკეთება შემიძლია თქვენთვის?“ ასობით ხმამ ხვეწნით მიმართა: „თქვენო ბრწყინვალებავ, გთხოვთ, მიმართეთ ეროვნულ ბანკს კრედიტი გაგვიხსნან, წინააღმდეგ შემთხვევაში დავიღუპებით“. გუბერნატორმა უპასუხა: „ვწუხვარ, არაფრის გაკეთება არ შემიძლია თქვენთვის, არანაირი გავლენა არ მაქვს ეროვნულ ბანკზე.“ მართლაც, გუბერნატორს კრედიტებზე წვდომა არ ჰქონდა. თუმცა, სანკტ-პეტერბურგში „ციმბირის კოლონიზაციის“ სამინისტრო იყო. ეს ხალხი საშინელ მდგომარეობაში იყო მთელი წელი და ერთი წლის შემდეგ გაირკვა, რომ მინისტრმა გურკომ ათასობით მილიონი გახარჯა.

ვფიქრობდი, რომ განცალკევებით ვიდექი და ბრბოში არ ვერეოდი, თუმცა, ჩემდა გასაოცრად, გუბერნატორი ხალხს გამოეყო და ჩემი მიმართულებით წამოვიდა, საყვედურით მომმართა:

– ტობოლსკში ჩამოსვლისთანავე ჩემთან უნდა მოსულიყავით, შემდეგ კი ობდორსკში გამგზავრებულიყავით. უკვე სამი კვირა გავიდა, რაც აქ ხართ!

ვუპასუხე, რომ სამხრეთელი ადამიანისთვის ტობოლსკშიც კი ძალიან ცივა, ამასთან სამედიცინო დახმარებაც მჭირდებო-

და და ვთხოვე, ტობოლსკში დავეტოვებინე. გუბერნატორმა უარი მითხრა: „შეუძლებელია, თქვენთვის ყველაფერი გავაკეთე, რაც შემეძლო. უფლებამოსილებასაც გადავამეტე, როდესაც ტობოლსკამდე გემით წამოსვლის ნება დაგრთეთ. თქვენ საქმეში სამხედრო ხელისუფლებაა ჩარეული, ამიტომ ეს ჩემს კომპეტენციებს სცდება. აქამდე გემით ჩამოსვლის უფლებაც იმიტომ მოგეცით, რომ თქვენთან შეხვედრა და თქვენი ახსნა-განმარტების მოსმენა მაინტერესებდა. თუმცა რაკი თავად არ გამოცხადდით, გამოდის, არც არაფერი გქონდათ სათქმელი. მიუხედავად ყველაფრისა, მოხარული ვარ, რომ ფეხით სასიარული გზა შეგიმსუბუქეთ. მზად ვარ, ობდორსკამდეც გემით გაგიშვათ“.

ასეთი ინტელექტუალური საუბრით მოხიბლული დავრჩი, რადგან მსგავსი რამ რუსულ ადმინისტრაციაში დიდი იშვიათობაა. სათანადო მადლობა გადავუხადე და თავი ვალდებულად ჩავთვალე, მისთვის ახსნა-განმარტებები წარმედგინა.

– ჩვენ ფაქტებს კარგად ვარჩევთ ერთმანეთისგან. როდესაც ბრძოლის ველზე ვმარცხდებით, მაშინ არ ვწუწუნებთ. ბედნიერი ვარ, რომ ახლა საშუალება მაქვს, ტარას მანიფესტაციაზე მოგახსენოთ, რომ მისი ორგანიზების უფლება ადგილობრივმა ადმინისტრაციამ მოგვცა და შემდეგ, იმავე ადმინისტრაციამ ჩაახშო ის. ვერ მივხვდი, რატომ ჩაგვატარებინეს მანიფესტაცია, თუ ამას სასტიკი რეპრესიები უნდა მოჰყოლოდა? ჩვენი აზრით, ასეთ ვითრებაში, მანიფესტაციის ჩატარების უფლება საერთოდ არ უნდა მოეცათ.

ჩემი მსმენელი თითქოს, კმაყოფილი იყო არგუმენტების მოსმენით. მას აქამდე არ ჰქონდა ეს ინფორმაცია. სინანულით შენიშნა, რომ ჯერ კიდევ არ გასცნობოდა ამ სამწუხარო დოსიეს. ორი კვირის ვადა მოგვცა და გამგზავრებამდე შეხვედრა დაგვინიშნა.

ამ პერიოდში მდინარე ირტიში გაიყინა. ამგვარად, გემით მგზავრობა გამოირიცხა. ფეხით ობდორსკში ჩასვლას კი ორი თვე დასჭირდებოდა.

დათქმულ დღეს გუბერნატორთან მივედი. კატეგორიულად მითხრა, რომ ტობოლსკში ვერ დაგვტოვებდა, მაგრამ ობდორსკის სხვა ადგილით ჩანაცვლება შესაძლებელი იყო. მე ტიუმენი შევთავაზე. ამ სიტყვებზე გუბერნატორი წამოწითლდა, თავი ხელებში ჩარგო და წამოიყვირა:

– ოღონდ ეს არა! ტიუმენი ძალიან მოსახერხებელი ადგილია მატარებლით გასაქცევად!

საბოლოოდ ახალი ვადა მომცა, მე და ჩემი ოთხი მეგობარი ზამთარს და გაზაფხულს ტობოლსკში გავატარებდით.[1]

ზამთარი ამ რეგიონში უფრო მკაცრი იყო, ვიდრე ტარაში. არც ისე სახარბიელო მდგომარეობაში აღმოვჩნდი, რადგან წინა წლის გაზაფხულზე თბილი მანტო და ქუდი მეგობარს ვაჩუქე, ის გაქცევას გეგმავდა და ღია ცის ქვეშ მოუწევდა ღამეების გათენება. რაკი არსად მივდიოდი, პისარევსკიმ მგლის ბეწვის ქურთუკი მომიტანა, თავიდან ფეხებამდე ვეხვეოდი მასში. მხოლოდ თვალები მიჩანდა. ასეთი იარაღი მქონდა სიცივესთან საბრძოლველად.

* * *

ამ დროის განმავლობაში ნიკოლსკების ოჯახს დავუმეგობრდი. საინტერესო ექსკურსიებს ვაწყობდით, მათ შორის მოვინახულეთ სოფელი პოკროვსკი, რომელიც ცნობილი გახდა არც ისე სასიამოვნო ფაქტით, იქ დაიბადა რასპუტინი. ჩემი რამდენიმე მეგობარი გავაცანი ოჯახს, გოგონებმა კი თავისი მეგობრები გამაცნეს. ისეთ მივიწყებულ ადგილას, როგორიც ციმბირია, ასეთი ურთიერთობები ბანალური არ არის, მეტიც, პარადოქსადაც შეიძლება ჩაითვალოს. წარმოიდგინეთ ეს ეპოქა, საზოგადოება ორ დაპირისპირებულ ბანაკად იყოფა: რეაქციონერები და რევოლუციონერები, რომელთა შორის დაუნდობელი ბრძოლაა. რეაქციული ტენდენცია რევოლუციურზე იმარჯვებდა. დამარცხებული რევოლუციონერები კონტრრევოლუციონერთა, ცარისტული მთავრობის სადამსჯელო ღონისძებების ქარცეცხლში ხვდებოდნენ. ნიკოლსკების მამა გარკვეულმა გარემოებებმა აიძულა სახელმწიფო მოხელედ ქცეულიყო. მას პატივს სცემდნენ და კოლეგებიც ხშირად სტუმრობდნენ. ამასთან, მასპინძლობდა ახალგაზრდა კაცს, რომელიც მუდამ წითელ პერანგში იყო გამოწყობილი, ეს კი რევოლუციის ნიშნად ითვლებოდა.

ამ ადამიანსა და ჩემ შორის მცირე საერთო იყო, ადამიანური და ინტელექტუალური... და ჭადრაკი. ყოველთვის განსაკუთრებულად მმასპინძლობდნენ, სუფრაც საოცრად იყო გაწყობილი, არასდროს მიგრძვნია მცირედი უხერხულობაც კი ეს ყველაფერი ნამდვილად

[1] ტობოლსკის გუბერნატორი, ბ-ნი განდატი კეთილი და გულწრფელი პიროვნება გახლდათ, რაც იშვიათობა იყო იმ ეპოქაში, ამასთან – მეცნიერი. ტობოლსკში ჩამოსვლამდე ირკუტსკის გუბერნატორი იყო, იქ სამეცნიერო კვლევები ჩაატარა, რაც შემდგომში მისი ეთნოგრაფიული ნაშრომების საფუძვლად იქცა (ხ.შავიშვილი).

მის კეთილშობილებაზე მიანიშნებდა. მაშინ ახალგაზრდა და გამოუცდელი ვიყავი, ყველაფერს ვამჩნევდი და ვაფასებდი, მაგრამ დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებდი. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩიარა, ცხოვრების სხვადასხვა ასპექტი შევისწავლე, სხვადასხვა ადამიანს შევხვდი, თუმცა ნიკოლაი ივანეს ძეს ვერავის შევადარებდი. რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უფრო მემატება მისდამი პატივისცემა.

აღნიშნულის წარმოსადგენად იმ ეპოქის რუსეთში უნდა იმოგზაუროთ. იერარქია უძირო უფსკრულს ქმნიდა ხალხსა და სახელმწიფო მოხელეებს შორის. ამ უკანასკნელთ კი სძულდა მოსახლეობა და საშინლად ექცეოდა მათ. ბიუროკრატია ყოველმხრივ გადადიოდა უფლებამოსილების საზღვრებს. საშინელი კორუფცია გამეფებულიყო. ამგვარად, კეთილსინდისიერი ადამიანები ასეთი არჩევანის წინაშე იყვნენ: ძლიერი სისტემის წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლა წამოეწყოთ და ნებისმიერ მსხვერპლს დათანხმებოდნენ, სიკვდილსაც კი ან გაქცეულიყვნენ. ვფირქობ, ნიკოლსკიმ სწორედ მეორე გზა აირჩია და ნებით წამოვიდა ემიგრაციაში ციმბირში.

* * *

ერთ საღამოს, წითელ პერანგში გამოწყობილი, ნიკოლსკების ოჯახში სუფრასთან ვიჯექი ოლგას, ვეროჩკას და მარუსიას გვერდით. ვახშამს ველოდით, რომელიც წესისამებრ, შუაღამის 12 სთზე უნდა მოერთმიათ. ქ-ნი ნიკოლსკაია თავს უკეთ გრძნობდა და შემოგვიერთდა. გაუკვირდა, როდესაც გაიგო, რომ პაველი ჯერ არ დაბრუნებულიყო, მიუხედავად მიცემული სიტყვისა.

უეცრად კარი გაიღო და ნიკოლსკების მამა გამოჩნდა თავისი ლამაზი, თეთრი წვერით, თან ახლდა გენერალი, ოთხი პოლკოვნიკი და თავისი ვაჟი, პაველი. ნიკოლაი ივანეს ძემ წარმიდგინა სტუმრები: „მისი აღმატებულება, გენერალი კრიეგერი, სრულიად ციმბირის სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარე, სათაო ოფისი ირკუტსკში აქვს.“ ერთ-ერთი პოლკოვნიკი სამხედრო პროკურორი გახლდათ, მეორე – ადვოკატი, დანარჩენი ორი სასამართლოს წევრები. პაველმა იგრძნო, რომ ეს შეხვედრა ჩემთვის სასიამოვნო არ იყო. ამიტომ ამიხსნა, რომ წინა წლის ზამთარში ირკუტსკში თითქმის ყოველ საღამოს მათთან ერთად ბანქოს თამაშში ატარებდა. ისინი ტობოლსკში ჩამოსვლისთანავე დაუკავშირდნენ,

ერთმანეთს შეხვდნენ. პაველმა სტუმრები მამას გააცნო, მან კი ვახშმად დაპატიჟა.

პოლკოვნიკები მაღალი ტანისანი იყვნენ, გამხდრები. პროკურორი ენერგიული და კატეგორიული საუბრის მანერით გამოირჩეოდა. შეუდარებელი ბრალმდებლის პროფესიული ტენდენციები შეინიშნებოდა მასში. გენერალი უფრო ასაკოვანი იყო, ვიდრე პოლკოვნიკები, უფრო ძლიერი აღნაგობის, მაგრამ მათზე დაბალი. მრგვალი სახე ჰქონდა, ღრმა თვალები, მკაცრი მზერა. თითოეულ სიტყვას ავტორიტარული აქცენტით გამოთქვამდა. თითქოს, სწორედ ის ქმნიდა ამინდს. გერმანული წარმოშობის იყო, ბალტიისპირეთიდან.

თითოეულ მათგანს მარცხნივ ხმალი ეკიდა, მარჯვნივ – რევოლვერი, ყველანი მუნდირებში იყვნენ.

უცნაური საზოგადოება მაგიდას მიუჯდა, ერთ მხარეს – ახალგაზრდები, მეორე მხარეს – ასაკიანები (პაველის გარდა).

რა საერთო გვქონდა ამ ბატონებთან? განსხვავებული ასაკი გვყოფდა ერთმანეთისგან, რაც მთავარია, ისინი სხვა სამყაროს ეკუთვნოდნენ, ჩემსა და მათ შორის გადაულახავი უფსკრული იყო. ჩემგან მარჯვნივ ოლგა იჯდა, ვეროჩკა და მარუსია მოპირდაპირედ; ერთმანეთში ვსაუბრობდით. ეს ბატონები ჩემგან მარცხნივ ისხდნენ, გენერალი – ჩემ გვერდით. ახალმოსული სტუმრების საზოგადოება ჩემთვის შემაწუხებელი იყო. მასპინძლები ამჩნევდნენ ამას. ახალგაზრდებმა თვალით მანიშნეს, ისეთი სახე მიმეღო, თითქოს, არც ვუსმენდი მათ. მაგრამ თავშეუკავებელმა მარუსიამ, ხმამაღლა მისაყვედურა:

– კნიაზ (ამ სიტყვის გაგონებაზე სამხედროები ინსტიქტურად წამოდგნენ), გუშინ საღამოს სად იყავით, რატომ არ მოხვედით, მე თავისუფალი ვიყავი და არც სამეცადინო მქონდა?!

თავდაჭერილი ვეროჩკა საუბარში ჩაერთო, სიტუაციის გამოსწორების მიზნით, თუმცა უფრო გაართულა:

– მარუსია! – ხმამაღლა მიმართა, შემდეგ მომიბრუნდა და წამჩურჩულა: „კნიაზ (სამხედროებმა მხოლოდ ეს სიტყვა გაიგეს, მაგრამ ისევ წამოდგნენ), თუ ეს უხერხულობას გიქმნით, ჩემ დას არ უპასუხოთ!

შეცბუნებული, სხვა შემთხვევაში ამ საუბარს ავიცილებდი, მაგრამ ვეროჩკას დელიკატურმა ყურადღებამ, მისმა მუქმა თვალებმა, რომელიც საყვედურით შეჰყურებდა მარუსიას, მაიძულა ბავშვი უხერხული მდგომაროებიდან დამეხსნა:

– ძვირფასო ვერა, მშვენიერ მარუსიას არაფერი დაუშავებია, შემაწუხებელი არაფერია.

ოლგამ და ვეროჩკამ მხიარულად შესძახეს, „კნიაზ, ისეთი კმაყოფილი ვარ“. მეც შევუდექი წინა საღამოს ამბის მოყოლას:

„გუშინ საღამოს ექიმმა რენომ ახალჩამოსული პოლიტიკური ხაზით გადმოსახლებულებთან შესახვედრად მიმიწვია. დაახლოებით, ათი ადამიანი გამაცნო. მათგან ორმა მიიქცია ჩემი განსაკუთრებული ყურადღება. ოცდაათ წლამდე იქნებოდნენ. დიდხანს ვისაუბრეთ, იმდენად საინტერესოდ, რომ გარეთაც განვაგრძეთ, სიცივემაც ვერ შეგვიშალა ხელი. ისინი კარგი მეგობრები იყვნენ, ერთმანეთისგან ფიზიკურადაც განსხვავდებოდნენ და ტემპერამენტითაც. მოგილევსკი წარმოსადეგი აღნაგობის ახალგაზრდა იყო, დიდი, მეტყველი თაფლისფერი თვალებით. უამრავი ინფორმაცია ჰქონდა ჩემთვის საინტერესო პოლიტიკოსებზე. დინჯად და სასიამოვნოდ მომითხრობდა მათზე. ლიახევეცკი შედარებით დაბალი ტანის კაცი იყო, ცოცხალი, მკვირცხლი თვალებითა და გონებით, უბრალო საუბრის მანერა ჰქონდა და კონცენტრირებული აზროვნება. ნიჭიერი ჟურნალისტი იყო, წარმოშობით სარატოვიდან. იქ რუსულენოვან გაზეთთან თანამშრომლობდა, რომლის რედაქტორიც ჩემი თანამემამულე, დიომიდე თოფურიძე გახლდათ. ლიახევეცკი სტატიებს „მაისკის“ ფსევდონიმით აქვეყნებდა. სხვა ამბებთან ერთად ისიც მომიყვა, რომ ცარისტული ხელისუფლება ხშრად დევნიდა სტატიების გამო და დიდ ჯარიმას აკისრებდა, თოფურიძე მის გამოსახსნელად მეუღლის სამკაულებს დებდა ხოლმე.[1]

თხრობას ხან ოლგა მაწყვეტინებდა, ხან – ვეროჩკა და კითხვებს მისვამდნენ. ყველა ჯერზე, როდესაც პოლკოვნიკები „კნიაზს“ იგებდნენ, სამხედრო მისალმების პოზაში წამოდგებოდნენ ხოლმე. უფროს დებს ძალიან აწუხებდათ ეს ამბავი, რადგან უმცროსი დის რეაქციის ეშინოდათ. საბედნიეროდ, დასაწყისში მარუსიამ ვერაფერი შენიშნა. ახლა კი ეცინებოდა, მაგრამ სიცილის გამომწვევი სხვა მიზეზიც შეიძლებოდა ყოფილიყო, ამიტომ საშიშროება აღარ იდგა.

ოფიცრები თავისთვის საუბრობდნენ, ჩვენ-ჩვენ წრეში. ბ-ნი ნიკოლსკი მათ ადგლობრივ ინტელექტუალურ ცხოვრებას აცნობდა, კლუბსა და ბანქოს თამაშზე უყვებოდა. პაველმა კლუბში წა-

[1] დამოუკიდებელ საქართველოში დაბრუნებული თოფურიძე დამფუძნებელ კრებაში აირჩიეს, გახდა ქუთაისის მერი. ლიახევეცკიმ გვარად ფსევდონიმი დაიტოვა და ლონდონში საბჭოთა ელჩის პოსტი დაიკავა (ხ. შავიშვილი).

სვლა და ბანქოს თამაში შესთავაზა. ბ-ნმა ნიკოლსკიმ გენერალ კრიეგერს მიმართა:

– თქვენო ბრწყინვალებავ, ნამდვილად პატივი იქნებოდა თქვენთან თამაში. რამდენ ხანს გეგმავთ ტობოლსკში დარჩენას?

– აქ კონკრეტული პროცესისთვის ჩამოვედით, საკმაოდ მარტივი საქმეა და ბევრ დროს არ საჭიროებს. დაახლოებით, სამი დღე დავრჩებით. შემდეგ ომსკში გვაქვს საქმე, ოცამდე ადამიანს სიკვდილით დასჯის განაჩენი უნდა გამოვუტანოთ. ომსკის საქმე ბევრად მნიშვნელოვანია, ყურადღებით უნდა ვიმუშაოთ.

ამ სიტყვების გაგონებაზე ცივმა ოფლმა დამასხა. ვეროჩკამ მორიდებულად მკითხა: „კნიაზ, რა დაგემართათ?“ დებმაც იმავე კითხვით მომმართეს. პაველი გენერლის გამოკითხვას აგრძელებდა:

– თქვენო ბრწყინვალებავ, ომსკის საქმე ტობოლსკის საქმეზე უფრო რთული რატომ არის? ვისურვებდი, აქაური საქმეც ასევე რთული ყოფილიყო!

პოლკოვნიკები პაველის სურვილის მიზეზით დაინტერესდნენ, მან უპასუხა:

– რაკი უფრო დიდხანს დარჩებოდით ტობოლსკში.

ყველა მოიხიბლა პაველის წინადადებით. გენერალმა კი უპასუხა:

– აქ საქმე უბრალო ფორმალობასთან გვაქვს. უბრალოდ, განაჩენი უნდა გამოვუტანოთ ყველა მსჯავრდებულს. თუმცა იმისთვის, რომ გასიამოვნოთ, პაველ, დამატებით ერთ დღესაც დავრჩებით – დაამატა ღიმილით.

პროკურორმა, რომელიც არასდროს იცინოდა, ირონიული ღიმილით დასძინა:

– ამ საქმეში ჩემი როლი მარტივია, მხოლოდ სიკვდილით დასჯის განაჩენი უნდა წავიკითხო, მოტივაციის გაჟღერებაც არ დამჭირდება. მაგრამ ომსკში, პირიქით, საქმე უნდა შევისწავლო.

დიდი ძალისხმევა მჭირდებოდა ამ „უსაგნო ყბედობის“ მშვიდად მოსასმენად, რომელიც თითქოს, შესანიშნავ ვახშმამდე თავშესაქცევად იყო გამიზნული.

– ეს როგორ, წამოვხტი და წამოვიყვირე, ზოგი დახოცეს, ზოგიც დაჭრეს და სცემეს და ახლა ისევ ისინი უნდა გასამართლდნენ?

ქ-ნი ნიკოლსკაია სასწრაფოდ ჩაერია:

– არა, ეს შეუძლებელია, მათ სიკვდილით არ დასჯიან, დამშვიდდით, კნიაზ!

გოგონებმა დედის მაგალითს მიბაძეს. ქალბატონს ბოდიში მოვუხადე მას შემდეგ, რაც გენერალმა განმარტებები მომაწოდა. სასამართლო საქმის გამარტივებისთვის შედგებოდა. საქმე თავის მხრივ მარტივი იყო, რადგან „პატიმრებმა ხელი აღმართეს სამხედროებზე."

– მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს „ხელის აღმართვას", თუ ეს ხელი შეუიარაღებელია, ხოლო ჯარისკაცები კბილებამდე შეიარაღებულნი იყვნენ? – მივუგე.

სასამართლოს თავმჯდომარეც წამოიმართა და მიპასუხა:

– ვწუხვარ, მაგრამ ვერაფერს შევცვლი. თუ ინებებთ, ნებას დაგრთავთ პროცესს დაესწროთ, რომელიც დახურულ კარს მიღმა გაიმართება.

სანამ გენერალი სავიზიტო ბარათზე პროცესზე დასწრების ნებართვას მიწერდა, უმძიმესი გრძნობა დამეუფლა, ვორჭოფობდი, დავთანხმებოდი, თუ მეყვირა: „მკვლელებო, მკვლელებო!" თუმცა ნიკოლსკების ქალიშვილებისა და დედის შეშფოთებულ თვალებს რომ შევხედე, თავი შევიკავე, გენერალ კრიეგერს ბარათი გამოვართვი; მოხდეს, რაც მოსახდენია, წავალ.

* * *

დილით, ცხრა საათზე 40⁰ ყინვაში გამოვედი, ერმაკის ძეგლს ჩავუარე და გორაკისკენ ავუყევი გზას, სადაც გუბერნატორის რეზიდენცია იყო განთავსებული. შენობა ყველა ოფიციალურ ინსტიტუციას აერთანებდა.[1] შესასვლელში ჯარისკაცები იდგნენ მცველებად; დამიყვირეს: „სდექ!" მათ ბარათი ვაჩვენე. ერთი სართული ავიარე, დერეფანს ჯარისკაცები იცავდნენ და იქაც იგივე ცერემონია გავიარე. აუდიენციების დარბაზის შესასვლელთან მანდატურები იდგნენ, გაოცდნენ ჩემს დანახვაზე. მკაცრად მომთხოვეს იქ მისვლის მიზეზი და ჩემი ვინაობის დადგენას შეეცადნენ. ვუთხარი, ზედმეტი გარჯა საჭირო არ იყო, მე პოლიტმატიმარი ვიყავი. ამის გაგონებაზე, განმიცხადეს, რომ გადასახლებულებს აქ არაფერი ესაქმებოდათ და შენობის დატოვება მომთხოვეს.

მაშინ თავმჯდომარე კრიეგერი ვახსენე და მისი დაწერილი ბარათიც ვაჩვენე. პროკურორს ჩემ შესახებ აცნობეს, ისიც გამოვიდა, თავაზიანად ჩამომართვა ხელი და დარბაზში შემიყვანა.

---

[1] ათი წლის შემდეგ სწორედ ამ შენობაში დაატყვევეს ნიკოლოზ II თავის ოჯახთან ერთად (ხ. შავიშვილი).

სწორედ ამ დროს ბრალდებულნი შემოიყვანეს, მათი ბორკილები და ჯაჭვები ავბედით ხმას გამოსცემდა. გვარების ამოკითხვის ფორმალური ნაწილი უნდა ჩატარებულიყო. ველოდებოდი, როდის გამოაცხადებდნენ ტაგჩოგლოს.

პროკურორმა საბრალდებო დასკვნის კითხვა დაიწყო. ტაგჩოგლო მთავარ დამნაშავედ გამოაცხადეს, როგორც პატიმართა ბუნტის ორგანიზატორი, თითქოს, მათი გაქცევა იგიგმებოდა, ხოლო მცველებმა ისინი დაიჭირეს და ამბოხი ჩაახშეს. ბრალდებულებმა ბადრაგთან და ჯარისკაცებთან შეპასუხება სცადეს და ბარიკადებიც აღმართეს. ბოლოს პროკურორმა უფერული ტონით წაიკითხა ყოველგვარ აზრს მოკლებული საბრალდებო დასკვნა. პროკურორმა სიტყვა მომხდარი ამბის აღწერით დაიწყო და თქვა: „მძვინვარე ხმაური დაიწყეს“, ეს სიტყვები თხუთმეტჯერ მაინც გაიმეორა და ბოლოს ამით დაასრულა: „ერთი სიტყვით, რასაც ჰქვია ხმაური და მძვინვარება.“ პროკურორი უმაღლეს სასჯელზე მიანიშნებდა, „გასაჩივრების გარეშე“.

ამ დროის განმავლობაში თავმჯდომარე ხშირად მიყურებდა გაურკვეველი მზერით, არ ვიცი რას გამოხატავდა, სიმპათიას, სიძულვილს, ინდიფერენტულობას? პროცესი შეწყვიტა, თავშეკავებულსა და ენიგმატურ დამოკიდებულებას ინარჩუნებდა; თავად შემაღლებულ ადგილას რჩებოდა, ხოლო სასამართლოს სხვა წევრები დარბაზში მოძრაობდნენ. რამდენიმე მათგანი მომიახლოვდა, ხელი ჩამომართვა და მითხრა: „რა სასიამოვნო საღამო გავატარეთ გუშინ!“

პროკურორთან შეხვედრით ვისარგებლე, ვთხოვე, პატიმრების ბარიერთან მივეყვანე და ტაგჩოგლოსთან გასაუბრების უფლება მოეცა. „ამ დარბაზში მსგავს გადაწყვეტილებებს თავმჯდომარე იღებს, თუმცა საწინააღმდეგო არაფერი ექნება. მიბრძანდით“, – მიპასუხა მან.

მთავარი იყო, ბარიერამდე მივეცილებინე, დანარჩენი ჩემი საქმე იყო. ტაგჩოგლოს მივუახლოვდი. ძნელი იყო მისი ცნობა, მსჯავრდებულის სამოსში, იძულებით სამუშაოებგამოვლილი და გადაპარსული თავით. მხოლოდ მისი ძლიერი ხმით, თავისუფალი საუბრის მანერით, ჭკვიანური მზერით ვიცანი. მითხრა, რომ არანაირი ილუზიები არ ჰქონდა მიმდინარე პროცესზე. „დაგროვებული ბრაზის გადმოსანთხევად“, გადაწყვიტა, მხოლოდ მას ესაუბრა.

პროცესი განახლდა. მსჯავრდადებულები გამოიძახეს და თავდასაცავად სიტყვის უფლება მისცეს. სიტყვაზე ყველამ უარი

თქვა, მათი სახელით ტაგჩოგლოს უნდა ესაუბრა. მისი დისკურსი მკაცრი, მიზანმიმართული იყო. თავმჯდომარემ რამდენჯერმე მიმართა საკონსულტაციოდ კოლეგებს, მკაცრი იერით უყურებდა დამნაშავეს, მოთმინებით უსმენდა ცარისტული რეჟიმის მკაცრ კრიტიკას. ტაგჩოგლო ამბობდა: „ელემენტარული თავისუფლებაც არ გვაქვს, თავნებობა და ძალადობა მეფობს, ესაა დამპალი ავტოკრატიის იარაღი. ამ მოძველებული საზოგადოების საწინააღმდეგოდ ახალი საზოგადოება ვითარდება, ის იბრძვის და გამარჯვებასაც მიაღწევს. ძირს ძველი საზოგადოება, ძირს ცარიზმი, გაუმარჯოს ახალ თაობას!“

სწორედ ამ დროს, როდესაც ტაგჩოგლომ დაასრულა სიტყვა, თავმჯდომარე ჩაერია და მას აუკრძალა მსგავსი სიტყვების წარმოთქმა.

ვერდიქტი მეორე დღეს გამოიტანეს, რამაც დიდი სენსაცია მოახდინა ტობოლსკში. არც ერთი უმაღლესი სასჯელი, მხოლოდ დამატებითი ექვსთვიანი იძულებით სამუშაოები. ამას კი არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა პატიმართათვის, რომელთაც კიდევ 15 თუ 20 წელი უნდა გაეტარებინათ ციხეში.

თავი VII

თავზარდაცემათა ჯაჭვი

უკვე ექვსი თვეა, რაც მშვიდად ვცხოვრობ. ამგვარი სიმშვიდე შემაშფოთბელიც კია, სიზმარს უფრო ჰგავს, ვიდრე რეალობას. ამდენი ქარიშხლის შემდეგ ეს ნამდვილად შთამბეჭდავია.

ამგვარად, ცხოვრება ჰარმონიულად მიედინება, არა მხოლოდ ჩემი, ყველა პოლიტპატიმრის. ამას ემატება ნიკოლსკების ოჯახის გულთბილი ყურადღება.

პოლიტმატიმართა ელიტა ხუთი ათასამდე ადამიანს მოიცავდა. სამ სხვადასხვა ჯგუფად იყოფოდნენ. ერთმანეთს ზრდილობის გამო ხვდებოდნენ და ოფიციალური კავშირებიც ჰქონდათ. ჯგუფები შემდეგი იყო: ექიმი რენოს (სოციალ-რევოლუციონერი), პისარევსკი-ლიბერმანის (სოციალ-დემოკრატ-მენშევიკები) და პროფ. ვოლკოვის (წმინდა ინტელექტუალი). თითოეული ჯგუფი ითხოვდა, რომ მათთან შეხვედრაზე მივსულიყავი, ოდნავი ეჭვიანობაც შეიმჩნეოდა, როდესაც რომელიმეს უარს ვეუბნებოდი და სხვაგან მივდიოდი, თუმცა არც ერთი არ აპროტესტებდა ნიკოლსკებთან ვიზიტს.

მესამე დუმის არჩევნების მოახლოვება დიდ მღელვარებას იწვევდა. იმედი და შფოთვა ჩემს მეგობრებს გაშმაგებულ დისკუსიებში რთავდა. ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ და ეს ცხარე კამათები საღამოს იმართებოდა. დელიკატური მდგომარეობა შეიქმნა, არც სურვილი მქონდა და არც საბაბი, მათი უკმაყოფილება გამომეწვია. ყველას მიმართ დადებითად ვიყავი განწყობილი. გარანტიას მთოხვდნენ, რომ საქართველოში კიდევ მოვძებნიდით ელიტარულ, კვალიფიციურ ადამიანებს, რომელნიც რუსეთში ოპოზიციის ლიდერთა ჯგუფს შექმნიდნენ. ეს ურთულესი საკითხი იყო, ვერ ვუმხელდი, რომ ჩემი ქართველი მეგობრებისგან არანაირი ინფორმაცია აღარ მქონდა მას შემდეგ, რაც კავკასია დავტოვე; ამის გაგების შემდეგ რა ნდობა უნდა შერჩენოდათ ჩემ მიმართ? თუმცა, ბოლოს გადავწყვიტე, პირდაპირ მეთქვა, რომ სიახლეებს არ ვიცნობდი.

ამგვარად, ბევრი გამორჩეული კრება ჩატარდა. თითოეული ჯგუფი გაოცებული რჩებოდა, როდესაც ვამბობდი, რომ ჩემი ინ-ფორმაცია ცნობებად კი არა, უბრალოდ, იმ ადამიანის მოსაზრე-ბებად მიეღოთ, რომელიც კარგად იცნობს თავის ქვეყანასა და ხალხს. მეგობრები ყურში მიჩურჩულებდნენ ხოლმე:

– გეთაყვა, თქვით, რომ ახლახანს მიიღეთ ინფორმაცია!

თავაზიანი ქ-ნი პისარევსკაია ჩემსკენ გადმოიხარა და მითხრა:

– ძვირფასო მეგობარო, გთხოვთ, ჩვენთვის უდიდესი სი-ამოვნება იქნება, თუ იტყვით, რომ დადებითი ამბები გაქვთ საქართველოდან!

– ძალიან ვწუხვარ, ამ ეტაპზე არაფერი მიმიღია ჩემი პარტიისგან!

რამდენიმე თავშეკავებული ჩურჩული მომესმა: „ბოროტი!“

ქვეყნის მდგომარეობის აღწერას შევუდექი და ბოლოს განვუ-ცხადე, რომ კავკასიიდან კვლავ გაიგზავნებიან დეპუტატები მე-სამე დუმაში, ისინი კვლავ მოწოდების სიმაღლეზე იქნებიან. „და-გვიზუსტეთ, ვინ იქნებიან?“ – გაისმა შეძახილები.

– დეპუტაციის სათავეში ამჯერად ამხანაგი კარლო იქნება!

– იტალიელია, თუ ბერძენი?

უცებ მივხვდი, რომ კარლოს გვარი ჰქონდა და გვარით უნდა დამესახელებინა, შეცდომა დავუშვი.

– არა, ქართველია, მისი გვარია ჩხეიძე, – ხაზგასმით წარმოვ-თქვი გვარი.

ჩვენი თათბირები ძალიან ცოცხალი და მძვინვარე იყო ხოლ-მე. თუმცა, ზოგჯერ კომიკური სიტუაციებიც იქმნებოდა. ამჯერად მე შევქმენი სასაცილო მდგომარეობა ჩემი გამოსვლით, როდესაც მსგავსი შეცდომა დავუშვი და მერე მეტი დამაჯრებლობით განვა-ცხადე სამომავლო კანდიდატები. თუმცა სამი კვირის შემდეგ მი-ღებულმა დეპეშებმა ჩემი სიტყვები გაამართლა.

* * *

აღნიშნულ ამბავს ჩემი მორალური მდგომარეობა უნდა გამო-ესწორებინა; თუმცა დეპრესია მემატებოდა, კიდევ უფრო მეტად მინდოდა განცალკევებით ყოფნა. დარდის დიდი ტალღა მიტევდა და მეც ვერ ვხვდებოდი, რატომ. უფრო და უფრო ხშირად მიტივტი-ვდებოდა გონებაში ჩემი ქვეყნის ძველი თუ თანამედროვე გმირე-

ბის სახეები, კინოს კადრებივით ვხედავდი მთებსა და სოფლებს, ბავშვობაში ნანახ ადგილებს, სადაც ბედნიერი და სამწუხარო ამბებიც გადამხდენია! უცნაურია, რომ ამ მოგონებებისას ყველაზე უფრო ძვირფასად სწორედ სამწუხარო ამბები მექცა.

ჩემი ბავშვობის მეგობრები, უფროსები... ჩემი პირველი მეტრეები, ნინო, გიგო, ნესტორი... მშვენიერი ზღაპრები, რომელთაც ბავშობაში მიყვებოდნენ. სიცოცხლეს დავთმობდი, კიდევ ერთხელ რომ მომესმინა, ან ეს ზეპირსიტყვიერი საგანძური ვინმეს რომ ჩაეწერა, რათა მომავალი თაობებისთვის შეენახათ. რატომ უნდა გამქრალიყო, როდესაც საუკუნეების განმავლობაში შემონახულა და გამდიდრებულა კიდეც?!

ამ ყველაფერზე ვფიქრობდი, ვაანალიზებდი წარსულს, აწმყოს, ჩემს სამშობლოსა და ქვეყანას, სადაც ახლა ვიმყოფებოდი.

საპირისპირო პოლუსზე ვიყავი, დაახლოებით ათი ათას კილომეტრზე. ნუთუ სამხრეთისა და ჩრდილოეთის დისტანციის გამო ვიყავი ამ მდგომარეობაში? იქნებ, დაუნახავი ვიყავი ყველაფერი იმის მიმართ, რაც ჩემ გარშემო ხდებოდა? თუმცა მხოლოდ ეს არ იყო, ჩემთვის სრულიად უცხო ქვეყანაში ვიმყოფებოდი. აქ ყველაზე ახლო მეგობრებისთვისაც კი არ შემეძლო გამეზიარებინა მოგონებები, რომელიც ნებისმიერ ქართველს გულის სიმებზე შეეხებოდა. ეს ნოსტალგიაზე მეტია. ჯარისკაცებით დაცულ ოთხ კედელს შეეძლო ჩემი სამშობლოსგან იზოლაცია, მაგრამ ამ მშვიდ, წყნარ ცხოვრებას არ შეეძლო უმოქმედოდ დავეტოვებინე ძალდატანებით უძრაობაში. საკმარისად დავისვენე, ახლა უნდა გავქცეულიყავი და სამშობლოში დავბრუნებულიყავი, რაც შეიძლება მალე. ამგვარი შესაძლებლობა ორ თვეში მესახებოდა, მას შემდეგ, რაც ნაოსნობა განახლდებოდა. გეგმა ასეთი იყო: პირველივე გემით დამეტოვებინა ტობოლსკი, ომსკის გავლით მდინარე ირტიშს ავუყვებოდი სემიპალატინსკამდე. მოგზაურობას ათი-თხუთმეტი დღე დასჭრდებოდა. იქიდან თურქესტანში, შემდეგ კავკასიაში. დაახლოებით, ერთ თვეში საქართველოში ვიქნებოდი და ვნახავდი ტფილისს, ქუთაისს, ბათუმს.

ასეთი გეგმით ავიცილებდი ურალსა და ცენტრალურ რუსეთს, რომელიც ყველაზე სახიფათო გზად ითვლებოდა.

გეგმას საიდუმლოდ შევინახავდი და მეგობრებს გაქცევამდე ერთი კვირით ადრე გავუმხელდი. ისინი სწორად გაიგებენ, რომ პოლიტიკური საქმიანობა ჩემ კავკასიაში დაბრუნებას მოითხოვს, რომ რევოლუციისა და ჩვენი იდეალის, „მომავლის სამეფოს“ ხორ-

ცშესხმა აღნიშნული გეგმის განხორციელებაზეა დამოკიდებული. ისინი უდიდეს ნდობასა და დახმარებას გამომიცხადებენ. მაგრამ რა ვუთხრა სათნო და სასიამოვნო ნიკოლსკების ოჯახს? ისინი არც ჩვენს პოლიტიკურ პარტიასთან არიან დაკავშირებულნი და არც ჩვენს იდეალთან, ამიტომ ჩემი გადაწყვეტილების გაგება მათთვის რთული იქნება. ჩვენ ერთმანეთის ინტელექტუალური და ჰუმანური ღირებულებების დონეზე გვესმის.

ერთი კითხვა მიღრღნიდა გულს, მათთან დაუმშვიდობებლად და მადლობის გადაუხდელად ვერ გავემგზავრებოდი, ხომ არ ვაწყენინებდი, თუკი პირდაპირ ვეტყოდი, თუ რა მიხმობდა ჩემს ქვეყანაში?

თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს! მიზნის განხორციელებაში ხელს ვერაფერი შემიშლიდა!

* * *

გრძელი ღამეების პერიოდი გავიდა, მარტის ბოლოა, ნელ-ნელა დღე გაიზარდა. ერთ დილას საქართველოდან წერილი მივიღე, ეს პირველი იყო ჩემი გადასახლების განმავლობაში. კონვერტის დანახვამ სიხარული და ამავდროულად, სევდა მომგვარა. ჟრუანტელმა დამიარა, როდესაც ჩემი ძმის, მიხაკოს ლამაზი ხელწერა ვიცანი. ერთი სული მქონდა, როდის წავიკითხავდი წერილს... თან ვაყოვნებდი კონვერტის გახსნას.

მიხაკო ჩემდამი სიყვარულს გამოხატავდა, ამასთან, ჩვენს საუკუნეს და „განშორების ექვს წელს“ წყევლიდა. საბედნიეროდ, ვანოს ამბებსაც მაცნობდა: სამუელის რეკომენდაციით, ოზურგეთის ციხეში გურიის თავადი ერისთავი ეწვია; ვიზიტიდან ათი დღის შემდეგ ვანო ციხიდან გაიქცა და 1906 წლის ბოლოს ბაქოში დაბრუნდა. 1907 წლიდან პარტიას ახალი სიცოცხლე შთაბერა, სწორედ მისი წყალობით გაიმართა კავკასიის სოციალ-დემოკრატთა კონგრესი, რომელსაც სილიბისტრო ჯიბლაძე და ნოე ჟორდანია უძღვებოდნენ. კონგრესი ხუთი დღის განმავლობაში ფარულად მიმდინარეობდა ბაქოში. შეხვედრების ფარგლებში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღეს არჩევნებში მონაწილე კანდიდატებისა და დუმაში ჩვენი დეპუტატების საქმიანობის შესახებ. კონგრესს ვერ ესწრებოდა ჩხეიძე, მისი გვარი დუმის კანდიდატებს შორის დასახელდა, ხოლო წერეთელი და ჯაფარიძე უკვე დაპატიმრებულები იყვნენ. ისიდორე და ნოე რამიშვილებს, ნოე ხომე-

რიკს განსაკუთრებული როლი ჰქონდათ კონგრესზე. ამის შემდეგ ვანო ბაქოში საერთო გაფიცვას ხელმძღვანელობდა, რომლის შემდეგაც მის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრა, ამიტომ იძულებული გახდა, ყველასგან დაფარული ადგილმდებარეობა აერჩია.

სევასტიც ბაქოში იყო, თუმცა რამდენიმე დღეში მშობლიურ სახლში უნდა დაბრუნებულიყო, რათა მიხაკოს სასწრაფო საქმეების მოგვარებაში დახმარებოდა.

ჩემი ძმა ყველა ამბავს საოცარი მოხერხებულობით გადმომცემდა და მამის, როსტომის გარდაცვალებისთვის მამზადებდა; დედის ანდერძიც ჩაერთო წერილში:

„ჩემი პატარა, ძვირფასი ხარიტონი, რომელიც საჭმლის წილზე მაშინაც კი უარს ამბობდა, როცა შიოდა, არასდროს დაიცავს პირად ინტერესებს, ამიტომ ჩემს შვილებს მოვუწოდებ, მის განსაკუთრებულ ხასიათს მიაქციონ ყურადღება და ვთხოვ, მისი ინტერესების დაცვას თვალყური ადევნონ“.

მიხაკო აქვე ამატებდა: „მამის სიკვდილის შემდეგ იძულებულები ვართ ქონება გავინაწილოთ, გთხოვ, დედის პატივისცემის ნიშნად, ამ საკრალური მისიის შესრულებაში დამეხმარო (როგორც იცი, მისი უკანასკნელი სურვილი მე შევადგინე) და შენი სურვილი მაცნობო. ჩვენი ძმები დამეთანხმებიან, რომ სწორედ შენ აირჩიო საუკეთესო ჩვენი ქონებიდან“.

მამის გარდაცვალების ამბავმა შემძრა, დედის ანდერძმა კი საბოლოოდ გამანადგურა. არც კი ვიცი, იმ დროს რა ხდებოდა ჩემში. როცა გონს მოვედი, თითქმის ერთი საათი გასულიყო, სასწრაფოდ მივწერე მიხაკოს, თუ რამდენად ამაღელვებელი იყო მისი წერილი; ვთხოვე, ანდერძის აღსრულების საქმის კურსში არ ჩავეყენებინე (ადამიანის გონება ზედაპირულია, თუ კონკრეტულ საქმის შესახებ ინფორმაცია არ აქვს, ჰგონია, რომ ის არც კი მომხდარა). ჩემი საბოლოო გადაწყვეტილებაც მივწერე, ქონებაზე უარს ვაცხადებდი და მათ ძმებს ვუთმობდი, ვთხოვდი, ის თანაბრად გაენაწილებინათ. ვერ გავბედე, მისთვის გაქცევის გეგმის შესახებ მიმეწერა, თუმცა ბოლოში მივუწერე „დროებით".

წერილი შუა დღემდე მივიტანე ფოსტაში. იქიდან გამოსულს უდიდესი წუხილი დამეუფლა. არც კი ვიცი, დრო როგორ გავიდა, ჩემი პოლონელი თანადამქირავებელი ჩვეულებისამებრ დაბრუნდა სახლში, თუ არა? საღამოს ხუთ საათზე ღრმა ძილიდან გამორკვეულივით წამოვვარდი სავარძლიდან. მოულოდნელად რაბინოვიჩი და პისარევსკი მესტუმრნენ. რაბინოვიჩი გაკვირვებული

იყო, რომ შუადღისას მათემატიკოს ვერეჩაგინებთან არ მივედი სადილზე, ამიტომ პისარევსკის გაუარა და ორივე ჩემთან მოვიდა, რათა ექიმ რენოსთან ჩაიზე დავეპატიჟებინე.

გავედით. პისარევსკიმ თევზსაშენში გავლა მოისურვა, სადაც სექტემბერში ობდორსკში დაჭერილი თევზი ჰყავდათ.[1] რამდენიმე იყიდა, იმ მიზნით, რომ ექიმ რენოსთან მაინც მოემზადებინათ ჩემთვის საჭმელი. ექიმმა თბილად მიგვიღო, მთელი საათი საუბარში გავატარეთ. ამ დროის განმავლობაში თევზები ლღვებოდნენ. საოცარი იყო, ექვსი თვის წინ გაყინული თევზი, მაშინვე გაცოცხლდა, როგორც კი გადნა, ახტნენ და იატაკზე დაეცნენ.

ამ ამბით ყველაზე მეტად ქ-ნი რენო და მისი პატარა შვილი გაერთნენ. საქმეში სასწრაფოდ ჩაერთო პუჟაი, მან „მკვდრეთით აღმდგარი“ თევზები დაიჭირა და ქ-ნ რენო სამზარეულოში მიიწვია მათ მოსამზადებლად.

სწორედ მაშინ ჩემმა სამმა მსმენელმა ერთმანეთს გადახედა. ექიმმა რენომ პისარევსკის რაღაც ანიშნა, მანაც მითხრა:

– ძვირფასო ამხანაგო, გვსურს, გულწრფელად გესაუბროთ. თქვენ მიმართ მხოლოდ პატივისცემა და კეთილგანწყობა გვამოძრავებს; ძალიან გვაშფოთებს თქვენი ქცევა უკანასკნელ ხანებში. ჩემი მეუღლე, ჟენია, რამდენიმე ხანია მთხოვს გკითხოთ თქვენი შფოთისა და წუხილის მიზეზი. სწორედ დღეს, სადილის დროს, ვაპირებდი დელიკატურ საკითხზე საუბარს, თუმცა, თქვენ არ მოხვედით. ასეთი რა გავაკეთეთ, რომ თქვენი ნდობა დავკარგეთ? რატომ არ გვეუბნებით, რა გასაჭრი გიდგათ და რით შეგვიძლია დახმარება? – ამ სიტყვებზე ულვაში გაისწორა, თავი ასწია და სათვალის მიღმიდან თავისი ღრმა მზერა მომაპყრო, განსაკუთრებული ტონითა და ღიმილით დაამატა – ჩვენ თქვენი მეგობრები ვართ. ძალიან გვაწუხებს თქვენი მდგომარეობა.

მძიმე სიჩუმემ დაისადგურა. ვფიქრობდი, რა ბედნიერებაა, რომ ეს შეკითხვა მიხაკოს წერილის მოსვლამდე არ დამისვეს.

პისარევსკის ვუთხარი, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩემთვის მათ მიერ გამოხატულ ყურადღებას. ავუხსენი, რომ კავკასიიდან სიახლეების უქონლობა ძალიან მაწუხებდა და მადარდიანებდა, თუმცა დღეს მივიღე წერილი, საიდანაც ბევრი საინტერესო და ამასთან მძიმე ამბავიც შევიტყვე. ვკითხე, თუ მენდობოდნენ, ერთხმად მიპასუხეს – „სრულებით“ – მეც განვაგრძე, ჩემი ძმის წერილი ქართულ ენაზეა, ამიტომ მხოლოდ მისი თარგმანი შემიძლია გაგაცნოთ.

---

[1] ახლანდელი მდინარე ობი (ხ.შავიშვილი).

ემოციურად და ინტერესით ისმენდნენ წერილის შინაარსს, ამასთან, ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდნენ ქართულ დამწერლობას. ბოლოს მთხოვეს, კავკასიაში ჩემი ყოფნის აუცილებლობის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება აუცილებლად მეცნობებინა მათთვის. ჩემი გაქცევის გეგმა არ გავაცანი.

გვიან ღამით დავემშვიდობეთ ერთმანეთს.

– კნიაზ, ამ დღეებში რატომ არ გვსტუმრობდით? – ერთდროულად მკითხეს ოლგამ და ვეროჩკამ.

ბ-ნმა ნიკოლსკიმ კი ხელი გამომიწოდა და დასძინა: „რადგან კნიაზმა დაგვივიწყა!“ ოჯახის თავნებამ შორიდან შეჰყვირა:

– მამილო, არ ვეთანხმები, რომ კნიაზმა დაგვივიწყა!

– ძვირფასო, მაბრაზებს შენი თავხედობა, უპასუხა მამამ, დებმა კი მკაცრი მზერა მიაპყრეს.

– ნიკოლაი ივანოვიჩ, მე ვერ დავეთანხმები ასეთ რამეს – ვთქვი და მივხვდი, რომ სიტუაციის განმუხტვის ნაცვლად, ხაზი გავუსვი დაძაბულობას, ამიტომ დავამატე – თქვენი დავიწყების ფაქტს ვერ დავუშვებ, თუ მარუსიაზე გაბრაზდებით, ე.ი. ჩემზეც უნდა გაბრაზდეთ.

საბედნიეროდ, ყველა გამხიარულდა და საუბარში ჩაერთო; სიამოვნებით ვპასუხობდი შეკითხვების ნაკადს. ვახშამიც მოგვართვეს. თუმცა კიდევ ერთმა გარემოებამ შეარყია საერთო მხიარულება: აპრილის დასაწყისი იყო, ამ პერიოდში მდინარე ირტიში დნობას იწყებდა და ეს რეგიონში წლის მოვლენად ითვლებოდა. ამ პროცესებით გამოწვეული ხმა ათეულ კილომეტრზე აღწევდა. ხალხი შორიდან მოდიოდა, სპექტაკლს რომ დასწრებოდა.

– ირტიშის დნობის სანახავად ერთად წავალთ, კნიაზ? ეს ისეთი ლამაზია – თქვა ვეროჩკამ და ამით ყველას ფიქრები გამოხატა.

– რა თქმა უნდა, ვუპასუხე და საერთო მხიარულებას შევუერთდი.

სიტყვა „დნობამ“ ჩემი გეგმა გამახსენა. უკვე ნათლად ვხედავდი პირველ გემს, რომელიც ომსკში გაივლიდა და სენიპალატინსკში მიმიყვანდა, შემდეგ თურქესტანში და იქიდან – ბაქოში, აქ კი, იქნებ, ვანო და სევასტი მენახა. ტფილისში ყველა მეგობარს შევხვდებოდი, აუცილებლად შევივლიდი მეტეხის ციხესა და ტფილისის სხვა ციხეებში, სადაც პატიმრობაში ვიმყოფებოდი. ასე შემოვივლიდი ჩემს ქვეყანას და საქმიანობასაც დავუბრუნდებოდი...

საოცარ სიხარულს მწუხარების ჩრდილი მიადგა, რადგან ამ ყველაფერს გარშემომყოფთ ვერ ვუზიარებდი. უეცრად მარუსიამ მომმართა:

– კნიაზ, რაზე ფიქრობთ? თქვენი მზერა სადღაც სხვაგანაა, თითქოს, ჩვენ არც კი ვარსებობთ!

შეკითხვამ მედიტაციიდან გამომიყვანა, ახალგაღვიძებულივით ვიყავი, რომელიც ძლიერად შეანჯღრიეს. ჩემი სულიერი მდგომარეობა ნამდვილად ყველამ შენიშნა, განსაკუთრებით კი, ვეროჩკამ, თუმცა მისი თავდაჭერილობა უფლებას არ აძლევდა რაიმე ეკითხა.

ამგვარად, მარუსიამ კიდევ ერთხელ შექმნა უხერხულობა. სულელურად ვუყურებდი მეგობრებს, რომელნიც მარუსიას კიცხავდნენ. ბოლოს გონს მოვეგე და კვლავ მარუსიას დავუჭირე მხარი, ვთქვი, რომ მისი შენიშვნა მართებული იყო და მაგიდაზე მიხაკოს წერილი გავშალე. ვთქვი, თუ რამდენად რთული იყო ყველანაირი ინფორმაციის გარეშე ყოფნა და რამდენად მძიმე იყო მიღებული ამბები, მამის სიკვდილი, უძვირფასესი დედის მოგონება. მოზღვავებულმა გრძნობებმა ყელში მომიჭირა და საუბარი ვეღარ გავაგრძელე. ნუთუ მაპატიებენ, რომ სრული სიმართლე ვერ ვუთხარი? კეთილშობილი ოჯახი ბოდიშს მიხდიდა, რომ კიდევ ერთხელ განმიახლეს ჭრილობა. სინამდვილეში, ყველაფერი კარგია, რაც კარგად მთავრდება!

ნიკოლსკების ამგვარი დამოკიდებულება მამხნევებდა; სწორედ ეს დამეხმარა გამგზავრების წინ გამეფრთხილებინა ისინი და მეგობრულად გამოვმშვიდობებოდი.

* * *

დღეები ნელა გადიოდა, მაგრამ მაინც ხომ გადიოდა. საქართველოდან ერთდროულად ორი წერილი მივიღე, ერთი ქუთაისიდან, მეორე – ფოთიდან. ჩემი მეგობრის თხოვნით, კონკრეტული პიროვნება მატყობინებდა, რომ ხელისუფლებამ ჩემ წინააღმდეგ საბრალდებო მასალები შეაგროვა და გადაწყვიტეს, სასამართლოში გამოვეძახებინე, რის გამოც ცენტრალურმა მთავრობამ ჩემი ციმბირიდან ქუთაისში ჩაყვანა მოითხოვა. „იმედი გვაქვს, მწერდა წერილის ავტორი, სანამ სანკტ-პეტერბურგიდან ტობოლსკში მოვა ბრძანება, თავის დახსნას შეძლებ. საბუთების მიხედვით, უმაღლესი სასჯელია გათვალისწინებული. ამასთან, გზა ციმბირიდან არანაკლებ რთული იქნება, რადგან სულ ცოტა ერთი წელი გაგრძელდება.“

მეორე წერილი ბიძაჩემს, ერემი დოლიძეს ეკუთვნოდა. ისიც იმავე ინფორმაციას მაწვდიდა, რომელიც ქუთაისიდან მიეღო. მირჩევდა, უცხოეთში წავსულიყავი, რათა სიცოცხლე შემენარჩუნებინა. „ეს შენი ხსნის ერთადერთი გზაა. თუმცა რჩევების მოცემის უფლება არ მაქვს, რადგან წესით, შენ უცხოეთში გამგზავრებასა და იქ სწავლის გაგრძელებას მე უნდა ვაფინანსებდე, თუმცა არანაირი შემოსავალი აღარ მაქვს. სამი წლის წინ ჩემი მეუღლე გარდაიცვალა, ნამდვილი კატასტროფა იყო ჩემთვის. ჩემი ვაჟი, გოგილო იძულებულია, დურგლის ხელობა შეისწავლოს, პურის ფული რომ იშოვოს. გოგილოც გამოგიგზავნის წერილს.“ წერილს პათეტიკური ტონით აგრძელებდა, ჰყვებოდა მამაც ქართველებზე, რომელნიც თავისუფლებასა და ადამიანის უფლებების დაცვას ეწირებოდნენ, ახალგაზრდებზე, რომელნიც „ყინულოვან ციმბირში“ იხოცებოდნენ – „ჩემო ძვირფასო ხარიტონ, რით დაიმსახურე ასეთი მძიმე ხვედრი? როგორც ვიცი, ვანო გაქცეულია, ჩემი დანარჩენი დისშვილები როგორ არიან? ღმერთმა დაგიფაროთ ყველა!“

მიხაკოს წერილის შემდეგ მიღებული ეს ორი წერილი მძიმე დარტყმაა იყო. თუმცა მათ უარი ვერ მათქმევინეს სამშობლოში დაბრუნების გეგმაზე. *Alea jacta est.*[1] მეტიც, გადავწყვიტე, რაც შეიძლება სწრაფად განმეხორციელებინა გეგმა. ყინულის დნობის მოლოდინში, ერთი სული მქონდა, პირველივე გემზე ავსულიყავი და საქართველოსკენ წავსულიყავი. მოსამზადებელი სამუშაოები შესრულებული იყო. გემი ტობოლსკიდან სენიპალატინსკში ჩამიყვანდა, დაახლოებით სამი ათასი კილომეტრი იყო გასავლელი. იქ კი მეგობრები მყავს (სხვათა შორის, სოლოვეიჩიკმა დაჭერას ტარაში დააღწია თავი), ისინი დამეხმარებოდნენ ბაქოში ჩასვლაში, იქიდან კი – აშხაბადში. დღეებსა და საათებს ვითვლიდი. სწორედ ამ პერიოდში სანკტ-პეტერბურგიდან მანდატურთა ჯგუფი ჩამოვიდა, რომელთაც პოლიტმატიმრები ჩამოიყვანეს, მათ შორის, ორი სოციალისტი აქტივისტი. რაკი მოლოდინის ფაზაში ვიყავი, ამიტომ ყველაფრისგან განცალკევებით მეჭირა თავი და ახალი ნაცნობობის დროც არ მქონდა. თუმცა ეს ორი სოციალისტი დიდი მონდომებით ეძებდა ერთადერთ ქართველს, რომელიც იქ იმყოფებოდა. ვიფიქრე, რომ ქართველმა მეგობრებმა რაიმე დაავალეს ჩემთან და ამიტომ გადავწყვიტე, შევხვედროდი.

---

[1] ლათინური გამოთქმა, „კამათელი გაგორებულია“ (რედ.).

* * *

შეხვედრა შედგა. ეს ორი ადამიანი დიდი ხნის მიჩვეული იყო გადასახლებაში ყოფნას, ამიტომ ახალ ადგილზე მოხვედრისას, ახალი სანაცნობოს ძიებას იწყებდნენ. სიმპათიურები იყვნენ, ერთი უფრო მაღალი და ავტორიტარული გარეგნობის, მეორე – საშუალო ტანის, მუდამ მოღიმარი. ორივეს მოსწონდა წარსულზე საუბარი. ორივე მმართველის როლში იყვნენ, მიმაგრებულები იყვნენ ყველაზე დიდ რუსულ ქარხანას, პუტილოვს.

არანაირი სპეციალური საქმე არ ჰქონდათ ჩემთან, რამაც ცოტა იმედი გამიცრუა. თუმცა ბევრი საინტერესო ინფორმაცია მომაწოდეს. ისინი ყველა ჩემს თანამემამულეს იცნობდნენ, 1906-1907 წლებში დეპუტატებს: ჟორდანიას და რამიშვილს, წერეთელსა და ჯაფარიძეს (ჩხეიძის არჩევის ამბავი ციხეში გაეგოთ), დიდი პატივისცემით საუბრობდნენ მათზე. თუმცა ერთ ქართველზე განსაკუთრებული რიდით ახსენებდნენ: „დიდი რუსი, თუ უცხოელი ორატორების გამოსვლები გვაქვს მოსმენილი, მათ შორის, თქვენი თანამემამულეების, რამიშვილისა და წერეთლის, მაგრამ ამ ადამიანის სიტყვას ვერავინ შეედრებოდა. ათი წლის წინ, 1898 წელს, ჩვენი პარტიის შექმნისას, გადავწყვიტეთ, პირველი მაისის ღონისძიებისთვის გამორჩეული ელფერი მიგვეცა. პუტილოვის ქარხანა რევოლუციური მოძრაობის სათავეში იყო, ამიტომ მთელი ყურადღება მასზე უნდა ყოფილიყო. ფართომასშტაბიანი ორატორი გვჭირდებოდა. ამხანაგი ლენინი, რომლის დიდება მწვერვალებს აღწევდა, შესაფერისი არ იყო, არც სტაროვერი (პოტროსოვი), არც მარტოვი. შემთხვევით, დითირამბები მოვისმინეთ ქართული სოციალ-დემოკრატიის მეთაურზე და გადავწყვიტეთ, ის შეგვერჩია. შესანიშნავი არჩევანი იყო, შეუდარებლად ისაუბრა. ძლიერი ხმა არ ჰქონდა, თუმცა საოცარი დამაჯერებლობით საუბრობდა. ის აგიტატორი არ იყო, მაგრამ ყველა მსმენელი მონუსხული უსმენდა. თითოეულ სიტყვას პირდაპირ გულში უდებდა აუდიტორიას და სამუდამოდ ამახსოვრებინებდა. ჩვენს მუშებს დღესაც ახსოვთ მისი გამოსვლა და ციტატებსაც კი მოგიყვანენ“.

ეს ქართველი ფსევდონიმით მოღვაწეობდა, ამიტომ მათ ვერ შეძლეს მისი გვარის გახსენება. თუმცა, როდესაც ვუთხარი, რომ ის ნამდვილად სილიბისტრო ჯიბლაძე იქნებოდა, მათაც აღიდგინეს სახელი და გვარი და მისი ამბები გამომკითხეს. გაირკვა, რომ სწორედ ამ მიზეზით სურდათ ჩემთან შეხვედრა. შუაღამისას გამო-

ვემშვიდობე და სანამ დავტოვებდი, ერთ-ერთმა ღიმილით შემომხედა და მითხრა:

– თქვენი კარგი ფოტო შეურჩევია Illustré-ს.

– რომელი ფოტო? რა Illustré? – ვიკითხე შეწუხებულმა, სწორედ გაქცევის წინა პერიოდში ჩემი ფოტოს გამოქვეყნება ნამდვილად ხელის შემშლელი იქნებოდა.

– ისეთი არაფერია, რაც თქვენ გულისწყრომას გამოიწვევს, მომიგეს ღიმილით.

მოსკოვში გამომავალი ყოველთვიური გაზეთის, Русское Слово-ს დამატება გამომიწოდეს. პირველივე გვერდზე, ფოტოების ბოლოში ეწერა: „პოლიტპატიმრების ჯგუფი, თავადი ანდრონიკაშვილი და მღვდელი ბრეხნიჩევი სათავეში.“

ჩამონათვალში ჩემი გვარიც იყო, რა უბედური დამთხვევაა. ბოლო ორი თვის განმავლობაში ეს მეოთხე დარტყმა იყო. ეს კი საბოლოოა. კიდევ რა უნდა მოხდეს?

ამ მდგომარეობაში ვიყავი, როდესაც ერთმა იკითხა:

– თვითონ გაზეთი სად არის? იქ ერთი სტატიაა, რომელმაც შეიძლება ჩვენი მეგობარი დააინტერესოს. ვინმე პეტროვს იცნობთ ბათუმიდან, თუ ქუთაისიდან?

– დიახ. რა ხდება?

გაზეთიც მოიძიეს და გაშალეს. ეს სწორედ ის პეტროვი იყო, ქუთაისის ციხიდან დაჩქარებით რომ გაიყვანეს, რათა ტფილისში გადმოეყვანათ, რათა 1906 წლის ადრეულ გაზაფხულზე იქ გაესამართლებინათ. ეს ინფორმაცია თავად პეტროვმა მოგვაწოდა საკმაოდ დრამატული გამომშვიდობებისას.

პეტროვი მოსკოვთან დასახლებულა, ოვსიანიკო-პეტრენკოს გვარით; საავადმყოოს ექიმი და დირექტორი გახლდათ. მოსკოვში ყოფნისას ორი სტუდენტი შემოხვდა, მათ იცნეს პეტროვი, ისინი ერთად სწავლობდნენ გიმნაზიაში. ერთ-ერთი გახლდათ კაპლუნოვი. პეტროვმა ისინი საავადმყოფოში წაიყვანა, კარგად მიიღო. თუმცა სტუდენტები კარგად იცნობდნენ მის საქმიანობას, ამიტომ მოუწოდეს, სასწრაფოდ დაეტოვებინა ქალაქი, წინააღმდეგ შემთხვევაში სიმართლეს ფარდას ახდიდნენ. კაპლუნოვი ბათუმში მომუშავე პროვოკატორი აღმოჩნდა.

1905 წლის ნოემბრის ნაადრევად აფეთქებული ამბოხის შემდეგ, რომელიც ცარისტულმა რაზმებმა ჩაახშო, ლიდერებმა, ჩხეიძის თაოსნობით, ბიურო ქუთაისში გადაიტანეს, მათთან ერთად

წავიდა „ამხანაგი პეტროვიც“. ჩემი ამხანაგები ენდობოდნენ პეტროვს, რომელიც მათთან ერთად იჯდა ქუთაისის ციხეში. მაგრამ ციხე უეცრად დატოვა, ჩვენ ის დაკარგულად მივიჩნიეთ, რაკი არანაირი ცნობა არ გვქონდა. თუმცა, ცარისტულ რაზმებთან ერთად „კახეთის სადამსჯელო ექსპედიციაში“ მონაწილეობდა, ექიმის რანგში, ოვსიანიკო-პეტრენკოს გვარით.

პეტროვმა იცოდა, რას ვსაქმიანობდი ქუთაისის ციხეში, როგორ ვქმნიდი ალიბის სხვადასხვა პატიმრისთვის, ვისი სიცოცხლეც საფრთხის ქვეშ იყო.

ახლადჩამოსულები გამთენიისას, ორ საათზე დავტოვე. ახალმა ამბებმა სრულად შეცვალა ჩემი გაქცევის გეგმა. სხვადასხვა დაბრკოლებას წარმოსახვაში ვეწინააღმდეგებოდი, რათა საბოლოოდ მაინც დავბრუნებულიყავი ჩემს ქვეყანაში. ამაოდ! სამშობლოსკენ კი არა, სხვა მიმართულებით უნდა წავიდე, ახალ გადასახლებაში, უცხოეთში!

მეხუთე ნაწილი

თავი I

ჩავარდნილი გაქცევა

ნაოსნობა ძალიან მალე აღდგებოდა, თუმცა ჩემი მომზადებული გეგმა ერთი ხელის მოსმით ჩავარდა. დაჭერის ბრძანება კი დღე-დღეზე მოვიდოდა სანკტ-პეტერბურგიდან.

ჩემი ერთადერთი იმედი რუსული ბიუროკრატიის ნელი მუშაობა იყო, რამდენიმე დღეში მოსაგვარებელ საქმეს კვირეებს და თვეებსაც კი ანდომებდნენ, მაგრამ ასეთი დამოკიდებულება თვითმკვლელობის ტოლფასი იყო. თუმც, სიკვდილი არ გვაშინებდა. მეტიც, სიცოცხლეს ვწირავდით ჩვენი იდეალისთვის ბრძოლას, თავისუფლებისა დემოკრატიის აღდგენას, იმ ჯაჭვების გაწყვეტას, რომელსაც ხალხის თავისუფლება ჰყავდა ტყვედ. ასევე ფსიქოლოგიური კანონიც მოქმედებდა, რაც უფრო მეტს ვიტანჯებოდით იდეალისთვის, უფრო მეტად ვეჯაჭვებოდით მას და უფრო მეტად გვიპყრობდა აზრი, რომ ჩვენი საქმე ფუჭად არ ჩაივლიდა.

ჩვენი იდეალი, მცდარიც რომ ყოფილიყო, ფარად გვენთო და მორალურად გვამხნევებდა. მსგავსი რამ არასდროს განმიცდია, საშინელმა ეჭვებმა შემიპყრო და ჭიასავით მღრღნიდა, როგორ უნდა გამეგრძელებინა ბრძოლა, თუ უცხოეთში წავიდოდი? რა აზრი ექნებოდა ჩემს სიცოცხლეს ჩვენი იდეალისთვის? უმჯობესი არ იქნებოდა, ირტიშში დამეხრჩო თავი, ვიდრე ჩემს ქვეყანას დავშორებოდი? ჩემი მეგობრები, განსაკუთრებით კი, ისტორიკოსი პისარევსკი ამ სატანჯველიდან თავის დაღწევაში დამეხმარნენ და ამიხსნეს, რა სარგებელი ექნებოდა გაქცევას.

ახალი გეგმა შევადგინე. ადვილი საქმე როდი იყო, ასამდე პატიმარი გაიქცა უცხოეთში, თავისი სურვილის მიხედვით. თუ დაიჭერდნენ, ერთადერთი საფრთხე ისევ დეპორტაციის ადგილზე მობრუნება იქნებოდა. მე განსაკუთრებული მდგომარეობა მქონდა. ჩემი გამგზავრება ჩემი სურვილის საწინააღმდეგოდ იგეგმებოდა, ამასთან, თუ გეგმა ჩავარდებოდა და დამიჭერდნენ, ყველაფერი დასრულდებოდა.

ევროპაში გასვლისთვის უმოკლესი გზა ურალზე და ცენტრალურ რუსეთზე გადიოდა. ამ გზას გადიოდნენ ჩემი წინამორბედები კონტრ-რევოლუციის პირველ პერიოდში. მოგვიანებით, თეთრი ტერორისას, როდესაც ყოველ დილას გაზეთებში რუსეთის სხვადასხვა ქალაქში ჩამომხრჩვალთა დიდ სიას ვეცნობოდით, პოლიციამ მეტი ყურადღება გამოიჩინა აღნიშნულ გზებთან მიმართებით, ეს გზა მეტად იყო გაკონტროლებული. გასაქცევად სხვა მიმართლებებიც იყო, აღმოსავლეთ ციმბირიდან ჩინეთში, ან ვლადივოსტოკი იქიდან კი ამერიკის შეერთებული შტატებიდან ევროპაში. ამ უკანასკნელ ვარიანტს ჩემი მეგობრები ნაკლებ სახიფათოდ მიიჩნევდნენ, ამიტომ ყველაფერს აკეთებდნენ, რომ დავთანხმებოდი. თუმცა ჩემი ღრმა დაკვირვებით, პირველი ვარიანტი ჯობდა, რადგან აღარავინ რისკავდა უკვე კარგად ნაცნობი გზით გაქცევას, რაკი ცნობილი იყო, რომ მაქსიმალურად კონტროლდებოდა, ამიტომ ჩემი აზრით, პოლიციის ყურადღებაც მეორე გზაზე უნდა ყოფილიყო გადმოტანილი. მაინც პირველი გზა შევარჩიე და მეგობრები გავაოცე. ერთ კვირაში პირველი გემი ჩამოივლიდა.

* * *

ჩემი მეგობარი პოლონელის მოლოდინში, მის მიერ შექმნილ რუსულ სიმღერას ვიმეორებდი. ერთი სიტყვაც არ იცოდა რუსულად, მაგრამ განუწყვეტლივ ღიღინებდა ამ სიმღერას: „საიდან გაჩნდი? – მე მუჰომიტიდან ვარ.“ უკანასკნელ სიტყვებს მისტიკურ დატვირთვას ანიჭებდა, გამორჩეულად წარმოთქვამდა, მაგრამ როდესაც შენიშნა, რომ ამის მოსმენა არ მსიამოვნებდა, მითხრა:

– შევწყვეტ სიმღერას, თუ ერთი მშვენიერი გოგონას დაპატიჟების უფლებას მომცემ. ყველა მას დასდევს, ყოველ საღამოს დაპატიჟებულია.

– დაპატიჟე, ვინ გიშლის, ძვირფასო? თუ იმ დროს სახლში არ ვიქნები, არც ესაა პრობლემა.

– ჰო, მაგრამ ის არ მოვა, თუ შენ არ იქნები სახლში, ამიტომ გთხოვ, ერთი დღე დავნიშნოთ.

– სტანისლას, გთხოვ, მაპატიო, მაგრამ ამ ეტაპზე ვერაფერს დავგეგმავ წინასწარ.

მშვენიერი გოგონა, რომელზეც სტანისლასი მესაუბრებოდა, მოსკოვიდან ახლადჩამოსული პოლონელი სტუდენტი იყო. ყველა პატიმრის ყურადღება მისკენ იყო მიმართული, ნამდვილად მშვე-

ნიერი იყო, როგორც ეს პოლონელებს სჩვევიათ. განათლებული იყო და ინტელექტუალებთან საუბრის გაბმაც შეეძლო. ის ექიმ რენოსთან გავიცანი და შემდეგ ლიბერმანთანაც შევხვდი. სწორედ წინა საღამოს პისარევსკებთან იყო მიწვეული და მეც მთხოვეს მისვლა. იძულებული ვიყავი, უარი მეთქვა. ჩემი ოთახის ამხანაგს ბევრი სმენოდა ამ გოგონაზე, თუმცა ჯერ არ იცნობდა. ჩემი და სტანისლასის საუბრის დღესაც კი პროფესორმა ვოლკოვმა მთხოვა, საღამოს მასთან მივსულიყავი სტუმრად, თან დასძინა:

– გვექნება სიამოვნება, მსოფლიოში ყველაზე მშვენიერ გოგონასთან წარგადგინოთ.

მოვუბოდიშე და ავუხსენი, რომ საღამოს ვერსად გავიდოდი.

მომდევნო დღეს, პისარევსკებმა ვიზიტის შესახებ გამაფრთხილეს, თუმცა არ უთქვამთ, რომ „პოლიტიკური კოლონიის სიამაყეც“ უნდა მოეყვანათ. პირველივე სიტყვებისას დიდი ნდობა გამოიწვია ყველა მსმენელში. პისარევსკებმა წუხილი გამოთქვეს ჩემი გამგზავრების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ვცდილობდი ყველა დამერწმუნებინა, რომ ჯერ არაფერი იყო დაზუსტებული, ნებისმიერი საუბრის საგანი ჩემი გამგზავრება ხდებოდა. ახალგაზრდა პოლონელმა შემომთავაზა, ცოტა გადამედო მგზავრობა, რადგან ისიც გეგმავდა წასვლას. სწორედ ამ დროს, პისარევსკი მიხვდა, რომ ეს საუბარი უხერხულობას მიქმნიდა, ამასთან, გეგმის ამგვარად გაცხადება სარისკო იქნებოდა, ამიტომ საუბარში ჩაერთო და თქვა, რომ ეს მხოლოდ „გამგზავრების გეგმა“ იყო და არაფერი ჰქონდა საერთო გაქცევასთან. იმპულსურმა პოლონელმა გოგონამ წამოიძახა, „პორტის პლატფორმამდე გავაცილებ!“

ოთხშაბათს, 00:30-ზე ტიუმენიდან მდინარე ტურაზე პირველი გემი დაიძრა. ამ მდინარეში მოსახვედრად გემი ირტშისა და მის შენაკადს, ტობოლს მიუყვება. დღის განმავლობაში ჩემს პოლიტიკურ თანამოაზრეებს გამოვემშვიდობე, საღამოს კი ნიკოლსკებთან წავედი გამოსამშვიდობებელ ვახშამზე. გემზე ბოლო წუთს უნდა ავსულიყავი, პლატფორმაზეც მარტო უნდა მივსულიყავი, რომ პოლიციას არ შევენიშნე. სტანისლასმა ჩემი პატარა ჩემოდანი ნაპირთან ახლოს დატოვა. პისარევსკის გამოთქმულ აზრს ვიმეორებდი, რომ ეს დაგეგმილი მგზავრობა იყო, რათა სწავლა დამემთავრებინა. ნიკოლსკებს გული სწყდებოდათ, რომ მივდიოდი, თუმცა კმაყოფილები იყვნენ, რომ უცხოეთში მშვიდად შევძლებდი ინტელექტუალური სამუშაოების განხორციელებას.

სასიამოვნო საღამო შედგა. დამშვიდობების სცენა ძლიერ ამაღელვებელი გამოვიდა. ზუსტად შუაღამეს გამოვედი მათგან. ვეროჩკამ და მარუსიამ [1] ნებართვა ითხოვეს, ერმაკის ძეგლამდე მივეცილებინე, საიდანაც ეტლით გავაგრძელებდი გზას. გოგონებმა ცოტა ხანს შემაყოვნეს ძეგლთან. მეეტლე ნელი სვლით დაიძრა. პორტის მიმდებარედ ჩამოვედი და დარჩენილი გზა ფეხით განვაგრძე.

პლატფორმას მივუახლოვდი და შევნიშნე, გემი უკვე დაძრულიყო. უეცრად უამრავი ადამიანი დაიძრა ჩემი მიმართულებით. ჩემი ამხანაგი პოლიტმატიმრები; ჩემს დანახვაზე სიცილი წასკდათ. გოგონები ჩემკენ გამოიქცნენ და ყვავილებს მესროდნენ, მათ შორის ცნობილი პოლონელი სტუდენტიც შევნიშნე. ქუდი მომხადეს, თმას მქაჩავდნენ, მე კი მხრებჩამოყრილი ვიდექი.

რაღაც დროის შემდეგ გონს მოვეგე და ვკითხე, ნუთუ ეს არის ჩემი გამხნევების საუკეთესო საშუალება მეთქი. ამ დროს პისარევკსკები მომიახლოვდნენ, დამამშვიდეს და წამჩურჩულეს: „გილოცავთ, საუკეთესო შემთხვევა იყო, რადგან პოლიცია იყო მოსული ბაქანზე თქვენ დასაჭერად. თუმცა, სად გინახავთ, ადამიანი გასაქცევად ემზადებოდეს და ამდენი ხალხი აცილებდეს?“

მეტ-ნაკლებად უკეთ ვიგრძენი თავი. ამასთან, მიუღებელი იყო ასეთ მხიარულ საზოგადოებაში მოწყენილი სახის მიღება. შევაგროვე ჩემთვის მოტანილი ყვავილები, რომელიც ასეთი იშვიათობა იყო ამ მხარეში. ერთი სიტყვის თქმის თავიც არ მქონდა, ამიტომ, მადლობის ნიშნად, ხელზე ვაკოცე ქალბატონს, რომელმაც თაიგული მომართვა. იმპულსური პოლონელი სტუდენტი გადამეხვია და დანარჩენებმაც მიბაძეს. როდესაც პისარევსკი ჩაერთო სცენაში, სწორედ მაშინ დავაფასე კლასიკური პოლონური ულვაშის მიმართ საერთო პატივისცემა; მან ჩემ გარშემო შექმნილი წრიდან გამომიყვანა და თავისთან წამიყვანა.

ჩვენი მისვლით გამოწვეულმა ხმაურმა მისი ათი თვის გოგონა გააღვიძა და დედას მოუხმო. რაც ერთგვარად კარგიც იყო, მარტო დავრჩით სასაუბროდ, როგორც პისარევკსიმ შენიშნა, „მარტო უფრო მშვიდად ვისაუბრებთ და მომხდარს შევაფასებთ. სასწრაფოდ უნდა ვიპოვოთ გამოსავალი. პირველ რიგში პოლიციის მოქმედებას უნდა მივაქციოთ ყურადღება. ხომ არ ჯობს, თქვენი

[1] მარუსიამ მოსკოვის უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა და 1917 წლის რევოლუციისას მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, რის გამოც დროებითმა მთავრობამ გმირად გამოაცხადა (ხ.შავიშვილი).

დეპორტაციის პირველად ადგილზე, ობდორსკში გადაყვანა შეუთანხმოთ ხელისუფლებას? რაკი ეცოდინებათ, რომ მიემგზავრებით, პოლიციაც აღარ მოგაქცევთ ყურადღებას, თქვენ კი სხვა მიმართულებით გამგზავრებას შეძლებთ.“

ეს იდეა გონივრულად მეჩვენა, სხვადასხვა ასპექტში გამიმარტივებდა გაქცევას, გადასახლებულთა კოლონიას მოეხსნებოდა პასუხისმგებლობა, რაც ტერიტორიის არდატოვების ზედამხედველობას გულისხმობდა, აღარც სინდისი დამტანჯავდა, რომ ჩემი გაქცევით შეიძლებოდა, ჩემს მეგობრებს რაიმე საფრთხე შექმნოდათ. ხელისუფლებისთვის ჩემი მოთხოვნა სასიამოვნოც კი იქნებოდა.

მეორე დილითვე ვესტუმრე გუბერნატორ განდატის. გაირკვა, რომ სწორედ იმ დილით ჩემი ადმინისტრაციაში მიყვანის ბრძანება გაუცია. ჩემს შეთავაზებას სიამოვნებით დათანხმდა.

მეც კმაყოფილი ვიყავი, რადგან გავიგე, რომ ობდორსკისა და ომსკის მიმართულებით წამსვლელი გემები ერთ დროს გადიოდა. გავითამაშებდი, რომ ობდორსკის გემზე ავედი და სინამდვილეში მეორე გემზე ავიდოდი.

თავი II

აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ

მოსკოვუხი თავგადასავაღი

ადმინისტრაციული სამსახურებისთვის თვალის ასახვევად ობდორსკის ბილეთი შევიძინე. როგორც კი გემი ჩამოდგა, დიდი ბარგით ავედი (ლეიბი, გადასაფარებლები, ბალიშები და სხვ.); იმდენად ბევრი რამ მქონდა, რომ ატანაშიც მომეხმარნენ. შემდეგ გემბანზე სეირნობას მოვყევი. გემის გასვლამდე რამდენიმე წუთით ადრე ჩამოვედი, ბარგიდან არაფერი წამომიღია, გამცილებელთა ბრბოს შევერიე და მეორე გემისკენ დავიძარი.

ერთადერთი საკითხი მაღელვებდა, როგორ უნდა ამეღო პირველი კლასის ბილეთი და როგორ განვთავსებულიყავი, ისე, რომ გემის გასვლამდე არ შევემჩნიე. გვერდით მოხუცი ქალბატონი მედგა, იქვე მყოფ ახალგაზრდა, სასიამოვნო გარეგნობის ბიჭს მიმართა: „ძვირფასო, აი, 20 რუბლი და ომსკის გემის, პირველი კლასის ბილეთი მიყიდე, გასამრჯელოსაც მიიღებ.“

მეც იმავეს გაკეთება დავაპირე, ხელი ჯიბისკენ წავიღე, რათა საფულე ამომეღო. მაგრამ თან ბოლომდე ვერ ვენდობოდი ამ ახალგაზრდას. ამასთან, ბიჭი უკვე დაგვშორდა.

ვიდექი და გამოსავალს ვეძებდი. ბიჭი ორი ბილეთით დაბრუნდა. ქალბატონმა 50 კაპიკი აჩუქა. სანამ მიბრუნდებოდა, მე შევაყოვნე, „ერთი პირველი კლასის ბილეთი ომსკისკენ“, – ვუთხარი მორიდებულად. 20 რუბლი გავუწოდე, ხელით ერთი ვანიშნე და დავამატე, „ორმაგი გასამრჯელო გექნება“. ვიგულისხმე, რომ ერთ რუბლს მივცემდი, თუმცა ბიჭმა ეს ბილეთის გაორმაგებულ ფასად მიიღო. უკან დაბრუნებულმა არც ხურდა დამიბრუნა და კიდევ 10 რუბლის დამატებაც მომთხოვა. გემი უკვე ადგილზე იყო, კამათის დრო არ მქონდა. 5 რუბლი მივეცი. გემზე ავედი და ხალხს შევერიე. მშვიდობით ტობოლსკო!

* * *

ირტიში კალაპოტიდან გადადიოდა, ზოგიერთ ადგილას კაპიტანს უჭირდა კიდეც ტრაექტორის დაცვა. გზად გემებს ვხვდებოდით, ზოგი გორაკებს შეჯახებოდა, ზოგიც, კლდეებს შორის იყო გაჭედილი და დახმარებას ითხოვდა. ჩვენი გემიც ბევრ წინააღმდეგობას აწყდებოდა და ხელახლა დაძვრისთვის დიდი ძალისხმევა იყო საჭირო. შვიდი დღის განმავლობაში ვიბრძოდით დინების საწინააღმდეგოდ. ჩვენ შორს ყველაზე გამოცდილებსაც კი აკვირვებდა უდიდესი ტალღები. მე ერთი რამ მადარდებდა: რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ეს მგზავრობა და თუ დამრჩებოდა ფული გზის გასაგრძელებლად? მართლაც ძალიან ბევრი დავხარჯე, ერთი მხრივ ობდორსკის ბილეთში და მეორე მხრივ გასამრჯელოს გადახდისას. თუმცა ასეთი მოგზაურობისთვის ჩვენ თავად არ ვიხდიდით ყველა ხარჯს. მთავარი იყო, ომსკამდე ან ტიუმენამდე ჩავსულიყავით, იქ კი ფარული ორგანიზაციები ერთვებოდნენ საქმეში და ჩელიაბინსკში, სამარაში, ან კიდევ სხვაგან აგზავნიდნენ გაქცეულებს. შემდეგ მისამართზე სხვა ორგანიზაციები უწევდნენ დახმარებას და ა.შ. მაშ, რატომ უნდა მენერვიულა, მე ხომ ყველა დიდი ქალაქის ორგანიზაციაში მიცნობდნენ, მე კი მათი მისამართები მქონდა.

მაგალითად, ომსკში უნდა მივსულიყავი ამხანაგ სედოვთან, ის კი ყველა საკთხს მოაგვარებდა.

გემზე ყოფნისას ხშირად ვხვდებოდი ორ ქალბატონს, რომელნიც ყურადღებით მიყურებდნენ და ეს ფაქტი მაშფოთებდა. მიუხედავად იმისა, რომ სიმპათიურად გამოიყურებოდნენ, შთაბეჭდილება მექმნებოდა, რომ მაკვირდებოდნენ.

ათი დღის შემდეგ ომსკში ჩავედით. კიდევ ერთხელ შევავლე თვალი ჟენევიდან გამოგზავნილ საფოსტო ბარათს, ჩემი ძმის, ვანოს ხელნაწერს ვცნობდი, მაგრამ სამწუხაროდ, გამომგზავნის მისამართი არ ეწერა, მხოლოდ გვარი: „თავადი ამილახვარი“. იქვე საპასუხო ბარათი დავწერე: „ჟენევისკენ მოვდივარ, არ ვიცი, რა გზით. დროებით. ხარიტონი“. მისამართის ადგილას მივუთითე „თავადი ამილახვარი, შვეიცარია“. ჩემი თანამგზავრი ორი ქალბატონი გემბანზე დამხვდა. მხოლოდ ერთი რუბლი მქონდა დარჩენილი, ამიტომ ქალაქში გავედი, რომ ამხანაგი სედოვი მენახა, მისთვის ფული გამომერთმია და ჩელიაბინსკის მატარებლის ბილეთი მეყიდა. ვერავინ მიმასწავლა მისი ზუსტი მისამართი. ქალა-

ქი ჭაობზე იდგა და რაკი საღამო ახლოვდებოდა, მე კი ორიენტაციას ვერ ვიღებდი, ეტლი დავიქირავე.

გზად ორჯერ ჩაეფლო ტალახში და იძულებული ვიყავი მეეტლეს დავხმარებოდი. იმედგაცრუებულმა, ბოლოს ვთხოვე, მითითებული ქუჩა მიესწავლებინა. მას ჩემი უკანასკენელი ფული გავუწოდე, ის კი დაბნეული მიყურებდა და არაფერს მპასუხობდა. ბოლოს მივაგენი სედოვის სახლს. ადგილზე მაღალი, წვეროსანი კაცი დამხვდა. მითხრა, რომ სედოვი ამ მისამართზე აღარ ცხოვრობდა და ვერც ვერანაირად გავიგებდი მის ახალ ადგილსამყოფელს. თუმცა ეს კაცი თავად სედოვი იყო.

დაღლილი და უიმედო, პორტის პლატფორმაზე მივბრუნდი. მატარებელი ერთ საათში გავიდოდა. უბედურების სრულყოფისთვის, შევნიშნე, ის ორი უცნაური ქალბატონი ისევ პორტში რჩებოდნენ. მით უარესი ჩემთვის, მაინც ჩავარდა ჩემი გეგმა, რაკი ვეღარ გავაგრძელებ გზას. უეცრად, ახალგაზრდა ქალმა ბარგი უფროსს ქალბატონს მიაბარა და მომიახლოვდა:

– ბატონო, რა დაგემართათ, ასე რამ დაგაღონათ? რით შემიძლია დაგეხმაროთ?

– ასეთმა მოურიდებელმა კითხვამ შემაშფოთა, თუმცა ზრდილობიანად მივუგე:

– არაფერია, ქალიშვილო, არაფერზე ვდარდობ, არაფერი მჭირდება, გმადლობთ.

– დაჟინებით შემომხედა და მითხრა:

– გათხოვილი ვარ, ამიტომ, ქალბატონო...

– შევაწყვეტინე:

– ბოდიშს გიხდით, ქალბატონო...

– გმადლობთ. სწორედ ჩემს ქმართან შესახვედრად წამოვედი ტობოლსკიდან, დედა თან მახლავს. ჩემი მატარებელი მალე გავა, ამიტომ რაც შეიძლება სწრაფად უნდა დავტოვო პორტი. სავარაუდოდ, თქვენც სადგურში მოდიხართ, გთავაზობთ, ჩვენთან ერთად წამოხვიდეთ. ნებისმიერ ვარიანტში, პლატფორმა უნდა დატოვოთ, რაკი ეს ადგილი რამდენიმე წუთში იკეტება. როგორც ვხედავ, ბევრი ბარგი არ გაქვთ და მადლობელი დაგრჩებით, თუ დამეხმარებით.

ტობოლსკიდან გამომგზავრებისთანავე ეს ქალები მეუცნაურნენ. მოგზაურობის პერიოდში კიდევ უფრო მიმძაფრდებოდა ეს გრძნობა, ახლა კი სულ დავიბენი. საშუალებას არ მიტოვებდა, შეუმჩნეველი დავრჩენილიყავი. ეს ქალი საოცრად კეთილი, ან საოც-

რად ბოროტი განზრახვით იყო. რაც არ უნდა ყოფილიყო, არჩევანი აღარ მქონდა. ნებისმიერ ვარიანტში სადგურში უნდა წავსულიყავი. ჩემს საშინელ იღბალს ვეღარაფერი დააზარალებდა ამაზე მეტად. ამიტომ ვუპასუხე:

– მართლაც, მეც სადგურში უნდა წავიდე და სიამოვნებით დაგეხმარებით.

– როგორც იქნა! დედა, მოდი, მივდივართ!

იმ მოცურავეს ვგავდი, უკანასკნელი ძალებით რომ ებრძვის ტალღებს, ბოლოს კი უიმედოდ ნებდება. როდესაც ადგილზე მივედით, ახალგაზრდა ქალმა მითხრა:

– ჩვენ ტომსკისკენ მივდივართ, თქვენ, ალბათ საპირისპიროდ, არა?

– როგორ გითხრათ, სამარამდე.

ქალბატონი ბილეთების საყიდლად წავიდა და მთხოვა, ბარგისთვის ყურადღება მიმექცია. შემდეგ დედას ოდნავ მოშორდა და ჩუმად მითხრა:

– სრულ სიმართლეს არ ამბობთ.

განვრისხდი, თუმცა ბრაზი მოვთოკე და იმავე ტონით მივუგე:

– ქალბატონო, გეთაყვათ, რისი თქმა გინდათ?

არაფერი მიპასუხა, თუმცა, გამარჯვებულის ღიმილი მომაგება. ძალიან შევშფოთდი. როდესაც უკან მობრუნდა, მითხრა:

– კნიაზ, გამომყევით.

ასეთმა მომართვამ გამაოგნა და დაბნეული გავყევი. მან დარბაზი გადაჭრა, რკინიგზის ხაზის მეორე მხარეს გადავიდა და ახლად ჩამომადგარ მატარებელთან გაჩერდა. აქამდე არც კი დავკვირვებივარ, მხოლოდ ახლა შევნიშნე, როგორი გრაციოზული იყო. მომიბრუნდა და ავტორიტარული ტონით მომმართა:

– თქვენ ამ მატარებლით გაემგზავრებით. ჩემი მატარებელი ოცი წუთის შემდეგ მოვა.

გადავწყვიტე, ბილეთის გარეშე მემოგზაურა. გააზრებული მქონდა, როგორი სახიფათო იყო ეს საქმე. მასთან დამშვიდობებას ვაპირებდი, როდესაც მეგობრული ხმით მითხრა:

– დამშვიდობება გადაკოცნის გარეშე არ შეიძლება, თუ ნებას მომცემთ, სამჯერ გაკოცებთ შუბლზე.

დავიბენი, ხელზე ვეამბორე, მან კი, შეთანხებისამებრ, შუბლზე მაკოცა. ვაგონში რომ ავედი, იქიდან ვკითხე სახელი.

– ანასტასია პეტრეს ასული.

მივანიშნე, რომ ეს ინფორმაცია სრული არ იყო და გვარი არ უთქვამს. მიპასუხა, რომ გვარს მოგვიანებით მომწერდა და პატარა პაკეტი გამომიწოდა. მატარებელიც დაიძრა.

– მადლობთ, ნახვამდის, გამოვძახე დაძრული მატარებლიდან.

– მშვიდობით, კნიაზ!

ასე მხოლოდ პოლიტმატიმრები მეძახდნენ და გავოცდი, როდესაც უცხო ადამიანმაც ამგვარად მომმართა. შეცბუნებული ვიჯექი. მარცხენა ხელში ის პატარა შეფუთვა მეჭირა, რომელიც ანასტასიამ მომაწოდა. ვერც გარშემომყოფთ ვამჩნევდი, ვერც გასული დრო შევნიშნე. უეცრად, ვიღაცამ შემანჯღრია:

– უკვე მესამედ გთხოვთ ბილეთს, წარმოადგინეთ ის!

კონტროლიორს ვუთხარი, რომ არაფერი გამიგია და ჯიბიდან ცარიელი საფულე ამოვიღე, შემდეგ ძებნა განვაგრძე. კონტროლიორმა გზა განაგრძო და დამიბარა, რომ მობრუნდებოდა ჩემი ბილეთისთვის. ბილეთით, თუ მის გარეშე, უახლოეს ქალაქამდე, პეტროპავლევსკამდე უნდა მივსულიყავი. იქ კი ფარულ ორგანიზაციას მივმართავდი.

ინსტიქტურად არარსებული ბილეთის ძებნა შევწყვიტე. ცოტა ხანში კონტროლიორი დაბრუნდა.

– სამი გაჩერება გამოვიარეთ. რაკი დამარწმუნეთ, რომ ბილეთი გქონდათ, ამიტომ დაგტოვეთ მატარებელში, ახლა კი პოლიციას ჩაგაბარებთ.

– მით უარესი!

მზერა პატარა შეფუთვაზე გადავიტანე, რომელიც მარცხენა ხელში მეჭირა. გაუაზრებლად გავხსენი. უეცრად, დავინახე, რომ შიგნით იდო სამარას ბილეთი, მესამე კლასი, 5 რუბლი და 50 კაპ. თანხა, 10 რუბლის ოდენობით და პატარა ბარათი: „ძვირფასო კნიაზ, ტობოლსკიდან გამომგზავრებისთანავე ბევრი ფული დახარჯეთ, სავარაუდოდ, ომსკში თანხა აღარ გეყოფოდათ. ვიფიქრე, რომ დაგეხმარებოდით და ომსკში იმიტომ გელოდებოდით პორტში. მეგონა, მიხვდებოდით. არ გითხარით, არ მინდოდა ამეფორიაქებინეთ, ჩემი ქმარი ოფიცერია. ერთ თვეში უნდა შევხვდე და ამიტომ წამოვედი ტობოლსკიდან. ჩემს გვარს თქვენთვის მნიშვნელობა არ აქვს. მე ვიცი, ვინც ხართ და თავად მოგწერთ. აქ მოგზაურობისთვის აუცილებელ ატრიბუტებს ნახავთ. მაპატიეთ, რომ მეტად ვერ გეხმარებით. ღმერთმა ხელი მოგიმართოთ!“

ვერაფერი გავიგე. უეცრად მატარებელი გაჩერდა. გიჟივით წამოვფრინდი და კონტროლიორთან გავეშურე, რათა პოლიცია არ გამოეძახა. ტრიუმფალური ჟესტით ბილეთი გავუწოდე და ვუთხარი:

– როგორც იქნა, ვიპოვე!

– უკეთესი თქვენთვის.

რაკი სამარამდე მქონდა ბილეთი, პეტროპავლევსკში, ან კურგანში ჩამოსვლა აღარ დამჭრდებოდა. ახლა ჩელიაბინსკში ჩავიდოდი და იქ შევიცვლიდი მატარებელს. ამასთან, შემთხვევით ვისარგებლებდი და დამატებით ფინანსებს მოვიძიებდი. ორგანიზაციის უფროსის მოსაძებნად გავედი. ქალაქში ორ დეპორტირებულს შევხვდი. ახალგაზრდა ქართველი გლეხები, უპოვრები, დაღლილები და მშივრები იყვნენ. აღმოჩნდა, რომ კურგანიდან იყვნენ გამოქცეულები ერთი კვირის წინ და საქართველოში ფეხით მიდიოდნენ. იქვე გავუყავი ყველაფერი, რაც მქონდა. მაგრამ რაკი ომსკის გამოცდილება უკვე მქონდა, მხოლოდ ორი რუბლი მივეცი, დიდი წუხილით გამოვემშვიდობე და ჩემს გზას დავადექი.

* * *

შუადღისთვის უკვე სამარაში ვიყავი. სასწრაფოდ სალაროსთან მივირბინე, სანამ მოსკოვის ბილეთს არ ვიყიდდი, ვერ განვსაზღვრავდი, სახარჯოდ რა ოდენობის თანხა მქონდა. ომსკიდან წამოსვლის მერე არაფერი მეჭამა და ჯერ ვერაფრის ყიდვას ვბედავდი. აქ ფარული ორგანიზაციის სამი კომიტეტის მისამართი მქონდა და ისინი დამეხმარებოდნენ მოგზაურობის უცხოეთში გაგრძელებაში. ბილეთი შვიდი რუბლი ღირდა, გზაში, დაახლოებით, ოთხი დღე დაგვჭირდებოდა. გამგზავრებამდე რამდენიმე საათი მქონდა, ამიტომ ქალაქში გავედი ორგანიზატორებთან შესახვედრად.

ამაო მცდელობა აღმოჩნდა. მოვბრუნდი და ხიდზე შევჩერდი, ვოლგას ვაკვირდებოდი. პირველად ვნახე ასეთი გრძელი ვიადუკი. სურვილი გამიჩნდა, გამესეირნა ხიდზე, მაგრამ მარტო თუ გავიდოდი, მომეჩვენა, რომ თვალშისაცემი ვიქნებოდი. უეცრად ახალგაზრდა, ლამაზი ქალი მომიახლოვდა ბავშვთან ერთად, ხელში ჩანთები ეკავა. ჩანთები დაალაგა და მომმართა:

– ბატონო, ხომ ვერ დამეხმარებოდით? ბავშვი დაიღალა, ხელში აყვანას მთხოვს.

ვორჭოფობდი, რადგან ვშიშობდი, მატარებელზე არ დამგვიანებოდა. ქალბატონს ეგონა, რომ ვერ გავიგე და წინადადება გამიმეორა. ამ დროს შევნიშნე, ჩემკენ პოლიციელი მოდიოდა, ამიტომ ჩავიბუტბუტე, რომ სიამოვნებით დავეხმარებოდი.

ბავშვი სასწრაფოდ ავიყვანე ხელში და ყველაზე მძიმე ჩანთაც ავიღე. ჩქარი ნაბიჯით შევუდექი გზას.

ქალმაც აიღო ჩანთა და სიტყვის უთქმელად გამომყვა. ამ სურათის დანახვისას პოლიციელმა ალბათ ჩათვალა, რომ მისი ქმარი ვიყავი და აღარ აგვდევნებია.

ქალბატონი მიხვდა, რომ დელიკატურ მდგომარეობაში ვიყავი. სახლში მისვლისას ჩანთიდან მსხლები ამოიღო და გამომიწოდა, შემდეგ სადგურამდე გამომყვა, რათა ხიდზე მარტო არ გადმოვსულიყავი.

ნამდვილად მფარველი ანგელოზივით გამომეცხადა. ადამიანთა ცხოვრება შემთხვევითობის ჯაჭვს ჰგავს. ჩვენ კი გვეჩვენება, რომ ყველაფერი ვიცით! ზოგჯერ იღბალი დაუძლეველი დაბრკოლების გადალახვაში გვეხმარება, ზოგჯერ კი სულ მცირე ინციდენტი გვიფუჭებს საქმეს. ორივე შემთხვევაში სცენაზე ქალი ჩნდება ...

რაც უფრო ღრმად შევდიოდი ცენტრალურ რუსეთში, უფრო იზრდებოდა ჩემი დაჭერის საფრთხე, ამიტომ მეტი წინდახედულობა უნდა გამომეჩინა.

დავჯექი მატარებელში. ჩემ წინ რუსი ქალი იჯდა, ქერა, საშუალო სიმაღლის, სასიამოვნო გარეგნობის, მხიარული და ენაწყლიანი. საშინელმა სიცხემ შუაწუხა და მოსწყურდა. მე მსხალი შევთავაზე, მან კი ყველი და პური მიწილადა. ასე გავიცანით ერთმანეთი. ბოლო ხუთი დღის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ მქონდა ნაჭამი, ამიტომ ეს სასიამოვნო გამასპინძლება იყო. თუმცა, ოთხი დღისთვის – ძალიან ცოტა.

დღესაც კი მაშფოთებს ქსენიას მიერ ცინიზმით მოყოლილი საზარელი ამბები; გარშემომყოფებში შიშს თესავდა, ქმარი დატერორებული ჰყავდა, „კანონების კარგი ცოდნით“ ემუქრებოდა. მიუხედავად ყველაფრისა, ეს მონსტრი ჩემმა დემონმა გამომიგზავნა, რათა დაჭერას გადავერჩინე. პოლიციელებმა ოთხჯერ ჩამოიარეს მგზავრთა შესამოწმებლად. ყველა ჯერზე ქსენია არშიყობით უწვდიდა პასპორტს და დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა პოლიციელებზე. ამიტომ მორიდებით ეკითხებოდნენ, ამ მძინარე ბატონს თუ იცნობთო.

– დიახ, ჩემი თანამგზავრია, – ავტორიტარული ტონით პასუხობდა ქსენია.

პოლიციელებიც ბოდიშს იხდიდნენ და გზას აგრძელებდნენ. რა თქმა უნდა, ქსენიას ქცევა ქალური თავმოყვარეობით იყო გამოწვეული, მან ნამდვილად არ იცოდა, ვინ ვიყავი.

ქსენია მოსკოვიდან იყო და ახლა ეკატერინბურგიდან ბრუნდებოდა, იქ პოლიციაში მდივნად მუშაობდა.

ასეთი ადამიანის გვერდით მგზავრობა დამეხმარა მოსკოვამდე უვნებლად ჩავსულიყავი. სადგურში დამშიდობებისას თავისი მისამართი დამიტოვა და ისე გამშორდა. ასე დასრულდა კოშმარი.

* * *

ქალაქი დიდი და თანამედროვეა, თუ არ ჩავთვლით გარეუბნებს, სადაც ჯერ ისეც ვიწრო ქუჩებია, რომელთა ნახვაც ყველა ქალაქში შეიძლება. აქ მხოლოდ ხის სახლები იყო, რომელიც ნაპოლეონის შემოჭრისას კუტოზვმა გადაწვა.

ვცდილობდი, სწრაფი ნაბიჯით მემოძრავა ქალაქში და რაც შეიძლება მალე მეპოვა ამხანაგები ფარული ორგანიზაციიდან, თუმცა ერთი ქუჩიდან მეორეზე უფროდაუფრო ნელა გადავდიოდი. ძალიან მშიოდა და დაღლილი ვიყავი. შუადღე გადავიდა. კიდევ ერთხელ უნდა გადამეჭრა ქალაქი, რადგან მითითებული მისამართი არასწორი აღმოჩნდა, სხვა მისამართზე გადასულა ახალი „სედოვი“.

ერთ სკვერში გრძელ სკამზე წამოვწექი, ცოტა ძალები რომ აღმედგინა. თან აქეთ-იქით ვიყურებოდი, თავზე არავინ წამომდგომოდა. იმედი მქონდა, რომ მეორე მისამართზე მაინც მივაგნებდი ვინმეს და ამ საღამოს მაინც შევძლებდი ჭამას და დასვენებას. ამაო იმედი! მესამე მისამართზეც ვეძებე „სედოვი“. მზე ჩადიოდა. სამწუხაროდ, მეტი აღარ შემეძლო. თავშესაფრის გარეშე ვერსად შევძლებდი დასვენებას.

ძალისხმევა უნდა გამომეჩინა და კიდევ ერთხელ მეცადა ბედი. თავს ვირწმუნებდი, რომ ეს მისამართი ნამდვილი აღმოჩნდებოდა. ქუჩაში ვიკითხე და აღნიშნული მისამართი საკმაოდ შორს იყო. გზა განვაგრძე. სახლი ვიპოვე. მაგრამ ... „აქედან გაემგზავრა!“

ყველანაირი მიზანი დამეკარგა. მაგრამ მაინც განვაგრძე სვლა, რათა ვინმეს ყურადღება არ მიმექცია. ქუჩები ერთმანეთს მიყვებოდა, ხან აღმართები იყო, ხან – დაღმართები. ჩემნაირ გაუცხოე-

ბულ მდგომარეობაში მყოფს, ქალაქის განათებაც თვალს ჭრიდა. შორიდან მუსიკის ხმა მომესმა. რუსული სამხედრო ორკესტრი იყო. ხმას გავყევი. ინსტიქტურად, იმ ადგილში გადავწყვიტე მოსასვენებლის პოვნა.

სკვერში შევედი. უამრავი მოსეირნე დამხვდა. ამ ბრბოსთვის თავი უნდა დამეღწია; სკვერი გადავკვეთე, ძალა აღარ მქონდა და საბედნიეროდ სკამი შევნიშნე, ჩამოვჯექი. ცოტა ხანში რამდენიმე ჩრდილი შევნიშნე. აშკარად მიახლოვდებოდნენ, შევეცადე, თავი ხელში ამეყვანა. საქმე ცუდად იყო, ვიფიქრე, რომ ეს „ოხრანკა“ უნდა ყოფილიყო.

უნიფორმები გავარჩიე. ისინი ისევ შორს გავიდნენ, თუმცა უეცრად მობრუნდნენ და ერთ-ერთი ჩემ წინ დადგა. თავი დავხარე, თითქოს, ვერ ვხედავდი. ვიფიქრე, რომ ყველაფერი დასრულდა. მან კი მითხრა:

– გამარჯობა, ხარიტონ!

ქუთაისის კოლეჯის სტუდენტი, ნასარიძე აღმოჩნდა. ვერც ვიცნობდი, რომ არ ეთქვა. მისი მეგობარი კი პატარიძე. სწორედ მან შემნიშნა პირველმა. სასწრაფოდ წამიყვანეს, დამმალეს და საჭმელიც მომცეს. კერძო გაკვეთლებიდან მიღებული შემოსავლის გარდა არაფერი ჰქონდათ. ამგვარად, გზის გასაგრძელებლად საჭირო ფულს ვერ მომცემდნენ. ქალაქში მყოფ ქართველებთან დაკავშირება გადაწყვიტეს, თუმცა, სამწუხაროდ, არდადეგების გამო, ცოტანი იყვნენ ადგილზე. ცნობილ ქართულ რესტორან „კახეთში“ წამიყვანეს. მმართველი გამაცნეს. იქვე ერთი საინტერესო შეხვედრაც მქონდა. გამოსვლისას გენერალს დავეჯახე, მისმა მზერამ უეცრად შემაშინა. მმართველმა სასწრაფოდ მიჩურჩულა, რომ ეს თავადი ორბელიანი იყო.

გენერალმა ქართულად მომმართა:

– შვილო (ქართველები ხომ მუდამ ერთმანეთის მამები და შვილები ვართ), რით დაიმსახურეთ ამდენი ტანჯვა? ჩვენი ხალხის საუკეთესო შვილები ციხეებში კვდებიან, ან ციმბირში არიან გადასახლებულნი. როგორც ცარისტულ არმიაში მომსახურე, გეუბნებით, რომ რუსული იმპერიალიზმი ჯერ ისევ ძლიერია იმისთვის, რომ გადავატრიალოთ. სხვა მხრივ, თქვენ გვერდით ვართ ჩვენი ძვირფასი საქართველოს გათავისუფლების საქმეში.

ასეთი მაღალი რანგის თანამემამულეები ყოველთვის მოღალატეებად და მტრებად მიგვაჩნდა, ისევე, როგორც რუსი მოხელეები. თუმცა, ამ შემთხვევაში „საქართველოს გათავისუფლების“

საკითხმა ჩემი ყურადღება მიიზიდა. თავადის სიტყვებმა ბიძაჩემი ერემის მოსაზრებები გაამხსენა.

– თქვენო ბრწყინვალებავ, თქვენი სიტყვები ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის. ნება მიბოძეთ აგიხსნათ, რუსეთის ახალგაზრდობა, რომელიც თავისუფლბისკენ ისწრაფვის, ჩვენ მხარდამხარ იბრძვის რუსული დესპოტიზმის წინააღმდეგ. ძალა ერთობაშია!

– კარგად დაფიქრდით, ახალგაზრდავ, მომმართა თავაზიანად, ახალგაზრდა რუსეთს მოხუცი არაფრით ჩამოუვარდება, ამ უკანასკნელს გარკვეული ტრადიციებიც აქვს, პირველს კი მხოლოდ სათავგადასავლო ამბიციები. პატარა საქართველოს არ შეუძლია იმავეს უფლება მისცეს თავს, რაც დიდ რუსეთს. რუსეთს შეუძლია მილიონობით სიცოცხლე გასწიროს ისე, რომ საფრთხის ქვეშ არ დადგეს მისი მომავალი. მაგრამ თუ ჩვენ მთელ ახალგაზრდობას შევწირავთ რუსეთის იმპერიალიზმთან ბრძოლას, როგორ გადარჩება ქართველი ხალხი და რა მომავალი გველის?

მეჩვენებოდა, რომ მამაცი, პატრიოტი გენერლის პირით საქართველოს ისტორია მელაპარაკებოდა, რომელსაც ჩვენი ეროვნული ძალების გადარჩენა სურდა, ჩვენ კი მას არ ვუფრთხილდებოდით. ჩემი მომზადება და შექმნილი მდგომარეობა ხელს არ მაძლევდა, დისკუსიაში შევსულიყავი. თავი დავუკარი და გავედი. მოგვიანებით შევიტყვე, რომ გენერალი მარანში მხოლოდ იმიტომ მოვიდა, რომ ჩემი მოსკოვში ჩასვლის შესახებ ამცნეს და უნდოდა ხუთი რუბლი დაეტოვებინა ჩემთვის.

* * *

ჩემი ორი მეგობარი მოსკოვის დატოვებას ჩქარობდა. ქალაქის შემოგარენში გაკვეთილების ჩასატარებლად უნდა წასულიყვნენ, რათა არდადეგების პერიოდში ზამთრის სემესტრისთვის თანხა შეეგროვებინათ. ამასთან, ძლივს მოახერხეს ჩემი მოსკოვიდან გასამგზავრებელი ბილეთის ფულის შეგროვება; სახარჯოდ ათ რუბლზე მეტი მომცეს.

პატარიძის ოთახში ვივახშმეთ. იქვე დავრჩი დასაძინებლად. ჩემი მატარებელი დილით გადიოდა სმოლენსკაიას სადგურიდან. სადგურთან ახლოს დიდ თაღში გავიარე და დავინახე, რომ შესასვლელში პოლიცია იდგა და მგზავრების საბუთებს ამოწმებდა. უკან დავიხიე, თუმცა არ ვიცოდი, სად წავსულიყავი, ასეთ დროს კი ქუჩაში დარჩენა სახიფათო იყო.

დაახლოებით, ოცი წუთის სიარულის შემდეგ შევნიშნე საჩაიე. პირველივე სართულზე იყო და შორიდან კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდა. შევედი. დარბაზი სავსე იყო კარგად გამოწყობილი ხალხით. თითოეულ მრგვალ მაგიდაზე თითო ჩაიდანი იდგა და ფაიფურის ფინჯნები. კართან ახლოს მაგიდასთან ადგილი იყო და იქ ჩამოვჯექი. მაგიდის გარშემო მეექვსე ადამიანი ვიყავი. მეც მომიტანეს ცნობილი რუსული ჩაიდანი, უამრავი ლიტრი ცხელი წყლით და ფინჯანი. წარმოიდგინეთ, როგორი დატვირთული იყო მაგიდა. მაგიდასთან მსხდომნი იმდენად თავაზიანები იყვნენ, რომ ჩემით არ დაინტერესებულან, არც მე გამომიჩენია მათდამი ინტერესი. ვცდილობდი, დავმშვიდებულიყავი. იქვე გაზეთები შევნიშნე და თვალიერება დავიწყე. ამ დროს ძველი წიგნების გამყიდველმა გაიარა, ხელში რამდენიმე რულონი ეკავა. იმითაც დავინტერესდი, ვერ გავიაზრე, რომ ასე ყურადღებას მივიქცევდი. რაკი არაფერი ვიყიდე, დამსწრე საზოგადოებამ გადაწყვიტა, რომ ებრაელი ვიყავი და შემომეხვივნენ შეძახილებით: „სიკვდილი ებრაელს!“ მაშინ მივხვდი, რომ რასისტების კაფეში ვიყავი. ეს იყო რასისტების პარტიის „ნამდვილ რუსი ხალხის ერთობის“ თავშეყრის ადგილი. მათ „შავი ასეულის“[1] სახელითაც მოიხსენიებდნენ. ისინი *პოგჰომებს*[2] უწყობდნენ ებრაელებს. თავის გადარჩენის მიზნით, არ მაწყობდა მეთქვა, რომ ებრაელი არ ვიყავი. მაგიდაზე ავხტი, ყველანი მიმოიფანტნენ. ჩაიდნები და ფინჯნები გადმოვყარე, სასწაული ხმაური იყო. პოლკოვნიკი მაქსიმევსკის ხელჯოხი მოვიქნიე და ყველას ვემუქრებოდი, ვინც მოახლოებას გაბედავდა. ზოგი წინ მოიწევდა, ზოგიც უკან იხევდა. დიდი აჟიოტაჟი შეიქმნა. ერთი განაწყენებული ბიჭი მოიწევდა ჩემკენ, თავს ვერ პატიობდა, რომ „ეს ბინძური ებრაელი ჯერ ვერ მოკლა“, მიახლოვდებოდა და იფიცებოდა, რომ „მიზანს მიაღწევდა“. უშვერი სიტყვებით ილანძღებოდა, სხვებმა კი შესძახეს: „ფრთხილად, ვალოდია! ამ საშინელ ხელჯოხთან ყურადღებით! ებრაელი ასე არ მოქმედებს!“

ვიგრძენი ამ ფრაზის ეფექტი, რომელიც დარბაზში მყოფთ მოედო, აჟიოტაჟი მწიფდებოდა. მაგიდიდან ჩამოვხტი, კიბე ჩავირბინე, იქვე მივაგდე ჩემი ხელჯოხი და გარეთ გავედი. ქუჩაში სირ-

---

[1] ანტისემიტური, ნაციონალისტური და ულტრა-მემარჯვენე მონარქისტული მოძრაობა, რომელიც რუსეთის იმპერიაში 1905 წლის შემდეგ შეიქმნა (რედ.).

[2] პოგრომი – XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე გავრცელებული ძალადობა ებრაული თემის წინააღმდეგ, პოგრომებმა ფართო მასშტაბი მიიღო რუსეთის იმპერიაში (რედ.).

ბილისგან თავი შევიკავე, ყურადღება რომ არ მიმექცია, თუმცა, შევნიშნე, ორი პოლიციელი მომყვებოდა. ქუჩიდან გადავუხვიე, ერთი კვლავ უკან მომყვებოდა, მეორემ კი წრეზე წასვლა განიზრახა, რათა ჩემთვის გზა გადაეღობათ. სწორედ ამ დროს, სამი ჟანდარმი შევნიშნე, გზაზე გადმოდიოდნენ. მათკენ გავეშურე და მივმართე:

– ბატონებო, პრეფექტურისკენ ყველაზე მოკლე გზას ხომ ვერ მიმასწავლით, გეთაყვა? მისი აღმატებულება, პრეფექტი ჯონკოვსკი მელოდება, პირადად მიმიწვია, არ მინდა, დავაგვიანო.

ინსტიქტურად საათს დახედეს და მკითხეს:

– რომელ საათზე უნდა იყოთ პრეფექტურაში?

– 11 საათზე.

– პირდაპირ წადით, მეხუთე შესახვევთან მარჯვნივ შეუხვიეთ, დაახლოებით 10 წუთის შემდეგ ისევ მარჯვნივ შეუხვიეთ და დანიშნულ დროს მიხვალთ. თუმცა სწრაფად უნდა იაროთ.

რაც შემეძლო ხმამაღლა გადავუხადე მადლობა, ვგრძნობდი, პოლიციელები გვიახლოვდებოდნენ და მსურდა, მათაც გაეგოთ. შემდეგ კი სწრაფი ნაბიჯით გავუყევი მითითებულ მიმართულებას. მესმოდა, პოლიციელები შეკითხვებს უსვამდნენ ჟანდარმებს, მათ კი უპასუხეს, რომ იმ მომენტში შეუძლებელი იყო ჩემი დაკავება, რაკი პრეფექტი მელოდებოდა, ურჩიეს, პრეფექტურამდე გამომყოლოდნენ და იქიდან გამოსვლისას ავეყვანე.

ამ წუთამდე ჩემი გონება პრეფექტურის სახით ხსნას ხედავდა, მაგრამ ახლა აღმოჩნდა, რომ მართლა უნდა წავსულიყავი იქ. ვიზიტის სარგებელს ვერ ვხედავდი, მეტიც, ეს სახიფათო იყო. მაინც წავედი პრეფექტურისკენ. უზარამაზი, ბრწყინვალე შენობა დამხვდა, შესასვლელს ჯარისკაცები იცავდნენ, მისვლის მიზეზი მკითხეს. ვუპასუხე, რომ დამაგვიანდა და საფულე ამოვიღე, თითქოს საბუთს ვეძებდი. იქ ბარათი აღმოვაჩინე, „ივანე ნასარიძე, მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი“. ბარათი ჯარისკაცებს გავუწოდე. მათი წერა-კითხვის უცოდინარობა დამეხმარა, ბარათისთვის არც კი დაუხედავთ, პირდაპირ შემიშვეს.

რა თავგადასავალში ამოვყავი თავი?! რა გავაკეთო? შუადღისას, როგორც კი გავალ, დამიჭერენ, ესაა ერთადერთი მშვენიერი პერსპექტივა.

მანდატურს ვუთხარი, რომ მის აღმატებულებასთან სასწრაფო საქმე მქონდა (აქ უკვე ვეღარ ვაღიარებდი, რომ სინამდვი-

ლეში პრეფექტურაში მოსვლის მიზეზი არ მქონდა). მანდატურმა კოლეგასთან გამგზავნა, რომელთანაც შეხვედრის საკითხი უნდა გამერკვია. სხვა გზა არ მქონდა, ერთი სართულით ზევით ავედი. არავითარი მიზეზი არ არსებობდა იმისთვის, რომ პრეფექტი აუდიენციას დათანხმებოდა, ადმინისტრაციის თანამშრომლები არ დაეთანხმებოდნენ ჩემს მოთხოვნას.

მანდატური გაოგნებული მიყურებდა, მთხოვა, გამემეორებინა. შემდეგ მუქარის ტონით მიპასუხა:

– აზრი არ აქვს სასწრაფო, თუ პირადი საქმის მომიზეზებას, მისი აღმატებულება თქვენნაირებს არ ღებულობს. თქვენ რომ მართლაც სტუდენტი იყოთ, ფორმა გეცმებოდათ. მე ფორმულარს შეგავსებინებდით, ორ კვირაში დაბრუნდებოდით და პასუხსაც მიიღებდით. ახლა თუ გაჯიუტდებით, ძალის გამოყენებით გაგაგდებთ.

იმედგაცრუებული გამოვბრუნდი, მისაღები დარბაზისკენ მივდიოდი, უკან მანდატურის ჩხუბის ხმა კვლავ ისმოდა. უეცრად, ერთ-ერთი კარი გაიღო და ათიოდე კაცი გამოვიდა. დასაკარგი აღარაფერი მქონდა, ამიტომ მივუახლოვდი და ცენტრში მდგომს მივაწოდე ჩემი ბარათი, ეს კაცი პრეფექტი ჯონკოვსკი აღმოჩნდა. ფორმაში იყო გამოწყობილი, სასიამოვნო გარეგნობის, მაღალი კაცი გახლდათ. ბარათი გამომართვა და ხმამაღლა წაიკითხა: „ივანე ნასარიძე, მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი“. შემდეგ შემომხედა და მკითხა: „რა გნებავთ?“

მას ნასარიძის რეალური მდგომარეობა მოვუყევი: თქვენო აღმატებულებავ, ღარიბი სტუდენტი ვარ, მომდევნო სემესტრში სწავლას ვერ გავაგრძელებ, თუ ზაფხულში კერძო გაკვეთილები არ ჩავატარე. ტოპოროვის ოჯახმა დამასაქმა, როგორც მათი შვილების მასწავლებელი. ისინი უკვე გაემგზავრნენ ქალაქგარეთ, მეც დღესვე უნდა გავემგზავრო, წინააღმდეგ შემთხვევაში შემოთავაზებას დავკარგავ. პასპორტი გასაახლებლად ქუთაისში გავგზავნე და ჯერ არ მიმიღია, საბუთების გარეშე კი ვერ გავემგზავრები. გთხოვთ, დროებითი საბუთი მომცეთ, სანამ პასპორტი ჩამოვა.

ჯონკოვსკიმ ყველა მოხელისა და განსაკუთრებით კი, ჩემ გასაოცრად, ბრძანება გასცა, ჩემთვის დროებითი საბუთი დაემზადებინათ: „წინამდებარე საბუთის მფლობელი, ივანე ბესარიონის ძე ნასარიძე, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი, პრეფექტურის მიერ უფლებამოსილია გაემგზავროს X-ში და დარჩეს იქ ათი დღე, ისე, რომ არავინ შეაწუხოს.“

იმ დროში ეს დაუჯერებელი ამბავი იყო. „რუსეთი სიურპრიზების ქვეყანა იყო“, როგორც ჩხეიძემ განაცხადა დუმის ყრილობაზე, რის გამოც ათი ყრილობა გამოატოვებინეს.

ახალი საბუთით შეიარაღებული გასასვლელისკენ წავედი, იმედი გამიჩნდა, რომ ამ მდგომარეობიდან გამოვიდოდი. გარეთ ორი პოლიციელი მელოდა. შევეცადე, ინდიფერენტული იერი მიმეღო, მაგრამ მაინც გამაჩერეს. საბუთი სიამაყით გავუწოდე. შეცბუნდნენ, განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა სიტყვებმა: „არავინ შეაწუხოს“, რამაც მათ თვალში რაიონის პოლიციის უფროსის ბრძანება ჩემი აყვანის თაობაზე, გააბათილა. დაჭერის ბრძანება ეხებოდა უცნობ პირს, რომლის იდენტობაც დადგენილი არ იყო, ჩემი პიროვნების შესახებ კი სრული ინფორმაცია ჰქონდათ.

გამოუვალ მდგომარეობას თავი დავაღწიე. თუმცა ამ შემთხვევამ ფინანსურად დამაზარალა. სმოლენსკის გზით ვეღარ წავიდოდი, ეს იყო პირდაპირი გზა ვერჟბოლოვოსკენ. უფრო ძვირიანი ბილეთი უნდა მეყიდა, ამასთან მიღებული საბუთი მაიძულებდა რჟევსკის სადგურში წავსულიყავი, საიდანაც ნამდვილი ნასარიძე გაემგზავრა. ეს კი დანიშნულების ადგილს მაშორებდა. ყველა სიკეთესთან ერთად, მოსკოვში აღარავინ იყო, ვისაც რჩევას ვკითხავდი, ან დახმარებას ვთხოვდი.

ამ ფიქრებით სადგურამდე მივედი. მატარებლების განრიგსა და ბილეთის ფასებს გადავხედე. მგზავრობისთვის საჭირო თანხა არ მქონდა. ამასთან, უნდა მეჭამა კიდეც. გაზეთების დახლთან შევჩერდი. ამ დროს ვიღაც კაცი მომიახლოვდა, დაბალი ტანის, თითქმის მელოტი, კოჭლი, უზარმაზარი ჩანთით, სადაც ბევრი ფურცელი ელაგა, ოფლში იწურებოდა. მისი გახშირებული სუნთქვა მსუყე სადილზე მიანიშნებდა, ამასთან ალკოჰოლის სუნიც ასდიოდა.

– გაღმერთებთ, დამიძახა.

პასუხი არ გავეცი და თავი შევაბრუნე.

– თქვენ ხომ რამიშვილი ხართ, ქართველი, ეს სიტყვები უფრო დაბალი ხმით მითხრა და მომიახლოვდა.

– ბატონო, მე არც რამიშვილი ვარ და არც ქართველი, – ვუპასუხე.

უცნობი არ მეშვებოდა. ამბობდა, რომ კარგი ფიზიონომისტი იყო. შემდეგ თავისი ქაღალდების გაშლა განიზრახა. დახმარების სურვილი არ გამოვთქვი, ამიტომ სკამისკენ მიმიწვია. უამრავი გა-

მოცემა აღმოაჩნდა ცნობილი ქართველების შესახებ. რამიშვილის ფოტო ამოიღო:

– მართლაც, რამიშვილს ჭაღარა წვერი აქვს, თქვენ ახალგაზრდა ხართ; მაგრამ ნამდვილად ქართველი ხართ!

მაშინ ვუთხარი, რომ ჩემი წარმოშობის უარყოფას არ ვაპირებდი, მაგრამ რაკი არ ვიცოდი, ვინ იყო, ამიტომ ვერ ვენდე. ამ აღსარებამ სიამოვნება მოჰგვარა და კაფეტერიაში დამპატიჟა, რათა ჩვენი შეხვედრა აღგვეღნიშნა. სწორედ ამ დროს მეტეხის ციხის პატიმრების ფოტო იპოვა და სიამაყით შესძახა;

– აჰ! ვიცოდი, რომ „რამი“ თუ არა, „შვილი“ მაინც იქნებოდით! – აქვე შენიშნა: მოწყენილი ჩანხართ, რაც თქვენი გაცნობის სიხარულს ჩრდილს აყენებს. გთხოვთ, მითხარით, რით დაგეხმაროთ?

მოსკოვის შემოგარენში არსებულ მამულში დამპატიჟა, ჩემს პატარა ბლოკნოტში თავისი ხელით ჩამიწერა მისამართი და ტიტული: „ბურჟუა დე ...“

რაკი ერთმნიშვნელოვნად ჰქონდა გადაწყვეტილი ჩემი დახმარება, ვუთხარი, რომ ბილეთზე ფული მაკლდებოდა. დანიშნულების ადგილი მკითხა. პირველი, რაც აზრად მომივიდა, ის ადგილი დავუსახელე. წავიდა და ცოტა ხანში ბილეთით დაბრუნდა, ხუთი რუბლი გადაეხადა. კაფეტერიაში ანგარიშის გადახდისას აღმოაჩინა, რომ მხოლოდ საჭირო თანხა დარჩენოდა. ვუთხარი, ბილეთი უკან მიებრუნებიდა და ფული აეღო. ამაზე მკაცრი უარი მითხრა, ამასთან, ერთ საათში სახლში ბრუნდებოდა. მატარებლამდე მიმაცილა და ერთმანეთს გამოვეთხოვეთ.

* * *

გამიჭირდება იმის თქმა, თუ რამდენი დრო დამჭირდა მოსკოვიდან ვერჟბოლოვომდე ჩასასვლელად, ან რა ადგილები გავიარე. დაახლოებით, ორი კვირა გაგრძელდა მრავალგზის შეწყვეტილი მოგზაურობა. სხვადასხვა ქალაქიდან ახლა მხოლოდ ორი მახსენდება, ვილნა, სადაც ორი დღე ვიმალებოდი და კოვნო. ასევე კარგად მახსოვს მამაცი პოლონელი კონტროლიორი, რომელიც ოთხი საათი მმალავდა საწოლ ვაგონში, სადაც ოფიცრებს ეძინათ; მიზეზად უთხრა, რომ ავად ვიყავი და დასვენება მჭირდებოდა.

ვერჟბოლოვოში ებრაელი კონტრაბანდისტის, „კაც“-ის მისამართი მქონდა; გზად ყველა მხოლოდ მას მისახელებდა. აგენტები სახელმწიფო მოხელეებშიც ჰყავდა და სამოქალაქო პირებშიც, ეს

კი იმით აიხსნებოდა, რომ რუსულ მთავრობასთან შეთანხმებით მუშაობდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი ანტისემიტი იყო. შემოსავლის ნახევარზე მეტი მესაზღვრეებთან მიდიოდა. დარჩენილი თანხის დიდი ნაწილის დახარჯვა მაინც შეეძლო ღვინის კასრებში.

ამგვარად, საზღვრის გადაკვეთის საქმეში დიდ იმედს ვამყარებდი აღნიშნულ პიროვნებაზე. როგორც კი დანიშნულების ადგილზე ჩავედი, მის ძებნას შევუდექი. ადვილი არ იყო. თითქმის მიუწვდომელი გახლდათ. შეხვედრას, რომელიც ძალიან სწრაფად უნდა დასრულებულიყო, დიდხანს ამზადებდნენ მისი აგენტები.

თუ ეტყოდით, რომ დასახელებული ფასი ძალიან ძვირია, გიპასუხებდათ: „აქ სიკვდილი გირჩევნიათ? მეტი დრო არ მაქვს თქვენთვის.“

საბოლოოდ, ჩვენი შეხვედრა შედგა:

– საზღვრის გადაკვეთა გსურთ? ჩემი ტარიფი იცით, 1000 რუბლი.

ექსპერტის თვალი ჰქონდა, მაშინვე შეაფასებდა მსხვერპლს. თუმცა ამჯერად ჩვეულ კლიენტურასთან არ ჰქონდა საქმე. ამიტომ შეცდომა გამოასწორა, როგორც კი ჩემი მიზნები გავანდე:

– გამონაკლისის სახით, თქვენთვის ამ საქმეს 500 რუბლად გავაკეთებ.

ვუპასუხე, რომ ფული საერთოდ არ მქონდა. მირჩია, თანხა შემეგროვებინა, თუ არ მინდოდა, აქ მოვმკვდარიყავი.

როგორც მითხრეს, სანამ მასთან მოლაპარაკებები არ დასრულდებოდა, მესაზღვრეებთან პრობლემები არ შემექმნებოდა, ამიტომ დავპირდი, რომ ყველაფერს გავაკეთებდი და ფულს ვიშოვიდი.

აი, ისევ გამოუვალ მდგომარეობაში აღმოვჩნდი. უიმედოდ მყოფი, სამი დღე ვიმალებოდი, მხოლოდ ფარულად გამოვდიოდი. საბედნიეროდ, „ამხანაგებისთვის გამორჩეულ გზაზე“ აღმოვჩნდი. ერთ დილას შევხვდი დაბალი ტანის კაცს, შავ, ლამაზ წვერს ატარებდა და ინტელექტუალური გარეგნობა ჰქონდა, იმ პერიოდის რუსეთში ნამდვილად გამორჩეული. უცნობი გამცდა, თხუთმეტიოდე ნაბიჯი გადადგა და მობრუნდა; მეგობრული ტონით მომმართა:

– ქართველი ხართ, არა?

– არა, ბატონო.

– მისმინეთ, სიმართლის თქმით საფრთხე არ გემუქრებათ. ქართველებს ვიცნობ და ძალიან ვაფასებ მათ.

უცნობმა მითხრა, რომ მისი გვარი იყო ბრონშტეინი[1] და სანკტ-პეტერბურგში ცხოვრობდა. სწორედ ახლა ბრუნდებოდა იქ ბერლინიდან. პირველი ქართველი, რომელიც მან დიდი აღტაცებით დაასახელა, გახლდათ სილიბისტრო ჯიბლაძე. ისინი ირკუცკში შეხვდნენ. ბრონშტეინიც გადასახლებაში იყო და ცნობილ პროცესში მონაწილეობდა. ასევე დამისახელა კალისტრატე გოგონაძე. თუმცა ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებლის გვარი საუკეთესო გარანტიას წარმოადგენდა. ამიტომ ყველაფერზე გულწრფელად ვესაუბრე და რამდენიმე დღის წინანდელ შეხვედრაზეც ვესაუბრე.

თავდაპირველად ჩემი საქმის სიმძიმემ შეაშფოთა. შემდეგ იფიქრა და გამიღიმა:

– მხნეობას გისურვებ, ჩემო ძვირფასო! დღესვე ვიპოვით გამოსავალს! საზღვარს ისე გადაკვეთთ, რომ ის სალახანა ერთ რუბლსაც ვერ მიიღებს თქვენგან. თუმცა მაინც ვწუხვარ, რადგან ფული არ მაქვს და საზღვარგარეთ უფულოდ რას გააკეთებთ? როგორც იცით, გერმანიის პოლიცია პოლიტიკურ ემიგრანტებს ყოველ მიზეზგარეშე რუსეთის ხელისუფლებას გადასცემს. თქვენთვის საშიშია ამ რეგიონში დარჩენა. თუ დედაჩემი ადრე ჩამოვა, საკითხი მოგვარებული იქნება.

ვუთხარი, რომ ამ ეტაპზე მნიშვნელოვანი იყო საზღვარი გადამეკვეთა და უცხოეთის მიწაზე აღმოვჩენილიყავი.

---

[1] ლევ ტროცკი (ხ. შავიშვილი).

თავი III

საზღვარი გადავკვეთე და ჟენევაში ჩავედი

სრული ტარიფის გადამხდელთა შორის გამრიეს. ჩვენი მიახლოებისას მცველები ცოტა ხნით გავიდნენ და რამდენიმე წუთში უკვე გერმანიის მიწაზე ვიყავით, აიდკიუნენთან [1] ახლოს. გეგმის თანახმად, აქ რამდენიმე დღე უნდა დავრჩენილიყავი და გზის გასაგრძელებელ თანხას დავლოდებოდი. კიდევ ერთხელ გავგზავნე წერილი ჟენევაში, *თავადი ამიღახვჩის* სახელზე, კვლავაც ზუსტი მისამართის გარეშე.

ფულის მოლოდინში, იმედი მქონდა, ცოტა დასვენებას შევძლებდი, თუმცა, ყოველი მატარებლის ჩამოდგომისას ბაქანზე ისე უნდა დავმდგარყავი, თითქოს მივემგზავრებოდი, ამიტომ დასვენების დრო არ მქონდა. ორი დღის შემდეგ სადგურში უცნობი კაცი მოვიდა ჩემს სანახავად. გერმანული არ ვიცოდი, ამიტომ რუსულად ვკითხე მოსვლის მიზეზი. ისიც რუსულად გამეცნო, ადგილობრივი ადვოკატი აღმოჩნდა; როგორც სოციალ-დემოკრატი, რუს ემიგრანტებს იცავდა, ამიტომ მოვიდა ჩემს სანახავად.

– პოლიციელმა ამხანაგმა მითხრა, რომ სადაცაა თქვენ დასაჭერად მოვლენ, ამიტომ სასწრაფოდ უნდა დატოვოთ სადგური, აქ ვერ დაგიცავთ.

– მაგრამ მე არაფერი ჩამიდენია.

– ვიცი, მაგრამ პოლიტიკური ემიგრანტი ხართ და ეს საკმარისია თქვენ დასაჭერად, რადგან რუსეთი ამას ითხოვს და ჩვენი ხელისუფლებაც მზადაა მათ საამებლად ასე მოიქცეს.

– ფულის გარეშე სად წავალ? დღე-დღეზე ველოდები და შემდეგ გავემგზავრები.

– დღე-დღეზე კი არა, წუთიწუთს მოვლენ თქვენ დასაჭერად; სანამ ამხანაგები ბებელი[2] და ლიბკნეხტი ჩაერთვებიან საქმეში, უკვე რუსეთში იქნებით, ყოველგვარი ფორმალობის გარეშე.

---

[1] პოლონურად და რუსულად „ჩერნიშევსკოე“. 1945 წლამდე იყო სასაზღვრო ზონა გერმანიასა და რუსეთს შორის (რედ.).

[2] ავგუსტ ბებელი (1840-1913) – გერმანელი სოციალ-დემოკრატი, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი და II ინტერნაციონალის დამაარსებელი (რედ.).

თხუთმეტ წუთში გადის კენიგსბერგის [1] მატარებელი, ბილეთი 6 მარკა და 10 პენსი ღირს.

ფული საერთოდ არ მქონდა, ამიტომ ადვოკატმა მომცა 7 მარკა და მითხრა, რომ მოგვიანებით შემეძლო დაბრუნება.

გზად ებრაელი მოგზაური გავიცანი, როდესაც გაიგო, რომ კენიგსბერგში მივდიოდი, ერთი პანსიონი მირჩია, სადაც მშვიდად შემეძლო დავრჩენილიყავი ფულის მიღებამდე. ისე გავემგზავრე, რომ ჩემს ოთახში შევლაც ვერ მოვასწარი, რათა პირადი ნივთები ამეღო, მათ შორის ხელნაწერები. პანსიონში თბილად მიმიღეს. დაღლილობისგან პირველი ხუთი დღე საერთოდ ვერ მოვახერხე ადგომა. როდესაც მეპატრონეს ვკითხე, რამდენი უნდა გადამეხადა, მან მიპასუხა: „ამას არავითარი მნივნელობა არ აქვს!“

* * *

თავს სუსტად ვგრძნობდი. ფული არსად ჩანდა. პანსიონის გადასახადი მაწუხებდა. დაახლოებით, ათი დღე გავიდა. ქალაქში გავედი რუსი ემიგრანტების შეხვედრის იმედით. პატარა ქალაქში ეს საქმე მარტივი უნდა ყოფილიყო, თუ თავს არ ამარიდებდნენ, პოლიციის შიშით. რუსულ ბიბლითეკაში წავედი. იქ ჩემთან გამოლაპარაკების სურვილი არავის გაუჩნდა. ერთ დღეს, ბიბლიოთეკიდან დაბრუნებისას აიდკიუნენში გაგზავნილი პიროვნება დამხვდა. მას ფოსტაში ჩემი ფულის საკითხის გარკვევა დავავალე დილით. ფული მართლაც ჩამოსულა, მაგრამ მიმღების არგამოჩენის გამო უკან დაბრუნდა. ვინ, ან საიდან გამოგზავნა თანხა, ჩემმა ინფორმატორმა არ იცოდა. გადავწყვიტე, პანსიონთან გასასწორებელი ანგარიში მომეთხოვა. აღმოჩნდა, რომ 160 მარკა უნდა გადამეხადა (წესით, ეს თანხა 60 მარკაზე მეტი არ უნდა ყოფილიყო, 4 მარკა დღეში). აღვშფოთდი, თუმცა სიტყვის უთქმელად გამოვედი. საღამო იყო; როგორც გათამამებული ბავშვი სჯის მშობლებს, გადავწყვიტე, მეც ასე მოვქცეოდი მეპატრონეს და ვახშამზე არ მივსულიყავი.

ქალაქში გავედი. უეცრად შორიდან მომესმა რუსული შეძახილი, მეგონა მომეჩვენა და მივაყურადე, მართლაც:

– კნიაზ, კნიაზ! აქ რას აკეთებთ? მოიცადეთ!

ხმა ვიცანი. გავეპასუხე. ეს გახლდათ მამაცი ურინოვსკი, რომელსაც 1907 წელს ტარადან გაქცევისთვის ყველა საჭირო საშუალება მივეცი.

---

[1] ახლანდელი კალინინგრადი (რედ.).

ჩემს ქვითარს დახედა და წამოიძახა:

– ქურდი, სალახანა! ამ საღამოსვე უნდა დატოვოთ მისი პანსიონი.

– არა, გადაუხდელად ვერ წავალ; არც ვიცი, ამხელა თანხა სად ვიშოვო.

– ის ქურდი უნდა დაისაჯოს, გადაუხდელად უნდა წამოხვიდეთ.

მირჩია, უკან დავბრუნებულიყავი და იქ დავლოდებოდი. ურინოვსკი პანსიონში 8:30-სთვის მოვიდა, თან ახლდა ებრაელი მწერალი, მელიმედი. სწორედ ის გაესაუბრა მეპატრონეს ივრითზე. საუბრის მიზანი იყო გადასახდელი თანხა სამ ნაწილად გაეყოთ. ურინოვსკიმ 50 მარკა გადაიხადა, ხოლო მელამედი გარანტად დადგა, რომ დარჩენილ თანხასაც გადავიხდიდი. შემდეგ სხვა სასტუმრო-პანსიონში გადამიყვანეს, სადაც დღეში 3 მარკას გადავიხდიდი და უკეთესადაც ვიკვებებოდი.

კიდევ ათი დღე დავრჩი. სხვა ემიგრანტებს ვერ ვხვდებოდი, მათ არ სურდათ პოლიციის ყურადღება მიექციათ. ურინოვსკიმ ემიგრანტებში ფული შეაგროვა, რაც ბერლინში წასვლაში დამეხმარებოდა. იქ კი ჩვენი კომიტეტი ყველაფერს გააკეთებდა ჩემთვის. თუმცა კომიტეტის წევრები უჩინარნი იყვნენ და ყველა თავს მარიდებდა.

დამნაშავის სტატუსით ცხოვრება მორალურად რთული იყო ჩემთვის. ურინოვსკის გარდა, არავინ მაქცევდა ყურადღებას. ის კენიგსბერგიდან ჩამოდიოდა ჩემს სანახავად. მხოლოდ იქიდან გამგზავრებისას შევიტყვე რუსი სოციალ-დემოკრატების ქცევის მიზეზი. გაირკვა, რომ გიორგი პლეხანოვმა შეადგინა ცირკულარი, მდივნის, პანტელეის ხელმოწერით და ჟენევის ჯგუფის, რუსული სოციალ-დემოკრატიული პარტიის სახელით გაუგზავნა უცხოურ ორგანიზაციებს. ტექსტი იყო შემდეგი:

„ამხანაგი შავიშვილი ქუთაისში, ბარიკადებზე შეტაკებებისას დაიჭრა, ის დავაკავეთ და ციმბირში გადავასახლეთ, საიდანაც გაქცევა შეძლო. მას ყველაგან ვეძებთ. ვთხოვთ, ჩვენს ორგანიზაციებს მას დახმარება გაუწიონ და სასწრაფოდ გვაცნობონ მისი ადგილსამყოფელი.

ცირკულარმა ყველა ამხანაგი შეაშინა და გასაგებიცაა, რატომ. იმ პერიოდში რუსულ პოლიტიკურ ემიგრაციას გერმანიის პოლიცია საფრთხეს უქმნიდა. ლუნაჩარსკი[1] პარიზიდან ჩავიდა ბერ-

[1] ანატოლი ლუნაჩარსკი (1875-1933) – რუსი მარქსისტი და რევოლუციონერი, საბჭოთა რუსეთის განათლების სახალხო კომისარიატის პირველი ხელმძღვანელი (რედ.).

ლინში და ის ქვეყნიდან გააძევეს. გერმანიის დედაქალაქში მყოფი ემიგრაცია ძალიან შეაშინა ამ ფაქტმა. ამიტომ ვერ ბედავდნენ ჩემთან დაკავშირებას.

* * *

ფრანკფურტში საქმე ბევრად მარტივად იყო. დილის რამდენიმე საათი დამჭირდა ყველაფრისთვის. ბებელის რეკომენდირებულმა პარტიის სამდივნომ ბაზელის ბილეთი გადმომცა. დიდი სიხარულით ვუახლოვდებოდი შვეიცარიის საზღვარს. შვეიცარია! ჟენევა! ბავშვობიდან ეს ორი, ერთმანეთისგან განუყოფელი სიტყვა გულს მიჩქარებდა, სულ უფრო მემატებოდა მათდამი სიყვარული. დასაწყისში კალვინის [1] ქალაქმა ცოტა იმედგაცრუება ჩამისახა; მე ჟენევას ვიყავი ჩვეული, აიდკიუნენში მას „ჟენფს“ უწოდებდნენ.

ბაზელში ჩასვლისას ერთი სუც არ მქონდა. თუმცა აღთქმულ მიწაზე დავდგი ფეხი და ისეთი სიხარულით ვიყავი სავსე, ვეღარაფერი გამიცრუებდა იმედს. მშვენიერი დილა იყო. ქუჩას შევუყევი, მეორე ქუჩაზე გავედი და რუსი ემიგრანტების ბიბლიოთეკას მივადექი. ვხედავ უცნაურ წარწერას: „დილით ბიბლიოთეკა მუშაობს მხოლოდ ქალებისთვის“.

აბანოა, თუ ბიბლიოთეკა, გავიფიქრე. ეშმაკმა დალახვროს! რუსები დაგვცინიან?! ჩვენი პროგრამის მთავარი ღერძი სწორედ სქესთა თანასწორობაა. ამგვარი დაყოფა რას ემსახურება?

ძალიან უკმაყოფილოდ გამოვბრუნდი და გზა განვაგრძე. დავინახე მინიშნება *Herr Präsident der Russischen Emigranten Organisation* [2]. ადგილზე ტანდაბალი კაცი დამხვდა (პენტმანი). ენას უკიდებდა, თითქმის არ მესმოდა, რას მეუბნებოდა. რამდენიმე მეგობრული რჩევა მივეცი, მეტყველების გამოსასწორებლად და დავემშვიდობე, რაკი ჩემთვის არაფრის გაკეთება შეეძლო. შვეიცარულმა სოციალ-დემოკრატიული პარტიის სამდივნომ ბილეთი მომცა ბერნამდე. ადგილზე რუსული სოციალ-დემოკრატიული ბიუროს მდივანს შევხვდი. ამ ახალგაზრდა კაცთან ბევრი საერთო ნაცნობი აღმომაჩნდა. მან „სახალხო სახლში“ განმათავსა დროებით.

სხვა ქვეყნების ქალაქებისგან განსხვავებით, ბერნი ფედერალური ქალაქია. ბაზელთან შედარებით პატარა, ასევე , ნაკლებ მდიდარიც, თუმცა მშვენიერი ხედებითა და პეიზაჟებით.

---

[1] იგულისხმება ჟან კალვინი, თეოლოგი, კალვინიზმის ფუძემდებელი (რედ.).

[2] რუსი ემიგრანტების ორგანიზაციის თავმჯდომარე (რედ.).

მეორე დღეს პარტიის ადმინისტრაციამ საუზმეზე დამპატიჟა და სარეკომენდაციო წერილი გამიმზადა ლოზანის ჯგუფისთვის. მოგვიანებით სადგურში გამაცილეს და ლოზანის მატარებელშიც ჩამსვეს.

სადგურიდან გამოსვლის შემდეგ ფერდობზე დავეშვი, რომელსაც შაილიში მივყავდი, სწორედ იქ იყო პარტიის სამდივნო. იქ შევხვდი ახალგაზრდა, დაქორწინებულ, სასიამოვნო გარეგნობის კაცს. როგორც გავიგე, ადგილობრივ სამდივნოს მხოლოდ ის წარმოადგენდა და ძალიან მცირე შემოსავალი ჰქონდა. ამგვარად, წარმოუდგენელი იყო ის თხოვნა შეესრულებინა, რასაც კოლეგა სწერდა ბერნიდან. მე სიტყვა არ დამიმატებია, არ მინდოდა უხერხულ მდგომარეობაში ჩამეგდო. თუმცა, ბევრი არც არაფერი მჭირდებოდა, მხოლოდ რამდენიმე ფრანკი ჟენევამდე მისაღწევად. ვთოხვე, რუსული ბიბლიოთეკა მიესწავლებინა. მისამართი მომცა და მომიბოდიშა, ვერ გამომყვებოდა. გამაფრთხილა, რომ შეიარაღებული ძარცვების გამო, ადგილობრივები უარყოფითად არიან განწყობილნი რუსების მიმართ. ემიგრანტებიც შეშინებულები არიან და უცხოებთან კონტაქტს ერიდებიან. მოცემული ინფორმაცია ნათელს ჰფენდა ქალაქში არსებულ წარწერებს: „ქირავდება. არარუსებზე.

ბიბლიოთეკაში შევედი და გაზეთების კითხვა დავიწყე. თან გარშემომყოფთ ვაკვირდებოდი. არავინ იჩენდა ჩემთან გამოლაპარაკების სურვილს. არც მე მინდოდა ინიციატივის აღება. მეტიც, შევნიშნე, რომ გარშემო ხალხი მეცლებოდა. დაღლილი ვიყავი, ამიტომ სუფთა ჰაერზე გამოვედი. საღამოს ისევ დავბრუნდი და გაზეთების კითხვა განვაგრძე. უეცრად დაბალი ტანის კაცი მომიახლოვდა და ღიმილით მომმართა: „გამარჯობა, კნიაზ!“

ეს კაცი გახლდათ ლიახავეცკი (მაისკი), რომელიც ტობოლსკიდან წინა წლის იანვარში გაემგზავრა და პირდაპირ ლოზანაში ჩავიდა; იქ კი უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა. მახვილი გონება და სწრაფი საუბარი ჰქონდა, თან ჩემს ამბებს მეკითხებოდა, პარალელურად კი საინტერესო ისტორიებს მიყვებოდა. ბოლოს მასთან დარჩენა შემომთავაზა. ავუხსენი, რომ ჟენევაში ჩასვლას ვჩქარობდი. მაისკიმ განრიგი გადაამოწმა, უშის ნავსადგურში წამიყვანა, ბილეთი მიყიდა, პლატფორმაზე მიმაცილა და მითხრა: „ნახვამდის, ჟენევამდე!“

* * *

ღამეა. ტბის ნაპირებზე მხოლოდ გამწვანება შეინიშნება. სანაპიროზე გადმოსვლითანავე თავი მაგიურ ბაღში მეგონა. ჟენევა სხვანაირი არც შეიძლება ყოფილიყო!

ქალაქი კარგად იყო განათებული. პლენპალეს უბნისკენ ავიღე გეზი. მისამართს გამვლელებთან ვაზუსტებდი, ხშირ შემთხვევაში საპირისპირო მიმართულებით მიშვებდნენ. პარტიის მდივნის, პანტელეის მისამართი მქონდა, რომელიც ბერლინში მომცეს: *ცენტრის ქუჩა N2*, ქ-ნ დიკთან. ზარი დავრეკე, თუმცა არავინ გამომხედა. პანტელეისთან შეხვედრის უშედეგო მცდელობების შემდეგ, შენობიდან გამოვედი. უეცრად რუსული საუბარი შემომესმა და გამოველაპარაკე. სტუდენტები იყვნენ. ისინიც ცენტრის ქუჩაზე მიდიოდნენ და არც მათ გაუხსნეს კარი. სხვაგან იკითხეს საჭირო ცნობები. უთხრეს, რომ ეს არის შეხვედრების ადგილი, მაგრამ კონკრეტულ საათებზე. არ უნდოდათ, ქუჩაში დავეტოვებინე, ამიტომ ჩემთვის ღამის გასათევი ადგილის ძებნა დაიწყეს. ვკითხე, სტუდენტს თუ იცნობდნენ, გვარად შავიშვილს. ეს გვარი ცოტას ჰქონდა გაგებული, მაგრამ ვანოს ყველა იცნობდა. თუმცა მისი მისამართი არ იცოდნენ. თავდაპირველად კარლ ვოგის ქუჩაზე ცხოვრობდა, თავისთან მასპინძლობდა რევოლუციის ლიდერებს, მათ შორის, ლენინსაც (ეს უკანასკნელი ჟენევაში ჩამოსვლისას, სანამ ბინას იქირავებდა, სამი კვირა ცხოვრობდა ვანოსთან და იატაკზე ეძინა). მსგავს ამბებს მიყვებოდნენ, მაგრამ ეს არაფერში მეხმარებოდა, შუაღამე ახლოვდებოდა.

უეცრად მაღალმა კაცმა გამოიარა, გრძელი შავი წვერით. სტუდენტებმა შეაჩერეს:

– ვანოს ხომ იცნობ, ხომ არ იცი, სად ცხოვრობს ახლა?

– რა თქმა უნდა. დათიკო შარაშიძესთან ერთად ცხოვრობს.

– დათიკო? ის ხომ ჩვენი ბავშვობის მეგობარია.

– მაშინ ეს ახალგაზრდა კაცი მასთან წაიყვანე. მისი ძმაა, აქ ღამის გასათევიც კი არ აქვს.

– ვანოს ძმა? – ამ სიტყვებით გადამეხვია. – აბა რა, აბა რა, ვიცნობ ვანოს! ბაქოში ერთად ვმუშაობდით, აქაც ხშირად ვხვდებით ერთმანეთს. წარმოსადეგი ყმაწვილია, შეუპოვარი, კარგი ამხანაგი, ოქროს გული აქვს!

– ამის მოსმენა ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ ძალიან მინდა მისი ნახვა!

ვანო დათიკოსთან ერთად ცხოვრობს კლუზის ბულვარის 45 ნომერში, მაგრამ ახლა გვიანია. შესასვლელი კარი დაკეტილი იქნება. ამასთან, დარწმუნებული ვარ, ისინი ჯერ არ დაბრუნებულან. სასტუმრო-პანსიონში წაგიყვან, ხვალ კი ძმასთან მიგიყვან.

პანსიონის წინ გავჩერდით, ჩემმა კომპანიონმა არ ისურვა ზარის დარეკვა, რათა მძინარე სტუმრები არ გაეღვიძებინა, ამიტომ ქუჩიდან დაუძახა მეპატრონეს ისეთ ხმაზე, რომ მთელმა უბანმა გააპროტესტა შექმნილი ხმაური. რუსი ემიგრანტი წყვილი გამოვიდა და დიდი ენთუზიაზმით მიგვიღეს.

წვეროსანმა დამტოვა და დამპირდა, რომ დილით მომაკითხავდა. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დაღლილი ვიყავი და დასვენება მჭირდებოდა, მთელი ღამე ვერ დავიძინე, ციებ-ცხელების მდგომარეობაში ვიყავი. დილა უსაშველოდ გაიწელა. ჩემი მასპინძლები ცდილობდნენ, მოლოდინი შეემსუბუქებინათ. ჩემი წვეროსანი ნაცნობი შუადღეზე მოვიდა. ისეთი ამბები მოიტანა, რომ მასთან საუბარში ორი საათი შეუმჩნევლად გავიდა. მაინტერესებდა, ვინ იყო „თავადი ამილახვარი“, ან ჩემმა ძმამ თუ მიიღო ჩემი გამოგზავნილი ბარათები ომსკიდან და აიდკიუნენიდან. ჩემმა თანამოსაუბრემ მოყოლა დაიწყო:

– მე არხანგელსკში ვიყავი გადასახლებაში. შარშან, ზაფხულის ბოლოს ჩამოვედი ჟენევაში. ორი თვის შემდეგ ვანოს შემთხვევით შევხვდი ქუჩაში. იცი, მითხრა მან, მე შავიშვილი არ ვარ, თავადი ამილახვარი ვარ. ბათუმიდან იყო წამოსული და საბერძნეთის გავლით შვეიცარიაში ჩამოვიდა. ბაქოდან გამოქცევისას საზღვარზე ფარულად გადასვლა ჰქონდა დაგეგმილი, მაგრამ ბათუმში პოლიცია ძალიან მკაცრი იყო და ისიც იძულებული გახდა სამი კვირის განმავლობაში ბათუმში დამალულიყო. სწორედ იმ დროს, როდესაც იმედი გადაეწურა, ტფილისის გუბერნატორის მიერ დამოწმებული რეგულარული პასპორტი მიუტანეს, ამილახვრის სახელზე. იცი, ვინ მოაგვარა პასპორტის საკითხი? ახალგაზრდა გიმნაზიელმა, ტასიკო ყორღანაშვილმა, რომელიც ქუთაისში ქ-ნი ფანცხავას გვერდით იყო, მორცხვად. როგორც ჩანს, დიდი სიმპათია ჰქონდა შენ მიმართ, ამიტომ მთელი ორგანიზაცია ფეხზე დააყენა, რათა ციხიდან გაეთავისულებინე. შენი უცხოეთში გაყვანისთვის პასპორტი უკვე მზად ჰქონდა, როდესაც ტფილისიდან გადაყვანის ბრძანება შეგეხო. ტასიკომ შეიტყო, რომ ვანო შენი ძმა იყო, შენ შესახებ არავინ არაფერი იცოდა, ამიტომ მან პასპორტი ვანოს გადასცა. თუმცა, ამ გაზაფხულზე ვანომ თავისი გვარი დაიბრუნა, რათა ჟენევის უნივერსიტეტში უფრო მარტივად ჩაწე-

რილიყო. შენი პირველი ბარათი მიიღო, თუმცა მეორე ბარათთან გართულებები შეიქმნა.

ამ ამბებმა ახალგაზრდა გოგონას შესახებ ინტერესი გამიღვივა, თუმცა ჩემმა თანამოსაუბრემ მის შესახებ სხვა არაფერი იცოდა.

დაბოლოს, დადგა ძმასთან შეხვედრის წუთიც. კლუზის ბულვარის 45 ნომერში მივედით, საბავშვო ბაღის მხრიდან გავჩერდით. ჩემმა წვეროსანმა ამხანაგმა ხან ვანოს დაუძახა, ხან – დათიკოს. არავინ გააგონა. მესამე სართულზე ავედით. მეპატრონემ კარი გაგვიხსნა და დაგვტოვა.

ოთახი ფართო და გრძელი იყო. ჩემს ძმას ფანჯარასთან მიედგა მაგიდა, იჯდა და თავდახრილი წერდა, არაფერი გაუგია. მივუახლოვდი... დამინახა, ფეხზე წამოხტა, წამოიყვირა:

– ხარიტონ, ახლა მივიღე შენი წერილი ბერლინიდან და პასუხს გწერდი!

– ჩემკენ გამოიქცა და ძლიერად გადამეხვია.

ხარიტონ შავიშვილი

რუსი რევოლუციონერები ჟენევაში

1908 წელი[1]

(ფრანგულიდან თარგმნა თამარ ხეტაშვილმა)

[1] ფრანგული ენიდან თარგმანი შესრულებულია შემდეგი გამოცემის მიხედვით: Khariton Chavichvily, Révolutionnaires russes à Genève en 1908. ჟენევა, Poésie Vivante, 1974.

სარჩევი

წინათქმა 279

თავი I 282

პირველი დღეები ჟენევაში – მიმოხილვა 282

მოვლენებით დატვირთული მოგზაურობა 282

ჟენევაში ჩასვლა 284

გადასახლებაში ძმას ვპოულობ 285

მეგობრული საღამო 286

პლეხანოვთან სტუმრობა 289

თავი II 291

პლეხანოვი 291

გენიალური თეორეტიკოსი და ბრწყინვალე ორატორი 291

წიგნებისა და ფოტოების გარემოცვაში 292

პლეხანოვი და ქართველი სოციალისტები 294

დიდი ბელადის ღირსებები და შეცდომები 296

თავი III 298

მარტოვი 298

მენშევიკების საგაზეთო ორგანოს რედაქციაში 299

ჟენევის ემიგრანტთა შეჯიბრი ორატორობაში 300

მარტოვი – მომხიბლავი და გატანჯული საზოგადო მოღვაწე 303

აბსურდული და სახიფათო გეგმა 304

თავი IV 308

ლენინი 308

როგორ მიმიწვიეს ლენინის სანახავად 309

შეხვედრა კაფე ლანდელოტში 310

მცირე აზნაურობიდან გამოსული
რევოლუციის ბელადი 311

რუსული უბრალოებისა და აზიური სიჯიუტის ნაზავი 313

სავალალოდ დასრულებული
მეგობრული საუბარი 314

ამხანაგი სერგეის შეშფოთება 316

შემთხვევით ვესწრები პარტიის საიდუმლო კრებას 317

თავი V 319

გაცხოველებული დებატები მუშათა
სოციალ-დემოკრატიული
პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, ჟენევა 1908 319

მარტოვმა ექსპროპრიაციის საკითხი წამოჭრა 321

ლენინის მანევრები და დივერსია 323

პლეხანოვის პოზიცია 323

მარტოვის საბრალდებო აქტი 324

ლენინის კონტრ-შეტევა 325

რამიშვილის გამოსვლა 326

მასების დისციპლინის შესანიშნავი შემთხვევა 328

ლენინისგან მოტყუებული მენშევიკები 329

ქართველი რევოლუციონერის საინტერესო სახე 333

ჟენევაში ნანახი სხვა მეგობრები 338

დასკვნა 341

წინათქმა

მოცემული ნაშრომი რუს რევოლუციონერ თავკაცებთან საუბრების მოგონებებს გადმოგვცემს, ამასთანავე ორ რევოლუციას შორის არსებული პერიოდის ერთადერთი მოწმობაცაა: ერთი ეს ესაა კრახით დასრულებულიყო (1905) და მეორეს ტრიუმფი ელოდა (1917). რუსეთის ისტორიაში სწორედ ყველაზე შავ-ბნელ ეპოქას (1908 წელს) მოგვითხრობს, როდესაც რეაქციამ კულმინაციას მიაღწია ცნობილი სტოლიპინის მიერ შექმნილი სამხედრო სასამართლოს გამო, რომელმაც ასი ათასობით ადამიანს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა.

რუსული რევოლუციური მოძრაობის აღმასვლისას (1905) მასებს რუსი მენშევიკები მეთაურობდნენ, ბოლშევიკებსაც იგივე პოზიცია ეკავათ და რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის (რ.ს.დ.მ.პ.) ერთიანობაც შენარჩუნებული იყო. 1905 წელს, რევოლუციის კრახით დასრულების შემდეგ, მარტოვის მეთაურობით მენშევიკებს შორის უიმედობამ იჩინა თავი, ხოლო, ბოლშევიკები თავიანთი ბელადის, ლენინის, სიმტკიცის წყალობით, არ დანებდნენ. დამარცხებამ გავლენა ვერ მოახდინა ლენინზე, რომელმაც პირვანდელი სიმამაცე შეინარჩუნა და მთელი ძალები მიზნისკენ მიმართა. ამ დროს კი მენშევიკები მარცხის მიზეზების უნაყოფო ძიებას ეძლეოდნენ, რაც ბოლშევიკებს საერთოდ არ აღელვებდათ (სიმართლე რომ ვთქვათ, არც აინტერესებდათ).

ლენინისა და მარტოვის განსხვავებულმა ტემპერამენტმა და შეხედულებებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს რ.ს.დ.მ.პ.-ის ორ მიმართულებად დაყოფაში, რომელთა გზები ხან გაიყრებოდა და ხან იკვეთებოდა. რექაციის პერიოდში უკვე არსებული განხეთქილება განსაკუთრებული სიმძაფრით გაცხადდა, უფრო გართულდა და გამწვავდა. რუსეთში პარტიის ყველა მიწისქვეშა ორგანიზაცია განადგურდა კავკასიის რეგიონალური ცენტრალური კომიტეტის გარდა. პარტიის წევრებით სავსე იყო ციხეები და გადასახლების ადგილები, ამ დროს საზღვარგარეთ ემიგრანტები თავ-თავიანთი, ორი, ოპოზიციური ბელადის გარშემო გაერთიანდნენ, რომლებიც ზოგჯერ ცალ-ცალკე გამაგრებული ბანაკების შთაბეჭდილებას

ტოვებდნენ. ასეთი გახლდათ 1908 წელს თეთრი ტერორით[1] გამოწვეული უკანდახევის შედეგები.

პლეხანოვი ორივე მიმდინარეობასთან უფრო ზომიერ, ოფიციალურ, კავშირს ინარჩუნებდა. მენშევიკებმა თავიანთი პარტიული გაზეთის „სოციალ-დემოკრატის ხმის“ პირველ გვერდზე, ბოლშევიკებისთვის ძლიერი დარტყმის მისაყენებლად, პლეხანოვის ფილოსოფიური სტატიები გამოაქვეყნეს სათაურით „პასუხი ბატონ ბოგდანოვს[2]“. გრძნობდნენ, პლეხანოვი არ დაახანებდა – უმალ „პარტიის ლიკვიდატორებად“ გამოაცხადებდა. ეს იყო პასუხი ბოგდანოვის „ღია წერილზე“, რომელშიც პლეხანოვს ხშირად წამოსროლილი სარკასტული სიტყვების გამო – „მახიზმი მარქსიზმი არ არისო“- ახსნა-განმარტებას სთხოვდა. სურდათ ამით ლენინი მახისა და ავენარიუსის ფილოსოფიის პროპაგანდისტი ახლო კოლეგების, ბოგდანოვისა და ლუნაჩარსკის, პოზიციას დაპირისპირებოდა. თავის დროზე მარქსისტმა პლეხანოვმა ეს ფილოსოფია უარყო. თავის მხრივ ლენინი პლეხანოვს „მენშევიკების მფარველ ანგელოზს“ უწოდებდა.

ორ ცეცხლშუა აღმოჩენილი პლეხანოვი მენშევიკებს ჩამოშორდა და ლენინიც კმაყოფილი დარჩა. ლენინს რაც შეეხება, პლეხანოვის საინტერესო და დამაჯერებელი სტატიების გავლენით დაწერა ბოგდანოვისა და ლუნაჩარსკის წინააღმდეგ მიმართული ფილოსოფიური ნაშრომი: „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“. ნაშრომის გამოქვეყნებდამე პლეხანოვმა შეიტყო, რომ ზოგიერთს ლენინი პირველი კლასის ფილოსოფოსად მიაჩნდა და ამ სიახლეს კალამბურით შეხვდა: „ლენინს არასდროს უმოგზაურია პირველი კლასითო!“

ასეთი იყო იმ დროს რუს ემიგრანტთა წრეში შექმნილი გარემო.

[1] „თეთრი ტერორი“ გულისხმობს მასობრივ ძალადობას და რეპრესიებს იმპერიული ხელისუფლებების, მემარჯვენე ექსტრემისტების, რელიგიური ჯგუფებისა და თავადზნაურობის მიერ. სწორედ „თეთრ ტერორს“ უწოდებს შავიშვილი რომანოვების რუსეთში წამოწყებულ რეპრესიებს. საპირისპირო ცნებაა „წითელი ტერორი“, რომლის ფარგლებშიც კომუნისტები და მემარცხენე ექსტრემისტები ძალადობენ მათგან განსხვავებულ ჯგუფებზე და ინდივიდებზე. (რედ.)

[2] ალექსანდრ ბოგდანოვი(1873-1928) – რუსი საბჭოთა ფიზიკოსი, ფილოსოფოსი, პოლიტიკის თეორეტიკოსი, სამეცნიერო ფანტასტიკის მწერალი და რევოლუციონერი. 1917 წლის ოქტომბრის შემდეგ დაარსებდა არტისტული მოძრაობა „პროლეტკულტი“, რომლის გარშემოც გაერთიანდნენ კომუნისტური მრწამსის ხელოვანები. (რედ.)

მოცემული ნაშრომი გვთავაზობს ავტორის დოკუმენტურ ინტერვიუებს ერთობ გამორჩეულ რევოლუციონერ ბელადებთან, ასევე, რ.ს.დ.მ.პ.-ის შინაგანი ცხოვრების მოწმობებს, გვიყვება რა მისი ცენტრალური კომიტეტის მნიშვნელოვან სხდომაზე; პარტიის თავმჯდომარეებს შორის მოსაზრებებისა და განწყობების გამოთქმისას გამართულ პაექრობებზე, რამაც ისეთი მოვლენები გამოიწვია, რომლებმაც ყოველგვარ ადამიანურ მოლოდინს გადააჭარბეს.

მეორე მხრივ, მწვავე პრობლემებთან ერთად მონათხრობში საინტერესო დეტალებს ვხვდებით, განსაკუთრებით იმ ნაწილში, სადაც მოყოლილია ავტორის შეხვედრა იმ ეპოქის შესანიშნავ მოღვაწეებთან: რამიშვილთან, ზალევსკისთან ან ტრიად წოდებულ ვლასა მგელაძესთან.

ხარიტონ შავიშვილი

ვენა, 1915 წ.

თავი I

პირველი დღეები ჟენევაში – მიმოხილვა

მომდევნო სტრიქონების სიცხადისთვის აუცილებელია მოკლედ შეგახსენოთ გარემოებები, რომლებმაც 1908 წელს ციმბირიდან სასწრაფოდ გაქცევა მაიძულეს.

მოვლენებით დატვირთული მოგზაურობა

1906 წლის იანვარს ქუთაისში დამაკავეს. იატაკქვეშეთში ვმუშაობდი, რა თქმა უნდა ვინაობის დამადასტურებელი საბუთი არ მქონდა. ჩემი უმცროსი ძმის, იერემიას, სახელი დავირქვი. ძმას გურიის სახლი არასდროს დაუტოვებია და მასზე ეჭვსაც ვერავინ მიიტანდა, რომ 1905 წელს მომხდარ ბათუმის, ქუთაისისა და ჭიათურის რევოლუციურ მოვლენებში იყო გარეული. დაკითხვებიც ამ ვერსიას ამტკიცებდა. ჩემ წინააღმდეგ არსებული არასრული საბრალდებო დასკვნების გამო, იძულებული გახდნენ გავენთავისუფლებინე. ცარისტულმა მთავრობამ რამდენიმე თვე ქუთაისის ციხეში მაინც გამაჩერა; მოულოდნელად ჯერ თბილისში, მეტეხში, შემდეგ, ქალაქგარეთ მდებარე ციხეებში გადამიყვანეს, ბოლოს ადმინისტრაციული ზომები მიიღეს და ციმბირში გადამასახლეს. მაინც ვერ დაადგინეს რამდენი ხანი უნდა გამეტარებინა გადასახლებაში (ჩვეულებისამებრ სამი წელი გრძლედებოდა ხოლმე), რაც იმას ნიშნავდა, რომ საქმე კლასიფიცირებული არ იყო.

1908 წლის შემოდგომაზე, ადვოკატებმა, ფაღავამ და გელიაზაროვმა, ქუთაისიდან ტობოლსკში ცალ-ცალკე წერილებით მაცნობეს, რომ გამოძიება თავიდან დაუწყიათ და სანკტ-პეტერბურგი დაუყოვნებლივ გასცემდა ჩემი დაკავებისა და ქუთაისის ციხეში გადაყვანის ბრძანებას. ამგვარად, ხსნა მხოლოდ ციხიდან დაუყოვნებლივ გაქცევას შეეძლო.

დასავლეთისკენ წასვლა ცენტრალურ რუსეთზე გავლით გადავწყვიტე. სასოწარკვეთილი მეგობრები გეგმას სიგიჟედ და გარდაუვალ საფრთხედ თვლიდნენ; უფრო ახლო და ნაკლებ სახიფათო, ჩინეთის საზღვრის გავლას მირჩევდნენ. პოლიციის თანამშრომე-

ლმა (მოპარული) ოფიციალური სამოგზაურო საშვი მიშოვა და მოსკოვის უნივერსიტეტის ყოფილმა სტუდენტმა, სახელად ალექსეევმა, რომელიც გუბერნატორის ხელმოწერას კარგად იცნობდა, „გენერალ-გუბერნატორის“ ქვეშ განდატის სახელით მოაწერა ხელი. ეს ისე მარჯვედ გააკეთა, რომ ყალბს ნამდვილისგან ვერ გაარჩევდით. მიუხედავად ყველაფრისა, გადავწყვიტე დოკუმენტი არ გამომეყენებინა – გზაში თუ დამიჭერდნენ, ნებისმიერ შემთხვევაში დავიღუპებოდი, ყალბი საბუთი კი, მხოლოდ ჩემს ღირსებას შეურაცხყოფდა და საქმეს დამიმძიმებდა. ამგვარად, დაჭერის შემთხვევაში დაუყოვნებლივ გავანადგურებდი.

ორი თვის განმავლობაში ტობოლსკში, ომსკში, სამარაში, მოსკოვში, ვერჟბოლოვოში, ეიდგუნენში, კიონიგსბერგში, ბერლინში, ბალსა და ლოზანაში მოგზაურობისას თავსგადახდენილი მრავალი პერიპეტიისა და თავგადასავლის მოყოლას აღარ შევუდგები. ლოზანაში ამხანაგ ლიახავეტსკის[1] შევხვდი (მაისკი -საბჭოთა კავშირის მომავალი ელჩი ლონდონში), ექვსი თვით ადრე ტობოლსკში გავიცანი. გადასახლებულს, სწავლის დასასრულებლად, საზღვარგარეთ წასვლის უფლება მისცეს და ახლა ლოზანაში იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა. ლიახავეტსკის გულთბილმა მიღებამ დიდად მანუგეშა, განსაკუთრებით იმ „მომწამლავი უნდობლობის“ შემდეგ, რაც კიონიგსბერგში და ბერლინში მაცხოვრებელი რუსი ამხანაგებისგან ვიგრძენი. ვფირობდი, ალბათ ეჭვმიტანილი ვეგონე-მეთქი. მოგვიანებით შევიტყვე, რომ ჩემთან კონტაქტისთვის თავი გერმანული პოლიციის შიშით აურიდებიათ, რომელიც ეჭვმიტანილებს ცარისტულ პოლიციას გადასცემდა. მიუხედავად ამისა, სწორედ ჩემი გამგზავრებისას, გამოსამშვიდობებლად სადგურზე ყველა მოვიდა!

ლიახავეტსკს უნდოდა თავისთან დავეტოვებინე; რადგან ვუთხარი – ჟენევისკენ მივიჩქაროდი, უხიში ჩამიყვანა, ბილეთი მიყიდა, დამშვიდობებისას იმედი გამოთქვა, რომ უახლოეს მომავალში შევხვდებოდით. (მოგვიანებით, ჩემს სანახავად მართლაც ჩამოვიდა ჟენევაში).

---

[1] ივან მაისკი(1884-1975) – რუსი პოლიტიკოსი, დიპლომატი და ისტორიკოსი. საბჭოთა კავშირის ელჩი გაერთიანებულ სამეფოში (1932-1943). მაისკი ადრეულ წლებში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მენშევიკურ ფრთას უჭერდა მხარს, მოგვიანებით კი ბოლშევიზმისკენ გადაიხარა. (რედ.)

ჟენევაში ჩასვლა

სამწუხაროდ, გემს თითქმის სამი საათი დასჭირდა ჟენევაში ჩასასვლელად. ნაპირზე გადმოსვლისთანავე პლენპალეს უბნისკენ გავემართე. ბერლინში მოცემულ მისამართზე – ცენტრის ქუჩის 2 ნომერში – ვერავის მივაგენი. შუაღამეს გადაცილებული იყო, ვშიშობდი – ქუჩაში დარჩენა მომიწევდა. ამ დროს პონ დ'არვის ბულვარიდან პლენპალეს ტაძრისკენ მიმავალ რუს სტუდენტებს გადავეყარე და ვკითხე – შავიშვილის საცხოვრებელს ხომ ვერ მიმასწავლიდნენ. შავიშვილს არავინ იცნობდა. სწორედ ამ დროს, ჯგუფიდან გრძელი, შავწვერებიანი კაცი გამოვიდა და დაიძახა:

– „აიოლო, ვინმე შავიშვილს იცნობ?"
– „რა თქმა უნდა! ბაქოში ერთად ვმუშაობდით. ვანოა." – გაისმა პასუხად.

ვანოს კი ყველა ცნობდა. აიოლო[1] გულთბილად გადამეხვია. ჩემი ძმის საცხოვრებელი კი იცოდა, მაგრამ რადგან ძალიან გვიანი იყო, ამიტომ ცენტრის ქუჩაზე, 2 ნომერში მდებარე საცხოვრებელი სახლის მეოთხე სართულზე, რუსულ პანსიონში მიმიყვანა. ღამის გასათევად დამაბინავა, თან მითხრა, რომ შუადღისას მოვიდოდა და ჩემს ძმასთან წამიყვანდა. დაღლილობის მიუხედავად, რა თქმა უნდა, წამითაც ვერ დავიძინე.

დილა უსაშველოდ გრძელი მეჩვენა. შუადღისკენ აიოლო მოვიდა. მომდევნო ორმა საათმა, ძმასთან შეხვედრის პირველ წუთებს რომ მაშორებდა, სწრაფად გაირბინა აიოლოს ამაღელვებელი ნაამბობის მოსმენაში: გადასახლებულს თეთრი ზღვისკენ აუღია გეზი. „ჟენევაში გასულ წელს ჩამოვედი, ორი თვის შემდეგ ქუჩაში მოულოდნელად ვანოს შევხვდი. გამაფრთხილა – შავიშვილი კი არა თავადი ამილახვარი ვარო".

ბაქოდან გაქცეული ვანო ბათუმში ჩასულა, ქალაქს კარგად იცნობდა და იქიდან უცხოეთში ჩუმად გადასვლას იმედოვნებდა, მაგრამ უმკაცრესი კონტროლის გამო საზღვრის გადაკვეთაზე ხელი აუღია. ამ დროს, ციდან მოვლენილი სასწაულივით გამოჩნდა ხსნა და საზღვარგართ გასამგზავრებელი პასპორტი გადაუციათ, რომლის წყალობითაც ვანო „თავადი ამილახვარი" ხდებოდა. პასპორტზე თბილისის გუბერნატორის ხელმოწერა იყო.

„წარმოგიდგენია, ეს პასპორტი შენთვის გაუკეთებიათ ქუთაისის ციხიდან გასაქცევად. ამ ყველაფრის მოწყობას გიმნაზიის

---

[1] იგულისხმება გიორგი აიოლო, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენელი ჩეხოსლოვაკიაში (რედ.)

სტუდენტი, ტასიკო კორგანოვა, აპირებდა ქალბატონი ფანცხავას დახმარებით! მაგრამ თბილისის მეტეხის ციხეში შენი ნაუცბათევი გადაყვანის შემდეგ, ჩანაფიქრი ვეღარ განახორციელეს“. (მართლაც მივიღე ასეთი შემოთავაზება – გზის ნაპირა საკანში უნდა დავრჩენილიყავი, ქალბატონი ფანცხავას სახლიდან გვირაბს გათხრიდნენ და წასაყვანად მომაკითხავდნენ).

გადასახლებაში ძმას ვპოულობ

დათიკო შარაშიძე (1885-1935). *საქართველოს გამოჩენილი სოციალ-დემოკრატი ჟურნალისტი*

14:00 საათისკენ, გეგმის თანახმად, აიოლომ ჩემი ძმის სანახავად, კლუზის ბულვარის N45-ში წამიყვანა დათიკო შარაშიძესთან, რომელიც მეოთხე სართულის ოთახში ცხოვრობდა. მეპატრონემ კარზე დააკაკუნა და დათიკო დერეფანში გამოვიდა. ჩემი დანახვისას ძალიან აღელდა, გულთბილად მიმიღო, მაგრამ ოთახში არ შემიშვა. გამიკვირდა, ჩემი ძმა თუ მართლა მასთან იყო, დერეფანში რატომ მაჩერებდა? როგორც ამიხსნა ვანოს გახარება უნდოდა – „ეს ესაა ბერლინში შენი მისამართი მიიღო და სწორედ ახლა გწერსო. ოთახში მარტო შედი, იფიქრებს მე მივბრუნდი, წერაში გართული სანამ არ დაასრულებს ვერ შეგამჩნევსო“.

თვითონ კარს უკან დარჩა და ოთახში მიბიძგა. ვანო მართლაც ფანჯარასთან მდგომ მაგიდას მიჯდომოდა და გამალებით წერდა, ჩემი იქ ყოფნა არც უგუმანია. წერა რომ დაამთავარა, შემობრუნდა, დათიკოსთვის უნდოდა ეკითხა მისამართი თუ სწორედ იყო გერმანულად დაწერილი (დათიკომ კარგად იცოდა გერმანული). ზურგსუკან საკმაოდ დიდხანს ვედექი!

ჩემი უფროსი ძმის ნახვით ისე ავღელდი, სხვას ვეღარაფერს ვგრძნობდი და ვხედავდი. აღარ ვიცოდი ჩვენი ბავშვობის მეგობარი, დათიკოც, თუ ჩვენთან ერთად იყო ოთახში, არც ის მახსო-

ვდა ერთმანეთს თუ მივესალმეთ, ძმასავით თუ გადამეხვია. დათიკო ვანოზე ორი წლით უმცროსი და ჩემზე ერთი წლით უფროსია, ამიტომ თანატოლებს გვჩვეოდა შინაურულად ერთხმაში საუბარი. ვანოსავით გამალებით დამაყარა კითხვები საერთო, ერთდროულად ასე შორეულ და ახლობელ მოგონებებზე. მოსაუბრეების ცნობისწადილის დაკმაყოფილებას ვცდილობდი, მათსავით ემოციური ვიყავი.

თავიდან, სანამ საერთო მოგონებებს ვიხსენებდით, მხოლოდ მშობლიურ ენაზე, ქართულად, ვსაუბრობდით. თუმცა, როგორც კი კერძო რისკებისა და საფრთხეების, იმ პოლიტიკური საკითხებისა და მოვლენების განხილვას შევუდექით, რომლებშიც თითოეული ვიყავით გარეული, ენაზე მხოლოდ რუსული სიტყვები და ფრაზები გვადგებოდა. ხშირად რუსულად გამოვთქვამდით მოსაზრებას, განსაკუთრებით მაშინ, თუ საუბარი 1905 წლის რუსული რევოლუციის კრახის შემდეგდროინდელ ზოგად ვითარებას ეხებოდა.

მახსოვს, ჩემი მოსაუბრეები ზოგჯერ სიტყვას წყვეტდნენ და ერთმანეთს გადახედავდენ, თითქოს ერთმანეთს ეკითხებოდნენ: „ხარიტონი ასევე კარგად წერს რუსულად, როგორც საუბრობსო?“ ვაკვირდებოდი ასეთ ხანმოკლე პაუზებს. ალბათ ახსნა-განმარტების მოსმენის იმედი ჰქონდათ. თუმცა, რაკი ჩემი თავშეკავებული ბუნების ამბავი იცოდნენ, საუბარს გატაცებით აგრძელებდნენ. დრო და დრო ვანო ჩუმად, შეშფოთებით შემავლებდა თვალს, თითქოს ვერ დაეჯერებინა, რომ მე, მისი ძმა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში დაკარგული ეგონათ, მართლა იქ ვიყავი. საუბარში ისე გავერთეთ, გვიან საღამომდე ოთახიდან ფეხი არ მოგვიცვლია, ხან დათიკოსა და ხან ვანოს შენიშვნის მიუხედავად, რომ ალბათ სულის მოთქმა და დასვენება მჭირდებოდა.

მეგობრული საღამო

ასე გავაგრძელებდით უსასრულოდ, ხმაური რომ არ გაგვეგონა და მოულოდნელად კარი არ შემოეღოთ. ჩია ტანის ახალგაზრდა ქალი დაუკაკუნებლად შემოვიდა, უკან მომღიმარი, ზორბა კაცი მოჰყვებოდა. დათიკოს ჰკითხა „რამე თუ აჭამეთ ამხანაგ ხარიტონსო?“ საიდან იცოდა ჩემი ჩამოსვლის ამბავი? წამიერი, საყოველთაო გაოცების შემდეგ დათიკომ უპასუხა: „ექვსი თვეა რაც ერთ შენობაში ვცხოვრობთ, დღეში რამდენჯერმე ვხვდებით ერთმანეთს და არასდროს გინებებიათ ჩემთვის „ამხანაგო“თი ან სახელით მომართვა. ეს კი ახლახანს ჩამოვიდა და არც კი იცნობთ! ესეც არ

იყოს, ხარიტონს ციმბირიდან ფული არ ჩამოუტანია და საჭმელიც არაფერი გვაქვს“. შემდეგ, ახალგაზრდა ქალის თანმხლები ბუმბერაზი გამაცნო: „ ამხანაგი სერგეი – ვლადიმერ ილიჩის (ლენინის) მდივანი – და სერგეის მეუღლე“.

მელოტი და წითური ამხანაგი, ქვეშქვეშა მზერით, დაახლოებით 40 წლისა იქნებოდა. ასაკობრივი სხვაობის გარდა ჩემს მეგობართან თვალშისაცემ კონტრასტს ქმნიდა – დათიკო 23 წლის გახლდათ, საშუალო ტანისა, შავგვრემანი, შავი თვალებითა და თბილი მზერით. სერგეიც ქვემოქირავნე იყო და მეზობელ ოთახში ცხოვრობდა. მეუღლესთან ერთად ევახშმა და 11 საათისკენ დაბრუნდა შინ, გზად ამხანაგ ლენინთან შეუვლია ინსტრუქციების მისაღებად. პატარა, ლამაზი, შავგვრემანი, ერთობ თავაზიანი თანამგზავრი ჰყავდა.

დათიკოსა და სერგეის მეზობლობა ძალიან მოსახერხებელი აღმოჩნდა.

სინამდვილეში, 1907 წელს ლონდონში გამართულმა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ყრილობამ (რ.ს.დ.მ.პ.) კომისიას სხდომის სრული პროტოკოლის ერთ ტომში გაერთიანება დაავალა. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ძირითადად მენშევიკი და ბოლშევიკი მეთაურების წარმოთქმული სიტყვების მოწესრიგება იყო საჭირო. მრავალი მოხსენება ერთმანეთში არეულიყო, ამიტომ ლენინმა სერგეის ბოლშევიკების გამოსვლების დაწყობა დაავალა, ხოლო დათიკო მენშევიკების გამოსვლებით დაკავდა. ამგვარად, ორივეს ხშირად სჭირდებოდა ერთმანეთის რჩევა.

დათიკომ ხუმრობით მიახვედრა ქალბატონი სერგეი, რომ საჭმელი არაფერი გვქონდა, ამ უკანასკნელმა კი მომხიბლავი ღიმილით შეუძახა: „ბოროტო, ბეღურებს საკენკად ზღაპრებს არ უყრიან“ (რუსული გამოთქმა). ეს თქვა და გულმოწყალედ თავისთან მიგვიწვია. სერგეიმ ხელკავი გამომდო, ჩემი ძმა და დათიკო უკან გამოგვყვნენ. პატარა ოთახი ეჭირათ. ერთი მაგიდა წიგნებითა და ჟურნალებით გაევსოთ, მეორეს, შედარებით მომცროს, ჩაის დასალევად და წასახემსებლად იყენებდნენ. ამ მაგიდასთან სამი კაცი ძლივს მოვთავსდით, ქალბატონმა სერგეიმ კარადიდან რამდენიმე კვერცხი გამოიღო, უცბად ერბოკვერცხი შეწვა და პურის ნაჭერთან ერთად შემოგვთავაზა.

მაშინ დათიკომ ჩვენი მასპინძლის ხუმრობით გაჯავრება დაიწყო: “ამ საზეიმო ვახშამს ხარიტონს უნდა ვუმადლოდეთ, რომ არ ჩამოსულიყო, კარგად იცი, ტანია შიმშილით მოგვკლავდაო“. სანამ

მეუღლე კისკისით პასუხობდა ამ სახუმარო სიტყვებს, სერგეი უსიტყვოდ, დაღვრემილი იჯდა. შემდეგ დათიკოსთან საქმეზე საუბარს შეუდგა – სირთულეებზე, რომლებსაც სიტყვების გაშიფვრისას აწყდებოდნენ. დათიკო ძირითადად გაურკვეველ ნაწერსა და აქსელროდის[1] აზრის ბუნდოვანებას ჩიოდა. სერგეი იგივეს უწუნებდა როზა ლუქსემბურგს[2], თან მის გამგზავრებას სწუხდა, რადგან კონგრესზე სპეციალურად ლენინის მხარდასაჭერად მისულა: „გარდა ამისა, თავის გამოსვლებს უგულოდ მოეკიდა და პლეხანოვის მწარე შენიშვნების გამო, ყრილობა დახურვამდე დატოვაო“.

მსგავსი მოსაზრებები მენშევიკების თავკაცის, მარტოვის, სიტყვაზეც გამოთქვეს. სამაგიეროდ, ორივე ერთხმად ასხამდა ხოტბას ლენინისა და პლეხანოვის ბრწყინვალე გამოსვლებს. ეს უკანასკნელი, ბოლშევიკებთან მძვინვარე პოლემიკის მიუხედავად, მაინც ორივე პარტიის იდეურ ლიდერად იყო მიჩნეული, როგორც რუსული მარქსიზმის დამფუძნებელი და საერთაშორისო სოციალიზმის აღიარებული თეორეტიკოსი.

ვანო მოუთმენლობას ამჟღავნდებდა, უნდოდა ჩემი ჩამოსვლის ამბავი ყველასთვის ეცნობებინა და ჩემი ბედით დაინტერესებულ ყველა ამხანაგს პირადად გავეცნე, განსაკუთრებით კი გიორგი ვალენტინოვიჩს (პლეხანოვს). მაშინ სერგეის უსანდომო სახეზე ირონიული ღიმილი გამოისახა – “რისთვის უნდა გააცნოთ ხარიტონი იმ ოლიმპიელს, რომელიც მხოლოდ საკუთარ აზრებს ითვალისწინებს? უკეთ გაგიგებდით თუ ილიჩს[3] წარუდგენდით, რომელიც კმაყოფილი დაგრჩებოდათ.“

„კმაყოფილი? უხეშად შეაწყვეტინა ჩემმა ძმამ, კი, მაგრამ ლენინმა საერთოდ არ იცის რა ხდება! არც ის იცის, რომ ხარიტონი დაკარგული ეგონათ, არც ის, რომ იპოვეს და ელოდნენ. გიორგი ვალენტინოვიჩი კი ჩვენს დარდს იზიარებდა. სწორედ მან დააგზავნინა თავის მდივანს, პანტელეის, პარტიის ყველა ორგანიზაციასთან ცირკულარი ხარიტონის პოვნისა და მისთვის დახმარების აღმოჩენის მოწოდებით. სამი კვირის წინ, როგორც კი გერმანიის საზღვარზე ხარიტონის ყოფნა შეატყობინეს, მაშინვე სამგზავრო ფული გააგზავნა ეიდგუნენში. ძალიან დამწუხრებული გახლდათ თანხამ ადრესატამდე რომ ვერ ჩააღწია და უკან დააბრუნეს.

---

[1] პაველ აქსელროდი (1850-1928) – რუსი მარქსისტი რევოლუციონერი, რუსი მარქსისტი, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკების) ერთ-ერთი გამოკვეთილი ლიდერი. (რედ.)

[2] როზა ლუქსემბურგი(1871-1919) – პოლონური წარმოშობის გერმანელი რევოლუციონერი, სოციალისტი და მოაზოვნე. (რედ.)

[3] იგულისხმება ვლადიმერ ლენინი. (რედ.)

„სცდებით, ამხანაგო ვანო!“ – მჭახედ შეჰყვირა მისმა თანამოსაუბრემ, რომელიც ღიმილს კი ინარჩუნებდა, მაგრამ ჩამქრალი თვალებიდან უკვე ნაპერწკლებს ყრიდა. „ილიჩმა იმაზე მეტი იცის, ვიდრე გგონიათ. ყველაფრის საქმის კურსშია. ამ დილით, როცა თავად თქვენ და თქვენმა გიორგი ვალენტინოვიჩმაც კი არაფერი უწყოდით, უკვე იცოდა ამხანაგი ხარიტონის ჩამოსვლის ამბავი“.

აქამდე სასიამოვნო საუბრის ჩხუბში გადაზრდის შემეშინდა და სერგეის, რომელიც ცოტაც და შეურაცხყოფაზე გადავიდოდა, სიტყვა შევაწყვეტინე; ჩემი ძმის აგრესიაც მაშფოთებდა. ამიტომ, დაღლილობისა და გვიანი საათის გათვალისწინება ვთხოვე. მასპინძელმა ქალბატონმაც კვერი დამიკრა – სწორედ იგივეს თქმა მინდოდაო. ამაზე თავყრილობა დავასრულეთ, მთელი ფინჯანი ჩაის დალევის შემდეგ, წყვილს დავემშვიდობეთ.

ღამის სამი საათი იქნებოდა, ოთახში დაბრუნებულებმა ოთხი საათის წინ, სერგეისა და მისი ცოლის მოსვლით შეწყვეტილი საუბარი რომ გავაგრძელეთ. შემდეგ დამდეგი დღის განრიგი შევადგინეთ: პირველ რიგში, პლეხანოვი უნდა მოგველნახულებინა; მენშევიკების ორგანოს, სოციალ-დემოკრატის ხმის რედაქცია და ადმინისტრაცია; ასევე, პარტიის გენერალურ მდივანს, პანტელეის უნდა ვწვეოდით, რომლის ნახვას ჩამოსვლის დღიდან ვაპირებდი, მაგრამ ვერ მივაგენი – მითითებულ მისამართზე არ ცხოვრობდა და მხოლოდ მოდღევებულზე მიდიოდა ხოლმე ადგილზე.

პლეხანოვთან სტუმრობა

პლეხანოვმა როგორც კი ჩემი ჩამოსვლა შეიტყო, მაშინვე შეხვედრა დამინიშნა. ნაშუადღევის სამ საათზე ჩემმა ძმამ შეხვედრაზე წამიყვანა. კადოლის ქუჩის ექვს ნომერში, პირველ სართულზე, კარი მედდის ფორმაში გამოწყობილმა ქალმა გაგვიღო, სიტყვის უთქმელად ხალხით სავსე დარბაზში შეგვიძღვა. ამდენი ხალხი სწორედ პლეხანოვის მეუღლის, სახელგანთქმული ექიმის, როზალია მარკოვნას[4] პაციენტი იყო. საკუთარ მეუღლეს, რომელიც უკვე რამდენიმე წელი ავადმყოფობდა, განსაკუთრებული რეჟიმი დაუწესა. ყველაფერი მისი რეცეპტის მიხედვით იყო განწესებული: საჭმლის მენიუ და საათები, სამუშაო საათებისა და დასვენების ხანგრძლივობა, ვიზიტები და ა. შ. ქმრის უამრავ კორესპონდენციას კითხულობდა, მის მაგივრად პასუხობდა ტელეფონს. ძალიან კულტურული, განათლებული, ენერგიული და ერთობ დახვეწილი ქალბატონი გახლდათ.

[4] როზალია ბოგრადი (1856-1949) – გიორგი პლეხანოვის მეუღლე. (რედ.)

ჩემს ძმას ვუთხარი, თუ გავითვალისწინებთ ჩვენამდე რამდენი ადამიანი მოვიდა მის სანახავად, შეიძლება მეტრმა ვერც მიგვიღოს-მეთქი.

მეც ასე ვფიქრობო, მომიგო, ახლა გიორგი ვალენტოვიჩის სამუშაო საათებია და არა – მიღების. როზალია მარკოვნამ შენი წარდგენა უდაოდ შენი ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობის გამოსაკვლევად მთხოვა. ესე იგი ჩვენი ჯერი მხოლოდ მაშინ მოვა, როცა...

სწორედ ამ დროს კარი გაიღო, ექიმის პერანგში გამოწყობილი, საშუალო ტანის, ამაყი ქალბატონი გამოჩნდა. შეკრებილ საზოგადოებას სწრაფად მოავლო თვალი. ჩემი ძმა შენიშნა და დაუძახა: „ტოვარიშ ვანო, პოჟალუიტე ვ მოი კაბინეტ“ (ამხანაგო ვანო, ჩემს კაბინეტში შემობრძანდითო). კაბინეტში შეგვიძღვა, თან დიდი კმაყოფილება გამოთქვა მოგზაურობის კეთილად დასრულებისთვის, „რომელიც ამდენ სანერვიულოს უჩენდა ყველა ამხანაგსა და განსაკუთრებით მის ქმარს“. ჩვენი ვარაუდი არ გამართლდა, წინ წაგვიძღვა და გვითხრა – “გიორგის გაგაცნობთ, ძალიან კმაყოფილი იქნება თქვენი ნახვით, გელოდებათო.“ მერე ვანოს მიუბრუნდა და დაბალ ხმაზე გადაულაპარაკა: „შემდეგ ჩემთან შემოდით, ციხიდან ასეთი შფოთიანი გაქცევის შემდეგ მინდა გამოვიკვლიო და გავიგო ყველაფერი წესრიგში თუ აქვსო“.

თავისივე დადგენილი განრიგის დაარღვითა და დაუყოვნებლივ პლეხანოვთან ჩვენი წარდგენით განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინა. ჩვეულებისამებრ ასეთმა თავშეკავებულმა მისმა მეუღლემ მშვენივრად მიგვიღო, დაუყოვნებლივ მუშაობა შეწყვიტა, რასაც იშვიათად აკეთებდა; მდივანი, ამხანაგი ბაბინი, რომელსაც თავისი ერთ-ერთი მთავარი ნაშრომიდან, *„სოციალური აზრის ისტორია რუსეთში“*, პასაჟს კარნახობდა, მოსაცდელში დაითხოვა.

თავი II

პლეხანოვი

საშუალო ტანის, ზორბა არ ეთქმოდა, მაგრამ ბრგე კაცი იყო. ასაკთან ერთად ოდნავ გაღიავებული, შევერცხლილი თმით გარშემოვლებული სახე ლამაზ იერს აძლევდა. შავ ულვაშსა და ესპანურ წვერს ატარებდა. ფართო, დაძარღვული შუბლი აზრის დაძაბულ მუშაობასა და კონცენტრაციაზე მეტყველებდა. ფოსოებში ღრმად ჩამჯდარი შავი, გამჭრიახი თვალები კი უჩვეულო გონიერებაზე მოწმობდა.

გენიალური თეორეტიკოსი და ბრწყინვალე ორატორი

51 წლის პლეხანოვი ამ დროს დიდების ზენიტში იყო, ზურგს 30 წლიანი ნაყოფიერი მოღვაწეობა უმაგრებდა. – ახალგაზრდობაში იატაკქვეშა ტერორისტულ ორგანიზციას „ნაროდნაია ვოლიას“[1] (ხალხის ნება) მეთაურობდა, ამიტომ იძულებული გახდა ქვეყნიდან გადახვეწილიყო. გამოცდილება ორგანიზაციის ბრძოლის მეთოდების, მისი პოპულისტური დოქტრინისა და რუსეთში გაბატონებული აღმოსავლური დოქტრინების ზედმიწევნით შესწავლისთვის გამოიყენა. სასტიკად გააკრიტიკა ბაკუნიზმი (ანარქიზმი) და რუსული „სლავოფილური“ ავტოქტონიზმის საწინააღმდეგოდ გულანთებული „ზაპადნიკი“ (ოქსიდენტალისტი) გახდა. 25 წლის ასაკში უკვე დაწერილი ჰქონდა თავისი ცნობილი ნაშრომი „სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა“, შესანიშნავი თეორეტიკოსის სახელი მოიხვეჭა, რასაც 1883-1885 წლებში ჟენევაში დაწერილი უფრო მნიშვნელოვანი ნაშრომი „ჩვენი უთანხმოებები“ მოჰყვა. ქვეყნისთვის ახალი ენის შენარჩუნება შესძლო და გა-

[1] ხალხის ნება-(რუს. Нарóдная вóля) – რუსული ხალხოსნურ-რევოლუციური მოძრაობა, რომელიც დაარსდა 1879 წელს. მოძრაობის წევრები საკუთარ თავს ახასიათებდნენ როგორც აგრარულ სოციალისტებს, მემარცხენე ტერორისტებსა და რევოლუციურ სოციალისტებს. მათ სახელს უკავშირდება ბრძოლა XIX ს-ის II ნახევრის რეფორმების წინააღმდეგ და ტერორისტული აქტები ალექსანდრე II-ის მისამართით. (რედ.)

ვლენა მოახდინა ჟურნალისტების, მწერლებისა და ხელოვანთა მთელს ელიტაზე.

პიოტრ აქსელროდთან, ვერა ზასულიჩსა[1] და დოიჩთან[2] ერთად, 1883 წელს, ჟენევაში დაფუძნებული „შრომის განთავისუფლების ჯგუფი“ რუსეთში ფარულად ავრცელებდა მის ნაწერებს, იქვე მოახერხეს სხვადასხვა ფსევდონიმით მისი თეორიული ნაშრომების გამოქვეყნება. მთელს ევროპაში აფასებდნენ ისეთი სამეცნიერო ნაშრომების გამო, როგორებიცაა *„ესსე მატერიალიზმის ისტორიაზე, ისტორიის მონისტური კონცეფციის განვითარებასა და ისტორიაში ინდივიდის როლზე“*,[3] რომელიც ლენინმა, პლეხანოვთან ყველაზე მწვავე პოლემიკისას უყოყმანოდ შეაფასა, როგორც „მთელი ინტერნაციონალის ლიტერატურის საუკეთესო ნაშრომი“.

პლეხანოვმა, როგორც თავისი სტილით, ასევე აზრის სიღრმითა და სიმდიდრით, თანამემამულე მწერლებზე, ფილოსოფოსებზე, სოციოლოგებზე, პოლიტიკოსებსა და ხელოვნების კრიტიკოსებზე უკეთ გაუთქვა სახელი რუსულ ლიტერატურას. პირველი რანგის ორატორმა 1889 წლის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესის გახსნაზე წარმოთქვა წინასწარმეტყველური სიტყვა, რომლითაც დიდი ხნის განმავლობაში ხელმძღვანელობდნენ რუსეთში მიმდინარე მოვლენების შეფასებისას. ამ სიტყვაში აღნიშნავდა, რომ „რუსეთში რევოლუცია მუშათა მოძრაობის სახით გაიმარჯვებსო“. მეორე მხრივ, საკმაოდ გენობამახვილი მოსაუბრე გახლდათ, რომელიც ერთდროულად გასწავლიდათ და გართობდათ, მწარე იუმორით იჭერდა ყველა პრობლემის არსს.

წიგნებისა და ფოტოების გარემოცვაში

უბრალოდ მოწყობილი სამუშაო ოთახი მდიდარი ბიბლიოთეკით, რამდენიმე ნახატითა და მრავალი სურათით იყო შემკული. ფოტოებს შორის, მარქსისა და ენგელსის პორტრეტების გვერდით, შენიშნავდით ინტერნაციონალ სოციალისტთა ბიუროდან

---

[1] ვერა ზასულიჩი(1849-1919) – რუსი სოციალისტი, რევოლუციონერი და აქტივისტი. (რედ.)

[2] ლევ დოიჩი(1855-1941) – რუსი მარქსისტი მოაზროვნე და ერთ-ერთი წამყვანი სოციალისტი რუსეთის იმპერიაში (რედ.)

[3] საფრანგეთში ჟულ გეზდეს მოთხოვნით დაწერა ცნობლი **ანარქიზმი და სოციალიზმი;** გერმანიაში ლიბკნეხტისა და კაუცკის თხოვნით ჩაერთო სამეცნიერო დებატებში.

ევროპელი კოლეგების – ავგუსტ ბებელის, ვილჰელმ ლიბკნეხტის, ჟიულ გედეს[4], ჟან ჟორესის, კეირ ჰარდის[5], ემილ ვანდერველდეს[6], ვიქტორ ადლერის[7] – სურათებს. ყოველ ფოტოზე მიძღვნა იყო წარწერილი. შემდეგ მოდიოდა საუკეთესო რუსი ავტორების, პოეტების, მწერლებისა და დიდ ხელოვანთა სუართები, რომელთა შორის ერთგული თაყვანისმცემლების, ნემიროვიჩ-დანჩენკო[8] და სტანისლავსკის[9], ფოტოებიც კი იყო, რადგან მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდათ ყველა ბანაკის ინტელექტუალებზე.

პლეხანოვმა შენიშნა, მზერა იმ დროს ძალიან მოდაში მყოფ, გენიალური რუსი მომღერლის, შალიაპინის, ფოტოზე შევაჩერე, რომელიც გაბრწყინებული სახით სწრაფად ჩამოხსნა კედლიდან და ახლოდან მაჩვენა. სურათზე შემდეგი მიძღვნა ამოვიკითხე: „გიორგი ვალენტინოვიჩ პლეხანოვს ღრმა თაყვანისცემის ნიშნად. ფიოდორ შალიაპინი“. ფოტო შალიაპინმა პირადად მოუტანა 1905 წელს და საპასუხო პატივიც სთხოვა. სამწუხაროდ, ერთი წლის შემედეგ, ეს სურათი სანკტ-პეტერბურგში ფოსტით დაბრუნდა, როგორც კი აღშფოთებულმა პლეხანოვმა შეიტყო შალიაპინს ნიკოლოზ II -ის წინაშე დაჩოქილს შეუსრულებია რუსეთის ჰიმნი „ღმერთო დაიფარე ცარი“. სურათზე წაეწერათ: „დაუბრუნდა ბატონ შალიაპინს, ნიშნად მისი შემდეგი შენახვის უსარგებლობისა“. გიორგი პლეხანოვი შეიძლება ასე არც მოქცეულიყო შალიაპინს ცარის კომპლიმენტზე რომ არ ეპასუხა : „თქვენო უდიდებულესობავ, ჩემი მეგობარი გორკი (საზღვარგარეთ გადასახლებაში მყოფი) ახლა აქ რომ იყოს, ასევე მოიქცეოდაო“.

---

4 ჟიულ გედე(1845-1922) – ფრანგი სოციალისტი და ჟურნალისტი, ერთ-ერთი წამყვანი ფრანგი მარქსისტი (რედ.)

5 კეირ ჰარდი(1856-1915) – შვედი იუნიონისტი და პოლიტიკოსი, ლეიბორისტული პარტიის დამაარსებელი და მისი საპარლამენტო ლიდერი 1906-1908 წწ-ში. (რედ.)

6 ემილ ვანდერველდე(1866-1938) – ბელგიელი სოციალისტი, ბელგიის ლეიბორისტული პარტიისა და საერთაშორისო სოციალიზმის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა. (რედ.)

7 ვიქტორ ადლერი(1852-1918) – ავსტრიელი პოლიტიკოსი, მუშათა მოძრაობების ლიდერი და ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის დამაარსებელი. (რედ.)

8 ვლადიმირ ნემიროვიჩ-დანჩენკო(1858-1943) – რუსი ხელოვანი, რუსული და საბჭოთა თეატრის რეჟისორი, პედაგოგი, დრამატურგი, მწერალი და მოაზროვნე.(რედ.)

9 კონსტანტინ სტანისლავსკი(1863-1938) – რუსი ხელოვანი, რუსული და საბჭოთა თეატრის მოღვაწე. (რედ.)

პლეხანოვი და ქართველი სოციალისტები

დაუვიწყარი შეხვედრის დასასრულს პლეხანოვი გამომემშვიდობა და კიდევ ერთხელ მომილოცა შავი რეაქციისგან თავდახწევა, რაც ამ ბოლო თვეების განმავლობაში სულ უფრო და უფრო იშვიათად ხდებოდა.

რისთვის უნდა მიმეწერა ეს განსაკუთრებული პატივი? პლეხანოვთან ჩემი ძმის კარგმა ურთიერთობამ უდავოდ გარკვეული როლი ითამაშა, ისევე, როგორც ციმბირიდან გამოქცევით გამოწვეულმა აურზაურმა, რომელიც წინ უძღოდა ჟენევაში ჩამოსვლას: ეგონათ გზაში დავიკარგე და მარტვილად გამომაცხადეს. თუმცა, პლეხანოვის დადებით დამოკიდებულებაზე უფრო ზოგად და მაღალფარდოვან მოსაზრებებსაც უნდა ჰქონოდათ გავლენა.

კერძოდ, 1905 წელს რუსეთის რევოლუციამ კრახი განიცადა. ამ ისტორიული დრამის ცუდად მომზადებულმა მსახიობებმა ვერ შეძლეს საზოგადოების მოხიბვლა, რომელიც აპლოდისმენტებით მათი მხარდაჭერის ნაცვლად, პირველი მეხის გავარდნას აღარ დაელოდა და აქეთ-იქით მიმოიფანტა. ზოგი იძულებული გახდა გადასახლებულიყო, სხვები ან ციხეებში ჩაყარეს ან სიკვდილით დასაჯეს. რუსეთში რევოლუციის დამარცხების შემდეგ პარტიის ყველა ორგანიზაცია სასტიკი რეაქციის ტალღაში დაინთქა. ნოეს კიდობანი კავკასიონის კლდეებზე გაჩერდა, იმ დროიდან მოყოლებული ეს უკანასკნელი ყოველგვარი პოლიტიკური მიმდინარეობის – ბოლშევიკების, მენშევიკების, ანარქისტების, ფედერალისტებისა და სოციალ-ფედერალისტების – სურვილის საგნად უნდა ქცეულიყო. რ.ს.დ.მ.პ.-სთან დაკავშირებული ორგანიზაციებიდან ერთადერთი ქართული სოციალ-დემოკრტია გადარჩა – გაჩაღებული რეაქციის წინააღმდეგ სანამ თავგამოდებით იბრძოდა, ნებისმიერი დახმარებაზე უარს ეუბნებოდნენ და სანაცვლოდ პარტიიდან გარიცხვით ემუქრებოდნენ.

ყველაფრის მიუხედავად, ქართულმა სოციალ-დემოკრატიამ უთანასწორო ბრძოლას გაუძლო. რუსი ამხანაგების დახმარებაც კი მოახერხა და 1906 წელს, იმპერიის დუმას მაღალი ტრიბუნიდან პოლიტიკური თავისუფლებისა და სოციალური სამართლიანობის „სახარების“ საქადაგოდ სანკტ-პეტერბურგში ნოე ჟორდანიას, ივანე გომართელისა და ისიდორე რამიშვილისგან შემდგარი ძლიერი გუნდი გააგზავნა. პირველმა რამიშვილმა გააგებინა მსოფლიოს რუსი სოციალისტის ხმა, რომელიც ღიად უპირისპირდე-

ბოდა ცარისტული ხელისუფლების მიერ მოწყობილ „პროგრომებს“ (ებრაელთა ჟლეტას), ღიად აცნობა პარტიის პროგრამა, რომელიც მოითხოვდა დესპოტური რეჟიმის დამხობას და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებას; ამოცანა დიდი სიმამაცითა და მჭერმეტყველებით შეასრულა.

ბოლშევიკების მსგავსად არც რუსი მენშევიკები ეთანხმებოდნენ ამ ინიციატივას. მეთაურები ქართველ ამხანაგებს „პარტიის დისციპლინის დარღვევაში“ ადანაშაულებდნენ, ამიტომ I დუმის არჩევნებში მონაწილეობაზე ბოიკოტი გამოაცხადეს. რამდენიმე თვის შემდეგ, აზრი შეიცვალეს, შეცდომა აღიარეს და II დუმის არჩვენებში მონაწილეობის სასარგებლო რეზოლუცია მიიღეს (I დუმა, რომელშიც ათი სოციალ-დემოკრატიც არ შედიოდა, დროთა განმავლობაში დაიშალა). თუმცა, 63 დეპუტატში ერთი მსოფლიო დონის მეთაური ვერ იპოვეს. 1907 წელს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას ისე ბრწყინვალედ მართავდნენ ქართველები, წერეთელი და ჯაფარიძე, რომ მათი მწვავე გამოსვლების შემდეგ, თავის მხრივ II დუმა დაიშალა, მათ კი, იძულებითი შრომა მიუსაჯეს.

ასევე II დუმის არჩევნებში – რუსი ბოლშევიკებიდან და მენშევიკებიდან ერთმაც ვერ მოახერხა ღირსებებით გამორჩეული ერთი კაცის არჩევა. საარჩევნო კანონის – „1907 წლის 3 ივნისის სახელმწიფო გადატრიალება“ – კავკასიის საზიანოდ შეცვლის მიუხედავად, მაინც ქართველები აირჩიეს – ჭელიძე და გეგეჭკორი, რომლებიც სანკტ-პეტერბურგში თავისუფლებისა და დემოკრატიისთვის კვლავ მამაცურად და თავდადებით იბრძოდნენ. 1908 წელს, რუსეთის ისტორიაში ყველზე ბნელი და რთული ეპოქა იდგა, ყოველდღე ქვეყნდებოდა იმპერიის თითოეულ ქალაქში დაარსებული სამხედრო სასამართლოს გადაწყვეტილებით ჩამოხრჩობილ პირთა გრძელი სიები.

რუსი ბოლშევიკებისა და მენშევიკებისგან განსხვავებით პლეხანოვი, რომელიც თანაბრად მენშევიკიც იყო და ბოლშევიკიც, ყოველთვის ეთანხმებოდა კავკასიური სოციალ-დემოკრატიის ინიციატივებს. ხშირად მენშევიკების მხარეს იხრებოდა და მათი მეთაური ხდებოდა, რადგან ეჭვი ეპარებოდა ბოლშევიკების მისწრაფებებში. თვლიდა, რომ თავიანთი პოპულიზმით, 30 წლის წინ დასამარებული ავტოქტონიზმის გაცოცხლება შეეძლოთ. პლეხანოვისთვის რუსი მენშევიკები უფრო მოკავშირეები იყვნენ, ვიდრე სხვა რამ. სამაგიეროდ, ერთნაირი იდეები და მისწრაფებები ჰქონდათ მასა და მტკიცედ ორგანიზებულ ქართველ სო-

ციალ-დემოკრატებს, რომელთაც საქმის გამკეთებელი ხალხი ჰყავდათ.

ბოლოს, 1909 წლიდან 1914 წლამდე, პირველი მსოფლიო ომის გარიჟრაჟზე პლეხანოვთან გავერთიანდით და თავად პარტიის არსებობის საკითხთან დაკავშირებით რუს მენშევიკებს დავუპირისპირდით, რომელთაც პარტიის იატაკქვეშა აპარატის ლიკვიდაცია უნდოდათ.

დიდი ბელადის ღირსებები და შეცდომები

ფართო ერუდიცია, პუბლიცისტისა და ორატორის ნიჭი, უკვდავი ნაშრომებით საერთაშორისო პროლეტარიატისთვის გაწეული სამსახური, ერთი სიტყვით, ყველა სხვა სოციალისტ ლიდერთან შედარებით განუზომელი უპირატესობა, პლეხანოვს იმ პარტიის ორივე ბანაკის უპირობო ბელადად ადგენდა, რომლის სულის ჩამდგმელიც თავად იყო. ორივე მხარე გულში ჩუმად ინახავდა „რუსული მარქსიზმის ბრწყინვალე დამაარსებელისა“ და დიდი თეორეტიკოსის მისაკუთრების იმედს. წესით, პლეხანოვს უდავო ლიდერობისთვის საკმარისზე მეტი ღირსებები და ნება გააჩნდა. თუმცა, ბელადი სწორედ იმიტომ არ იყო, რომ გამორჩეულ ოქსიდენტალისტს არსებითად ორიენტალისტურ პოლიტიკასა და სოციალურ ფენომენებთან ჰქონდა საქმე. მრავალი ეროვნებისგან შემდგარმა უზარმაზარმა ცარისტულმა იმპერიამ დესპოტიზმის სეკულარული რეჟიმით ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალისტური ცხოვრების განსაკუთრებული პირობები შექმნა, რომლებმაც თავის მხრივ სპეციფიური მენტალიტეტი წარმოშვეს.

21 წლის ასაკში პლეხანოვი იძულებული გახდა ქვეყანა დაეტოვებინა. ემიგრაციაში განმარტოებულმა ვერ შესძლო პოლიტიკური ლიდერის თვისებების მომწიფება. მასები ვერასდროს ხედავდნენ და უშუალო შეხება არასდროს ჰქონიათ, ყოველთვის უცხოდ რჩებოდა. დიდი ხნის წინ გარდაცვლილი მარქსივით და ენგელსივით მხოლოდ მისი სახელი ესმოდათ. მეთაურისთვის საჭირო მოქნილობა აკლდა, რომელიც მხოლოდ თანამებრძოლთა სადარდებელსა და მისწრაფებებზე ყოველდღიური ზრუნვით შეიძლება შეიძინონ; მოქნილობა, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში არასასიამოვნო საქმესაც დააძლევინებდა და ხალხისგან მიღებულ სიყვარულში დაათმენინებდა გარკვეულ უპატივისცემლობას. ჯანმრთელი რომ ყოფილიყო, თავისი გონიერებითა და უჩვეულო უნარებით, არახელსაყრელი ვითარებების მიუხედავად, უთუოდ

დაძლევდა ყველა დასახელებულ სიძნელეს, შეინარჩუნებდა პარტიის ერთიანობას, შეძლებდა ვითარების მართვას. მაგრამ 1905 წლიდან მოყოლებული მძიმედ ავადმყოფობდა, რის გამოც, რევოლუციის დროს რუსეთში ვერ დაბრუნდა.

რუსული რეალობისგან მოწყვეტილი პლეხანოვი ვერ შეძლებდა მომრიგებელ-მოსამართლის როლის თამაშს. მაშასადამე, ვერ შეძლებდა გაყოფილი პარტიის კვლავ გაერთიანებას. ამ უკანასკნელს მხოლოდ ერთი ორგანიზატორი და საქმის გამკეთებელი კაცი ჰყავდა – ლენინი. ლენინი კი პარტიის ორიდან ერთ მიმდინარეობას უნდა ჩასდგომოდა სათავეში და ამით წონასწორობა დაერღვია.

თავი III

მარტოვი

ერთმანეთს დავემშვიდობეთ, თუმცა პლეხანოვმა უკვე განხილული საკითხების შესახებ თავისი მოსაზრებების დასაზუსტებლად და ახალ თემებზე სასაუბროდ ცოტა ხნით შეგვაყოვნა. ჩემი ძმისთვის მიცემული პირობა მოაგონდა – თავისი ბოლო ნაშრომი „მარქსიზმის ფუნდამენტური საკითხები“ უნდა ეჩუქებინა. ნაშრომი ახლახან გამოეცათ სანკტ-პეტერბურგში; უჯრიდან ამოიღო, ზედ მიძღვნაც წაეწერა, და ვანოს გადასცა. სწორედ ამ დროს პასუხად მესროლა თავისი ცნობილი კალამბური კითხვაზე თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა ლენინთან, რომელიც მოგვიანებით ჩემმა ძმამ გაავრცელა მთელს რუსულ წრეში: “ჩამოსვლისთანავე ლენინმა თავის გაშემო სივრცე შექმნა“, რუსულად წარმოთქმულ ამ ფრაზას მრავალი მნიშვნელობა ჰქონდა, ამავდროულად ლენინს ახასიათებდა, როგორც გენიალურ ორგანიზატორს, რომელიც არასდროს კარგავს დროს. მეუღლის კაბინეტამდე მიგვაცილა, ჩემს შესახებ რამდენიმე კეთილი სიტყვა უთხრა, შემდეგ დაგვტოვა და მუშაობა გააგრძელა.

როზალია მარკოვნამ ზედმიწევნით გამომიკვლია. ზოგადი დაღლილობა და მოჭარბებული ნერვოზულობა დამიდგინა. ჩემს ძმას უთხრა, რომ საფრთხე დაუყოვნებლივ არ მემუქრებოდა, თუმცა მდგომარეობა საკმაოდ სერიოზული იყო პრევენციული ზომების მისაღებად. წამლები, დასვენება და კარგი კვება გამომიწერა, თან დასძინა, ერთი კვირის შემდეგ მივსულიყავი. რამდენჯერმე დავბრუნდი – მოსალოდნელი გაუმჯობესება არ დასტურდებოდა. მუდამ კეთილგანწყობილი ზრუნვას არ მაკლებდა, წამლებსა და სხვა და სხვა ძალის აღმდგენებს მაძლევდა, თუმცა უშედეგოდ. აღელვებულმა თავის მეგობარსა და კოლეგას, იმ დროს ძალიან ცნობილ, პროფესორ ბარტს მიმართა. ერთად გამომიკვლიეს, საგანგაშო ვერაფერი აღმოაჩინეს და გაოცებულები იყვნენ საუკეთესო შედეგებს რომ ვერ მიაღწიეს. ბოლოს გადაწყვიტეს – აუცილებელი იყო ჰავის გამოცვლა და მთაში წასვლა მირჩიეს, რასაც როზალია მარკოვნა დაჟინებით მოითხოვდა. საქმის ფინანსური მხარეც კი

იკისრა. გადაწყვიტეს რამდენიმე ხნით დავოსში გავეგზავნე.

მკურნალობის წარუმატებლობას რამდენადმე სხვა მიზეზი ჰქონდა: ექიმის დანიშნულებას ვერ ვასრულებდი, განსაკუთრებით კვების საკითხში. როზალია მარკოვნა, რა თქმა უნდა, ამას ხვდებოდა და ცდილობდა ჩემს უზრუნველყოფას, რაც ზღვაში წვეთი იყო. ფაქტობრივად, ხშირად სამ კაცზე მეტი ვიყოფდით რაციონს. იმ დროს ჟენევის ქართულ ორგანიზაციაში სრული სიღატაკე სუფევდა – ასამდე ემიგრანტიდან და სტუდენტიდან მხოლოდ ხუთს შეეძლო დანაყრება მთელი საზაფხულო არდადეგების განმავლობაში. რაც მეტად ვფიქრობ, მით უფრო მიკვირს თუ რა ღირსეულად ითმენდნენ ამ სიღატაკეს. კარგად შემოსილები ჯგუფებად დადიოდნენ, მხიარულად მღეროდნენ და საუბრობდნენ. ამასთანავე გამოსცემდნენ ხელნაწერ იუმორისტულ ჟურნალს, „კუჭი“, რომელიც კარგი გასართობი იყო მტანჯველი შიმშილის დასავიწყებლად. რამდენადაც ვიცი ქურდობის ერთი შემთხვევაც არ უცნობებიათ. იდეალიზმის ეპოქა იყო, რომელიც აღარასდროს განმეორდება. ისიც გავითვალისწინოთ, რომ ცარიზმის დროს საერთაშორისო დაცვა საერთოდ არ არსებობდა, არც რამე დამხმარე ორგანიზაცია, და დევნილები მათი სამწუხარო ბედის ანაბრად იყვნენ მიტოვებულები. ვითარებიდან გამომდინარე პარტიას ემიგრანტებისთვის ძალიან მწირი ურთიერთდახმარების ფონდი ჰქონდა.

ციმბირიდან ჩამოსვლის შემდეგ ჟენევაში გატარებული სამი თვე მოვლენებით იმდენად მდიდარი იყო, რომ თუ გავბედავ და დეტალურ აღწერას შევუდგები – ტომეულები დაიწერება. მხოლოდ მნიშვნელოვანი მოვლენების გახსენებას დავჯერდები.

მენშევიკების საგაზეთო ორგანოს რედაქციაში

რამდენიმე უშედეგო ცდის შემდეგ, როგორც იქნა, ამხანაგი პანტელეი ვიპოვე. თავად მას მერე მეძებდა, რაც ჟენევაში ჩემი ყოფნის შესახებ შეიტყო. დიდი ინტერესითა და სითბოთი მიმიღო. საერთო საქმის დიდად ერთგული კაცი გახლდათ. მარჯვე, სასიამოვნო პირისახისა და საშუალო ტანის. გარემოებებზე საუბრის, მილოცვებისა და მადლობის შემდეგ, ერთმანეთს პირადი მოსაზრებები და ინფორმაცია გავუზიარეთ.

მოგვიანებით ჩემმა ძმამ მენშევიკების საგაზეთო ორგანოს, *სოციალ-დემოკრატის ხმის*, რედაქციაში წამიყვანა. აქ პირველ რიგ-

ში მენშევიკების თავკაცი და აღნიშნული გამოცემის მთავარი რედაქტორი, ამხანაგი მარტოვი, უნდა მენახა. შეხვედრის შესახებ ვანოს წინასწარ არ გაუფრთხილებია, როგორც ამხანაგ პანტელეის უთხრა – უნდოდა შეხვედრა მოულდნელი ყოფილიყო. მიზეზი ჩემთვის დღემდე უცნობია. თუმცა მარტოვი ამ დღეს რედაქციაში არ ყოფილა. ჩვეულებისამებრ, როგორც მისი არყოფნის დროს ხდებოდა, ადმინისტრატორმა, ამხანაგმა ორლოვსკიმ, და მისმა თანაშემწემ, ამხანაგმა მიხაილოვმა, მიგვიღეს. ამ უკანასკნელს სანკტ-პეტერბურგში ტროცკისთან ერთად ტუმენის ციხეში გადაყვანისას შევხვდი (1907 წლის დასაწყისში). „მუშა დეპუტატების საბჭოს“ სხვა წევრებთან ერთად სამუდამო გადასახლება მიუსაჯეს და ობდოსკისკენ მიჰყავდათ.

ჟენევის ემიგრანტთა შეჯიბრი ორატორობაში

ორლოვსკი, ნამდვილი სახელი – ვარლამ შავდია, ოდესის ქართველი სტუდენტი იყო. 1905 წელს, 23 წლის ასაკში, ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე გახდა. ციმბირში სამუდამო გადასახლება მიუსაჯეს და ყველა მოქალაქეობრივი უფლება ჩამოართვეს. ოდესის სტუდენტებს შორის ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა და არწივს ეძახდნენ, აქედან წამოვიდა მისი ფსევდონიმი „ორლოვსკი“. დანარჩენებივით კარგ დროს, 1907 წელს გაიქცა, როცა ზედამხედველობა ნაკლებად მკაცრი იყო და თეთრი ტერორი ჯერ არ აზვირთებულიყო.

ზორბა ტანი, ფართო შუბლი, გრძელი, შავი, მხედრული ულვაშები, არწივისებური გამჭოლი მზერა და ძლიერი ხმა ჰქონდა. ამ ყველაფერს სხარტი გონება ერთვოდა, მჭერმეტყველი და, გარდა ამისა, განსაკუთრებულად მომხიბვლელიც გახლდათ. მაშინ მხოლოდ 26 წლისა იქნებოდა, მაგრამ ყველა შეკრებასა და სხდომაზე, სადაც გამოჩნდებოდა, თავმჯდომარედ ირჩევდნენ. ჩემს ჩამოსვლამდე ორი თვით ადრე, ჟენევაში, სხვა და სხვა ფილოსოფიური კონცეფცციის მქონე სოციალისტების საჯარო დებატებს თავმჯდომარეობდა. მოგვიანებით ამ ცხარე ორატორულ შეჯიბრს „კორიდა“ დაარქვეს.

ჩემი იქ ყოფნის დროს, კიდევ ერთ, დიდი ისტორიული მნიშვნელობის მქონე, კრებას ხელმძღვანელობდა, რომელიც ქართველი მეცენატის, პეტრე ზუბალაშვილის, მიერ კარლ ვოგის ბულვარზე დაარსებულ და დაფინანსებულ ქართული ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში შედგა. რამდენიმე დღიან კრებას ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა – ჩვენს რიგებში არასდროს ყოფილა ერო-

ვნული საკითხის გარშემო ასეთი ღრმა დისკუსიები. ბოლშევიკები და მენშევიკები, ნაციონალისტები და ფედერალისტები, ანარქისტები და სოციალისტ-რევოლუციონერები, შერკინებაში ყველა მონაწილეობდა. სხდომა აკაკი ჩხენკელის მოსასმენად მოიწვიეს, რომელსაც ეს ესაა ბერლინში დაწყებული სწავლა ვენაში დაესრულებინა და პარიზსა და ლონდონშიც აპირებდა განათლების მიღებას. 1910 წელს საქართველოში დაბრუნდა, 1912-ში ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძესთან ერთად მეოთხე მოწვევის დუმის დეპუტატად აირჩიეს, იყო დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, ბოლოს – საფრანგეთში საქართველოს სრულუფლებიანი დესპანი.

აკაკი ჩხენკელი (1874-1959).

მეოთხე მოწვევის დუმის წევრი. დამოუკიდებელი საქართველოს (1918) საგარეო საქმეთა მინისტრი. საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი პარიზში 1920-1930 წწ.

ბიბლიოთეკის კედელზე ქართულენოვანი ცნობის გარდა, მოხსენებასთან დაკავშირებით ერთი განცხადებაც არ გაუსაჯაროებიათ. მიუხედავად ამისა, მთელმა რუსულმა წრემ იცოდა კრების ჩატარების შესახებ, რომელიც ცხოველ ინტერესს იწვევდა. მიზეზი?! სმენოდათ, თბილისის პრესაში ეროვნულ საკითხზე გამოქვეყნებული იმ მრავალი სტატიის ავტორის შესახებ, რომელზეც ხელი არ მიუწვდებოდათ. თუმცა, ამ გასაჭირს ვერ გაამხელდნენ. ჩხენკელის მიმართ მტრული განწყობის მიზეზიც ეს გახლდათ. მენშევიკებზე მეტად რუსი ბოლშევიკები ბრაზობდნენ. საკითხთან დაკავშირებით ბოლშევიკების მოსაზრება რამდენიმე სანდო ქართველმა კეთილსინდისიერად გვაუწყა, თუმცა ლენინმა მაინც საჭიროდ ჩათვალა მასზე ხუთი წლით უფროსი, ძველი ქართველი ბოლშევიკისთვის, მიხა ცხაკაიასთვის, დაევალებინა კრებაზე დასწრება, დებატებში მონაწილეობის მიღება და განცხადების გაკეთება.

ბუნებრივია ცხაკაიამ მწვავედ გააკრიტიკა ჩხენკელის მოსაზრება, შემოთავაზებული ეროვნული ავტონომია „ბურჟუაზიული იდეოლოგიიდან“ გამომდინარეობსო. მდივნის ტიპაჟი იყო, კატეგორიულად საუბრობდა. წვერიანს, ცოტა გაბურძგნულსაც კი, სქელი ლურჯი სათვალე ეკეთა, ორი გარე ჯიბე მუდამ ჟურნალებით ჰქონდა გაძეძგილი, შიდა ჯიბეებში კი წერილების ტევა არ იყო. მასხარას შთაბეჭდილებას ტოვებდა.

ყველაზე მგზნებარე მოხსენებათა შორის იყო ერთი ქართველის, ტანით მომცრო, ლამაზი ვარცხნილობის მქონე, მემარჯვენე სტუდენტის მოხსენება. მისი გრძელი განცხადებიდან შემდეგი დასკვნა გამომდინარეობდა: „თქვენი ეროვნული ავტონომია ერთობ სუსტი ნაგებობაა, რომელსაც ჩრდილოეთის ქარი ერთი დაქროლვით გააცამტვერებსო.“

1917 წელს, ტელეგრაფის მეშვეობით რუსეთის დროებითი მთავრობის უმაღლეს კომისართან, პროფესორ სვატიკოვთან, მიმიწვიეს პარიზში იმპერიის ელჩის პოლიტიკური დოკუმენტების შესამოწმებლად. (მაშინ ბერნში ვცხოვრობდი.) რუსეთის ელჩის არქივში, ცარისტული „ოხრანკის“ აგენტებს შორის, ამავე სტუდენტის, ვიქტორ ქავთარაძის, სახელი და გვარი აღმოვაჩინე.

ჩხენკელი საშუალო სიმაღლის, ჩაფსკვნილი კაცი გახლდათ. უკვე საკმაოდ გამელოტებული დიდი თავით, შავი პატარა ულვაშითა და წვერით შემკული, ჯერ კიდევ ახალგაზრდა იერსახის მიუხედავად, თავის ქართულ წარმომავლობას მხოლოდ თვალებით მოგაგონებდათ. საკუთარი თეზისის სამართლიანობაზე ღრმადსარწმუნო ენთუზიაზმით საუბრობდა, რაც განხილული საკითხის შესახებ მის დიდ ცოდნაზე მოწმობდა. მრავალრიცხოვანი ოპონენტებისთვის პასუხის გასაცემად წამომართული მეტოქის დასაგლეჯად ეშვებალესილ გარეულ ტახს ჰგავდა.

ამ გაცხოველებულმა, ზოგჯერ ბობოქარმა, კრებებმა ორლოვსკის ღირსებების დაფასების შესაძლებლობა მომცა. ჟენევის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის ბრწყინვალედ დასრულების შემდეგ ბერლინს შეაფარა თავი. 32 წლის ასაკში, ბერლინშივე რომ არ განეგმირა ნაადრევ სიკვდილს, უდაოდ მნიშვნელოვან როლს შეასრულებდა მრავალი უცხოელისა თუ ქართველის ცხოვრებაში.

მარტოვი – მომხიბლავი და გატანჯული საზოგადო მოღვაწე

იული ოსიპოვიჩ ცედენბაუმი, მარტოვი

სოციალ-დემოკრატის ხმის რედაქციის მონახულებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ორლოვსკიმ ჩემს ძმას უთხრა- იული ოსიპოვიჩს სინანული გამოუთქვამს ჩემი სტუმრობა რომ გამოტოვა და ესიამოვნებოდა თუ შემოთავაზებული სამი თარიღიდან ერთი მაინც აღმოჩნდებოდა ჩვენთვის ხელსაყრელი რედაქციაში მისაბრუნებლად. იული ოსიპოვიჩ ცედენბაუმი სხვა არავინ იყო თუ არა მარტოვი. ახალგაზრდა ქალზე, სახელად მართაზე, შეყვარებულმა, გულისწორის საპატივცემულოდ ფსევდონიმად მარტოვი დაირქვა.

შეხვედრა დავნიშნეთ. მარტოვმა დანიშნულ დღეს ერთობ თავაზიანად გვიმასპინძლა. ენამახვილი, ცოტა მელანქოლიური პიროვნება გახლდათ: შუქურასავით ხან აინთებოდა, ხანაც მიინავლებოდა. საშუალოზე მაღალი იყო, მარჯვენა მხარი ჩამოწეული ჰქონდა, პენსნეს მიღმა ჭკვიანი თვალები უბრწყინავდა. მზერიდან ჰუმანურობა გამოსჭვიოდა, მოუვლელი შავი წვერით სანდომიანი მოციქულის იერი ჰქონდა, თუმცა, მხოლოდ 35 წლისა გახლდათ, ლენინზე სამი წლით უფროსი. ამ უკანასკნელის მსგავსად მრავალი თვე გაატარა ციხესა და გადასახლებაში. ყველა ახალგაზრდა მარქსისტივით, განსაკუთრებით ლენინივით, მეტისმეტად მოეხიბლა პლეხანოვს – გადასახლების უკანასკნელი ადგილიდან გაქცევა მასთან მისამხრობად გადაწყვიტა. რაც მოახერხა და 1900 წელს, ლენინის დაბრუნების შემდეგ, ორივემ *ისკრის* (ნაპერწკლის) რედაქციაში, პლეხანოვთან დაიწყო თანამშრომლობა.

მარტოვის საუბარს ორიგინალობა არ აკლდა: ტანით რაც მეტად ირხეოდა, მით უკეთ ახერხებდა თავისი აზრის გამოთქმას

და ზოგჯერ მჭერმეტყველიც ხდებოდა. დასავლეთის მუშათა მოძრაობისა და პროლეტარიატის საქმისადმი განსაკუთრებული ერთგულებით გამოირჩეოდა. სათქმელს მოკლედ და ზუსტად გამოხატავდა და რ.ს.დ.მ.პ.-ის პარტიის ყველაზე მარჯვე ჟურნალისტი გახლდათ. სწორედ ამით გახდა მენშევიკების თავკაცი. თუმცა პარტიაში თავის შეხედულებებს ვერ გაამარჯვებინა, რადგან მხოლოდ რუს მუშათა ფსიქოლოგიის ცოდნა კი არ აკლდა, არამედ ორგანიზების შნოც, რომელიც პოლიტიკური ლიდერის თანდაყოლილი თვისებაა.

სხვადასხვა თემებზე საუბრის შემდეგ, პარტიის საკითხების, კერძოდ, ორ მიმდინარეობას შორის არსებულ აზრთა სხვადასხვაობას და რუსეთის პოლიტიკური ვითარების განხილვას შევუდექით. ზოგად საუბარში ორლოვსკი და ჩემი ძმაც მონაწილეობდნენ. თუმცა, გამიკვირდა, როცა მარტოვმა ორჯერ შეგვაწყვეტინა საუბარი და ცხადი მიზეზის გარეშე ჩემი ძმა გვერდით გაიყვანა. ვიფიქრე, გადაუდებელი და საიდუმლო საქმეები ჰქონდათ მოსაგვარებელი და რამდენჯერმე ქართულად გადავუჩურჩულე ვანოს – იქნებ სჯობს გავიდე-მეთქი. ორლოვსკიმ ყური მოჰკრა ნათქვამს და გადათარგმნა. მარტოვმა გააპროტესტა, დამარწმუნა – საიდუმლო საქმე არ ჰქონდა და, გარდა ამისა, ამხანაგ ვანოსთან განხილული საკითხი უმნიშვნელო იყო. ორლოვსკიმ კვერი დაუკრა და შეწყვეტილი საუბარი ლენინის მიმართ დამოკიდებულების განხილვიდან გავაგრძელეთ. მარტოვს მიაჩნდა, რომ ლენინისთვის რუსეთში არაფერი შეცვლილიყო და პარტიას რევოლუციამდელი (1905) ტაქტიკის გაგრძელებისკენ უბიძგებდა, ხოლო მარტოვისთვის იმდენად დიდი და სიღრმისეული ცვლილებები ხდებოდა, რომ პარტია აქამდე არჩეული გეზისგან სრულიად განსხვავებულ, ახალ გზას უნდა დასდგომოდა. ბოლოს დასძინა – ცენტრალური კომიტეტის მომავალ კრებამდე ლენინი იძულებული იქნება სამუდამოდ შეიცვალოს დამოკიდებულებაო.

აბსურდული და სახიფათო გეგმა

ხანგრძლივად ისაუბრა თავის მოსაზრებებზე, ყურადღებით მოვუსმინე, დავრწმუნდი – მარტოვის მიერ არჩეული გზაც ისეთივე მცდარი იყო, როგორც ლენინისა. თუმცა, სიტყვა არ დამცდენია. შეიძლება ჩემი დუმილი მტრობის ნიშნად მიიღო. რაც არ უნდა ყოფილიყო, ვიგრძენი – ჩემით მაინცადამაინც კმაყოფილი არ გახ-

ლდათ. მას მერე უშუალო კონტაქტი არასდროს გვქონია[1]. შეხვედრის დროს მომხდარი ინციდენტი თუმცა უმნიშვნელო იყო, მაინც საგონებელში ჩავვარდი. ვცდილობდი ამ გაუგებრობის ნამდვილი მიზეზების მიკვლევას, ბოლოს, როცა შევიტყვე რაც ხდებოდა, ჩემი შეცბუნება ერთობ ძლიერ შეშფოთებად გადაიქცა. მომდევნო კვირას ორლოვსკიმ, რომელიც სოციალ-დემოკრატის ხმის ადმინისტრატორი და ამავე გამომცემლობის შენობაში ჩატარებული მენშევიკების ყველა ყრილობის თავმჯდომარე გახლდათ – მაშასადამე კარგი თანამდებობა ეჭირა საიმისოდ, რომ მენშევიკთა თავკაცების ჩანაფიქრი სცოდნოდა – ზემოხსენებული პატარა ინციდენტი ამიხსნა. მაუწყა, რომ რუსეთში პარტიული ორგანიზაციების შექმნის მიზნით მარტოვი და დანი[2] ჩემს ძმასთან მოლაპარაკებებს აწარმობდნენ, პეტერბურგში წასვლზე დასაყოლიებლად.

მოცემულ მომენტში მოლაპარაკებები გადამწყვეტ ფაზაში შესულიყო. რუსეთში სასწრაფოდ უნდა დაეკავებინათ მტკიცე პოზიციები იმ ბოლშევიკების ლიკვიდაციისთვის, ვისთან ბრძოლაც უკვე სახიფათო სახეს იღებდა. „არაფერი გაგვაჩნია (ხალხსა და ორგანიზაციებს გულისხმობდა) და ამ არაფრით მათ წინააღმდეგ ვერ ვიბრძოლებთ“. იული ოსიპოვიჩი ყველაზე მეტად იმას შიშობდა, რომ „ბოლშევიკები ამ მხრივ წინ უსწრებდნენ და მენშევიკების ყველანაირი ძალისხმევა უშედეგო იქნებოდა.“

საუბარი შევაწყვეტინე და ვკითხე: „ბრწყინვალე ჩანაფიქრია, მაგრამ მართლა ფიქრობთ, რომ ჩემს ძმაზე არჩევანის შეჩერება ნამდვილად სწორია თუ გავითვალისწინებთ მის მკვეთრად გამო-

---

[1] მეორედ, 1910 წელს, ლოზანის კონფერენციაზე შევხვდით, სადაც შეხედულებები გავუზიარეთ ერთმანეთს. აშკარად მტრული დამოკიდებულება მქონდა „ლიკვიდატორების“ მიმართ, რომელთა წარმომადგენელიც იყო. შემდეგ, 1917 წლის მარტში, ბერნში შევხვდით, რევოლუციას ეს ესაა ცარიზმი დაემხო, შესაბამისად პოლიტიკურ დევნილთა ქვეყანაში დაბრუნების საკითხი წამოჭრილიყო. საკითხის შესახებ მოხსენებებში ბოლშევიკები და მენშევიკები გერმანიის გავლით რუსეთში ჩასვლას ემხრობოდნენ. „ეროვნული დაცვის ორგანიზაციის ყრილობამ, რომელსაც ვეკუთვნოდი, ამგავრი მოგზაურობა მიზანშეწონილად არ მიიჩნია და მკაცრად დაგმო. ბოლოს მე და მარტოვი ერთმანეთს აზრთა მწვავე დაპირისპირებით გამოწვეული ამ მძვინვარე დებატების გამო შევხვდით. გერმანიის გავლით მის ჯგუფთან ერთად გამგზავრება შემომთავაზა. აღშფოთებულმა უარი ვუთხარი, იქვე აღვნიშნე, რომ ამგვარ მოგზაურობასთან უარყოფითი დამოკიდებულების შეცვლის მიზეზი არ მქონდა. ამასთანავე დავსძინე, რომ, ჩვეულებისამებრ, ამ თავაზიან შემოთავაზებაშიც, ლენინმა დაასწრო, რომელსაც არ ვუპასუხე.

[2] ფიოდორ დანი(1871-1947) – რუსი რევოლუციონერი და პოლიტიკური მოხელე, მენშევიკების ერთ-ერთი ლიდერი. (რედ.)

ხატულ ქართულ აქცენტს, რუსული ენის არასაკმარის ცოდნას და იმ ფაქტს, რომ არასდროს უცხოვრია რუსეთში?“

პასუხს დაეშურა-„ძალიან საჩოთირო კითხვაა, ყველაფერში მართალი ხარ, მაგრამ რა გინდა! ახლა, ბლოკადის რეჟიმისა და სამხედრო სასამართლოს პირობებში, არავინაა ისეთი, ვინც რუსეთში სამუშაოდ წასვლას გაბედავს“.

მაშინ კი ვკითხე: „პატივი დამდე, ძვირფასო, და მითხარი ჩემი ძმა რას ფიქრობს?“

ხუმრობის ტონით მომიგო: „შენს ძმას არ იცნობ? ოდესმე გინახავს სახიფათო საგმირო საქმის ჩადენა შეეთავაზებინოთ მისთვის და უკან დაეხიოს? მით უმეტეს ეს საქმე თუ რევოლუციის ინტერესებშია და სიმამაცეს მოითხოვს. განსაკუთრებით თუ ეუბნებიან – სხვა ვერავინ შეძლებს ამის გაკეთებას და ქართველი ტყუილად ხომ არა ხარო? რა თქმა უნდა შეთავაზებას ერთი თვის წინ დაუყოვნებლივ დათანხმდა.“

მიკვირდა, თუ ვანო გამგზავრებას დათანხმდა, უკვე რუსეთში რატომ არ იყო. ორლოვმა როგორც ამიხსნა: „ჯერ ერთი, შენს ჩამოსვლამდე გამგზავრება არ უნდოდა. მეორეც, ბუნებრივია, მუშაობის დასაწყებად ცენტრალურ კომიტეტს სანკტ-პეტერბურგში ჩვეულებრივი კავშირების დამყარება მოსთხოვა და ამის პირობაც მისცეს“. საამისოდ იმ ამხანაგების წინასწარი თანხმობა ყოფილა საჭირო, რომლებიც ვანოს უმასპინძლებდნენ, მაგრამ რუსეთში მძვინვარე თეთრი ტერორის გამო, ვერავინ ბედავდა მის მიღებას.

საჭირო ინფორმაციით ვიყავი აღჭურვილი. ორლოვსკისგან მიღებული ცნობები ვანომაც დამიდასტურა და დამატებითი ინფორმაციაც მომაწოდა: შეუმდგარი კავშირების მოლოდინით სასოწარკვეთილი მარტოვი გამოსავალს ეძებდა. შექმნილი ვითარების მიუხედავად ჩემი ძმისთვის პეტერბურგში წასვლა და დუმაში ჩვენი დეპუტატის, ჩხეიძის, პოვნა შუთავაზებია, რომელიც დაეხმარებოდა და ამხანაგებთან დააკავშირებდა. „გარწმუნებ, მარტოვი იმაზე მეტად სასიამოვნო პიროვნებაა, ვიდრე იმ დღეს ჩანდა!“ ირონიული ღიმილით დასძინა – „იცი, ხუმრობის გარეშე, ამაში შენს ჩამოსვლასაც მიუძღვის წვლილი, რომელსაც ალბათ უადგილოდ მიიჩნევენო.“

ხანმოკლე, მაგრამ ნაყოფიერი საუბარის შემდეგ ყველა გაუგებრობა მოვსპეთ, ჩემს არგუმენტებს ვანო მეტი ყურადღებით მოეკიდა. არგუმენტები კი შემდეგში მდგომარეობდა: მარტოვის შემოთავაზებაზე დათანხმება ჩვენი მეგობარი ჩხეიძის მიმართ

უსამართლობა იქნებოდა, ჩანაფიქრი შეიძლება ტრაგიკულად დასრულებულიყო. ჩხეიძის საქმეში გარევას III დუმის დეპუტატების მთელი ჯგუფის დაპატიმრება, დასჯა და დაშლაც კი შეიძლება გამოეწვია, როგორც ეს მეორე დუმის შემთხვევაში მოხდა. ცარიზმი საამისოდ მხოლოდ საბაბს ეძებდა. ამით ქვეყანას თავისუფლების ყველაზე დიდ ქომაგს დააკარგვინებდნენ და გამანადგურებელი რეაქციაც უფრო გაძლიერდებოდა. მაშასადამე, ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი იყო ცარიზმისთვის ამ სამსახურის გაწევისგან თავშეკავება, რომლის პირველი მსხვერპლი თავად საქმის შემსრულებელი იქნებოდა.

ასე დავაეჭვე ჩემი ძმა ამგვარი გმირობის წარმატებაში და შესაბამისად მოლაპარაკებებმაც აზრი დაკარგა. მოლაპარაკებების კრახი მარტოვმა ჩემს უდროო ჩამოსვლასა და საკუთარი საიდუმლოს გამხელას მიაწერა. ამიტომ, „სოციალ-დემოკრატის ხმის“ რედაქციის ჟენევიდან პარიზში გადატანისას, არ წაუყვანია თავისი ადმინისტრატორი, ორლოვსკი, რომელსაც წინათ დიდად აფასებდა.

თავი IV

ლენინი

ლენინი. ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვი
(1870-1924) რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბოლშევიკური ფრაქციის დამაარსებელი და თავმჯდომარე

ორ თვეზე დიდხანს, ტობოლსკიდან გერმანიის საზღვრამდე, ეიდგუნენამდე, თავგადასავლებით სავსე მოგზაურობისას, საშინელ სიზმარში ვცხოვრობდი – გამუდმებით საფრთხე მემუქრებოდა, შეიძლება ცარისტულ პოლიციას აღმოვეჩინე და სხვების მსგავსად ჩამოვეხრჩვე. ორთვიანი საშინელებების შემდეგ აგერ უკვე ორი კვირა უსაფრთხოდ ვცხოვრობდი ჟენევაში. განსაცდელმა კი ჩაიარა, მაგრამ ჰოჰენცოლერნის იმპერიაში[1] თავს ბოლომდე უშიშრად ვერ ვგრძნობდი. ჟენევაში, როგორც იქნა, ბავშვობის მეგობარს, დათიკოს, და ჩემს ძმას, ასევე სხვა ბევრ ძველ ნაცნობსა და მეგობარს შევხვდი. ჩამოსვლიდან მეორე დღეს პლეხანოვთან საუბრის ბედნიერება და პატივი მხვდა წილად. ინტერნაციონალური სოციალიზმის დიდი თეორეტიკოსი და ფილოსოფოსი გახლდათ, რომლის მნიშვნელობას ყველა აღიარებდა. ვნახე მისი მდივანი, პანტელეი, რომელიც რუსეთის მშრომელთა სოციალ-დემოკრატიული პარტიის სახელით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ რუს ემიგრანტთა ორგანიზაციებს დაუკავშირდა. ბოლოს მოვალეობა მოვიხადე და მენშევიკთა მეთაურს, მარტოვს, ვესტუმრე.

მაინც რაღაც მაკლდა, რაც მაღელვებდა – ჯერ კიდევ არაფერი მეღონა იმ ადამიანის სანახავად, ვინც პირველმა შეიტყო ჩემი ჟენევაში ჩამოსვლა. ვგრძნობდი, ვალდებული ვიყავი ლენინს შე-

[1] გერმანიის იმპერია (რედ.)

ვხვედროდი. მეტიც, მის მოწაფეებთან კამათით, სტალინის თაოსნობით, მის შეხედულებებს ვებრძოდი. ცნობისმოყვარეობა მაქეზებდა ამ ადამიანის სანახავად წასვლას, რაც მასზე მიუკერძოებელი აზრის ჩამოყალიბებაში დამეხმარებოდა. ბოლშევიკებისა და მენშევიკების მოძრაობებს შორის მწვავე დაძაბულობა სუფევდა, ლენინი ბოლშევიკების ნამდვილი თავკაცი იყო, მე კი, მენშევიკებს ვეკუთვნოდი. ბუნებრივია, თავს ვეკითხებოდი – ამ შეხვედრას რამე ქვეტექსტი ხომ არ ჰქონდა და მახე ხომ არ იყო.

ეჭვი გამიჩნდა: იქნებ ლენინთან შეხვედრა უნდა გადამედო და ჩემს მიმართ მარტოვის, მენშევიკების მეთაურის, თავშეკავებული დამოკიდებულების გამორკვევას დავლოდებოდი. თუმცა, შეხვედრის გადადებით შეიძლება სამუდამოდ დამეკარგა ლენინის გაცნობის შესაძლებლობა. გადავწყვიტე აღარ გავძალიანებულიყავი. ამხანაგი სერგეის რამდენიმე ცდაზე არც დავთანხმებულვარ და არც უარი მითქვამს, ამიტომ არ მაწყობდა ამ საკითხის ხელახლა წამოწევა. მერჩივნა მისთვის მიმენდო ლენინის მოწადინებული შეხვედრის მოწყობის ინიციატივა. არ დაახანა და შეხვედრის შესაძლებლობა ასეთ გარემოებაში მომეცა:

როგორ მიმიწვიეს ლენინის სანახავად

დიდი ხნის განმავლობაში დარიანი ამინდები იდგა. ერთი ხვატიანი დღის შემდეგ, მზე გადაწვერვას იყო, მე და სერგეი ჭადრაკის ჩვეულ პარტიას ვთამაშობდით. დედოფალი დაკარგა და მატის თავიდან აცილებას ცდილობდა, ფიქრებს ისე მისცემოდა, დივანზე წამოწოლილი ცოლის ყვრილიც კი არ ესმოდა – ძვირფასო, გაყარე ბუზები!. მართლაც, დაფაზე დახრილი თავი მწერებს ისე დაეფარათ, შავ ბუშტს მიუგავდა. როცა დაინახა ქმარს რეაქცია არ ჰქონდა, დივნიდან წამოვარდა, ერთი ნახტომით მასთან გაჩნდა და თავში მთელი ძალით სდრუზა. ბუზები დაფრთხნენ სრულიად მელოტ თავის ქალაზე შავ ლაქებად თითებით მიჭყლეტილი მწერების გარდა. მაშინ თავი ასწია და მძვინვარე მეორე ნახევარს უსიცოცხლო ღიმილით უთხრა: „შეეშვი, ძვირფასო!“. შემდეგ შემომხედა და შეჰყვირა „ერთად რომ წავიდეთ ილიჩის სანახავად? რას ფიქრობთ ამხანაგო ხარიტონ?“

დასტურის მიღების შემდეგ, დიდი ალბათობით უკვე წაგებული პარტიის შეწყვეტა შემომთავაზა და ლენინის განრიგის შესატყობად გაეშურა. ილიჩისგან სასიკეთო პასუხით უკან დაბრუნებულს

ჩემი ძმა დახვდა, კიდევ ცოტაც და ახალი შეხლა-შემოხლა დაიწყებოდა. სერგეი ამბობდა „თუ ილიჩს ეცლება....“ ვანომ სიტყვა გააწყვეტინა: „უკაცრავად! ჩვენ თუ გვეცლება“. ჩემდა გასაკვირად, ჩვეულებისამებრ ასეთმა მოუხერხებელმა და დონდლო სერგეიმ მოსწრებულად უპასუხა: „არა, ამხანაგო ვანო, მინდოდა მეთქვა, რომ ამხანაგ ილიჩს ხვალ სცალია, ნაშუადღევის სამ საათზე, ლანდელოტის კაფეში გველოდება.“ საიმისო თავაზიანობაც ეყო, ჩემი ძმისთვის წამოსვლა შეეთავაზებინა -„თქვენ გარეშე შეხვედრა ხიბლს დაკარგავსო“.

შეხვედრა კაფე ლანდელოტში

სერგეიმ ღამით გადაიფიქრა და ლენინთან კაფეში შეხვედრას ჩვენი პირისპირ წარდგენა არჩია. წასაყვანად ერთი საათით ადრე მოგვაკითხა, უნდოდა მეზობლად მაცხოვრებელ ამხანაგთან ლენინისთვის მიგვესწრო. ფილოსოფოსთა ბულვარის 15 (თუ 17) ნომრის მეორე სართულზე აგვიყვანა, რამდენიმე წუთი გარეთ მოცდა გვთხოვა, თან ბოდიში მოგვიხადა გეგმის შეცვლის შესატყობინელბად მარტო რომ შედიოდა. ლენინი ადგილზე არ დახვდა და იმედგაცრუებული გამობრუნდა. ლანდელოტში მისასვლელად ძალიან ადრე იყო, თუმცა, ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ, მაინც კაფისკენ გავემართეთ. ადგილზე მისულებს დარბაზის სიღრმეში, ბუფეტისა და სატელეფონო ჯიხურს შორის მდგარი, ნაჩვევი მაგიდისკენ წაგვიძღვა. მაგიდა მაღალი, ოთხკუთხედი, ფართო და ნაჩხაპნებით დაფარული იყო – ლენინის გარდა ზედ ყველა რუსი ემიგრანტის სახელი ამოეკაწრათ, ვინც კი მის გარშემო ოდესმე შეკრებილა. თანდათან მაგიდასთან მჯდომი კაცის მელოტი თავი გამოჩნდა, წინ წიგნები და ქაღალდები გადაეშალა და გაცხარებით იწერდა შეიშვნებს. სერგეის მისასალმებელი შეყვირების გაგონებმდე თავი არ აუწევია. „ძალიან პუნქტუალური ხარ, ამხანაგო სერგეი“ – შენიშნა და ქაღალდების მოსაწესრიგებლად დაიხარა. შემდეგ მოკლე და მარტივი წარდგენა დაიწყო.

ყოველგვარი უდიერებისა და ქედმაღლობის გარეშე მიგვიღო, პირიქით, საკმაოდ თავაზიანი მეჩვენა. მაგრამ, ცოტა გავვოგნდი, როცა დავინახე საუბრისას ფეხზე არ წამოდგა. ნათქვამთან შეუსაბამო მისმა უცნაურმა, გაზვიადებულმა სიცილმა გამაკვირვა, თუმცა ნევროზული და ისტერიული არ მეჩვენა. ჩემმა გაოცებამ იმატა, როცა წამოიმართა, მაგიდას შემოუარა და ჩვეულებისამებრ ამათვალიერა. წამომდგარიც იმ სიმაღლე ჩანდა, რაც დამჯდარი.

ჩემს ძმას ფრთხილად შეუტია. შენობით მიმართავდა და საყვედურობდა ორი თვის განმავლობაში რატომ არ ჩანდიო. ვანომ სიტყვა შეუბრუნა – „იცი...“, ლენინმა სიცილით წამოიყვირა – „ვიცი, ვიცი!“ როგორც ჩანს ლენინმა იცოდა მარტოვი ჩემს ძმასთან საიდუმლო მოლაპარაკებებს რომ აწარმოებდა.

ვუსმენდი და კიდევ ერთხელ დავეჭვდი ლენინის პიროვნებასთან დაკავშირებით. შეუძლებლად მეჩვენებოდა, რომ ნამდვილი ლენინი, რომელიც ასპროცენტიანი რუსი იყო, სრული განათლება რუსეთში მიეღო, მათ შორის სამართალიც იქ შეესწავლა, ადვოკატად მუშაობდა და მხოლოდ 30 წლის ასაკში გაიქცა ქვეყნიდან, ასეთი ყოფილიყო. შეუძლებელი მეჩვენებოდა ლენინს რუსულის კარგი მცოდნე უცხოელის აქცენტი ჰქონოდა. ამ საკითხს ნათელი მას მერე მოეფინა, რაც შევიტყვე – ბევრი უცხო ენა სცოდნია, რაც მის გამოთქმაზეც აისახებოდა.

მცირე აზნაურობიდან გამოსული რევოლუციის ბელადი

ვლადიმერ ილიჩი (ილიას ვაჟი) ულიანოვი, მართალია მცირე აზნაურობას ეკუთვნოდა, მაგრამ თავისი რევოლუციური მოღვაწეობა ძალიან ახალგაზრდამ დაიწყო. მშობლები და მათი გარემოცვა ტერორისტული ორგანიზაციის „ნაროდნაია ვოლიას“ (ხალხის ნება) პოპულისტური იდეებით იყვნენ განმსჭვალული. ამასთანავე, უფროსი ძმა, ალექსანდრ ულიანოვი, 1887 წელს ალექსანდრე III-ის თავდასხმაში მონაწილეობისთვის მოკლეს – ოჯახური ტრადიცია გახლდათ. პლეხანოვის ნაწერების გავლენით, 1890 წელს, როცა მარქსიზმი პოპულარობით სარგებლობდა, რუსი ინტელექტუალების უმრავლესობის მსგავსად, ორგანიზაცია დატოვა და მარქსიზმს მიემხრო. 1892 წელს, 22 წლის ასაკში გატაცებით ჩაერთო მარქსისტულ პროპაგანდაში. სხვების დარად მოძღვარ პლეხანოვის სანახავად და მოსასმენად უცხოეთში წასვლაზე ოცნებობდა. მართლაც, 1895 წელს ჟენევაში ჩავიდა, მოინახულა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის დაფუძნებაზე შეუთანხმდა, რომლის ყრილობა 1898 წელს მინსკში ფარულად გაიმართა. ლენინის მოთხოვნით პლეხანოვმა პარტიის პროგრამა შეადგინა, მაგრამ უშედეგოდ – ლენინი უკვე ციხეში იყო, ცარისტულ პოლიციას ყრილობის მონაწილეები დაეკავებინა და ყველა მასალა ამოეღო.

ერთი წლის შემდეგ ციმბირიდან გამოქცეული ლენინი ჟენევაში სტაროვერთან (პოტრესოვთან) ერთად დაბრუნდა. პლეხანოვი ინახულა და მოქმედების კონკრეტული გეგმა გადასცა, იმ დროიდან დაარსდა პოლიტიკური ჟურნალი „ისკრა“ (ნაპერწკალი), რომელიც 1900 წლის დეკემბრიდან გერმანიაში გამოიცემოდა. ჟურნალში სტატიებს აქვეყნებდნენ პლეხანოვი, აქსელროდი, ზასულიჩი, ლენინი, პოტრესოვი და მარტოვი.

სანამ გადასახლების ბოლო ადგილიდან გაიქცეოდა, ვლადიმერ ულიანოვმა, ლენას ნაპირებზე ფარულად მოიწვია პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულები, მდინარის შთამბეჭდავმა ძლევამოსილებამ ფსევდონიმიც შთააგონა – „ლენინი“. ადრე ლიტერატურულ ფსევდონიმად „ვ. ლინი“ ჰქონდა აღებული. (მდინარის სახელის გამოყენების იდეა შეიძლება იქიდან გაუჩნდა, რომ პლეხანოვის ერთ-ერთი ფსევდონიმი იყო „ვოლგინი“- მდინარე ვოლგას სახელი).

ლენინს ვუცქერდი და ძლივს ვაცნობიერებდი – ჩემ წინ ბოლშევიკების ცნობილი, ხორცშესხმული ბელადი იდგა, ესოდენ განსხვავებული წარმოსახვაში შექმნილი სურათისგან, რომელიც ბოლშევიკებთან ხანგრძლივი საუბრების განმავლობაში დავხატე. მაღალი, მკაცრი, ჯიუტი, ყოველგვარი ადამიანურისგან გაუცხოებული წარმომედინა. თანაც სურათებში შავგვრემანი ჩანდა, სინამდვილეში კი ჟღალი პატარა წვერ-ულვაში ჰქონდა. ერთი შეხედვით დიდი ფრანგი ტრიბუნის, ჟან ჟორესის მსგავსად მიმზიდველობით არ გამოირჩეოდა. მხოლოდ ეს იყო, საუბრისას უფრო და უფრო სასიამოვნო და მომნუსხველიც კი ხდებოდა.

უდროო მისვლით მუშაობა შევაწყვეტინეთ, უმაყოფილო მეჩვენა. მერჩივნა მუშაობა გაეგრძელებინა – მოვუბოდიშე და მისთვის ხელსაყრელ დროს სხვა შეხვედრის დანიშვნა შევთავაზე. მითხრა ასეთ დეტალებზე ფიქრით თავი არ შემეწუხებინა და ამ უკვე ისტორიულ მაგიდასთან დასასხდომად მიგვიწვია. მაშინ არ ვიცოდი, რომ 30 წლის შემდეგ კვლავ ამ მაგიდასთან აღმოვჩნდებოდი ჩემი ძველი, ლიტველი და ესტონელი ამხანაგების გარემოცვაში, რომლებიც ჟენევაში ერთა ლიგაში წარგზავნილი მათი ქვეყნების განსაკუთრებული წარმომადგენლების სტატუსით იქნებოდნენ ჩამოსული.

რუსული უბრალოებისა და აზიური სიჯიუტის ნაზავი

ვანო და სერგეიმაგიდის აქეთ-იქითა მხარეს, ჩემს პირისპირ აღმოჩნდნენ, ლენინი ჩემთან საუბრისას ხან მარჯვნივ მიტრიალდებოდა, ხან – მარცხნივ, რაც საშუალებას მაძლევდა ახლოდან იმაზე უკეთ დავკვირვებოდი აზრის გამოთქმისა და მიხრა-მოხრის მისეულ მანერას, ვიდრე ამას სხდომებზე წარმოთქმული სიტყვის მოსმენისას შევძლებდი – ყოველთვის ფეხზე იდგა, ორივე ხელი ჯიბეში ეწყო და ჟესტიკულაციის გარეშე საუბრობდა.

მხოლოდ 38 წლის იყო, მაგრამ ნაოჭები ასაკს მატებდნენ. რუსული სახე, მონღოლური თვალები ერთმანეთს კარგად შეთვისებოდნენ და ხასიათისა და გონების წყობაზე წარმოდგენას მიქმნიდნენ: ლენინის ძალაუფლების მთავარი წყარო რუსული უბრალოებისა და აზიური სიჯიუტის შერთვა იყო. შეეძლო წინა დღეს ნათქვამისგან სრულიად საპირისპირო მოსაზრება მეორე დღეს ჩაგონების ისეთი ძალით ემტკიცებინა (ტაქტიკა), რომელიც გაოგნებულებსა და იარაღაყრილებს გვტოვებდა. თუმცა, არასდროს ეწინააღმდეგებოდა მთავარ მიზანს. სულაც არ აღელვებდა, როცა ამგვარ ქცევას საყვედურობდით და ფაქტების უარყოფაზე მიუთითებდით. პირიქით! ამაყი ჩანდა და სანახევროდ ხუმრობით გპასუხობდათ: "მით უარესი ფაქტებისთვის! გადატრიალებისას ძალები არ უნდა დაზოგო"! აქედან მოდის ბოლშევიკებისთვის მიწერილი ანდაზად ქცეული გამოთქმა: „მით უარესი ფაქტებისთვის!"

ლენინს სხვა სოციალისტ ბელადებთან შედარებით დიდი უპირატესობა ჰქონდა: რუს ხალხთან და მშრომელთა მასებთან უშუალო და მჭიდრო კავშირი სხვებთან შედარებით დიდხანს შეინარჩუნა. სინამდვილეში ეს კავშირი მხოლოდ ხასიათის საბოლოოდ ფორმირებისა და უნარების სრულად განვითარების შემდეგ გაწყვიტა – უცხოეთში გადასახლებისას 30 წლის იყო. (მაგალითად, პლეხანოვს 20 წელიც არ შესრულებოდა, როცა იძულებული გახდა ქვეყანა დაეტოვებინა). მეტიც – ხალხთან კავშირის განახლება ხუთი წლის შემდეგ, 1905 წლის რევოლუციის წყალობით შესძლო. რევოლუციამ, შეცდომების მიუხედავად, ამ უნარების გამოცდის შესაძლებლობა მისცა. ამგვარად, დაბადებით ორგანიზატორს, ბრძოლაში გამოწრთობილს, უზარმაზარი გამოცდილება და ადამიანის ბუნების ცოდნა გამოადგა – პირადად ბევრ ამხანაგს იცნობდა და ბევრი ენახა სხვადასხვა გარემოებაში – მიწისქვეშა

მუშაობისას, ციხეში, გადასახლებაში; საერთო უქონლობამ მყარი კავშირები გამოჭედა და ხანგრძლივი ერთგულება წარმოშვა – იცოდა ვისი იმედი უნდა ჰქონოდა.

მარტოვის მსგავსად არც ლენინი ყოფილა დიდი ორატორი. თუმცა, მასავით ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა. მარტოვზე გულმხურვალედ სწამდა თავისი იდეალისა, რაც ორატორულ ნაკლს უნაზღაურებდა: მიზნისკენ მსწრაფი ზოგჯერ მჭრმეტყველების უმაღლეს მწვერვალს აღწევდა და ხალხის გულს იგებდა.

ტანით პატარა, მაგრამ მხნე და ენერგიით სავსე, მოქმედებისთვის მუდამ მზად მყოფი. შეუპოვრობის გარდა რუსული ხასიათისგან ზედმიწევნითი სიზუსტე გამოარჩევდა, რაც ნაყოფიერი საქმიანობისთვის აუცილებელი იყო, განსაკუთრებით იატაკქვეშა მუშაობის დროს. ეს ყველაფერი მის უდაო უპირატესობას განაპირობებდა. ერთი მუჭა უმაღლესი კლასის ინტელექტუალები ახლდა მხოლოდ, მაშინ როდესაც მენშევიკებს ბევრი მოაზროვნე ადამიანი ჰყავდათ და პარტიაშიც რიცხობრივად ბოლშევიკებზე მეტნი იყვნენ. ლენინი თითქმის ყოველთვის ახერხებდა მათთვის საკუთარი ნების თავსმოხვევას. ისიც უნდა დავსძინოთ, რომ ამ ნებისყოფით ეკიდებოდა საკუთარ თავსაც. ტურგენევის ბაზაროვივით ირჯებოდა საკუთარ თავში წმინდად რუსული სენტიმენტალობის (რომელიც არ ეკლდა) აღმოსაფხვრელად; შხამსაწინააღმდეგოდ მეორე რუსული ფენომენის – ნიჰილიზმის – დიდ დოზას იღებდა. მაგალითად, ლენინს ძალიან უყვარდა პლეხანოვი და დიდ პატივს სცემდა, რასაც მისთვის ხელი არ შეუშლია ყოველი პოლემიკისას პლეხანოვისთვის ყველაზე შხამიანი ისრები ესროლა.

სავალალოდ დასრულებული მეგობრული საუბარი

ჟენევაში, ლანდელოტში შეხვედრისას ლენინმა დაწვრილებით და მეთოდურად, ხანგრძლივად გამომკითხა ტობოლსკში პოლიტ. გადასახალებულთა ამბავი, მათი სულიერ მდგომარეობა, ჩემი მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი თავგადასავლები. გულის-ყურით მისმენდა. ვუამბე, სულზე რომ მივუსწარი და სიკვდილით დასჯისგან ვიხსენი ციხეში პოლიტ. პატიმრების ჟლეტას გადარჩენილი, კატორღა მისჯილი 16 ადამიანი ამხანაგ ტაგჩოგლოს მეთაურობით (ეს ისტორია იცოდა). იმდენად ააღელვა ამ ამბავმა – უნდოდა გადამხვეოდა, მაგრამ მაგიდამ ხელი შეუშალა და შესძახა – „ჩემი ტაგჩოგლო ცოცხალია!“

ამხანაგ სედოვის შესახებ ნაამბობმა ძალიან აღაშფოთა – ომსკში გავლისას სედოვმა არ მოინდომა ვინაობის გამჟღავნება და არ დამეხმარა. ამ სიტყვებზე გზნებით წამოიყვირა „სწორედ ამაშია, ამხანაგო, საშინელი უკუსვლა... საძულველი სილაჩრე მთელს რუსეთს ტვირთად დასწოლია!“

მოსკოვის შფოთიანი ეპიზოდით განსაკუთრებით დაინტერესდა. პრეფექტ ჯუნკოვსკის დამოკიდებულება აშკარად ესიამოვნა. კვლავ თავისებურად ჩაიცინა და შენიშნა – რუსეთის ყველა პრეფექტი ასე უნდა იქცეოდესო. (ჯუნკოვსკი მეფის რუსეთის ერთადერთი მინისტრი იყო, რომელიც ბოლშევიკებმა 1918 წელს არ დახვრიტეს; ციხე მიუსაჯეს და რამდენადმე დახმარებაც კი აღმოუჩინეს).

ჩემი მონათხრობის მიმართ ლენინის ცხოველმა ინტერესმა იმდენად მეგობრული გარემო შექმნა და ჩვენი საუბარი ისეთი თავისუფალი იყო, რომ დაგვავიწყდა – ყველაფრის მიუხედავად მაინც პარტიის დაპირისპირებულ ბანაკებს ვეკუთვნოდით. გასაოცარი გულწრფელობით მესაუბრა, როცა მოგვიანებით პარტიის ტაქტიკასა და პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებული ზოგადი საკითხების განხილვაზე გადავედით. არც ის მწვავე სირთულეები დავიწყებია, რომლის წინააღმდეგაც იბრძოდა. ბოლომდე ვერ მივხვდი როგორ დავიმსახურე ასეთი ნდობა – თავისი სადარდებელი მომიყვა, რომელსაც ჩვეულებისამებრ გულდასმით მალავდა.

მკითხა იული (მარტოვი) თუ მენახა, დასტურის შემდეგ მოულოდნელად მითხრა: „ძვირფასო ამხანაგო, რუსეთში ამ საშინელი რეაქციის ჟამს, რომელიც თავის გამოძახილს ევროპაშიც ჰპოვებს, მენშევიკებმა ექსპროპრიაციის საკითხები წამოჭრეს, რომლის ავტორებიც ჩვენი ამხანაგები უნდა იყვნენ! ახლა, როცა ათეულობით ამხანაგია დაკავებული (გერმანიაში შვიდი ბოლშევიკი დააკავეს ოლგა კარპინსკის, ზინოვიევის მომავალი მეუღლის, თაოსნობით; საფრანგეთში – ლიტვინოვი, რომელსაც ლენინისგან დავალებული ჰქონდა თბილისიდან მიღებული დახმარების, 500 რუბლის ქაღალდების, გადაცვლა), როცა ასობით დატყვევებულ და რუსეთში გადასახლებულ ადამიანს ჩამოხრჩობა ემუქრება, დანაშაულია ცენტრალურ კომიტეტში ამგვარი საკითხების განსახილველად წარდგენა. მენშევიკები მეფის რუსეთის პოლიციის აგენტებად გადაიქცნენ!“

ამ მძიმე სიტყვებმა გამაოგნა. მომეჩვენა, ამ ახალ სამყაროს, რომლის ასაშენებლად ამდენი გავაკეთეთ და კვლავ ერთობლივად ვაგრძელებდით მსხვერპლის გაღებას, უკვე სასიკვდილო სა-

ფრთხე ემუქრებოდა. ძლიერ გავაპროტესტე, გარკვევით ვუთხარი, რომ ვერ მივიღებდი ასეთ უსაფუძვლო განცხადებებს. ჩემს პროტესტს თანამეინახეები განსხვავებული, მოწონებისა და წინააღმდეგობის, შეძახილებით შეხვდნენ, ამასობაში ლენინმა მისთვის დამახასიათებელი განსაცვიფრებელი გულწრფელობითა და მომხიბლავი ღიმილით განაგრძო, თითოეული სიტყვა ენერგიულად, ჩაქუჩის დარტყმასავით ისმოდა, თითქოს გაქვავებულ ხეში ლურსმნებს აჭედებდა: „ცენტრალური კომიტეტის ყრილობა მოითხოვეს, რომელიც ჟენევაში უნდა შედგეს. ეს საქმეები დღის წესრიგშია შეტანილი. გესმით ძვირფასო ამხანაგო, რომ ეს ბევრ საზრუნავს მიჩენს?“ ქაღალდების დასტაზე მიმითითა – „ამ წუთას სწორედ ამაზე ვმუშაობდი, ასეთი რეზოლუციის დამტკიცება თუ გამოუვიდათ, ჩვენი საუკეთესო ამხანაგების, მათ შორის რამდენიმე კავკასიელის, სიცოცხლე შეეწირება ამ ამბავს.“ (კერძოდ სტალინზე ფიქრობდა, რომელიც ბაქოს ციხეში იჯდა).

რა უნდა მეპასუხა? ეტყობოდა გაცოფებული იყო, მისი სამართლიანი თუ უსამართლო განცხადებიდან გულწრფელი ამბოხი გამოსჭვიოდა. ჩემი თავშეკავებისა და პროტესტის მიუხედავად, მეგობრულად დავშორდით. მიმახვედრა, რომ ჩემთან შეხვედრა კვლავ სურდა. პასუხის გაცემისგან თავი შევიკავე.

ამხანაგი სერგეის შეშფოთება

ლენინისგან წამოსვლის შემდეგ ძალიან გვიანი იყო ამხანაგი ორლოვსკის მიერ დანიშნულ შეხვედრაზე წასასვლელად. მე, ვანო და სერგეი, სამივე მდუმარედ მივდიოდით, სხვა და სხვა მიზეზის გამო, ჯერ კიდევ ამ შეხვედრით გამოწვეული ძლიერი შთაბეჭდილების ქვეშ ვიყავით. განსაკუთრებით სერგეი მისცემოდა თავის საფიქრალს. ჩემმა ძმამ ეს შენიშნა თუ არა, გაჯავრება დაუწყო:

„ამხანაგო სერგეი, იმის ნაცვლად დიდად კმაყოფილი იყოთ, პირიქით, ძლიერ ჩაფიქრებულხართ. გსურდათ თქვენს ილიჩს შევხვედროდით და მისით აღვფრთოვანებულიყავით, ასეც მოვიქეცით. ვფიქრობ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ასე ძლიერ რატომ ღელავთ? რა დაგემართათ?“ მაგრამ სერგეიმ წაუყრუა.

ვანოს საუბრის მიმართულების შეცვლა უხაროდა, სერგეის უპასუხობით გულმიცემულმა, კვლავ გაიმეორა მცდელობა. სერგეი თუ იმედგაცრუებული და ძლიერ შეშფოთებული ჩანდა, მისი დუმილი რაღაც გათვლითა და ფარული მოტივით იყო გამოწვეული. საქმე მისთვის დელიკატურ საკითხს ეხებოდა. კერძოდ, ლენინმა

ხომ არ ჩათვალა, რომ ჩვენი შეხვედრა ცუდად იყო მოწყობილი? რა თქმა უნდა, ცხარე დაპირისპირებით ნიშანდებული საუბრის შედეგი აღელვებდა, განსაკუთრებით კი – ლენინთან შეხვედრაზე ჩემი უსიტყვო უარი. ამიტომ, როცა ჩემი ძმა სერგეის გაჯავრებას შეუდგა, ჩავერიე და ჩვენს მშობლიურ ენაზე შევეხვეწე მეტი აღარ გაეგრძელებინა.

მაშინ სერგეიმ ხმა ამოიღო, აღელვებულმა მკითხა კმაყოფილი თუ ვიყავი ლენინთან შეხვედრით და კარგი შთაბეჭდილება თუ დამრჩა? მადლობა გადავუხადე კარგად მომზადებული შეხვედრისთვის და კმაყოფილებაც გამოვხატე. რაც შეეხება ლენინზე ჩემს შთაბეჭდილებას, ძალიან ახალია საიმისოდ, რომ აზრი გამოვთქვა-მეთქი. განმარტებამ ცოტა დაამშვიდა და დაგვარწმუნა – პარტიის დელიკატური ვითარების შესახებ განხილული საჭირბოროტო საკითხების გამო, ლენინთან შეხვედრაზე კრინტი არ დაგვეძრა. ამგვარად, ლენინთან კვლავ შეხვედრის საკითხი ღიად რჩებოდა და სერგეიც და ჩემი ძმაც სრულიად კმაყოფილები იყვნენ.

შემთხვევით ვესწრები პარტიის საიდუმლო კრებას

ამ მართლაც ორაზროვანი შეხვედრიდან გაურკვეველი განცდა დამრჩენოდა, თითქოს ისეთი სარგებელი მივიღე, რომელიც არც მიძებნია და არც დამიმსახურებია. ლენინმა უსიტყვოდ დაუშვა გამონაკლისი და უფლება მომცა მხოლოდ პარტიის წევრებისთვის განკუთვნილ მნიშვნელოვან კრებას დავსწრებოდი.

ეს ამბავი დაუჯერებლად რომ არ მოგეჩვენოთ, შევეცდები შეძლებისდაგვარად მარტივად მოგიყვეთ.

ერთ დღეს პოლიკლინიკის უკან დავიკარგე, კითხვა კითხვით ვცდილობდი გზის გაგნებასა და სწორი მიმართულების პოვნას. ამ დროს ჩემ წინ ერთი კაცი გაჩნდა და რუსულად მომესალმა. შეცბუნება რომ შემამჩნია, სწრაფად დასძინა: „ამხანაგი მარტოვი. რამდენიმე დღის წინ შევხვდით“. გამიკვირდა – ისეთი თავშეკავებული აღარ ჩანდა, როგორც ამასწინათ და მოვუბოდიშე – ფიქრებში ვიყავი გართული-მეთქი. აქეთკენ წამოდითო, მკლავში ხელი მომკიდა და წინ მდგომ სახლში (კაფე ჰანდვერკში) შემიყვანა. პირველი სართულის დარბაზში ხალხი ისხდა. ერთი ამხანაგი გამოეგება, დანარჩენები მისასალმებლად ფეხზე წამოდგნენ. განზე

გავდექი – „ხელი რომ არ შეგიშალოთ საუბარში-მეთქი“, ავუხსენი. მოსახდენის მოლოდინში სულ უკან, კუთხეში, ჩამოვჯექი. ჯერ-ჯერობით მარტოვის გარდა არავის ვიცნობდი და არავინ მიცნობდა. შეკრების მიზეზზე ვფიქრობდი, როცა ლენინი გამოჩნდა, დამსწრეები გულითადად მიესალმნენ. უცებ გამახსენდა ცენტრალური კომიტეტის მომავალი კრების შესახებ მისი ნათქვამი. რამდენიმე წუთში დარბაზში პლეხანოვიც შემოვიდა, მასაც თბილად შეხვდნენ. დავრწმუნდი – ცენტრალური კომიტეტის ცნობილი კრება იყო. აქ ყოფნისთვის არანაირი სტატუსი არ მქონდა, ამიტომ უნდა ავმდგარიყავი და ჩუმად გამოვსულიყავი, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ არ გამიშვა. ბოლოს და ბოლოს რა ჩემი ბრალი იყო – მარტოვმა შემომიყვანა, სრულუფლებიანი წევრის, ჟორდანიას (რომელიც სანკტ-პეტერბურგის ციხეში იჯდა), შემცვლელი ვეგონე. კრების დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე ამ სახლის წინ რომ მიპოვა, ძალიან გაუხარდა. პლეხანოვს არ შევუნიშნივარ, არც ლენინს – შეიძლება თვალი ამარიდა. ამგვარად, ასე შეუმჩნევლი დავრჩი და „დელეგატის ადგილი დავიკავე.“

თავი V

გაცხოველებული დებატები მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ჟენევა 1908

ლენინი იძულებული გახდა მენშევიკების ბელადების, მარტოვისა და დანის, ხანგრძლივ, ენერგიულ კამპანიას დათანხმებოდა – „რუსეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის“ სასწრაფო კრების მოწვევას ითხოვდნენ. 1908 წლის აგვისტოში, კომიტეტის სხდომა, როგორც იქნა, ჟენევაში, ვნებათაღელვით დამუხტულ გარემოში შედგა.

1907 წელს ლონდონში ჩატარებული ბოლო ყრილობის გადაწყვეტილებით ლენინს კომიტეტში ხმების უმრავლესობა ჰქონდა – კრების მოსაწვევად არანაირ ზეწოლას არ დანებდებოდა, თავისივე ფრაქციის წიაღში სირთულეებს რომ არ შეჯახებოდა. ორივე მიმდინარეობას აღელვებდა პლეხანოვის პოზიციის საკითხი – რომელ მხარეს მიემხრობოდა?

პლეხანოვი კი რამდენიმე შესანიშნავი სტატიის გამოქვეყნებას აპირებდა, რომლებშიც შეუბრალებლად გააკრიტიკებდა ლენინის მთავარი თანამოაზრეების ფილოსოფიურ კონცეფციებს: მაქსიმოვს, რომლის ნამდვილი გვარი მალინოვსკია[1], თუმცა ყველა ფსევდონიმით იცნობდა, ბოგდანოვსა და ვოინოვს (ლუნაჩარსკის)[2], რომელსაც ბევრი მომხრე ჰყავდა. მათთან პრინციპული დამოკიდებულება უნდა გამოეჩინა და ფრაქციის უმრავლესობას ღიად დაპირისპირებოდა, მაშინ, როცა მენშვიკებთან ბრძოლაში მათი დახმარება სჭირდებოდა. მით უფრო დიდი გასაჭირი ედგა

[1] რომან მალინოვსკი(1876-1918) – რუსი ბოლშევიკი, რომელიც ითვლებოდა ერთ-ერთ წამყვან ფიგურად პარტიაში. გვიან პერიოდში აღმოაჩინეს რომ იგი მუშაობდა რუსეთის იმპერიის უსაფრთხოების სამსახურის სასარგებლოდ. (რედ.)

[2] ალექსანდრ ლუნაჩარსკი(1875-1933) – რუსი რევოლუციონერი, ბოლშევიკი და საბჭოთა რუსეთის პირველი განათლების სახალხო კომისარი. (რედ.)

ნოე ჟორდანია (1868-1953).

მწერალი, პოლიტიკოსი. სოციალიზმის თეორეტიკოსი. პირველი მოწვევის დუმის (1906) დეპუტატი. სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის დამაარსებელი. ვიბორგის ცნობილი მანიფესტის ავტორი. დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის თავმჯდომარე

– არ შეეძლო პლეხანოვის გამოთქმული კონცეფციების გარდა სხვა მოსაზრებისთვის დაეჭირა მხარი. წლების განმავლობაში პლეხანოვის გესლიანი სარკაზმის სამიზნე გახლდათ: „ამხანაგ ლენინს ფოლოსოფიისა და დოქტრინების საკითხში ცოდნა რომ ჰქონოდა, მარქსისტების ნაცვლად თანამოაზრეებად მახისა[1] და ავენარიუსის[2] შეგირდებს შეიწყნარებდაო.“

თავის მხრივ ლენინი პლეხანოვის გადმოსაბირებლად მისი სუსტი ადგილის პოვნას ცდილობდა – პარტიის (სინამდვილეში ბოლშევიკური ფრაქციის) მთავარ ორგანოში, „სოციალ-დემოკრატი“, წერდა, რომ პლეხანოვი მენშევიკების მფარველი ანგელოზი იყო. ლენინის საუბედუროდ, ზემოხსენებულ სტატიები მენშევიკების საგაზეთო ორგანოში „სოციალ-დემოკრატის ხმა“-ში უნდა გამოექვეყნებინათ.

ამ გარემოებებისა და იმ ფაქტის გამო, რომ სტატიების ავტორი, პლეხანოვი, ოფიციალურად ჯერ კიდევ მათთან იყო, მენშევიკებმა მნიშვნელოვანი უპირატესობა მოიპოვეს ბოლშევიკებზე. ჩვენი

---

[1] ერნსტ მახი(1838-1916) – ავსტრიელი ფიზიკოსი და ფილოსოფოსი. (რედ.)

[2] რიხარდ ავენარიუსი(1843-1896) – გერმანელ-შვეიცარიელი ფილოსოფოსი, პროფესორი, იდეალისტური ფილოსოფიის ერთ-ერთი მიმდევარი. (რედ.)

დასამახსოვრებელი შეხვედრისას მარტოვმა სწორედ ამიტომ გამომიცხადა გადაჭრით – „ლენინი იძულებული იქნება ერთხელ და სამუდამოდ მიატოვოს თავისი პოზიციაო“. თავად მარტოვი კი მეორე რეალობას ვერ ამჩნევდა (თუ დანახვა არ უნდოდა), კერძოდ, არც მენშევიკებთან იყო ყველაფერი რიგზე. დავიწყოთ მასა და პლეხანოვს შორის არსებული უთანხმოებით....

მენშევიკების მიერ ცენტრალური კომიტეტის კრების მოწვევის მოთხოვნას გამჭრიახი ლენინი მოულოდნელად დათანხმდა და ამით დიდად საჩოთირო მდგომარეობაში ჩააგდო. მენშევიკებისთვის უადგილო იქნებოდა შეხვედრის გადატანა, როცა თავად გაიძახოდნენ საჩქაროაო. სტრატეგიული მანევრი ისეთი მომენტის შერჩევას გულისხმობდა, როცა ზოგიერთი გამოჩენილი მენშევიკის დასწრება შეუძლებელი იქნებოდა. ნოე ჟორდანია (დამოუკიდებელი საქართველოს მომავალი მთავრობის თავმჯდომარე) სწორედ იმ დროს სანკტ-პეტერბურგის ციხეში იჯდა – პირველი დუმის დათხოვნისთანავე, რუსი ხალხის მისამართით დაწერილ „ვიბორგის მანიფესტზე“[3] ხელმოწერისთვის სასჯელს იხდიდა. სამაგიეროდ ბოლშევიკების დასწრება იყო გარანტირებული.

ასეთ საჩოთირო ვითარებაში გახსნეს ცნობილი კრება. სხდომის დაწყებისას ლენინმა ხაზი გაუსვა, რომ დღის წესრიგში პარტიაში შექმნილი ვითარების განხილვა იყო. ამხანაგების ყურადღება შეაჩერა საკითხის მნიშვნელობაზე, წინდახედულობასა და პასუხისმგებლობაზე, რომელიც ცენტრალური კომიტეტის თითოეულ წევრს ეკისრებოდა: „პარტია არასდროს ყოფილა ასეთ კრიტიკულ ვითარებაში, ერთ უხეშ სიტყვასაც კი შეიძლება მწვავე შედეგები მოყვეს“. შემდეგ მარტოვს მისცა სიტყვა, რომელმაც რუსეთში შექმნილი ვითარების საოცარი სურათი დახატა, სადაც თეთრი ტერორი ბატონობდა და სამხედრო სასამართლოები სიკვდილის განაჩენის გამოსატანად შეუჩერებლად მუშაობდნენ.

მარტოვმა ექსპროპრიაციის საკითხი წამოჭრა

მარტოვი ჭკვიანურად მოიქცა და საკითხის განხილვას სანამ შეუდგებოდა, წარსული გაიხსენა და განაცხადა, რომ რევოლუციის დროს აუცილებელი იყო მთელი ძალების მობილიზება, შეიარაღე-

[3] ვიბორგის მანიფესტი გამოქვეყნდა 1906 წლის ზაფხულში, რომლის მთავარი მოთხოვნა იყო პასიური წინააღმდეგობა გაეწიათ იმპერიული რუსეთის რეპრესიული სისტემის მიმართ. (რედ.)

ბული დანაყოფების შექმნა და ცარიზმის წინააღმდეგ დარაზმვა. მაშასადამე, შემტევი ტაქტიკა უნდა შეემუშავებინათ. რევოლუციის კრახით დასრულების შემდეგ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მხოლოდ თავდაცვითი მიზნებისთვის, ღია პოზიციებიდან ამხანაგების უკანდახევის დასაცავად და დანაკარგების შესამცირებლად საჭირო იყო შეიარაღებული დანაყოფების შენარჩუნება. ამოცანის შესასრულებლად შეიარაღებული ამხანაგები იძულებულები იყვნენ გასაჭირში ეცხოვრათ, ტყეებში დამალულიყვნენ, სამხედრო კომუნიკაციების გარეშე თვითმომარაგებისთვის ზოგჯერ ძარცვა-გლეჯვას მისცემოდნენ. საუბედუროდ, ამ გარდამავალი პერიოდის გავლის შემდეგ, ზოგიერთმა იარაღი და ავაზაკობა არ მიატოვა. მაშინ რევოლუციის სახელს ამოფარებულმა ყველა ნასამართლევმა და „ლუმპენპროლეტარმა“ ყაჩაღობას მიჰყო ხელი. ყოველგვარი დისციპლინა განადგურდა და საქმე იქამდე მივიდა – დემორალიზაცია თავად პარტიის რიგებშიც კი დაიწყო. ამხანაგთა უმეტესობა შეშფოთდა და ფრაქციების ყრილობაზე (სტოკჰოლმი, 1906 წ.) ყაჩაღობამდე დეგრადირებული ყოველგვარი რევოლუციური აქტივობის აკრძალვა მოითხოვა. მარტოვმა თითქმის ერთხმად მიღებული დადგენილების ტექსტი გაიხსენა, რომელიც გმობდა „კერძო საკუთრების ექსპროპრიაციას, იძულებით კონტრიბუციას, ქურდობასა და სხვ.“, შემდეგ განაცხადა, რომ „ექსპროპრიაციის“ საბაბით იმდენად გახშირდა ძარცვა-გლეჯა – მხოლოდ ერთ თვეში 362 შემთხვევას ითვლიდნენ. ყოველ შემთხვევაში, არ არსებობდა პირობები, რომელთა მიხედვითაც ყრილობა აღიარებდა „ხაზინის კონფისკაციას რევოლუციური ხელისუფლების მქონე რეგიონებში“.

მარტოვს მხარს უჭერდა ფიოდორ დანი, რომელიც კარგი ორატორი გახლდათ. იგორევი, რომელიც მართალია ჩია ტანის, მაგრამ ენამახვილი კაცი იყო. ორნატსკის (იგივე ჩიჩერინი)[1] ყველაზე მეტი ინფორმაცია ჰქონდა ამ საკითხზე და მისი გამოსვლაც გადამწყვეტი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მნიშვნელოვანი არაფერი უთქვამს.

ცენტრალური კომიტეტის ყველა წევრზე, მათ შორის ლენინზე, დიდი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა მარტოვის მიერ საკითხის ობიექტურად წარმოჩენასა და დებატების მთავარი საგნის მტკიცე ლოგიკით განხილვას. მაგრამ უმრავლესობას, წინდაწინ მიღებული გადაწყვეტილების გამო, მხოლოდ მარტოვის ნათქვამთან დაპირისპირება შეეძლო.

---

[1] გიორგი ჩიჩერინი(1872-1936) – რუსი მარქსისტი და სახელმწიფო მოხელე, საბჭოთა რუსეთის პირველი საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი. (რედ.)

ლენინის მანევრები და დივერსია

ლენინმა ორაზროვანი პასუხი გასცა. საკითხიდან ყურადღების გადატანას ცდილობდა ან მის შებურვას მარქსისტული ბრძოლის მეთოდების წმინდად თეორიული საკითხებით, რომელიც კონკრეტულ, რეალურ ვითარებებზეა მორგებული და მტერთან ბრძოლის ყველა მეთოდს აღიარებს. ხშირად იმოწმებდა მარქსს, ენგელს, კაუცკისა და იქ დამსწრე პლეხანოვსაც კი, რომელზეც მეტად საქებარი სიტყვებით ისაუბრა.

მისი გამოსვლა დივერსიებითა და მანევრებით იყო სავსე. ერთ რამეში კი სწორი გახლდათ: მართალია, ბოლშევიკების მონაწილეობა ქურდობებში უარყო და მარტოვის მტკიცებულებები უსაფუძვლოდ მიიჩნია, ფრაქციათა ყრილობის დადგენილების ციტირებისას მაინც უსაყვედურა – ამ რეზოლუციების დასკვნები აღარ ჩამოთვალეთო: „მართალია ამხანაგო მარტოვ, პარტიის წევრებს ავუკრძალეთ ყაჩაღობა, მაგრამ იგივე რეზოლუციამ დაგვაკისრა ბრძოლა ხელისუფლების ტერორისა და შავი ასეულების ძალმომრეობის წინააღმდეგ“.

ლენინის სიტყვას მრავალრიცხოვანი და ხანგრძლივი გამოსვლები მოჰყვა, რომელთა შორის მთავარი იყო მაქსიმოვის (ბოგდანოვი), ვოინოვის (ლუნაჩარსკის), ტიჩკოსა[2] (პოლონეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე) და, თუ არ ვცდები, ნიკიტიჩის (კრასინის)[3] მოხსენებები, რომელთა მიზანი დისკუსიისთვის მიმართულების შეცვლა გახლდათ. განსაკუთრებით მაქსიმოვი ირჯებოდა ლენინისთვის თავის მოსაწონებლად (რომლის რისხვა მაინც არ აცდებოდა), ამავდროულად თითქოს თავის გამართლებას ცდილობდა.

უმრავლესობის ყველა ორატორმა კატეგორიულად უარყო ბოლშევიკების როლი მარტოვის მიერ დაბრალებულ მოვლენებში.

პლეხანოვის პოზიცია

პლეხანოვი ყურადღებით უსმენდა ორივე დაპირისპირებულ მხარეს, გულწრფელად უნდოდა, როგორც ხდება ხოლმე, მოცემულ

---

[2] იგულისხმება ლეო იოგიხესი. ლეო იოგიხესი(1867-1919) – (პარტიული სახ. იან ტიჩკა) პოლონელი რევოლუციონერი და პოლიტიკოსი. ცნობილია მისი რომანტიკული ურთიერთობით როზა ლუქსემბურგთან. (რედ.)

[3] ლეონიდ კრასინი(1870-1926) – საბჭოთა პოლიტიკოსი, ბოლშევიკი, 1924 წლიდან საბჭოთა კავშირის ელჩი საფრანგეთის რესპუბლიკაში. (რედ.)

შემთხვევაში მენშევიკები შემცდარიყვნენ. წამოდგა და თავისი ფოლადის ხმით საზეიმოდ განაცხადა – თუ დადასტურდებოდა ექსპროპრიაციაში პარტიის წევრების მონაწილეობა, მაშინ უარს იტყოდა ამგვარი პარტიის სოციალისტების საერთაშორისო ბიუროში წარმომადგენლად ყოფნაზე.

განცხადებამ დამსწრე საზოგადოება შეაშფოთა, ლენინმა მასთან ახლოს, გვერდით მსხდომთ ხმადაბლა გადაულაპარაკა: „პლეხანოვის გარეშე სოციალისტური ინტერნაციონალი ვერ წარმომიდგენია.“ იმ დროს ზემოხსენებული ინტერნაციონალი საყოველთაოდ აღიარებული და დაფასებული გახლდათ, უმაღლესი ზნეობრივი ძალა და იმედი იყო, რომელსაც ყველა დევნილი მიმართავდა, ვინც ციხესა თუ, მეფის რუსეთში, გადასახლებაში იტანჯებოდა. პლეხანოვი ამ ინტერნაციონალის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული წევრი გახლდათ, რომელიც სოციალ-დემოკრატიული პარტიის ჩამოყალიბებამდე და მას მერეც ყოველთვის პარტიას წარმოადგენდა. მისი განცხადების ერთადერთი მიზანი იყო ბოლშევიკები ეიძულებინა თავიანთი უდანაშაულობა დაემტკიცებინათ.

მარტოვის საბრალდებო აქტი

მარტოვმა აღელვებული ხმით გააგრძელა სიტყვა. ხელები უკანკალებდა და ტანით ჩვეულებრივზე მეტად ირხეოდა. ლენინის განცხადებების უარყოფას, საკუთარის დამტკიცებას და რამდენიმე საკითხის დაზუსტებას ისეთი მჭერმეტყველებით შეეცადა, რომ მისი გესლიანი საყვედურები ნამდვილ საბრალდებო აქტად გადაიქცა: “რუსეთში მძვინვარე რეაქციით გამოწვეული ტერორი პარტიის ხელმძღვანელობის მიერ კონგრესის გადაწყვეტილებების დაუცველობის პირდაპირი შედეგი იყო“. ლენინისადმი მიმართვისას განაცხადა: „ამბობთ, რომ სტოკჰოლმის ყრილობაზე მენშევიკები იყვნენ უმრავლესობაში და მიღებული რეზოლუცია თქვენთვის სავალდებულო არაა, მაგრამ ლონდონის კონგრესზე მიღებული რეზოლუცია, სადაც უმრავლესობას ბოლშვიკები ქმნიდნენ, სტოკჰოლმის ყრილობაზე მეტად გმობს ექსპროპრიაციას“. სიტყვა-სიტყვით მოიტანა ლონდონის რეზოლუცია, რომელიც გამონაკლისის გარეშე კრძალავდა „ექსპროპრიაციაში ყოველგვარ მონაწილეობასა და მისი მომხრე პარტიზანების ქმედებების ხელშეწყობას“, ასევე გაიხსენა დადგენილება „პარტიაზე მიმაგრებული

საბრძოლო ქვედანაყოფების (ტერორისტთა სპეციალური ორგანიზაციების) დაუყოვნებლივი დაშლის შესახებ“. მარტოვმა გონივრულად შენიშნა „1906 წელს სტოკჰოლმის ყრილობაზე თავდაცვითი მიზნებისთვის შეიარაღებული დანაყოფების შენარჩუნება გადავწყვიტეთ, რადგან ახლახანს მომხდარი 1905 წლის რევოლუციის მუხტი თითქოს არ დაშრეტილიყო. მაგრამ 1907 წელს, ლონდონის კონგრესზე გაცხადდა, რომ ეს თავშეკავება დიდი შეცდომა გახლდათ და საბედისწერო შედეგები მოჰყვა“.

კონგრესზე დაშვებული შეცდომის გახსენებით, სადაც მენშევიკები უმრავლესობაში იყვნენ, მარტოვი ხაზს უსვამდა პარტიის ბოლშევიკური მმართველობის პასუხისმგებლობას, რომელმაც საკუთარი გადაწყვეტილებების აღსრულებაზე უარი თქვა. სიტყვა დაასრულა ბოლშევიკების მიერ მოწყობილი ან მათი მონაწილეობით ჩადენილი ექსპროპრიაციის დანაშაულებითა და ურალში, პეტერბურგში, მოსკოვსა და კავკასიაში მოწყობილი მრავალრიცხოვანი ტერორისტული აქტის ჩამოთვლით. კრებაზე მძიმე და დამთრგუნველი ატმოსფერო შეიქმნა. ლენინისა და მისი მეგობრების კონტრ-შეტევა სუსტი იყო, განადგურებულები ჩანდნენ, თუმცა არანაკლები თავგანწირვით აგრძელებდნენ თავის მართლებას.

მარტოვი მიხვდა როგორ გასაჭირში ჩააგდო მოწინააღმდეგეები და ამიტომ რეზოლუციის დაუყოვნებელი მიღება მოითხოვა, რომელიც განაახლებდა და განამტკიცებდა ლონდონის კონგრესის რეზოლუციას და გმობდა პარტიის ხელმძღვანელობის პოზიციას. წარმატება უდავო იყო. დებატები მეორე დღისთვის გადადეს.

ლენინის კონტრ-შეტევა

დილა საღამოზე ბრძენიაო, ამბობენ, ლენინმა ამასობაში გაიხსენა, რომ იურიდიული განათლება თავის სასარგებლოდ უნდა გამოეყენებინა. მეორე დღეს ძლიერი კონტრ-შეტევა წამოიწყო. დაადასტურა, რომ წინა დღეს ნახსენები ქმედებები უპასუხისმგებლო ადამიანების – ანარქისტებისა და მაქსიმალისტების – ჩადენილი იყო, რომელთაც საერთო არაფერი ჰქონდათ პარტიასთან. გაგულისებით შეუტია მარტოვს – ვარაუდებსა და იურიდიულ ღირებულებას მოკლებულ, პოლიტიკურ მოსაზრებებზე დამყარებული ბრალდების გამო უსაყვედურა. თავგამოდებით უარყო ყველა დაბრალებული ფაქტი და მარტოვს მატყუარა უწოდა, მტკიცებუ-

ლებების მოტანა მოსთხოვა, ურომლისოდაც განსჯა და რეზოლუციის მიღება შეუძლებელი იქნებოდა.

მარტოვს, კოლეგების უმრავლესობის მსგავსად, იურიდიული განათლება არ ჰქონდა. გუშინ თუ გამარჯვებას ზეიმობდა, დღეს გასაჭირში აღმოჩნდა. როგორ უნდა დაემტკიცებინა ესა თუ ის ბოლშევიკი ექსპროპრიაციისა თუ ტერორისტული აქტის კონკრეტულ დროს სად იყო – პეტერბურგში, მოსკოვში, ურალსა თუ თბილისში? მაშინ ბოლშევიკების მასზე ბევრად თავგამოდებულ მოწინააღმდეგეს, ორნატსკის, მიუბრუნდა, რომლისგანაც ამ ცნობებს იღებდა. არც ორნატსკის შეეძლო მოთხოვნილი მტკიცებულებების დაუყოვნებლივ წარდგენა. გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩენილმა მარტოვმა შენიშნა, რომ ნამდვილად არსებული, მოთხოვნილი მტკიცებულებების მოსატანად დრო იყო საჭირო და რამდენიმე დღის ვადა მოითხოვა. ცხარე პროტესტის მიუხედავად, ამ მტკიცებულებების მოტანის შეუძლებლობაში დარწმუნებული ლენინი და მისი კოლეგები „დიდსულოვნად“ დათანხმდენენ მოთხოვნას.

რამიშვილის გამოსვლა

ვისი იმედი უნდა ჰქონოდა მარტოვს? ქართველი ამხანაგებისგან ეს ესაა შეეტყო ევროპაში ამხანაგი „პიოტრის“ (ნამდვილი გვარი – რამიშვილი, ქართველებისთვის – პეტრე[1]) ყოფნის ამბავი. სწორედ მან იკამათა კობასთან 1905 წელს ბათუმში. ამ გადმწყვეტი კამათის მომსწრე და მონაწილეც ვიყავი. რამიშვილი ცენტრალური კომიტეტის სრულუფლებიანი წევრის, ჟორდანიას, შემცვლელი იყო, რომელიც იმ დროს პეტერბურგის ციხეში იჯდა. ლაიფციგში მყოფ პეტრეს მარტოვმა ტელეგრამით მიაწვდინა ხმა.

ცენტრალური კომიტეტის ხელახლა შეკრებისთანავე რამიშვილი ჟენევაში ჩამოვიდა და დისკუსიებიც განახლდა. ლენინმა, ბოგდანოვმა, მიკიტიჩმა და ტიჩკომ რამდენჯერმე უშედეგოდ სცადეს რამიშვილის მიერ წარდგენილი ახალი ფაქტების ეჭვქვეშ დაყენება. ამჯერად საქმე აღარ ეხებოდა ორნატსკის (ჩიჩერინის) მოწოდებულ ინფორმაციებს ისეთ საკითხებზე, რომლებზეც არც მტკიცებულებები არსებობდა და არც რამე კონკრეტული დეტალები. რამიშვილმა კონკრეტული ფაქტების სახით წარმოადგინა კავკასიის ცენტრალური კომიტეტის გრძელი და ზედმიწევნით შედგენილი

[1] იგულისხმება ნოე რამიშვილი. (რედ.)

გამოძიება, დეტალური გარემოებებით, მიზეზებითა და შედეგებით. აღნიშნულმა კომიტეტმა თავი ვალდებულად მიიჩნია მკაცრი პასუხი მოეთხოვა ყაჩაღობად გადაგვარებულ „ექსპროპრიაციის“ აქტებზე, რომელმაც პარტიას დიდი ზიანი მიაყენა, დემორალიზაციის საშიშროება შეუქმნა და ხალხი მეფის ხელისუფლების საშინელი რეპრესიების საფრთხეში ჩააგდო. პარტია თავდასაცავად იძულებული გახდა თავისი რიგებიდან ყველა ნდობადაკარგული წევრი გაერიცხა: „გარწმუნებთ ჩვენც ძალიან გაგვიჭირდა, მაგრამ ვალდებულები გახლდით ასე მოვქცეულიყავით, რადგან საქმე პარტიის უსახელო წევრებს კი არ ეხებოდა, არამედ გამოჩენილ მებრძოლებს, ყველა ჩვენი პარტიის ბოლშევიკურ ფრაქციას ეკუთვნოდა. ისიც უნდა გითხრათ, გაოგნებულები ვიყავით, როცა ვუსმენდით თავიანთ ქმედებებს როგორ ამართლებდნენ ზემოდან მიღებული მითითებებითა და მანდატებით. ამავდროულად ვიცოდით, რომ საჭირო იარაღს ადგილზე კი არ აწარმოებდნენ, არამედ პეტერბურგიდან და ფინეთიდან იღებდნენ.“

კრებაზე მრავალი შეხლა-შემოხლა მოხდა. წამოყენებული დებულების მხარდასაჭერად საჭირო იყო საბრალდებო აქტის ავტორების გვარებისა და პარტიიდან გარიცხულთა სიის შეტყობინება. როცა რამიშვილმა სია წაიკითხა, რომელშიც შედიოდნენ კოტე (ცინცაძე), სტეპკო (ინწკირველი), ვანო (კალანდაძე), კამო (ტერ-პეტროსიანი), იქვე აღნიშნა, ყველას ამხანაგი კობა (სტალინი) ხელმძღვანელობდა. ლენინმა შეაწყვეტინა და სთხოვა ამ უკანასკნელის გვარი არ გაემხილა. რამიშვილმა ღიმილით უპასუხა: „არც ვაპირებდი – დასახელების გარეშეც საკმაოდ ცნობილია, როგორც კავკასიელი ლენინი“!

მაშინ ლენინმა ჰკითხა – „ამხანაგო პეტრე, პასუხისმგებლობას იღებთ იმაზე, რომ ამ გვარებს პოლიციას არ გაუმხელთ?“

- „სრულიად!“ უპასუხა რამიშვილმა.
- „პროტოკოლში ვწერ ფაქტს – ოფიციალურად პასუხისმგებლობას იღებთ, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ამხანაგებს საფრთხე არ შეექმნებათ“.
- თუნდაც ათასჯერ ჩაწერეთ! შეჰყვირა რამიშვილმა და თავის მხრივ ჩაეკითხა რატომ ფიქრობდა, რომ საფრთხე ემუქრებოდათ.
- ლენინმა მიახალა: „რადგან დაკავებულები არიან. მეფის ხელისუფლებამ რომ იცოდეს რატომ გარიცხეს პარტიიდან, ყოველმიზეზგარეშე სიკვდილს მიუსჯიან“.

მასების დისციპლინის შესანიშნავი შემთხვევა

მაშინ რამიშვილმა ისეთი რამ განაცხადა, რომელმაც საყოველთაო გაოცება გამოიწვია, ამავდროულად, სრულიად დააკმაყოფილა ლენინი: „უკვე ორი წელია, უკვე ორი წელია, ყველა ჩვენს ორგანიზაციაში აქტივისტების პოზიციაზე ვკამათობთ: ბათუმში, ფოთში, გურიასა და განსაკუთრებით თბილისში“

რამდენიმე წამოძახილმა სიტყვა შეაწყვეტინა – „რატომ ორი წელი?“

იმიტომ რომ, კოტე ცინცაძის „მოულოდნელი სამხედრო ოპერაცია“ 1906 წლით თარიღდება (საფოსტო ვაგონიდან 21000 რუბლის მოპარვა), რასაც მთელს პროვინციაში საშინელი რეპრესიები მოჰყვა. ორი წლის განმავლობაში მრავალი განხილვის მიუხედავად, პოლიციას არაფერი შეუტყვია. თუმცა, ეს აქტივისტები შედარებით უმნიშვნელო დანაშაულებისთვის რამდენჯერმე დააკავეს, მცირე ეჭვიც კი კმაროდა ფორმალობის გარეშე მათი სიკვდილით დასჯისთვის. ახლა მე გთხოვთ თქვენ, კომიტეტის წევრებს, ისეთივე წინდახედულობა და სიფრთხილე გამოიჩინოთ, როგორც ათასობით მუშამ ამ წევრების საქმეების განხილვისას და დისციპლინის დასაცავად პარტიიდან გარიცხვისას. ამავდროულად დამსმენლებისგან მალავდნენ და მეფის ჯალათებისგან იცავდნენ.“

ცხადია, ამ გრძელი დიალოგიდან მხოლოდ არსებითს ვციტირებ, კერძოდ, იმ ადგილებს, სადაც რამდენიმე საათიანი ხანგრძლივი, გაცხარებული დისკუსიის განმავლობაში მოწინააღმდეგეებისთვის დამახასიათებელი ურთიერთპატივისცემა ჩანს. თუმცა, ლენინს ოპონენტების შებრალება არ სჩვეოდა.

გამოვტოვებ იმ მომენტებს, როცა სიტყვას გააფთრებით აწყვეტინებდნენ და რამიშვილიც ასევე გახელებით პასუხობდა, რაც აყალ-მაყალში გადაზრდის საფრთხეს ქმნიდა. წერეთელივით ტრიბუნი და დიდი თავყრილობის ორატორი არ იყო. სამაგიეროდ, ამგვარ კამათში ძლიერი კამათში ძლიერი ოპონენტი თავის სტიქიაში იყო. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, როცა დავინახე – ისეთივე ავტორიტეტული ტონით მიმართავდა პარტიის ქურუმებს, როგორც სამი წლის წინ, ბათუმში, კობასთან დებატების დროს.

მართლაც გასაოცარი განცხადება იყო: წლების განმავლობაში ჩადენილი ასეთი სერიოზული დანაშაულები ისე განიხილეს და ამხანაგები პარტიიდან ისე გარიცხეს, რომ პარტიის სახელისუფლებო ორგანოებსა თუ მათ შპიონებს არაფერი გაუგიათ. *მსო-*

ფღიო ისტორიაში მასების ასეთი დისციპღინა გაუგონარი გახღდათ. რამიშვილივით ამდენი წელი ხელთ გეპყრას მოწინააღმდეგეების ბედი და მკაცრ საიდუმლოდ შეინახო, მაშინ, როცა ინფორმაციის მცირე გაჟონვაც კი საკმარისია მათი ლიკვიდაციისთვის! ყოველგვარ წარმოსახვას სცდებოდა ხასიათის ასეთი სიმტკიცე. *კავკასიის ხუსეთის სოციაღ-ღემოკრატ მუშათა პარტიის* რეგიონალური კომიტეტის სხდომებითა და გადაწყვეტილებებით გამოვლენილი უდავო ფაქტებით გამყარებულმა რამიშვილის ოსტატურმა მოხსენებამ რუსი მენშევიკები გადაარჩინა და მარტოვს გაამარჯვებინა – მისი დებულებებისთვის საჭირო მტკიცებულებები მოიტანა. თუმცა, ეს გამარჯვება მხოლოდ კავკასიაში მოიპოვეს.

მარტოვმა თავად რუსეთში – პეტერბურგში, მოსკოვსა და ურალში – ბანდიტიზმის შემთხვევებსა და პარტიის ყოფილ წევრებზე გაამახვილა ყურადღება, მაგრამ მტკიცებულებებისა და დეტალების წარდგენა ვერ შესძლო – ორნატსკიმ (ჩიჩერინმა) იმედები გაუცრუა. ეს შეცდომა განდგომილთა ცვალებადი ბუნების უცოდინრობით აიხსნება. უნდა სცოდნოდა, რომ მენშევიზმზე მოქცეული „მეფის შეუმდგარი მოხელე“ (ლენინის გესლიანი შენიშვნა ჩიჩერინის მიმართ) დიდხანს არ დარჩებოდა მენშევიზმში. მისი საბრალდებო სიტყვა, რომელიც გადამწყვეტად მიაჩნდა, გაგრძელდა დიდხანს და უნაყოფოდ დასრულდა: ცენტრალური კომიტეტისგან ვერ მიაღწია ლენინის, ესე იგი თავად კომიტეტის, დაგმობას – ამ უკანასკნელს 1907 წელს ლონდონში ჩატარებულ კონგრესზე მხარს უჭერდა უმრავლესობა, რომელმაც პარტიის მართვა ლეგიტიმურად მიანდო. გარდა ამისა, ამ ინსტანციას საჭირო კომპეტენცია არ გააჩნდა – დირექციის საქმიანობის შეფასება პარტიის ყრილობაზე უნდა მომხდარიყო.

ლენინისგან მოტყუებული მენშევიკები

სამაგიეროდ, 1906 წლის სტოკჰოლმის ყრილობაზე აბსოლუტური უმრავლესობა მოიპოვეს და პარტიის მმართველობამ არჩევნებზე კანდიდატებადაც წარადგინა. ლენინმა სწორედ ამ წელს მაქსიმოვთან (ბოგდანოვთან) და ნიკიტიჩთან (კრასინთან) მჭიდრო თანამშრომლობით საიდუმლოდ დააფუძნა პარტია პარტიაში, რომელსაც სათავეში ჩაუდგა. ფინეთში გენშტაბიც დაარსა. ნიკიტიჩი (კრასინი) მაღალი რანგის ინჟინერი გახლდათ – მოხერხებული და უშიშარი, პეტერბურგში გახსნილ ლაბორატორიაში

სხვადასხვა ჯურის ბოლშევიკი და არაბოლშევიკი აქტივისტებისა და მეამბოხე დანაყოფებისთვის ჩუმად აწარმოებდა დღეში 150 ასაფეთქებელს (მარტივად გამოსაყენებელ ბომბებს). ამგვარად, ლენინმა, რომელსაც თეორიულად სასტიკი ბრძოლა გაეჩაღებინა ყველასთან, ვინც ზედმიწევნით არ იცავდა მარქსისტსულ დოგმებს, ცარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად პრაქტიკულად საერთო ფრონტი შეკრა მარქსიზმის ყველაზე საშინელ მოწინააღმდეგეებთან, ყველა ტიპის ანარქისტსა და მაქსიმალისტთან. მისი ბრძანებით ხსენებული ლაბორატორიიდან იღებდნენ ყოველგვარ იარაღსა და საომარ ხელსაწყოს. ტერორიზმის, „ექსპროპრიაციის“, ძარცვის აქტები თავიდან თითქოს ამართლებდნენ ლენინის აჯანყების თეორიას. შედეგებმა სამთავრობო წრეებში პანიკა გააღვივა – ასეულობით მსხვერპლიდან ნახევარი უდანაშაულო იყო, აღირიცხებოდა შეიარაღებული ძარცვის ათეულობით შემთხვევა. ამის შემდეგ ყველაფერი გაუარესდა, მარტივ ყაჩაღობად და ქურდობად გადაგვარდა, გაიზარდა მსხვერპლის რაოდენობა, ამან მძაფრი რეაქცია გამოიწვია მოსახლეობაში, რომელმაც უარი თქვა რევოლუციის გზაზე. ამას ცარისტული ტერორიზმის მძვინვარება მოჰყვა: უამრავი ჩამომხრჩვალი, პატიმრებით გაძეძგილი ციხეები, ათეულობით ათასი გადასახლებული. ასე აღიკვეთა რუსეთში ყოველგვარი რევოლუციური აქტივობა. ლენინის აჯანყების თეორიამ რევოლუციის დაჩქარების ნაცვლად, რასაც მისი ავტორი იმედოვნებდა, მარცხი განიცადა და რამდენიმე წლით უკან გადაგვისროლა. საფრთხისგან გაქცეულმა პარტიის მმართველებმა პეტერბურგი და ფინეთი დატოვეს და შვეიცარიას შეაფარეს თავი. დღის წესრიგში დაყენებული საკითხი შეეხებოდა ცარისტების მიერ სისხლში ჩახშობილ მოძრაობას, რომელიც ერთი წლის წინ განადგურდა. ამგვარად, ეს მოძრაობა მხოლოდ ისტორიული ინტერესის საგანი იყო, მისი განხილვა ობიექტური მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად ჯერ ძალიან ადრე, ხოლო პოლიტიკური მიზნებისთვის გამოსაყენებლად კი ძალიან გვიანი იყო. როგორც ბრძოლის ველზე, ისე აქ, დროის სწორად შერჩევას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

რუსი მენშევიკები ყოველთვის იგვიანებდნენ, ამას პლეხანოვი სასოწარკვეთამდე მიჰყავდა. ბერნისა და ნიცის შემდეგ გამართულ შეხვედრებზე რამდენიმე სახასიათო ამბავი მიამბო, რომელთაგან იმ დროს ერთი განსაკუთრებით ცნობილი იყო:

ვიცით, რომ ლენინი თავისი სტრატეგიით ორი მიზნისკენ მიისწრაფვოდა: შეძლებისდაგვარად ბევრი ფული სჭირდებოდა

ერთი მხრივ აჯანყებულთა რაზმების ჩამოსაყალიბებლად და რევოლუციური საქმიანობის გასაშლელად, მეორე მხრივ კი, მენშევიკების დასაუძლურებლად. მდიდარმა ინტელექტუალმა, სახელად კუკლინმა, ჟენევაში რუსი ემიგრანტების განკარგულებაში მნიშვნელოვანი ბიბლიოთეკა დატოვა. მენშევიკები მეტად მოსწონდა, ამიტომ გარდაცვალებამდე ამ უკანასკნელებს დიდი სახლი უანდერძა მოსკოვში. ანდერძის ამსრულებელი მენშევიკების თავკაცი მარტინოვი იყო. ეს უკანასკნელი ჟენევაში დაიარებოდა და ამხანაგებს ანდერძის დოკუმენტს აჩვენებდა – ლენინს კი სახლი 80000 რუბლად (დღევანდელი 250000 ოქროს ფრანკი) უკვე გაეყიდა და თანხა დანიშნულებისამებრ კიდეც გამოეყენებინა. ამ ისტორიას როცა ახსენებდნენ მარტინოვს, გამუდმებით ერთსა და იმავეს პასუხობდა: „ტყუილია, შეუძლებელია, ანდერძის აღმსრულებელი მე ვარ -მოწმობა ჯიბეში მიდევსო!“

ლენინს როცა ეს ამბავი უამბეს, ბუნებრივია ყველაფერი უარყო, ამავდროს სიცილისგან მთელი ტანით ისე ცახცახებდა და „ჰმ... ჰმ...ჰმ“-ო გაიძახოდა, რომ უსიტყვოდ დაადასტურა ბრალდება.

ცენტრალური კომიტეტის დისკუსიებს დავუბრუნდეთ, უნდა აღინიშნოს, რომ რამიშვილის მიმართ ლენინი დიდ თავაზიანობას იჩენდა. როცა მისი კოლეგები გამუდმებით სიტყვას აწყვეტინებდნენ, თავად დიდი ყურადღებით უსმენდა. ლენინმა კეთილი ნება გამოიჩინა და „ექსპროპრიაციებთან“ დაკავშირებით „კავკასიაში მიღებულ მითითებებზე“ ცხადი მინიშნება აპატია. მისი მხრიდან, ეს კავკასიის ბოლშევიკ ხელმძღვანელებთან დაკავშირებით რამიშვილისგან მიღებული გარანტიების საზღაური იყო. საქმე ეხებოდა იმ დროს ბაქოში, ბაილოვის ციხეში მყოფ ამხანაგ კობას (სტალინს) და თბილისის ციხეში მჯდომ კოტეს (პირველმა შეასრულა ლენინის მითითებები სახაზინო ფონდების „ექსპროპრიაციის ბოლშევიკური წრის“ ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით და სანკტ-პეტერბურგის დუმაში ბოლშვიკური ფრაქციისთვის ჭიათურის რკინიგზის დაყაჩაღებით აღებული 21000 რუბლიდან 15000 რუბლის გაგზავნის შესახებ).

მარტოვის დებულების მხარდასაჭერად რამიშვილის მოტანილმა მტკიცებულებებმა მოულოდნელი შედეგები გამოიღო: იმის ნაცვლად, რომ მარტოვის მოსაზრებები განემტკიცებინა და ლენინის ბრალეულობასთან დაკავშირებული საკითხები გადაეჭრა, ორივე უკანა პლანზე გადასწია. პირიქით, ხელი შეუწყო პარტიაში სოციალისტთა საერთაშორისო ბიუროს წარმომადგენლის თანამდებობაზე ლენინის წინსვლას.

ფაქტობრივად პლეხანოვმა განაცხადა, რომ თანამდებობას საბოლოოდ ტოვებდა, რადგან არ შეეძლო ექსპროპრიაციის საქმეებით სახელგატეხილი პარტიის წარმომადგენელი ყოფილიყო. ამან საყოველთაო აღელვება და დაბნეულობა გამოიწვია. ყველა აზრის შეცვლას სთხოვდა. თუმცა, ამ გადაწყვეტილებით ბოლშევიკები მენშევიკებზე მეტად დათრგუნული ჩანდნენ. ლენინმა მარტოვზე ადრე გულწრფელად სცადა პლეხანოვისთვის გადაწყვეტილების გადათქმევინება. მარტოვი რომ დარწმუნდა პლეხანოვი საბოლოოდ ამბობდა უარს, ლენინის კანდიდატურა წამოაყენა (ლენინის ასალაგმად!)! ამ უკანასკნელმა ბევრი იუარა, თუმცა, მაინც დათანხმდა....

ახლა ზედმეტი არ იქნება ერთი პატარა თავშესაქცევი ამბის მოყოლა:

ზემოთ როგორც ვთქვით, რამიშვილს უხეშად აწყვეტინებდნენ სიტყვას, ამას აკეთებდა პოლონეთის პარტიის ბოლშევიკური ფრაქციის წარმომადგენლი – ტიჩკო, რამაც ამავე პარტიის მენშევიკური ფრაქციის წარმომადგენლის, ჟალევსკის, სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია. თუმცა, ჟალევსკი სხდომის შემდეგ, როცა აღფრთოვანებით ყვებოდა მოხერხებული პასუხებით რამიშვილმა როგორ მიუჩინა საკადრისი ადგილი თავის მოწინააღმდეგეს, მის დამსახურებას თავშეუკავებლად აზვიადებდა და ამავდროულად ტიჩკოს მიმართ აღშფოთებას გამოხატავდა. მხოლოდ ის იყო, რომ ჟალევსკისგან განსხვავებით, ტიჩკო ნიჭიერი ორატორი გახლდათ და ზალენსკი ამ საქციელით მხოლოდ საკუთარ სიმდაბლეს უსვამდა ხაზს. ამაში იყო რაღაც კომიკური, მით უმეტეს, ზოგიერთი მზაკვრულად ამტკიცებდა, რომ ამ ორს შორის მტრობა პოლიტიკის საზღვრებს სცდებოდა და პირად ინტერესებში გადადიოდა: ჟალევსკის ტიჩკოს წინააღმდეგ გულში ბოღმად ჩაედო, საკუთარი ცოლის, როზა ლუქსემბურგის მოხიბვლა, რაც არ უნდა იყოს, ჟალევსკის მიერ ტიჩკოს ასეთ მხილებას შეიძლება მწვავე შედეგები მოყოლოდა, რაც ძლიერ მაშფოთებდა: ვშიშობდი ჩემთვის არ მოეწერათ ეს სიტყვები, ამიტომ მეგობრებთან კრინტი არ დამცდენია კრებაზე დასწრების შესახებ. რაც თავისთავად არ მსიამოვნებდა, თუმცა მეტად მტანჯველი ის იყო, რომ იძულებული გახლდით ჩემი ძმისთვისაც არფერი გამემხილა.

ქართველი რევოლუციონერის საინტერესო სახე

ამ კრებებმა, სხვათა შორის, ორმაგად გამახარა. პირველ რიგში, 1905 წლის გაზაფხულზე კობასთან (სტალინთან) გამართული ცნობილი დებატების შემდეგ პირველად მომეცა ნოე რამიშვილის ნახვის შესაძლებლობა (არ იცოდა კრებას რომ დავესწარი და მის მოხსენებას მოვუსმინე), რამაც დიდი სიამოვნება მომანიჭა. ცარისტული ხელისუფლების სიფხიზლის მიუხედავად, მაინც შეძლო იატაკქვეშა საქმიანობის გაგრძელება, ამ დროს, 1906 წლის დასაწყისში, ქუთაისში დამაკავეს, წლის ბოლოს გადამასახლეს და ციმბირიდან გაქცევა მხოლოდ 1908 წლის მაისში მოვახერხე. საუკეთესო ორგანიზატორთან ერთად შესანიშნავი რევოლუციონერი ბელადი და სახელმწიფო მოღვაწეც გახლდათ.

„ტჩია“. ვლასა მგელაძე *(1865-1943). ქართველი აქტივისტი. ოჩატოჩი, პოეტი, ჩევოლუციონერებს შორის ერთ-ერთი გამოჩჩეული პიროვნება*

სხვა მეგობარსაც შევხვდი, ვისთვისაც გადაჭარბების გარეშე შემეძლო „მოვლენა“ მეწოდებინა. ახოვანს, ჰერკულესის ძალისა და დაუჯერებელი მოქნილობის პატრონს, შეეძლო ერთ ჯერზე რამდენიმე კილო პური ან მთლიანი ცხვარი ეჭამა ან რამდენიმე დღე პირი არაფრისთვის დაეკარებინა. თუმცა, თავისი ძალა და მოხერხება ბოროტად არასდროს გამოუყენებია. რადგან „ექსპროპრიაციებთან“ დაკავშირებით გაჩაღებულ დებატებზე ვისაუბრეთ, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი ამხანაგის დაჟინების მიუხედავად, არასდროს ჰქონია პირდაპირი თუ ირიბი კავშირი ასეთი სახის საქმიანობასთან. მწერალი და პოეტი, ამასთანავე ორატორად დაბადებული და დახვეწილი სტილის, ფართო თვალსაწიერის მქონე თვითნასწავლი კაცი იყო.

სინამდვილეში ვლასა მგელაძე ერქვა[1], თუმცა, ყველა – რუსი რევოლუციონერები, ევროპელი სოციალისტი ლიდერები და ქართველები, ტრიას (ციყვის) ფსევდონიმით იცნობდნენ. გურიიდან (დასავლეთ საქართველო), ღარიბი გლეხის ოჯახიდან იყო. 14 წლის ასაკში, როცა წერა-კითხვაც არ იცოდა, თბილისში წასვლა შეძლო. შემოსავალი სჭირდებოდა, მაგრამ, რადგან არც ხელობა ჰქონდა და არც ქალაქს იცნობდა, სამუშაოს ვერ შოულობდა. საბოლოოდ ერთი სამსახური იპოვა, რომელიც ბიუროს დაგვა-დასუფთავებაში მდგომარეობდა. ხედავდა ყოველ დილით ამ სახლიდან ქაღალდების რულონები გამოჰქონდათ, ადამიანები ამ რულონების გახსნასა და დათვალიერებას ეშურებოდნენ. აინტერესებდა რაში იყო საქმე, ხალხი გამოკითხა. ეს ბიურო დიდი ქართველი პოეტისა და პატრიოტის, თავადი ილია ჭავჭავაძის გაზეთის, *ივეჰიის*, რედაქცია გახლდათ.

მაშინ ამ გაუნათლებელმა ბიჭმა კითხვის სწავლა გადაწყვიტა. სწავლაში ტიპოგრაფი მუშები ეხმარებოდნენ. მიზანს მალევე მიაღწია, ერთბაშად ხელობაც ისწავლა და ჭავჭავაძის ნაწარმოების კითხვაც შესძლო. რევოლუციურ მოძრაობაში დაწყებისთანავე ჩაება. მამაცი, ჭკვიანი და ერთგული, იატაკქვეშა სტამბის ხელმძღვანელად სიხარულით მიიღეს. თავის ახალ „კარიერაში“ ყველაზე სახიფათო თანამდებობებს იკავებდა (დაბეჭდილი გაზეთების, ხშირად თავად სატამბისა და... ბომბების გადატანა უწევდა). ამხანაგების ნდობა და სიყვარული დაიმსახურა, თუმცა ცარისტული პოლიცია მტრად მოიკიდა. მიუხედავად იმისა, რომ თავისი საგმირო საქმეების ჩასადენად დამალვა უწევდა, ცარისტული პოლიცია ხშირად პოულობდა და იჭერდა. გადასახლებული რაღაც სხვა პასპორტით ბრუნდებოდა უკან და საიდუმლო საქმიანობას აგრძელებდა.

მიმართულების განურჩევლად ყველა რუს რევოლუციონერ ბელადს უყვარდა. ყველასთან მეგობრობდა და შენობით მიმართავდა, მათ შორის მაქსიმ გორკსა და შალიაპინთანაც. მის სახელს დაუჯერებელი ლეგენდები უკავშირდებოდა.

სწორედ 1908 წელს, ჟენევაში ჩვენი შეხვედრისას, სპარსეთში რევოლუცია დაიწყო. ტრიას სპარსეთისკენ მიუწევდა გული, მაგრამ ჩასასვლელი ფული არ ჰქონდა. პლეხანოვმა საჭირო თანხა გადასცა და ტრიაც დაუყოვნებლივ გაემგზავრა. აქტიურად მონა-

[1] ვლასა მგელაძე(1868-1943) – ქართველი სოციალ-დემოკრატი, პოლიტიკოსი, 1919 წელს აირჩიეს საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრად, 1921 წლის შემდეგ გაემგზავრა ემიგრაციაში გარდაიცვალა პარიზში, დაკრძალულია ლევილის ქართულ სასაფლაოზე. (რედ.)

წილეობდა რევოლუციაში და ისეთი რეპუტაცია შეიქმნა, რევოლუციონერების მეთაურს, სატრახანს, დაუმეგობრდა და პირველი იყო, ვინც სპარსული პარლამენტი (მეჯლისი) გახსნა!

1906 წელს, თავის საიდუმლო სტამბასთან ერთად სხვაგან უნდა დამალულიყო. თბილისიდან გამგზავრების წინ, ეროვნულ კოსტუმში გადაცმულმა და კარგად შენიღბულმა, ეჭვების გასაფანტად პირველი კლასის ვაგონში აიღო ადგილი. თავადი ილია ჭავჭავაძის პირისპირ აღმოჩნდა, რომელიც, კავკასიის წარმომადგენლის სტატუსით, პირველად მიემგზავრებოდა იმპერიის სენატის სხდომაზე დასასწრებად სანკტ-პეტერბურგში. სახელოვანმა პოეტმა „ახალგაზრდა ბატონთან“ საუბარი წამოიწყო კავკასიისა და ზოგადად რუსეთის სოციალურ და პოლიტიკურ ვითარებაზე, არც საქართველოს ეროვნული პრობლემები დავიწყებია. ყველა საჭირ-ბოროტო საკითხზე საფუძვლიანი პასუხი რომ მოისმინა, გაუკვირდა და ჰკითხა რომელ უნივერსიტეტში სწავლობდა. ტრია წამოდგა, მოწიწებით თავი დაუკრა და უპასუხა: „თქვენს რედაქციაში, ბატონო“. გაოცებული და აღელვებული თავადი თვითონაც წამოიმართა და მკლავი ძმურად შემოაჭდო ზორბა ვაჟკაცს, რომლის არსებობაზე უწინ არაფერი სმენოდა.

ცარისტულ მთავრობას სენატში კავკასიის წარმომადგენლად დიდი ქართველი პატრიოტის ყოფნა არ აწყობდა, ამიტომ, 1907 წელს სოციალისტად გადაცმულ რეჟიმის აგენტს ჭავჭავაძე მოაკვლევინა. აღშფოთებული ქართველი ხალხის დასაწყნარებლად მთავრობამ თვალთმაქცური თანაგრძნობის შეტყობინების შემოთვლა იჩქარა და საზეიმო დაკრძალვის ბრძანება გამოსცა. ხელისუფლება ხარჯებს საკუთარ თავზე იღებდა კავკასიაში მეფის ნაცვლის ვორონცოვ-დაშკოვის[2] უმაღლესი პატრონაჟით. დაკრძალვაზე საქართველოს ყველა პარტიის წარმომადგენელი მოვიდა, მაგრამ ცბიერმა მეფის-ნაცვალმა თადარიგი ადრევე დაიჭირა და მკაცრი პროტოკოლი დაადგინა, რომლის თანახმად არც ერთ საზოგადოებასა თუ პარტიას არ შეეძლო ერთზე მეტი ორატორის ყოლა, რომელსაც თავისი სიტყვა წინასწარ უნდა წარედგინა. ცერემონია დაიწყო, სამალავიდან გამოსულმა ტრიამ ხალხში გზა გაიკვლია, ანაზდად ვორონცოვ-დაშკოვის გვერდით აღმოჩნდა, რომელსაც ეს ესაა ოფიციალური მიმართვა დაესრულებინა და

[2] ილარიონ ვორონცოვ დაშკოვი (1837-1916) – რუსი სახელმწიფო და სამხედრო მოხელე, რუსეთის იმპერიის გენერალი, რუსეთის მეფისნაცვალი კავკასიაში 1905-1916 წწ-ში. (რედ.)

მჭექარე ხმით ქართულად მგზნებარე სიტყვა წარმოსთქვა, ისეთი განსაკუთრებული პატივი მიაგო გარდაცვლილს, რომ დიდი პატრიოტის ყველა დამფასებელი ცხარე ცრემლებით ტიროდა. სიტყვის დასრულების შემდეგ ელვასავით გაქრა.

ჭავჭავაძე საქართველოს პატრიარქალური ელიტის მხცოვანი თაობის წარმომადგენელი იყო, ტრია კი, ახალგაზრდა თაობას ეკუთვნოდა – იატაკქვეშეთში ჩამოყალიბებულს, რომელსაც სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ კლასთა ბრძოლის დოქტრინა ჩაუნერგა.

სოციალურ ნიადაგზე გაჩაღებული მწვავე კონფლიქტის გამო თაობები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. სოციალ-დემოკრატიული პარტია ჭავჭავაძეს აქტიურად უტევდა იმ ტრადიციების გასანადგურებლად, რომელსაც განასახიერებდა.

ჭავჭავაძე პატრიოტი კონსერვატორი იყო, ტრია – უპირატესად რევოლუციონერი. ჭავჭავაძისთვის პატივის მისაგებად ტრიამ იშვიათი მორალური სიმამაცე გამოიჩინა – პოლიციის საფრთხეს არ შეუშინდა და ოფიციალური პროტოკოლი არაფრად ჩააგდო, მეტიც, საკუთარი პარტიის დისციპლინა დაარღვია. პარტიამ ერთადერთ ორატორად ნიკოლოზ ჩხეიძე დანიშნა, მისი სიტყვა, პროტოკოლის თანახმად, წინასწარ წარადგინეს. ტრიას ხელისუფლებისგან დაპატიმრება თუ ასცდა, ამხანაგებისგან სასჯელი მაინც ელოდა. რა თქმა უნდა, დისციპლინის სერიოზული დარღვევის გამო, რაც პარტიიდან გარიცხვას გულისხმობდა, საიდუმლო ტრიბუნალის წინაშე განსაჯეს. „ამხანაგებო, სხვანაირად მოქცევა არ შემეძლო, დამსაჯეთ!“ ასეთი ღირსეული პასუხის პირისპირ მსაჯულებმა გააცნობიერეს თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო მისი საქციელი და იძულებული გახდნენ ეთქვათ – ეს ხომ ტრიაა, ვერაფერს გავხდებითო! ამ სანახაობით გაოგნებულმა მეორე დიდმა პოეტმა, ასევე პატრიოტმა, აკაკი წერეთელმა, განაცხადა – ხალხი, რომელმაც ასეთი მუშა შექმნა, არასდროს მოკვდებაო! უწინ სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიმართ მტრულად განწყობილი, იმ დღიდან „ტრიას პარტიას“ აძლევდა ხმას. 1907 წლის ოქტომბერში, იმპერიის დუმაში ნიკოლოზ ჩხეიძის აბსოლუტური უმრავლესობით არჩევა საქართველოში ცარიზმის საბოლოო დამარცხებას და ქართველი მოსახლეობის გამარჯვებას ნიშნავდა (მოგვიანებით იგივე მოხდა რუსეთში, როცა ათი წლის შემდეგ ჩხეიძე რეჟიმის დამხობას ხელმძღვანელობდა). გამარჯვების აღსანიშნავად ტრიას თაოსნობით სახელდახელო მსვლელობა მოეწყო, პოლიცია ვერაფერს გახდა და ჯარი გამოიძახა. ერთი ჯა-

რისკაცი წინ მოიწევდა, ტრიამ ელვის სისწრაფით ისე გამოგლიჯა იარაღი ხელიდან რომ სხვებიც შეშინდნენ. თოფი დემონსტრაციის ბოლომდე შეინახა, შემდეგ კი უკან დაუბრუნა, რადგან არ სურდა საწყალი დაესაჯათ. ტრიას გმირობის მრავალი ეპიზოდიდან ეს მხოლოდ ერთ-ერთია და ამ განსაკუთრებულ ადამიანის კეთილშობილ გულს კარგად ახასიათებს.

ცნობისმოყვარემ, როცა გაიგო „ჟენევის ბაღის“ სახელით მთა არსებობდა, ბაღის მოსანახულებლად წაყვანა ითხოვა. ჩემმა ძმამ „გრანდ-სალევზე წაგვიყვანა, ტრია აღფრთოვანებული უყურებდა ფერხთქვეშ გადაშლილ მთელ ჟენევას. მოულოდნელად ვანოს მთის სიმაღლეზე დაჭიდება შესთავაზა, ჩემი ძმაც ჯანიანი იყო, დასთანხმდა. ხალხმა ორი დაჭიდებული გიგანტი რომ შენიშნა, მთელი ბრბო შემოიკრიბა. ხან ერთი იგებდა, ხან – მეორე. მაყურებელი აღფრთოვანებული იყო. ეს ამბავი მთელი ერთი საათი გაგრძელდა, ტრიას ეს ესაა უნდა მოეგო, ოვაციები და შეძახილები გაისმა, მაგრამ ტრია გაჩერდა, მოწინააღმდეგის მიწაზე წაქცევის ნაცვლად ხალხისკენ შებრუნდა, ვიღაცის ქუდს წამოავლო ხელი და მაყურებელს ჩამოუარა. ზოგმა ოთხი სუ ჩააგდო, ზოგმა – ოცი და ასე შეგროვდა 100 ფრანკი. იმ დროს ფულს ყველგან ერთი ღირებულება ქონდა, ამიტომ სიღატაკეში ამ თანხამ ცოტაოდენ გაგვამდიდრა.

ერთობ საინტერესო იქნებოდა ვლასა მგელაძის ბიოგრაფია, მაგრამ ამ ჩანაწერების თემაში არ ჯდება. თუმცა, მაინც უნდა ვახსენოთ, რომ ამასობაში მაქსიმ გორკიმ კაპრზე დაპატიჟა, სადაც რამდენიმე კვირა გაატარა, აქვე დაუმეგობრდა ცნობილ რუს მომღერალ შალიაპინს. მასპინძლის დაჟინებული თხოვნით ქართულად დაწერა შალიაპინის მემუარები. გორკი მემუარების ოთხ ევროპულ ენაზე გამოქვეყნებაში დახმარებას სთავაზობდა, რაღაც ნაწილი უკვე ეთარგმნა და ტრიაზე მოთხრობა თავადაც დაეწერა, როცა გააცნობიერა – მემუარების გამოცემა საკმაოდ სახიფათო იყო. ამგვარად, გამოქვეყნება ცარისტული რეჟიმის დამხობამდე გადაიდო. ხელნაწერი გორკის დიდი რუდუნებით უნდა შეენახა.

რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ტრია ნიცაში მესტუმრა, დეპეშა მივიღეთ, – გორკის გადასახლება დასრულებია და რუსეთში გადაუწყვიტავს დაბრუნება, მთელი თავისი არქივიც თან წაუღია, მაგრამ საზღვარზე რუს ჟანდარმებს ჩამოურთემივიათ. კეთილშობილმა ტრიამ, რომელიც თავს მრავალი მეგობრის დაკარგვის მიზეზად მიიჩნევდა, თავის მოკვლა სცადა – ყელზე ყულფი შემოიჭდო და ფანჯრიდან გადახტა. ძლივს გადავარჩინეთ.

ჟენევაში ნანახი სხვა მეგობრები

სინამდვილეში ამ ეპოქის ჟენევა ორ სამყაროს მაგონებს: ერთი – ძველი და მეორე – ახალი, უკვე დაწყებული თუ დასაწყები მეგობრობისა. სასიამოვნოდ გაოცებული დავრჩი რამდენიმე მეგობრისა და ამხანაგის ნახვით. აი, ზოგიერთი მათგანი:

გიორგი ყარაჯიანი[1], სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან დაკავშირებული სომხეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე, რომელთან მეგობრობა 1906 წელს მეტეხისა და უწყებრივ ციხეში ერთად გატარებული რამდენიმე თვის შედეგად გავაბი. 1906 წლის ნოემბერში მოულოდნელად ციმბირში გადამიყვანეს, ყარაჯიანი კი თბილისის ციხეში დარჩა. იმ დროიდან მოყოლებული უშედეგოდ ვცდილობდი მისი ამბების შეტყობას. მრავალი მცდელობის შემდეგ, ქვეყნიდან ხუთი წლით წასვლის უფლება მისცეს, ციმბირში გადეპორტების ნაცვლად, ჟენევაში დაბრუნდა და უნივერსიტეტში სწავლა გააგრძელა.

ვალოდია ოკუჯავა – ქართველ სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის თავმჯდომარე. 1905 წელს ერთად გადავკვეთეთ ჭიათურისა და ქუთაისის რკინიგზა, ნამდვილად კი მომდევნო წელს ციხეში გავიცანი. მეოცნებე მზერით, მომცრო ტანის, ბავშვური სახის ახალგაზრდა სტუდენტი იყო. ძვირფას ფილოსოფოსად აღიარეს. მის ფართო ერუდიციასა და ფენომენალურ მეხსიერებას ორიგინალური და ღრმააზროვანი იდეები ერთვოდა. საზარელ გენერალ ალიხანოვზე თავდასხმის მოწყობის ბრალდებით ჩამოხრჩობა მიუსაჯეს. ციხიდან სახრჩობელის თავიდან ასაცილებლად გაიქცა. უზადო სიცხადით გაიხსენა ყველა ამაღელვებელი მოგონება, მოულოდნელად მკითხა – ნორმალურ პიროვნებად თუ მიმაჩნდა და კიდეც გაბრაზდა, ეჭვობდა სიმართლეს არ ვეუბნებოდი. სინამდვილეში დარწმუნებული იყო – სიგიჟე იპყრობდა. სამწუხაროდ, სამომავლოდ ეს წინათგრძნობა უნდა გამართლებოდა.

სოსიპატრე ასათიანი, ნიკოლოზ კიკნაძე, დათიკო შარაშიძე,ბიქტორ თევზაია, კოლია ქარცივაძე

სოსიპატრე ასათიანი, როგორც იცით, 1905 წლის დეკემბერში დაპატიმრებამდე რამდენიმე დღით ადრე ქუთაისში ვნახე. დაჭე-

---

[1] გევორგ ყარაჟიანი(1861-1936) – (პარტიული სახელი ს.ტ არკომედი) სომეხი პოლიტიკოსი და რევოლუციონერი. სომხეთის სოციალ-დემოკრატიიული პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი. (რედ.)

რის შემდეგ ოცდაათიოდე სხვა დაკავებულთან ერთად ციხიდან გაქცევა შესლო ქუთაისის ციხესა და მეზობელ სახლს შორის გათხრილი გვირაბით, რომელიც მასობრივი გაქცევის ერთადერთი საშუალება იყო.

მეორე, ნიკოლოზ კიკნაძე, იმთავიდან ბოლშევიკი ჭიათურაში ჩვენი დიდი დისკუსიების დროს სტალინის დაცვის წევრი გახლდათ.

დათიკო შარაშიძე, ბიქტორ თევზაია, კოლია ქარცივაძე ქუთაისიდან თბილისში ჩემი გადაყვანისას ახალი დაკავებულები იყვნენ. მტკიცებულებების არქონის გამო ტრიბუნალზე ვერ გადასცეს, ამიტომ ხელისუფლებამ ციმბირში გადასახლება მიუსაჯა, რომელიც საბოლოოდ ხუთი წლით უცხოეთში გადასახლებით შეუცვალეს.

ქარცივაძე ცნობილი ბოლშევიკი იყო – ერთობ მჭერმეტყველი, გონიერი და მოხერხებული. 1905 წლის დეკემბერში გაცხოველებული დისკუსია გვქონდა საფრთხის შემცველი რეაქციის წინააღმდეგ არსებული ტაქტიკის შესახებ. ამიტომ წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, როცა ჟენევაში შევესწარი ეს კაცი როგორ ქადაგებდა ქართველ სტუდენტებს შორის სოლიდარობასა და მენშევიკურ და ბოლშევიკურ ფრაქციებზე დებატებს არ იწონებდა. მოახერხა და ისეთი ბრწყინვალე ურთიერთობა შეინარჩუნა ჩემი ბავშვობის მეგობარ შარაშიძესთან რომ 1913 წელს ქვეყანაში დაბრუნებულმა „ალიონისტთა“ ჯგუფი დაარსა და წმინდად ეროვნული ტენდენციების ჟურნალი გამოსცა. ამ ეპოქაში მრავალი კრება, შეხვედრა და დისკუსია გაიმართა. მეხსიერებამ იმდენი მოგონება შემომინახა რომ ყველას სიტყვა-სიტყვით ვერ მოვყვები. კიდევ ორ მოგონებას გავიხსენებ:

ჟენევის ქართულ წრეებში ხშირად აღფრთოვანებით საუბრობდნენ პროფესორ „მილოზე“. ეს უკანასკნელი მარქსისტი არ გახლდათ, თუმცა მისი მომხრეების უმეტესობა „მარქსისტული დოგმების“ ქომაგები იყვნენ. წარმოიდგინეთ ჩემი ცნობისმოყვარეობა! ერთ დღეს, ქართველი სტუდენტების ჯგუფმა, მათ შორის ჩემმა ძმამ, თევზაიამ, ქარცივაძემ და შარაშიძემ ჟენევის უნივერსიტეტში წამიყვანეს საყვარელი „მოწინააღმდეგის“ მოსასმენად. კათედრაზე ახალგაზრდა პროფესორი დავინახე, პატარა ულვაშებითა და ქერა წვერით. ლექციის თითოეულ სიტყვას ისე გარკვევით გამოთქვამდა, თითქოს ფრანგული დიქციის მაგალითს იძლეოდა. მიუხედავად ამისა, ნათქვამიდან ბევრი ვერაფერი გავიგე,

რადგან ზოგიერთ ეკონომიკურ დებულებებსა და კონცეფციებს აკრიტიკებდა, ავტორების ჩამოთვლისას, გვარებს ფრანგულ ყაიდაზე წარმოთქვამდა, მაგალითად, კაუცკის „კოცკიდ“ მოიხსენიებდა, მე კი გერმანულ ხმოვანებას ვიყავი შეჩვეული. განხილვის თემას მხოლოდ მაშინ მივხვდი, როცა დათიკომ მარქსისტი თეორეტიკოსის დასაცავად დისკუსია წამოიწყო. ლექციის დასრულების შემდეგ დათიკომ მოწიწებით გამაცნო თავისი მასწავლებელი. საქმე ეხებოდა გამოჩენილ პროფესორს ედგარ მილოს, რომელთანაც მომავალში ხანგრძლივ და მტკიცე მეგობრობას დავამყარებდი.

ამხანაგი სერგეი დაჟინებით ცდილობდა ჩემთან კარგი დამოკიდებულების შენარჩუნებას, ერთ საღამოს (ლენინთან დაუვიწყარი შეხვედრის შემდეგ) მასთან და მის მოხდენილ მეუღლესთან ერთად სავახშმოდ მიმიწვია. ქალაქში ვახშმობა დაიჩემა, თანაც უნდოდა საკმაოდ ადრე დაგვეწყო, რათა საკმარისი დრო ჰქონოდა, როგორც თავის მეუღლეს ეუბნებოდა, „ამხანაგ ხარიტონთან სასიამოვნო საღამოს გასატარებლად და მისთვის მოულოდნელი საჩუქრის მოსაწყობად“. რესტორნიდან გამოსულებს შენობისკენ გაგვიძღვა, უამრავ ადამიანს მოეყარა თავი – თეატრის შენობაში ჟენეველებს ვერ შეეღწიათ, აღშფოთებულები გაჰყვიროდნენ „ადგილები რუსებმა დაიკავესო“. განწყობას ჩემი გულისხმიერი კომპანიონიც იზიარებდა, რადგან თადარიგი არ დაეჭირა და წინასწარ ადგილები არ დაეკავებინა. საღამოს ვარსკვლავი თავად ცნობილი იტალიელი ტენორი კარუზო[1] გახლდათ – რუსეთის ბრწყინვალე ტურნეს შემდეგ, რომლის შესახებაც რუსულ პრესაში ბევრი ისაუბრეს, ჟენევაში ჩამოსულიყო. ოდესაში სპექტაკლის დასასრულს ერთ სტუდენტს თავიც კი მოუკლავს და გენიალური მომღერლისთვის ამაღელვებელი წერილი მიუძღვნია – ღრმა მადლიერებას გამოხატავდა ასეთი ღვთაებრივი სიხარულის მინიჭებისთვის, და ამ ნოტაზე სურდა სიცოცხლის დასრულება. ჟენეველი საზოგადოების სავალალოდ ჟენევის ორიათასამდე სტუდენტი კარუზოს მოსასმენად გაეშურა.

---

[1] ენრიკო კარუზო(1873-1921) – იტალიელი საოპერო მომღერალი, საოპე-

დასკვნა

რთულია დროის მოკლე – მხოლოდ სამკვირიან- მონაკვეთში ამდენი მოულოდნელად ნანახისა და გაგონილის ორი სიტყვით შეჯამება. მხოლოდ ორი მოვლენა გავიხსენე: რუსეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერებთან შეხვედრა და მოგვიანებით, ამავე პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყრილობა.

ლიდერებთან განსაკუთრებულ გარემოებებში სხვადასხვა დროს შემდგარმა შეხვედრებმა მათ ხასიათზე, ტემპერამენტზე, უნარებსა და მენტალიტეტზე სწორი აზრის ჩამოყალიბების საშუალება მომცა.

ცენტრალური კომიტეტის ყრილობის დებატებში ამა თუ იმ პიროვნების პოზიციამ წარმოდგენა შემიქმნა და ბუნდოვანი წინათგრძნობით რ.ს.დ.მ. პ.- ის პირქუში მომავალი, და შესაბამისად, მათი ქვეყნის სამწუხარო ხვედრი ვიგრძენი.

გახმაურებულმა ყრილობამ მწვავე პრობლემების გადაჭრისა და მშვიდობის დამყარების ნაცვლად უფრო მეტად გამოკვეთა არსებული ანტაგონიზმი და ბიძგი მისცა პარტიის დანაწევრებას.

ლენინმა ამ დროს დაწერა ნაშრომი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“, რომელშიც მთავარი თანამოაზრეების, ბოგდანოვისა და ლუნაჩარსკის, საწინააღმდეგო პოზიცია დაიჭირა; ამვდროულად პლეხანოვმა მენშევიკები „პარტიის ლიკვიდაციისკენ“ მისწრაფებაში ამხილა. ამას თითქოს ლენინი და პლეხანოვი უნდა დაეახლოვებინა და ლენინისთვის საკუთარი ფრაქციის ფილოსოფოსთა წინააღმდეგ წამოწყებული ბრძოლით გამოწვეული დიდი დანაკარგი აენაზღაურებინა. თუმცა, სანამ ინტელექტუალი წევრების წმენდით იყო დაკავებული, ამ უკანასკნელებმა „ესთეტთა“ ჯგუფი ჩამოაყალიბეს და 1910 წელს ანონიმური პუბლიკაცია გამოაქვეყნეს, რომელიც პარტიის ხელმძღვანელების განმაქიქებელი ერთობ გონებამახვილური კარიკატურებით იყო შემკული და მათ ლიკვიდაციას იუწყებოდა. შერცხვენილმა ლენინმა პლეხანოვს მიანდო პასუხის გაცემა და რ.ს.დ.მ.პ.-ის (სინამდვილეში ბოლშევიკური ფრაქციის) ცენტრალურ ორგანოსთვის – სოციალ-დემოკრატისთვის – შესანიშნავი სტატიაც მიიღო

ამ ორი ადამიანის დაახლოებით შეიქმნა გამოთქმა „ლენინ-პლეხანოვის ბლოკი“, თუმცა, პლეხანოვი ამის შემდეგაც კვლავ ძველებურად აგრძელებდა პარტიის ორივე ფრაქციის კრიტიკას.

რიო მუსიკის ერთ-ერთი ყველაზე განთქმული ტენორი.(რედ.)

1912 წლის იანვარში ლენინმა პრაღაში რ.ს.დ.მ.პ.-ის (უფრო ზუსტად თუ ვიტყვი, ვინც პარტიიდან „მამების“ გარიცხვის შემდეგ დარჩა) კრება მოიწვია, რომელზეც მიიღეს „პარტიის გამოსწორების“ რეზოლუცია. აღნიშნულ კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილებების შემდეგ ლენინმა პარიზი დატოვა და რუსეთის საზღვართან ახლოს, გალიციაში, დასახლდა, საიდანაც იმავე წლის 5 მაისიდან მოყოლებული სანკტ-პეტერბურგში ჟურნალ „პრავდას“ ლეგალური გამოცემა მოახერხა.

შეიძლება გაგიკვირდეთ – პარტიის თავკაცებზე საუბრისას ტროცკის გვარი არ მიხსენებია. ამის მიზეზი კი ისაა, რომ არასდროს ყოფილა პარტიის ხელმძღვანელებს შორის. საკმარისია შეგახსენოთ – პრაღაში ლენინის „წარმატების“ მოშურნემ და მისი წამოწყების განადგურების მსურველმა, ბოლშევიკების ყველა დაჯგუფებების წარმომადგენლებისა და მათი მეთაურების, მარტოვის, აქსელროდის, მარტინოვის, დანისა და ბუნდის ვენაში შეკრების ინიციატივა საკუთარ თავზე აიღო. კრება 1912 წელს შედგა. ტროცკიმ შესავალი სიტყვა წარმოთქვა და რეზოლუცია შესთავაზა, რომლის მიღების შემთხვევაში, მოზრაობის სათავეში ჩადგომას და მენშევიკების აღიარებულ თავკაცად გახდომას იმედოვნებდა, მაგრამ კენჭისყრისას მხოლოდ ერთი ხმა მიიღო – საკუთარი. კრება დატოვა და „აგვისტოს ბლოკის“ წინააღმდეგ სასტიკი კამპანია დაიწყო. აგვისტოს ბლოკი ყველა მენშევიკს აერთიანებდა ვენაში არსებულ სამდივნო გენშტაბთან ერთად.

აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, რომელიც პარტიის ორ ფრაქციას ერთმანეთს უპირისპირებდა, რ.ს.დ.მ.პ. კვლავ ძველებურად, ოფიციალურად აგრძელებდა არსებობას და სახელწოდებას ორივე ფრაქცია იყენებდა.

თუმცა, საუკეთესო მდგომარეობაში ლენინი იყო – ისეთ ძლიერ იარაღს ფლობდა, როგორიც ცენტრალური კომიტეტია. ამავდროულად, როგორც პარტიის წარმომადგენელი საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში, ყველაზე მაღალ თანამდებობას იკავებდა. მისდა სამწუხაროდ, 1914 წლის დასაწყისში, სახელმწიფო დუმაში მისი პრესმდივანი, დეპუტატი მალინოვსკი, ცარისტული ოხრანკის (პოლიტიკური პოლიცია) სამსახურში მყოფი აგენტი-პროვოკატორი აღმოჩნდა.

ბუნებრივია, პარტიაში ამას მოწინააღმდეგეების პოზიცია უნდა გაეძლიერებინა და ლენინისა შეესუსტებინა. მოწინააღ-

მდეგეებისთვის კარგი საბაბი იყო შარის მოსადებად. რიგგარეშე ყრილობაზე საერთაშორისო სოციალისტთა ბიუროსა და ყველა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენელთა ბრიუსელში მოწვევას ითხოვდნენ. ყრილობის მიზანი პარტიის ერთიანობის აღდგენა და რუსეთის ავტოკრატიის წინააღმდეგ საბრძოლველად უკეთესი პირობების შექმნა იყო. წარმომადგენლები ბრიუსელში შეიკრიბნენ ლენინის გარდა, რომელიც მიუხედავად ყველაფრისა, ბიუროს წევრად რჩებოდა. ამის მიზეზი კი მისი მყიფე მდგომარეობა გახლდათ. ისინიც კი დაუპირისპირდნენ, ვინც როზა ლუქსემბურგივით, ყველა ყრილობაზე მხარს უჭერდა და კეთილგანწყობილები იყვნენ. აქსელროდი, პლეხანოვი და მარტოვი საკუთარ კატეგორიულ სიტყვაში კვლავ პარტიის ერთიანობას ემხრობოდნენ. ს.ს.ბ-ის მდივნის, ჩემი მეგობარი კამილ ჰიუსმანსის[1], მოწმობის თანახმად, ტროცკი იქ არმყოფი ლენინის შეუბრალებელ დადანაშაულებას მიჰყვა.

დებატების შემდეგ ერთხმად მიიღეს შემდეგი რეზოლუცია: ყველა პარტიული ორგანიზაციისთვის, ისევე, როგორც რუსეთის მუშათა კლასისთვის, პარტიის ერთიანობის აღდგენა მოეწოდებინათ. ამ დოკუმენტზე ხელმოწერას ყველა მონაწილე დათანხმდა.

ომი დაიწყო. მომავალ 1915 წელს, პლეხანოვის გარდა, ბრიუსელის კრების ყველა მონაწილე, ამავე ლენინთან ერთად, რეზოლუციისთვის კენჭის საყრელად ზიმერვალდის ყრილობაზე შეკრებილიყო. რეზოლუცია ბელგიელ და ფრანგ სოციალისტებს – ემილ ვანდერველდეს, ჟიულ გედეს, მარსელ სემბას[2] – მუშათა კლასის საქმის მოღალატეებად აცხადებდა და გერმანელებისგან დაპყრობილი სამშობლოს დაცვის უფლებას არ აძლევდა.

1917 წელს, ცარისტული რეჟიმის დამხობიდან ხუთი კვირის შემდეგ, როცა დემოკრატიული რევოლუცია გამყარებული, ხოლო თავისუფლება გარანტირებული იყო, ზიმერვალდელი ბოლშევიკები და მენშევიკები ლენინისა და მარტოვის მეთაურობით, იმავე გზით, გერმანიაზე გავლით, ცნობილი, ე.წ. „დალუქული მატარებლით“ შევიდნენ რუსეთში.

---

[1] კამილ ჰიუსმანსი(1871-1968) – ბელგიის სოციალისტური პარტიის ლიდერი, ბელგიის პრემიერ-მინისტრი 1946-1947 წწ-ში, მეორე სოციალისტური ინტერნაციონალის მდივანი, 1920 წელს ეწვია საქართველოს ევროპელ სოციალისტებთან ერთად. (რედ.)

[2] მარსელ სემბა (1862-1922) – ფრანგი სოციალისტი, საფრანგეთის ეროვნული ასამბლეის წევრი 1893-1922 წლებში და საფრანგეთის მთავრობის წევრი 1914-1916 წ.წ-ში. (რედ.)

გავიხსენოთ რომ 1917 წელს პეტროგრადის საბჭოს სახელგანთქმულ თავმჯდომარე ჩხეიძესთან ერთად, რევოლუციის სათავეში მენშევიკებიც იდგნენ. მოკავშირეების მიმართ მტრულად განწყობილი ზიმერვალდელი, ბოლშევიზმის სულით გაჟღენთილი, თავკაცების უცხოეთიდან ჩამოსვლა საქმეს ნამდვილად არ გაუმარტივებდათ. პირიქით – ხელს შეუწყობდა თებერვლის რევოლუციის რღვევას და რუსეთში საკვების დეფიციტით გამოწვეულ უკმაყოფილებას გააღვივებდა.

ამ სირთულეებისა და დროებითი მთავრობის ზოგიერთი წევრის, კერძოდ მილიუკოვის, მიერ გამოწვეული პირველი სამთავრობო კრიზისის მიუხედავად რევოლუციამ სექტემბრამდე გასტანა. თუმცა, იმ დროს თავიდანვე განეიტრალებული პოლიცია მოვალეობას ვერ ასრულებდა, ჯარი სრულიად დემორალიზებული იყო, ამიტომ ოქტომბრის გადატრიალება არაფერს დაუბრკოლებია. ამან ათქმევინა ლენინს – ხელისუფლების გადაბარება ბუმბულის აწევაზე მარტივი იყოო.

ხელისუფლებაში მოსული ლენინი, ჩვენთვის ცნობილი ხერხებით, მოკავშირეებთან დადებულ შეთანხმებებს გაემიჯნა და კერძო მშვიდობისთვის დიდ იმპერიებთან მოლაპარაკებები წამოიწყო, მაგრამ ბრესტ-ლიტოვსკის ყრილობაზე, საგარეო საქმეთა კომისარმა ტროცკიმ პარტნიორებთან ერთად შემუშავებულ ზავის ხელმოწერაზე უარი თქვა აბსურდული ლოზუნგით „არც ორმი, არც მშვიდობა“ და საბჭოების არსებობას სასიცოცხლო საფრთხე შეუქმნა, ყველა ქვეყნის მუშებს უგუნურად მოუწოდა საყოველთაო აჯანყებისკენ. გერმანელები ზავის დაუყოვნებლივ ხელმოწერას მოითხოვდნენ, ამავდროულად შეტევა განაახლეს და მალე დაიკავეს უკრაინა, პოლონეთი, ბალტიის ქვეყნები და ფინეთი; საფრთხეს უქმნიდნენ პეტროგრადს, რომელიც საბჭოთა მმართველებმა სიჩქარეში დატოვეს, მოსკოვში გადავიდნენ და იქვე დარჩნენ.

ლენინმა გამოსავალი კვლავ იპოვა – ტროცკის მანდატი ჩამოართვა, ბრესტ-ლიტოვსკის შეთანხმებას ხელი მოაწერა და „ტილზიტის ზავი“ უწოდა. ამგვარად აღმოჩნდა რომ მასთან პირველი შეხვედრის შემდეგ მიღებული შთაბეჭდილება სრულიად მართებული იყო. ერთი შეხედვით დაუძლეველი სირთულეების წინაშე ლენინი სულიერად არასდროს ეცემოდა, ყველაზე ჩახლართული ვითარებებიდანაც კი პოულობდა გამოსავალს. საუბედუროდ თუ საბედნიეროდ ამ მხრივ რუსეთში ტოლი არ ჰყავდა.

ამ კაცის დრამა ის გახლდათ, რომ გაუსაძლისი უღელისგან რუსეთის, განსაკუთრებით, მუშათა კლასის, განთავისუფლება დაისა-

ხა მიზნად, საბოლოოდ კი იმას მიაღწია, რომ „ცარების“ ავტოკრატული რეჟიმი ძალადობაზე დაფუძნებული დიქტატურით შეცვალა. სწორედ მაშინ გარდაიცვალა (1924 წლის იანვარში), როცა „მსოფლიო რევოლუციის“ ამ შეცდომის გამოსწორება საკუთარ პარტიაში ბიუროკრატიის წინააღმდეგ ბრძოლით დაიწყო, რომელსაც „კომუნიზმის ინფანტილურ ავადმყოფობად“ მოიხსენიებდა და 1922 წლის იანვარში თავისუფალი, კერძო კომერციის ცნება შემოიტანა (ახალი ეკონომიკური პოლიტიკა), რასაც მოსახლეობის ცხოვრების პირობების საგრძნობი გაუმჯობესება მოჰყვა.

ლენინის სამართალმემკვიდრეობისთვის ბრძოლით რუსეთში ხანგრძლივი არეულობა დაიწყო, საქმე იქამდე მივიდა, რომ უკვე 1924 წლის ოქტომბერში ლენინის რეფორმა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა და პოლიტბიუროში დაძაბული დისკუსიები გამოიწვია. ტროცკი ახალი პოლიტეკონომიკის განვითარების საფრთხეს ხედავდა, ამიტომ თქვა „ორ წელში კულაკების მოწყალების იმედად ყოფნა მოგვიწევსო“. სტალინმა შეაწყვეტინა – ბოდიშს გიხდით, ამხანაგო ტროცკი, მაგრამ წითელ არმიას ვინ განკარგავს – თქვენ თუ კულაკები?

ერთგულმა მსოფლიო რევოლუციისა, რომლის კრახი ახალ პოლიტეკონომიას უფრო გაემყარებინა, ტროციკიმ მკვირცხლად მიუგო: – უბირი მსჯელობაა – წითელი არმია უმეტესწილად გლეხებისგან შედგება!

სტალინმა მშვიდად განაგრძო:

– 1917, 1919, 1920 წლებში? სამოქალაქო ომის დროს იგივე უმრავლესობა იყო და მაინც გავიმარჯვეთ! პოლიტიკაში მთავარია უმრავლესობის საარსებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით მისი მართვის უნარი. ესაა ლენინიზმი!

ტროცკი გაცოფდა და მუქარით შეჰყვირა:

– ეს ლენინის ცილისწამებაა! ვაპროტესტებ და ვტოვებ აქაურობას!

გაცეცხლებული კარისკენ გაეშურა, გასვლისას გაჯახუნება უნდოდა, მაგრამ ვერ გააღო (კრემლში ყველა კარი მძიმეა!) და სახელურზე ჩამოკიდებულივით დარჩა. ასე მხოლოდ პოლიტბიუროს ზოგიერთი წევრის ირონიული შენიშვნები გამოიწვია.

0128 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 1
1 Ilia Tchavtchavadze Avenue, Tbilisi 0128
Tel +995 (32) 225 04 84, 6284, 6278
https://www.tsu.ge/ka/publishing-house